სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო
კავშირი-„გვარიშვილობა"
საქართველოს ეროვნული აკადემია
**Национальная академия Грузии**
**Родовой союз отечественников всея Грузии „Гваришвилоба"**

იაკობ ახუაშვილი
**Яков Ахуашвили**
**Jakob akhuashvili**

# ქართული გვარ-სახელები

## Грузинские фамилии и имена

## Georgian Names & SurNames

## მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის

# I

შესწორებული და შევსებული მეორე გამოცემა

სამეცნიერო რედაქტორი - აკადემიკოსი
ალექსანდრე ღლონტი

გამომცემლობა „მესხეთი"
თბილისი
2005



დავიბადე 1928 წლის 25 მარტს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მუხათში, – გლეხის ოჯახში. მამა **ვარდო იაკობის ძე ახუაშვილი**, დედა **რიმსიმე ლევანის ასული დევლახაშვილი**.

დავამთავრე სოფელ კოდის 7-წლიანი სკოლა და თბილისის ფიზიკური კულტურის რესპუბლიკური ტექნიკუმი (ორივე წარჩინებით). უგამოცდოდ ჩამრიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ისტორიის ფაკულტეტზე. დავამთავრე ასევე ქ. ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა. იქვე 1980 წელს დავიცვი დისერტაცია პედაგოგიკაში. 1996 წლიდან ვარ საქართველოს ეროვნული და ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების ნამდვილი წევრი – **აკადემიების აკადემიკოსი**, 2000 წელს მომენიჭა **პროფესორის** წოდება. 1988 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მომანიჭა **რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება**. 1996 წელს შევქმენი „გვარიშვილობის" რესპუბლიკური კავშირი, დღემდე ვარ ამ კავშირის პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული მაქვს 43 წიგნი (460-ზე მეტი თაბახის ოდენობით და 2500-ზე მეტი სტატია – პედაგოგიკის, ისტორიის, ფიზიკური აღზრდის, ეთნოგრაფიის, ონომასტიკის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებზე.

პრესაში გამოქვეყნებული საკითხები ეხება სოციალურ სფეროს, პოლიტიკას, ეკონომიკას, ისტორიას, ერთა შორის ურთიერთობას, ხელისუფლებასა და მისი თავკაცის პოლიტიკას.

მყავს მეუღლე **ია ვლადიმერის ასული ვარდოსანიძე**, ორი ქალიშვილი **მარინე** და **მანანა**. სიძეები **გელა აბესაძე**, თენგიზ მამეიშვილი, ვახტანგ ციტაიშვილი და ოთხი შვილიშვილი: **ნიკა, ია, ნინო** და **ქეთი**.

*იაკობ ახუაშვილი*

ვუძღვნი საყვარელი
მშობლების ნათელ ხსოვნას.

ყოველ კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილი ისტორიით თავის გვარტომის შთამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპართ მამა-მთავარი? სად ცხოვრობდა? რა ენაზე ლაპარაკობდა, რა შედეგი მიეცა მის შთამომავალთა? ვინ ჰყავდათ გმირნი თუ მეფეები? რა სარწმუნოებამ დააჯილდოვა ისინი? ვისთან? როგორ? ან რანაირი მდგომარეობა მიიღეს წარსამატებელი და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა?!“

ივ. ბვარამაძე
1881წ.
*(ქართლის ცხოვრების წინასიტყვაობა)*

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

**ზოგი რამ წინამდებარე წიგნის მეორე გამოცემისათვის**

„ქართული გვარსახელების“ პირველი ტომი 1994 წელს დაისტამბა. **16 ათასიანი** ტირაჟით გამოცემული წიგნი სადღეისოდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. გამზადებული წიგნი 6 წელიწადი იდო სტამბაში და ამაოდ ელოდა სახელმწიფო სტრუქტურასა თუ ჩინოვნიკს, რომელსაც ეროვნული **„მე“** უკარნახებდა მზე ეხილა 800-გვერდიან წიგნში დაუნჯებულ მასალას, რომელიც ფარდას ახდიდა დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელმაც სხვად აქცია არა ერთი ქართველი კაცი, გადაუსხვაფერა გვარის მოდელი (ბარათაშვილი-ბარათოვი, ციციშვილი-ციციანოვი, პავლიაშვილი-პავლოვი, სიმონიშვილი-სიმონოვი და ა.შ.) გახადა, კამერალური აღწერის წიგნებში ხელოვნურად შეტანილი გრაფების, — სარწმუნოება, ეროვნებამეოხობით — ჩვენ წინაპარს სომხად (სომეხი-გრიგორიანულდ), ოსად (დრიაევი, **დრი** (ე), ოსურად მელას ნიშნავს, მელაძე გახდა), ბერძენად, აფხაზად და ასე შემდეგ ჩაწერეს. 1990-იან წლებამდე ქართველ მოხელეთა წყალობით **მხოლოდ ქართველ კაცს არ შეეძლო აღედგინა წართმეული გვარი და ეროვნება.**

90-იანი წლებიდან დაწყებულმა მოძრაობამ და ბოლშევიზმის სკამის შერყევამ ილაჯგაწყვეტილი და დამცირებული, საკუთარ ქვეყანაში გვარ და ეროვნება წართმეულმა ადამიანებმა დაიწყს ვინაო-

ბის მოძიება და 1988 წლიდან პრესის ფურცლებზე გაჩნდა პირველი ინფორმაციები იმის თაობაზე **თუ ვინ ვიყავით, საიდან მოვდივართ, რანი ვართ და ვინ უნდა ვიყენეთ**.

ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და ოთხთა კავშირის, – თურქეთი, სპარსეთი, სომხეთი, რუსეთი, – მიერ ნაკეთები ბნელი საქმეების გამომჟღავნებაში დიდი როლი ითამაშა საქართველოს არქივებში, – განსაკუთრებით რესპუბლიკის საისტორიო არქივში შემონახულმა მოსახლეობის აღწერისა და საეკლესიო ჩანაწერებმა. ისინი ჩვენ მისხალ-მისხალ გადმოვიტანეთ წინამდებარე ტომში, გავხადეთ იგი ხალხის საკუთრება და შესაძლებლობა მივეცით ათიათასობით გვარ და ეროვნება წართმეულ ადამიანებს დაებრუნებინათ პირვანდელი, მამა-პაპური გვარ-სახელი და ეროვნება.

წიგნი ქართველმა მკითხველმა დიდი პატივმიგებით მიიღო, დღეს იგი აშშ-ში არსებულ გენეალოგიური არქივიდან მოყოლებული, ბევრი ქვეყნისა და ქალაქის ოჯახთა სამაგიდო წიგნადაა ქცეული, მართლაცდა წიგნს უდიდესი შემეცნებით-პრაგმატული ღირებულება აღმოაჩნდა, მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორის ხელდასმით 42,000-ზე მეტმა კაცმა კვლავ იზეიმა ქართველობა. მოძრაობამ **„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ"** ჩაგდებული ნაპერწკალი ნაღვერდლებად ააგუზგუზა, მას მოჰყვა საგვარეულო შეკრებები, გვარიშვილობის ინსტიტუტის აღორძინება, გვარის (საგვარეულოს) ეთნარქების არჩევა, ქართველ მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის, – „გვარიშვილობის" კავშირის დაფუძნება (1996 წლიდან), ცალკეულ გვარზე მონოგრაფიების ბეჭდვა და სხვა.

ერთი შემთხვევის გარდა პრესის ფურცლები აჭრელდა დადებითი რეცენზიებითა და შთაბეჭდილებებით. ამჯერად ვაკმაყოფილებთ ქართველთა სურვილს და განმეორებით ვაახლებთ მათ ქართული გვარსახელების პირველ ტომს, რომელსაც მოჰყვება გამეორებით მეორე ტომის გამოცემა. ასეთი თანამიმდევრობით მივალთ 21 ტომამდე, რომელსაც ჩვენ სამართლიანად **„საქართველოს ისტორია გვარსახელებში"** ვუწოდეთ.

ავტორი გვარის ფუძემდებლისა და ოჯახის წინაპართა დალოცვით დიდის სიამოვნებით აახლებს წინამდებარე მეთაურ, საოჯახოდ შეკაზმულ წიგნთა-წიგნს ყველა ქართველს, რომელსაც აღმოაჩნდება სურვილი ჰქონდეს იგი სახლში. პატივისცემით, პროფესორი

იაკობ ახუაშვილი *2.VIII.2003 წელი*

# ქებანი უნდა მივჰკადრო

წარწერა **აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის**
„ქართული გვარ-სახელების“ პირველ ტომზე.

როცა წიგნს შენსას ვკითხულობ,
ჩემო ძვირფასო იაკობ,
ასე მგონია, მეახლა მაცნე კეთილი, მორჭმული,
მეფერება და ხმატკბილად ისეთ რამეებს მიამბობს,
რწმენით მოაქცევს ურწმუნოს,
ნათლით შემოსავს მორწმუნეს.

და მესახება: წარსული ჩვენი უძირო ზღვა არის,
აწმყო იმავ ზღვის ყურეა, სადაც ჩვენ ახლა
ვბინადრობთ,
მყობადი – ოკეანეა, საგანთიადო საარი,
რასაც მე, მონამ უფლისა, ქებანი უნდა მივჰკადრო!

გაგიხარია, ღვაწლს შენსას დააფასებენ ასულნი,
ძმანი მხარს შეაშველებენ და მზეებრ აბრწყინებენ!
შენ... მარგალიტის საძებრად დარჩები
ზღვაში ჩასული,
უბერებელი, უკვდავი, რადგან თვით ასე ინებე.

2/07/1997 თბილისი

კოტე მელაშვილი
პოეტი-აკადემიკოსი

# მითითებანი
# მასალების შედგენილობა-აგებულებაზე

1. ლექსიკოგრაფიულ კრებულში განხილულია 2900-ზე მეტი გვარი, რომლებსაც ბიბლიოგრაფიასთან ერთად განმარტებითი ხასიათის სხვა ცნობებიც ახლავს, ამრიგად წარმოადგენს ერთგვარ სალექსიკონო ერთეულს.

2. ცნობები შემდეგი თანამიმდევრობით არის დალაგებული: უწინარეს ყოვლისა, დადგენილია ამა თუ იმ გვარ-სახელს პირველად როდის ვხვდებით არსებულ წყაროებში, ლაპარაკია სემანტიკასა და გრამატიკულ წყობაზე, მეცნიერულ და ხალხურ ეტიმოლოგიაზე, თქმულება-გადმოცემებზე, უცხოური წარმომავლობის ძირეულ ფუძეებს ახლავს შესაბამისი განმარტება. ნაჩვენებია ამა თუ იმ გვარის მატარებელ პირთა სადაურობა და დასახლების წელი.

საგვარეულოთა საცხოვრებელ ადგილად მითითებულია სოფლები. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, კრწანისი, მძორეთი, ორთაშუა, ეცო, ნადარბაზევი, სხალუბანი, კუშტის უბანი, გვარეთი, სამება, ტაგნაგეთი, ციხია, წინვენახი, ბაგრანეთი ამჟამად აღარაა. ესეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იქ მოხსენიებული გვარი მეზობელ სოფელში გადავიდა ან საერთოდ წავიდა საქართველოს სხვა კუთხეში, შესაძლოა გადაშენდა კიდეც.

3. წერილობითი და საარქივო მასალების საფუძველზე ზოგიერთ სახელს ახლავს საგვაროვნო განშტოებათა (დანაყოფთა) დასახელებანი (იხ. **ლომთაძე, გიგაური, ბექაური, წიკლაური, კალმახელიძე** და სხვ.).

4. ხშირად ტექსტს მოსდევს წყაროები, სადაც მინიშნებულია სახელთა გავრცელების არეალი. ასევე ვიკვლევდით გვარ-სახელებსაც.

5. გვაქვს ერთი ფუძიდან ნაწარმოები რთული გვარ-სახელებიც, რომლებიც როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, ცალკეც შევიდნენ გვარ-სახელთა ლექსიკონში.

6. საკუთარი სახელებისგან ნაწარმოებ გვარებში უაღრესად მრავალფეროვან ფუძეებს ვხვდებით, რაც დასტურდება შვილზე დაბოლოებულ შესაბამის გვარებში. ასეთი დერივატული გვარები უბრალოდ მოიხსენიეზა ძირეულ გვარებთან, ხოლო თუ ცალკე ერთეულად გვხვდება ამ რეგიონის სოფლებში, მაშინ მათზე პასუხი განმარტე-

ბულია, მითითებათა პირველი მუხლის თანახმად.

7. ცნობარ-ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ და მხოლოდ აღწერილ რეგიონში ოდესღაც თუ ამჟამად მცხოვრებთა გვარ-სახელები.

8. შემოკლებანი და პირობითი ნიშნები ცალკეა გამოტანილი. მასალებში შეტანილ პარალელურად ხმარებულ ვარიანტებს, ისევე როგორც პირვანდელი ფორმების (არქეტიპების) ჩვენებებს, ახლავს სპეციალური აღნიშვნა (II).

9. პატრონომიკული მასალების შეკრება-დამუშავებაში ავტორს ეხმარებოდნენ ეროვნული საკითხებით დაინტერესებული პირები. განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲘ, ბიბლიოფილი ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ ᲯᲐᲧᲔᲚᲘ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲘᲡᲐᲜᲐ (ᲪᲘᲪᲘᲜᲝ) ᲒᲐᲘᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, ბიბლიოთეკის გამგე ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲪᲮᲕᲔᲓᲐᲫᲔ, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ᲡᲘᲛᲝᲜ ᲮᲐᲓᲣᲠᲘ, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ (ამჟამად დირექტორი), საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ, ჟურნალ „დროშის" რედკოლეგიის წევრი, განყოფილების გამგე ᲝᲗᲐᲠ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ჟურნალისტები ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲒᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ᲨᲐᲚᲕᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ. ზოგიერთი პიროვნება განმარტებით ტექსტებში ინფორმატორად არის მოხსენიებული.

10. ავტორი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის მანძილზე სიამოვნებით ღებულობდა შენიშვნებსა და დამატებით ცნობებს რესპუბლიკის მშრომელებისაგან.

# ქართული ანბანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ან | მ | მან | ღ | ღან |
| ბ | ბან | ნ | ნარ | ყ | ყარ |
| გ | გან | ო | ონ | შ | შინ |
| დ | დონ | პ | პარ | ჩ | ჩინ |
| ე | ენ | ჟ | ჟან | ც | ცან |
| ვ | ვინ | რ | რაე | ძ | ძილ |
| ზ | ზენ | ს | სან | წ | წილ |
| თ | თან | ტ | ტარ | ჭ | ჭარ |
| ი | ინ | უ | უნ | ხ | ხან |
| კ | კან | ფ | ფარ | ჯ | ჯან |
| ლ | ლას | ქ | ქან | ჰ | ჰაე |

# ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲖᲜ. — აზნაური
ᲐᲚ. ᲤᲠᲝᲜᲔᲚᲘ — ალექსანდრე ფრონელი
ᲐᲚ. ᲦᲚ. — ალექსანდრე ღლონტი
Ა. ᲨᲐᲜ. — აკაკი შანიძე
ᲐᲠᲐᲑ. — არაბული
ᲐᲠᲐᲑ.-ᲗᲣᲠᲥ. — არაბულ-თურქული
ᲐᲠᲐᲑ.-ᲡᲞ. — არაბულ-სპარსული
ᲐᲠᲥ. — არქივი
ᲐᲦᲛ. ᲡᲐᲥ-Ო, — აღმოსავლეთ საქართველო
ᲐᲮᲚᲐᲜᲓ — ახლანდელი
ᲐᲦᲬ. — აღწერა
ᲑᲔᲠᲫᲜ. — ბერძნული
ᲑᲚᲡᲠᲗᲘ. — ბოლოსართი
ᲒᲐᲕᲠᲪ. — გავრცელებული
ᲒᲐᲛᲝᲪ. — გამოცემა
Გ. ᲚᲔᲝᲜ. — გიორგი ლეონიძე
ᲓᲐᲕᲗ. — დავთარი
ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲚ. — დასტურლამალი
Დ. ᲙᲐᲡᲠ. — დავით კასრაძე
ᲓᲐᲐᲮᲚ. — დაახლოებით
ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢ. — დიალექტოლოგია
Დ. ᲗᲝᲜᲔᲗᲘ — დიდი თონეთი
ᲓᲝᲙ. — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან
Დ. ᲩᲣᲑᲘᲜ. — დავით ჩუბინაძე
ᲓᲦᲔᲕ. — დღევანდელი
ᲔᲑᲠ. — ებრაული
ᲔᲗᲜᲝᲛᲘᲛᲘ — ეთნონიმური
Ე. ᲛᲔᲢᲠ. -- ელენე მეტრეველი
ᲔᲥᲕᲗ. ᲗᲐᲧ. — ექვთიმე თაყაიშვილი
ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ. — ბატონიშვილი ვახუშტი
ᲖᲑᲓᲘ. — ზოგადი მნიშვნელობა
ᲖᲓᲛ. ᲡᲐᲮ. — ზედმეტი სახელი
Ზ. ᲭᲣᲛᲑ. — ზურაბ ჭუმბურიძე
ᲗᲐᲗᲠ. — თათრული
Თ. ᲟᲝᲠᲓ. — თედო ჟორდანია
Თ. ᲬᲧ. — თეთრი წყარო
ᲗᲣᲠᲥ — თურქული
ᲗᲣᲨ. — თუშური
ᲘᲐᲡ. ᲚᲝᲠᲗᲥ. — იასონ ლორთქიფანიძე
ᲘᲔᲠᲣᲡ. — იერუსალიმი
Ი. ᲛᲐᲘᲡᲣᲠ. — ილია მაისურაძე
ᲘᲕ. ᲯᲐᲕᲐᲮ. — ივანე ჯავახიშვილი
ᲘᲛᲔᲠ. — იმერული
ᲘᲠᲐᲜ — ირანული
ᲘᲡᲢ. — ისტორიული
ᲘᲡᲢ. ᲡᲐᲑ. — ისტორიული საბუთი
ᲘᲮ. — იხილე
ᲙᲐᲙᲐᲑ. — კაკაბაძე
ᲙᲜᲘᲜ. — კნინობითი
ᲙᲝᲚ. — კოლექცია
ᲙᲝᲚᲮ. — კოლხური
ᲙᲣᲗᲮ. — კუთხური
ᲚᲐᲗ. — ლათინური
ᲚᲔᲥᲡᲘᲙ. — ლექსიკონი
ᲛᲐᲙᲐᲚ. — მაკალათია
ᲛᲔᲒᲠ. — მეგრული
ᲛᲔᲢᲠ. ᲬᲘᲒᲜ. — მეტრიკის წიგნი
ᲜᲐᲛᲓᲕ. — ნამდვილი
ᲜᲐᲬ. — ნაწილი
Ნ. ᲑᲔᲠᲫ. — ნიკო ბერძენიშვილი
Ნ. — ნახეთ
Პ. ᲘᲜᲒᲝᲠ. — პავლე ინგოროყვა
Რ-ᲜᲘ. — რაიონი
Რ. ᲗᲝᲤᲩ. — როლანდ თოფჩიშვილი
ᲠᲣᲡ. — რუსული
ᲡᲐᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕ. ᲓᲐᲕᲗ. — საამილახვრო დავთარი
ᲡᲐᲑᲐ. — სულხან-საბა ორბელიანი
ᲡᲐᲑ. — საბუთი
ᲡᲐᲔᲙᲚ. ᲡᲐᲑ. — საეკლესიო საბუთები
ᲡᲐᲕᲐᲠ. — სავარაუდო
ᲡᲐᲘᲡᲢ. — საისტორიო
ᲡᲐᲙ. — საკუთარი
ᲡᲐᲙ. ᲡᲐᲮ. — საკუთარი სახელი
ᲡᲐᲙ. ᲡᲐᲮᲔᲚᲬ. — საკუთარი სახელწოდება
Ს. ᲙᲐᲙᲐᲑ. — სარგის კაკაბაძე
ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲛ. — სარეკომენდაციო
ᲡᲐᲥ. — საქმე
ᲡᲐᲥ. ᲡᲘᲫᲕ. — საქართველოს სიძველენი

ᲡᲐᲥ. ᲛᲣᲖ. — საქართველოს მუზეუმი
ᲡᲐᲮ. — ᲐᲠᲥᲘᲕᲘ — სახელმწიფო არქივი
ᲡᲔᲘᲫ. — საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები
ᲡᲕᲐᲜ. — სვანური
ᲡᲝᲛᲮ. — სომხური
ᲡᲝᲤ. — სოფელი
ᲡᲞᲐᲠᲡ. — სპარსული
ᲡᲢᲐᲢ. — სტატისტიკური
ᲡᲢᲣᲓᲙᲝᲚ. — სტუდენტური კოლექცია
ᲡᲪᲡᲡᲐ. — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი
Ტ. — ტომი
ᲢᲤ. — ტფილისი
ᲣᲪᲮ. — უცხოური
ᲣᲪᲮ. ᲡᲘᲢᲧᲕ. — უცხო სიტყვათა
Ფ. — ფონდი
ᲤᲠᲐᲜᲒ. — ფრანგული
ᲤᲣᲠᲪ. — ფურცელი
ᲥᲐᲠᲗᲚ. ᲪᲮ. — ქართლის ცხოვრება
ᲥᲐᲠᲗ. ᲡᲐᲙ. ᲡᲐᲮ. — ქართველური საკუთარი სახელები
ᲥᲔᲒᲚ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ᲥᲔᲗ. ᲫᲝᲬ. — ქეთევან ძოწენიძე
ᲥᲕ. ᲥᲐᲠᲗᲚᲘ. — ქვემო ქართლი
ᲥᲕ. — ქვემო
ᲥᲘᲖᲘᲧ. — ქიზიყური
ᲥᲠᲝᲜᲘᲙ. — ქრონიკები
ᲥᲡᲔ. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ᲥᲡᲫ. — ქართული სამართლის ძეგლები
Ქ. — ქრისტე ღმერთო
ᲧᲝᲤ. — ყოფილი
ᲨᲓᲠ. — შეადარე
ᲨᲠᲥᲛ. — შერქმეული
ᲫᲕ. ᲑᲔᲠᲫᲜ. — ძველბერძნული
ᲫᲕ. ᲔᲑᲠ. — ძველი ებრაული
ᲬᲘᲒᲜ. — წიგნი
ᲬᲛ. — წმიდა
ᲬᲚ. ᲐᲚᲬ. — წლის აღწერით
ᲮᲔᲕᲡ. — ხევსურული
ᲮᲔᲚᲜᲐᲬ. ᲘᲜᲡᲢᲘ. — ხელნაწერთა ინსტიტუტი
ᲯᲘ — ჯეელი

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ფართო და მრავალმხრივია გვარის მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი შვიდნაირი გაგებით არის წარმოდგენილი. ᲒᲕᲐᲠᲘ, **პირველ ყოვლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელი, ადრინდელი თემურ-გვაროვნული ცხოვრების გამომხატველია. გვარი მემკვიდრეობით საოჯახო სახელწოდებაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს.** ერთი წინაპრის შთამომავლები ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოს და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც — **საგვარეულოს, საგვაროს** (მოდგმა, ჩამომავლობა), **გვაროვნულობას** (ჩამომავალი), **გვაროვანს** (დიდგვარი), გვარეობას, გვარობას (ვინაობა), გვარიშვილს (დიდგვარი, რაც მოძველებულად აღნიშნავს: გვაროვანი, გვარიანი, გვარიშვილი, დიდი გვარისა, დარბაისელი, აზნი, თავადი, ბეგი, კეთილშობილი, წარჩინებული, დიდებული, დიდი კაცი, დიდკაცი, მაღალი ხარისხის მოხელე. „აგერ დიდკაცი, დარბაისელი, კმაყოფილების განცხრომაშია" — **ილია**). გვარით აღინიშნება აგრეთვე საგნებისა თუ მოვლენის ნაირობა, რაგვარობა, გვარი საჰეობის გამომხატველიცაა. ისევე როგორც სახე აღნიშნავს, არა მარტო იერს, პირს, პირისახეს, ასევე სახეობას, გვარს, ჯურს. გენეტურად გვარი უდევს საფუძვლად სიტყვასაც **როგორ**, რომელიც ცვლილებათა შემდეგი თანამიმდევრობით ორი ფუძისაგან არის მიღებული: რაგვარი-რაგორი-როგორი (შდრ. რაგვარად? როგორ? როგორ-რაგვარად). მეცნიერებაში გვარი აბსტრაქტული ცნების გამომხატველ ტერმინადაც არის გამოყენებული (ფილოსოფიაში, ლოგიკაში, ბიოლოგიაში, გრამატიკაში...), ძველ ქართულში იგი კატეგორიის შესატყვისადაც გვევლინება (შეადარეთ, მაგალითად, შ. რუსთაველის გამოთქმა: **„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა"**).

„ამ სემანტიკურ მიმოქცევაში, — წერს **ილია მაისურაძე**, — ნათლად არის გამოკვეთილი გვარის კიდევ ერთი ძირითადი მნიშვნელობა. იგი აღმნიშვნელია ადამიანის მეორეული, დამატებითი

საკუთარი სახელისა, რომლის დანიშნულებაა გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი, კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის, სახლეულის, თუ გვარტომის წარმომადგენელი. ამ გაგებით გვარი არის **„საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან“** (ი. მაისურაძე, „მნათობი“, 1954, №1, გვ. 167; ქეგლ).

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ გვარიშვილი და გვარიშვილობა. **ისინი ადამინის ღირსების, მის მაღალზნეობრიობის მაჩვენებლად გამოიყენება. პიროვნების თვისებებს ჩვეულებრივ გვარს უკავშირებენ და ამბობენ, ესა და ეს კაცი კარგი (ან ცუდი) გვარიშვილიაო, გვარიშვილობას უქებენო და მისთ.**

ქართული გვარის სინონიმია სიტყვა გორი. ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ გოჩა თავის ერთადერთ ვაჟს სამშობლოს დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთაგონებით არიგებს, მთელ თავის პატრიოტულ მგზნებარებას იგი გვარის ღირსებაზე მითითებით გამოხატავს და ეუბნება შვილს — **„გახსოვდეს, ვისი გორისაც ხარო!“**

ხევისბერის მეტყველებაში გვარი გორად გამოითქმის. სიტყვის ამ ფორმით ხმარება, საერთოდ, დამახასიათებელია მთის კილოებისათვის, სადაც რეალიზებულია **ვა** კომპლექსის შენაცვლება **ო** ხმოვნით (შდრ. აგრეთვე **თოლი, ცხორი, ყოილი**...). გორი ამავე დროს ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინიც არის და გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს გვართან, როგორც სოციალურ ტერმინთან. საქმე ის არის, რომ გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან: **საქართველოში უძველესი დროიდან არსებულა „გორებად“ დასახლების ტრადიცია,** რაც პირვანდელ გვაროვნულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირკვევა, რომ თითოეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გაერთიანება ცხოვრობდა: გვაროვნული დასახლება „გორულ“ დასახლებასაც ემთხვეოდა. ამიტომ ტერმინიც გვარი და გორი ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ტოპონიმიკაში გორ ძირი მასობრივად ისმის და მას ზოგჯერ გვარ ძირიც ენაცვლება: **გორი, გორა, გორანა, გორაკი, გორიკა, გორისა, გორისი, გორათი, გორისუბანი, გორისციხე, გორ-**

**თუბანი, გორმაღალი, გოროვანი...** ხსენებულ ძირთა იდენტურობას აღიარებს **ილია ჭყონია.** მეგრული სიტყვის **„ნიგორის“** განხილვისას, მკვლევარი აღნიშნავს: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს **„ნიგორი“** მეგრულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში, ჯიშიც იგულისხმება, არამედ იმითაც, რომ ამ ტერმინში ფუძე „გორ“-ი ჩანს და იგი ქართულ ᲒᲕᲐᲠᲡ უნდა შეესატყვისებოდეს“ (**ილია ჭყონია,** ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 83-84).

**აკად. ნ. ბერძენიშვილი** მიუთითებს, რომ ᲒᲝᲠᲘ იგივე ᲒᲕᲐᲠ-ᲘᲐ. ეს არის უძველესი სოციალური ტერმინი, რომელიც დასახლების გარკვეულ ტიპს აღნიშნავდა. მკვლევარი წერს: „გორა სოციალური ერთობა უნდა იყოს, ჩვენ არ ვიცით გორა ტერმინის ურთიერთობა გვართან, მაგრამ მიუხედავად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა, გორის გვართან კავშირი შესაძლებლად მიგვაჩნია.

... ᲒᲝᲠᲛᲐ, — წერდა ისტორიკოსი, —ბორცვის მნიშვნელობა მოიპოვა, გვარი კი დარჩა სოციალური შინაარსის სიტყვად, თუმცა იგი სადგომის მნიშვნელობითაც გვხვდება (შდრ. აფხაზური გვარა, აწანგვარა-წანის სადგომი, აგრეთვე აძიგვარა, სვანური ქორი, მეგრული ხორ, ხორა, ოხორა-სახლი. აქვე უნდა გავიხსენოთ სოფლის სახელი აჭარაში გვარა, აგვართა მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყვარელი ქოხი მთაში ან ტყეში და სხვა (Ნ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971 წ. გვ. 69-70; VIII, 1975, გვ. 36, 37, 48, 57, 58).

არსებობს ვარაუდი, რომ იყო უხსოვარი დრო, როცა გვარი არ არსებობდა და ადამიანებს ერთმანეთისგან სახელის მიხედვით ანსხვავებდნენ. ამის თაობაზე ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ წერს: „... ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არამარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ — რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე,

დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების – სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი'' (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 293-294).

იმის მიუხედავად, რომ ადამიანები ოდესღაც გვარის გარეშე ცხოვრობდნენ, გვარი მაინც უძველეს დროს გაჩნდა. ლათინური სიტყვა **familia** თანამედროვე გაგებით გვარის წარმოშობამდე მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა. იგი აღნიშნავდა ერთობას, რომელშიც შედიოდა მეურნეთა ოჯახი, მათი მონები და კლიენტები თავის მფარველზე ,,ბატონზე'' უფლებრივად დამოკიდებულნი. მოგვიანებით დასავლეთ ევროპის ენებში მან ოჯახის აღნიშვნის მნიშვნელობა შეიძინა და ასეთად შევიდა რუსულ ენაში პეტრე პირველის დროიდან (1703 წ.); შემდგომში სიტყვამ თანდათანობით სხვა მნიშვნელობა მიიღო: არა ოჯახი, არამედ მისი სახელწოდება.

**გვარი სისხლითმონათესავე კავშირებზე დამყარებული ადამიანთა ერთობის ფორმაა, რომლებიც პირველყოფილ თემებში წარმოიშვა ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველზე.** უკანასკნელ გამოკვლევათა მონაცემები მეტყველებენ, რომ გვაროვნული ერთობა ყველა ხალხს როდი ახასიათებდა უცილობლად, გვარი თავიდანვე არსებობდა მამაკაცური და ქალური ფორმებით (პატრიარქატი, მატრიარქატი), არა ცალკეული გაერთიანების, არამედ ნათესავთა ჯგუფების სახით, რომლებიც სხვადასხვა თემებში ცხოვრობდნენ. გვარი წარმოადგენდა თემის ბირთვს, რომელიც აერთიანებდა მის წევრებს, ბავშვების ერთობლივი აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებით ახორციელებდა შრომისა და სოციალური ურთიერთობების მქონე შთამომავლობის კვლავწარმოებას. გვაროვნული ურთიერთობები ჩვეულებრივ მოცემული იყო თემის წევრთა სოციალური კავშირის ფორმით, განმსაზღვრელ როლს ასრულებდა წარმოებაში, განაწილებაში, საკულტო მოქმედებებში და ა.შ., განაპირობებდა თემის ცხოვრების მართვის გვაროვნულ ხასიათს (უხუცესთა და ბელადთა არჩევითობა თემის გვაროვნული ბირთვის წევრებიდან, მათი მონაცვლეობა და ა.შ.). ამრიგად, გვარი და გვაროვნული თემი ურთიერთზემოქმედებდნენ და შეადგენდნენ სოციალურ სტრუქტურას, რომელიც განისაზღვრე-

ბა როგორც გვაროვნული წყობილება. აქ გაბატონებული იყო მიწის საზოგადოებრივი საკუთრება. არ არსებობდა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა თემის ყველა ზრდადსრულებული წევრის უფლებასა და მოვალეობას შეადგენდა. პირველყოფილი თემური წყობილების განვითარებასთან ერთად თანდათან იზრდებოდა გვართა რაოდენობა. ისინი ერთიანდებოდნენ ფრატრიებად (ძმობებად), ფრატრიები-ტომებად, ესენი კი ტომთა კავშირებად.

გვარებს თუ გავზომავთ ისტორიული მასშტაბებით, როგორც ეტყობა, ჩრდილო იტალიაში, – ევროპის შედარებით ეკონომიკურად განვითარებულ ოლქში იგი წარმოშობილია X-XI სს.-ში. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარი ძალზე ადრე VI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ გაჩენილა. ამის თაობაზე ვ. ᲜᲘᲙᲝᲜᲝᲕᲘ წერს, რომ ასეთი მოსაზრება საჭიროებს აუცილებელ მტკიცებებს, იმის გარკვევას, რომ ისინი გადადიოდნენ მემკვიდრეობით, და თანაც აღნიშნავდნენ არა გვარს (გვარეულობას), არამედ ოჯახს. გვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში ლომბარდიიდან პიემონტზე გავლით „მივიდა", „გადააბიჯა" რეინსა და ლამანშს და თანდათანობით გავრცელდა მთელს საფრანგეთში. 1066 წ. ნორმანებმა ინგლისი დაიპყრეს და გვარები იქ გადაიტანეს. მართალია, პ. ᲠᲘᲜᲘ წერს, რომ გვარები იქ გაჩნდა ნორმანებამდე, მაგრამ „ისინი არ იყო მემკვიდრეობითი" (იხ. **В. А. Никонов, География фамилии, М.**, 1988, გვ. 19).

სტრასბურგში XIII საუკუნის ბოლოს ყველა ქალაქელს ჰქონდა გვარი. 1312 წ. მაინის-ფრანკფურტში ბიურგერთა 66% უგვარო იყო, ხოლო 1351 წ. მხოლოდ 34%, ე.ი. 40 წლის მანძილზე თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა: 2/3-ს უკვე ჰქონდა გვარი. რეინიდან გვარები თანდათანობით ვრცელდებოდა ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში, მაგრამ როგორც აღნიშნა რ. ფიშერმა: „გერმანულ გლეხებში გვარების ჩამოყალიბება XIV ს-ში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული (იქვე, გვ. 19), ხოლო ვ. ᲤᲚᲔᲘᲨᲔᲜᲘᲡ თანახმად იგი გრძელდებოდა XIX საუკუნემდე. პ. ᲠᲘᲜᲘᲡ მიხედვით ინგლისში გვარების ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა 1400 წელს, ხოლო უელსში ჰენრიხ VII-მდე გვარები არ ჰქონდათ თვით თავადაზნაურებსაც კი. იქ ისევე როგორც შოტლანდიაში გვარების ფორმირება გრძელდებოდა XVIII ს-მდე. დანიაში გვარები გაჩნდა XV-XVI სს-ის მიჯნაზე.


საქართვე

1526 წელს მეფემ უბრძანა ყველა თავადაზნაურს, მიეღო გვარი. იმავე ასწლეულში დანიიდან და გერმანიიდან გვარები გავრცელდა შვეციაში.

უნგრეთის პატარა ქვეყანაში გვარების გავრცელებას დასჭირდა ხუთი ასწლეული–XIV-XVIII სს. ჩეხეთში გვარებზე საუბარი შეიძლებოდა მხოლოდ იმ დღიდან, როცა იოსიფმა გამოსცა ბრძანებულება (1780 წ.). პოლონეთში გლეხებს მემკვიდრეობითი გვარები ჰქონდათ XVIII ს-ის ბოლოდან.

რუსეთში გვარების ჩამოყალიბება გვიან დაიწყო და მთელი ოთხასი წელი გაგრძელდა. Ი. Ა. ՍՈԲՈԼԵՎՍԿԻ უმართებულოდ მიიჩნევდა გვარებად XIV ს. ბოიართა გვაროვნულს სახელწოდებას. ისევე, როგორც თავადური ტიტული (შუისკები, კურბსკები და სხვ.) ჯერ კიდევ არ იყო გვარები, თუმცა ესეც და სხვებიც შემდგომში გვარების ერთგვარ მოდელებად იქცა, ხოლო ზოგი მათგანი ნამდვილ გვარებად გადაიქცა. ბოიართა წრეში ცნობილია ასეთი მაგალითი: XIV ს-ის პირველ ნახევარში ბოიარ ԱՆԴՐԵԻ ԻՎԱՆԵՍ ძე ԿՈԲԻԼԱՍ ჰყავდა სამი ვაჟი: უფროსი – **სიმონ ჟერებეცი**, რომლის შვილიშვილის შვილი ჩაწერილია როგორც **იგნატი ჟერებეც-კობილინი, ჟერებცოვების** ფუძემდებელი; მეორე ვაჟი – **ალექსანდრე ელკა კობილინი** – მისგან წამოვიდა **კობილინები**; მესამე, უმცროსი ვაჟი **ფიოდორ კოშკა, კოშკინების** ფუძემდებელია, რომლისგანაც გაჩნდა **რომანოვების**, მომავალი სამეფო და საიმპერატორო დინასტიის საგვარეულო.

რუსების დღევანდელი გვარები ჩამოყალიბდა მხოლოდ XVI ს-ში, ხოლო მათი მასობრივი დანერგვა მიეკუთვნება XVI-XVII საუკუნეებს. გავიხსენოთ, რომ **პეტრე პირველმა ყველა თავად-აზნაურისგან მოითხოვა გვარის მიღება.**

სახელი შედარებით ადრინდელია, ვიდრე გვარი. იყო დრო, როცა ადამიანების გასარჩევად მარტო სახელიც კმაროდა.

საკუთარი სახელი (ანთოპონიმი) ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს. მნიშვნელობით იგი თავისებური სიტყვაა, მაგრამ ეს თავისებურება მას ლექსიკის საერთო ფონდიდან ვერ განაკერძოებს: „ანთროპონიმი წარმოშობითა და რამდენიმე ფუნქციით განირჩევა სუბსტანტივის კლასის სხვა თანრიგის სიტყვებისგან, თორემ გრამატიკულად, სტრუქტურითა და წინადადებაში მოხმარებით, იგი არსებითი სახელია, ოღონდ ისეთი სახე-

ლი, რომელსაც ამ თანრიგის სხვა სიტყვებისგან განსხვავებით, არ ძალუძს მრავლობითი რიცხვის წარმოება" (**ალ. ღლონტი,** ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1985, გვ. 7).

ყოველი ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ წარმოშობით ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ. საკუთარი და საზოგადო სახელი ერთურთის საპირისპირო ისეთი სიტყვებია, რომელთაც ინდივიდუალური ნიშანდობლივი თვისებები აქვთ. ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ ფორმულა „სახელი შეიძლება იყოს: საკუთარი და საზოგადო" სწორედ ამას გულისხმობს (Ა. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 38). საკუთარი სახელი აღნიშნავს ერთ პირს, ის აღნიშნავს და არა ახასიათებს საგანს, მაგრამ განზოგადების ძალას რამდენადმე მაინც ინარჩუნებს. **თამარ, ქალთამზე, ლაბუა, ჩიორა, ჩიტო, ცარო, ფაცია, ქუქუნა, ანზორ, არჩილ, ბაქარ, ბახვა, გელა, გლახა, დუტუ**... ერთსა და იმავე დროს ათეულობით პირსაც ჰქვია, მაგრამ ამ სიმრავლეში მაინც კარგად ვარჩევთ ინდივიდს, მის ნიშნებს. ერთი მომენტიც, როდესაც სახელთა და გვართა ნომინაციური დანიშნულება ეგზომ გამოკვეთილია, თითოეულ მათგანს მოეძებნება პირვანდელი მნიშვნელობის საწყისები. ასე, მაგალითად, **აგნესა** წმინდას, უმანკოს (ბერძ.), კრავს (ლათ.) ნიშნავს, **ანანა** – გულკეთილს, გულმოწყალეს, **ბაბილინა** – აჯანყებულს, **ზაირა** – ყვავილს, **ზეინაბი** – მსუქანს, **თამთა** – ღონიერს, გოლიათს, **იზოლდა** – გამოჩენილ მეომარს, **აბესალომი** – მამა მშვიდობის, **ანდრია** – მამაცს, ვაჟკაცს, მხნეს, **გიორგი** – მიწის მოქმედს, მხვნელ-მთესველს, **გრიგოლ** – მღვიძარს, ფხიზელს, **დომენტი** – დამწყნარებელს, მომთვინიერებელს, **ელენე** – რჩეულს, **ვიქტორი** – გამარჯვებულს, **სოფიო** – სიბრძნეს, **ელგუჯა** – ხალხის ძალას, **ტარასი** – მოუსვენარს, **ფილიპე** – ცხენთა მოყვარულს და ა.შ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ და ᲮᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ სახელებს შორის არსებობს მსგავსებაც და განსხვავებაც, თითოეულს აქვს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანიც. მათი განსჯა-განხილვა ამჯერად არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს. ამ საკითხთან დაკავშირებით ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲡ ნათქვამი აქვს: **„საზოგადო სახელი, ცხადია, აღნიშნავს, საკუთარი კი სახელს სდებს საგანს.** სახელდება თითქოს ორივე მათგანის საერთო თვისებაა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. აღნიშვნასა და სახელდებას, წოდებას შორის არსებითი ხასიათის სხვაობაა

და თანასწორობის ნიშნის დასმა შეუძლებელია. ამიტომ ამ სახელებს შორის მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც უნდა დავინახოთ. **ფოცხვერი,** მაგალითად, საზოგადო სახელია, აღმნიშვნელი გარკვეული სახის გარეული ცხოველისა; ამ სიტყვით ცხოველთა სამყაროდან გამოიყოფა ერთი სახის გარეული ცხოველი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც არ არის საკუთარი სახელი. ამასთან **ფოცხვერა** უკვე საკუთარი სახელია, რადგან ერთ კონკრეტულ ადამიანს შეერქვა. რა განასხვავებს მათ? გამოყენება და სტრუქტურა: **ფოცხვერი** სტრუქტურულად ბრუნებადი მარტივი სიტყვაა, რომელსაც აქვს ორივე რიცხვი: მხოლობითიც და მრავლობითიც, **ფოცხვერა** კი – წარმოქმნილია: ა აქ დერივატია, მაწარმოებელი მოფერებითობისა (კნინობისა), რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიტანა. ამ სუფიქსით წარმოქმნილ საკუთარ სახელს მრავლობითი რიცხვი აღარა აქვს: მრავლობითში დასმა გამოიწვევს მის საზოგადო სახელთა თანრიგში გადასვლას. ანალოგიური სურათი იშლება ჩვენს წინაშე სხვა ამისთანა მაგალითებზე დაკვირვებისასაც (შდრ.: **კურდღელი** – კურდღელა, **სული** – სულა, **ნადირი** – ნადირა, **კაცი** – კაცია, **ვეფხვი** – ვეფხვია, **ირემი** – ირემა...), გამოდის, საზოგადო სახელი ნამდვილად აღნიშნავს საგანს, საკუთარი სახელი ნამდვილად სახელს სდებს. ე. კურილოვიჩის შეხედულებით, მოფერებითობის გადმოცემა, რაც გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითის გამოხატვის საშუალებებთან, წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას, მათ სპეციფიკას" (ალ. ღლონტი, დასახელ. ნაშრ., გვ. 9-10).

საზოგადო სახელი განსაზღვრულ პოზიციაში გვევლინება საკუთარ სახელად, და, პირიქით, ცალკე საკუთარი სახელები გარკვეულ შემთხვევაში საზოგადო სახელთა თანრიგში გადადიან. „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საზოგადო სახელთა (ცალკე საგნის, მოვლენის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, მცენარის, ნივთიერების, ხელობა-მოსაქმეობის, სოციალური ყოფისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები) სამყარო არის ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელშიაც ისტორიულად სათავეს იღებს ანთროპონიმიკა. მართალია, ანთროპონიმის ფუნქციით გამოუყენებიათ სხვა თანრიგის სიტყვებიც, მაგრამ აქ ძირითადი მაინც საზოგადო სახელებია და არა ეგ სიტყვები. ამდენად სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ

ის მრავლისმეტყველი ფაქტი, რომ წარმოდგენილი დებულება ერთნაირ დასაბუთებას პოულობს ქართველურთან ერთად სხვა ენათა ერთობის მასალაზეც" (ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲘ, დასახელ. ნაშრ., გვ. 11).

ადამიანთა და ადგილთა სახელების ეს უძველესი ტენდენცია-საზოგადო სიტყვებიდან კერძო სახელების შერჩევა-შექმნის პროცესი, საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ საფეხურებზე უფრო ძლიერდებოდა-გართულებული სოციალური ვითარების შესაბამისად ონომასტიკური ლექსიკის გამდიდრებაში საზოგადო სახელთა სულ უფრო და უფრო ახალი წყებები ებმებოდა.

პირვანდელი გვარის კლასიკურ ფორმად მიჩნეულია ᲡᲔᲜᲐᲙᲐᲡ ᲢᲝᲛᲨᲘ შემავალი ᲘᲠᲝᲙᲔᲖᲔᲑᲘᲡ გვარი. მის შესახებ მსჯელობისას, ᲛᲝᲠᲑᲐᲜᲘᲡ მასალებზე დაყრდნობით, ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘ აღნიშნავს: „ეს ტომი 8 გვარისაგან შედგებოდა, თითოეულ მათგანს რომელიმე ცხოველის სახელი ერქვა: 1. ᲛᲒᲔᲚᲘ, 2. ᲓᲐᲗᲕᲘ, 3. ᲙᲣ, 4. ᲬᲐᲕᲘ, 5. ᲘᲠᲔᲛᲘ, 6. ᲦᲐᲚᲦᲐ, 7. ᲧᲐᲜᲩᲐ, 8. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ". მგელი და დათვი გვაროვნულ სახელებს წარმოადგენდნენ ინდიელ ტომთა უმრავლესობაშიო-მიუთითებს იქვე ფრ. ენგელსი (ᲤᲠ. ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘ, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, თბ., 1938, გვ. 96-97).

აქ საქმე გვაქვს იმ უძველეს გვაროვნულ ეთნონიმებთან, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს ადამიანთა გვარსახელებთან უშუალო კავშირი. მაგალითად დამოწმებულია სახელები: **მგელა, მგელია, მგელიკა, მგელიტა, მგელო, მგელუა, მგელუკა, დათვა, დათვაი, დათვია, დათუნა, დათუნიკი, დათუნიკა, ირემა, ირმისა, ირემია, ირმა, ყანჩა, ყანჩო (მეტსახელი), შევარდენი; გვარები: მგელაძე, მგელიაშვილი, დათიაშვილი, დათუკიშვილი, დათუნაშვილი, ირემაშვილი, ირემაძე, ყანჩაშვილი, ყანჩაძე, შევარდენიძე...**

აქედან ჩანს, რომ სახელებად არა ყოველი, არამედ მხოლოდ ის საზოგადო სახელები გამოიყენება, რომელთა მნიშვნელობა შეესაბამებოდა სახელმდებელი კოლექტივის მატერიალური წარმოების დონეს, მის ფსიქიკურ წყობას, რწმენას, ფანტაზიას, გემოვნებას და, ამდენად, საერთოდ მთელ მის მსოფლმხედველობას.

სახელდების ეს არქაული საფუძველი რელიეფურად ჩანს ქართველურ გვარ-სახელებში. საამისოდ საკმარისია დავასახელოთ ის გვარსახელები, რომელთა ფუძეებში ასახულია საკუთარ სახელად ქცეუ-

ლი სხვადასხვა საგნის-ცხოველის, ფრინველის, მცენარის, საოჯახო ნივთის ტოტემური სახელწოდებანი. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის სამართლიანი მოსაზრებით უთუოდ ბევრი მათგანი წინათ ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად იყო გამოყენებული და ამ გზით უნდა შესულიყო გვარის შემადგენლობაში, ზოგს კი უთუოდ სხვა მიზეზი, რაიმე კონკრეტული შემთხვევა დაედო საფუძვლად, რათა გვარად ქცეულიყო. მათი ნიმუშებია: ცხოველთა – **ვეფხვაძე, ვეფხვიაშვილი, კვერნაძე, მელაძე, მელიავა, მელაშვილი, მელია, მხეიძე, (მხეციძე), ფოცხვერაშვილი, ფოცხვერია, ფოცხიშვილი (ფოცხვერიშვილი), ტურაშვილი, ტურიაშვილი, ჯიქიძე, ჯიქია...არჩვაძე, ერგემლიძე (ირკემლიძე), ირემაძე, ირემაშვილი, კურდღელაშვილი, ქურციკიძე, ქურციკიშვილი, შველიძე, ჯეირანაშვილი, ჯეირანიშვილი... ბუღაძე, თიკანაძე, კრავეიშვილი, ლეკვეიშვილი, ქაცარავა** (ქაცარი თიკანია მეგრულად), **ცხვარიაშვილი, ხარაძე, ხარაშვილი, ხარაიშვილი, ხარაიძე, ხოჯავა** (ხოჯი კოლხურად ხარს ნიშნავს)...

ფრინველთა სახელები გვაქვს შემდეგ გვარებში: ბვრიტიშვილი, გნოლიძე, კაკაბაძე, კარანაძე (ყარანაძე), ყორანაშვილი, ქორიძე, ქურიძე, ქირია (ქირი მეგრულად „ქორი"), ჯაჯანაშვილი, ჯაჯანიძე, (ჯაჯა აგრეთვე ქორს ნიშნავს სამეგრელოსა და გურიაში), ძერია, მიმინოშვილი, სონღულაშვილი, (სონღული აგრეთვე მიმინოს ჰქვია), შაინიძე, შანიძე (შაინ//შაჰინ-"თეთრი ქორი"), შევარდენიძე, კაჭკაჭიშვილი, მალალურიძე, მწყერაძე, ნიბლაძე, სირაძე, სირია (სირი ძველი ქართულით ჩიტს ნიშნავს), ტორონჯაძე (ტორონჯი მეგრულად მტრედია), ჩიტაძე, ჩიტაია, ჩიტაიშვილი, ჩიტიშვილი, ჩიტაური, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, ჩხარტიშვილი (ჩხარტი იგივე ჩხართვია გურულ დიალექტში), კვატაშიძე, მამალაძე, ქათამაძე... (**ზ. ჭუმბურიძე**, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 315-316).

ბევრ ქართულ გვარს საფუძვლად უდევს **თევზებისა** და **მწერთა** სახელები, **სასმელ-საჭმლის, ტანსაცმლისა** და **ჭურჭლის** სახელწოდებები, **სამეურნეო** და **საომარი იარაღის, სხეულის ნაწილთა** სახელები. ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს **ტომის, ეროვნების** ან **სადაურობის** (წარმოშობის ადგილის) აღმნიშვნელი გვარები. ზოგი გვარი წარმოშობილია **ხელობის** ან **თანამდებობის** აღმნიშვნელი სიტყვებისგან. ზოგიერთ გვარს კი

საფუძვლად უდევს **სიტყვა**, რომელიც იძლევა ადამიანის დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორიცაა გარეგნობა, ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ.

ქართულ გვარებში უხვადაა წარმოდგენილი ე.წ. **გეოგრაფიული გვარ-სახელები,** რომლებსაც საფუძვლად უდევთ **ადგილთა სახელწოდებანი,** რომლებიც საგვარეულო კოლექტივის ადრინდელ საცხოვრებელ პუნქტებზე მიუთითებენ და სადაურობა-წარმომავლობას აღნიშნავენ.

ასეთი გვარები უხვად გვაწვდიან საყურადღებო ინფორმაციებს. მათს ფუძეებში შეხვდებით ბევრ საინტერესო რეალურ ცნობას ისტორიული გეოგრაფიიდან. გარდა ცნობილი ტოპონიმებისა, მათ შემოუნახავთ აწ გაუქმებელი პუნქტების და ამის გამო ენაში დაკარგულ სახელწოდებათა მთელი რიგი. მათშივეა ასახული ძველი აფიქსებისნაირსახეობანი და ფუძე-ძირთა ტრანსფორმაციის შემთხვევები.

ერთი ნაწილი ამ გვარ-სახელებისა უშუალოდ ასახავს სადაურობას, ცნობილ **ᲔᲚ** სუფიქსის დართვით: ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ, ᲑᲔᲗᲐᲜᲔᲚᲘ, ᲑᲝᲙᲘᲔᲚᲘ, ᲑᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ, ᲕᲐᲠᲫᲘᲔᲚᲘ, ᲖᲐᲜᲓᲣᲙᲔᲚᲘ, ᲛᲐᲗᲣᲠᲔᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ, ᲛᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘ, ᲐᲕᲭᲐᲚᲔᲚᲘ... მათში ჩაქსოვილია იმ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები, საიდანაც უნდა წარმომავლობდნენ შესაბამის გვარეულობათა წინაპრები: ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲐ, ᲑᲝᲙᲘᲐ, ᲑᲝᲛᲐᲠᲔᲗᲘ, ᲕᲐᲠᲫᲘᲐ, ᲖᲐᲜᲓᲣᲙᲘ, ᲛᲐᲗᲣᲠᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘ, ᲐᲕᲭᲐᲚᲐ.

მეორე რიგს ქმნის ისეთი გეოგრაფიული გვარ-სახელები, რომლებშიც ფუძედ გამოყენებულ სადაურობის სიტყვებს გვართა მაწარმოებელი ᲫᲔ და ᲨᲕᲘᲚᲘ დაერთვის: ᲐᲪᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ (დასახლებული პუნქტი **აცანა**), ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ (**ბარდავი**), ᲑᲐᲠᲑᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ (**გარბანი**), ᲒᲣᲑᲔᲚᲘᲫᲔ (**გუბი**), ᲒᲣᲯᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ (**გუჯარეთი**), ᲑᲝᲒᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (**ბოგვი**), ᲛᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (**მანგლისი**), ᲑᲘᲠᲗᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (**ბირთვისი**). ზოგ შემთხვევაში სადაურობის სიტყვებს ბოლოში **ᲔᲚ** აქვთ დართული. მაგალიათად, სოფლის სახელ **გრემიდან** გვაქვს მიღებული ᲒᲠᲔᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ამ ქვესახეობის ნიმუშებია: ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ (**ბანძა**), ᲒᲝᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (**გორი**), ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (**კარბი**), ᲝᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (**ოძისი**), ᲮᲠᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (**ხრამი**).

ზოგი გვარი ნაწარმოებია **ეროვნებათა, ხალხთა და ტომთა**

**აღმნიშვნელი ტერმინებისაგან.** ასეთებია: აფხაზავა, აფხაზიშვილი, ბერძენიშვილი, დვალიშვილი, დვალთაძე, თათრიშვილი, თათარაძე, თათარაიძე, თუშიშვილი, იმერლიშვილი, ლაზაშვილი, ლაზიშვილი, მეგრელიშვილი, მესხიშვილი, მესხიძე, ოსიშვილი, რუსიშვილი, რუსაძე, სვანიშვილი, სომხიშვილი, ფშავლიშვილი, ქისტიშვილი, ღლიღვიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჭანიშვილი, ჯავახიშვილი...

სურათი უფრო ნათელია მაშინ, როდესაც ეთნონიმი უშუალოდ, ტრადიციული საგვაროვნო სუფიქსის გარეშე არის გადაქცეული გვარ-სახელად: **აფხაზი, გურული, დვალი, ლაზი, ლაშხი, ინგილო, მეგრელი, მესხი, სვანი, ჯავახი...**

ყოველივე აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ გვარების წარმოქმნის გზები და საშუალებები მეტად მრავალფეროვანია. გარდა ნათქვამისა აზროვნების ადრინდელ საფეხურებზე საკუთარი სახელისათვის ღვთაებრიობის ძალის მინიჭებას საფუძვლად დაედო **სახელის გაიგივება ადამიანებთან, მის სულთან.** სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ, რათა სახელი დაეცვათ ბოროტი ძალებისაგან, რაც მაშინდელი ცრურწმენის მიხედვით უზრუნველყოფდა მისი მატარებელი პიროვნების ხელშეუხებლობასაც. **ჩვენში უწინ შემორჩენილი იყო ბავშვისათვის ორი სახელის დარქმევა. ამათგან ერთი ქრისტიანული უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, იმ წმინდანისა, რომელიც მონათლულის მფარველად ითვლებოდა. მეორე კი არაკალენდარული, ნებისმიერად შერჩეული.** ასეთი იყო **მშობლისმიერი სახელი,** რომელიც უმთავრესად ზმნური ფუძით არის წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა გვარებმა შემოგვინახეს: გამახარაშვილი, მამესწარაშვილი, გამილაღდიშვილი, გამეზარდაშვილი, დარჩიაშვილი, თვალმახელაშვილი, მამისვარაშვილი, მამისთვალაშვილი, პაპისიმედაშვილი, გაიხარაშვილი, გაუხარაშვილი, ბედისმწერლიშვილი, გაიმარჯვაშვილი, აგაშენაშვილი, დედაიაშვილი, გულადაშვილი, გულმაგარაშვილი, ვაჟბედაშვილი, ვარდიგულაშვილი, ზურმუხტაშვილი, კაიკაციშვილი, კარგიშვილი, ერთგულაშვილი, ესმინაშვილი, კეთილაძე, მამისიმედაშვილი, მაცხონაშვილი, მახარობლიშვილი, შაქარაშვილი, ძარღვიაშვილი, წამალაშვილი, მოვლილიშვილი, მორთულაძე,

ოქროპირაშვილი, რჩეულიშვილი...

ამათ რიგში ექცევიან ე.წ. თეოფორული სახელები და მათზე დაფუძნებული გვარები, რომელთა ანალიზს აკად. აკ. შანიძემ სპეციალური ნარკვევი უძღვნა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი სახელები, რომელთა შინაარსი გვაუწყებს ღვთისადმი ან წმინდანებისადმი ადამიანის მინდობა-შეწირვას, რაც მშობელთა თვალსაზრისით, ბავშვის სიცოცხლის დაცვის პირობა იყო, მათი ნიმუშებია: წყალობაშვილი, ღვთისიაშვილი, უფლისაშვილი, ქრისტესიაშვილი, ღვთისავრიშვილი, ჯვარშეიშვილი, ალავერდაშვილი, ხუდავერდაშვილი, ახვერდაშვილი, ხატიაშვილი... მათ საფუძვლად უდევს თეოფორული სახელები: **წყალობა, ღვთისია** (შემოკლებით ღვთისო), **უფლისა, ქრისტესია, ღვთისავარი, ჯვარშე** (ჯარიშა — ჯვარიშა), **ალავერდა** (თურქ. ალაჰ — ღმერთი, ვერდი — მოცემა), **ხუდავერდა, ახვერდა** (ანალოგიურია ალავერდისა). თეოფორული გვარებია აგრეთვე ხატისკაცი და შეწირული.

ბავშვის უკუქცევითი შინაარსის სიტყვით სახელდება, რაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იყო ჩვეულებად ქცეული, მიგვითითებს, კიდევ ერთ განსხვავებულ უძველეს საშუალებაზე, რომელიც მიმართული იყო ვითომდა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისადმი. ამ ჩვეულებას კარგად გვაცნობს აკაკი წერეთელი „ბაში-აჩუკში", სადაც ვკითხულობთ „ერთადერთი სამწუხარო მისი (ბაქრაძისა) ის იყო, რომ შვილი არ რჩებოდა, მაგრამ როცა მეზობლების რჩევით ახალშობილს გლახა დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა".

როგორც ჩანს, **მშობლებს,** რომელთაც შვილები ეხოცებათ, ახლად დაბადებულისათვის, ისეთი სახელი უნდა დაერქმიათ, რომელსაც ნეგატიური შინაარსი ექნებოდა. ხსენებულ გლახას გარდა ასეთი საკუთარი სახელებია: გლახუნი, ღარიბა (შდრ. გვარი ღარიბაშვილი, წინარე გვარია ნარიმანიძე), საძაგელი (საძაგლიშვილი), საბრალო (საბრალოშვილი), ობოლა (ობოლაძე), ნასყიდა (ნასყიდაშვილი).

გვაქვს ისეთი მშობლისმიერი სახელებიც, რომლებმაც გვარები არ აწარმოეს, მაგრამ მათში მოჩანან სიტყვის შემოქმედი ადამიანები, რომლებიც თავიანთი გემოვნების მიხედვით თხზავდნენ საკუთარ სახელს. ასეთის ნიმუშებია: მამისთვალა, მამისიმედი, დედისიმე-

ᲓᲘ, ᲓᲔᲓᲘᲡᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡᲑᲔᲓᲘ, ᲛᲖᲘᲡᲐᲓᲐᲠᲘ, ᲝᲥᲠᲝᲡᲞᲘᲠᲘ, ᲥᲐᲚᲗᲐᲛᲖᲔ, ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲙᲝᲜᲐ, ᲛᲝᲜᲐᲕᲐᲠᲓᲘᲡᲐ, ᲞᲘᲠᲘᲛᲖᲘᲡᲐ, ᲞᲘᲠᲘᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ, ᲨᲘᲜᲑᲐᲠᲓᲘᲚᲐ, ᲛᲖᲔᲥᲐᲚᲐ, ᲗᲛᲐᲑᲘᲨᲔᲠᲘ, მეგრ. ᲗᲣᲗᲐ-ᲪᲘᲠᲐ (ᲛᲗᲕᲐᲠᲔ-ᲥᲐᲚᲘ).

იყო ასეთი სახელებიც: ᲮᲕᲗᲘᲡᲐᲕᲐᲠ, ᲛᲖᲔᲕᲐᲠ, ᲛᲔᲕᲐᲠᲙᲐᲪᲐ, ᲕᲐᲠᲓᲘᲤᲘᲜᲔ, ᲛᲔᲪᲕᲘᲧᲝ, ᲐᲠᲑᲔᲚᲝᲓᲘ, ᲐᲠᲕᲔᲚᲝᲓᲘ, მეგრ. ᲛᲣᲠᲩᲐ (მუ-რა, რჩა-გაჭამო), ან: ᲛᲘᲡᲝᲙᲝᲓᲘ (ვის უნდოდი)... ᲛᲔᲬᲧᲘᲜᲐ, ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲒᲐᲛᲘᲮᲐᲠᲓᲘ, ᲛᲘᲮᲐᲠᲝᲓᲘ, ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲔ, ᲒᲐᲛᲘᲪᲘᲜᲔ, ᲒᲘᲜᲐᲢᲠᲔ, ᲛᲝᲒᲔᲚᲘ, ᲐᲤᲘᲜᲔ, მეგრ. ᲛᲝᲙᲝᲜᲐ (გვინდა), ᲥᲝᲠᲓᲘᲙᲝ (ყოფილიყავ), ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲐ, ᲫᲣᲚᲘᲐ, ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐ... (ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲘ, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 19).

გვართა წარმოქმნის წესი ხშირად ანალოგიურია და ემთხვევა სხვა ხალხთა ისტორიას. შედარებისათვის ავიღოთ რუსული გვარების ეთნოგენეზისის საკითხი. შრომისა და ყოფის ისტორიის კვალია შემორჩენილი გვარებში, რომელთა ლექსიკოგრაფიული საფუძვლები აღნიშნავენ მოჯამაგირეობას (ᲑᲐᲢᲠᲐᲙᲝᲕᲘ), ხარკის მკრეფაობას (ᲑᲐᲡᲙᲐᲙᲝᲕᲘ), ჩამჩების, ციცხვის მკეთებლობას (ᲙᲝᲚᲝᲕᲜᲘᲙᲝᲕᲘ), ჩაცმა-დახურვის საგნებთანაა დაკავშირებული ᲚᲐᲞᲢᲔᲕᲘ (მექალამნე), ᲜᲝᲒᲝᲕᲘᲪᲘᲜᲘ (მეპაიჭე), კვებასთან ᲨᲐᲜᲒᲘᲜᲘ, ᲡᲑᲘᲢᲜᲔᲕᲘ, ᲑᲘᲡᲢᲠᲝᲒᲝᲜᲝᲕᲘ, წეს-ჩვეულებებთან ᲠᲘᲐᲟᲔᲜᲘᲮᲘ (საბერიკაოდ, სამასკარადოდ მორთული), ᲞᲐᲜᲐᲮᲘᲓᲘᲜᲘ (ქართულად იქნებოდა პანახიდიშვილი) (?).

ბოროტი ძალებისაგან ბავშვის დაცვის მიზნით შეიქმნა ᲜᲐᲘᲓᲔᲜᲘ (ნაპოვნი), ᲜᲔᲜᲐᲨᲘ (არაა ჩვენი), ᲜᲐᲮᲝᲓᲙᲐ (ნაპოვნი). შენიღბულ სახელებთანაა დაკავშირებული ᲜᲔᲙᲠᲐᲡᲝᲕᲘ (ულამაზო), ᲜᲔᲒᲝᲓᲘᲐᲔᲕᲘ (არამზადა), ᲓᲣᲠᲐᲙᲝᲕᲘ (სულელაძე). ასეთები იყო არა სალანძღავი, არამედ დამცველი გვარ-სახელი, რომელიც ჩვეულებრივ საკუთარი სახელის მსაზღვრელად გვევლინება და წარმოადგენს ოჯახის წევრთა ოფიციალურად დაკანონებულ მეორეულ სახელს, აზუსტებს და აკონკრეტებს პიროვნების ვინაობას, ამასთანავე, თანამოსახლეთა განმასხვავებელიც არის. იგი ისტორიული ცხოვრების წარმონაქმნია და სახელმწიფოებრივ მმართველობას ექვემდებარება.

როგორც დადასტურებულია და ზემოთაც ითქვა თავდაპირველად, გვარი როგორც ისტორიული ფენომენი არ არსებობდა. მოგვიანებით იგი პირველად პრივილეგიური კლასების წიაღში შექმნილა.

მშრომელი მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში მოკლებული იყო სტაბილურ სამემკვიდრეო გვარ-სახელებს. ყმა-გლეხები, ხელოსნები და მოქალაქეთა დაბალი წრეები ძველად საშინაო დამატებითი მეტსახელებითა და, უმთავრესად, მამის სახელებით კმაყოფილდებოდნენ, რომლებიც თანამედროვე გვარ-სახელების როლს ასრულებდნენ.

საქართველოში გვარების საყოველთაო ხმარებაში შემოსვლის დადგენის საკითხი მეტად რთულია. ქართულმა სიგელ-გუჯრებმა და სხვა სახის წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა ზოგიერთი გვარსახელი, მათ შორის, უპირატესობა მაინც დიდგვარიანებს უჭირავთ, ხოლო მოსახლეობის დაბალი ფენები კი უგვაროებად იწოდებოდნენ („უგუარონი"), რაც მდაბიო წარმოშობის ადამიანის სინონიმი იყო. მას უპირისპირდებოდა გვარიანნი, იმ თავადთა და აზნაურთა აღმნიშვნელი ტერმინი, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

თამარ მეფის კარზე 1184 წელს მომხდარი შეთქმულება ყუთლუ არსლანის მეთაურობით სწორედ ამ გვარიანთა და უგვაროთა შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული. გაფიცულმა დიდებულებმა, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ მეფის კარზე უგვარო მოხელეთა აღზევებით, განაცხადეს: **„აღარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარსმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულვართ უგუართას და უხმართაგან"** (ქართლის ცხოვრება, **ს. ყაუხჩიშვილის** რედ. ტ. II, თბ., 1969, გვ. 27, 33, 353; დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკურ მოთხოვნილებისა და ყუთლუ არსლანის გამოსვლებზე იხ. **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 370-378).

ე.წ. „მაღალი" წოდების, დიდგვაროვანთა და „დაბალი" მოსახლეობის „უგვარობის" სურათი გადაგვეშლება თვალწინ, თუ გადავხედავთ ძველ საალწერო დავთრებს და ნარატიულ ძეგლებს.

**დიდგვაროვნობას უსვამს ხაზს XII საუკუნის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". ავთანდილი ფრიდონს ეტყვის: „მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით, დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ ავთანდილობით, ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით".**

ცნობილ მკვლევარსა და გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონსაც მიუქცევია გვაროვნულობის საკითხისთვის ყურადღება და საგულისხმო მასალას გვაწვდის ამ საკითხზე. იგი ძველ ქართველ **მთავართა** შორის ასახელებს: ქობულისძეს, დონაურს, არელმანელს, ბალუშის (ლიპარტის ძეს), მარუშიძეს, კახაბერისძეს, ბაკურისძეს, აბულელს, მხარგრძელს, ორბელიანს, ქაჩიბაძეს (ქაჩიბაიძეს), ვარდანისძეს, ბამრეკელს, მაგანისძეს, ასათისძეს, კარიჭისძეს, გაგელს, სამძივარს, ფარჯანიანს, ნერსიანს, ადარნასიანს, ჯავარშენიანს, ჯავახიშვილს, კავკასისძეს, ჯაყელს, ირუფაქისძეს, ჩოლოყაშვილს, აბაზაძეს, კორინთელს, მახატელს, ნასიძეს, ქვენაფლაველს.

აღნიშნული გვარები ავტორს გაუერთიანებია ქვესათაურში „ძველ მთავართათვის“. წარმოდგენილი გვარები VI-XV საუკუნეების ფარგლებში თავსდებიან.

ჩვენი მოკლე კომენტარი ძველ თავადთა გვარების შესახებ: ქობულის ძე მოგვიანებით გაფორმდა ქობულაძედ, ქობულაშვილად, ზოგჯერ გვხვდება ქვებულაშვილის ფორმითაც. გვარის ძირია **ქობული, ქობული** – გოდორივით პაწანია, სადაც შესაყვარებლად ცხვარ-ბატკანს ამწყვდევდნენ. ქობალი სამეგრელოში ხორბალს აღნიშნავს.

„გულითად მადლობას ვუცხადებ თავად ევგენი დავითის ძე ქობულაშვილს და მის მეუღლეს კნეინა ნინოს, რომელთაც კახეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას შემოსწირეს 48 მანეთად ღირებული ორფუთიანი ზარი და 5 მანეთად ღირებული ატლასის ოდიკი, სულ 53 მანეთისა. გარდა ამისა, ეკლესიის შეკეთებასაც დამპირდნენ.

ბალიჭის სამრევლოს მღვდელი იაკობ ჯანელიძე (გაზ. „ივერია“, №133, 1900 წ.).

როგორც ყველა სხვა თავად-აზნაურისა და სახელმწიფო გლეხის შვილზე დაბოლოებული გვარი ქობულაშვილიც რუსული ფორმანტი **„ოვი“**-ით (**ქობულოვად**) გაფორმდა.

დონაურები, ფეოდალური საგვარეულო კახეთში. IX ს-ში ამ გვარიდან ცნობილია ორი მთავარი (ქორეპისკოპოსი)-ძმები **სამოელი** და **გაბრიელი**.

დონაურის გვარის ძირისაა დონაძე, დონგაძე (დონიკაძე).

ᲑᲐᲚᲕᲐᲨᲔᲑᲘ მსხვილი ფეოდალთა საგვარეულო იყო IX-XIII სს-ის საქართველოში, არგვეთის (ზემო იმერეთის) ძველი მფლობელები. IX ს. 70-იან წლებში გვარის უფროსი წარმომადგენელია **ლიპარიტ ბალვაში** (ლიპარიტ პირველი) დავით I ქართველთა კურაპალატის (876-881) ყმობაში (ვასალობაში) შევიდა, მიიღო მისგან მიწაწყალი თრიალეთში და შექმნა ძლიერი კლდეკარის საერისთავო. მის შთამომავლებს ერისთავთ-ერისთვის ტიტული ჰქონდათ.

ბალვაშების მეორე შტოს წარმომადგენლები იყვნენ რაჭის ერისთავები – ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘᲡᲫᲔᲜᲘ. თამარის მეფობის დასაწყისისათვის ისინი ფლობდნენ არა მხოლოდ რაჭას, არამედ თაკვერსაც (ლეჩხუმს) და რაჭისა და თაკვერის ერისთავებად იწოდებოდნენ. ისტორიაში ცნობილია ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ. კახაბერისძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა. XIV საუკუნის მიწურულს, კვლავ აღდგენილ რაჭის საერისთავოს სხვა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში.

ᲛᲐᲠᲣᲨᲘᲐᲜᲔᲑᲘ, დასავლეთ საქართველოს წარჩინებული საგვარეულოა X-XI სს-ში. ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, ქართლის ერისთავი 970-იან წლებში ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲠᲣᲨᲘᲡᲫᲔ (როგორც მარუშიანი, ისე მარუშისძე ნაწარმოებია კაცის სახელისაგან – **მარუში**). მარუშიანთა საგვარეულოდან წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს 2 დიდი საგვარეულო: ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲫᲔᲗᲐ და ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ. ამის შემდეგ მარუშიანი, როგორც სახელი, დარჩა ვარდანისძეთა გვარში. ცნობილია 2 მარუშიან ვარდანისძე: XII ს. 80-იან წლებში და XIII–XIV სს. მიჯნაზე (სახელი მარუშიანი XIII-XIV სს-ში გვხვდება დასავლეთ საქართველოს სხვა საგვარეულობებში: ᲐᲤᲐᲥᲘᲡᲫᲔᲔᲑᲨᲘ, ᲤᲐᲚᲥᲝᲖᲘᲡᲫᲔᲔᲑᲨᲘ და სხვ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 6. თბ., 1986, გვ. 462-463) **მარუშიანთა** შტო-გვარად არიან მიჩნეული დღევანდელი **მარშანიები.**

ᲐᲑᲣᲚᲐᲚᲘ, ᲐᲑᲣᲚᲔᲚᲘ, ᲐᲑᲣᲚᲐᲡᲐᲜᲘ, ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲫᲔ (მოგვიანებით ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ, ᲐᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ). აბულალი, ჰერეთის მთავარი XI ს. დამდეგს მთავრად დასვა ბაგრატ III-მ, როცა დაიპყრო ჰერეთის ქვეყანა (1008) (მატიანე ქართლისა, წიგნ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. I, თბ., 1955).

ᲐᲑᲣᲚᲐᲡᲐᲜᲘ, XII ს. მიწურულს საქართველოს სამეფოს დიდი მოხელე, ერისთავთერისთავი, ამირთამირა, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი (კახაბერ ვარდანისძის შემდეგ, აბულასანის რჩევით თამარის

ქმრად მიიყვანეს ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური (გიორგი). იურის განდევნის შემდეგ აბულასანი თამარმა შერისხა, ჩამოართვა მეჭურჭლეთუხუცესობა და რუსთავი. ამის შემდეგ ისტორიულ წყაროებში აღარ იხსენიება (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წიგნ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. 2, თბ., 1959).

ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘ კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს. I ნახევარში, აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის სარდალი. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელის დისწულ თევდორესა და ივანე ორბელიანთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს, რომელმაც თურქეთისგან გაათავისუფლა სამშვილდე. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა აბულეთი და მისი ძე, ივანე, ანისის გამგებლად დანიშნა. უკანასკნელად იხსენიება 1130 წელს.

ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡᲫᲔᲜᲘ, კახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XII-XIII საუკუნეებში, გვარის ფუძემდებელია ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘ. მამულები არაგვისა და თეძმის ხეობაში ჰქონდათ. აბულეთისძენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყვნენ ერისთავთ-ერისთავები, გამოჩენილი სარდლები, საეკლესიო მოღვაწენი. XIII ს-ის შემდეგ დაკნინდნენ, დაკარგეს მამულები და ერისთავთ-ერისთავობა. 1405 წლის დოკუმენტის ცნობით, აბულეთისძეთა მამულს ᲐᲑᲐᲖᲐᲡᲫᲔᲗᲐ საგვარეულო დაეპატრონა (Თ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნ. 2, ტფ., 1897).

ᲐᲑᲐᲖᲐᲡᲫᲔᲜᲘ, აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური საქართველოს წარმომადგენლები. წარმომავლობით დაკავშირებული ჩანს IX-X სს. შიდა ქართლის ერისთავების-ტბელების-ფეოდალთა სახელთან. ვარაუდობენ, რომ აბაზასძეთა გვარის ფუძემდებელია ბორცისჯვრის X ს. წარწერაში მოხსენიებული ᲢᲑᲔᲚᲘ ᲐᲑᲐᲖᲐ. XI ს. I ნახევარში აბაზასძეთ ეპყრათ ქართლის ერისთავობა. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით აბაზასძენი იყვნენ „ძლიერნი და ახოანნი სიმდიდრესა ზედა, მკლავისა თვისასა, მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი". XI ს. შუა წლებში **აბაზასძენი** ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალთა პირველ რიგებში იყვნენ. მათი განდგომა მარცხითა და ერისთავობის დაკარგვით დამთავრდა. ამის შემდეგ აბაზასძენი და-

კნინდნენ და ისტორიულ წყაროებში იშვიათად იხსენიებიან. 1405 წ. დოკუმენტის ცნობით, აბაზასძეთა ერთი შტოსათვის მეფეს კახეთში აბულეთისძეთა მამული უბოძებია. XV-XVIII სს. აბაზასძეები ზემო ქართლის სამეფო აზნაურები იყვნენ (Თ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, დასახ. ნაშრ. წიგნ. 2., ტფ., 1897).

ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘ, დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV სს-ის საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების (1177 წ.) შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ მხარგრძელები თამარისა და მისი მემკვიდრეების ლაშა-გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული ხუცეს-ვაზირის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ათაბაგისა და მსახ-ურთუხუცესის სახელოები მხარგრძელებსა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებს ეპყრათ. **მხარგრძელები მსხვილი მემულეები იყვნენ.** მათ მამულს შეადგენდა ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის საქართველოს ნაწილი (ლორე-ტაშირი, გაგი, თმოგვი, კაენი, შამქორი, აგრეთვე შემოერთებული სომხური თემების მნიშვნელოვანი ნაწილი (ანისი, დვინი, ბიჯნისი, გელაქუნი, ტავუში, ტერუნაკანი, ერგევანქი, მაწნაბერდი, ნორბერდი, ანბერდი, გეტაბაკე-სი, ჩარექი, კარჰერძი და სხვ.)...

გარდა სამემკვიდრეო მამულებისა, მხარგრძელებს ჰქონდათ აგრეთვე მეფის მიერ საკარგავად (ე.ი. სამსახურის პირობით, პირად მფლობელობაში) მიცემული მიწები. მაგალითად, ზაქარიას თამარ მეფემ საკარგავად უბოძა სახელმწიფო ქალაქი რუსთავი.

XII საუკუნის ბოლოდან მხარგრძელები გვარით (მხარგრძე-ლი), ენით, კულტურით, დამწერლობით, სარწმუნოებით ქართვე-ლები არიან. მათი წინაპრები კი ქართველები და ამიერკავკასიის მკვიდრნი არ ყოფილან.

XIII ს-ის (ე.ი. მხარგრძელთა თანამედროვე) სომეხი ისტორიკო-სების კირაკოს ᲒᲐᲜᲫᲐᲙᲔᲪᲘᲡᲐ და ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲘᲡ ცნობით, მხარგრძელთა წინაპრები ეროვნებით ქურთები იყვნენ. არსებობს სხვა მოსაზრებაც, თუმცა ქართველ, სომეხ და უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს კირაკოსისა და ვარდანის ცნობას მხარგრძელთა ქურთუ-ლი წარმოშობის შესახებ.

ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებულ მხარგრძელთა შორის პირველი ᲮᲝᲡᲠᲝᲐ, მისი შვილები იყვნენ ᲐᲕᲐᲒ-ᲡᲐᲠᲒᲘᲡᲘ და

ᲥᲐᲠᲘᲛᲘ; ავაგ-სარგისის შვილი იყო ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ I, თამარის ამირსპასალარის-სარგისის მამა. XII ს-ის ბოლოს გამოეყო 2 საგვარეულო განშტოება: ᲒᲐᲒᲔᲚᲔᲑᲘ და ᲗᲛᲝᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲗᲐ ძირითადი შტოც ორ ნაწილად გაიყო: ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲐᲛᲘᲠᲡᲞᲐᲡᲐᲚᲐᲠᲘᲡ ვაჟების ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡᲐ (თამარის ამირსპასალარი) და ᲘᲕᲐᲜᲔ ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘᲡ სახელებად.

ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲗᲐ სახლი სამამულე და სამოხელეო ნიადაგზე მეტოქეობას უწევდა სამხრეთ საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებს: ᲝᲠᲑᲔᲚᲔᲑᲡ, ᲗᲝᲠᲔᲚᲔᲑᲡ, ᲯᲐᲧᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲜᲙᲐᲑᲔᲠᲓᲔᲚᲔᲑᲡ. XIII ს-ის ბოლოს მეტოქეობაში გაიმარჯვა ჯაყელთა სახლმა, განდევნა სამხრეთ საქართველოდან მხარგრძელები (მათი განშტოება თმოგველებიც), ᲗᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘ (მათი განშტოება ახალციხელები), ᲝᲠᲑᲔᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲜᲙᲐᲑᲔᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ და შექმნა აქ თავისი დიდი სამთავრო სამცხე-საათაბაგო. XIV ს. შემდეგ მხარგრძელები წყაროებში აღარ იხსენიებიან (იხ. ქსე, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 270).

XIII-XVI საუკუნეებში **ჯაყელები,** როგორც წარჩინებული ფეოდალები, სამცხის მთავრები არიან. გვარის სახელწოდება წარმოდგა ჯაყისწყლის ხეობაში მდებარე ჯაყის ციხიდან. ჯაყელების საგვარეულოს დამფუძნებელი ჩანს ბეშქენი. მისმა შთამომავლობამ მიიღო მეფისგან სამამულოდ ჯაყისწყლის, ფოცხოვისა და ურავლის ხეობები. პირველ ჯაყელად წყაროებში იხსენიება (XI ს. შუა წლები) თუხარისის ერისთავი ბეშქენი, ხოლო შემდეგ-ყველის ერისთავი მურვანი. როგორც ერთი ისე მეორე აგარის მონასტრის სატრაპეზოს წარწერაში იხსენიებიან ერისთავთ-ერისთავებად. XII ს-ში თამარ მეფემ ბოცო ჯაყელს ჩამოართვა სამცხის ერისთავთსპასალარობა და ჯაყის ციხე და გადასცა ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს. ასე წარმოიქმნა ახალი ჯაყელების ანუ ციხისჯვარელი ჯაყელების ფეოდალური საგვარეულო. ძველი ᲯᲐᲧᲔᲚᲔᲑᲘ კი ამიერიდან ᲑᲝᲪᲝᲡᲫᲔᲔᲑᲐᲓ იწოდებოდნენ.

1334 წ. გიორგი V ბრწყინვალემ ათაბაგობა უწყალობა თავის ბიძას, სარგის II ჯაყელს (ბექას ვაჟს). ამიერიდან სამცხის სამთავროს დაუმკვიდრდა სახელი ,,სამცხე-საათაბაგო'', ხოლო სამცხის მთავარს-''სამცხის ათაბაგი''.

ჯაყელებთან ერთად აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ საქართველოში იყო სხვა დიდი ფეოდალური სახლები — ᲩᲝᲠᲩᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲗᲛᲝᲒᲕᲔ-

ლები, მხარგრძელები, თორელები, ლობიარები, ორბელები, ფანასკერტელები, ბოცოსძეები, ხურსიძეები და სხვ.

გვარიდან მაგანისძე (ამჟამად შემორჩა მაგანა, მდინარე წალენჯიხის რაიონში და **მაგანის** უღელტეხილი, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდინარეების გრიბზისა (ბზიფის მარჯვენა შენაკადი) და მაგანის (დილი ლაბის მარცხენა შენაკადი) სათავეებთან; ასათის ძე (ასათ//ასამ) გრიგოლისძე, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, გრიგოლისძეთა (გიშელთა) გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი. XII ს-ში ჰერეთის ერისთაობა მიიღო. XII-XIII სს. ჰერეთის ცნობილი ერისთავები (გრიგოლისძენი) ასათის შთამომავლები იყვნენ. ამავე ძირისაა: ასათაშვილი, ასათიანი, კარიჭის ძე (შდრ. კარიჭაშვილი); გაგელი (გაგელები), XII-XIII სს. საქართველოს დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო, მხარგრძელთა განშტოება. გვარის ფუძემდებელი იყო ზაქარია გაგელი, ვარამ მხარგრძელის ძე, რომელმაც თამარ მეფისაგან მიიღო სამამულედ (სამემკვიდრეოდ) ციხე გაგი და იწოდა გაგელად. სამძივარი (სამძივრები), საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულო XII-XIV სს-ში. სახელწოდება მომდინარეობს მათი მამულის-სამძივრის ხევის (სამცხე) სახელისგან). არსებობს მოსაზრება, რომ სამძივრების გვარისგან წარმოდგა თორელების ფეოდალური საგვარეულო (ქსე, ტ. 9, გვ. 49); ფარაჯანიანი (შდრ. დღევ. ფარჯანაძე); ნერსიანი (შდრ. ნერსე I, ქართლის ერისმთავარი VII ს. მეორე ნახევარში, ნერსე II, ქართლის ერისმთავარი VIII ს. II ნახევარში); ადარნასიანი (ადარნასე, ადრნერსე, ქართლის ერისმთავარი VII ს. I ნახევარში, ადარნასე, ქართლის ერისმთავარი და კურაპალატი VIII ს. II ნახევარში, ადარნასე II, ქართველთა მეფე 888-923 წწ. ტაო-კლარჯეთის სამთავროს გამგებელი, ძე დავით I კურაპალატისა); ჯავანშერიანი, ჯავახისშვილი (ჯავახიშვილები, ქართლის ფეოდალური საგვარეულო-XIV-XIX სს-ში): წარმოდგა თორელთა ძირითადი განშტოებიდან, რომელიც XII ს-ში დამკვიდრდა შიდა ქართლში, თეძმის ხეობაში (ახლანდელი კასპის რაიონი) და შექმნა იქ თავისი საფეოდალო (XV საუკუნიდან სათავადო საჯავახიანო). გვარის დამფუძნებელი იყო XIII-XIV სს. მიჯნაზე მოღვაწე ჯავახ თორელი (შემდგომში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ბერად შემდგარი სვიმონის სახელით), გამრეკელ თორელის შვილი. **ჯავახის შვილები** თორელ-ჯავახიშვილე-

ბად, ხოლო შვილიშვილები და მომდევნო თაობა ჯავახიშვილე-ბად იწოდებოდნენ (ქსე, ტ. 11, გვ. 525); კავკასის ძე (საკ. სახ. კავკასი ლეგენდარული მამამთავრის თარგამოსის ძე, (ქართ, ცხ. I, 4, 10, 19...).

ირუფაქისძე („ძველთა თავადთა გვარი", ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, VI, 28); ჩოლოყას შვილი (ჩოლოყაშვილები, წარჩინებულ საგვარეულოთაგანი ძველ საქართველოში. კახეთის ფეოდალთა შტო. **„ხოლო კახეთის ჩოლოყაშვილი და მაყასშვილი იტყიან ირუფაქიძობას"** (ვახუშტი, ქართ. ცხ. IV, 35); კორინთე-ლი (კორინთელები ქართლის წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეუ-ლო IX-X სს.-ში. გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობაში მდებარე ადგილის – კორინთის სახელიდან); მახატელი (მახატლისძენი), საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XI-XIII ს-ში. კამბეჩანის (დაახლ. გვიანდელი ქიზიყი) ცენტრის-ხორნაბუჯის პა-ტრონები მოიხსენიებიან: კოლონკელისძენი (XII ს.), ხორნაბუ-ჯელი (XIII ს.), ნასიძე, შარვაშიძე (აფხაზეთის მფლობელთა სამთავრო გვარი. მის წარმოშობასა და თვით გვარსახელს თქმულება შირვანშაჰებს უკავშირებს... უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკო-სი იხსენიებს აფხაზეთის ერისთავს დათალო შარვაშისძეს. რუ-მის სულტნის ყასდინის ჯარების მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშის ძე აფხაზი დარდინ" (ს. ჯანაშია, იხ. გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946 წ. 27); შერვა-შიძე, ქვენაფლაველი (ქვენიფნევლები, ფეოდალური საგვარეუ-ლო საქართველოში; ცხრაზმისხევის, ცხრაძმისხევი, ქსნის ხეობის ნაწილი) ერისთავები. საგვარეულოს დამფუძნებელი იყო როსტომ ბიბილური. როსტომს (VI ს.) ცხრაზმისხევში სამფლობელოდ მიუ-ღია ქვენიფნევი, რის შემდეგაც მის გვარიშვილებს ეწოდათ ქვენიფ-ნეველები.

ვახუშტი ბაგრატიონი ქვეთავში **„აწინდელთა მთავართა გვართათვის"** რომელშიც გულისხმობს XVI საუკუნიდან მოყოლე-ბულ ფეოდალებს პირველად ასახელებს ბარათაშვილებსა და მათ შტო-გვარებს (ყაფლანიშვილი, ორბელიანი...), ზოგჯერ გვაწვდის ცნობას იმაზეც, თუ რომელი გვარი სადაურია, საიდან მოვიდა. მაგალითად, იგი წერს: არღუთაშვილი (მხარგრძელი), ზურა-

ᲑᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲘᲡᲨ-ᲕᲘᲚᲘ (აწ ჩამოსულნი სამესხოდამ, — მესხეთიდან), ᲧᲐᲠᲐᲑᲣᲓᲐᲮᲘᲡᲨ-ᲕᲘᲚᲘ (მოვიდა მარიამ-ჯვარის კახეთიდან), ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ (რომელი მოვიდა ფანასკერთიდან).

ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ არს ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ და მეფისაგან გამთავრებული შიდა ქართლის; ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲝᲠᲘ არ არს გვარი, განა წესი მეჯინებეთ-უხუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი; ᲖᲔᲓᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ და ᲐᲛᲘᲠ-ᲔᲯᲘᲑᲘ; ამათ ერთობასა შინა აქვნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი, ᲐᲕᲐᲚᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ: რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, აგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქა და მეორე სამცხეს. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ იტყვის ᲐᲜᲩᲐᲤᲘᲡᲫᲔᲝᲑᲐᲡ, აფხაზეთიდამ მოსვლას, განა ახალი არს. ᲮᲔᲠᲮ-ᲔᲣᲚᲘᲫᲔ იყო სამცხეს და არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილო-ბისა. ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ იტყვის ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ. ხოლო კვალად მესხი ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲝᲠᲘ-ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ, ᲨᲐᲚᲘᲙᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ და ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო ᲠᲐᲛᲐᲖᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ და ᲓᲐᲕᲘ-ᲗᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘ არიან ᲐᲕ-ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩენა მეფემან და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთა-თა ქსნის ერისთავი და არა ქვენა-ფლაველისაგან, არამედ იტყვის ბიბილურობასა, ხოლო ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘ და ᲒᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან **„ესრეთ რომელნიმე აღმაღლებულან და რომელ-ნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა, ანუ გაყრითა ძმათათა“** (ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ, დასახ. ნაშრომი, გვ. 18-20).

ე.წ. დაბალი ფენების „უგვაროვნობის“ სურათს ნათლად გვიჩვენებს ძველი საალწერო დავთრები და სხვა მასალები.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონისა და გივი თუმანიშვილის მიერ გამოცემული XVIII ს-ის დემოგრაფიული მონაცემები, მეკომურთა საალწერო სიები მეტად ჭრელ სურათს იძლევა. ვინაობის აღსანიშნა-ვად ვხვდებით სახელებსა და მამის სახელებს (პირდაპირი და შე-ბრუნებული რიგით). გამიხარდი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, გიორგი ᲙᲐᲠᲘᲭᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, მახარა ᲡᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲕᲗᲘᲡᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მახარებელი, ᲛᲐᲒᲣᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ ქიტესა, ᲧᲔᲚᲐᲒᲠᲔᲮᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ გოგია (ᲘᲕ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967).

ამას გარდა ვხვდებით სახელებისა და სადაურობის მაჩვენებელ სიტყვებს, ანდა ეთნონიმებს (ამა თუ იმ ხალხის სახელწოდებას). ᲗᲣᲨᲘ გიორგი (აქედან თიკუნი, თუშიკოანთ სიმონა), ᲝᲡᲘᲧᲛᲔ (ოსიყმიანი), ᲯᲐᲕᲐᲮᲘ პაპუნა (ჯავახაანი), მახარებელი ᲩᲐᲚᲛᲐᲕᲔᲚᲘ, გოგია ᲛᲔᲚᲕᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ლაზარე ალელი, ახუა ᲭᲠᲔᲨᲔᲚᲘ, ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲔᲚᲘ ხუცია, სახელებისა და ხელობა-საქმიანობის ან თანამდებობის ტერმინებს: ბერუა ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ, დათუნა ᲛᲔᲥᲕᲔᲕᲠᲔ, უსტია ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲘ, ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲘ ბეღელა. სახელებისა და სოციალური ან ოჯახური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს: შიო ᲢᲐᲑᲐᲠᲣᲙᲘ, ᲑᲝᲒᲐᲜᲝ შერმადინი, დათუა, გიორგი...შერმაზან მზითვისა, ᲑᲝᲒᲐᲜᲝ, ᲮᲘᲖᲐᲜᲘ გიორგი, ბატონიშვილის ყმა საქუა, ჩიტა, ᲐᲖᲐᲢᲘ, გიორგი ᲜᲐᲑᲘᲭᲕᲐᲠᲘ, არაიშვიათად მეკომურთა ვინაობა გამოხატულია მარტოოდენ საკუთარი სახელით, როგორც მაგალითად, ᲑᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘ, ᲫᲐᲑᲐᲜᲐ, ᲛᲐᲛᲣᲩᲐ, ᲓᲝᲜᲐᲜᲐ, ᲯᲐᲑᲐᲜᲘ, ᲜᲐᲓᲘᲠᲐ, ᲛᲒᲔᲚᲘ, ᲘᲠᲔᲛᲐ, ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐ და სხვ. და ბოლოს აღსანიშნავია სახელებისა და მამის სახელებისაგან შედგენილი კომპოზიტური სიტყვები, რომლებშიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ს დაკარგულია: ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ (არჩუის ძე), ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ (გიეორგას-შვილი), ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სულხანას შვილი), ᲡᲔᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სეხნიას შვილი), ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ბეჟანის შვილი), ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ჩოლოყას შვილი), ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ (დოლმაზას შვილი), ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მენთეშას შვილი)... ისინი ფორმის მიხედვით შეიძლება უკვე გვარსახელებად ან მათ წინამორბედებად მივიჩნიოთ.

დროთა ვითარებაში ერთმანეთს ექსოვებოდა წინაპართა სახელები, ცხოველთა, ფრინველთა, სადაურობათა, საქმიანობათა აღმნიშვნელი სიტყვები, ხშირად მეტსახელები და იქმნებოდა დიდი ჯგუფი ქართული გვარსახელებისა, რასაც მეცნიერები ეპონიმურს (**ეპონიმი** — პირი, რომლის სახელისგან წარმოდგება ხალხის, ადგილისა და მისთ. სახელწოდება.) უწოდებენ. მან ბევრი, დღეს ხმარებიდან გამოსული, ანთროპონიმი (ადამიანის საკუთარი სახელი) შემოგვინახა. როგორც მაგალითად, ᲐᲑᲣᲐ, ᲐᲑᲣᲚᲐ, ᲐᲗᲣᲐ, ᲐᲚᲗᲣᲜᲐ, ᲐᲛᲖᲐ, ᲐᲑᲣᲡᲔᲠᲘ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐ, ᲐᲠᲓᲘ, ᲑᲐᲓᲣᲐ, ᲑᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲐ, ᲑᲔᲑᲔ-

ლა, გელიტა, გიუნა, გზირი, გოზალა, გულია, გულა, ელია, აღდგომელა, ბალა, ბარათა, ბეშქენა, ვარდია, ვარძიგულა, ვარძუკა, ზედგინი, თანია, თათარა, ინდი, ოთია, ოქროპირი, სიყმია, სოლალა, სუხა, ფარემუზა, ფირალა, ქოჩა, ქრის-ტესია, ლონენა, შავერდა, ძამა, ხუცია, ჯანია, თვალია, კაპანა, კრავა, კუპრი, ლომთათი, ლომსა, მონადირევა, მონ-ავარდისა, ძაგანი, ცხადა და ა.შ. შესაბამისი გავრსახელებია: აბუაშვილი, აბულაძე, აბულაშვილი, ათუაშვილი, ალთუნაშვილი, ამზაშვილი, აბუსერიძე (აბუსელიძე), ამბროლაძე (შდრ. ამბროლაუ-რი), არდიშვილი, ბადუაშვილი, გამსახურდაშვილი, გამსახურდია, გეგელაშვილი, გელიტაშვილი, გიუნაშვილი, გზირიშვილი, გოზალ-იშვილი, გულიაშვილი, გულაშვილი, ელიაშვილი, აღდგომელაშვილი, ბალაშვილი, ბარათაშვილი, ბეშკენაძე, ვარდიაშვილი, ვარძიგულაშვი-ლი, ვარძუკაშვილი, ზედგენიძე, თანიაშვილი, თათარაშვილი, თათარაძე, თათრიშვილი, თათარაიძე, ინდოშვილი, პახუაშვილი, ლომიძე, ლო-მაძე, ლომაშვილი, მაზიაშვილი, მახარაშვილი, მახარაძე, მამულაშვი-ლი, მგალობლიშვილი, მღებრიშვილი, ოთიაშვილი, ოქროპირიძე, ოქროპირიშვილი, სიყმაშვილი, სოლოლაშვილი, სუხაშვილი, სუხიშ-ვილი, ფარემუზაშვილი, ფირალიშვილი, ქოჩაკიძე, ქრისტესიაშვილი, ლონენაშვილი, შავერდაშვილი, ძამაშვილი, ხუციშვილი, ჯანიაშვილი, თვალიაშვილი, კაპანაძე, კრავეიშვილი, კუპრაძე, კუპრეიშვილი, ლომთა-თიძე, ლომსაძე, მონადირიშვილი, მონავარდისაშვილი, ძაგანიშვილი, ძაგნიძე, ცხადაძე, ცხადაშვილი, ცხადაია და სხვ.

მეტსახელებიდან წარმომდგარ გვარსახელებად შეიძლება მივიჩ-ნიოთ შემდეგი ნიმუშები: ავბეწვაშვილი, არუჭამიაშვილი, არჭამაძე, აწკარუნაშვილი, ბარკალაშვილი (ბარკალაია), ბლუაშვილი, გაიმარჯვაშვილი, გაიპარაშვილი, გოგრისყე-ლაშვილი, გორიგლეჯიაშვილი, დაკარგულიშვილი, დაფქვი-აშვილი, დიდიმამიშვილი, ექვსშაურაშვილი, ენაკოლოფაშ-ვილი, თითილოკაშვილი, კატაპარიაშვილი, დედალამაზაშ-ვილი, ეშმაკურაშვილი, ზარბაზნიშვილი, კაიკაციშვილი, კვერცხიაშვილი (კვერცხიშვილი), კორდიბლიჯაშვილი, ლხი-ნაძე, მარხვაიძე, შავკაცაშვილი, შამფურაშვილი, შიაშვი-ლი, შავტრაკაშვილი, ჩაჩხიპარასშვილი, ცხრაპერანგაშვი-ლი, ცხრაკბილაშვილი, წელლიაშვილი, წიწაკაშვილი, ჭუ-

ᲭᲧᲘᲐᲜᲘ, ᲣᲜᲐᲤᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲑᲘᲭᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲗᲚᲘᲙᲣᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲭᲙᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲥᲐᲩᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲔᲚᲤᲔᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲫᲐᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ...

ენობრივი დაკვირვების მიზნით გვარსახელთა მრავალი საილუსტრაციო ნიმუში აქვთ დასახელებული მკვლევარებს ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲡ („ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები", „ქართველური საკუთარი სახელები"), Ზ. ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔᲡ („რა გქვია შენ?", „დედაენა ქართული"), Ი. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔᲡ („შევკრიბოთ ქართულ სახელ-გვართა ეროვნული საუნჯე") და სხვ.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ გვართა გარდა შეიძლება აღინიშნოს დღეს ხმარებული ზოგიერთი გვარის ძირძველობა. მაგალითად, ქრონიკების პირველი წიგნის მიხედვით, რომელშიც დაცულია თანამიმდევრობა, წმიდა ევთიმეს სადიდებელი (ზეობა) შეუდგენია ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲑᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔᲡ. დათარიღებულია 1028 წლით. გვარი გრძელიძე ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. დიდ განმანათლებელ გრიგოლ პაპისადმი მიძღვნილ მატიანეში ვკითხულობთ: **„... და კუალად ლოცვა ჰყავთ წმ. მამათა... და ჩვენ ცოდვილთა და არა ღირსთა უფრო ყოველთა ქრისტიანეთა; შვილისა ჩემის ოქროპირისა; საბასი და ჩემ საწყალობელსა იოვანე გრძელისძისათვის"** (ქრონიკები, I, 165).

1030 წელს გვხვდება გვარი ᲧᲐᲜᲩᲐᲕᲔᲚᲘ.' მაშინდელი ტრადიციის მიხედვით წამოდგენილია ᲧᲐᲜᲩᲐᲔᲚᲘᲡ ფორმით. სამთავისის ტაძარს აღმოსავლეთის კედელზე ასომთავრულით აწერია: „ქ. ხატოღვთაებისაო, შესული ილარიონისი, ძისა ვაჩე ყანჩაელისა" (გვ. 171). ამავე დროისაა სადაურობის მიხედვით გვარი ᲓᲠᲔᲚᲘᲫᲔ. ასე იწოდებოდა სოფ. დრედან (დღევ. თეთრი წყაროს რ-ნი) ივერიის მონასტრის წინამძღვარი გრიგოლი (იხ. ქრონიკები, I, გვ. 173).

დოკუმენტებში 1030-1035 წწ. მოიხსენიება ᲖᲕᲘᲐᲓ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ, ᲣᲓᲣᲡ შვილი, გიორგი I-ის დროს მხედართმთავარი იყო ბასილ კეისრის მოწინააღმდეგე მხედრობისა. ამას გვაუწყებს ასომთავრული წარწერა ღვთისმშობლის ხატზე, რომელიც მარტვილობამ საბინლუსს გაუტანია. შემდეგი წარწერა მოიხსენიებს XIII საუკუნეში მცხოვრებს ᲑᲔᲓᲘᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲡ მანდატურთუხუცესს და მის შვილს გიორგის. დადიანთა სახელები წყაროებში ჩვეულებრივ ჩნდება X-XIII საუკუნეებში, მაგრამ მათში უდუ და ლელა არ ჩანს. გიორგი I

დროს – ზვიადი, ბაგრატ IV-ის დროს-ივანე დადიანი, გიორგი III დროს ბედიან და შანშე დადიანი, აგრეთვე კონსანტინე; თამარ მეფის დროს კონსტანტინეს ძე ვარდან და ცოლი მისი მარიამ და ძე მათი გიორგი; გიორგი ლაშას და დავითის დროს-შერგილ და ცოლი მისი ნათელა, შვილნი მათნი: ცოტნე, ვარდან და ბედიან, და ძენი ამისნი: გიორგი და ივანე.

1038 წ. იხსენიებიან: მღვდელი მიქეილ დვალი, რომელმაც წიგნის შედარებაში დიდად ილვაწა. მისი ნათესავი ყოფილა იოანე დვალი, ალავერდის სახარების დამწერი (1059 წ.).

გვხვდება ამავე წლებსა და საუკუნეში დავით ტბელისძე (მღვდელ-მოწამე,ვარაუდით მთარგმნელი), დავით მტბევარი (ტბეთის ეპარქიის ეპისკოპოსი).

არსენ ეპისკოპოსი, მაწყვერელი, ბოცო მარზაპანის ჯაყლისძე, მოიხსენიება 1031 წ. (ქრონიკ. I, 175); ამავე პერიოდში ვხვდებით გვარებს დავით **ჯიბისძე** (გვ. 176), შდრ. ჯაბიძე, ჯაბნიძე, გიორგი ჯვარელი (გვ. 177), შდრ. ჯვარიძე, მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე (1040 წ.) სალამაისძე (შდრ. სალამაძე); ანტონ მანგლელი თულას ძე (სავარ. მოგვიანებით თულაშვილები, საბა სალასძე, (სულასძე), იოანე ტარიჭისძე (1177 წ.). 1060 წელს ვხვდებით გვარებს: ნიკოლოზ კუჭასძე, 1080-1091 წწ. იოანე მთვარისძე, სტეფანე სანანოსძე, ვარდან კოლონკელიძე, ერისთავი (ქ-ცხ. I, 269); ვარდან დადიანი (ქ. ცხ. 295).

ძველმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს აგრეთვე გვარები: აბაშიძე, აბუსერიძე, ავალიშვილი, ამილახვარი, ართმელიძე, ასპანიძე, ბაგრატიონი, ბარაყანიძე, ბოგებაშვილი, დიასამიძე, ვაჩნაძე, ზედგენიძე, თავდგირიძე, თაქთაქიშვილი, კავკასიძე, კოპაძე, მაჩაბელი, ფალავანდიშვილი, შალიკაშვილი, შერვაშიძე, ჩოლოყაშვილი, წერეთელი, წულუკიძე, ჭავჭავაძე, ხერხეულიძე, ჯაბადარი...

ბარეყნის ძეთა გვარი გამოიკვლია აკად. ელ. მეტრეველმა. ელენე მეტრეველის დაკვირვებით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარულ აღაპებში მოხსენიებული გარეყანიძე მყარი გვარსახელია, რადგან აღაპების ერთ წყებაში **„გარაყანის ძეთა სამი თაობა მოჩანს, რომ ყველა გარეყანისძენი გარეყანის შთამომავალნი არიან“.**

ელ. მეტრეველი იმავე საოჯახო ალაპთა ტექსტებზე დაკვირვებით, აგრეთვე ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით ადგენს სხვა ძველ გვარ-სახელებსაც და მათი არსებობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსაც დაახლოებით საზღვრავს. მაგალითად, გორაისძე (XII ს.), ლასურისძე, თურმანისძე, ინასარისძე, აბუსერიძე (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 135-136), **ქველივაისძე, ჰილაისძე, ბოცვაისძე, ხავთაისძე** (XIII ს.), **კოპაისძე, ჯავახიშვილი, ჩხეტისძე, აფაქიძე** (XIV ს.) **თაველისძე, გაბელისძე, დიასამისძე, ზედგენიძე** (XV ს.) და სხვ.

ძირძველი გვარების არსებობის დასადასტურებლად საინტერესოა **„ტბეთის სულთა მატიანე“**, რომელიც დაამუშავა და გამოსცა თინა ენუქიძემ (1977). „სულთა მატიანეში“ დაცული მდიდარი ონომასტიკონი მრავალმხრივაა საინტერესო, როგორც საისტორიო მასალა. ძეგლის 588 მოსახსენებელში, რომლის ძირითადი ფენა (160 მოსახსენებელი განეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს, ხოლო დანარჩენი ფენები XIII-XVIII საუკუნეებს), დასახელებულია 348 გვარი და 21 გეოგრაფიული სახელი. ეს ონომასტიკონი განეკუთვნება ძირითადად ძველ ქართულ ისტორიულ თემს – შავშეთს, ნაწილობრივ კლარჯეთსა და აჭარას.

**„ტბეთის სულთა მატიანეში“** ყველაზე მრავლად წარმოდგენილია **ძე**-ზე დაბოლოებული გვარები, შემდეგ **ეთ**-სა და **შვილ**-ზე. უფრო იშვიათადაა ურ-ი, ელ-ი, ფხე, ნა, ია, ტი, ში, აყი, ისა, ტყი სუფიქსებით ნაწარმოები გვარები.

საალაპე ჩანაწერებში და სულთა მატიანეებში, ჩვეულებრივ, პირველ რიგში შესულია მეფეები, ფეოდალები, მაღალი სამღვდელოება. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრების შემწირველები, როგორც ცნობილია, ძირითადად იყვნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები.

თვით ტბეთის ტოპონიმთან დაკავშირებული საერო და სასულიერო გვარ-სახელებთან კი განსაკუთრებით ცნობილია სამი: 1. შავშეთის.ტბეთის ეპისკოპოს ალმშენებელი-მტბევარი // ტბელი, 2. XI-XIV სს-ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა-აბუსერისძეთა საგვარეულო სახელი-ტბელი (ჯერ არტანუჯის ერისთავები XI ს-ში, შემდეგ ხიხათა მემამულეები-აჭარაში, 3. შიდა ქართლის ტბეთის (ცხინვალის

ახლოს) IX-XI სს-ის მემამულეთა საგვარეულო – ᲢᲑᲔᲚᲘ, ტბელი საგვარეულო სახელად ცნობილია, აგრეთვე, კახეთის ფეოდალურ საგვარეულოში – ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲐᲜᲔᲑᲘ (იხ. ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 32). ტბელებს უკავშირდება გვარი იანტბერიძე, იანტბელიძე.

მატეანეში მოხსენიებული გვარების ნაწილი ემსგავსება ფეოდალთა ცნობილ გვარებს. მაგალითად, ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲔᲗᲘ გვახსენებს სვანთა ერისთავებს ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲘᲡᲫᲔᲔᲑᲡ, ᲛᲮᲔᲪᲘᲡᲫᲔ // ᲛᲮᲔᲘᲡᲫᲔᲗᲐ ფეოდალურ საგვარეულოს, ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲚᲘᲡ ძე დიდგვაროვან ფეოდალთა-თორელთა საგვარეულო სახელ ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲡ, ᲢᲑᲔᲚᲘᲡᲫᲔ-ᲮᲘᲮᲐᲗᲐ მემამულეების ᲐᲑᲣᲡᲔᲠᲘᲡᲫᲔᲗᲐ საგვარეულო სახელს – ᲢᲑᲔᲚᲡ, ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲗᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ საგვარეულო სახელს ᲑᲔᲓᲐᲜᲡ (გვიანდელი ვარიანტით) – ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲡ (შდრ. **ბედია**).

ტბეთის სულთა მატიანეში საერთოდ ხშირად გვხვდება სახელი **არსლან**. ასეთებია ᲐᲠᲡᲚᲐᲜ ᲑᲐᲚᲐᲡᲫᲔ, ᲐᲠᲡᲚᲐᲜ ᲥᲚᲣᲢᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲡᲚᲐᲜ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ, არსლანისაგან ნაწარმოები გვარი – ᲑᲘᲑᲘᲚᲐ ᲐᲠᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲣᲠᲣᲧᲐ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ტაბულაში შეტანილ მოსახსენებლებში ვხვდებით ასეთ სახელებს, – მამაკაცთა (XII-XIII სს.): ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘ, ᲘᲝᲕᲐᲜᲔ, ᲛᲘᲥᲐᲔᲚᲘ, ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ, ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘ, ᲡᲔᲮᲜᲘᲐ, ᲡᲐᲛᲜᲐᲘ, ᲡᲣᲚᲐ, ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ, ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ, ᲔᲒᲜᲐᲢᲔ, ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖᲘ, ᲑᲘᲑᲘᲚᲐ, ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ, ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗᲘ, ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ, ᲐᲠᲓᲐᲜᲘ, ᲐᲮᲐᲚᲐ, ᲘᲐᲙᲝᲑᲐ... ᲥᲐᲚᲗᲐ: ᲜᲐᲗᲔᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ, ᲡᲘᲜᲓᲐᲔᲚᲘ, ᲮᲣᲐᲨᲐᲥᲘ, ᲤᲝᲗᲔᲚᲣᲠᲘ, ᲗᲐᲛᲡᲘ, ᲓᲣᲓᲐ, ᲨᲣᲨᲐᲜᲐ, ᲘᲜᲐᲡᲐ, ᲛᲬᲘᲫᲣᲠᲔᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲣᲚᲘ, ᲑᲝᲠᲔᲜᲐ, ᲪᲐᲪᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠᲘ, ᲛᲐᲭᲐᲠᲔᲚᲘ, ᲩᲮᲣᲢᲣᲜᲘᲐ, ᲜᲐᲗᲘᲐ, ᲐᲜᲐ, ᲨᲝᲠᲔᲜᲐ...

გვარებს შორის მოიხსენიებიან (XII ს.): ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲡᲫᲔ, ᲒᲝᲒᲐᲜᲘᲡᲫᲔ, ᲝᲡᲐᲜᲐᲡᲫᲔ, ᲙᲘᲑᲔᲚᲘᲡᲫᲔ, ᲙᲝᲛᲡᲘᲡᲫᲔ, ᲬᲘᲜᲬᲙᲔᲚᲐᲡᲫᲔ, ᲥᲚᲣᲢᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲐᲣᲠᲘ, ᲗᲔᲕᲗᲘᲡᲫᲔ, ᲯᲐᲓᲔᲜᲘᲡᲫᲔ, ᲢᲑᲔᲚᲘᲡᲫᲔ, ᲒᲝᲒᲚᲐᲡᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲐᲚᲐᲡᲫᲔ, ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲡᲫᲔ, ᲬᲐᲜᲑᲠᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲡᲫᲔ, ᲛᲔᲤᲣᲢᲙᲠᲘᲡᲫᲔ, ᲪᲐᲜᲑᲣᲠᲐᲑᲘᲡᲫᲔ, ᲡᲘᲙᲐᲚᲐᲣᲠᲘ, ᲛᲘᲥᲔᲚᲘᲡᲫᲔ... ᲞᲘᲚᲞᲘᲚᲐᲡᲫᲔ, ᲥᲣᲜᲗᲔᲚᲐᲡᲫᲔ, ᲛᲐᲚᲐᲧᲛᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲜᲗᲐᲨᲐᲡᲫᲔ, ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲐᲡᲫᲔ, ᲙᲝᲞᲚᲐᲡᲫᲔ, ᲒᲝᲒᲐᲚᲐᲡᲫᲔ, ᲨᲔᲞᲐᲚᲘᲡᲫᲔ, ᲖᲐᲠᲥᲘᲡᲫᲔ, ᲝᲥᲝᲢᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲘᲜᲑᲘᲚᲐᲡᲫᲔ, ᲑᲣᲘᲐᲜᲘᲡᲫᲔ, ᲔᲠᲑᲔᲚᲘᲡᲫᲔ, ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲡᲫᲔ, ᲭᲐᲜᲘᲡᲫᲔ (XIII ს.), ᲪᲐᲜᲓᲐᲡᲫᲔ, ᲮᲘᲜᲙᲘᲚᲐᲡᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲤᲮᲔᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡᲫᲔ, ᲭᲐᲘᲚᲐᲫᲔ,

ფილისურიშვილი, ქადაგიძე, შუბანასძე, ზურაბისძე, ბუჟურასძე, ქუაბულისძე, ჩიქუტასძე (XIV ს.), ჩამლასძე, შალაისძე, მიმნობიძე, კუტოშისძე, ნოონიძე, ციტაისძე, სანადირასძე, ცივნარისძე, ფიბოტიშვილი, ფიბოტისძე, ოქოტაშვილი, მურვანიშვილი, შამანასძე, ფხიკისშვილი, ლაკუაშისძე, მაილაშვილი, იაკობასძე, მთვარას ძე, ფხიკაძე, ბუდარებისძე, ბობაბერისძე, ჯარდენისძე, შიბლასძე, ახალაძე (XIV-XV სს.); ვაშანისძე, ზარქისძე, ხალკიასძე, სალიბასძე, ბლისძიჯაძე, კუირიკასძე, დოლისძე, ლურჯასძე, ქამქისძე, ბუბუჩისძე, სუმბატისშვილი, მჭედლისძე, ბედინასძე, ლომდერისძე, კანჯარასძე, ხუცისძე, ჩიტაშვილი, კილუსურისშვილი, სასნასშვილი, ბაზანდრიშვილი, მარტუილასძე, ბორასძე, კოკოპანასშვილი, კაკალისძე, შავჩიტისძე (XV ს.); ვაცასძე, ბობალასძე, სასნაშვილი, ბაბროჩისძე, ბორკენასშვილი, ფხიკასძე, ბორბოშასძე, პილპილასძე, ცივნარასძე, ჭაკუნტელასძე, დავითისძე, ზარდაშელასძე, მეფუტკრისძე (XVI ს.).

საყურადღებო ონომასტიკური (ონომასტიკა, – ამა თუ იმ ენაში არსებულ საკუთარ სახელთა ერთობლიობა) მასალაა დაფიქსირებული, როგორც ქართულ წყაროებში, ისე ძველი აღმოსავლეთის ეპიგრაფიკულ და მწიგნობრულ ძეგლებში: ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, სომხურ და სხვა ენებზე ჩვენამდე მოღწეულ ანალებში.

ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს დასახელებული ჰყავს კოლხი დიდებული ფარტაზი, რომელმაც ბერძენთა სარდლობის მიერ ვერაგულად მოკლული გუბაზ მეფის საქმის გამო აიეტის წინააღმდეგ ლაზთა სახალხო კრებაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა (VI ს.) (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 111, 125; ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, 1968, 237).

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ბერძნული გამოთქმის თავისებურებათა საფუძველზე გადაკეთებული **ფარტაზი,** სრულიად სამართლიანად მიიჩნია **ფარტაძედ** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, გვ. 257).

**ამგვარად, ფარტაძე,** – აღნიშნავს ი. მაისურაძე, – **ერთ-ერთი უძველესთაგანია უცხოურ წყაროებში მოხსენიებულ ქართულ გვარ-სახელთა შორის.**

უცხო ტომის მოძალების კვალობაზე XVI საუკუნიდან მოყ-

ოლებული, უპირატესად ქვემო ქართლში, კახეთსა და შიდა ქართლის გვარ-სახელებში უხვად იჭრება უცხო ძირები. მათში უპირატესობით სარგებლობს, ძველებრაული, არაბული, თურქული, სპარსული და მცირე ოდენობით სომხური ძირები.

1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ ქართულ გვარსახელებში **შვილის** გამოთიშვის ხარჯზე გაბატონდა რუსული ფორმანტი **„ოვი"**. ასეთი ბედი ეწვია არა მარტო თავად-აზნაურთა, არამედ სახელმწიფო გლეხთა გვარებსაც: ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲩᲝᲚᲝᲙᲐᲔᲕᲘ, ᲠᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲠᲐᲛᲐᲖᲝᲕᲘ, ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲢᲣᲛᲐᲜᲝᲕᲘ გახდა.

XVIII-XIX საუკუნეებში იმძლავრა სარწმუნოებრივმა მომენტმა, და თუკი ქართველი სხვადასხვა მიზეზის გამო აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლა **სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად** (და **სომხებად**)-კათოლიკე ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად-მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

დღეს სადავოდაა ქცეული **მარტიროსოვების** გვარი. არავისთვის უცხო არაა, რომ ამავე ძირით სომხებს აქვთ გვარი **მარტიროსიანი.** გვარის ძირია **მარტირის-ა**, რომელიც როგორც **ქართველებმა,** ისე **სომხებმა** ისესხეს **ბერძნებისგან**. როგორც ბერძნებთან, ისე სომხებთან იგი **„წამებულს"** აღნიშნავს, ქართულში კი უპირატესად **„მარტვილს", „მარტვილობას"** (მოწამე, ტანჯვა, წამებული) უკავშირდება.

**მარტირის,** ერთი მხრივ, ახლოსაა **მარტია**-სთან (ლათ.). **„მარსისა"** („მარსის ომის ღმერთის კუთვნილი", ე.ი. „მეომარი"). ევროპულ ენებში გვხვდება იმავე ფუძისგან ნაწარმოები ვაჟის სახელები **მარტინე** და **მარტინიანე,** ამ უკანასკნელთაგან კი იწარმოება ქალის სახელებიც: **მარტინა, მარტინიანა.** ქართულში **მარტია** გააზრებულია როგორც **„მარტისა"** („მარტში დაბადებული"). მისგანაა ნაწარმოები გვარები: **მარტაშვილი, მარტიაშვილი.**

**მარტირისიდანაა** მიღებული გვარები: ᲛᲐᲠᲢᲣᲘᲚᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲢᲘᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ (XVII ს-დან ქართველი თავადები), ხოლო მოგვიანებით მათგან გაჩნდა რუსიფიცირებული ფორმა **მარტიროზოვი (მარტიროსოვი).**

**იოხანან** (იეჰოხანან), იოანიკინ, იოანე ძველ ებრაულია. მარ-

თლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა სახელია.

**იოანე** „ღვთის წყალობა“ სიტყვასიტყვით: „ის, ვის მიმართაც ღმერთი მოწყალეა, ვისაც ღმერთი სწყალობს.“ ეს სახელი სხვადასხვა სახეცვლილებითაა შესული მსოფლიოს მრავალ ენაში. ქართულში ძველად გვხვდებოდა **იოვანე** და **იოანე**, აქედან მივიღეთ **ივანე**, მისი შემოკლებით კი-ვანო. ამ სახელისაგან წარმოქმნილია რამდენიმე ქართული გვარი: ივანიშვილი, ივანიძე, ივანიშვილი, ივანიაშვილი, ივანეშვილი, ჟვანია (ივანია)...

რუსულში **იოვანეს** შესატყვისია **ივანე** (ივანოვი), ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარ-სახელი. სომხურში **იოხანან, იოვანე** გახდა **ოჰანეზა.** სახელი საქართველოშიც შემოვიდა და ზოგჯერ ქართველსაც ერქვა. ამის მიხედვით გაფორმდა გვარი ოჰანეზაშვილი (რუსული გაფორმებით ოგანეზოვი, ოგანოვი). **როგორც ოჰანეზაშვილები ისე ოჰანაშვილები საკომლო აღწერის დავთრებში ქართველებად მოიხსენიებიან.**

ბევრი გვარი, ძირთა უცხოურობის გამო, ახალი ეპოქისათვის მიუღებელ შინაარს ატარებს, ყურს ეუცხოება, უხეშია და არაკეთილხმოვანი. **იყო დრო, როდესაც ბიუროკრატიული მიდგომა აქაც ბატონობდა და პიროვნებას არ შეეძლო, გვარი გადაეკეთებინა, გაეკეთილშობილებინა.** ეს პროცესი დიდი ხანია ცნობილია. სწორედ ეს სადარდებელი აწუხებდა ლ. არდაზიანის ცნობილი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს **სოლომონ ისაკიჩს,** კაპიტალისტური ცხოვრების საფეხურზე შემდგარ ჩარჩს, რომელსაც თავისი გვარის სათაკილო შინაარსი ვერ მოეცილებინა. ამას გულწრფელად აღიარებს კიდეც: **„ჩემი სახელი სოლომონ, გვარი — მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი, ჩემი გვარი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ.** ხან მინდოდა მიმეცა რუსული დაბოლოება ესრეთ **მეჯღანუევ, მეჯღანუიჩ, მეჯღანუევსკი,** მაგრამ **ჯღანი** არ ამოვარდა. ხან მინდოდა გადამეთარგმნა რუსულად, მაგრამ ვერც მე გადავთარგმნე, ვერც სხვამ, შემრჩა ისევ ეს გვარი. რა ვუთხრა ჩემს მამა-პაპას.“

**P.S. გვარ-სახელების შეცვლასა და ეროვნების აღდგენაზე დადებული ტაბუ კანონით მოიხსნა. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, აუცილებლობის შემთხვევაში შეიცვალოს გვარი და აღიდგინოს ეროვნება. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა თვითშეგნება, მონდომება და რწმენა.**

# ქართული გვარ-სახელები

საკუთარი სახელი (ანთროპონიმი)[1] ადამიანების ერთმანეთისგან გასარჩევად ჯერ კიდევ მეტყველების უძველეს საფეხურზე იყო საჭირო. „საკუთარი სახელი წარმოშობით ისევე ძველია, როგორც საზოგადო სახელი. დროთა განმავლობაში საკუთარი სახელი ისევე განიცდიდა ცვლილებებს, როგორც საზოგადო სახელი და მეტყველების სხვა ნაწილები. ქრებოდა ძველი სახელები, ჩნდებოდა ახალი, იცვლებოდა სახელის დარქმევის წესჩვეულებანი".[2]

ვინც ამ წიგნს გულდასმით წაიკითხავს, ალბათ, დარწმუნდება, თუ ერის, ხალხის, ქვეყნის ისტორიის გასაცნობად რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია საკუთარ სახელებს, ანუ ონომასტიკას (ადამიანის სახელებს, გვარებს, გეოგრაფიულ ტერმინებს).

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი პედაგოგი ი. ოვჩინიკოვა, **რაოდენ საჭირო, საშური საქმეა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, უწინარეს ყოვლისა, ვაჩვენოთ გვარტომების სათავეები, მათი დამსახურება, კულტურა, ისტორია, იგრძნონ თავიანთი თავი სახელოვანი წინაპრების ყლორტებად და ღირსეულ შთამომავლებად, რომელთა დიდება შემდგომ უნდა გაამრავლოს და დაიცვას ყოველმა მომდევნო ახალმა თაობამ.**

ქართულ ონომასტიკაზე ბოლო ხანებში გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი, რომელთა გაცნობაც ფართო მკითხველს უთუოდ დაეხმარება გვარ-სახელების ეტიმოლოგიის დადგენაში. მიუხედავად ამ დარგში გაწეული დიდი შრომისა, ადამიანებში კვლავაა დიდი უკმარისობის გრძნობა, ზოგ შემთხვევაში ყველა გვარის მასალა ამომწურავად არაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგი გვარის ეტიმოლოგია კი, საერთოდ, დაუდგენელია. ეს საშური და დიდი ეროვნული საქმე შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

გვარტომობის სათავეთა გამომზეურება, ადამიანის სახელისა და გვარის წარმოშობის ახსნა საქართველოს რეგიონებს შორის

---

[1] ანთროპონიმიკა. ბერძ. „ანთროპოს" – ადამიანი, ანთროპონიმი-ადამიანის საკუთარი სახელი.

[2] ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1971, გვ. 5.

გამორჩეულად ქვემო ქართლის მიწა-წყლის მოსახლეობას ესაჭიროება, კუთხეს, რომელმაც წარსულში მომხდარი მტრის მრავალგზისი შემოსევა, აოხრება, აწიოკება განიცადა და სხვა შედეგებთან ერთად აქაურ ონომასტიკაში წლობითა და საუკუნეობებით მყოფი დამპყრობლების სახელები თუ ტერმინები შემოიტანა. ქართული მიწა-წყლიდან არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქ-სელჩუკები მიდიოდნენ, ხოლო არაბულ, მონღოლურ, სპარსულ, თურქულ სახელებს არქმევდნენ ქართველებს, ამის მიხედვით ფორმდებოდა მათი გვარები თუ გეოგრაფიული სახელწოდებები.

ქვემო ქართლის, გვარ-სახელების გაცნობა, შესწავლა მიგვანიშნებს, რომ გვარები (საგვაროვნო სახელები, გვარ-სახელები) უპირატესად იგივე საკუთარი სახელებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მიღებულ ტრადიციულ სახელებთან ერთად გზადაგზა სხვა, ზოგჯერ უცხო ტომთა სახელებიც იჭრებოდა და ჩვენი წინაპარი ხშირად ისეთნაირად გაითავისებდა ხოლმე მათ, რომ ქართველურ სახელად მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს. ამ ფაქტთან დაკავშირებით პროფ. ალ. ღლონტი წერს: **„ზოგიერთი უცხოური საკუთარი სახელი დროთა ვითარებაში შეჰგუებია ქართულს და ისე შეუცვლია თავდაპირველი მოდელი, რომ ახლა კაცს გაუჭირდება მისი არაქართულად მიჩნევა (დათო, თედო, ვანო, სიკო, კოტე, კოწო, რაფო, ლადო, გიო)“**[1]...

როგორც მკითხველს ვაუწყეთ, გარკვეულ დრომდე გვარი, როგორც ფენომენი, არ არსებობდა. თითქმის VI-IX საუკუნეებამდე ისტორიაში ცნობილი, გამორჩეული ადამიანები წყაროებში ძირითადად სახელებით, წოდებით, მოსაქმეობითა და სადაურობით არიან მოხსენიებულნი. ასეთნაირად მოვიდნენ ჩვენამდე **იაკობ ხუცესი** (ცურტაველი), **ბაკურიანელი, ვახტანგ გორგასალი, ვარაზ ბაკური** (ბაქარი), **ვარჭსენ პიტიახში, ექვთიმე ათონელი, ეფთიმე ბერი, ეფრემ მცირე, ვარაზ გაგელი, ანტონ მანგლელი, ანტონ მარტყოფელი**[2], **ამბროსი ნეკრესელი, არსენ იყალთოელი, ანტონ მროველი, ბასილ მღვიმელი, შიო მღვიმელი, გვარამ კურაპალატი, გიორგი ჭვარელი, გიორგი**

---

[1] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 33.

[2] თუმცა ზოგიერთი უცხო ტომის წარმომადგენელია, მაგრამ ბევრი იღვაწეს ჩვენი სამშობლოსათვის.

**ჭყონდიდელი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი, დავით ათონელი, დავით გარეჯელი, დავით რექტორი, დაჩი უჯარმელი, ვარაზ ბაკური, ზენონ იყალთოელი, თათა მამებელი, თათა სტეფანწმინდელი, იაკობ ნასობელი, იაკობ შემოქმედელი, იოანე გოლგოთელი, კონსტანტინე ქართველი, არსენ ნინოწმინდელი, სტეფანე ქიზიყელი, დავით ალმაშნებელი, ლაშა-გიორგი** და მრავალი სხვა. შემდგომში, სოციალური პროგრესის შედეგად ადამიანთა განვითარებულ კოლექტივებში საკმარისი არ აღმოჩნდა პიროვნების მხოლოდ სახელითა და სადაურობით მოხსენიება, აუცილებელი გახდა იმის მითითებაც, თუ რომელ გენეალოგიურ შტოს მიეკუთვნებოდა კერძო სახელის მქონე ინდივიდი, ვისი შთამომავალი იყო ან რომელი ოჯახის (გვარეულობის, ტომის) წარმომადგენელი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ალ. ღლონტი, ადგილობრივი ანთროპონიმიის განვითარებას მეტად თავისებური დაღი დაასვა ქართლის მოქცევამ. ქრისტიანული დამწერლობის შემოღებამდე ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმია თანდათანობით შევიწროვა და დავიწყებას მისცა ოფიციალურმა მწიგნობრობამ. ქრისტიანობის მიღებას შედეგად მოჰყვა სახელის დარქმევის რიტუალის გადასვლა სამღვდელოების ხელში, ტრადიციული ანთროპონიმების განდევნა და კალენდრის სახელების დამკვიდრება. მართალია, ხალხი საუკუნეების მანძილზე ვერ ეგუებოდა ტრადიციული სახელის მივიწყებას და ცდილობდა მის გამოყენებას, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

დავიწყებულ იქნა არა მარტო წარმართული ანტროპონიმები, არამედ თითქმის განიდევნა ბევრი ძველი ტრადიციული სახელიც. ამის საინტერესო მაგალითები აღწერილი აქვს მოხსენიებულ ავტორს.[1] ამიტომ ამაზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, აქაურ გვარებს მეტწილად ბოლოში ერთვის **„შვილი“**. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო ხანებში სხვა კუთხეებიდან გადმოსულ ადამიანებს, აქ თითქმის იშვიათია ქართული გვარების ისეთი მაწარმოებელი ფორმანტები (სუფიქსები), როგორიცაა: **-ძე, -ელ, -ურ (-ულ), -იან (-ან), -ია, -უა, (-ვა).**

---

[1] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, „საქართველო“, თბ., 1967.

როგორც ითქვა, ქვემო ქართლის მიწა-წყალზე გვარების უმეტესობა წინაპრის სახელისგანაა მიღებული, რასაც ადასტურებს ქართული სამართლის ძეგლები, გუჯარ-სიგელები, საარქივო ჩანაწერები. აქ იკითხება: **გოგინას შვილი, გიგოლას შვილი, შევერდას შვილი, დავითას შვილი, მეშუილდის შვილი, სულხანას შვილი, ნეგულას შვილი, ზაქარას შვილი, შოშიას შვილი, ლუარსაბას შვილი, თათარას შვილი, რევაზას შვილი, ავგაროზას შვილი, ველიხანას შვილი, დევილახას შვილი, ირემას შვილი, იმედას შვილი, კენკებას შვილი, მამულას შვილი, აბულას შვილი, მამუკას შვილი** და სხვ.

დასახელებული ყველა გვარის პატრონი ყმა გლეხი ყოფილა. **ძველად გვარების მიხედვით განასხვავებდნენ თავად-აზნაურებსა და დაბალ წოდებას — ყმაგლეხებს.** ,,ა'' ელემენტი, როგორც მაკნინებელი, ბოლოს ერთვის სახელს და იგი გვარსაც უცვლის თანამედროვე არქიტექტონიკას. დროთა ვითარებაში ასეთი მინიშნება საჭირო აღარ შეიქნა, გვარის ძირსა და შვილს შორის ნათესაობითის **ს**-ასოც ამოვარდა და მივიღეთ გვარები: **გურასპიშვილი, სულხანიშვილი, მეგულიშვილი, ხიზანიშვილი, ფირალიშვილი, ვახტანგიშვილი, მერაბიშვილი** და სხვ. დღეს უცნაურადაც კი მოეჩვენება კაცს, მიმართვისას რომ უთხრან: დავითა, პეტრია, აბულა, კენკება, როსტომა, სოლომონა, გიორგა, მართებულია და ვიტყვით, გამოვთქვამთ: ვინ? დავითი, პეტრე, როსტომი, სოლომონი, გიორგი, და სხვ. მიმართვისას: დავით, პეტრე, როსტომ, სოლომონ, გიორგი და ა.შ. თანამედროვე ცხოვრებამ, ხალხთა შორის თითქმის წაშალა სოციალური განსხვავება და ადამიანთა გვარ-სახელებს სრულიად ახლებური ჟღერადობა მიანიჭა. **წინაპართაგან უპირატესობა ეძლეოდა მამაკაცს, როგორც ოჯახის უფროსსა და გვარის მეთაურს.** ამიტომ ქალის სახელისგან ნაწარმოები გვარები ამ რეგიონში თითქმის იშვიათია. სამაგიეროდ, აქაურ მკვიდრთათვის უაღრესად დამახასიათებელი იყო და არის **მეტსახელების** (თიკუნების) შერქმევა. თითქმის იშვიათია აქ მცხოვრები მამაკაცი, მეტსახელი რომ არ ჰქონდეს, რასაც, როგორც ჩანს, განაპირობებს ამა თუ იმ ადამიანის ღირსება-ნაკლოვანება, თვისება (შინაგანი თუ გარეგანი), ჩვევა (მოსაწონი თუ დასაწუნი), მისწრაფება, საქმიანობა, გარეგნობა და სხვ. მეტსახელებს შორის აქ ვხდებით ასეთებს: **კიკლია, ქერა, აქულა** (აქულაანი), **გეტა** (გეტაანი), **ნაჯაფა, კიკია, ბერიკა** (ბერიკაანი), **ფუჩიკო, პაპუტა, ტრიკაკალა,**

**კუკატა, ჭიანა, იეთიმა, ემე, პრიზინა, ბუტუა, ნიაზა, ჩოღუნა, ძუნძულა, ბუზა, ფარჩა, კოხია,** (კოხიანი), **კუპრაჭია, ჯამურა, თაგვიყლაპია** (გადმოცემით, მათს წინაპარს სანძლეოზე თაგვი გადაუყლაპავს), **წოწოლა, ტიბზუა, ჯორზაქარა, შავ-დარჩუა, კურდღელა, ლაყუა** (ლაყუანთი), **მთიული** (მთიული დათიკო), **კიკუა** (კიკუანი), **ჩიტირეკია, ქვახარშია, ჯორიბუა, ჯაბლუა, ჩანა, ფიდრა, ოთხფეხა, ჰოპლა, ტავაქციე, კოლია, ყურშა, მაღალარტუა, კრუხიშვილი, ბაგუა, დაბუდე, ატა, ხივანუა, თუთუნა, გიქგოგია** და სხვ. ამ კუთხის თავისებურებას წარმოადგენს ორი-სამი და მეტი გვარის განშტოებათა (სახინჯრის)[1] წარმოქმნა: ზოგი მრავალრიცხოვანი გვარი ცალკე განაყოფებად, შტოებადაა დაყოფილი წინაპართა სახელების მიხედვით. როგორც სანიმუშო, შეიძლებოდა გარკვეული მოსაზრებებით აღგვენიშნა და ვრცლად აღგვეწერა ბარათაშვილების (ამ მხარის თავადების) გვარი. წინაპრები **ქაჩიბაძეები** იყვნენ და ქართლში მესხეთიდან გადმოსულან XII-XIII საუკუნეებში. „ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა მკვიდრდებიან და ძლიერდებიან, ორბელ-სამშვილდის მებატონენი ხდებიან და **„საორბელოსაც“, „საბარათიანოდ“** აქცევენ. ისტორიის კუთვნილებადაა განჩინება დავით X-ისა ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე (1523 წ.). ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: **„ზე ადიდნეს ღმერთმან მეფ(ეთ)ა მეფობა [პატრონისა დავითისა, რომლისა ბრძანებითა, დავსხედით ჩუენ ბარათაშვილთა] სახლისა და მამულისა გასაყოფლად: თუით პატრონი მეფეთა მეფე დავით და პატრონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ, ბარათიანნი იარალი და ორბელი, თურმანისძე როსტევან, ტფილელი ანტონი, სოლოღაშვილი შალვა, წითელაშვილი გიორგა, ქავთარასძე შალვა და შატბიერაშვილი ბურნაშ-ბუგუნასა, ქუმსისა და გერმანოზისა, თაყასა, გოსტასაბისა, ფალავანხოსროსა საქმისა გასაჩენლად“.**[2]

შემდგომ დაწვრილებითაა აღწერილი, თუ ძმათაგან ვის ვინ უნდა ემსახუროს და ვის სად ექნეს მამული.

ამრიგად, ბარათაშვილები როგორც თავადები XV საუკუნიდან გამოდიან ასპარეზზე. ქვემო ქართლში, სომხით-საბარათიანოს

---

[6] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 41

[7] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 132.

ტერიტორიაზე ერთ სათავადოს (საბარათიანოს) აყალიბებენ, რომელიც, მოგვიანებით (XVI-XVII სს.-ში) რამდენიმე სათავადოდ იყოფა. ვახუშტი ბატონიშვილი შეეხო ბარათაშვილთა გენეალოგიასაც და აღნიშნა: ,,ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა, საერისთაონი ტფილელის სამხრეთის ვიდრე ლორე ფანავრამდე, თვნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩაბაძისასა, რომელთა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი. კვალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა, არამედ ყაფლანისშვილი იტყვის გვარობასა მათსა განა (ალბათ გინა) ორბელიანობასა. გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარი. არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათასა, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათგან არიან ბარათიანნი საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხვანი რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს, ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან... ხოლო ზურაბისშვილის, იარალისშვილისა და სოლოღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა"[1]. შემდეგ ვახუშტი მიუთითებს ბარათაანთ გუჯარზე, ,,რომელი არს ბეთენიას".

სარგის კაკაბაძე ნაშრომში **,,ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლისა"** წერს: ,,ამ საბუთს აქვს კიდევ ის მნიშვნელობა, რომ გენეტიურად აბამს კავშირს ყაფლან და ორბელ ბარათაშვილს შორის. ცნობილია, რომ ყაფლანისშვილი და ორბელისშვილი (მე-17 საუკუნეში გადაკეთებული ორბელიანად) ერთი და იგივე საგვარეულო შტოს სახელწოდება იყო, საბუთებს გარდა (სხვათა შორის), იხ. 1709 წ. საბუთი ორბელისშვილის და ყაფლანისშვილის იგივეობით მოხსენიების შემცველი" (საქ. სიძ., II, 205 და სხვ.). ვახუშტიც გვიმოწმებს: ,,ყაფლანისშვილი იტყვის გვარობასა მათსა (ე.ი. ბარათაშვილისა და ქიჩიბაძისა) განა ორბელიანობასა"[2]. შედარებით ძნე-

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, მ. ბროსეს რედაქციით, თბ., 1941, გვ. 40-42.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, მ. ჯანაშვილის რედაქციით, გვ. 23.

ლი გამოდგა მეცნიერთათვის პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ საიდან გაჩნდნენ ქაჩიბაძენი? აქ წყაროების მაქსიმალური ნაკლებობასთან გვაქვს საქმე. თ. ჟორდანიას **ქაჩიბა** პირის სახელად მიაჩნდა და, სახელდობრ, „დიდი" ბარათას მამად თვლიდა. ს. ჯანაშიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ბარათაშვილთა გენეალოგიას. მეცნიერ-ისტორიკოსის აზრით, ქაჩიბაძეები დასავლეთ საქართველოდან უნდა იყვნენ გადმოსულები. ფეოდალური „კოლონიზაციის", „იმიგრაციის" პიონერად ლიხთიმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში ს. ჯანაშია ასახელებს ვინმე ლიპარიტს, რომელმაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში „შეპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა" და საძირკველი ჩაუყარა კლდეკარის ერისთავთა-ერისთავების სახლს, რომელიც უძლიერეს ფეოდალურ ბუდედ იქცევა, რომლის გვიანდელი წარმომადგენელი, ლიპარიტი, აღმოსავლეთ საქართველოს ურგვირგვინო მეფეა მე-11 საუკუნეში.

XV საუკუნის პირველსავე ნახევარში საქართველოში იგრძნობა დიდგვარიან აზნაურთა გაძლიერება და ახალი ფეოდალური სახლების ჩამოყალიბება. გადაშენებულ ფეოდალთა ნაოხარზე ახალი გვარები ჩნდება. ხშირად ზოგი, შედარებით მცირე მნიშვნელობის ფეოდალური გვარი წინაურდება. „დროება სწორედ რომ შესაფერი იყო,- წერს აკად. ს. ჯანაშია,-იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს, განსაკუთრებით ლიხთ-ამერეთს, ლანგ-თემურმა დაატეხა თავს წინა საუკუნის დამლევს, საუკეთესო ნიადაგი შექმნა ფეოდალური ურთიერთობების ხელახალი განაწილებისთვის, გადაჯგუფებისთვის, ძალთა ახალი განლაგებისთვის."[1] სწორედ ამ გვარის წევრებმა დაუდეს სათავე დიდი სათავადოს – **„საბარათიანოს"** შექმნას ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. ბარათაშვილების გვარი გადაშენებულ ფეოდალთა ნაოხარზე აღმოცენდა. ამ გვარის დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს თემურ-ლენგმა დაატეხა თავს XIV საუკუნის დამლევს. სწორედ ამ ეპოქაზე მოდის ბარათაშვილთა ისეთი აღზევება, რომლებმაც შეაძლებინა ამ გვარის წევრებს დიდი სათავადოს – **„საბარათიანოს"** შექმნა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

---

[1] ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, ნ. ბარათაშვილი-ლექსები, პოემები,წერილები, ფედერაცია, 1939, გვ. 181

ბარათაშვილთა გენეალოგიის ასახსნელად ვახუშტის ერთ-ერთი წყარო ყოფილა **ბეთანიის** გუჯარი (გამოსცა ე. თაყაიშვილმა), სადაც გადმოცემულია საიდუმლოებით მოცული ბარათაშვილთა გვარის ლეგენდარული ისტორია. წინაპრად ითვლება **„ბირიან აბაში"**, რომელიც თითქოს საქართველოში გადმოსულა იმ დროს, როცა „ქრისტეს აქათ გასულიყო წელნი შვიდას სამოცდა რვანი" (იქვე). ბირიან აბაშის გარდაცვალების შემდეგ ჩამომავლებს ᲐᲑᲐᲨᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ეწოდებოდათო. „რამდანი ხანი და ჟამი აბაშიშვილებს გვეძახდნენ. გარდაიცვალა რამდენიმე დრო და ჟამი და დაერქო ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელიწადი ქართველ ქაჩიბაძე ვიყავით, გარდაიცვალა დრო და ჟამი და დაგვერქვა ბარათიანი. ამ ბარათაშვილობაში ვესახლენით ენაგეთს.

ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა წიგნებით (წყალობისა, გაყრისა თუ სხვა) ადასტურებს, რომ ნამდვილად წარმომავლობენ **ქაჩიბაძე ბარათასაგან.** ასე ფიქრობს თ. ჟორდანია და მის აზრს იზიარებს აკად. ს. ჯანაშიაც, რომელიც წერს: „...საგულისხმოა, რომ გერმანოზ ბარათაშვილი „დიდ ბარათას" ეძახის. ეს „სიდიდე", თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში, საფიქრებელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღოდა საბარათიანო სენიორიის შექმნის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად სწორედ მე-15 ს-ში ყალიბდება, საუკეთესოდ მოწმობს თვით ფაქტი, ახალი საგვარეულო სახელის ჩამოყალიბებისა"[1].

**ვახუშტი ბატონიშვილს ქაჩიბაძეთა გვარი ძველ გვარად მიაჩნია[2], მაგრამ მის წარმომავლობაზე არაფერს ამბობს.**

განსვენებული აკად. ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომ ქაჩიბაძენი დასავლეთ საქართველოდან უნდა იყვნენ გადმოსულნი „საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის, ან მის უშუალოდ წინამორბედ პერიოდში (მე-10-13 სს.), სხვა ლიხთ-იმერელ კოლონიზატორებთან" თუ „კოლონისტებთან" ერთად"[3], მეცნიერთა პასუხს ელის. ჩვენთვის ცნობილი ამ გვარის პირველი წარმო-

[1] ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, ნ. ბარათაშვილი, 1939, გვ. 135.
[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 20.
[3] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

მადგენელი არის **ბარათა ქაჩიბაძე,** XV ს-ის I ნახევრის მოღვაწე. შეწირულობის წიგნში, რომლითაც ბარათა ქაჩიბაძეს მცხეთის ტაძრისათვის შეუწირავს სოფ. ყორანთა, ბარათა მოხსენიებულია მოლარედ. მეცნიერთა ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე I-ის მოხელე (1412-1442 წწ.), რადგან საბუთი სწორედ მის მეფობაში უნდა იყოს გაცემული. ბარათა ყოფილა მოლარეთუხუცეს თაყა ზევდგენიძის გამზრდელი. ერთ-ერთი ზევდგენიძე წერდა: **„ბიძა ჩემსა თაყას ბარათა ზრდიდაო"**.

ამ საკითხთან დაკავშირებით დ. ბერიტიშვილი აღნიშნავს: **„საბარათიანოს, როგორც სათავადოს, ფუძემდებლად მიჩნეულია ბარათა ქაჩიბაძე,** რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ალექსანდრე პირველის (1412-1442) მოლარედ მუშაობდა.

საბარათიანოს საზღვრების დაზუსტება არ ხერხდება. მხოლოდ დაახლოებით შეიძლება იმ ტერიტორიის მოხაზვა, რომელზედაც საბარათიანო წარმოიქმნა. **„ბარათაშვილებს,** — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — **უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბნის საერისთონი ტფილისის სამხრეთი, ვიდრე ლორეფანავრამდე, თვინიერი მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიასათა"**[1].

**ბარათა ქაჩიბაძეს** მამულები უნდა ჰქონოდა **მაშავერის ხეობაში,** სადაც ჰკუთვნებია სოფ. **ყორანთა,** რომელიც შემდეგ მცხეთის ეკლესიისთვის შეუწირავს. ეს სოფელი ბარათასა და მისი მეუღლის თინათინის „ნაღუაწი" და „მკვიდრი მამული" ყოფილა[2]. ბარათა ქაჩიბაძეს ყმა-მამული ჰქონია ალგეთის, მაშავრის ხეობაში, 1441 წლის წყალობის წიგნში, რომელსაც ბარათა ამ წიგნით აძლევს თავის „ერთგულსა ყმას ბუქლულაშვილსა თევდორეს და ნავროზას", ჩანს, რომ ბარათას სოფელი ყოფილა ნაქურდევი, რომელიც ამ წიგნით აძლევს **ბუქლულაშვილებს.** სოფ. ნაქურდევის მოსაზღვრენი ყოფილან სოფლები: დიდი წლები, ურთხნალა და თეთრობი, რომლებიც სავარაუდოა, რომ ასევე ქაჩიბაძისა უნდა ყოფილიყო. XV საუკუნის II ნახევარში ქაჩიბაძეები სამშვილდის მებატონენი არიან. XVI საუკუნის დასაწყისისთვის

---

[1] ვახუშტი, აღწერა, გვ. 24.

[2] გივი ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 18.

დმანისისა და ქვეშის ხევიც ბარათაშვილების სამფლობელოა. აქ საყურადღებოა ისიც, რომ ბაგრატის შემდგომ მეფობაში, კონსტანტინე მეფის დროს (1479-1505წწ.), ბარათაშვილები ძალიან ძლიერდებიან და მეფესაც კი უმოყვრდებიან (დავით ქაჩიბაძის, რომელიც ცნობილია ამ დროს უკვე ბარათაშვილადაც, ქალიშვილი ცოლად შეირთო ტახტის მემკვიდრე დავითმა), ამრიგად, ძირითადად მაინც, როგორც ეს გივი ჯამბურიამ დაადგინა, საბარათიანო XV-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XVI-ის დასაწყისისთვის მოიცავს მაშავრის, ქციისა და ალგეთის აუზებს.

ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ ასობით სოფელი, ჰყავდათ დაახლოებით 300 აზნაური და 2500-3000 კომლი გლეხი. სამფლობელოს ცენტრი იყო **სამშვილდე,** მამულები კი გაბნეული ჰქონდათ თანამედროვე თეთრი წყაროს მთელ რაიონში. ციხესიმაგრეები და სასახლეები ჰქონდათ დმანისში, დარბას ჭალაში, ტბისში, ენაგეთში და სხვ. მათი საგვარეულო მონასტრები და სასაფლაო იყო ფიტარეთისა და გუდარეხის მონასტრები, დმანისის ღვთისმშობლისა და სოფ. ქედის ეკლესიები. **ბარათაშვილები XVI-XVII სს-ში ქართლის ხუთ დიდებულ თავადთა შორის ერთ-ერთი- პირველნი იყვნენ და დიდ როლს ასრულებდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

ბარათაშვილებს სპეციალური მემატიანეც უჩნდებათ. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, 1477 წელს უზუნ-ჰასანი საქართველოს შემოესია და სომხითს მოვიდა, **„ორბეთის ძირსა დიდად კარგად დახვდეს ბარათიანნი"**, ე.ი. მტერს სათანადო პასუხი გასცესო, მაგრამ, ჰასანის მიერ თბილისის აღების შემდგომ, ურთიერთობა შეცვლილა: ყაენს ბარათიანნი „მიუნდვია", „მრავალნი მოუცნია და აღუვსნია პირთამდინ". მიუხედავად ამისა, მოკვდა თუ არა ჰასანი, „ჩაუხდეს ბარათიანნი, დაიფორაქეს ელი, როცა 1486 წელს, იაყუბყაენმა დალაშქრა ეს მხარე, მაშინაც მტრისათვის მთავარი პასუხის მიმცემნი თითქოს ბარათიანნი ყოფილან. მომდევნო სამხედრო ამბებშიც ყველაზე აქტიურნი აქ ბარათაშვილები ჩანან"[1]. ბარათაშვილების ოჯახი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. თუ საბარათიანოს რეზ-

[1] საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, თბ., 1908, გვ. 66.

იდენციას სამშვილდე წარმოადგენდა და აქ ამ საბარათიანოს უფროსი იჯდა, საბარათიანოს სახლის შვილები სხვადასხვა კუთხეში ისხდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ. დროთა განმავლობაში ეს საუფლისწულოები ბარათიანთ სახლის გაყრის ნიადაგზე დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ.

**ბარათა ქაჩიბაძის** პირმშო იყო **დავითი,** რომელსაც ოთხი ვაჟი ჰყავდა: **ლაშა, ბარათა, სურამელი** და **ქავთარი; ქავთარს** კი-ექვსი ვაჟი: **გუგუნა, გერმანოზი, თაყა, ქუმსი, გოსტაბაშ, ფალავან-ხოსრო.** მათ გვერდით არიან სხვა ბარათაშვილებიც, რომლებიც ასევე თავიანთ წინაპრად „დიდ ბარათას" ასახელებენ და ამ „ორი შტოს" შვილები ერთ სახლს ქმნიან, საერთო ქონება აქვთ. აქვთ აგრეთვე სათავისთავო, სახლის საერთო ქონებიდან გამოყოფილი მამული, სარჩოდ და სახმარად. მეორე შტოს წარმომადგენელი, შაჰყუბადი, ასე მიმართავს ქავთარს: **„რაც შენი სახვედრი მამულის იყოს, ანუ ციხე, რაც ჩვენთა თავდებათა გვითხრან, ისრე გამოგიყოთ და მოგახსენოთ"**[1].

ბარათაშვილთა „გაუყრელობა" დიდხანს არ გაგრძელებულა. ქავთარის სახლის გაყრა მოხდა 1523 წელს, რასაც უშუალოდ მეფე დავით X ხელმძღვანელობდა.

ქავთარის სახლს, როგორც ეს **1523** წ. გაყრის წიგნიდან ჩანს, რამდენიმე ათეული აზნაური ჰყოლია (დაახლოებით 120-მდე).

აი სოფლებიც, სადაც ქავთარს ყმები ჰყავდა: მძოვრეთი, ენაგეთი, ახალშენი, ერტისი, ტბისი, თაფანი, ლისთა, თევდორაწმინდა, მთის მამულები და სოფლები: ერწო, დვალთა, თაკუ, ხოზეთი, აზიკური, ცხურისი, იმედა, კახი, ლიპნი, გუარეთი, ამლევი, ბეთანია. ქავთარის სახლის დანაწილებამ საფუძველი ჩაუყარა გოსტაშაბაშვილების (გოსტაშაბისგან) და გერმანოზიშვილების (1679 წ.) (გერმანოზისგან) საგვარეულოებს. გერმანოზ სახელიდან გვაქვს გვარი **გერმანოზისშვილი,** დასაწყისში დიდხანს იხსენიებოდნენ **გერმანოზისშვილი-ბარათაშვილი გერმანოზი, გერმანოზისშვილი-ბარათაშვილი ოთარი, გერმანოზისშვილი-ბარათაშვილი პაატა,** ხოლო 1679 წლიდან — გერმანოზისშვილი. გასტაშაბადან მიღებულია გოსტაშაბაშვილი გოსტაშაბაშ, გოსტაშაბაშვილი ყაფარ (ბეგი), ოთარ, ნიკოლოზ, ამილა-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნ., II, ტფ., 1897, გვ. 349.

ბარ, ბექან, ვახუშტი, პაპუნა, დავითი, ქაიხოსრო. **ფალავან ხოსროს-გან** მიღებულია გვარი **ფალავანხოსროშვილები** (ფალავან ხოსრო, ძე ქავთარ ბარათაშვილისა).

1536 წელს კიდევ ერთი გაყრა მომხდარა ბარათაშვილთა საგვარეულოში. საქართველოს ცენტრარქივში დაცულ 56 წიგნიდან, რომელნიც შეიცავენ რუსეთის მთავრობის განკარგულებით მე-19 საუკუნის დასაწყისში დამზადებული ქართული სიგელებისა და საბუთების პირებს, მე-13 წიგნში, №117-ის ქვეშ, ჩაწერილი არის **ლუარსაბ I** ქართლის მეფის დროს შედგენილი **იოთამ გიორგისშვილისა** და **ორბელ ბარათაშვილების** გაყრის წიგნი (ვარაუდობენ, რომ შაჰყუბათის სახლიდან უნდა იყვნენ. ორბელი მონაწილეობას იღებს ქავთარის სახლის გაყრაში, როგორც მოსამართლე). გაყრა რომ ნამდვილად მეფე ლუარსაბ I-ის დროს მომხდარა, ჩინებულად ამტკიცებს გაყრის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია: „... და ჩუენ მღრთავ დადგინებულმან მეფეთმეფემან პატრონმან ლუარსაბ და აწ ესენი ერთგულნი და თანამკვიდრნი პალატისა ჩვენისან(ი) **ბარათაშვილი იოთამ გიორგიშვილი** და **ორბელი** იყრებოდეს, დაუსხით დარბაისელნი და თავჩინებულნი თავადნი **ერისთავი ბაინდურ, ციცისშვილი ქაიხოსრო, ამირეჯიბი ქუცნა, მაჩაბელი ქაბულ, გაბაშვილი გოდერძი** და ასრე რომ სხვაც მრავალი გაესამართლა და აწ ესებიც ასრე გავყარეთ ღთისა შიშ ქვეშ და ხელმწიფის სამართალს ქვეშე"[1].

1536 წელს, გიორგი ბარათაშვილის სახლის გაყრით, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ორ საფეოდალო საგვარეულოს – **იოთამაშვილებისას** და **ორბელიშვილებისას.** ორივე ამ გვარმა ცალკე სათავადოები შექმნა. XVI ს-ში იოთამაშვილები უფრო ძლიერი გვარია, მაგრამ შემდეგ ორბელიშვილები ძლიერდებიან, XVII ს. ნახევრისთვის ძლიერ სათავადოს ქმნიან და სომხით-საბარათიანოში პირველ ადგილს იკავებენ, უზარმაზარი ტერიტორიის – სამი ხეობის მფლობელები ხდებიან. ამ სათავადოს პოლიტიკური ცენტრი სამშვილდეა, ათობით აზნაური ჰყავთ, ასობით ყმა-გლეხი, აქვთ საგვარეულო ციხეები და კოშკები, სასახლეები და ეკლესია-მონასტრები. ყველა ამის მფლობელნი-ბარათაშვილები დიდ როლს ასრულებენ ქართლის პოლი-

[1] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, წ. I, 1924, ბარათიანთ გაყრის წიგნი, 1536 წლისა, გვ. 179.

ტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მეფის კარის უახლოესი პირები არიან და უდიდესი გავლენით სარგებლობენ სამეფოში.

განსვენებული მკლევარი იას. ლორთქიფანიძე ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მასალებზე დაყრდნობით იძლევა ბარათაშვილების გვარის შემდეგ დანაწილებას:

**I. ქაჩიბაძეები, II. გერმანოზისშვილები, III. გოსტაშაბაშვილები, IV. ფალავან-ხოსროშვილები, V. იოთამაშვილები, VI. ყაფლანიშვილები ორბელიშვილები, VII. აბაშიშვილები, VIII. იარალისშვილები, IX. ზურაბისშვილები, X. ქავთარაშვილები, XI. დანარჩენი ბარათაშვილები**[19].

ბარათაშვილთა სათავადოების ქონებრივი მდგომარეობა XVIII საუკუნისთვის ასეთი სახით წარმოგვიდგება.

**I. საგერმანოზიშვილო.** საგერმანოზიშვილო სათავეს **გერმანოზ ქავთარის ძე ბარათაშვილიდან** იღებს (1523 წლის გაყრის წიგნში მოიხსენიება)[20].

ეს სათავადოც ალგეთის ხეობაში ჩამოყალიბდა.

**1721 წლის** აღწერით, **გერმანოზისშვილებს** ეკუთვნოდათ: **ალგეთში** – ენაგეთი, ტბისი – 4, აბელია – 5, გუდარეხი – 6, ცივრეთი – 16, ცხვრისი – 3, ზა – 11, კოხტა – 3, კოია – 2, ბაბია – 4, ახვრისი – 4, ვერხვნალა – 7, მარაბდა – 13, საბუზარი – 2 კომლით; **ქციაში** – მძოვრეთი – 1, თაფანი – 1, ანდრია – 4; **სკვირეთში** – კვესეთი – 3, აკურისი – 2; **დმანისის** ხეობაში – დმანისის ცარიელი ადგილი, ერგენთალა – 3 კომლით, დმანისიჯვარა – 1 კომლით; **ყარაბულაღში** – სხალნარი – 6 კომლით, რეკაშენი – 3 კომლით. **გერმანოზისშვილები** – გერმანოზი, ძე ქავთარისა, ფარიშატი, გიორგი ბარათა, იასე, ბეჟან, გერმანოზ (სხვადასხვა), გიორგი, გოგია, გოგია მემანდარბაში, გუგუნა, დავით, დათუნა, დომენტი, ბერი-წინამძღვარი, ვარაზა, იასე-იესე (სხვადასხვა), იოანე, კაცია, ლუარსაბ, მერაბ, ნიკოლოზ, ოთარ (სხვადასხვა), ომან, ნიკოლოზ, პაატა-პატა (სხვადასხვა), პაპა, პაპუა, სულხან, ქაიხოსრო და სხვ.

---

[19] იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I-II, გვ. 128-129; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 95-96.

[20] იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, 355.

**II. საგოსტაშაბიშვილო. გოსტაშაბაშვილები** სათავეს იღებენ გოსტაშაბ ბარათაშვილიდან (მოიხსენიება 1523 წლის გაყრილობის წიგნში).

საგოსტაშაბიშვილო ალგეთის ხეობაში წარმოიქმნა, ეკუთვნ-ოდათ: **ალგეთში** – აგვდარეთი – 11 კომლით, აზიკვი – 8, ამლევი – 16, ახალშენი – 3, ბირთვისი (სასახლე), გუნანეთი (კომლთა რიცხვი არ არის მითითებული), დვალთა – 3, დიდება – 1, ელფია – 8, ენაგეთი – 4, ერდონი (კომლის რიცხვი არ არის ნაჩვენები), ერტისი – 3 კომლით, ერწო – 8, ვაკე – 9, თაკვი – 1, მოლავი – 2, ტბისი – 10, ფორქალისი (ხოდაბუნი), ფუტრევი – 3, ქოთიში – 5, ღოლოვნა – 27, ჭანდარი – 1, ხორბუკი – 2; **ქციაში** – ანდრია – 12 კომლით, ვარხუნა – 2, თაფანი – 1, თხვინთბა (კომლების რიცხვი არ არის ნაჩვენები), მძოვრეთი – 1, ცხნარი – 2, წინანაური (კომლების რიცხვი არ არის ნაჩვენები); **სომხითში:** ვანქი – 4 კომლით, წერაქვი – 47 კომლით; **თრიალეთში** – მარიამნი (კომლთა რიცხვი არ არის ნაჩვენები); **სკვირეთში** – აკურსი – 7 კომლით, ბეთენია – 3 კომლით, კვესეთი – 1 კომლით.

**გოსტაშაბიშვილების** გვარიდან ცნობილი არიან: **ამილღაბარი** (სხვადასხვა), ბარათა, ბარამ, **ბეჟან** (სხვადასხვა), გიორგი, გოსტაშაბ, **დავით** (სხვადასხვა), დავითელა, დათუა, ერასტი (უზბაში), ზაალ, ზაზა, ზურაბ, **თამაზ** (სხვადასხვა), იესე, ივანე, იმარონდო, იოანე, იოვანე, კიკოლა, მანუჩარ, ნიკოლაოს, **ნიკოლოზ** (სხვადასხვა), პაატა, **პაპუნა** (სხვადასხვა), რევაზ, როსტომ, ტეტია (უზბაში), ფარემუზა, ქაიხოსრო, ყაფარბეგ, ყაფლან, ბეჟან, გოსტაშაბა, ედიშერ, ერასტი და სხვ.

**IV. ფალავანხოსროშვილები.** ფალავანხოსროშვილები ოფიციალ-ურ საბუთებში იხსენიება უკვე XVII საუკუნეში.

**1721 წლის აღწერის მიხედვით,** ეკუთვნით: **ალგეთის** ხეობაში – დიდება – 2 კომლით, ენაგეთი – 1, ეშვის წყარო – 4, ვაკე – 3, თაკვი – 2, კველთა – 3, ოძისი (ზემო) – 4, ელფია – 1, პატივანი – 2, ფუტრევი – 1, წინვენახი – 1, ხორბუკი – 2, დვალთა – 3, ერწო – 2, კობალა – 1 კომლით; **სკვირეთში** – ბეთენია – 2 კომლით; ქციაში – 2 კომლით, საკეცე – 2, ცხნარი – 7 კომლით; **ყარაბულაღში** – ნიაწარი – 5 კომლით, ქვეთეთრისი – 1, ცხვირისი

– 4, ახალშენი – 4 კომლით (დმანისის ხეობა)[1].

**ფალავანხოსროშვილები:** ფალავან ხოსრო, ძე ქავთარ ბარათაშვილისა (ჩანს 1523 წ. გაყრილობის წიგნში), ფალავან ხოსრო (1627 წ.). მას და მის ძმისწულს ზაალს უახლებენ სამკვიდრო მამულს, ფალავანხოსროშვილი-თაყაძე ფალავან ხოსროსი, მამა ბარათასი, იოთამისა და ზურაბისა; ფალავანხოსროშვილი დურმიშხან. დროის მიხედვით, შვილი ფალავან ხოსროსი მეორესი, სიძე პაპუნა გოსტაშაბიშვილისა; **ფალავანხოსროშვილები:** ზურაბ, იოთამ და ბარათა, შვილები თაყასი[2].

**V. საიოთამიშვილო. იოთამიშვილების** გვარი სათავეს იღებს **იოთამ ბარათაშვილისგან.** იოთამი 1536 წელს გაეყარა სახლიკაცს-ორბელს და ამ ნიადაგზე შეიქმნა საიოთამიშვილო. მაშინ საიოთამოს ტერიტორიაზე 80-მდე სოფელი მდებარეობდა 663 კომლი ყმით[3], დროთა ვითარებაში ეს გვარი დაკნინებულა და, 1721 წლის აღწერით, 18 სოფელში მხოლოდ 90 კომლი ყმაღა ჰყავდათ. ეკუთვნოდათ: **დმანისის ხეობაში** – აკაურთა – 11 კომლით, რატევანი – 12, გულაური – 4 კომლით და 5 უყმო აზნაურით, შავგომი – 4 კომლით, ანგრევანი – ს, თაგუთი – 5, წითელი ეკლესია – 7, ძველი ტანძია – 3, სამაგარა – 8 კომლით; **ქციაში** – კრეფა – 11 კომლით, ლიპის (ავაზანი) – 3, ლიპარიტის უბანი – 1, წრაურთი – 5, თაფანი – 1, მირტაშენი – 5, **ტაშირში** – აკრავაშენი – 5, **ალგეთში** – ელფია – 2 კომლით, **სომხითში** ბოვაძორი – 3 უყმო აზნაურით და ერთი მემამულე, აზნაური[4].

**იოთამისშვილები** – გოგია, ერასტი, ლუარსაბ, ორბელი, რევაზ (ნაზირი), შერმადინ, იოთამ, შერმადინ, მამა ბექან **შერმადინიშვილისა,** მწყრალი, უწოდებს თავის თავს „დიდის ბატონის ორბელის მოანათესავედ, **„შერმადინაშვილი ბექან, ძე შერმადინ იოთამისშვილისა,** 1721 წ. აღწ., მებატონე, იოთამისშვილები ორბელი და გივი, 1721 წ. აღწ., მებატონეები"[5]. (გამოდის რომ შერმადინაშვი-

---

[1] ივ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, წ. I-II, გვ. 126-127; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 116-117.

[2] იქვე. გვ. 337.

[3] ივ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III-IV, თბ., 1938, გვ. 418.

[4] იქვე. გვ. 129-130; გ. ჯამბურია, იქვე გვ. 124-125.

[5] ივ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 338.

ლი ბარათაშვილების განაყარი გვარია ი. ა.).

**VI. ყაფლანიშვილი-ორბელიშვილები:** საყაფლანიშვილოს სოფლები ჰქონდა ალგეთში (მხოლოდ მარაბდა, სულ 3 ყმით: ერთი გამომღები, ერთი ბოგანო და ერთი აყრილი); **დმანისის ხეობაში** (71 სოფელი), **სომხითში** (4 სოფელი), **ტაშირში** (37 სოფელი), **ქციის ხეობაში** (20 სოფელი), **ყარაბულაღში** (ზურტაკეტის ხეობა-31 სოფელი), სულ 164 სოფელი, გამომღები ყმა-979, ბოგანო 241, აყრილი-679, სულ 1899[1].

**ყაფლანი** (მოიხსენიება 1721-1732 წ. განაჩენში, ალექსანდრე V-ისა და ბრჭეთა პაპუნა და ზაალ წერეთლების დავის გამო (საქ. მუზ. 13, 810). **ყაფლანიშვილებიდან** ცნობილი არიან: გიორგი, დემეტრე, ზაალ, ზურაბ, პაპუნა, ყაფლან, გიორგი, დემეტრე, ელიზბარ, ერასტი, ვახტანგ, თამაზ, ლუარსაბ (სარდალი).

**ყაფლანისშვილი ქაიხოსრო,** შვილი გორჯასპისა, 1735 წ. ებოძა საბარათაშვილოს მებალახეობა (სიძვ. II-333). იხს. მამუკასთან 1718 წ. (სიძვ. III №177)[2].

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ყაფლან,** შვილი დემეტრესი, შვილის შვილი ზურაბისა, 1735 და 1738 წწ. ყიდულობს მამასთან ერთად შუა ბოლნისში, გორინჯუკსა და უკანგორში ზვრებს. ყაფლანიშვილი ზაალ, შვილი დემეტრესი, შვილის შვილი ზურაბისა, 1735 და 1738 წწ. ყიდულობს მამასთან ერთად იქვე ზვრებს[3].

**ყაფლანიშვილები:** ლონენა მოიხსენიება 1718 წ.-ს, ასლამაზ 1721 წ.-ს, რამაზ, დავით, გიორგი, ორბელი, სულხანი-1736 და 1737 წლებში. ყაფლანი და ზაალი 1779-89 წლებში.

**ბეჟან ყაფლანიშვილი,** აზნ., 1721 წ. აღწ. ოთარ ყაფლანიშვილი მემამულეა დბანისის (დღ. დმანისი) დარბაზში[4].

**ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები;** ბარათაშვილი ორბელი-1523 წ. მოსამართლე ორბელიშვილი-ბარათაშვილი ყაფლან, ძე ორბელისა, ან მისი ახლო შთამომავალი.

**ორბელიშვილი პაპუნა,** პაპუნა ბეგ, ძე ყაფლან ბარათაშვილისა.

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი. მასალანი საქ. სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკ. თბ., 1907, გვ. 159-224.

[2] ივს. ლორთქიფანიძე. ქვ. ქართლი, ნაწ. II და IV, თბ., 1935, გვ. 138.

[3] ივს. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., ნაწ. III-IV, თბ., 1938, გვ. 348.

[4] ივს. ლორთქიფანიძე. ნაწ. III-IV, გვ. 470.

**ორბელისშვილი ასლან,** ასლან ბეგი (მამა ლუარსაბისა, ოთარისა, მანუჩარისა, რევაზისა, ქაიხოსროსი).

**ორბელიშვილი ვახტანგ (ორბელი)** მდივანბეგი, მამა სულხანისა, ერასტისა, ვახუშტისა, ყაფლანისა, ნიკოლოზისა, ზაალისა, ზურაბისა, დიმიტრისა.

**ორბელიშვილი თამაზ** (მამა კაციასი, მამუკასი და მზეჭაბუკისა).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი გიორგი** (მამა პაპუასი, გორჯასპის და ზურაბისა).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ლუარსაბ.**

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ქაიხოსრო** (მამა ქაიხოსროსი).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ოთარი.**

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი მანუჩარი,** ორბელიშვილი რევაზი.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი სულხან-საბა,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა, ბიძა პაპუნასი, მამა ვახტანგისა და ასლანისა.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ერასტი,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა, ძმა სულხან-საბასი.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ვახუშტი,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა (მამა ელიზბარისა და ვახტანგისა).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ყაფლან,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა (მამა ვახტანგისა).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ზაალ-ზოსიმე,** შვილი ვახტანგმდივანბეგისა (მამა ვახტანგისა, ძმა სულხან-საბასი).

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი ზურაბ,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა, ძმა სულხან-საბასი, ერასტისი, მამუკასი.

**ორბელიშვილი ნიკოლოზ,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი დემეტრე,** ძე ვახტანგ მდივანბეგისა.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი მამუკა** ძე თამაზისა.

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი პაპუა.**

**ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი გორჯასპი,** ზურაბი, ქაიხოსრო, ვახტანგი, ძე ვახუშტისა, ელიზბარ, დემეტრე, ორბელიანი ნიკოლოზ, **ორბელიშვილი-ყაფლანიშვილი** ყაფლან, ორბელიანი დავით[1].

**VII. აბაშაშვილები.** აბაშიშვილებზე ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ალექსანდრე პირველმან „გაჰყარნა სამნი ძმანი აბაში, გუგუნა

და დავით, აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითასაგან ყაფლანიშვილნი არიან“.

**აბაშიშვილებს ეკავათ: ქციის ხეობაში** – ძველი აბანო – 2 კომლი, უკანა დაღეთი – 3, ანდრია – 2, დია – 9, გარისი – 6, ეცო – 2 კომლით; **ალგეთში** – ენაგეთი (ცარიელი ადგილი), საღირაშენი-15 კომლით, ოშეთი – 5, ელფია – 1, მჭავისი – 4, ფარცხისი – 7, კიკეთი – 10, გოლთეთი – 9, **ყარაბულახში** – ეგრისი – 3 კომლით, ფიწუთი – 3, იფნარი – 5, ზეულისტანი – 10 კომლით; **დმანისის ხეობაში** – თოფრაყალა – 1 კომლით, ბეთენია – 3 კომლით (სკვირეთის ხეობაში)[2].

**აბაშიშვილ-ბარათაშვილები აბაშა,** ძმისწული დავით, იარალი, ბარათა, იოვანე, ლომი. 1529 წ. სწირავენ მცხეთის ეკლესიას ყორანთას. აბაშიშვილი დავით დედოფლის დარბაისელი და ბოქაულთ-უხუცესი, 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა ალგეთში. 1710 წ. სუფრაჯი საძელისის უდაბნოს სწირავს ენაგეთში ერთ საკომლოს.

ცნობილი არიან: გორჯასპი, დავით, ზაქარია, იესე, ლუარსაბ, ნოდარ, ქეთევან გორჯასპის ასული, ქეშიკჩი ზაზა იოსებ (თბილელ-მანგლელი მიტროპოლიტი), ქაიხოსრო.

**VIII. საიარალაშვილო. იარალაშვილებს** 1721 წლის აღწერით ყმები ჰყავთ: „**ქციის ხეობაში** – ლიყურეთს – 6 კომლი, მთაწმინდას – 3, სენებს – 2, ირაგას, წობას – 3, ჯაბარ-ყალას – 2, ლიპისს – 5; **დმანისის ხეობაში** – სვანეთს – 14 კომლი, დამღალუს – 3, ჭრეში – 6, დარბაზისს – 19, ძველი ქვეშს – 7; **სომხითში** – შორისს – 5, კომპანეს – 2; **ყარაბულაღში** – ორომაშენს – 10, ხახალჯვარიშს – 4, ბახჩალარიშს – 5, წარბას უბანს – 2; **ალგეთში** – სამაჩვეთისს – 29 კომლით“[3].

**იარალაშვილები:** ბარათაშვილი იარალი, იხს. 1523 წ. ორბელთან, 1529 წ. აბაშასთან.

**იარალაშვილი გიორგი,** მდივანი, 1721 წ. აღწ. მებატონე, როსები, მეჯინიბეთუხუცესი, თეიმურაზ 1721 წ. აღწ. მებატონე,

---

[1] იხ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, წ. III და IV, თბ., 1938, გვ. 338-348.
[2] იხ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, წ. I და IV, თბ., 1935, გვ. 121-123.
[3] იქვე გვ. 123-124.

ვახტანგი, 1721 წ. აღწ. მებატონე, იარალი, ძე როსებისა[33].

**IX. საზურაბიშვილო. საზურაბიშვილო** ჩამოყალიბდა დმანისის ხეობაში XVII საუკუნეში. ამ სათავადოს ფუძემდებელია საბარათიანოს სარდალი ზურაბ ბარათაშვილი.

**1721 წლის აღწერით, ზურაბიშვილებს** ეკუთვნოდათ: **დმანისის ხეობაში** – ბალიჭი – 23 კომლით, კაზრეთი – 10, მონასტერი (კომლთა რიცხვი არ არის ნაჩვენები), ბაბილაშენი – 3 კომლით, კვირაცხოველი – 3, ქაგარიანი – 4 (აზნაური), კიანეთი – 6 (მათ შორის ერთი აზნაური), წობა – 1, ბერთაქარის 1 (აზნაური), ქვეში-15, ნაქალაქევი – 2, თოფრაყალა – 9, ისპიანი, შამიანი, თავდიდიანი; **ქციის ხეობაში** ირაგა – 2 (აზნაური), კამარეთი – 9, ლიყურეთი – 13, რაფაქეთი – 3, ვანეთი, გვიანა; **ბერდუჯში** – ახპატი, ვარტაპეტის სოფელი, ბერდიკი, სხვა ადგილებში – ვარდის წყარო, აჯირი, კახმახუთი, ნილოცა, ნობისი, კარაპეტის ხევი.

**ზურაბიშვილების** მთელი გენეალოგია მოყვანილია 1792 წლის სიგელში. იქ ნაჩვენებია ზურაბიშვილების წინაპარი. ზურაბ ბარათაშვილი, სარდალი, რომელიც იხსენიება 1634, 1637 წლების საბუთში, ჰყოლია ორი შვილი – **შანშე** და **პაპუნა**; შანშეს ზურაბი, ზაალი, იხს. იქვე, რომელიც 1721 წ. აღწ. აღნიშნულია **„ზაალიშვილად, პატარა ზურაბად"**. პაპუნას ჰყოლია ორი შვილი: ასლანი და რევაზი, ჩანან 1693, 1700 წლებში (სიძვ. I, №360, 366);

ასლანი და რევაზი რომ პატარა ზურაბ ზურაბიშვილების გვარისანი არიან, მტკიცდება შემდეგით: 1721 წ. აღწ. ზაალიშვილს, პატარა ზურაბს, ჰყოლია 13 სოფელში 71 კომლი ყმა, ბექან ზურაბიშვილს კი-10 სოფელში 25 კომლი, რაც, საფიქრებელია, შედეგია პაპუნას შთამომავლობის მრავალრიცხოვნობით; აღსანიშნავია, რომ ყველა ის ათი სოფელი, სადაც ბექან ზურაბიშვილს ჰყავდა ყმები, აღნიშნული არიან ზაალიშვილი „პატარა ზურაბის"აღწერაშიც. მეორე მხრივ, ირაგასა და რაფაქეთში ბექან ზურაბიშვილს ყმები არ ჰყოლია, ჰყავდა მხოლოდ „პატარა ზურაბ" ზაალიშვილს, მაგრამ

[33] ივ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 348-349.

1792 წ. სიგელი ამ ორ სოფელსაც ცნობს ზურაბიშვილების სოფლებად. ამიტომ, ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ზაალიშვილი პატარა ზურაბი ზურაბიშვილების გვარისაა[1].

ცნობილი არიან: ზაალიშვილი პატარა ზურაბი, 1721 წ. აღწ. მებატონე, ზურაბიშვილი ბეჟანი, შვილი ასლანისა, ბოქაულთუხუცესი, ზურაბი, დედოფლის მორდალი და სუფრაჯი, მისი ბიძაშვილები სვიმონ და დავით, სვიმონ, შვილი ბეჟანისა, პაპუნა-ბეგი, შვილი ზურაბ სარდლისა, რევაზ შვილი ასლანისა[2].

**X. საქავთარაშვილო.** ეს სათავადოც საბარათიანოს ტერიტორიაზე აღმოცენდა. რაც XVII საუკუნის საბუთებში უკვე ჩანს.

1721 წლის აღწერით, **ქავთარაშვილებს** ჰყავთ ყმები შემდეგ სოფლებში: **ალგეთის ხეობაში** – ფუტრევს – 1 კომლი, ჩხიკვთას – 1 კომლი, საბუზარს – 2, ზას – 8, ტფილისს – 3, დვალთას – 3, ერტისს – 1, ახალშენს – 5 კომლი; **ქციის ხეობაში** – ქციას – 17 კომლი, სამღერეთ-ახალშენს – 3, სამღერეთს – 2, კარასს – 4, ანდრიას – 5; **დმანისის ხეობაში** – რატევანს – 13 კომლი, კვესეთს – 7; სხვადასხვა ადგილებში – ძველ აბანოს – 1 კომლი, ცხვირისის – 1 კომლი[3].

ბარათაშვილებად მხოლოდ სულხანი, იონათამი და მანუჩარი იწოდებიან 1671 წ. (სიძვ. I, 44, 55). შემდეგ, როგორც ისინი, ისე სხვები იწოდებიან **ქავთარაშვილებად,** მათი შტოს შედგენა შეუძლებელია, რადგან მხოლოდ მანუჩარი არის აღნიშნული, როგორც განაყოფი სულხანისა და იონათამისა, სხვების დამოკიდებულება კი არ ჩანს. **ქავთარაშვილები** 33-ჯერ არიან მოხსენიებული საბუთებში, მაგრამ აქედან თითოჯერ, როგორც მესაზღვრე, მემამულე, მწერალი, მოსამართლე, დედოფლის დარბაისელი და ვახუშტი ყაფლანიშვილის გასვენების დროს გადამხურავი, დანარჩენ შემთხვევაში სულ როგორც მოწმენი.

**მოიხსენიებიან: ქავთარაშვილი გიორგი, მებატონე, მანუჩარი,** 1721 წ. აღწ. მებატონე, მანუჩარის ქალი **მარიამი, სულხან, იონათამ.** აზნ. 1721 წ. აღწ. მებატონეები, ედიშერ, ძმა იესე, 1746 წ.[4].

---

[1] ივს. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III-IV, გვ. 349-350.
[2] იქვე, გვ. 357.
[3] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 125-126.
[4] ივს. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 350-351.

**საბარათაშვილო.** თვით ბარათაშვილებს 1721 წლის აღწერით, 23 სოფელში ჰყავთ 100 კომლი ყმა. ეკუთვნოდათ: **ალგეთის ხეობაში** – ენაგეთი – 8 კომლით, ტბისი – 8, წინვენახი (ცარიელი ადგილი), თაკვი – 2, დვალთა – 1, ზემო ოძისი – 2, ხოზეთი – 6, საბუზარი – 1, ჩხეკვი – 6, სალირაშენში – 10, ელფია – 3, ზა – 3, ჰანდარი – 1, ბორცვისჯვარი – 3; **ქციის ხეობაში** – მძოვრეთი – 2 კომლით და 1 უყმო აზნაურით, ახალშენი – 3 კომლით, გარისი – 6, თავანი – 3, ორთაშუა – 3 კომლით და 1 უყმო აზნაურით, ანდრია – 3; **სკვირეთში** – ბეთენია – 11 კომლით, წვერი – 12, ორი ნახშირის გორა – 7 კომლით[1].

**XI. საყაფლანიშვილო.** XVIII საუკუნეში საყაფლანიშვილოს რჩება უპირატესობა. საყაფლანიშვილო არსებობას იწყებს 1536 წლიდან. ამ წელს იოთამ ბარათაშვილი და ორბელ ბარათაშვილი გაიყარნენ და შეიქმნა ორი სათავადო – **იოთამიშვილებისა** და **ორბელიშვილ – ყაფლანიშვილებისა**[2].

XVI საუკუნიდან ბარათაშვილები „მეწინავე სადროშოს" სარდლებია. სასარდლოს ტერიტორია შეიცავს ალგეთს, ქციას, მაშავერს, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიულსა და თრიალეთის ნაწილს, ე.ი. გაცილებით მეტ ტერიტორიას, ვიდრე სათავადო „საბარათიანო".

საბარათიანოს ჩვენთვის ცნობილი პირველი სარდალი არის **საჩინო ბარათაშვილი,** სიმონ I-ის (1558-1599 წწ.) ერთგული მოხელე. სავარაუდოა, რომ საჩინომდე უნდა ყოფილიყო ამ სადროშოს სხვა სარდალი, რადგან, როგორც მიღებულია **ქართლში სადროშოები დაარსდა XVI საუკუნის დასაწყისში დავით მეფის დროს (1505-1525 წწ.).**

შემდეგ მოწინავე სადროშოს სარდალი **გოჩა** (ბაგრატიონის გვარისა). სიმონ I-ის თანამებრძოლია სამშობლოს გასათავისუფლებლად წარმოებულ ბრძოლებში. გოჩას ეს სახელო უჭირავს XVI საუკუნის ბოლო ხანებში. დაიღუპა გორის ალყის დროს 1599 წლის გაზაფხულზე. ამ ალყაზე საუბრისას ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„მაშინ მოკლეს პაპის ძმისწული მეფისა, სპასპეტი მეწინავესი გოჩა".**

შემდგომში სარდლებად არიან: **ბარათა ბარათაშვილი, ქაიხ-**

---

[1] ის. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 350-351.
[2] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 127-128.

**ოსრო ბარათაშვილი, ზურაბ ბარათაშვილი.** 1623 წელს სიმონ II-მ (1619-1631 წწ.) სარდლობა ჩამოართვა ბარათაშვილს და მის ერთ-ერთ სახლიკაცს ბოქაულთ-უხუცესს ქაიხოსრო ბარათაშვილს მისცა. ვარაუდით, ქაიხოსროს შემდეგ (1634 წლიდან სარდლობა ზურაბ ბარათაშვილმა მიიღო. ზურაბი ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა ბარათაშვილებში. **ბარათიანთ ერთი შტოს — ზურაბიშვილების გვარის ფუძემდებელია.**

XVII საუკუნის 60-იან წლებში **„სპასპეტი საბარათიანოსი"** არის **ზაზა ციციშვილი.** ეს უკვე მესამე პირია საბარათიანოს სარდალი, რომელიც ბარათაშვილების გვარიდან არ არის. ზაზას შემდეგ, ვახტანგ V-ის მეფობაში, საბარათიახოს სარდლობა მიუღია **თამაზ ყაფლანიშვილს.** ამ დროიდან უკვე სომხით-საბარათიანოს სარდლობა ყაფლანიანთ ხელშია. თამაზი იყო ძე ორბელიშვილისა, ე.ი. ყაფლანმა შეადგინა კიდევ ერთი სათავადო-საყაფლანიშვილო. ბარათაშვილების საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: ბარათა, მიხეილ, ნიკოლოზ, სულხან, ქაიხოსრო, შადიმან ბარათაშვილი და სხვ. აღნიშნულთაგან საინტერესო პიროვნებებია: **ბარათა ბარათაშვილი** (დაახლ. 1626 წ.), ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, მეწინავე სადროშოს (სომხით-საბარათიანოს) სარდალი. თავდაპირველად ერთგულობდა სიმონ მეორეს (გ. 1630-ან 31 წელს), ქართლის ხანი (ქართული წყაროებით-მეფე 1619, 30/31 წწ.) მხარს უჭერდა ზურაბ არაგვის ერისთავს მთიულ-მოხევეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 20-იანი წლების დასაწყისში ამოწყვიტა თავისი სახლიკაცები (სიკვდილს გადარჩა ყაფლან ბარათაშვილი, რომელიც ირანში გაიქცა) და მათს მამულებს დაეპატრონა. იბრძოდა ირანელების წინააღმდეგ. გიორგი სააკაძესთან ერთად მონაწილეობდა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში (1625 წ.).

**სიმონ II-მ ბარათაშვილი** სარდლის თანამდებობიდან გადააყენა და სარდლად ქაიხოსრო ბარათაშვილი დანიშნა. ბარათაშვილი 1625 წლის ბოლოს გ. სააკაძესთან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. 1626 წლის შემდეგ ცოცხალი არ ჩანს (ვახუშტის მიხედვით, ბარათა ბარათაშვილი მოაკვლევინეს ყაფლან ბარათაშვილმა და აბას I-მა თაფარავნის ტბასთან). ბარათა ბარათაშვილის მამულები სიმონ II-მ ყაფლან ბარათაშვილს უწყალობა.

**მიხეილ ბარათაშვილი** (25. I. 1784, სიმბირსკი, — 30. VII. 1856 წ. სოფ. ბარატაევკა, სიმბირსკის გუბერნია), ქართველი ისტორიკო-

სი, ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერი. **1820-1825 წლებში მიხეილ ბარათაშვილი იყო სიმბირსკის თავადაზნაურობის წინამძღოლი.** ამ პერიოდში სიმბირსკში დაარსა **მასონთა ლოჟა „სათნოების გასაღების" სახელწოდებით.** 1826 წელს დააპატიმრეს დეკაბრისტების აჯანყებასთან დაკავშირებით, მაგრამ მამხილებელი მასალის უქონლობის გამო (ბარათაშვილმა მოსპო თავისი მიმოწერა და სხვა საბუთები) მალე გაათავისუფლეს. დეკაბრისტებთან მისი სიახლოვე ეჭვგარეშეა.

ძველ ქართული მონეტების აღწერა, კლასიფიკაცია და დათარიღება მოცემულია მ. ბარათაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში **„საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები"**, რისთვისაც არჩეულ იქნა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართული ნუმიზმატიკის მეცნიერულ ტერმინოლოგიასაც. მ. ბარათაშვილმა გამოიგონა და გამოიყენა ძველი მონეტების ზუსტი პირების დამზადების ხერხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მემკვიდრეობას გასდევს ღრმად პატრიოტული და პროგრესული კონცეფცია ქართველთა და საქართველოს ერთიანობაზე.

**ცნობილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი** (4. XII. 1817, თბილისი, 21. X. 1845, განჯა) 1835 წლიდან მუშაობდა უბრალო ჩინოვნიკად, მოხელედ სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში, 1844 წელს დაინიშნა ნახიჩევანში მაზრის მმართველის თანაშემწედ, ხოლო 1845 წლის ივნისს იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ 27 წლისა, მალარიით მძიმედ დაავადებული, გარდაიცვალა. ნ. ბარათაშვილის გადმოსვენებამ 1893 წელს განჯიდან თბილისში (დიდუბის პანთეონში) ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო. 1938-დან პოეტის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია დროის შედარებით მცირე მონაკვეთს მოიცავს (1833-1845 წწ.), მაგრამ ამ ხნის მანძილზე მსოფლმხედველობითი და მხატვრული განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი გზა განვლო. დ. უზნაძის სიტყვით, ბარათაშვილის „მთელი სალიტერატურო შემოქმედება მხოლოდ „ოდისეაა" მისი თვითგამორკვევისკენ მიმსწრაფი სულისა". ეს იყო ამავე დროს ახალი ესთეტიკური მრწამსის, პოეტური მანერის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ურთულესი გზაც.

**სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი** (17. IX. 1821, თბილისი,–13. VIII. 1866, სოხუმი) იყო ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ევროპული ენები და ისტორიის ლიტერატურა. 1840 წელს დაუხლოვდა მარი ბროსეს. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ (1841) გაზეთ „კავკაზში" გამოაქვეყნა წერილები საქართველოს ისტორიაზე. 1865-71 წლებში პეტერბურგში დაიბეჭდა ხუთ წიგნად მისი **„საქართველოს ისტორია"**, უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. საქართველოს წარსული აქ განხილულია მსოფლიო ისტორიის ფონზე.

**სულხან ბარათაშვილი ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ბურჟუაზიაზე გარდამავალი ეტაპის წარმომადგენელია.**

**ქაიხოსრო ბარათაშვილი** (გარდ. 1636), ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVII საუკუნის I ნახევარში, 1619 წლიდან იხსენიება ბოქაულთუხუცესად. 1625 წლის ბოლოს მიიღო მეწინავე სადროშოს (სომხით-საბარათიანოს) სარდლობა და მეკობრის მძებნელის სახელი, 1626 წლის ივნისში-თბილისის მოურავად, ხოლო 1626 წლის შემოდგომაზე აბას I-ის სახლთუხუცესად დაინიშნა.

ქაიხოსრო ბარათაშვილი ადრე ლუარსაბ II-ის მომხრე იყო, შემდეგ-სიმონ II-ისა. 1625 წელს გიორგი სააკაძეს მიემხრო, იმავე წლის ბოლოს ისევ სიმონ II-ის მხარეზე გადავიდა. შემდეგ თეიმურაზ I-ს ემსახურებოდა. 1633 წლიდან როსტომ მეფეს მოენდო, მაგრამ მალე მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

**შადიმან ბარათაშვილი** იყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის I მესამედში. მეფის სუფრაჯი, ლუარსაბ II-ის მამამძუძუ, დიდ ფეოდალთა დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების (1612 წ.) მესვეური. ირანელთა 1614 წლის შემოსევის დროს შაჰ-აბას I-ის სამსახურში შევიდა. იმერეთიდან გადმოიყვანა ლუარსაბ II და შაჰს მიჰგვარა[1].

---

[1] ბარათაშვილების შესახებ იხილეთ წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. 4; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, ქართული ენციკლოპედია, თბ., 1975 ტ. II.

XVII საუკუნეში სხვებზე მეტი წარმატებით **ორბელიშვილ-ყაფლანიშვილებმა** შეძლეს შეექმნათ ახალი სათავადო და დაიკავეს სომხით-საბარათიანოში პირველი ადგილი, აღიდგინეს კიდევაც თავისთვის ის დიდება რომლითაც ბარათაშვილები სარგებლობდნენ XV-XVI საუკუნეებში. ფეოდალური ქართლის გაგებაში „ბარათაშვილი" „ყაფლანიშვილმა" შეცვალა. „უწარჩინებულესი" ახლა ბარათაშვილების ერთი შტო ყაფლანიშვილები იყვნენ. ბარათაშვილები და მისგან გამოყოფილი სხვა გვარები ყაფლანიშვილებთან შედარებით მეორე ხარისხის თავადებად ითვლებოდნენ. **ყაფლანიშვილები** იგივე **ორბელიშვილები** და **ორბელიანები** არიან. XIX საუკუნეში კი **ჯამბაკურ-ორბელიანებად ცნობილნი**"[1].

**ყაფლანიშვილთა** გვარის ფუძემდებელი **„დიდი ყაფლანის"** სახელითაა ცნობილი. ქართლის სამეფოს მდივანბეგი (იხსენიება 1634 წლიდან) და სახლთუხუცესი (იხსენიება 1646 წლიდან). 20-იანი წლების დასაწყისში ირანში გაქცეული ბარათაშვილ-ორბელიშვილი მონაწილეობდა მარაბდის ომში (1625 წ.) ირანელთა მხარეზე. ერთგულობდა სიმონ II-ს, როსტომსა და ვახტანგ V-ს, რომელთაგან მრავალი ყმა-მამული მიიღო წყალობად. განაახლა ფიტარეთის მონასტერი.

**ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები ქაჩიბაძე-ბარათაშვილების** ერთ-ერთი შტოა, რომელმაც გაყრის შედეგად (1536 წ.) საფუძველი ჩაუყარა ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა სათავადოს. ყაფლანმა შემოფარგლა დიდი ტერიტორია (80 დასახლებული სოფელი). უძლიერესი ეკონომიკური ერთეული გახდა მთელს სომხით-საბარათიანოში. ყაფლანმა დიდი გავლენა მოუპოვა თავის სახლს სამეფო კარზეც. მას და მერე მის შვილებს უმაღლესი სამოხელეო თანამდებობანი ეპყრათ, მისი ერთ-ერთი ვაჟი კი სომხით-საბარათიანოს, ანუ, „მეწინავე სადროშოს" სარდალი გახდა; სარდლობა მერე ამ სახლის სამემკვიდრეო ხელობად იქცა. ყაფლანს (გ. 1671 წ.) დარჩა ერთი ასული და ხუთი ძე, თითქმის ყველანი გამოჩენილი პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწენი.

ყაფლანის მეორე ვაჟმა, **ალანმა,** სათავე დაუდო **ალანიშვილების** გვარს, ხოლო მეხუთე ვაჟმა — გიორგიმ — **გიორგიშვილებისას.**

[1] ივ. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, თბ., 1935, გვ. 331

**ბარათაშვილ-ორბელიშვილ-ყაფლანიშვილების** წარმომავლობასთან დაკავშირებით ქრონიკებში (II, გვ. 427-487) წერია: „ბარათაშვილობა მოვიხსენოთ, ბარათა ბარათაშვილის მტარვალობის გამო (1624 წ.), რომელმაც ტანძიაში ორბელიშვილები ამოწყვიტაო". მაშასადამე, ორბელიშვილების (შემდგომში ორბელიანები) გვარი მოდის ორბელიდან (1523, 1536, 1534). მას ჰყავდა შვილი **ყაფლანი** (1634, 1670, 1671-76). ყაფლანს ჰყავდა 6 ვაჟი: **პაპუნა** (1653, 1685-96, 1696-1701), **ასლანი** (1653, 1696-1701, 1701-2), **ვახტანგი** (1653, 1689-96, 1696-1701), **თამაზი** (1653, 1696-701, 1701), **გიორგი** (1657, 1679, 1679-84) და ა.შ. ორბელიანები.

იასონ ლორთქიფანიძე წიგნში „ქვემო ქართლი" (ნაწ. III და IV) გამოყოფს დანარჩენ ბარათაშვილებს. ჩვენი მხრივ, უნდა დავუმატოთ, რომ **ბარათაშვილთა** შტო-გვარებია აგრეთვე – **ასლანიშვილები** (ბექან, გლახა, იასე, ივანე, პეტრე, ფარემუზ, **ბექუა** (ეშიკალობაში), პაპა, გივი (ეშიკალობაში), **თაყაშვილები** (თაყა ბატონი, ასლამაზ, დემეტრე, ვახტანგ, გიორგი, იასე, იოთამ, ნიკოლოზ, როსტომ, ფარემუზ, ქაიხოსრო), **თურქისტანიშვილები** (თურქისტანი, 1558 წ. ყიდის სოფ. მუხათს), ბაგრატ, ფრანგისტან, იოანე, ტეტია, ბეცია, იოანე, ნიკოლოზ, ასლამაზა, ბაგრატ, ქაიხოსრო, ღონენა, ბერუკა, გოდერძი, დავით, გიორგი, ერასტი, ზაზა, ზურაბ, თურქისტან, სეხნია, ფარაგ), **იარალაშვილები** (იარალა, აზნ. 1721 წ. აღწ. **ყაფლანიშვილების** მემამულე დმანისში, ზაზა, ქაიხოსრო, იარალი, ეშიკალაბაში, ოსეფა), **ზაალიშვილები,** აზნ. 1721 წ. აღწ. მეფის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (ერასტი, ზურაბ, როსებ, ქაიხოსრო, გარსევან, გიორგი, ლიპარიტ). ავთანდილ ზაალიშვილი მოხსენიებულია 1740 წ.[1]. 1 მარტს მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც **შიოშისშვილმა** მისცა ქაიხოსროსა და ზაალის სხვა შვილებს"[2].

**ორბელიანთა** გვარის განშტოებები – **გიორგიშვილები** (ვახტანგ, ონანა ლომინანთი, დიმიტრი, ნაზირ, ზურაბ, პაპა, **გორჯასპიშვილები** (ბარძიმ, დათუნა, ორბელი, პაპუნა, ქაიხოსრო), **ნამანგლელევიშვილები** (ბარათა, გუგუნა, დავით, ვახტანგ, როსტომ, სეს-

---

[1] იას. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 382.
[2] სჩსსა, ფ. №1/51

ია, ქაიხოსრო, დავით), **საჩინოშვილები** (საჩინო, ფარსადან, **ხოსიაშვილები** (სააამი, ედიშერი), 1721 წ. აღწ. იყვნენ მებატონეები და ცხოვრობდნენ ალგეთში[1].

ქვემო ქართლში (გარკვეული დროის მანძილზე სომხითში) მე-16 საუკუნის ფეოდალური მფლობელობის, აგრეთვე სომხითის ეთნოგრაფიული სურათისა და მმართველობის სისტემის შესახებ ფრიად საინტერესო მასალას იძლევა ბარათაანთ 1536 წლის გაყრის წიგნი.

ჩვენი კვლევის საგნისა და ზემოთ აღნიშნული რეალობის საილუსტრაციოდ პირვანდელივე სახით ვურთავთ აღწერის მასალას, რომელიც ნათლად ახასიათებს სომხითის ეთნოგრაფიულ სურათს. როგორც მკითხველი დაინახავს, მართალია, სომხითსა და გარისში (დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე) უცხო მოდგმის წარმომადგენლები ამ დროისათვის არ ცხოვრობენ, უხვადაა შემოჭრილი სხვა ტომთა სახელები.

როგორც ითქვა, 1536 წელს იყრებიან მოსამართლე **ქავთარ ბარათაშვილის** შვილები – **ორბელი** და **იოთამი.** იოთამს საუხუცესოდ რგებია აზნაური მამაც(ა) ჩაჩიკაშვილი, ყმები ჰყავდა ირდასუბანში, მირტაშენში, გუგუთში, როსტევან ჯანიაშვილი, აზნაური, ჰყავდა ყმები ქციის აბანოში და გულეულში, დმანისის ციხეში სასაფლაოდ დმანისთა ღვთის მშობლის ნახევარი და კარისბჭე, დემეტრე დეკანოზი, სონღულაშვილი ივანე და გრიგოლა თავიანთი ქონებითა და მამულით იოთამს შეხვედრია ყმა-გლეხები (იხ. დანართი 1.).

**დანართი (1)** მრავალმხრივაა საყურადღებო და საინტერესო. უწინარეს ყოვლისა, იგი გვიჩვენებს, რომ 450 წლის წინათ ქვემო ქართლის მიწა-წყალზე მცხოვრებლებს უხვად შეუთვისებიათ უპირატესად თურქული, ზოგჯერ სპარსული და არაბული სახელები და ტერმინები, რომლებმაც შემდგომში დამოუკიდებელი გვარი აწარმოვა. აქ დასახელებული სახელები და ტერმინები, ზემოთ აღწერილთა გარდა, საფუძვლად დაედო ისეთ გვარებს, როგორიცაა: **ადუაშვილი, ალავერდაშვილი, იაკობიძე, იაკობიშვილი, ყაზიაშვილი-ყაზაიშვილი, ბუდახაშვილი, მახარობლიძე, მახარობლიშვილი, ნადირაძე, ნადიraშ-**

[2] ის. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 351

**ვილი, თევდორაძე, თევდორაშვილი, ალადაშვილი, ანანიაშვილი, ნანუაშვილი, მამუკაშვილი, გრიგოლაშვილი, ელის(ზ)ბარაშვილი, მახარაშვილი, ონეზაშვილი, ოსეფაშვილი, ხუციშვილი, ახვერდაშვილი, ამზაშვილი, ყულიაშვილი, შაქარაშვილი, ვარდიაშვილი, ვარდიძე, ქიტიაშვილი** და ა.შ.

ასეთი მტკიცება მკითხველს საეჭვოდ არ მოეჩვენება, თუკი გაითვალისწინებს, რომ ჩვენი წინაპრები ბოლო საუკუნეებში ხშირად გვარს იღებდნენ თავიანთ საგვარეულოში რითიმე გამორჩეული პირის სახელიდან, ამასთან ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ბევრ შემთხვევაში დღეისთვის გვარი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩნდებოდა და ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. სწორედ ამითაცაა განპირობებული შემორჩენილი ტრადიცია (ჩვევა), როცა ესა თუ ის გვარი **(მაისურაძე, ჯაფარიძე)** ერთმანეთში ქალის თხოვება-გათხოვებას არ ერიდება და საჩოთირო, სათაკილო ქცევად არ მიიჩნევს.

ერთი შეხედვით, ჩვენ ძალზე ვრცლად შევჩერდით იმის დასასაბუთებლად, რომ გვართა ძირითადი ნაწილი სახელისგანაა წარმოქმნილი. ნათქვამის საილუსტრაციოდ უკეთესი უტყუარი მასალა ქართულ სინამდვილეში თითქმის არ მოიძებნება. ასევე გაყრის წიგნი გვიჩვენებს, თუ უკვე ოთხიოდე საუკუნის წინათ როგორაა აჭრელებული სახელები და ზოგჯერ მისგან ნაწარმოები გვარიც, რომელიც აძნელებს იმაში გარკვევას თუ, ამა თუ იმ სახელის (გვარის) მქონე ადამიანი რომელ ეთნოსს მიეკუთვნება, მკითხველს ერთი რამ კი ამთავითვე უნდა ვაუწყოთ, რომ სახელთა და ტერმინთა ასეთი აღრევისას უბრალოდ გულუბრყვილობა იქნებოდა ხელაღებით გვეთქვა, მავანი და მავანი ბერძენია, სომეხია, თათარია და ა.შ.

დღეს იშვიათობად იქცა და აღარავინ არქმევს თავის პირმშოს სახელებს: **ამილღაბარი (ამილყაბარ), ყაითმაზ, ფრანგისტან, თურქესტან, გოსტაშაბ, გორჯასპ (გვარჯასპი), ზალბეგ, აბაშ, შიოშ, აბულფათ, გერმანოზ, ფალავანხოსრო, ოსმან, სიაოში,** რომლებიც ძალზე მიღებული იყო და გავრცელებული „მეწინავე სადროშოს" საბარათიანოს თავადებში. სადღეისოდ ბევრი სახელი სულ ცოტა ხნის უწინ ჩვენი წინაპრების თაობებს რომ რქმევიათ, დღეს ყურს ეხამუშება, თუმცა გარკვეული სამსახური კი გაუწიეს მათ და ბევრმა მათგანმა შემდგომ ჩამომავალთა გვარი აწარმოვა. უცხო ტერმინები-

ან და სახელებიდან. თავისი სიმრავლით ყურადღებას იქცევს თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი **„ბეგ-ი"**, რომლის საფუძველზეც ქვემო ქართლში გაჩნდა მრავალი სახელი და მათგან ნაწარმოები გვარი **(იხ. ბეგაშვილი, ბეგიაშვილი)...**

ბევრი სახელი დღეს საერთოდ აღარაა ან იშვიათად გვხვდება (იხ. დანართი №2).

როგორც დანართიდან ჩანს, უძველესი და მრავალფეროვანი ისტორიის მქონე ქართველურ საკუთარ სახელებს უცხო ტომთა სახელები ისე შეეთვისა, რომ მათი ცნობა ხშირ შემთხვევაში ჭირს და ქართულ ანთროპონიმიაშიც გარკვეული ადგილი დაიჭირა.

მკითხველი თუ ოდნავ მაინც დაუკვირდება მოხსენიებულ სახელებს, რომლებიც დღეს ძალიან იშვიათია ან სულ აღარავის ქქვია, ბევრ გვარშია შემონახული. აი, ზოგი მათგანი: **აბაზაძე, აბუაშვილი, აბულაძე, ადუაშვილი, ათუაშვილი, ალადაშვილი, ალიხანაშვილი, ალთუნაშვილი, ამირაშვილი, ამზაშვილი, ამირხანაშვილი, ანანიაშვილი, ანდრიაშვილი, ანდრიაძე, ასლამაზაშვილი, ბაინდურაშვილი, ბაღიაშვილი, ბერიშვილი, ბერუკაშვილი, გამსახურდაშვილი, გამსახურდია, გიუნაშვილი, გოზალიშვილი, ელიკაშვილი, ვარამაშვილი, ველიჯანაშვილი, თათარაშვილი, თათარაძე, თათარაიძე, თუმანიშვილი, თურმანიძე, იანვარაშვილი, ინდოშვილი, იობაშვილი, იობიძე, კახუაშვილი, ლამაზაშვილი, ლომიშვილი, ლომკაცი, მაზიაშვილი, მგალობლიშვილი, ნინუა, ოსიყმაშვილი, პატარკაციშვილი, სიყმიაშვილი, უმეკაშვილი, ფირალიშვილი, ფოცხვერაშვილი, ქრისტესიაშვილი, შიშნიაშვილი, შემაზაშვილი, ჩიტაძე, ჩიტაია, ძამაშვილი, ხარაზიშვილი, ჯანიაშვილი, გუნაშვილი, ინანიშვილი, ლომინაძე, მახნიაშვილი, შაბურიშვილი, შოშიტაიშვილი, ჯანიბეგაშვილი. ჯულაბაშვილი, ჯულაბაძე, გულიაშვილი, სულიაშვილი, მამუჩაშვილი, თანიაშვილი, გოგიჩაშვილი, გოგიჩაიშვილი** და სხვ.

ქართველებს ანთროპონიმებად გამოუყენებიათ, როგორც წარმართულ ღვთაებათა, ისე მომხვდურ ტომთა სახელები. ამ გზით გაჩნდა სახელები და მათგან გვარებიც (იხ. **დანართი №3**).

ქართველებში გავრცელებული, უცხო ტომთაგან შემოსული სახელების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ჩვენ პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის წიგნები: **„რა გქვია შენ?"** და **„დედაენა ქართული"** გამოვიყენეთ. აღნიშნული შრომები, როგორც ფართო მკითხველთა,

ისე მეცნიერთათვის ფასდაუდებელი ღირებულის შემცველია. ისინი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ რიგი გაუგებრობა, რომელიც ამა თუ იმ გვართანაა დაკავშირებული. მხდველობაში გვაქვს უცხო ტერმინის (სახელად ქცეულის) შირმით ქართველური გვარის სხვა ტომის გვარად გამოცხადება. კონკრეტული მაგალითი: სახელი **ასლან (არსლან)**, რომელიც XII საუკუნიდან გავრცელდა საქართველოში, ხშირად არასწორ ასოციაციას იწვევს იმ ადამიანებში, რომლებიც არ იცნობენ ამ სიტყვის ეტიმოლოგიას. ზ. ჭუმბურიძე წერს: **„თურქულად ლომს ეწოდება არსლან.** იგი გვხვდება კაცის სახელადაც (თამარ მეფის დროს ცნობილი პირი იყო ყურთლუ-არსლანი; ქართულად რომ ვთარგმოთ, ეს სახელი ნიშნავს „ბედნიერ ლომს". არსლან-ისგან **რ**-ს დაკარგვით მიღებულია **ასლან**, რომელიც თურქულიდან ქართულშიც არის შემოსული"[1]. თურქულიდან ასევე შევიდა ეს სახელი სომხურში, ოსურში, ბერძნულში, აზერბაიჯანულში. აქედანაა გვარები: **ასლანიშვილი** (ქართველებში), **ასლანიანი** (სომხებში), **ასლანოვი** (ოსებში), **ასლანიდი** (ბერძნებში), **ასლანოვი** (ასლანოღლი) აზერბაიჯანელებში. 1699 წელს, პაპუნას გარდაცვალების შემდეგ, საყაფლანისშვილოს უფროსად დაუნიშნავთ მისი მომდევნო ძმა **ასლანი**.

**გოსტაშაბაშვილებმა** აწარმოეს აგრეთვე გვარი **ასლანიშვილი**. მათი ჩამომავალი იყო **გოსტაშაბ ასლანიშვილი**. 1740 წ. ლუარსაბ აბულფათისშვილი აძლევს გოსტაშაბ ასლანიშვილს ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნს, „ასლანიშვილ იესეს მისი ძმა იოვანესა და მისი შვილის ფარემუზასათვის მიუყიდია სამკვიდრო მამული ცხვრისში, ივანა **ირინაშვილი** და **სუთიაშვილები** მამულით, მთითა და ბარით, წყლითა და წისქვილით, შესავლითა, გასავლითა, საძებრითა, უძებრითა, ყოვლის მისი სამართლიანის საქმითა"[2].

ნასესხებ ანთროპონიმთა ნიმუშები შესწავლილი აქვთ ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, იუსტ. აბულაძეს, ექვთ. თაყაიშვილს, ა. შანიძეს, ს. ყაუხჩიშვილს, ს. კაკაბაძეს, გ. მელიქიშვილს, ალ. ღლონტს, გ. ჟორდანიას, ტ. ცინცაძეს, გ. ანდრონიკაშვილს, ილ. მაისურაძეს ზ. ჭუმბურიძეს და სხვ.

ქვემო ქართლის (ასევე საქართველოს) გვარებზე დაკვირვებამ

---

[1] ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1966 წ.
[2] საქ. მუზ., ფ. Hd №10029.

გვიჩვენა, რომ სახელებად გამოყენებული მეტსახელი, ადამიანის დამახასიათებელი თვისება, მოსაქმეობა თუ სადაურობა შემდგომში საფუძვლად დასდებია გვარის წარმოქმნას. ამა თუ იმ პირთა მოფერებით (კნინობით) შერქმეულმა სახელებმა — **ფოცხვერა, გველუკა, კურდღელა, მელია, მწარია, ცხვირა, მოლა, ქოჩორა, დევლახა, ლომკაცა, ხუმარა, მესტვირე, მაცხონა** და ა.შ. აწარმოვა გვარები: **ფოცხვერაშვილი, ფოცხვერია, გველუკაშვილი, კურდღელაშვილი, კურდღელაძე, მელია, მელაშვილი, მელაძე, მწარიაშვილი, ცხვირაშვილი, ცხვირავაშვილი, ქოჩორაშვილი, ქოჩორაძე, დევლახაშვილი, ლომკაცი, ხუმარაშვილი, მესტვრიშვილი, მაცხონაშვილი.**

**გვარები ხშირად აგებულია ცხოველთა და ფრინველთა სახელებზე.** ასეთია, მაგალითად, ვეფხვაძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომიძე, ლომიაშვილი, მგელაძე, მგელიშვილი, მგელიაშვილი, კურდღელაშვილი, ტურაშვილი, ტურიაშვილი, მელაძე, მელია, დათუნაშვილი, ნადირაძე, ნადირაშვილი, ცხვარიაშვილი, ხარაძე, ღამურაშვილი, გუგულაშვილი, გვრიტიშვილი, ქათამაძე, ბატიშვილი, ბატიაშვილი, გოჭიშვილი, ბულბულარაშვილი, ბუზიაშვილი, ხოხობაშვილი, არწივაძე, ბოჩოლაშვილი, ბულბულაშვილი, გოჭიასშვილი, გვრიტაძე, ზაქისშვილი, თაგვაშვილი, თაგვაძე, თაგუისკუდაშვილი, კაკაბაძე, თიკანაძე, თიკანაშვილი, კატაპარიაშვილი, კოკობაშვილი, კვიცაშვილი, კვიცაძე, ცხოველაშვილი, ძაღლიაშვილი, ღორისწველაშვილი, ღორიჭედაშვილი, მეფორისშვილი და სხვ.

**ადამიანთა სახელებად ქცეულია პიროვნებათა დადებითი ან უარყოფითი თვისებების მაჩვენებელი სახელები,** დამახასიათებელი ჩვევა, მოფერებით-საალერსო, კნინობით-მოფერებითი სიტყვა (თიკუნი) და სხვ. ასეთი ელემენტებისაგან შედგენილი გვარები მრავლად გვხვდება XVIII-XIX საუკუნეების წყაროებში, რომლთა ერთი ნაწილის აღნიშვნა მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს. **ასეთებია: აგაშენაშვილი, ავბეწვასშვილი, აიწურაშვილი, ამუქაშვილი, აპრიალაშვილი, ამყოლაძე, არახველაშვილი, არევაძე, აზიანდაშვილი, არუჭამიაშვილი, არჭამაძე, ახალბედაშვილი, ალონაშვილი, ბლუაშვილი, ბორძიკაძე, ბეღელაძე, ბეღელაშვილი, გამდლიშვილი, გავაკეთაშვილი, გავარდაშვილი, გაიკარაშვილი, გაიმარჯვაშვილი, გაიპარაშვილი, გამგონეიშვილი, გამახარესშვილი, გლახაშვილი, გულმაგარაშვილი, დაკარგულისშვილი, ენაკოლოფაშვილი, ერიქაშვილი, ექსშაყრაშვი-**

ლი, ეშმაკურაშვილი, ერთგულაშვილი, ესმინაშვილი, ვარამიშვილი, ვარდიგულაშვილი, ზარბაზანაშვილი, ზოზიაშვილი, თავქალაშვილი, თოფჩიშვილი (მეთოფიშვილი), თავყულიშვილი, თვალიაშვილი, იტყუილაშვილი, კაკაძე, თაფლიაშვილი, თითილოკაშვილი, კაიკაციშვილი, კარგიშვილი, კბილცეცხლაშვილი, კბილაშვილი, კბილაძე, კეთილაძე, კვერცხიაშვილი, კორდიგლიჯაშვილი, კუჭიაშვილი, მაიკაშვილი, მახტუნაშვილი, კირგიტაშვილი, მარწყვაშვილი, მასხარაშვილი, შავიშვილი, შამფურაშვილი, შიმშილაშვილი, ჩაჩხიპარასშვილი, ჩხუბიაშვილი, ცეცხლაშვილი, ცხრაკბილაშვილი, ცხრაპერანგაშვილი, ცხელიშვილი, ძაროვიაშვილი, წამალაშვილი, წელღიაშვილი, წვერაშვილი, წკრიალაშვილი, ცქრიალაშვილი (იგივე ცქრიალაძე), ჭიკარტაშვილი, ჭუჭყიანი, ხანჯალაშვილი, ხახვიაშვილი, ხახუნაშვილი, საპონაშვილი, სუფიხვრეპიაშვილი, ტყაპუნაშვილი, ფეტვიაშვილი, ფეჩიშვილი, ფუჩეჩაშვილი, ფქვილიაშვილი, ღავლავაშვილი, ყბედაშვილი, ყურდიდაშვილი, შავდემეტრაშვილი, მაღალაშვილი, მოკლესშვილი, ხელფეხაშვილი, მსუქნიძე, მსუქნიშვილი, მტირალიშვილი, პირქუშიშვილი, რჩეულიშვილი, საკვებაშვილი, სამჭკუაშვილი, ობოლაშვილი, ორთავაძე, ოქროკვერცხიშვილი, ოქროპირიძე, საძაგლიშვილი და სხვ. მრავალ გვარს საფუძვლად დაედო პროფესიული ტერმინი: დაბღიშვილი, თოქმაჯიშვილი, კალომლეწავი, კურტანიძე, მებადური, მჭედლიშვილი, მებაღიშვილი, მებზევიშვილი, მებორნიშვილი, მეგემეიშვილი, მეგუთნიშვილი, მეთეფშიშვილი, მეკალუაშვილი, (მეკალოე), მეკოკიშვილი, მეკონდახიშვილი, სარაჯიშვილი (ტერმინი სარაჯი არაბ. უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელი, მეუნაგირე), მეკოშკიშვილი (კოშკის მცველი, მფლობელი ან გამგებელი), მეკრავიშვილი (კრავების მწყემსი ან მომვლელ-შემნახველი), მემარნიშვილი (მარნის მცველი „მარნის გამგებელი"), მენაბდიშვილი, მენაბდე, ნაბადაშვილი (ნაბდის მთელავი), მენაღარაშვილი (ნაღარის დამკვრელი ან მკეთებელი), მეპურიშვილი (პურის მცხობელ-გამყიდველი), მერაბიშვილი (მერაბესარწყავი წყლის გამწესრიგებელი, მერუე), მესაბლიშვილი (საბლის მგრეხელი, საბლის მოხელე), ჩუბინიძე, ჩუბინაშვილი (ჩუბინი, მეისრე), მესარკიშვილი (სარკის მკეთებელი), მესტუმრიშვილი (სტუმართმოყვარე-ავი), მეტივიშვილი (ტივის შემკვრელი და დამცურებელ-მმართავი), მეულუფიშვილი, მექანარიშვილი, მექვევრიშვილი (ქვევრის მკეთებელი, მოხელე), მეღალიშვილი (ღალის ამღები), მეღვინეთუხუცესი

(მეღვინეთა უფროსი, სადვინის უზენაესი გამგე) მეყანწიშვილი (ყანწის მკეთებელი), მეშვილდიშვილი, მშვილდაძე, (მეშვილდე, შვილდის მკეთებელი), მეცხვარიშვილი, მეხუზლა (მეხუთძლე-ხუთძალიან საკრავზე დამკვრელი), მზარეულიშვილი, სარალიძე, მოლარიშვილი (მოლარეთუხუცესი იყო თანამდედობა), მღებრიშვილი „სალებავის მცოდნე ოსტატი" (საბა), კოვზაძე, საცერაძე, საჩეჩელაშვილი, მჩითავიშვილი (ქსოვილის მომჩითავი, „ვინც ჩითავს"), მწერლიშვილი, მწითლავიშვილი (მწითლავი, წითლად შემღებავი), მხატვარი, მხატვრიშვილი (გვარად ქცეული პროფესიული სახელი), ნაბლაშვილი, ნალბანდიშვილი (ნალის მკვრელი (სპარს)), ბაყლიშვილი, დურგლიშვილი (ხუროძე), ხუროშვილი და სხვ.

ზოგიერთ გვარს საფუძვლად უდევს სიტყვა, რომელიც იძლევა ადამიანის სოციალურ დახასიათებას (წარმოშობას): **აზნაურიშვილი, თარხნიშვილი** (**თარხანი** ეწოდებოდა „თავისუფალს". ეს გვარი მიიღეს გიორგი სააკაძის შთამომავლებმა გათავადების შემდეგ, რათა გაერჩიათ სხვა სააკაძეებისაგან, რომლებიც აზნაურებადვე დარჩნენ). ამავე შინაარსისაა **აზატი (აზატაშვილი),** არაბულ-სპარსული სიტყვაა და თავისუფალს ნიშნავს. **ყაზახიშვილი** (ყაზახი თურქული წარმოშობის სიტყვაა, „უსახლკაროს", ბოგანოს, თავისუფალს (შეად. რუს. козак) ნიშნავს, ძველად იხმარებოდა „მდაბიოს", „გლეხის" აღსანიშნავად), **ხიზანიშვილი** (ხიზანი წინათ ერქვა ბატონთან შეკედლებულს, მემამულეთა მიწაზე დასახლებულ თავისუფალ გლეხს). შინაარსით ახლოს დგანან ოჯახური მდგომარეობის გამომხატველი გვარები: **ობოლაძე, ობოლაშვილი, ქვრივიშვილი** და სხვ[1].

ზოგი გვარი შედგენილია **ხელობის, თანამდებობის** აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებული პატივი რგებია **მჭედელს.** საქართველოში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, სახელი მჭედელი-მჭედელთა უაღრესად გავრცელებული სახელი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის 1721 წლის აღწერაში **მჭედელი** მოხსენიებულია შემდეგ სოფლებში: ახალშენში, დურნუკში, ვეძისში, დიდ დაღეთში, ქვემო ოძისში (ბიჭილაშვილი მჭედელი), თეზსში, ახალდაბაში, წიფლარაში, ზემო ანდიკაში და ა.შ. ბარათაანთ გაყრის წიგნში (1523 წ.) სახელი მჭედელი რამდენიმე ადგილას მეორდება. „მჭედლის აღმ-

[1] ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? გვ. 31

ნიშნელი გვარები მრავლად გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყოველ ენაში. ასეთებია, მაგალითად, რუსული **კუზნეცოვი, კოვალიოვი,** უკრაინული, **კოვალი, კოვალენკო,** პოლონური **კოვალევსკი,** სომხური **დარბინიანი, ნალბანდიანი,** ინგლისური **სმიტი,** გერმანული **შმიდტი** და სხვ. ქართულში ასეთი გვარებია: **მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მჭედლიანი, ჭედია, ნალბანდიშვილი** (ნალბანდიც მჭედელია, რომელიც მუშა პირუტყვს ჭედავს, ნალს აკრავს). ძვირფასი ლითონის ოსტატს ოქრომჭედელი ეწოდება, აქედანაა გვარი **ოქრომჭედლიშვილი,** მჭედელს მეგრულად **ჭკადუ** ჰქვია, სვანურად – **მუშკად,** აქედანაა გვარები **ჭკადუა** და **მუშკუდიანი** (ძველი ფორმა მუშკუდიანი გვხვდება XIV ს-ში).

ამავე ხელობის აღმნიშვნელი უნდა იყოს გვარი **ჭელიძე,** რომელიც მიღებული ჩანს **მჭედლიძე**-საგან. ამ ვარაუდის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიხმოთ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი (1578 წლისა), სადაც გურიაში სოფელ ბახვის მცხოვრებთა შორის დასახელებულია ბევრი **მჭედლიძე** (ზაქარია, ხუტია, გიორგი, მიქელა, ოზბეგი, მალაღური, სხვა ხუტია, დეისმანი, უზუნა, სხვა გიორგი, იმრიდონი, ნასყიდა, გიორგა, ივანე, ხუტა, მამისბედა, ზავლა მჭედლიძენი). ამჟამად კი სოფელ ბახვში **მჭედლიძე** არავინაა, მაშინ როცა **ჭელიძეები** მრავლად სახლობენ. ცხადია, ისინი ძველი მჭედლიძეების ჩამომავალნი არიან, თორემ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ მხარეში მჭედლიძეები ყველა ამოწყვეტილიყო და საიდანღაც ჭელიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი გაჩენილიყო"[1].

გვარდაქცეული **სადაურობის** სიტყვებია: **აშკარელი, ავაზნელი, არბოლიშვილი, ავჭალელი, აჭარაძე, ახატნელი, ახმეტელი, ბაზალი, ბაკურიანი, ბარდაველი, ბარნაველი, ბაშინჯაღელი, ბელაქნელი, ბიბილაშვილი** (ბიბილიანი სოფ. მთიულეთში), **ბლორძელი, ბოდაველი, ბორაშვილი** (ბორითი ხორაგაულის რაიონში), **ბოტკოველი, ბოყველი, გიქიმყრელი, გლოველი, გრაკლელი, დორეული, ამრისელაშვილი, ანაგელ-ი, ვარდიგორელი, ზანდუკელი, ზოდელ-ი, თბილელ-ი, თურმანიძე, თუხარელ-ი, თხინვალელი, იზმირელი, ინგილო, იშხნელი, კანზაველი, კარდანალიშვილი, კვეზერელი, კირჩხელი, კლდეისელი, კორინთელი, კორსაველ-ი, კოშკარელი, კოშკელაშვილი, კოჭბი-**

---

[1] ზ. ჭუმბურიძე, „დედაენა ქართული", თბ., 1987, გვ. 307-308.

**ანი, ლეშკაშელ-ი, ლოქოკელ-ი, ლიჩელ-ი, მათურელ-ი, მატაბელი, მაჩაბელი, მაწყვერელი, მარგველაშვილი, მაჩხანელ-ი, მესხი, მესხაძე, მესხელი, მესხია, მესხიშვილი, მესხიძე, მესხორაძე, მესხიკიძე, მეტეხელ-ი, მეტეხელაშვილი, მეტრეველი, მურჯიკნელი, მუხათგვერდელი, მცხეთელიშვილი, ნაბახტეველი** (ნაბახტევი სოფ. ხაშურის რაიონში), **ნაიბიშვილი** (**ნაიბი** არაბ. მოადგილე, შემცვლელი), **ნალეკრიშვილ-ი,** (**ლეკად** ნამყოფი ან ლეკეთიდან დაბრუნებული), **ნაპირელ-ი, ნოლაიდელ-ი, ოკმელაშვილ-ი** (ოკამი, კასპის რაიონი), **ოკრიბელაშვილი** (ოკრიბა-მხარე იმერეთში), **ორბეთიშვილი, ორკოშნელი** (ორკოშანი ნასოფლარია სოფ. ნინოწმინდის ახლოს, საგარეჯოს რაიონში), **ოშხერელი, ოცხელ-ი, პანკისელ-ი, რუსთაველი, სამებელი, სავარ. პაპილაშვილი** (**პაპილეთი** სოფელია ამბროლაურის რაიონში), **რიმნისთაველი** (უკავშირდება რაიონული სოფლის სახელს – **რიმნისთავს**), **რაჭველიშვილი** (სადაური? – რაჭველი), **საჩალელ-ი** (**საჩალე** სოფელია ახმეტის რაიონში), **სეთურ-ი** (სოფელი **სეთურნი** დუშეთის რაიონში), **სრესელი** (ახალუბანი **სრესელი** გორის რაიონში), **ტაბახმელაშვილი** (სოფ. **ტაბახმელა** გარდაბნის რაიონში), **ხადური** (**ხადურიანთკარი** სოფელია გორის რაიონში), **ხანდაველი** (**ხანდო** სოფლებია ახალქალაქისა და წალკის რაიონებში) და სხვ.

**ქართული გვარების მრავალრიცხოვანი ჯგუფი წარმომდგარია ტომის, ეროვნების, კუთხურობის სახელთაგან (ტერმინები და ეთნონიმები).**

**სატომო სახელები გვარად გვხვდება** როგორც წმინდა ფუძით (აფხაზი, ბერძენი, გურული, ლაზი, მესხი, სვანი), ასევე გავრცობილი სახითაც: **აფხაზავა, აფხაიძე, ბერძენიშვილი, ბერძენაძე, ლასხიშვილი, ლაშხია, მესხია, მესხელი, მესხიძე, მესხიშვილი, სვანიძე, სვანიშვილი...**

ქართულ გვარებში გამოიყოფა აგრეთვე მრავალი **სხვა ტომისა** და **ხალხის** სახელწოდება, როგორიცაა: ,,არაბი (**არაბიძე**), თათარი, თურქი (**თათარაშვილი, თათრიშვილი, თათარაძე, თურქაძე, თურქია, თურქიაშვილი**) ალანი, ოსი (**ალანია, ოსიძე, ოსაძე, ოსიშვილი, ოსიყმაშვილი**), ფრანგი (**ფრანგიშვილი, ფრანგულიანი**), ებრაელი (**ებრალიძე, ისრაელაშვილი**), ჩერქეზი (**ჩერქეზია, ჩერქეზიშვილი**), ლეკი (**ლეკიშვილი, ლეკიაშვილი**), ხაზარი (**ხაზარაძე**), ჩაჩანი (**ჩაჩანიძე, ჩაჩანაშვილი**), ქაშაქი (**ქაშაკაშვილი**) და სხვანი. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ

საქართველოს სხვადასხვა კუთხის **წარმომადგენელთა** აღმნიშვნელი გვარები: **ქართველიშვილი** (ფარდია **„ქართლელის შვილი"**, აღმოსავლეთ საქართველოდან გადასულს, – გავრცელებული გვარია დასავლეთ საქართველოში), **იმერლიშვილი** (გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში), **კახეთელიძე, კახელაშვილი, თუშიშვილი, ლაზიშვილი, მეგრელიშვილი, მეგრელიძე, მეგრელაური, მეგრელაძე, რაჭველიშვილი, შონია** (შონი მეგრულად ეწოდება **სვანს**), **ჭანია, ჭანიშვილი, ხევსურიანი** და ა.შ."[1].

ადამიანის **ფიზიკური ნაკლის** აღმნიშვნელი სიტყვებისგან არის მიღებული გვარები: **ბლუაშვილი** (ბ. ხერხეულიძეობას ამბობენ), **მუნჯიშვილი, ყრუაშვილი, კოჭლაშვილი, კვანჭილაშვილი** (კახ. კვანჭილა-კოჭლი), **ტროყაშვილი-ტროყა** ნიშნავს „ტანად დიდსა და მოუხეშავს", „ახმახს", „ტანტრას" (სოფ. მუხათი), **ჩიღვინაძე** (მიღებული ჩანს ჩიყვიანისაგან)[2], **გარეგნულ დახასიათებას** შეიცავენ გვარები: **ცხვირაშვილი, ცხვირავაშვილი, შავდემეტრაშვილი, შავდათუაშვილი, შავტრაკაშვილი, ცხრაკაშვილი, კუდაშვილი, ჭუჭყანი, პირქუშიშვილი, თეთრუაშვილი, თეთრაძე, შავიძე, შავიშვილი, თვალიაშვილი, ყელბერაშვილი, ხელფეხიშვილი, თავქალიშვილი, თვალაძე, თავშავაძე, თავთეთრაშვილი, თავდიდაშვილი, თავყელაშვილი, ცხრაკბილაშვილი, ცხრაპერანგაშვილი, წითლიძე, წითლიაშვილი, წითელაშვილი, წვერავა, წვერაშვილი, წელღიაშვილი, მაღალაძე, მაღალაშვილი, მოკლეშვილი, ოქროპირიძე, ოქროპირიშვილი, გრძელიძე, გრძელიშვილი, დიდიძე, დიდიშვილი, დიდია, პატარაია, პატარაძე, პატარაშვილი, კიკნაძე** (კიკნა ძალიან მცირე, პაწაწინა), **კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრავა** (კუპრი აქ ნახმარია „შავის", „შავგრემანის" აღსანიშნავად, შდრ. **შავიძე, შავიშვილი**), **შავთვალაშვილი, თვალჭრელიძე, ჭრელაშვილი, წითლანაძე, ჭითანავა** (ე.ი. „მწითური". **ჭითა** მეგრულად ნიშნავს „წითელს"), **მშვენიერაძე** და ა.შ.

ზოგჯერ გვარში მოცემულია **პიროვნების დახასიათება ასაკის** მიხედვით: **ბებერაშვილი, სალარიძე** (**სალარ** სპარსულად ნიშნავს „უხუცესს", „უფროსს", „მეთაურს"), **პიროვნების ხასიათი, თვისება; ამყოლაძე, კეთილაძე,** და ა.შ.

---

[1] იხ. ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 31.

როგორც ქართველი მეცნიერები სამართლიანად ასკვნიან, დახასიათების შემცველ ყველა გვარს პიროვნული სახელის ან მეტსახელის საფეხური არ გაუვლია, ზოგ მათგანს უშუალოდაც შეეძლო მიეღო გვარის ფორმა. მაგალითად, სოფელში ცოტა ხნის წინათ მოსულ კაცს, ახალ მოსახლეს, შეიძლებოდა შერქმეოდა **მოსულა[ი]შვილი,** ახალმოსახლეობასთან, მოსულთან უნდა იყოს აგრეთვე დაკავშირებული გვარები: **ახალაძე, ახალაშვილი, ახალაია.** რაიმე მიზეზით აყრილს, მაგრამ შემდეგ ისევ ძველ კერაზე მიბრუნებულს ნიშნავს გვარი **დაბრუნდაშვილი.** მებატონის მიერ მონასტრისადმი შეწირული ყმის ოჯახს შერჩენია **შეწირული,** ვისაც რაიმე ქონებაში წილი ედო, მას მიუღია გვარი **წილოსანი** და ა.შ.

**გვარები** წარმოქმნილია აგრეთვე **ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, საოჯახო ნივთების, თევზებისა და მწერთა, სამეურნეო და საომარი იარაღის, ტანსაცმლისა და ჭურჭლის სახელებიდან.**

გვარებად გვხვდება **სხეულის ნაწილის** სახელებიც (**თვალაძე, კბილაძე**); ზოგი გვარი ნაწარმოებია **დროის აღმნიშვნელი** სიტყვებისაგან (**აღდგომელაშვილი, ზამთარაძე**), გვარებში გვხვდება აგრეთვე **მნათობთა** სახელები (**თვარაძე, ცისკარიძე**).

როგორც ვხედავთ, გვარების წარმოქმის გზები და საშუალებები მეტად მრავალფეროვანია. აქ ჩვენ მკითხველთა ყურადღებას აღარ გადავღლით, მხოლოდ შევახსენებთ, რომ საკითხის უფრო ღრმად შესწავლისათვის შეუძლიათ გაეცნონ ალ. ღლონტის, ილ. მაისურაძის, ზ. ჭუმბურიძის, რ. თოფჩიშვილს და სხვა მეცნიერთა შრომებს, **რომლებიც ქართული გვარ-სახელების გავრცელების, სადაურობის, წარმოშობისა და მნიშვნელობის გვარკვევას ემსახურება.**

შესწავლილი რეგიონის გვარებისთვის დამახასიათებელ რეალიებს შორის ზოგიერთი სახელი და შემდგომ მისგან ნაწარმოები გვარი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. აღსანიშნავია სახელები **აზატა, მარქარა, ასლანა, თოფჩი, დოლმაზა, ასლამაზა, მჭედელი** (ა), **დალაქი, ყავილი** (ა), **ზაალა** (**ზაალი**), **ალიბეგა, ალიხანა, სარგისა, მელიქა** (ო), **ბაღდასარა, ბუდახა, ბაინდურა, არუთინა, მურადა, მარბეგა, აბულფათი და მათგან ნაწარმოები გვარები, — აზატაშვილი, მარქარაშვილი, ასლანაშვილი, თოფჩიშვილი, დოლმაზაშვილი, ასლამაზაშვილი, მჭედლიშვილი, დალაქიშვილი, ყავილაშვილი, ზაალ-**

**იშვილი, ალიბეგაშვილი, ალიხანაშვილი, სარგისაშვილი, მელიქიშვილი, მელიქიძე, ბაღდასარაშვილი, ბუდახაშვილი, ბაინდურაშვილი, არუთინაშვილი, მურადაშვილი...**

**აზატ**-ა სპარსული წარმოშობის სიტყვაა და განთავისუფლებულს, თავისუფალს ნიშნავს. ყმა-გლეხს რომ გაათავისუფლებდნენ, იტყოდნენ გააზატებულიაო (შეადარეთ თარხანს). ჩვენი წინაპრები ამ ტერმინს შემოსვლის დღიდან თავიანთ შვილებს მარტო სახელად „აზატას" როდი არქმევდნენ, შემდგომად გვარად იქცა. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის სოფ. კოდაში დღესაც ცხოვრობენ **აზატაშვილები**. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1873-1886 წლების კამერალური აღწერის მიხედვით **აზატაშვილები** (მოგვიანებით რუსული გაფორმებით **აზატოვები**) **სარწმუნოებით მართლმადიდებლები, ტომით ქართველები არიან და, რათქმა უნდა, მათი მშობლიური ენა ქართულია.**

**მარქარა** ქვემო ქართლში გავრცელებული სახელი იყო. მხოლოდ 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში ორჯერაა მოხსენიებული ამ სახელიდან მომდინარე გვარი **მარქარაშვილი**. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ 56 წიგნიდან, მე-13, №117, იოთამ **გიორგისშვილისა** და ორბელ **ბარათაშვილების** გაყრის (1536 წ.) აღნიშნულია, რომ „ქ. მიხუდა იოთამს საუხუცესოდ კარშაგარს... **მარქარაშვილი**".

**ამირხანა მარქარაშვილი** მოიხსენიება 1620 წელს. 1705 წელს სოფელ წინწყაროში მცხოვრებ მარქარაშვილებს-დურგალ გიორგის, დურგალ ოსებას, მჭედელ ავეტიზას, ჭონ ასლამაზს კათალიკოსი დომენტი III ათარხნებს (ათავისუფლებს. – ი.ა.).

მებატონე **სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს ზედა** ირდისუბანში მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული **მახარაშვილისა** და გიორგის საზღვრამდე.

მარქარაშვილი მრავალ სოფლეში გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1721 წელს ჩატარებულ აღწერის მასალებში. მარქარაშვილები ცხოვრობდნენ სოფლებში: კოჯორი, კრეფა, სუგეჩანი, დრე, მირტაშენი, სამწვერისი და სხვ.

ამჟამად მარქარაშვილები (ზოგჯერ მარქაროვი) ქართლის რამდენიმე სოფლეში ცხოვრობენ. საინტერესოა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდაში საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა. იგი გვაუწ-

[illegible], რომ გვარი ჯერ კიდევ რუსული გაფორმებით მარქაროვად [illegible] დაფიქსირებულა და მარქარაშვილები **(XX საუკუნის დასაწყისიდან მარქაროვები) ტომით, ჩამომავლობით ქართველები არიან და მათი მშობლიური ენა ქართულია.**

**მარქარაშვილთა** გვარი, რომლებიც **შერმაზანაშვილებადაც** იწ-ერებოდნენ, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან რუსულად გაფორმდა, სომხურმა ეკლესიამ სომეხ-გრიგორიანებად მონათლა[1].

ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას 1976 წელს დმანისის რაიონის სოფ. ვარდისუბანში ასეთი საინტერესო მასალა აქვს დაფიქსირებული. ვარდისუბანში ცხოვრობენ ქართველები და სომხები. სომხები იწერებიან **მინასიანცებად, მიქაელიანცებად, ავაქიანებად** და **მარქარიანებად,** პასპორტშიც მათ უწერიათ რომ არიან სომხები. მათ სომხური ენა არ იციან. **მათი მშობლიური ენა ქართულია.** ყოფითი წესჩვეულებებით და კულტურის ყველა ნიშნით ქართველები არიან, სომხურ ყოფასთან არაფერი მათ არ აკავშირებთ. თითქოს ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ სომხების ქართველებთან ასიმილაციას უნდა ჰქონოდა ადგილი, სინამდვილეში კი ეს ასე არ არისო, წერს ნ. ვოლკოვა. გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ აქაური სომხური გვარების მატარებლები წარმოშობით ქართველები არიან და აქ ასიოდე წლის წინ მოსულან სხვადასხვა რაიონებიდან. ასე, მაგ., **მინასიანცების და მიქაელიანცების წინაპარი დილმელი თეთრაძეები ყოფილან,** რომლებიც დილმიდან სამი თაობის წინ გადასულან. **მარქაროვების** წინაპარი გორელი **მენაბდიშვილები** ყოფილან. მარქაროვებს ვარდისუბანში ახლაც მენაბდიანთ ეძახიან (პატრონიმიულ სახელს) და არა მარქაროვებს. აქაურებს კარგად ახსოვთ თუ როგორ შეუცვალა ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ ქართველებს ქართული გვარები სომხურად[2]. ჩვენ მიერ 1985 წ. ამავე სოფელში იგივე მასალა იქნა დამოწმებული. მაგ., **სიმონიშვილებს** სომეხმა მებატონემ **სიმონიანცებად** გადაუკეთა გვარი[3].

**ასლამაზ** ქართველური საკუთარი სახელია. აქედანაა ნაწარ-

---

[1] მარქარა სახელიდან მაკარ (ბერძ.) „ნეტარი", „ბედნიერი"-დან უნდა მომდინარე-[illegible], შდრ. მაკარაძე, მაკარაშვილი.

[2] Н. Г. Волкова, Этнические процессы в Грузинской ССР, Этнические и культурно-бытовые процессы на Кавказе, М., 1978, გვ. 17.

[3] შიდა ქართლი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1987, გვ. 16.

მოები გვარი **ასლამაზაშვილი (ნ. ბარათაშვილთა გაყრის წიგნი,** 1537-1538 წწ.).

**თოფჩი (თოფჩა)** იგივე „მეთოფეა", აქედანაა მიღებული გვარი **თოფჩიშვილი.** (შდრ. **ყაუხჩი** – სპარსულად მენავე), 1503 წელს გვხვდება აგრეთვე გვარი **მეთოფიშვილი.** თოფჩიშვილი მოიხსენიება ბარათიანთ გაყრის წიგნში (1536 წ.). სარგის კაკაბაძე ვარაუდობს, რომ უკვე 1500 წლის ახლო ხანებში ქართლში იყვნენ თოფჩები-მეთოფეები[1].

**თოფჩიშვილები** მოხსენიებული არიან 1691 წ. დოკუმენტში. იგი შეეხება სათარხნის წყალობას, რომელიც გაცემულია გიორგი მეფის მიერ თოფჩიშვილებისადმი, სადაც ნათქვამია: **„... ქ. ჩვენ, მღუთივ ამაღლებულმან მღუთივ გუირგუინოსანმან იესეან-დავითიან სოლომონიან პანკრატიონ მეფეთ-მეფემან და სახელმწიფემან პატრონმან გიორგიმან, თანამხედრემან ჩუენმან დედოფალ-დედოფალმან ბატონმან ხორაშან, პირმშრომან და სასურველმან ძემან ჩუენმან ბაგრატ ესე ამიერ ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ თოფჩიშვილს დათუნასა და ძმასა თქვენსას მამუკასა, გიორგისა, პაპუნასა, თანიასა, ხოსიასა, იასესა, შაბურსა, დემეტრესა, მერუკას, ჯანაშიასა. მომავალს სახლისა თქვუნესათა"**[2]. წყალობის წიგნი გვაუწყებს **თოფჩიშვილები,** **როგორც ქართველები** და **ქართველთა ჩამომავალნი,** მეფის მიერ შემდგომადაც თავისუფლდებიან ყველა სახის გადასახადისგან, გარდა „ჩუენსა ერთგულებასა სამსახურსა შინა"[3].

**დოლმაზა** (სინონიმია **დონმაზა**) ქართველური საკუთარი სახელია. იგი მრავალ ძველ ისტორიულ წყაროში გვხვდება (მაგ., საქ. სიძვ., II, გვ. 253, ვახუშტი, გეოგრ. ბარათაანთ გაყრის წიგნი, 1536 წ.), **დოლმაზამ** XVIII საუკუნეში დასაბამი მისცა **დოლმაზაშვილების** გვარს (დღეისათვის ამ გვარის ზოგიერთი ნაშიერი რიგ მიზეზთა გამო დოლმაზოვად ეკურთხა).

ჩვენს წინაპრებში **„არუთინას"** შემოსვლამდე იყო სახელი **„არუფინა"**. მომდინარეობს ბერძნულიდან **არფა,** ნიშნავს ქნარს (შდ.

---

[1] საისტორიო მოამბე, წიგ. I, 1924, გვ. 178.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოჩიალური ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1961 წ., გვ. 90.

[3] იქვე. გვ. 90.

სომხ. სახელს ქნარიკ). სომხებში გავქვს სახელი **ჰარუთინ,** ნიშნავს „მკვდრეთით აღდგომას“ შდრ. **აღდგომელაშვილი, ზატიკაშვილი** (სომხ. **ზატიკ** – აღდგომა) იხ. ქართული **ზადიკი**. ცნობილია გვარი **არუფინაშვილი** (საქ. სიძვ. I, 100), მოგვიანებით, XIX საუკუნის II ნახევრიდან, ცვლის სახელი არუთინა, ხოლო **არუფინაშვილს-არუთინაშვილი** (ამჟამად ზოგჯერ **არუთინოვი**). ამ გარემოებამ არ უნდა დაგვაფიქროს, რადგან გვარ-სახელის თუ სარწმუნოების ხელოვნურმა შეცვლამ, შეუძლებელია გავლენა იქონიოს მის მატარებელთა ეროვნებაზე, ზნე-ჩვეულებებსა და ანთროპოლოგიურ თვისებებზე.

სიტყვა **არუთინა** თურქული· წარმოშობისაა და **მექანარესქანარის** დამკვრელს ნიშნავდა. „არუთინა-დაგვიყენებია აუშთარის თავილდარად (ე.ი. აბჯრის დამცველად, საჯაბადროს მოხელედ (იხ. „დასტურლამალი“, გვ. 672, წიგნში: „ქართული სამართლის ძეგლები“), არუთინა მეზინჯე „ნაღირახანის მოხელენი დაგვიყენებია... მესინჯე-გოგინა, მესინჯე – არუთინა“ (გვ. 661). მეზინჯე ზინჯის მცემელი, დამკვრელი. **პეტრე უმიკაშვილი** ასე განმარტავს სიტყვა **სინჯს**: „სპ. სინჯი თეფშის მსგავსი საკრავი თითბრისა, გარს ეჟვნებიანი, რომელსაც ერთმანეთს სცემენ ხმის გამოსაცემად“ (გვ. 798).

სახელი **ბუდახა** გვხვდება მრავალ ისტორიულ წყაროში, მათ შორის ბარათაანთ გაყრის წიგნში (1536 წ.) და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერაში (1721 წ.). **ბუდახაშვილები** ვახუშტითა და საქართველოს ცენტრარქივში დაცული კამერალური აღწერის მასალებით XVIII-XX სს. ცხოვრობდნენ ეშვისწყაროს, ერტისსა და წალასყურში (ამ გვარის ჩამომავლები მიზეზთა გამო ბუდაღოვად ეწერებოდნენ. მათი ისტორიულად კუთვნილი გვარია **ბუდახაშვილი**[1]. **ისინი სარწმუნოებით მართლმადიდებლები, ტომით ქართველები არიან, დავით გარეჯის მონასტრის გლეხები ყოფილან** (სცსსა, ფ. 254, I, 81, ფურც. 12-13, 1823 წ.).

საქართველოში ადრეული საუკუნეებიდანაა ცნობილი სახელი **სარგის** (პ. ინგორ., სვან., 2, 50). **სარგის** (პ. ინგორ., სვან., 2, 27, ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲗᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘ, ჩვენი დროის ცნობილი ისტორიკოსი და მოღვაწე ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ). ქართველებს ჰქონდათ გვარი **სარგისაშვილი.** მაგალითად, ბარათაანთ გაყრის წიგნით (1536 წ.) დიღმაშენს ᲡᲐᲠᲒᲘᲡᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ წილად ხვდა **იოთამ გიორგისშვილს** („ბარათაანთ

[1] ვახუშტი, 76, 227.

გაყრის წიგნი 1536 წლისა, საისტორიო მოამბე, წიგნ. I, 1924, გვ. 184). მოგვიანებით სახელი **სარგის სარქისად,** ხოლო **სარგისაშვილი სარქისაშვილი** (ზოგჯერ კი **სარქისოვად**) გადაკეთდა.

ქვემო ქართლში (აცუთი, აკანათი, მუხათი) გვხვდება სახელი **ბაღდასარა,** აგრეთვე XX საუკუნის დასაწყისამდე (სოფ. მუხათში) ბაღდასარაშვილთა მრავალი კომლი (დღეს მცირე ნაწილი ბოლო დრომდე ბაღდასაროვად ეწერებოდა, ხოლო დანარჩენებმა **დავითაშვილებად** და **ნონიაშვილებად** გადაიკეთეს გვარი). **დავით დავითაშვილის (72 წლის) გადმოცემით მათი გვარი ნონიაშვილი** ყოფილა, რის გამოც დღესაც **ნონიაანთს** ეძახიან. მის პაპის პაპას სოფელში ყველაზე კარგი ბაღი ჰქონია, ვენახი და ღობეები სხვებისგან გამორჩეულად შესრული. ხალხთან ურთიერთობისას თურმე სულ ბაღსა და სარზე უყვარდა საუბარი, აქედან შეერქვა **მეტსახელი ბაღდასარი,** რომელმაც შემდგომში **ნონიაშვილების** გვარი შეცვალა და **ბაღდასარაშვილებად** იწოდნენ. დიახ, ბაღდასარაშვილად არიან ისინი შეტანილი საქართველოს ცენტრ. არქივში დაცულ კამერალურ აღწერების სიებში 1873 და 1886 წლებში (იხ. სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც., 273-274). **ბაღდასარაშვილები ახალციხეში კათოლიკები იყვნენ.** (შეცდომით ზოგი გვარის ბაგდასარიანსა და ბოგდანოვს ადარებს).

გარისის მიწა-წყალზე მცხოვრებთა გვარ-სახელების შეგროვებაზე მუშაობამ გვიჩვენა, რომ ადგილი ჰქონია ხშირ მიგრაციას. შეინიშნება გარკვეული ტეხილი. **ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს,** რომ ეს ტეხილი მოხდა ადგილობრივ-ნაწილობრივი გახიზვნისა და მოსულთა მძლავრი ტალღების ინფილტრაციის შედეგად. იგი ამას უკავშირებს VIII საუკუნის 20-30-იან წლებში აღმ. საქართველოში ხაზართა და არაბთა (მასლამა) შემოსევასა და ქართლ-ეგრისში მურვან ყრუს დამარბეველ ლაშქრობას. რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში სწორედ ამ დროს მოსახლეობა გახიზნულა, ამის პირდაპირი მოწმობაა თვით **მირის და არჩილის გადასვლა ეგრისსა და აფხაზეთში.** ასე რომ, არსებითად, სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომელიც ამ დროს უკავშირებს აღმოსავლური ქართული მოსახლეობის გაჩენას იმერეთსა და გურიაში[1].

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ არა მარტო ცალკეული

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I-II, თბ., 1913, გვ. 352-363.

ოჯახები, ზოგჯერ მთელი სოფელიც იყრებოდა. მსგავს მიგრაციას ადგილი ჰქონდა, როგორც ქვემო ქართლის, ისე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. დღეს, მაგალითად, რთული დასადგენია გვარები: **ბერიშვილი, ხუციშვილი, სააკაძე, ნავროზაშვილი, ხოსიტაშვილი, ელიკაშვილი, ოთიაშვილი, ახალკაციშვილი, ქიტიაშვილი, ზუბიაშვილი, გულიაშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, მაკარიძე, ბექიტაშვილი, დემეტრაშვილი, ფეიქრიშვილი, ალნიაშვილი, ჯავახიშვილი, როინიშვილი, ბერუაშვილი, ჩაფიძე, ახალკაცი, მახარაშვილი, რამაზაშვილი, იაკობაშვილი, ლაშქარაშვილი, ღვინიაშვილი, შიოშვილი, მირიანაშვილი, მამაცაშვილი, ვარდიაშვილი, ნამორაძე, აბრამიშვილი, ნანუაშვილი, გარსევანიშვილი, ჩივაძე, ქრივიშვილი** ქვემო ქართლიდან და ზემო ქართლში, კახეთში, ამბროლაური, ონის, ჭიათურისა და მთელ რიგ სხვა რეგიონებში გადავიდნენ, თუ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე ამ მხარეებიდან ჩამოვიდნენ ამ კუთხეში. ჩვენი აზრით, აღნიშნულ გვარებს ქვემო ქართლში უნდა ეცხოვრათ და აქედან მტრის გამუდმებული მუქარისათვის თავი დაეღწიათ. ამ მიმართებით საგულისხმოა **ბერიშვილების** გვარი: **ონის რაიონში ბერიშვილები ცხოვრობენ სოფლებში გლოლა, სორი, ნაკიეთი** და მოგვარეები ერთმანეთს არ იცნობენ, ნათესაური კავშირი არ გააჩნიათ და წინაპართა გადმოცემითაც იციან, რომ უწინ ბარად ცხოვრობდნენ და მოგვიანებით ამოვიდნენ მთაში. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ **ბერიშვილთა** ერთი მოდგმა საკვებად უპირატესად **სიმინდს** იყენებს, მეორე კი **ხორბალს**, რაც უმთავრესად, გლოლურ ყოფას ასახავს.

რაჭულ კილოს, როგორც ეს საზღვრების აღწერიდან ჩანდა, ამეზობლებდა ქართული ენის კილოები – **იმერული, ლეჩხუმური** და **ქართლური**. ქვემორაჭულს დიდი მსგავსება აქვს ქვემოიმერულთან და ლეჩხუმურთან. ჭიორულ-ღებურში სვანურის გავლენის თუ სვანური სუბსტრატის კვალი შეიმჩნევა. სრულიად განცალკევებით დგას გლოლური. მასში საკმაოდ მკვიდრად დაცულია გრამატიკული არქაიზმები (სახელის მრავლობითობის **ნ** ნიშნის ხშირი ხმარება, ნამყოში III პირის მრავლობითობის-**ეს** სუფიქსის შემონახვა, შემასმენლის შეთანხმება **ნ**-არიან ობიექტთან, განაყოფთა გვარების წარმოება და სხვ., რაც გლოლურს ამჟამად მთის კილოებთან და ისტორიულ აღმოსავლურ დიალექტებთან აკავშირებს, რასაც ადას-

ტურებენ ეთნოგრაფიული ფაქტები, მუსიკაში კომპოზიტორ დიმ. არაყიშვილის დასაბუთებით, სიმღერები, გადმოცემები და სხვა მონაცემებიც[1] ...სოფ. გლოლას მოსახლეთა მეტყველება თავისი სპეციფიკური მოვლენებით სამივე რაჭული კილოკავისგან საკმაოდ განსხვავდება[2].

ამ ტერიტორიაზე პროფესიონალ-არქეოლოგების მოსვლამდე გათხრები წარმოებდა. როგორც **დარჩი ალალის ძე ახიჯანოვს** (1953 წ. 70 წლისა) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელ **გიორგი ჯალაბაძესთან** საუბარში უთქვამს, ერთ ვარხუნოელ კაცს თბილისში ჰქონია ქარვასლა, სადაც 60 წლის უკან (მასალა 1953 წელსაა ჩაწერილი) კახელი ბერიკაცი შვილებთან ერთად გაჩერებულა. ქარვასლის პატრონს ვიანობა და სადაურობა უკითხავს, **ჭივჭიველი** ვარო, უპასუხია. აღსანიშნავია, ვარხუნოელები დღესაც ჭივჭიველობას უფრო ჩემულობენ. თუმცა **ვარხუნოც** ისეთივე ძველი სოფელია, როგორც **ჭივჭივა**. 1706 წლის აღწერიდან ვიგებთ, რომ ვარხუნოელი გლეხი საკმაოდ მოძლიერებულია. მაგ., ვარხუნოელ ერთ საკომლო **ნურალაშვილს** გააჩნია თავისი ადგილ-მამული, მიწა-წყალი, მთა, ბარი, სახნავი, უხნავი, სახლ-კარი, ჭურ-მარანი, წისქვილი, ტყე და ველი. 1721 წ. აღწერით 34 აზნაური ყოფილა, ძირითადად, **არეშიშვილები.** ანალოგიური მდგომარეობა იყო ჭივჭავშიც. არც ჭივჭავსა და არც ვარხუნოში ვენახი არ გვარობს, მაგრამ საბუთებში ჭურ-მარანი მაინცაა მოხსენიებული. მამულშიც ვენახი იგულისხმება და შესაძლოა ვარხუნოელებსა და ჭივჭაველებს, როგორც სხვა სოფლის მკვიდრთაც, დაბლა ბარში ზვრები გააჩნდათ. მოხუცს კარგად მოუხსენებია ეს მხარე და უთქვამს: „ჩვენი წინაპრები ჭივჭავადან არიან კახეთში გაქცეულები. მანდ ძალიან დიდძალი ქონება დაგვრჩა და თუ შევძელი, უნდა წავიდე მოვიძიოო“. მაგრამ ეს კაცი ისე ყოფილა დაუძლურებული, რომ ქალაქშივე გარდაიცვალა, შვილებს ჭივჭივასთვის აღარ მიუკითხავთ, მექარვასლე კი ჭივჭავარს ნასოფლარს თხრიდა და განძს ეძებდა, შემდეგ სხვა ვარხუნოელებიც თურმე აჰყოლიან,

[1] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961 წ., გვ. 500.
[2] იქვე, 501.

მაგრამ მოხალისე „არქეოლოგებმა“ ბევრი საუკეთესო ზოდი, ალბათ მიწაში ჩააყოლეს, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე სიძველის ნაშთი, რომელთაგან აღსანიშნავია **„გუთნის დედის“** საფლავის ქვა (გუთნისდედობა, იმთავითვე, საპატიო საქმიანობად ითვლებოდა. რაც საფლავის ქვის ჩუქურთმიდანაც ჩანს). მთაგორიანი მხარე, გაუვალი ტყეები, ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ქართველ ხალხს აიძულებდა, დროებით თუ ხანგრძლივად გახიზნულიყო, მტრისაგან თავი დაეღწია და სიცოცხლე შეენარჩუნებინა. ქალაქ ონიდან თბილისში ჩამოსახლებულ **ოთარ ბერიშვილის** აზრით, უწინ აღმოსავლეთ საქართველოდან რაჭისაკენ მიმავალ **გლოლის** გზის სახელწოდება დამახინჯებულია. ამ მხრიდან ხალხი იძულებით იყრებოდა და **გლოვით, ქვითინით, ტირილითა** და **ვიშვიშით** მიდიოდა უფრო საიმედო ადგილას. უნდა რქმეოდა **გლოვის** გზა, ამ გზის პირას დაარსებული სოფელიც, აწინდელი **გლოლა** (ონის რაიონი) **გლოვასთან** უნდა იყოს დაკავშირებული. აქედანაა მიღებული გვარი **გლოველი**. კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ბევრს არაქართულად მიაჩნია სახელი **ბალდასარა, დოლმაზა, ხუდავერდა, ბეგა, საქუა, მარქარა**. მსგავსი შეხედულების მცდარობა უცბად გაქარწყლდება, თუ ბარათიანთა (ბარათაშვილების) სახელებს გავიხსენებთ. ისიც გავითვალისწინოთ რომ გვართა წარმოქმნას არაიშვიათად პროფესიული საქმიანობაც ედებოდა საფუძვლად. (სახელი და ფუძე არაიშვიათად უცხოურია, მაგრამ მათი მფლობელები ქართველები არიან).

თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები **საგინაშვილების** ერთ-ერთი წარმომადგენელი კახეთში გახიზნულა, კარგა ხნის შემდეგ როცა უკან დაბრუნების პირობები შექმნილა, თან თავისი ყმები წამოუყვანია. დღეს ისინი **ბაიდარაშვილების** გვარით არიან ცნობილი და ცხოვრობენ ჩხიკვთაში, ფარცხისში, მაწევანში და თბილისში.

იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ №15 მუხლში ვკითხულობთ: „რადგან გვარით არის სახელი, ვინც მოკვდეს და მერე შვილსა, ძმასა და ბიძაშვილსა მიეცეს მისი სახელიო“, მართლაც, მამასახლისშვილი, მუჯირი და სხვა ადამიანის საქმიანობას აღნიშნავს.

ქართულ გვარ-სახელთა შესახებ რაც უნდა დაიწეროს და ითქვას, ამ საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენისადმი ადამიანთა

ინტერესი არ შენელდება და მაინც აბსოლუტურად ჭეშმარიტ განმარტებას ვერ მივიღებთ.

ქართულ წერილობით წყაროებში, ძველი აღმოსავლეთის ეპიგრაფიკულ და წიგნობრივ ძეგლებში, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე დღემდე მოღწეულია ანალების დიდძალი პატრონომიკული მასალა, ისტორიული თხზულება „ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა (1721 წ.), მეფე ვახტანგ VI მიერ შედგენილი „დასტურლამალი", „ქართული სამართლის ძეგლები", „საისტორიო ძიებანი", სოციალური ისტორიის დოკუმენტები, ქრონიკები, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ცენტრალურ არქივში დაცული კამერალური აღწერის, საქართველოს მუზეუმისა და სხვა ფონდების მასალები, რომლებიც უამრავ საინტერესო ფაქტს შეიცავს, სოფლების, რეგიონებისა და რესპუბლიკის მასშტაბით უნდა დამუშავდეს და მკითხველის სამსჯავროზე უნდა იქნეს გამოტანილი.

წინამდებარე ცნობარი თითქოს სცილდება ზოგად, ეპიზოდურ დაკვირვებას. იგი ეყრდნობა დღემდე გამოქვეყნებულ თუ უცნობ საარქივო მასალას, გვარის ეტიმოლოგიაზე სრულყოფილი, ამომწურავი პასუხის პრეტენზიას მაინც არ აცხადებს.

როგორც უკვე ითქვა, ნაშრომს ერთვის ვრცელი ინფორმაციები, სადაც გაშუქებულია გვარის წარმოშობის ისტორია, მითითებულია წყარო, სპეციალური ლიტერატურა.

მოცემულია გვარსახელის გავრცელების არეალი, შემოსული და ქართველურ სახელად ქცეული ტერმინის სადაურობა, შინაარსი, ზოგ შემთხვევაში მოყვანილია ხალხური თქმულებები ცალკეულ საგვარეულობებზე.

ერთი ფუძიდან რამდენიმე შტოს წარმოშობის ნიმუშად ძალზე ვრცლადა გვაქვს აღწერილი „მეწინავე სადროშოს" საბარათიანოს მოკლე ისტორია და გვართა შემადგენლობა-დახასიათება.

ბიბლიოგრაფიაში განსახილველ ერთეულებად შეტანილი ქართულ გვართა ნაწილი გაქრა, ზოგიერთი კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემოგვრჩა.

ზოგიერთ გვართან არსებული ამხსნელი ტექსტის სიძუნწე ბიბლიოგრაფიული მასალის სიმცირითა და გვარის სიახლგაზრ-

დეითაა გამოწვეული. ახლად წარმოშობილ გვართა რიცხვი აღნიშნულ რეგიონში საკმაოდ დიდია.

სხვადასხვა ტომის ხალხში ხშირად ვხვდებით ერთი და იმავე ძირიდან მომდინარე გვარებს (ნ. დანართი 4).

ქართული, მათ შორის წიგნში შესული ბევრი გვარის ძირი იმ წმინდანთა სახელებიდანაცაა ნაწარმოები, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობდა **(ნ. დანართი 5).** როგორც ითქვა, ამ მიმართებით არც სხვა ტომთა გვარ-სახელებია გამონაკლისი. უინტერესო არ უნდა იყოს რუსულ (უკრაინულ) გვარებთან შეჯერება **(ნ. დანართი 6).**

# გარისიდან თეთრწყარომდე

**გარისი** (დღევანდელი **თეთრი წყარო**) ისტორიულად ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილია. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში **„ფარნავაზ უშიშ იქნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურისა ზედა და განამრავლნა ყოველი მკვიდრნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტნი და შექმნა საერისთავოები**; მათ შორის... 4. **სამშვილდის „სკვირეთის"[1] მდინარითგან, ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი..."[2].**

ფარნავაზმა ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა – ქართლის სამეფო დაყო (**მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრახის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის საერისთავოებად**) და სათავეში **ერისთავები** ჩაუყენა. ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი დაყოფა და შემოღებული წესი საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგებლობის შემდგომ ისტორიას.

საქართველოს (სხვადასხვა დროს) ტერიტორიის მხარეებად (საერისთავოებად) დაყოფისას, ანტიკურ ხანაში (**ფარნავაზი** ძვ. წ. IV-III სს.), ადრეფეოდალურში (**ვახტანგ გორგასალი** V-VI სს.) განსახილველი კუთხე **სამშვილდის** სახელით გვხვდება, შუა საუკუნეებში (**თამარი**, XII-XIII სს.) კი **ქართლის საერისთავოშია** მოქცეული.

XV საუკუნის დამლევს საქართველოს მთლიანობა ირღვევა და მის ტერიტორიაზე იქმნება **ქართლის, კახეთისა** და **იმერეთის სამეფოები**, ხოლო შემდეგ ემატება **სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის, სვანეთისა** და **სამცხის** სამთავროები, რომელთაგან მოგვიანებით ზოგიერთი წვრილ ტერიტორიულ ერთეულებად დანაწილდა. მაგალითად, ქართლი ოთხ სადროშოდ (**ზემო ქართლი, სომხით-საბარათიანო, სამუხრანბატონო** და **მეფის სადროშო**), ზოგი კი სათავადოებად (სენიორებად) გაიყო.

საქართველოს უძველესი ადმინისტრაციული დაყოფა ხევების მიხედვით ხდებოდა. **„ხევი"** იყო ძირითადი ტერიტორიულ-ადმინის-

[1] მდინარე სკვირეთი, დღეს მდ. მაშავერა.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23-24.

ტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოშიც, ოღონდ მოცულობით ზოგჯერ ფართოვდებოდა-მეზობელ ხევებს იერთებდა, ზოგჯერ კი ისევ მცირდებოდა.

შუაფეოდალურ ხანაში ჩნდება **მანგლისის** ხევი და **კლდეკარის საერისთავო** (ყოფილი სამშვილდე), ე.ი. მოგვიანებით შექმნილ საბარათიანოს ცვლის მანგლისის ხევი, თრიალეთს-კლდეკარის საერისთავო.

ვახუშტი ბატონიშვილს, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაზე მრავალი ძვირფასი ცნობა აქვს შეკრებილი, ამ მხარეში მოიხსენიებს ჰივ-ჰივას, ირაგის, ალგეთის, ასურეთის, ზას ხეობებს, ბოგვისა და ზრბითის ხევს, თრიალეთსა და კოდას.

ალგეთის პირას მდებარე ,,მანგლისის ხევი'' ზოგჯერ მოიცავდა სკვირეთის ზემო წელსაც და მდ. ქციას[1] თრიალეთამდე. ცენტრი იყო მანგლისი საეპისკოპოსო საყრდითა და განთქმული თავისი დიდებული ტაძრით.

შედარებით ამ მცირე ერთეულების გარდა, წყაროების მიხედვით ქვემო ქართლში სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟიდანვე ორი საერისთავო არსებობდა: **გარდაბნის, ანუ ხუნანისა** და **გაჩიანის** (შემდგომში **სამშვილდის**).

გაჩიანის მხარე, ანუ სამშვილდის საერისთავო, ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაპირო საერისთავო იყო. ქართული წყაროების მიხედვით, ხუნანისა და საერისთავოების სამეფო სახლის მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენდა. ამიტომ იყო, რომ ხშირად ქართლის სამეფოს საგვარეულოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი შთამომავლები მართავდნენ.

**ქვემო ქართლის ტერიტორიის დიდი ნაწილი XV საუკუნიდან ერთ სათავადო საფეოდალოდ, საბარათიანოდ გაერთიანდა. პოლიტიკური ცენტრი სამშვილდე იყო. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, XVI-XVIIსაუკუნეებში ეს ერთიანი სათავადო დაიშალა რამდენიმე ცალკეულ საფეოდალოდ.**

XVIII საუკუნე ძნელბედობის პერიოდია. 1723-1735 წლები ყიზილბაშთა ბატონობის — ,,ოსმალობის'' ხანაა: ამ პერიოდში ქვემო ქართლის აღწერა ჩაუტარებია ვახუშტი ბაგრატიონს, რის მიხედვი-

[1] მდ. ხრამს უწინ ქცია ერქვა.

თაც, აქ **697 სოფელი** ყოფილა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ეს მხარე ერთობ დამცრომილი ჩანს. ყიზილბაშთა ბატონობის, „ყიზილბაშობის" (1735-1747 წწ.) დროს, რასაც ერთვოდა ლეკთა გამუდმებული თავდასხმები, ამ მხარის მოსახლეობა მასობრივად იჟლიტებოდა და იფანტებოდა, იცლებოდა და ვერანდებოდა სოფლები. **ძველი სოფლებიდან ნახევრად დაცლილი 97 სოფელი დარჩა.** ამ მხრივ შედარებით მყარი აღმოჩნდა დღევანდელი **თეთრი წყაროს რაიონის სოფლები.** აქ ძველ სოფელთა რიცხვი **46** ერთეულს შეადგენს. **მარნეულის რაიონში** შემოგვრჩა 11 სოფელი, **წალკის რაიონში – 3** სოფელი, **დმანისისა** და **ბოლნისის** რაიონში **– თორმეტ-თორმეტი, 11** სოფელი კი დღევანდელი **გარდაბნის რაიონის** ტერიტორიაზეა.

რადგანაც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ჩატარებული აღწერა გარისის მოსახლეობასა და სოფლებზე მთავარ წყაროს წარმოადგენს XVIII საუკუნის I მეოთხედამდე (აღწერა ჩატარდა 1721 წ.), ამიტომ ძირითადად ამ ისტორიული დოკუმენტით ვიხელმძღვანელებთ.

ვახუშტის მიხედვით (საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904 წ.), გარისის მიწაზე აღრიცხულია **186** სოფელი. მეცნიერები ის. ლორთქიფანიძე („ქვემო ქართლი", წიგნი I და II, 1935 წ.), **ვ. გონგაძე** (თეთრი წყარო, წარსული და აწმყო", თბ., 1957 წ.) წერენ, რომ ამ მხარეში 186 სოფლიდან გარეშე მტრების თარეშს ვეღარ გადაურჩა **126** სოფელი. წიგნზე მუშაობისას გაირკვა, რომ ამ რეგიონში იყო არა 186, არამედ 202-ზე მეტი სოფელი. ეს საკითხი უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს.

ვახუშტის ცნობით, პირისაგან მიწისა აღიგავა შემდეგი სოფლები:

1. აგუდანეთი (აგვდანეთი),
2. ავაზანი
3. ავაზანი ლიპისა
4. აზიკი
5. ანდრია
6. არმანეთი
7. ატამეთი
8. აწუფი
9. ახალი უბანი
10. ახალშენი სამღერეთისა
11. ახალშენი (ენაგეთისა)
12. ახვრისი
13. ახოთი (ა)
14. ბაგრანეთი
15. ბალახაური (ბალახური)
16. ბირთვისი
17. ბორცვის ჯვარი (ბორცვის ჯუარი)
18. ბოცოეთი
19. ბოღრანეთი

20. ბურვილი
21. გვარეთი
22. გვიანა
23. გრძელი
24. გუდელი (სი)
25. გუნანეთი
26. დბალი
27. დია
28. დიდება
29. დოლანი
30. დრიანეთი (დრანეთი)
31. ელფია
32. ერდო (ერდონი, ერდოთი)
33. ერწო
34. ეშვის წყარო (ეშუისწყარო)
35. ეცნო-ეწო
36. ვანათი-ვანეთი
37. ვაქთახევი (მარაბდის უბანი)
38. ვარდის ჭალა (ვარდისუბანი)
39. ვაძა
40. ვერხვნალა (ვერხვნილი, ვერხუნალი)
41. ზა-ზარი
42. ზვარეთი
43. ზრბითი (ზირბითი, ზრბითი)
44. თავმრგვალა
45. თაფანი
46. თაკვი-თაკუ
47. თხილნარა (ი)
48. თხინვალა
49. თხილოვანა
50. თორბალისი
51. ირდასუბანი
52. კამარეთი
53. კარა-კორა
54. კარაქა (სამადაანთა ვაზაანთა)
55. კუზეთი (ახალი სოფელი)
56. კვანტალისი (კვანტალისი)
57. კველთა
58. კოზმანაშენი
59. კოხტა-კოხოტა
60. კრეფა
61. კრწანისი (კწანისი)
62. კუშტის უბანი
63. ლიპი (ლიპნი)
64. ლიყურეთი (ლიყარეთი)
65. მამის დაბა
66. მთაწმინდა (მთაწმინდა-მონასტერი)
67. მარიამი (მარიამნი)
68. მირტაშენი
69. მქავისი
70. მიწუნანა
71. მოლავი
72. მონასტერი ირინას (გასწვრივ)
73. მონასტერი (ალგეთის ხეობაში)
74. მოქრისი-მოხისი
75. მძოვრეთი
76. მერე
77. მეძლეთი (მეძლეთი)
78. ნადარბაზევი

79. ნასკირალა (ზემო)
80. ორთაშუა
81. ოძისი (ზემო)
82. ოძისი (ქვემო)
83. ოშეთი
84. პაპის გორა (ი)
85. პატივანი
— პატიმანი
— პატიმარი
86. პირმიწეთი
87. რაფაქეთი
88. საკრისი
89. სამება (სოფელი)
90. სამაჩვეთი
91. სალორისი
92. საყავრე-საყივარი
93. საქუდე
94. საწურბლე
95. სახვევნი (სხვევნი)
96. ტაგნაგეთი
97. ტყემლარა (ტყემლარუხი)
98. ფიჩხისი (ფიცხისი)
99. ფიტრევი (ფუტრევანა)
100. ქაცაბანი
(მარაბდის ნაწილი)
101. ქცილა
102. ქარცხილა
103. ქუჯარეთი
104. ღარღლეთი
(გარყლოფი)
105. ტურის უბანი
106. ღოლოვანა
(ქვ. ღოლოვანა)
107. ყურის ხევი
108. შარაბეთი
109. ჩრდილის უბანი
110. ჩხეკვი-ჩხეკი
111. ცირანთა-წირანთა,
წირა-მთა
112. ცხვარეთი (ცხოირეთი)
113. ციხია-ციხისი
114. ცხენიკალა
115. წინანაური
116. წრაურთა-წრაკუთი-
წროურთი
117. წინვენახი
118. წობა
119. წრისი
120. ჭაობი
121. ჭივჭავი-ჭივჭავა
122. ხეკორდი-ხეკორძა
123. ხოზეთი
124. ხორბუკი
125. ხორხები

როგორც ისტორიული მასალებით დადასტურდა, აღწერილი კუთხის ტერიტორიაზე ყოფილა და ისტორიის კუთვნილებად ქცეულა აგრეთვე შემდეგი სოფლები:

1. ახლდია
2. გვირგვინეთი
3. მეთრევანი
4. მიწობი (მიწოფი)
5. ნახიდური
6. პატარა მარიამნი
7. სყალტუბანი
8. ქცია

9. ცხურისი
10. იმედა
11. კახი.
12. ცხნარი
13. შოშეთი (შავშეთი)
14. ჰიპალა
15. ხოფი
16. ჯიგრაშენი (მდებარეობ და სოფ. დურნუკის ბოლოს).

XIX საუკუნიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, შეიცვალა მხარის ისტორია. ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მიეცა. შეწყდა ოსმალთა და ყიზილბაშთა თარეში, ლეკთა თავდასხმები, ფეოდალური შინაომები. აქ კვლავ იწყო მომრავლება მოსახლეობამ. მხარე, ერთი მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილი ქართველებით, ხოლო, მეორე მხრივ, თურქულენოვანი, სომეხი, ბერძენი და სხვა მოახალშენეთა ხარჯზე გაიზარდა.

მიუხდავად იმისა, რომ თურქულენოვანი და სომეხი მოსახლეობა ქვემო ქართლში შედარებით ადრიდანვე სახლდებოდა, XIX საუკუნის 20-იან წლებში თეთრი წყაროს მიწა-წყალზე უცხოური ტომის ხალხი არ ბინადრობდა. სხვა წყაროებთან ერთად, რასაც ადასტურებს თუნდაც დავით ძოურავისა და მოურავ ბაქრაძის ნაამბობი: **„სამშვილდეს მთელად ქართველი სოფლები იყო, ამ სოფელთა მებატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგის ბარათოვები და მასთან სხვანიც. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, მტერი მუსრს ავლებდა, შველა არსაიდან იყო. გლეხკაცობა უპატრონოდ დარჩა. მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა, ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხად აცნობეს და გადარჩნენ სიკვდილს“**[1]. თუმცა აღწერილი ამბავი აღა-მაჰმად-ხანის მძვინვარე ეპოქას ეხებოდა, მაგრამ ასეთი უბედურება ამ კუთხისთვის იშვიათი როდი იყო.

თეთრი წყაროს მიწაზე უცხო ტომთაგან პირველები სახლდებიან **გერმანელები,** რომელთა მოზრდილი ჯგუფი – **65** ოჯახი (307 სული), უკაცრიელი, იავარქმნილი სოფლის ასურეთის ტერიტორიაზე დასახლდა **1818 წლის 19 ნოემბერს,** რომელსაც **ელისაბეტალი** შეარქვეს. დიდი სამამულო ომის წინ, გერმანელების გადასახლების შემდეგ, ამ მიწაზე **რაჭველები** ჩამოსახლდნენ და კვლავ აღდგა სახელი **ასურეთი.**

[1] გზ. „სამშობლო“, 1915 წ., №178.

XIX საუკუნეშივე გაჩნდა აქ **რუსული** დასახლებანი. მეფის მთავრობა ამ ტერიტორიაზე ასახლებდა რუს კოლონისტებს. აქვე იდგა რუსული სამხედრო ნაწილები სამხედრო დაბებად 1823-1824 წწ. (მანგლისთან, თეთრ წყაროსთან). აქ ჩამოყვანილ **ეგერთა მეგრულმა** და **ერევნის გრენადერთა პოლკებმა** დასაბამი მისცეს პირველ რუსულ დასახლებებს, ე.წ. **„პოსელენიესა“** და **„სლაბოდკა“**-ს.

თეთრი წყაროს მიწაზე ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება დაკავშირებულია რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებთან. ეს ომი დამთავრდა 1829 წ. **ადრიაპოლის** ზავით. ზავის პირობების მიხედვით, რუსეთმა დატოვა არზრუმის ვილაიეთში ომის დროს დაკავებული ადგილები, რომლებიც კვლავ თურქეთს დაუბრუნდა. ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობა, რომელსაც ომის დროს რუსეთის მხარე ეჭირა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ბევრმა ითხოვა რუსეთის იმპერიის ფარგლებში გადასახლების ნებართვა. მართლაც, კავკასიაში გადმოსახლდა, ძირითადად, თრიალეთსა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

**სომხური დასახლებები** (სოფლებად) აქ ძირითადად **1850-იანი** წლებიდან ჩნდება, რასაც ადასტურებს ამ მხარეში კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის **ვორონცოვის** თაოსნობით ჩატარებული 1854 წლის აღწერა, რითაც ირკვევა, რომ დღევანდელი სომხური დასახლების სოფლები **დურნუკი, სამღერეთი, სამშვილდე** ქართველებითაა დასახლებული. **წინწყაროში** ბერძნების ჩამოსახლება მომხდარა **1855** წელს, დიდსა და პატარა ირაგებსა და ჯიგრაშენში კი შესაბამისად 1865-1871 წწ.-ში[1].

აღსანიშნავია, რომ ხშირად უცხო ტომის მოსვლას ამ მხარეში თან ახლდა დასახლებული პუნქტის არსებული სახელწოდების შეცვლა. ამ საკითხზე თხრობა თვით **თეთრი წყაროთი** დავიწყოთ. როგორც. ითქვა, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან გარისის ნასოფლარის მახლობლად იდგა რუსული ეგერთა პოლკი, რომლის საჭიროებისათვისაც გაიყვანეს ორკილომეტრიანი წყალსადენი, რომელიც სათავეს იღებდა კირქვიან გორაზე და წვიმების დროს წყალი რძის-

[1] **Кавказский календарь, Тиф.,** 1855 წ., გვ. 309-315; ცსსა, ფ. 254, №1, ფურც. 246-259, 1855 წ., ცსსა, ფ. 254, №3, საქმე №256,, ფურც. 191-240, 1873 წ.; ცსსა, ფ. 254, №3, 1637, ფურც. 51-166, 1873; ცსსა, ფ. 55, საქმე №38, გვ. 15-16 და სხვ.

ფერს ღებულობდა. ამ წყალს და შემდეგ დასახლებასაც შეერქვა „**Белый ключ**"-ი (თეთრი წყარო). მოგვიანებით მეზობლად მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ თავის ენაზე გადაიტანა და ამ ადგილს **ალბულალი** უწოდა. რევოლუციამდე ეს ტერიტორია შედიოდა მაშინდელი ტფილისის გუბერნიის მაზრაში, 1921-1929 წწ. ტფილისის მაზრაში, 1930 წლიდან ტფილისის ოლქში, როგორც ალბულალის რაიონი, 1940 წლიდან დაბა ალბულალს ქართული სახელწოდება — **თეთრი წყარო** მიეცა, ხოლო რაიონს თეთრი წყაროს რაიონი ეწოდა. რაიონული ცენტრი თეთრი წყარო ამჟამად ქალაქის ტიპის დასახლებაა, არაერთი სამრეწველო, კეთილმოწყობილი, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის კერით.

„ქართლის ცხოვრების" II წიგნში გარისის ადგილმდებარეობაზე ასეთი ცნობაა: „რა ეს შეიტყო, მეფე ლუარსაბ გორითგან გარის ვარხუნას (იგივე ვერხვნალა-ი. ა.) მივიდა, აქედან შავერდი სულთან წამოვიდა და მოვიდა ქართლად და რა სულთან შავერდი რაზმწყობით მოახლოვდა, და არა ინება მეფემან ომი მინდორსა ზედა, და ჩავიდა გარისს, და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თვისი სვიმონი". ერთ-ერთო წყარო გვაუწყებს, რომ გარისს დიდი ბრძოლა გამართულა.

1556 წელს შაჰ-თამაზის მეფობის ხანაში კიდევ ერთი ლაშქარი გამოემართა ქართლის ასაოხრებლად. ირანის შაჰმა ლუარსაბ I-ის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა განჯის ბეგლარ-ბეგს შაჰვერდი სულთანს. ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი ლუარსაბ I-ისა და მისი ვაჟის სიმონის მეთაურობით მტერს სოფელ გარისის მიდამოებში შეეგება. ლუარსაბ I-ის ხანდაზმულობის გამო, ბრძოლას მისი შვილი სიმონი სარდლობდა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტრის ჭარბი ძალები. **ათასი ქართველი და რვაათასი ყიზილბაში** — ასეთი იყო ბრძოლის ველზე დაცემულთა თანაფარდობა. ერთ-ერთ შეტაკებაში დაიღუპა დიდი მამულიშვილი ლუარსაბ II, რომლის ღვაწლსაც ასე აღწერს „ქართლის ცხოვრება":

„მეფემან ლუარსაბ ჟამსა თვსსა არცა ჰმონა ყაენსა და არცა ხუანთქარსა ამისთვს, რაიმე თუმცა დამორჩილებოდა, სხუანი ყოველნი მონობდნენ და, თუმცა ესეცა დამორჩილებოდა, ქვეყანა გათათრდებოდა და სახარკოდ შეიქმნებოდა; ამისთვის მრავალჯერ ამოსწყვიტა ხუანთქრისა და ყაენის ჯარი მეფემან".

„... და მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა. უკეთუმცა მეფესა ლუარსაბ ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ“.

„თეთრი წყაროს“ სახელწოდებაზე ყურადღება გაამახვილა **ზაქარია ჭიჭინაძემ** კათოლიკეთა ეკლესიის ისტორიაზე დაწერილ წიგნში (1903). დაბა ალბულაღის ღვთისმშობლის ეკლესიის აღწერისას გამოთქვა ვარაუდი, რომ ოდითგანვე ქართველებით დასახლებულ ადგილს ქართული სახელი უნდა რქმეოდაო. ისტორიული ფაქტების უგულებელყოფამ განავითარა ავტორის კონცეფცია, რამაც საფუძველი მისცა რეგიონში მცხოვრებ რუს მოქალაქეს თეთრი წყაროს გეოგრაფიული სახელწოდების გაუქმებისა და **„ბელიკლიუჩის“** აღდგენის საკითხი დაესვა. **ვ. გონგაძე** ამითაც არ დაკმაყოფილდა, „ბელიკლიუჩის“ სახელწოდების წარმოშობის ისტორიის დადგენა სცადა. ასეთ ზღვრულ თარიღად 1821 წელი მიიჩნია, თანაც პოლკის აქ გადმოსვლამდე შეურქმევიათ ეს სახელი. ადრე, ამ საკითხთან დაკავშირებით, **ზაქარია გულისაშვილმა** გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „ჭივჭივას მახლობლად, ბენდერის ძირას, მდებარეობს „შტაბკვარტირა“ ახბულახი ან, როგორც რუსებმა მონათლეს 1832 წელს, „Белый ключ“-ი. ჩვენ მოვედით აქ ქართლიდამ და უშველებელ სოფლის ნანგრევებზე დავიდეთ ბინაო“, მიამბეს **ფურცელაძეებმა,** რომელნიც ოც კომლამდე ცხოვრობენ ბერძნის სოფელ დემურ-ბელაღში (რკინის წყარო – ი. ა.) ქართველთა ნაოხრებზე შენდება ყაზარმები, სააგარაკო სადგომები და ვადაშესრულებულ ჯარისკაცთა ახალშენი... როგორც სიტყვა **ახბულახი (ახ-ბულაყოვი),** ისე „Белый ключ“-ი აქაური წყაროს სიკეთისაგან წარმოსდგება, მაგრამ თრიალეთს განა სხვაგან აქვს დასაწუნი წყალი ან ჰავა?“[1].

დაიკარგა მთავარი და არსებითი „ქართველთა ნაოხრები“ და ამოსავალი „წყალი“ შეიქნა...

ქვემო და ზემო ანტრაფს, „დასტურლამალში“ **სამეხრეოს** (იგივე **წინ-წყაროს**), **საბატეს** და სხვ. სამოურავო სოფლებს შორის ვახტანგ მეექვსე **თეთრი წყაროსაც** ასახელებს, სადაც მებატონედ **ზურაბა თარხნიშვილი** მოიხსენიება (გვ. 40). ხელმწიფის ტყის ხარჯისათვის დურნუკთან, სამშვილდესთან, სამეხრეოსთან ერთად თეთრ

---

[1] ზაქარია გულისაშვილი, მოთხრობები, ნერკვევები, თბ., 1953 წ. გვ. 210.

წყაროსაც უნდა გამოელო ბედნიერის ყუენის საფეშქაშოს ტყვის ხარჯი ერთი მარჩილი (სამი აბაზი. როგორც ვახტანგ მეფის დროს, ისე ადრეც, 60 კაპიკის ფარდი იყო. დღეს, სამეგრელოში, ექვსი შაურია, აჭარაში და ჭოროხის ხეობაში-შაური (იქვე, გვ. 108, 175); მეწინავე საბარათიანოსა და სომხითის აღწერაში (1721) **ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის** მიერ შედგენილ სოფლების სახელთა ანბანურ რიგზე **გარისი** 52, 115, 117, 118, 121, **გარისვარხუნა** 91, **ვარხუნა** (ვერხვნალა) 55, თეთრი **წყარო** 49, ხოლო **ორთაშუა** – 121, 200 და 269 გვერდებზე მოიხსენიება.

აღწერის მასალების მიხედვით, გარისის მებატონეები არიან **ომან სულეიმანიშვილი, ავთანდილ სუფრაჯი, დავით**, **საამ** და **ედიშერ აბაშიშვილები, როსტომ** და **გუგუნა ნამანგლელევიშვილები**. ყმა გლეხებად მოიხსენიებიან: **პაპიაშვილი, ეჯუბაშვილი, მლებარი ზალია, სუხიაშვილი, დათუაშვილი, ამირჯანაშვილი, ამილბარაშვილი, მირუაშვილი, ეჯიაშვილი, სომხიშვილი, მირუმაშვილი, ბოგანო თეიმურაზა მოლაშქრე**[1].

**გარის-ვარხუნაში** მებატონე **არეშიშვილების** კომლები იყვნენ: **დუშია**, ამისი ყმა გულუა **ხარატიშვილი, ხარატიშვილი** მარკოზა, ბოგანო გიუა, ბოგანო პაპუა, გიორგი, ყმა **ხუციშვილი** იაკოფა, ბიძინა, ბოგანო ჯანუა, შამშია, ბოგანო რამაზა მოლაშქრე, ბეჩია, ასლანა **დიაკვნიშვილი**, დავითა, პაპა, ბიძინა, ბეჟანა, ბეჟანა და სხვ. ჯ-ი: ამათი ყმა კომლი ათი, ბოგანო შვიდი[2].

1721 წელს თეთრი წყაროს მებატონე **ბერი გარაყანიძეს** ჰყავდა „**მამასახლისი** რამაზა **ძამაშვილი**, გოგია **ვირუაშვილი**, მისი განაყოფი ნანია, ასლანა, ოქრუა **მახარაშვილი**, ბერია **დათუნაშვილი**, მისი განაყოფი გიორგი, დათუნა **ძამაშვილი**, ხოსიტა **მკერვლიშვილი**. ჯ-ი: კომი ათი"[3].

**ორთაშუას** მებატონეებად მოიხსენიებიან: როსტომა და გუგუნა **ნამანგლელევიშვილები**, აქვე ცხოვრობენ: ბერუა **ელიზბარაშვილი**, ოქრუა **გოგიაშვილი**, ბოგანო **თეგაძე**, აქავე ამისი აზნაურიშვი-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში. გამოცემული ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. თბ., 1907 წ. გვ. 89.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91-93.

[3] იქვე, გვ. 49.

ლი ლომი, ამის ყმა **მერდასანაშვილი** ასლამაზა, **მურდახანაშვილი** ხიზანა, უყმო აზნაურიშვილი **დავით ბაკაშვილი, კ. ელიზბარაშვილი,** აყრილი მამასახლისი ხოსიტა (გვ. 121-200)[1].

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს გეოგრაფიის წიგნზე დართულ ქვემო ქართლის **697** სოფელს შორის, ჰივჰივას ხეობაში, მეექვსე და მეშვიდე ნომრით, **გარისი** და **ორთაშუა,** ხოლო თრიალეთში (78) **თეთრი წყარო** მოიხსენიება. იმათ საყურადღებოდ, ვინც ფიქრობს, რომ შემთხვევით ეს დღევანდელი წალკის რაიონის თეთრ წყაროსთან ხომ არა გვაქვს საქმე, უნდა ვთქვათ, რომ იმავე თრიალეთში თეთრი წყაროს (რაიონული ცენტრი) გვერდით გვხვდება **სამადლო, ლიპი** (სამი სოფელი), **ახოტა, მოხისი, სამეხრეო** (წინწყარო) და **კვირაცხოველი.** — ი. ა.);

სოფლების აღნიშვნა, ვახუშტისეული ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, თითქმის დაცული, შემდეგი მცირე გამონაკლისის გარდა: სომხითის სოფლები ბოვაძორი (**ბექან შერმადინიშვილის კუთვნილი**), ქაპალა (**სოლოღაშვილებისა**) მდებარეობს სადედოფლო საბარათაშვილოში (გვ. 13, 143-145); მეფის კუთვნილი ციხის სოფელი (მუშა მუსტაფოსი) ტაშირის მხარეში (გვ. 295); მაშინ როდესაც სომხითში შედიოდნენ.

**ყაფლანიშვილების** აზნაურის **ზურაბ ჩაჩიკაშვილის** ყმები ალგეთის პირა მიდამოებში კი არა, დბანისი (დმანისი) ხეობაშია მოქცეული (გვ. 179); იგი, საყაფლანიშვილოს აღწერის ტერმინოლოგიის თანახმად, „დაბალში" უნდა მდებარეობდეს. ასევე ასლამაზ ყაფლანიშვილის ნასყიდი ყმა ალგეთის ხეობის სოფ. ჩხიკვთაში უნდა მოიხსენიებოდეს და არა „დაბალში". **თეთრი წყაროც ჰივჰივას ხეობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული და არა თრიალეთში** (გვ. 160)[2].

იასე ლორთქიფანიძემ ვახუშტის გეოგრაფიაზე დართული სიებისა და რუკების, მეწინავე სადროშოს 1721 წ. აღწ. მასალების, ვახტანგ VI-ის სამეფო და გიორგი II-ის სადედოფლო „დასტურლამალის" (კანონთა კრებულის), სიგელ-გუჯრების საფუძველზე მოგვცა ქვემო ქართლის სოფლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 269.

[2] ias. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკ. პირველ მეოთხედში, ნაწ. I და II, თბ., 1935, გვ. 15-17, 160.

მკითხველს ვთავაზობთ საჭირო ფრაგმენტს: **გარისი** მდებარეობდა ქციის ხეობაში, ჭივჭივას მარცხენა მხარეს, ეცოს სამხრეთით, უკანდაღეთის ჩრდილოეთით; სიით 376-ე იყო. იხსენიება 1656 წელს (საქ. სიძვ., II, 57), როგორც მოსაზღვრე ორთაშუას (ხაზი ჩვენია. – ი. ა.), 1699 წ. (ხახ. გურჯ. გვ. 24) როგორც მდ. „ალგეთის გაღმა" 1721 წ. აღწერით ითვლებოდა 5 მებატონე (**სულეიმანიშვილი, ავთანდილ სუფრაჯი, დავით აბაშიშვილი, საამი** და **ედიშერ ბარათაშვილები, ნამანგლელევიშვილები,** 1 უყმო აზნაური (**სარქისაშვილი**), 13 გამომღები და 2 ბოგანო; სადედოფლო დასტურლამალით (იზ) ედვა წინწყაროს დედოფლის სამეხრეოს დამუშავება;

**ვარხუნა გარისისა** – ქციის ხეობაში, გარისის ჩრდ.-აღმ. სამებას დასავლეთით, იხსენიება 1699 წლიდან (ხახ. გურჯ. გვ. 24), როგორც „ალგეთის გაღმა" მდებარე. 1713 წ. აღწ. (საქ. სიძვ., I, 303) **გოსტაშაბაშვილებს** ჰყავდათ, აზნ. (**არეშიშვილი**)-ორი ყმით, 1721 წ. აღწერით ითვლებოდა 14 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, აზნ. არეშიშვილები), 1 მემამულე (არეშიშვილი) აზნ., 20 დამოუკიდებელი უყმო აზნ. (არეშიშვილები), 11 გამომღები და 8 ბოგანო;

**თეთრი წყარო** – თრიალეთში, ედვა ყენის საფეშქაშო 1 მარჩილი. 1721 წ. აღწერით, ითვლებოდა 1 მებატონე (ვარაყანიძე) და 10 გამომღები ყმა;

**ორთაშუა** – ქციის ხეობაში, გარისის აღმ. მძოვრეთის დასავლეთით, აბელიას სამხრეთით, სიით 377 იყო. 1721 წლ. აღწერით, ითვლებოდა 1 მებატონე (**ნამანგლელევიშვილები**), 1 მემამულე, 1 უყმო აზნაური (**ბაკაშვილი**), 4 გამომღები და 1 ბოგანო (ორთაშუა იყო ყარაბულაღსა და სომხითშიც, – ფოლადაურის მარცხენა მხარეს, დამბლუტის დასავლეთით).

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გარისელთა და ბარათას აზნაურებს შორის ატეხილი დავა (1656 წ. 6 ივნისს), რომელიც შეტანილია წიგნში („საქართველოს სიძველენი", ტ. 2, გვ. 57); დოკუმენტი დაცულია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც. განჩინება ეხება **ბლორძელთა**[1] და **ქართველი აზნაურების – სარქისაშვილების** მამულის გაყოფის თაობაზე აღძრულ საქმეს, რაც

[1] ცნობილი არიან აზნაურიშვილები: მამუკა, გიორგი, ოტია, გულბათ, ქაიხოსრო ბლორძელები.

გვაუწყებს: „ქ. ჩუენ, დივანბეგმან **ჯავახიშვილმან** პატრონმან როინ და მდივანმან **თუმანიშვილმა ბირთველმან** ხელმწიფის მეფის პატრონის როსტომის ბრძანებითა ბარათას აზნაურისშვილის **ბლორძელის** მამუკასა და მათ ძმათა სასამართლოდ და გარის პარუნ სარქისაშვილების საქმეზედ დაუსხედით ღმერთის შიშს ქუეშე, სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ.

**პარუნ სარქისაშვილები** და **გარისელნი** მიწაზედ ესარჩლებოდეს. აქამდე შეუტყობრად ვიყუენითო; ახლა კაცმა გუაიმბო: ეს მიწები საგარისო ყოფილაო და ორთაშუისა არ არისო.

ამასობაში მოვიხმეთ გარეშემოს **ბარათაშვილნი** და **ჩაჩიკაშვილი ასლამაზ** და **არეშიშვილი პაპუნა** და ყარაიმით და თემის მახსოვარნი გლეხნი კაცნი, ღმერთისა და სულზედ შევამდეთ.

და უცხოფერით ფიცი თქუეს: კამყოლოს **სა[ა]კაძეს**, ზურაბს, ბაბაშიოშს, ალიყულბეგს და ქაიხოსროს ჰქონდა ორთაშუა და ცილობა არ გაგუიგონია გარისელთაგანო. რადგან ამდენი კაცი მოწმობდა, ფიციც აღარ უნდოდა დაგვედვა გარისელთათვის და ისრე უცილებრად ორთაშუელთათუის უნდა დაგუენებებინა, მაგრამ კიდევ ბარათას აზნაურიშვილნი მამუკა და მისნი ძმანი ამაზედ ჩამოვიყოლეთ, რაიმე ფიცი დავანებეთ პარუნ სარქისაშვილებსა და გარისელთა.

სამი მემკუიდრე მოდებული კაცი მოფიცრად დავდევით; გარეშემოს მეზობელი ეშოვნა და **ზემოგარისელი** (ხაზგასმა ჩვენია – ი. ა.) მემკვიდრე შეგდებული კაცი და თუ ფიცა, სადაც გაევლო, დაეჭირათ, მაგრამ ცილის წამება იყო და ვეღარ დაიფიცეს და ვერც მოწმე იშოვნეს.

ასე ესე [ა] ში ყველა ხელმწიფემ გასინჯა და რადგან არც ამას წინათ ყოფილიყო ცოლმა და ვერც მოფიცარი იშლვნეს, ხელმწიფემაც გა [ა] მტყუვნა, ჩუენცა და სულ თემის კაცმა. და დარჩა ბარათას აზნაურიშვილთა და ორთაშუელთა.

დღეს და დღეის უკან ბარათას მეტს სხუას ბარათაშვილთა ამათთან ხელი არ ჰქონდეს, და არცავის სხუას თემის კაცსა. ალაგიც და მიწაც ორთაშუის არის და გლეხნიც თავისი დაუსახლებია. დარჩა **მამუკა ბლო[რ] ძელსა,** გიორგის, ოტიასა და გულბათს ამ წესითა, რაიმე ვერავინ ესარჩლოს" (ხელნ. ინსტ. Hd 14657). ეს საგულისხმო მასალა ადასტურებს, რომ გარისი და ორთაშუა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სოფლებია. რაც შეეხება ზემო გარისს,

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ გარისის ვარხუნასთან გვაქვს საქმე. თუმცა გამორიცხულიც არ არის, რომ ქართული ტრადიციის თანახმად, ისტორიული სოფელი ზემო და ქვემო გარისადაც იწოდებოდეს. ასეთ მაგალითებს ხშირად აქვე თეთრი წყაროს მიწაზე აქვს ადგილი. მაგალითად, ზემო და ქვემო ოძისი, ზემო და ქვემო ახალშენი, ზემო და ქვემო (ახალსოფელი (გორის რაიონი), ზემო და ქვემო ბაგები (ახალგორის რაიონი), ზემო და ქვემო ბარი (ონის რაიონი), ზემო და ქვემო ბოდბე (სიღნაღის რაიონი და ა.შ.

მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილ დასტურლამალში (მე-18 ს. 1704-1711 წწ.), რომელიც უძვირფასესი განძია საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიის გამოსაკვლევად, თავში „წინ-წყაროს გარიგებისთვის" აღნიშნულია: „...ხოდაბუნის ძნა, მომკა და ლეწა ენაგეთმა, ახალშენმა, სალირაშენმა, ფარცხისმა, გოლთეთმა, მაწევანმა, მცხოვრებმა, ჩხიკვთამ, აბელიამ, კრეფამ, გორისმა, ეცომ, ორთაშუამ, ... — ამათ მომკონ და გალეწონ"[1]. 87-ე გვერდზე ქვესათაურში „სომხითს, რომელსაც ალაგს არის ქორის ბუდე, მოიხსენიება ორთაშუის ბუდეც".

ამრიგად, სარწმუნოა ის, რომ დღევანდელი **თეთრი წყაროს** (საქალაქო ცენტრის) ტერიტორიაზე, რომელიც 1174,4 კვ. კილომეტრს შეადგენს (უწინდელი 350 000 კვ. კ/მეტრის ნაცვლად), მდებარეობდა სოფლები — **გარისი, გარისის ვარხუნა (ვერხვნალა), თეთრი წყარო, თხინვალა და ორთაშუა.** ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი „ნასოფლარი თეთრი წყარო", სადაც აღნიშნულია, რომ ნასოფლარი მიეკუთვნება ენეოლითის ბოლოსა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისს (ძვ. წ. 4 ათას. წ. II ნახევარს. გაითხარა 1956-88 წწ. გ. გობეჯიშვილი). შემორჩენილი მასალის უმთავრესი ნაწილი მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი საფეხურის ძეგლების (დიდუბე, კიკეთი, ოზნი, ბეშთაშენი, სამშვილდე, **კოდა** დაშვებულია შეცდომა, უნდა იყოს **მუხათი,** რადგანაც კოდაში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა და მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობისას მოპოვებული მასალა, ეკუთვნის მუხათს) მსგავსია[2].

---

[13] „დასტურლამალი" მეფე ვახტანგ მეექვსისა შედგენილი პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, 1886 წ., 115.

[14] ქართული ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 639.

ამგვარად, უარყოფილ უნდა იქნეს დღემდე გაბატონებული კონცეფცია, თითქოს **„ბელი კლიუჩი“** გაჩნდა მტრებისაგან დანგრეულ ქართულ სოფელ **გარისის** ადგილზე. **დღევანდელი „პოსელენიე“ და „სლობოდკა“ სწორედ ყოფილ თეთრი წყაროს ტერიტორიაზეა,** აქ დასახლებული რუსები ვერ შეგუებულან ყურისთვის უცხო ამ ქართულ სახელწოდებას. განა ცოტა გვაქვს ამავე რეგიონში მაგალითები, მტრულად თუ მოყვრულად მოსული უცხო ელემენტები როგორ ძალადობდნენ და ქართულის ნაცვლად თავიანთ ტერმინებს ამკვიდრებდნენ. თეთრი წყაროს მიწაზე გერმანელებისა და რუსების შემდეგ მოსულ თათრებსა და ბერძნებსაც არ მოეწონათ ეს სახელი და **ალბულაღი** დაარქვეს (**1843 წ.**). მანგლისის სამხედრო ნაწილიდან განთავისუფლებული ერთი ხეიბარი ორბეთს გადაღმა 1500-2000 მეტრის მოშორებით დასახლდა და რადგან პეტრე I-ის ქალაქიდან იყო, მოგვიანებით გაჩენილ პატარა სოფელს **პეტერბურგი** უწოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ორბელი რუსი მოხუცები იგონებენ: ერთი სოფლელი ქალი ხშირად დედაქალაქში ჩადიოდა და რძე-მაწონი ეზო-ეზო დაჰქონდა. რამდენჯერმე გაუფრთხილებია პოლიციელს ხალხი არ შეეწუხებინა და საქონელი ბაზარში გაეყიდა. გლეხის ქალი არ შეჰპუებია. ერთ დღესაც პოლიციელი გაბრაზებულა და დედაკაცი მაწვნიანად ქალაქის გოროდოვოისთან მიუყვანია. მოუხსენებია: უფროსო, ჯერ ერთი, არ მემორჩილება, თანაც დამცინის. შეკითხვაზე საიდანაა – მეუბნება პეტერბურლიდანო. გოროდოვოის გაჰკვირვებია და იმავე კითხვით მიუმართავს: ქალს გაუმეორებია: **„ქმარ-შვილს ვფიცავარ, პეტერბურლიდან ვარო“**. საქმის არსის გარკვევისთანავე უფროსს სიცილი ასტყდომია და თანამშრომლისათვის უბრძანებია, დედაბერს ნულარ შეაწუხებო.

ორბეთს დემობილიზებულებმა **„პრიუტი“** შეარქვეს. **ასურეთს** გერმანელებმა **ელიზაბეტფელდი, ბოლნისს – ლიუქსემბურგი, ბერდუჯის** მხარეს – **ბორჩალუ** (შდრ. თურქ. ტომი, ელი „ბორჩალე“), ქართულ **კალას – ყურთ-ყალა, ხოვარას – ხოვარა ძორი, მანგლისის ხეობას – „მანგლა-ფორა“,** ხოლო **ბოლნისისას, – „ბოლნა-ფორა“** უწოდეს, ე.ი. ქართული დასახლებული თუ გეოგრაფიული პუნქტების სახელები შეიცვალა იმისდა მიხედვით თუ რა ტომის ხალხი დასახლდა იქ.

**სამღერეთი** თეთრი წყაროდან მეშვიდე კილომეტრზე მდებარ-

ეობს. აქ, ეკლესიის ეზოში, დღესაც შემორჩენილია საფლავის ქვა მეჩონგურე ქალის ბარელიეფით. ლეგენდის თანახმად, ერთხელ ურიცხვი მტერი შემოსევია საქართველოს. ზედ ამ სოფლად მტერს სამი და დახვედრია და ჩონგურზე დაუმღერებიათ. მტრის ლაშქარი შეჩერებულა და მოჯადოებული დიდხანს უსმენდა ქართველი ქალების ტკბილ სიმღერას. ამასობაში, ქართველთა მეფეს ლაშქრის შეკრება მოუსწრია და თავს დასხმია დუშმანს. გაწბილებულმა მტერმა სამივე მომღერალი ხმლით აჩეხა, მაგრამ გვიანღა იყო: ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. მადლიერმა ქართველებმა ხალხმა სამი დის ულვთოდ ნაჩეხი გვამები აქვე დაკრძალა, შეამკო, ძეგლი აუგო და თაობიდან თაობას გადასცა მათი საგმირო საქმენი. რარიგ სასურველია ჩვენც უკვდავვყოთ ღირსეული წინაპრები და სახელწოდება **სამღერალი** (ეთი) **სამღერეთით** არ შევცვალოთ.

1909 წელს რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა **გარისის,** ანუ დღევანდელი თეთრი წყაროს დასავლეთით თორმეტიოდე კილომეტრზე მდებარე **შოშეთის (შაშვეთის)** მიდამოები „ნადელად" გადასცა თეთრ წყაროში მცხოვრებ სამხედრო პირთა ოჯახებს. ამ ახალშენს რუსეთის ხელმწიფემ თავისი კოჭლი შვილის უფლისწულ **ალექსის** სახელი შეარქვა და სოფელსაც **ალექსეევკა** ჰქვია. სახელწოდება „შოშეთი", „შაშვეთი" ჩვენს წინაპრებს შეურქმევიათ ამ მხარეში შაშვების სიმრავლის გამო. ეს ფრინველი დღესაც მრავლად ბუდობს აქ. ალიბათ, უხერხულიც კია, რომ ამ სოფელს ნამდვილი ისტორიული სახელის ნაცვლად დღესაც შემორჩა **რომანოვების** ოჯახის ერთი უჩინარი წარმომადგენლის სახელი.

ირაგის სასოფლო საბჭოში არის სოფელი **ივანოვკა.** მისი ნამდვილი ძველი სახელია **ხუნძურეთი.** სოფლის ახლომახლო მცხოვრებლებს დღესაც ახსოვთ ეს სახელი და ასევე იხსენიებენ. ხუნძურეთი წარმომდგარია სიტყვისაგან **ხუნძი** — მწორის ხე. ეს ერთგვარი სამკურნალო ნაყოფისმომცემი მცენარეა, რომელიც დღესაც მრავლად ხარობს ტყეებში. სწორედ ამის გამო ერქვა ამ სოფელს **ხუნძიანი,** ანუ **ხუნძური...**

**ივანოვკაში** ამჟამად **ბერძნები** ცხოვრობენ. სოფლებში ივანოვკის სახელის შერქმევის ფაქტს ასეთნაირად ხსნიან: ხუნძურეთი და მისი მიწები ეკუთვნოდა თავად **ივანე ზაალის ძე ბარათაშვილს.** მისგან ეს მიწები ჯერ იჯარით, ხოლო შემდგომ მთლიანად უკუძე-

ნიათ ამ მიწა-წყალზე დასახლებულ ბერძნებს. დათქმული დროისთვის მცხოვრებლებს ვეღარ გადაუხდიათ საფასური. **ივანე ზაალის ძეს** დაუბარებია სოფლის წარმომადგენლები და უთქვამს, დარჩენილ ოცდახუთ მანეთს გაპატიებთ, სამაგიეროდ სოფელს ჩემი სახელი უწოდეთო. აქედან მიიღო სახელი **„ივანოვკა"** (მთხრ. **მიხეილ ქრისტეფორის ძე ნაუმიდი,** 76 წ.).

... სოფელ ივანოვკის გვერდით მდებარეობს ნასოფლარი **სარკინეთი.** ამ მიდამოებში მოიპოვება შავი ფერის ქვა, რომელიც, სხვა ქვებისაგან განსხვავებით, ძალზე მძიმეა, სავარაუდოა, რომ რკინის შენაერთები გააჩნია, ალბათ, ამის გამო იყო, რომ წინაპრებმა სოფელს სარკინეთი შეარქვეს.

ივანოვკისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს ნასოფლარი **კვირიკეთი,** რომლის დაბოლოებაზე მდებარე მინდორს მცხოვრებლები **„კოზლოვის დაჩას"** ეძახიან. საქმე ის არის, რომ ეს სახელი შეურქმევიათ რუსეთის იმპერიის დროინდელი ერთ-ერთი მოხელის, გვარად **კოზლოვის,** პატივსაცემად. ეს ნასოფლარი თამარ მეფისდროინდელ ქალაქ-ნადარბაზევის მიდამოებშია. ზევით იწყება არმაზ-თრიალეთის მთად წოდებული ქედი.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მოკლედ შევეხოთ თეთრი წყაროს რაიონის სოფლებისა და ადგილების ტოპონიმიკას.

**მანგლისი,** დღევ. დაბა, საკრებულოს ცენტრი. სახელწოდება მანგლისთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. არის ვარაუდი, რომ წარმოდგება ძველი ქართული სიტყვისგან — ნამგალი. მანგლისი და სოფ. **ქველთა** განთქმული ყოფილა მაღალხარისხოვანი **ნამგლების** ჭედვით. ამავე სოფლების მიდამოებში უხვად ყოფილა სათიბები. **ნამგალი, მანგალი, მანგალისი, მანგლისი.** მეორე ვერსიით, თითქოს ეს სახელი შეერქვა ძველი მანგლისის ტაძრის აღმაშენებელ, ბიზანტიელი ხუროთმოძღვრის **მანგლის** პატივსაცემად.

ახალი მანგლისი აღდგა სოფ. ძველი ოძისის ნანგრევებზე. ორბეთის საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარეობს სოფ. **წყრულეთი.** სოფლებში ბევრი წყაროა. ერთ-ერთ მათგანს უკვდავების წყაროს ეძახიან. აქ არსებული წყლები სამკურნალო თვისებისაა. ძველად ამ ადგილებში მკურნალობდნენ წყლულით დაავადებულებს, აქედან წარმოსდგა სახელი — **წყლულეთი** (წყრულეთი).

**შამთა** დღევანდელი სახელწოდებაა, **შავთას** პირვანდელი სახე-

ლია **შავმთა**. ტოპონიმი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ იქ მდებარე შავი მთიდან იღებს სათავეს. შავთა (შავმთა) 1721 წ. აღწ. სკვირეთში შედიოდა[1].

**მოხისი** ჰქვია ორ სოფელს ქართლში (ქართლისა და თეთრი წყაროს რაიონებში). ეს სახელწოდება ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება XVI საუკუნიდან. იგი დაკავშირებულია მუხასთან. გამოჩენილი ლექსიკოგრაფის **დ. ჩუბინაშვილის** განმარტებით მოხისი ნიშნავს მუხის ტევრს, მუხნარს (**ზ. ჭუმბურიძე**, დედაენა ქართული, 478).

**მუხანი** ერქვა სოფელს თეთრი წყაროში 1558 წლამდე დღევანდელ თეთრი წყაროს რაიონში, **მუხათ**-ად იგი 1558 წლის ერთ-ერთ გუჯარში მოიხსენიება. სოფელი **მუხა**-სთანაა დაკავშირებული. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით **მუხანი (მუხათი)** – (იხ. წიგნი „მუხათი).

**ღოუბანი**. საქართველოს ტოპონომიაში მრავლად გვხვდება ისეთი სახელები, რომელთა შემადგენლობაში შედის უბანი – **ვაზისუბანი, ვარდისუბანი, ჩაისუბანი, კიმოთესუბანი, მარტოთუბანი, ურიათუბანი, წინაუბანი, ახალუბანი, გაიჩაანთუბანი, გაგლუანთუბანი, ჭეჭელაანთუბანი, ყველაანთუბანი, ხელთუბანი, წითელუბანი, ჩალაუბანი, ზემო უბანი, ციხისუბანი, ქველეთუბანი, არდისუბანი, ირდისუბანი, ედილაანთუბანი, გულიკაანთუბანი, გუდათუბანი, გვერდისუბანი, გოგოლესუბანი, გოლეთუბანი** და სხვ. ერთ-ერთი ასეთი სახელწოდებაა **ღოუბანი**. ასე ჰქვია სოფელს თეთრი წყაროს რაიონში, **ასურეთსა** და **ბორბალოს** შორის. ამ სოფელში კარგად ხარობს ღოლო (მრავალწლოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა იზრდება ნათესებში, ვენახებში ბაღებში, იჭმევა). ამიტომ საფიქრებელია ღოუბანი შემოკლებით „ღოლოს უბანს" ნიშნავდეს. შეადარეთ **ბარდისუბანი** (სოფ. თერჯოლის რ-ში); **ვარდისუბანი** (ასე ჰქვიან 6 სასოფლო დასახლებას მცხეთის, ყაზბეგის, დმანისის, თელავის, ლაგოდეხის, სოხუმის რაიონებში).

**გარი**-ს სათავეს **გორი**-დან უნდა იღებდეს. **გორი** – „ქართლის შუაგული" – ცნობილი ქალაქია, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. გორი

[1] ივ. ლორთქიფანიძე, „ქვემო ქართლი", III-IV ნაწ., 65.

ჰქვია აგრეთვე სოფელს ამბროლაურის რაიონში. იქვე არის სოფელი გორისუბანი. დმანისის რაიონში არის სოფელი გორი, კასპის რაიონში – **გორაკა,** საჩხერეს რაიონში – **გორისა.** სამ სოფელს ჰქვია **გორანა** (საგარეჯოს, თიანეთისა და სოხუმის რაიონებში). გარდა ამისა, ცნობილია **გორისციხე** – ხევში, **გორთუბანი** – ჯავახეთში, **გორიჯვარი** და **გოროვანი** – ქართლში, **გორმაღალი** – იმერეთში, **გორა-ბერეჟოული** – გურიაში და სხვ.

ყველა ეს ტოპონიმი ნაწარმოებია ერთი და იმავე **გორი** ან **გორა** სიტყვისაგან, რომელიც „დიდ ბორცვს", „მთას" აღნიშნავს (ფორმები გორი და გორა ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ზემოთ განხილული **ბორი** და **ბორა, ძერი** და **ძერა** და სხვ).

**გარისი** (გორისი) ბორცვიან ადგილმდებარეობას უნდა ნიშნავდეს. გარისი-გორისი-გორია-ისი-ის გორი – ის ქედი. მსგავსი ეტიმოლოგიისაა სოფ. **კლდეისი.** ამ სოფლის პირდაპირ არის გამოქვაბული კლდეში. აქედან კლდე ის არი – **კლდეისი.**

**დმანისი,** სოფელი თეთრი წყაროს რაიონში (დმანისის საკრებულო). დმანისი დაბაა, ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, ცნობილი თავისი ისტორიული წარსულით. ამ სახელწოდების ძველი ფორმაა **დბანისი,** სადაც გამოიყოფა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი **ის** სუფიქსი, ფუძედ კი, როგორც ფიქრობენ, შეკუმშული ფორმით წარმოდგენილია **დაბან (დაბა),** რაც უძველეს ქართულში ნიშნავდა სახნავ-სათეს ადგილს, ყანას, შემდეგ კი – სოფელს (იხ. **ახალდაბა, დაბაძველი.** ზ. ჭუმბურიძის, დედაენა ქარ., 443).

სოფლის ტოპონიმიკის კვლევა-ძიებასთან ერთად უნდა გაჩაღდეს ზრუნვა რეგიონის, დასახლებული პუნქტების ძველ სახელწოდებათა აღსადგენად. უნდა გვახსოვდეს, რომ დასახლება, დიდია იგი თუ პატარა, სახელწოდებაში შეიცავს იმდენ ამაღლებულ, პატრიოტულ სიმბოლიკას, რომ სამართლიანად აფორიაქებს თანამემამულეთა გულებს და მათში ამაღლებულ გრძნობებს იწვევს.

ჩვენი ვალია, სათუთად მოვეპყრათ მამა-პაპისეულ სახელწოდებებს. ის, რაც მტრებს გადაურჩა, ეროვნული სხეულისათვის მიუღებელი ტერმინით არ მოვნათლოთ. ძველი ისტორიის, პირველშობილი სახელის გარეშე გაგვიძნელდება მამულის, მხარის ბიოგრაფიის შეცნობა.

140-ზე მეტი დაკარგული, იავარქმნილი ქართული სოფლის

მქონე რეგიონი სხვა, უცხო ტომის გეოგრაფიულ თუ გვარსახელს არ საჭიროებს.

**დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საჭიროა პირველშობილი სახელები დაუბრუნდეს ისტორიულ სოფლებს. ასეთი ქმედება მართებული იქნებოდა არა მარტო ისტორიის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების, არამედ სოციალური სამართლიანობის აღდგენის თვალთახედვითაც.**

## თეთრი წყაროს სოფლები

| ერქვა | ჰქვია |
|---|---|
| გორისი | (გარისი, ბელი-კლიუჩი, აღბულაღი), თეთრი წყარო. |
| საღრაშენი | არაშენდა, საღირაშენი. |
| სამეხრეო | წინწყარო. |
| მეთრევანი | იმერა. |
| ვარდისუბანი | შავსაყდარი (1886 წლის შემდეგ). |
| ჯვარა | დმანისი |
| ნამგალი, მანგალი | მანგლისი |
| კლდეკარი | მგლის კარიბჭე |
| სამღერელი (თი) | სამღერეთი |
| ხუნძურეთი (ავაზანი) | ივანოვკა |
| კარაქა | ვეზიროვკა |
| წობა | ალექსეევკა |
| ანდრია | ქოსალარი |
| აბელია | აბელიანი |
| შავთა | ტბისი (სიძვ. 1,67-71). |
| ტაბისი | დიდი ენაგეთი (1823 წლიდან) |
| ენაგეთის ახალშენი | ჯორჯიაშვილი (1934 წლიდან) |
| სოღუთლო (1843 წ.) | ირაგა |

გადასხვაფერება არა მარტო ტოპონიმიკას, არამედ ეთნოსსაც შეეხო. წესის თანახმად დამხდურს ზეგავლენა უნდა მოეხდინა ხიზანზე, თავის სჯულზე და სარწმუნოებაზე მოექცია უცხოელი,

პირუკუ მოხდა. **აბორიგენი ქართველი მოსახლეობა გამაჰმადიანდა, გაფრანგდა, გაბერძნდა, გასომხდა...** უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: ასეთად აქციეს (გააფრანგეს, გაასომხეს...).

**ქართველი კათოლიკენი** მე-18 საუკუნეში წირვა-ლოცვას **ლათინურ ენაზე** ასრულებდნენ. 1757 წელსაც წმინდა კონგრეგაციისაგან კვლავ აიღეს ნებართვა, რომ სახარება და სამოციქულო „სამშობლო ქართულ ენაზედაც" წაეკითხათ. ოსმალოს მთავრობა ვერ ეგუებოდა ორივე ენაზე ლოცვას, დევნაც არ დააყოვნეს, სომხურ ენას კი იმჯერად ცნობდნენ და სომეხ ერსაც გარკვეული თავაზიანობით ეპყრობოდნენ. როცა მესხეთში სისხლი იღვრებოდა, სომხობა განცხრომით ცხოვრობდა და ჩანაფიქრს დიდი წარმატებით ახორციელებდა (ასე გაგრძელდა 1915 წლის ცნობილ ტრაგედიამდე).

**ქართველი კათოლიკე** მღვდელი იძულებული გახდა, წირვა-ლოცვა **სომხურ ენაზე** შეესრულებინა, ამ საქმეში **ტერტერა** გამოეყენებინა და დაუძინებელი მტრისათვის ეთქვა, **„რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ხედავ, აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო"**. ამ ხერხმა გაჭრა, ქრისტიანობა შეინარჩუნეს, ეროვნულობას კი გამოუსწორებელი დაღი დღემდე შემორჩა. რა იცოდნენ წინაპრებმა, რომ ეს გამიზნული ნაბიჯი იყო და შემდგომ **პავლე** და **იაკობი პოღოსად** და **აკოფად** გადაინათლებოდნენ. ერთმა არლელმა (სოფ. არალიდან, ადიგენის რაიონი) ქართველ-კათოლიკე „ტეტია" **მალვენ თათეოზოვმა** (ყოფ. **თომაშვილია**) მარილიანი ქართულით დაასურათხატა ეს ისტორიული აქტი: **„თათარი სომეხს არ ერჩოდა და მამა-პაპათ ამისთვის მიიღეს სომეხ კათოლიკეთა აღსარებაო"**.[1]

ბორბალოელმა (თეთრი წყაროს რ-ნი) პედაგოგმა **რევაზ ასლანიშვილმა** გვიამბო: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსი რომ დავხურე, არდადაგებზე სოფელში ავედი, პაპაჩემი იმხანად 90 წელს იყო მიტანებული. ერთ დღეს გვერდით მივუჯექი და ვკითხე: „პაპა, ეროვნებით ვინა ვართ და რა იცი ჩვენს წარმომავლობაზე-მეთქი". მომიბრუნდა და მითხრა: „რა, შე მამაძაღლო, ეჭვი გეპარება, რომ ქართველი ხარ, აბა სხვა ვინ უნდა იყო?!" კი, მაგრამ თუ ასეა, მაშ, ერთის გარდა შენს ხუთ ვაჟს რატომ დაარქვი უცხო ტომის (სომხური) სახელი. პაპამ ასე მიპასუხა:

---

[1] ალექსანდრე ფრონელი, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

ცხრა შვილი მყავდა, 6 ვაჟი და სამი ქალი, უფროსი მამიდაშენი მარიამი იყო. ძალზე პატარა ერთმა თბილისელმა სომეხმა ვაჭრის შვილმა ითხოვა. სიძეც ამ ხელობას მისდევდა. ეკონომიურად ოჯახს უჭირდა. სიძე მეხმარებოდა, შვილებსაც ის მეურვეობდა და სომხურ ეკლესიაში ნათლავდა, სახელებსაც ის არქმევდა. გადმოცემით ჩვენი წინაპრები **თავადები — ბარათაშვილების** ჩამომავლები ვყოფილვართ" (ბორბალო, **რ. ასლანიშვილი,** 62 წლის, ჩაწ. 1986 წ. აგვისტოში).

მეცნიერულ გამოკვლევებში ბევრ ადგილას ფიგურირებს ქალაქის ხელოსან-ვაჭრებისადმი მიმართული **მეფე ერეკლეს** ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: „ვინც ქართლისა და კახეთის აღებ-მიცემის კაცნი არიან დუქნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, ჰურია, თუ რაც მილეთის კაცი იყოს, მათს ბადალს ვიყაბულებთ".[1] საქმე ეხება სამხედრო ბეგარაში გაწვევისას სანაცვლო დაქირავებული კაცის გაგზავნას (ასეთი შეღავათი ერეკლეს დროს გუთნისდედებსაც ეძლეოდათ). ეს შეღავათი და კიდევ ბევრი სხვაც (რომ მაჰმადიანური სამყარო სომხურ ეკლესიას ნაკლებად ავიწროებდა) ქართველთათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა, რასაც ღარიბი გლეხობა თუ ღარიბი ქართველი მოქალაქენი ადვილად ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ბევრმა ქართველმა მიიღო გრიგორიანობა და სომხად მოგვევლინა.

„მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი ქართველი მებატონის მამული უვარდებოდა სომეხ დიდვაჭრებს. ზოგჯერ ამ მამულებზე მსხდომი გლეხები ახალი მებატონის სარწმუნოებასაც ღებულობდნენ".[2]

**ხშირად არა თუ გლეხობა, მეფეებიც კი სარწმუნოებასა და ეროვნებას აიგივებდნენ და ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევდნენ.**

ქართველი ვაჭრებისა და ხელოსნების გარდა, დიდებულები, მეფეები, მთავრები და თავადიშვილებიც კი ზიარებაზე სომხურ საყდარში დადიოდნენ, ჯვარს იწერდნენ და ბავშვებსაც ნათლავდნენ. მაგ., ალექსანდრე ბატონიშვილმა (ბაგრატიონი) 1770-1844 წწ. ეჩმი-

---

[1] გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVII საუკუნეებში, თბ., 1982 წ., გვ. 30.

[2] გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, წიგნში: შიდა ქართლი, თბ., 1987, გვ. 16.

ეჩმიაძინის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი და იქვე ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული. ჩვენი წინაპრები ამას არ თაკილობდნენ, ამბობდნენ რჯულით ერთნი ვართო".

ისტორიაში შემონახული ცნობებით, ყენის მიერ სპარსეთში ჩარეკილ ტყვეთა ნაწილი ერეკლე მეფეს ფულით დაუხსნია, ხოლო დანარჩენები ეჩმიაძინის ეკლესიას შეუსყიდია. ტყვეებს პირობა ჩამოართვეს, რომ **გრიგორიანულ სარწმუნოებას მიიღებდნენ და გასომხდებოდნენ.**

ქართველისათვის სხვა ტომთა ეკლესიაში სიარული, ასე თუ ისე, ასატანი იყო, მაგრამ ვერ ეგუებოდნენ, როცა მათ სამღვდელოება გვარსა და სახელს უსხვაფერებდა. ყველა სახის სარწმუნოება: როგორც საკუთარი ეროვნული სარწმუნოება, პროტესტანტობა, სიონის რჯული, საყდარი და შეიხისლამი ქართველთა რჯულს რყვნიდა.

1795 წლის ამბების შემდეგ სპარსეთსა და თბილისში მცხოვრებთაგან სომეხ-გრიგორიანელებად მოინათლნენ: **ლოლაძეები, გორგაძეები, გოგიძეები, სიხარულიძეები, შიოშვილები, გაბაშვილები, მენაბდეები, მეწალიშვილები, ჩერქეზიშვილები, ეპიტაშვილები, მაისაშვილები, ზუბაშვილები, ზუბალაშვილები (ზუბალოვი), ალიხანაშვილები, ლაზარეშვილები, მოსეშვილები, გოგიაშვილები, წერეთლები, ავალიშვილები, მაღალაშვილები, მამულაშვილები, მდივნიშვილები, გალეგაშვილები, ბაქრაძეები** და სხვა გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი.

**ქართლ-კახეთი მომრავლდა „ქართველი სომხებით";**

თბილისში, ტაბახმელასა და მარტყოფში მცხოვრებმა **ფარსადანიშვილებმა** (მოგვიანებით ფარსადანოვები) 1795 წელს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება მიიღეს, ხოლო რამდენიმე გვარი სომხად ჩაწერეს. სახელი **„ფარსადან"** სპარსულიდანაა შემოსული და „ბრძენს", „სწავლულს", „მეცნიერს" ნიშნავს.

წიგნში „დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის" (ნაწ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით) მოიხსენიებიან **ფარსადან ბარათაშვილი** (27), **ფარსადან მაჩაბელი** (162), **ფარსადან ზაალისშვილი** (289), **ფარსადან ციციშვილი** (32)... მოგვიანებით ეს სახელი გავრცელებული იყო რაჭაშიც.

ისტორიულ წყაროებში გვარი **რევაზიშვილი** 1469 წელს გვხვდე-

ბოდა. რევაზ არაბულ-სპარსული წარმოშობისაა და „კმაყოფილს“ აღნიშნავს. მოფერებითი ფორმებია: რეზო, რეზიკო, აქედან გვარი რევაზიშვილი (ზ. ჭუმბურიძე, 364-365).

**რევაზისშვილები** ისტორიულად **ამილახორთა (არაბ. ამირ, ახურ** „საჯინიბოს უფროსი“, ამირსპასალარის თანაშემწე, ცხენოსანი ჯარის უფროსი“) შთამომავალნი არიან, „რომელნიც განიყოფებიან სხუა და სხუა სახლად: **1) რევაზისშვილებად, 2) ქაიხსროსშვილებად, 3) ბეჟანისშვილებად, 4) ერასტისშვილებად** და იმის ძმისწულებად, **5) გივისშვილებად,** ხოლო პირველი თავთადობის ადგილი და ამილახორობა სპასპეტობა იყო რევაზიშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხუათა აქუნდით მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხი და პატივი“ (საქ. სახ. მუზ. ხელთ-თა განყ-ბა, ფ. შ, საქმე 350).

**„თავადი გურჯი რევაზისშვილი.** ესენი არიან **ბარათაანთ გვარისანი,** გარნა გაუგვარდათ სახელი, სიმხნის გამო, რომელ გურჯი რევაზად სახელდვეს თათართა, ოდეს ბრძოდნენ მათ და რომელნიც ითარგმნების **(გურჯი რევაზ) ქართველი რევაზ** და ესე გვარი მიიღო რევაზმან დროსა მეფისა ვახტანგისასა წელს 1703-სა და მუნიდგან იწოდებიან **გურჯი რევაზის შვილებად** მისნი შთამომავლისანი და არიან რაოდენსამე სახლად სომხითსა შინა“ (საანდაზო ლექსები... 30).

გარისის ვარხუნაში (იგივე ვერხვნალაში) 1873 და 1886 წწ. აღწერით, **არეშევა,** მოგვიანებით **არეშოვები,** აზნაურები იყვნენ – **არეშიშვილები** და ამის გამო სოფელი ვარხუნა კარგა ხანს **არეშოვკად** იწოდებოდა. არეშიშვილები (დასავლეთ საქართველში **არეშიძე – არეშიძეები) ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის** (ბარათაშვილთა შტო-გვარია) მემამულეები იყვნენ. ვახუშტის აღწერით 1721 წ. „ქ. **არეშიშვილები:** ქ. გარის ვარხუნას ჰყავდათ ყმა-გლეხები. იხ. ჯ. ი... კ., ყმა ათი, ბოგანო შვიდი“ **(ვახუშტი,** გვ. 91-93).

**ვარხუნას გარდა, არეშიშვილები** ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სოფლებში: დურნუკში, ენაგეთში, დვალთაში, იფნარაში, ეცოში, ლიპში, ახალშენში, ბანაურში, ჩხიკვთაში, შავსაყდარში (არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის მემამულეები (დღევ. გარდაბნის რაიონი), მათი მთავარი სალოცავი დიდი ენაგეთის წმინდა გიორგის ეკლესია იყო. **1883 წელს დიდი ენაგეთის სახაზინო ყმას**

ივანე იოსების ძე ჯოიაშვილსა და მის მეუღლეს, სოფა ზურაბის ასულს, ქალიშვილი ანა მოუნათლა აზნაურმა ალექსანდრე არეშიშვილმა და სიმონ ჯოიაშვილის ასულმა ქეთევანმა (სცსსა, ფ. 489. 9, №1, 1883 წ.);

იყო საკუთარი სახელი **არეში,** ასევე **არეში** მდინარეა ყვირილასა და ლაგოდეხის რაიონებში. მდ. კაბალის მარჯვენა შენაკადი, არეშფერანი (სოფელი ლაგოდეხის რაიონში). შდრ. **არეშიძე ვახტანგ მოსეს ძე,** ქართველი მსახიობი, საქ. რესპ. დამსახურებული არტისტი, **არეშიძე ქრისტეფორე იოსების ძე,** ქართველი ქიმიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე წიგნში „დედაენა ქართული" (1987 წ.) წერს: „ადამიანის ხასიათს, თვისებას გამოხატავენ გვარები: **ამყოლაძე, კეთილაძე, ბაინდურაშვილი,... ლოხიშვილი (ლოხი** დაახლოებით იგივეა, რაც **ლაფაჩი.** „ზარმაცი, ზანტი, დონდლო"). **...უჯმაჯურიძე (უჯმაჯური,** რომლის ვარიანტებია: უწმაწური, უკმაკური, ნიშნავს „მოუსვენარს, უკუღმართს").

**ბაინდურაშვილის** (რუსული გაფორმებით **ბაინდუროვი)** გვარის ძირია **ბაინდურა,** რაც გვარის წინაპართა ნაკლზე მიგვანიშნებს (ბანდური, დანდური, მოუხერხებელი), იყო მეტსახელი და შემდგომ საკუთარ სახელადაც იქცა. ზოგი მეტსახელი დღემდე შემორჩენილი ბევრი გვარის მწარმოებელია. ასეთნაირადაა მიღებული: **აბჟანდაძე, აგაშენაშვილი, ავბეწვიშვილი, ავქაფაშვილი (ავქოფაშვილი), აზალაშვილი, აზმაიფარაშვილი, აზრუმელაშვილი, აიწურაძე, ალელიშვილი, ამბარდანაშვილი, ამოთაშვილი, ამყოლაძე, ამურველაშვილი, ანდრიბურა** მეტსახელი შემონახულია **მჭედლიშვილის** გვარის სახინჯარში. **აპრილაშვილი, არათანაშვილი, არახველაშვილი, არდემანაშვილი, ართმელაძე, აროშიძე, ალათონაშვილი, ალსაბაძე, აწკარუნაშვილი, ახალკაცი, ახალკაციშვილი, ახრახაძე** და სხვა. (შდრ. ალ. ღლონტი. ქიზიყის ტოპონიმია, 1982 წ., ქართველური საკუთარი სახელები, 1986; ილ. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, 1981 წ.).

საკუთარი სახელი **ბაინდურა** და მისგან ნაწარმოები გვარი **ბაინდურაშვილი** ერთ-ერთი უძველესი გვარ-სახელია ქართულ სინამდვილეში. **ბაინდურ//ბანდურ** პატრონი მოიხსენიება 1060 წელს რუისის

ცკლესიის ერუშეთის წარწერაში: **„პატრონსა ბანდურს შ' სლ' ნ (–1474) და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხსროს შ' სლ' ნ“ (1500).**

მე-13 საუკუნის ქართლში იქმნება **არაგვისა და ქსნის საერისთავოები.** ისინი იყვნენ ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტაციული ერთეულები, რომლებსაც მეფის დანიშნული მოხელე – **ერისთავი** (ზოგი წყაროთი ერისთავთ-ერისთავი) მართავდა.

**არაგვის** პირველი ერისთავები **შაბურისძენი** ყოფილან, ხოლო რიგით მესამე ერისთავად **ბაინდურ-**ა იხსენიება. ერისთავებად ცნობილი არიან **ბაინდურ I,** II და III. თედო ჟორდანიას მიხედვით **ბაინდურ I-ლი** ის პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელმაც 1527 წლის ახლოს ცოლად შეირთო დავით მეფის ასული და 1560 წ. ამოხოცა ძმები (Თ. ჟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, გუჯარის წიგნი, II, 189); 1527 წლით დათარიღებული მცხეთის ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია: „ქ... ესე წიგნი ვკადრეთ (მცხეთას)... და აზ-ს ბასილს ჩ'წ ერისთავმან ბაინდურ და ჩუენთა ძმათა ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ... მას ჟამსა, ოდეს (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევირთეთ; საკანონო იყო და თქუნც გამოგუცნახენით ჩ' ნ' მისთუის დაგიდევთ ჩუენი ნასყიდი დიღუამს ვენახი თავქალასეული მისითა წყლითა“ (ქრონიკ., II, 371);

**არაგვის ერისთავ „ნუგზარ დიდის“** (1616 წ.( ცხრა შვილიდან (6 ვაჟი, სამი ქალიშვილი) ერთ-ერთს ერქვა **„ბაინდურ დიდი“** (1616-1619 წ. 20 წ. 21 წ.);

...1617 წ. ქ. კს: ტე: „ქ. ესე წიგნი მოგახსენე... სუეტსა ცხოველსა... მე ერისთავმან, პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ დ' გ' იმ)... (ქრონიკ., II, 441-4442);

...1697 წ. ერსითავად დაჯდა **ბაინდურ II.** მის მიერ შეკერილი ოლარი (მღვდლის ყელ-საკიდი, ქამარი) ინახება ეკ. მუზეუმში (იქვე, 442);

**ბაინდურა** ბატონი არის მოწამე ნასყიდობის წიგნში, 1689 წელს რომლითაც ბასილა **ქუბასშვილი** და მისი ძმები თავიანთ განაყოფ ქიტიას და მის შვილს ასყიდებენ წისქვილსა და მიწის ნაკვეთს (საქ. სიძვ., I, 118); იქვეა მოხსენიებული **ბაინდურა ყორღანაშვილი.**

**ბაინდურა III** ერისთავად დამჯდარა 1696 წ. „ნაზარ ალიხანმა

გიორგი ერისთავი ყაენს გაუგზავნა და არაგვის ერისთავად ბაინდური დასვა“ (ვახ. საქ. ცხ., 66-67).

**ბაინდურაშვილები** მე-17 საუკუნიდან მოყოლებული იყვნენ მემამულეებიც და ყმა-გლეხებიც. მაგ., **ქაფანავაანთ ფარსადანა ხოსინა ბაინდურაშვილისაგან** ყიდულობს ორ ქულბაქს (საქ. სიძვ., ტ. II, 425); **„ნასყიდა და ნაზარა დოლმაზაშვილების** (იგივე **შანშიაშვილები, პაპიაშვილები, გოგიბაშვილები, მარტუილოზაშვილები...**) გაყრის საქმესთან შედგენილ განჩინებაში (შედგენილი 1696 წლის 25 მარტს) აღნიშნულია: შინდი(ს) ბაინდურაშვილს მიწაში ნაღობი ჰქონდა, ნაზარას დავალებით (ხელნაწ. ინსტიტ., Hd 935).

**ბერი ბაინდურაშვილი, აზნაური** 1721 წლის აღწერით **ზაალიშვილი პატარა ზურაბის მემამულე,** ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დბანისში (ისს. ლორთქ., ქვემო ქართლი, გვ. 330).

**ბაინდურაშვილებს** უცხოვრიათ სოფლებში ანდრიაში, პატარა თონეთში, წყლულეთში (დღეს ცხოვრობენ გარდაბნის, კასპის... რ-ში).

ქართულფუძიანი გვარ-სახელი **ბაინდურაშვილი** მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხურ ეთნოსს მიეკუთვნა და აღწერის დავთარში გრაფის გასწვრივ **„ტომი, ჩამომავლობა“ სომხად დაფიქსირდა.** ასეთივე ბედი ეწვია გვარებს: **მღებრიშვილი** (მღებროვი), **მებაღიშვილი** (მებაღოვი), **ლალიძე** (ლალიევი), **მერაბიშვილი** (მერაბოვი), **სააკაძე** (სააკოვი), **ოლქიაშვილი** (ოლქიევი), **აფრიამაშვილი** (კათოლიკეები, აპრიამოვი), **პავლიაშვილი** (პალიანცი), **ზაალიშვილი** (მემამულეები ზაალოვი, ზალიანცი), **ქობულაშვილები** (შდ. უძველესი თავადები **ქობულისძენი**) იყვნენ მემამულეებიც და გლეხებიც (ქობულოვი), **მაღალაშვილი** (მაღალოვი), **მამულაშვილი** (მამულოვი), **ლაშქარაშვილი** (ლაშქაროვი), **დედალამაზიშვილი** (დედალამაზოვი), **ასლამაზიშვილი** (ასლამაზოვი), **ალხაზიშვილი** (ალხაზოვი, იგივე **ლამაზაშვილი**), ქოჩორაშვილი (ქოჩოროვი) და სხვა. მრავალი.

ზემოთ აღნიშნულ გვარ-სახელებს კომენტარი არ ესაჭიროებათ. არც ერთ გვარის ძირს არაფერი აქვს საერთო სომხურთან. პირველი ორი გვარი ხელობას აღნიშნავს.

**მერაბიშვილის** გვარიდან 1795 წელს რამდენიმე სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას მიკედლებია და **მერაბოვად** (მერაბიანცი) „გამხდარა“. სახელი **მერაბ** სპარსულია და „მზესავით ელვარე“, სიტყვასიტყვით „მზის წყალს“ ან „მზის ელვარებას“, „წყლის ამირს“

აღნიშნავს: **მერაბ** – წყლის გამანაწილებელი მოხელე, წყლის უფროსი. **მერაბი** ერქვა „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ პერსონაჟს, **როსტომის** პაპას, რომელიც ზაბულისტანში მეფობდა (იხ. ზ. ჭუმბურიძე, „დედაენა ქართული", თბ., 1987, გვ. 356); მერაბიშვილთა გარკვეული ფენა მესხეთიდან სოფელ უდედან არიან. ბევრნი კი სხვადასხვა თავადური საგვარეულოს შტო-გვარია.

**სააკაძეთა** ერთმა ნაწილმა ძველად კათოლიკობა მიიღო, ორი ფრანგი სააკაძე გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოიქცა და **სააკოვად** მოინათლა (მანგლისი); ამავე პერიოდში **ედილაშვილები** (ედილიანცები), **დარჩიაშვილები** (დარჩიანცები), **სოსიაშვილები** (სოსიანციები), **ელბაქიძეები** (ელბაქიანცები), **მამუკაშვილები** (მამუკიანცები), **ტატიშვილები** (ტატინიანები, ტატინიანცები), **იტრიაშვილები** (კავშირი აქვს სოფ. იტრიასთან – იტრიანცები), **მარკოზაშვილები** (მარკოზოვები) გამხდარან.

ჩვენი სათქმელის გასაგრძელებლად მოვიხმოთ 1850 წ. თვითმხილველ ბატონიშვილთა, მღვდელ **მელითაურის**, სარდლიანთ მწიგნობრის, **დავით ამირეჯიბისა** და მსახიობ **იოსებ (ელიაზაროვი) ელიაზარიშვილის** ნაამბობი:

„1795 წ. ომის შემდეგ თფილისი დაცარიელდა. მტერმა დასწვა სამი ხიდი და მასთან მთელი ქალაქი, დააქცია და დასწვა ისეთი საყდრებიც კი, რომლებიც თლილი ქვით იყო აშენებული. ამ დროს ქართველთა ოცზე მეტი საყდარი დაუნგრევიათ. გადარჩა მხოლოდ მეტეხი, ჯვრის მამა, სიონი, ანჩხატი (ანჩის ხატი) და ქაშვეთი. სომეხთა საყდრები უვნებლად გადარჩა. მხოლოდ შიგ დამალულნი კი ამოსწყვიტეს. ასე გაგრძელდა საათნახევარს. დამალულები ეუბნებოდნენ, სომხები ვართო, მაგრამ სპარსელებმა არ შეიწყნარეს მათი განცხადება.

– სომეხი თუ იყავ, რაღათ იმალებოდი აქაო? ამ დროს გადარჩა მხოლოდ **საიათნოვას** ცოლი, **მარიამი.**

სიკვდილის შიშით ბევრი ქართველიც ამბობდა, **სომეხი ვარო.** მტრის წასვლის შემდეგ ქართველთა ეკლესიები უპატრონოდ იყო. ხუცები არსად იყვნენ, ყველა გასული იყო შიშით, ვინც თფილისში დარჩა, ზოგნი ტყვედ წაიყვანეს სპარსეთში და ზოგნიც ომში დაიხოცნენ. ქართველთაგან ვინც კი გადარჩა, სომხის ეკლესიაში იწყო სიარული.

**დოსითეოს ფიცხელაურის** გადმოცემით, ჩუღურეთში, კუკიაში, შავ სოფელში, ვერაზე და ავლაბარში ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომეხთა რჯული. ყველა ქართველი ამას ამბობდა: **„ოღონდ ქრისტიანები ვიყოთ და სჯული, რომელიც უნდა ის იყოსო“.**

რაც შეეხება სოფლებს, იქაც თითქმის მთელმა სოფლებმა იწყეს გადასვლა. ამ დროს მოქცეულან **სომეხ-გრიგორიანელებად** სოფელ **თელეთის** მცხოვრებლები. გაქართველება აღარ ხერხდებოდა, რადგან მათ მტრისთვის ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ ჩვენ სომხები ვართო. თანაც მტრის კვლავ უკან მობრუნების შიშიც ძლიერი იყო. ხმა იყო დარხეული, რომ მტერი (აღა-მაჰმად-ხანი) მეორედ აპირებს მოსვლას თფილისზე, ქართველებს ყველას დახოცავს და აბა რა ძალა გვადგა, რომ ჩვენს მტერს თავი მივცეთ ხელშიო. ამ დროს არიან გასომხებული **მაისურაძეები, ლაზარეშვილები, მერაბიშვილები, რამილიკულაშვილები** და მრავალნიც სხვანი“.[1]

მოურავების **დავითისა** და **ბაქრაძის** ნაამბობიდან: „სამშვილდეს (დღეს თეთრი წყაროს რაიონშია – ი. ა.) მთლად ქართული სოფლები იყო, ამ სოფელთა მებატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგის ბარათოვები და მასთან სხვანიც. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, მტერი მუსრს ავლებდა, შველა არსაიდამ იყო. გლეხკაცობა უპატრონოდ დარჩა. მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა. ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხათ აცნობეს და ამით გადარჩნენ სიკვდილს. თუ ეს გარემოება არა, უთუოდ მტერი სულ გასწყვეტდა მათ. ზოგიც ტყვედ წაუყვანიათ, ზოგიც დაუხოცავთ, ვინც კი გადარჩა, ეს იმის წყალობით, რომ თავი სომხათ აღიარესო. ბოლნისის სიონი და ბევრი სხვა საყდარი მტერს სომხების კუთვნილებად გააცნეს, რის გამოც ისინი დაწვას გადაურჩნენ. როგორც ბოლნისის სიონი, ისე რიგი სხვა საყდარი სომხების კუთვნილებად იყო მიჩნეული, რომლის მრევლთაგან ნაწილი უფრო ადრე გასომხდა, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის დროსაც ბევრი გადასულა და ამ გზით გადირჩინეს თავი სიკვდილისაგან.

ოსმალ-სპარსელების გარდა, ქართველები სძულდათ ლეკებ-

---

[1] გაზ. „სამშობლო“. 1915 წ., №178

საც. ისინი ქართველთა მტრად იქცნენ. როგორც ტყვე-ქართველები, ისე მოსახლეობა ლეკებს თავს სომხად აცნობდნენ და ამ გზით ფიზიკურ მოსპობას თავს აღწევდნენ. ამ მიზეზით მრავალმა კახელმა სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში დაიწყო სიარული და იმდენად ძლიერი იყო შიშის გრძნობა, რომ ბევრმა აღარ დაიბრუნა ქართველობა. ამითაა გაპირობებული ის გარემოება, რომ არაიშვიათად ერთი 'მტოს გვარში, **თვით ოჯახშიც კი, ერთი ძმა ქართველია, მეორე – სომეხი.**

საქართველოში მოსულ სომხებთან აქტიური კონტაქტი ჰქონდა ეჩმიაძინს. ეჩმიაძინის ტაძარი ერთ-ერთი უმდიდრესი და უმსხვილესი ორგანიზაცია იყო სომხეთში. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მას ეკუთვნოდა სახნავ-სათესი მიწები და ბაღ-ვენახები, ქარვასლები, დუქან-სახელოსნოები, არხები, წისქვილები, ზეთსახდელები და სხვა სამეურნეო ობიექტები. შეძლებული ეკლესია ყოველმხრივ ეხმარებოდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს და ცდილობდა, რაც შეიძლება დიდად გაეზარდა საკუთარ ყმათა კონტიგენტი აქაურ სომხურ მოსახლეობაში. ეკლესია კლასობრივი ინტერესებიდნ გამომდინარე, კარგად ორგანიზებული აგენტურის ფართო ქსელის საშუალებით ყოველნაირად უწყობდა თავის სასარგებლოდ განწყობილების გავრცელება-გაღრმავებას საქართველოს სომხურ ფენაში. უპირატესად შეუძლებელ ნაწილს თავს ქომაგად და მფარველად აჩვენებდა, რათა ამ სომხობის სულ უფრო მეტი ნაწილი მოექცია თავისი ყმობის უღელში.

როგორც იქვა, ადრეულ პერიოდში მფლობელისა თუ მესაკუთრის კონფესიურ (სარწმუნოებრივ) კუთვნილებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. თვით საეკლესიო საბუთებიც, რომლებიც ეჩმიაძინის ინტერესებს ეხებოდა, ქართულ და სომხურ ენებზეა შედგენილი. სამეფოს შიგნით მსგავსი ოპერაციებისას, საბუთის გაცემის ეთნიკური და სარწმუნოებრივი კუთვნილებისდა მიუხედავად, დოკუმენტი მხოლოდ ერთ, ქართულ ენაზე ლებოდა.

ქართველების სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების ფაქტები განსაკუთრებით მომრავლდა XVII საუკუნიდან. წმ. ბასილის არქიმანდრიტმა **ნიკიფორე ირბახმა,** რომელმაც კარგად იცოდა ევროპული და აზიური ენები (კათოლიკობა მიიღო რომის პაპის თანდასწრებით), რამდენჯერმე მოახსენა და შესჩივლა „კონგრეგაციას“ (კა-

თოლიკურ ეკლესიაში ერთგვარი წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება), რომ საქართველოში ქართველებს თუ არ ათათრებენ, არამედ ასომხებენ კიდეცო. **„სომხები ქართველ მებატონეებისაგან ყიდულობენ მიწებს გლეხებითურთ და შემდგომ ისინი თავიანთ რჯულზე გადაჰყავთო“**. 1640 წელს ავგუსტიანელების ორდენის ძმას ამბროზიოს „კონგრეგაციისათვის“ საქართველოდან ასეთი წერილი მიუწერია: **„ჩვენი მონოზნები** (ე.ი. ლათინის) ამ ქრისტიან ქართველებში დიდი სიკეთის ქმნას შეიძლებდნენ, რომ მათ შეძლება ჰქონოდათ ქართველთ სოფლების სყიდვისა იმგვარად, როგორც ამას სომხები სჩადიან. თუმცა ქართველებს ნამეტნურ სარწმუნოების მხრივ სომხების დიდი სიმძულვარე გადადის სომხის წესზედ. ქართველები უეჭველია დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდნენ“.[1] ზ. ჭიჭინაძე წერს: „ლათინის ბერები შესჩიოდნენ „კონგრეგაციას“ იმის თაობაზე, რომ სომხები ძლიერ გვიშლიან ხელს ქართველების გაფრანგების საქმეშიო. ქართველებს აშინებდნენ: **თქვენ არ გაფრანგდეთ, თორემ ბოლოს ინანებთ, ფრანგები ბაყაყჭამიები არიან, გველებსაც სჭამენ, ცუდი რჯული აქვთ, ჭუჭყიანი და მყრალი ხალხია. ბაყაყის მჭამელის ზიარება და ცხონება არ შეიძლებაო“**.[2]

სომხეთის სამღვდელოებას სძულდა კათოლიკობა და ყველა ხერხით ებრძოდა მას. ამ საქმეში ზოგჯერ ქართველი მეფეებიც უბამდნენ ხოლმე მხარს. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუში დაცული ცნობა გვაუწყებს, რომ 1750 წელს ქართველმა მეფემ დევნა დაუწყო თბილისის კათოლიკეებს იმის გამო, რომ კათოლიკობა ქართველ თავადებში და გლეხთა შორისაც ვრცელდებოდა. ანტონ კათალიკოსს პირდაპირ ბრალი დასდეს კათალიკოსთა მიმხრობისათვის. ქართველთა მეფემ კათოლიკე მღვდლები (პატრები) გააძევა ახალციხეში, ხოლო თბილისელ კათოლიკებს დაავალა გრიგორიანულ ან ქართულ (მართლმადიდებლურ) ეკლესიაში ევლოთ. თბილისის კათოლიკეთა ეკლესია დააკეტინა.

**იმ დროს ხალხს ასეთი ლექსი შეუთხზავს:**

---

[1] ციტატა მოგვყავს ზ. ჭიჭინაძის წიგნის „ქართველი გრიგორიანების“ მიხედვით, თბ., 1906 წ. გვ. 38.

[2] იქვე, 38

ადგნენ და ზემო ქუჩა თუ (უბანი) შელობეს,
ჩვენ ლოცვისა და საყდრის გზა შეგვიკრეს,
შუაში ჩადგა მღვდელი ლარაძე,
ღმერთმა გაუწყვიტოს იმას თავისი ძე.
    არ გავხდებით სომხები, არა და არა
    მოგატყუებთ არც მართლმადიდებლები გავხდებით.
ჩვენი მღვდლები რიგ-რიგობით დაამწყრივეს,
ნიშნებით ყველას სურათი გადაიღეს.
არ გავხდებით სომხები არა და არა,
მოგატყუებთ, არც მართლმადიდებლები გავხდებით.[1]

ქართველთა შორის გრიგორიანობა უპირატესად ქართლსა დ კახეთში ვრცელდებოდა. ისინი სომხეთთან, სხვა კუთხეებთან შედარებით, სიახლოვეს იყვნენ და მათზე უფრო იოლად ახერხებდნენ სარწმუნოებრივი გავლენის მოხდენას. ამაში არაიშვიათად თვით ჩვენი სამღვდელოება და ქართველობაც უწყობდნენ ხელს. რელიგია, რომელიც ქართველი კაცის შემნახველი, მფარველი და პატრონი იყო და რომლის მცნებებსაც ჩვენი წინაპარი ხშირად ეწირებოდა, თანდათან დაიჩრდილა. ქართველი კაცი მეტისმეტად მიმნდობი, ალალმართალი და კეთილი იყო. როგორც იტყოდნენ: **„ქართველები ჰფანტავდნენ, ანიავებდნენ, ხოლო ამ განიავებულს, მიმობნეულს სხვები ჰკრეფდნენ“**. ,

ქართველი თავადაზნაურობა განსაკუთრებით ხელჩაქნეული გახდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ზედა ფენამ თავიდან მოიცილა რა გარეშე მტრის შიში, ქეიფსა და დროსტარებას, მამულებისა და ქონების გასხვისება-გაყიდვას მიჰყო ხელი. სამშობლო და მისი კეთილდღეობა, მისი მერმისი ძალზე ცოტას თუ აწუხებდა. XIX საუკუნეში თითზე ჩამოითვლებიან ქართველნი, რომლებმაც ქველმოქმედება გამოიჩინეს და ხალხისათვის რაიმე იღონეს.

იმ დროისათვის საქვეყნო საქმე და მისი ტრფიალება არავითარ საუნჯესა და ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. დიდმა ილიამაც მიაქცია ამ ამბავს ყურადღება და აღწერილ ეპოქასთან დაკავშირებით თქვა: **„ქვეყნის საქმე და სიკეთე, მასაც ფეხებზედ**

---

[1] ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტის ფონდი H 1926, გვ. 224.

ჰკიდიაო“. **„ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს – ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში ან მიწაში დავმალოთ, – ...ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვაკითხავს“...** მხოლოდ ბედოვლათი თავადებისა და ბატონების ანაბარა რომ ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა, ალბათ, უფრო მეტად გაუჭირდებოდა და შესაძლოა, დღევანდელ ღირსებასაც ვერ მოსწრებოდა...

ბევრი ქართველი მეფე, მათ შორის **ერეკლე მეორეც**, სარწმუნოების საკითხს გამორჩეული ყურადღებით არ ექცეოდა. ქართველი მართლმადიდებელი კათოლიკობას თუ სომხურ-გრიგორიანულ სჯულს მიიღებდა, მათთვის სულ ერთი იყო. სარწმუნოებისადმი ზერელე დამოკიდებულებას მოხერხებულად იყენებდნენ ტერტერები. მათ მხარს უმაგრებდა და აფინანსებდა ეჩმიაძინის სინოდი. იშვიათი როდი იყო, რომ ოსმალეთსა და სპარსეთში გატაცებულ ქართველ ტყვეებს ყიდულობდნენ, საქართველოში ჩამოყავდათ და სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ. ქართველი იძულებით ხშირად თვით მოსისხლე მტერთა სარწმუნოებასაც – ისლამსაც იღებდა.

**ვლადიმერ ალნიაშვილი** გადმოგვცემს, რომ **შაჰ-აბას I-ის** მიერ სპარსეთში გახიზნულ 120 ათას ქართველიდან ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, ნაწილი გრიგორიანულ, ხოლო ნაწილი მუსლიმანურ სარწმუნოებაზე მოექცა.

ქართველს ტანჯვა-წამება, დევნა, ფიზიკური რისხვა თავიდან რომ აეცილებინა, იძულებული იყო დაემალა ვინაობა, უარეყო საკუთარი თავი. როგორც ახალციხის ქართველ კათოლიკე მოძღვართა სამისიონერო დღიურებიდან (XVIII ს.( ჩანს:

„ა. ოსმალო-სპარსეთსა და ოსმალოს საქართველოშიც ქართველი თავისი ვინაობით ვერსად გამოჩნდებოდ-ა, თუკი იგი იტყოდა ქართველი ვარო, მაშინ მას ჩასთვლიდნენ საშიშ კაცად, უმალ დაუწესებდნენ თვალყურის დევნას.

**ბ.** თუ რაიმე დასამტკიცებელი საქმე ექნებოდა, გაუძნელებდნენ. ყოველივეს ისე გაუმწარებდნენ, რომ სიტყვა „ქართველი“ სანანურადან საგმობათ გახდომოდა.

**გ.** ქართველი რაც გინდა მართალი ყოფილიყო, სამართალში

ყოველთვის მას გაამტყუნებდნენ. იმ პირს კი გაამართლებდნენ, ვინც ისლამს აღიარებდა.

დ. ქართველი რაც გინდა კაი კაცი ყოფილიყო, მასთან კარგი ხელოსანი, სამუშაოს არ აძლევდნენ.

ე. ყოველს შემძლებელს ქართველს თავისი ქონების დაცვა არ შეეძლო, რადგანაც მისი ქონების წამრთმევი ისლამის მეოხებით არ ისჯებოდა.

საშინელ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული ქართველი ქალი. იგი რომ ვინმეს დაეჩაგრა, მისთვის მფარველობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როცა იგი ისლამს დაუკავშირდებოდა. ქართველი ქალის მდგომარეობას ერთადერთი ეს გარემოება შველოდა, თუ არა და ისინი მთელი დღე მეჯლისის კარებში იდგნენ ჩადრებდახურულები და სამართლის პასუხს ამაოდ ელოდნენ.

ვ. მეტად ცუდი დღე დაადგებოდა, ვაი მისი ბრალი – იმ ქართველ კაცს, ვინც მუსულმანს აწყენინებდა, ვინც ცუდად მოიხსენიებდა. ხშირად მტრობით შარსაც მოუგონებდნენ ხოლმე, მერე ქრთამს გამოართმევდნენ და თავს დაანებებდნენ.

ზ. ქართველთ ყოველი ლხინი, წვეულება და სიმღერები ნამეტურ ქართულად აკრძალული ჰქონდათ. ასევე ქორწილი ან სხვა რამ ასეთი წვეულება.

თ. თვით მიცვალებულთა დასაფლავების უფლებაც კი არ ჰქონდათ მათ ღამე უნდა გაესვენებინათ მკვდარი და ისე უნდა დაესაფლავებინათ, რომ არავის გალობის ხმა ან სხვა რაიმე წესის შესრულება არ გაეგო.

განსაკუთრებულ უპატივცემლობას იჩენდნენ ქართველი მღვდლის მიმართ. საფლავებს ღრმად ათხრევინებდნენ, ამბობდნენ: **„ქართველი, მით უმეტეს მღვდელი, ცოდვილია, თუ ღრმად არ ჩავფალით, მიწა არ მიიღებს, უკან ამოისვრისო“.**

ზემოთ მოყვანილი მუხლებით არ შემოიფარგლებოდა ქართველთა განუკითხაობა. აღნიშნულიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ იდევნებოდა ჩვენი წინაპარი სპარს-ოსმალოთაგან. გავიხსენოთ ამ პერიოდში ქართლ-კახეთს სპარსელი ვალები, ხოლო იმერეთს – ოსმალოელი ფაშები განაგებდნენ. ოსმალოს მონობაში სამცხე-საათაბაგოს შესვლის დღიდან აღნიშნული წესები მთელი სისასტიკით სრულდებოდა.

გაწეული მუშაობის შედეგად სამცხე-საათაბაგოში ასეთი სურათია: მცხოვრებლები, როგორც წესი, ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, მშობლიურ ენად თათრული ექცათ, ხოლო სარწმუნოებით კათოლიკენი გახდნენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქებმა მათდა დაუკითხაად სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების კონსისტორიას (საკრებულოს) მიაწერეს და სომეხ-კათოლიკებად" (სომხად) ჩაითვალნნენ. მთელ ამ მრევლს სომეხი მღვდელი დაენიშნათ და ღვთისმსახურებაც სომხურად სრულდებოდა. სხვა **„სიკეთესთან" ერთად „გადამთიელებს" (ქართველებს), ჩააგონებდნენ, რომ ყველა ესენი სომხის გვარისანი არიან, დედაენაც სომხური აქვთ და ევალებათ არც თვითონ დაივიწყონ მშობლიური სომხური და შთამომავლობასაც შეასწავლონ.** ამ შეგნებით მრავალი მღვდელმსახურები ქართულ გვარ-სახელთა გადასხვაფერებაზეც არ ამბობდნენ უარს. ამ გზით, **მიქელაშვილი — მიქელიანცი, ნიკოლაიშვილი — ნიკოლოზოვი, ზაქარიაშვილი — ზაქარიანი, თურმანიძე — თურვანდოვი** (არტაანის ხეობა), **ლაზიშვილი — ლაზიანი, მალხაზიშვილი — მალხასიანი, ჭონიშვილი — ჭონიევი, აჭარელი — აჭარიანცი, ჭანიშვილი — ჭანიევი** (ართვინის ქართველი კათოლიკები), კათალიკოს-მოძღვარი **პუჭპუჭაშვილი** (ახალციხელი, გადასახლებული ართვინში) გასომხდა და **პუჩინიანი** გახდა.

1744 წელს ხუცური სახარების შეწირული ცნობა გვაუწყებს: „ეს წმინდა სახარება წმ. იოანეს ეკლესიას 1744 წ. თებერვლის 22-სა შესწირა **იაკობ საბაოვმა**"-ო, ე.ი. **საბაშვილი საბაოვი** გახდა.

იმერეთის ძველ ქართველ თავად **ჩხეიძეების** გვარის წევრებს კათოლიკობა მიუღიათ, მოზდოკში გადასულან საცხოვრებლად, ქართული ენა თანდათან დაუვიწყნიათ და სომხურ-რუსულად ამეტყველებულან. რუსეთის იმპერატორთან წარსადგენი ცნობა დასჭირვებიათ. მიუმართავთ იმერეთის მეფე **დავითისათვის** დაედასტურებინა ჩხეიძეთა თავადიშვილობა, რათა ისინი რუსეთშიც ეცნოთ ამავე ხარისხით. დავით მეფის მიერ გაცემულ საბუთში წერია: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, მეფე დავით სრულიად იმერეთისა ვაძლევთ ამას სამეფოს ფურცელსა სიმონსა და პეტრესა სამეფოისა ჩვენისა, თავადის შვილთა და ერთგულ ყმათა ჩვენთა ჩხეიძეთა და ამით განუცხადებთ, ყოველთა ერთგულთა ყმათა ჩვენთა, რათა ამათ თავადათ **სიმონსა** და **პეტრესა** აქვნდესთ პატივი მათ და ყოველთა მათგან შთამომავალთა თავადობისა ჩვენისა და რადგან სვიმონ და

პეტრე მისის იმპერატორობის დიდებულობის საფარველის ქვეშ ცხოვრობენ, იქაც აქვნდესთ (იქაც) ღირსება სამეფოსა თავადობისა ჩვენისა, მიეცათ ფურცელი ესე სამეფო, და დამტკიცებული იქმნა სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა სამეფოსა, ქალაქსა შინა ჩვენსა ქუთაისს, წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა. ღვთისასა ივნის 13 დღესა მეფობისა ჩვენისა მესამესა წელსა 1782 წ.".

ერთ ქართულ გაზეთში 1893 წელს მოზდოკის ქართველი კათოლიკები, – **ჩხეიძე, მაისურაძე, მამულაშვილი, საყვარელიძე** და სხვა. სომხის გვარის კათოლიკედ დაუსახლებიათ. ამის გამო უმალვე გაჩენილა საჩივრის წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „გთხოვთ უმორჩილესად თქვენ პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ რამდენიმე პწკარი შემდეგ განმარტებას: „ცნობის ფურცელში" №358... კახაბერი ამბობს: მოზდოკში, ყოველ წლობით ჩვეულებისამებრ 15 აგვისტოს, დღესასწაულობენ ღვთის მშობლის მიძინებას და მლოცველნი, არა მხოლოდ არიან მართლმადიდებელნი, არამედ მათთან ერთად შეერთებულნი სომეხი კათოლიკენი და სომეხი გრიგორიანიო...

...დარწმუნებული ვარ, რომ კახაბერი არ მიიღებს საწყენად ამ ჩემს განმარტებას და ვეტყვი, რომ მოზდოკში მცხოვრებლები არიან ქართველი ტომისა და ლათინის წესის კათოლიკები და არა სომეხ-კათოლიკები" (**ზ. ჭიჭინაძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 42).

კომენტარს უკეთებს რა ზაქარია ამ ფაქტს, წერს: „საზოგადოდ განსხვისებას ზოგჯერ იოლად რომ ეგუებოდა, ეს ქართველი კაცის გულგრილობის ბრალი იყო. იგი ყოველთვის ისე არ იქცეოდა, როგორადაც მაცხოვარი თავის სახარებაში ასწავლიდა: „კაცს თუ ვისმე ედგას ასი ცხვარი და შესცდეს, ერთი მათგანი არამე დაუტევნესა ოთხმოც და ათ ცხრამეტნი იგი მთათ თედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი".

**ადრეულ ეპოქაში გაჩენილი მინიშნება მავანი და მავანი გადამთიელია, გვარშეცვლილი, ურჯულოა... დღესაც ბევრთა წილხვედრია და არ უკვირდება ბრძნული ანდაზის საიდუმლოებას, რომ: „სახე არ შესცვლის არსებას"-ო.**

მომხდურებმა რაღანაირად არ შეუცვალეს ჩვენს მამა-პაპათ გვარ-სახელები, როგორ ძირზე არ დაამჯნეს ქართველი კაცის გვარი, ზოგს მთლიანად შეუცვლეს არქიტექტონიკა, ნაწილმა კი მაინც შემოინახა ქართული ენის ნიშნები. ამის სანიმუშოდ გამოდგება

ახალციხეში შემონახული ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის კონდაკიდან ამოკრეფილი გვარები. ისინი ასეთნაირადაა ფიქსირებული: **დივანაანთი** (საუბარია **დივნიშვილ-მდივნიშვილზე**), **სართალათი, მელიქანთი,** (შდრ. **მელიქიძეები**), **თათულათი, ამირეხიანთი, ყანდინათი, ნიჯორელი, კლდიელი, ლაქაანთი, პაპიდათი, ხიზანათი, ბერბელათი, ბეროთი, ნარიბეგათი, ნასყიდათი, გულასპათი, კრუხათი, გორელი, ნანუათი, გულღანთი, აწყვერელი, ტრაპიზონელი, ხიზანბავრელი, კრუხიჭამიათი, უდელი, მარჯალათი, ნავროზათი, ტყიხათი, მალხაზათი, ლოკორათი, ჭიჭიკათი, ფარუათი, ქუთათელი, ქათამათი, სხარელი, არლელი, სათლელი, კბიელი, დოდორელათი, ქოცეცათი, მესარკიანთი, სოლომანთი, ბაბუნათი** დღევ. **ბაბუნაშვილები, ოცხელი, ჩიტანთი, კენჭიათი, ხირინეთი, რუათი, თაყიანთი, მემაბიანთი, ბობელათი, ნარუანთი, მელაქათი, ნინიათი, ჭოჭოუათი, დედეათი, მებოხჩიანთი, კანდელაკიანთი, გლახათი, გლოროთი, ჯაქიათი, მელქიანთი, ბექათი, გულიათი, გობერდათი, თუმბელათი, ფისირათი, ბერომელათი, მურანათი, ჯარჯაფათი, ქვიკენტატი, ნანათი, ტიტინათი, ბაგელათი, კორთამათი, ბეშქენათი, ნადირათი, გედათი, ელიოზათი, კოკათი, სრაბოლათი, კიკინათი, სადარათი, ნებიერათი, ტოლათი, მამაჯანთი, კოჭოთი, ხოშათი, მადრაბეთი, ფათარათი, ოქროულათი ოქრუაშვილები, ლანჯუათი, ავთანდილათი, გარსევანათი, ჭრელათი, ლიფსიათი, კიჭიათი, აბესალათი, ბაქათი, ჭუჭლათი, ნამლიათი, კაკუათი, მეყარათი, ყრუათი, ბაგინათი, ყაყათი, მოცათი, დარბანათი, ნაზვრეტათი, კენკიხაშათი, კიკინათი, ხორველათი, ვოლცეცათი, ჭოჭუათი, ფვარფვარეთი, კოპინათი, შერგილანთი, გელგეჭარათი, მეხრიანთი, ვეცათი, რომანათი, მწარეპანტათი, ფარემუზათი, მახარაბლიანთი, ფახათი, ფუშქურათი, რატიათი, რამაზათი, ჭიაბურათი, ჩიტირეკათი, პურდათი, პრიათი, ოთარათი.**

ქვემო ეკლესიის: **ოქრობაგეთელი, მანანელი, სათლელი, არტაანელი, არტანუჯელი, არსიანელი, ხეველი, კოლელი, ირიზელი, შავშელი.**

აღნიშნულ უძველეს გვართა შორის უხვადაა, როგორც **საკუთარ სახელზე** (იშვიათად **მეტსახელზე**), ისე **სადაურობაზე** დაფუძნებული გვარ-სახელი. მოხსენიებული გვარების მატარებლები შემდგომში კათოლიკენი გახდნენ, მათ საეკლესიო საქმეებს ლათინის პატრები განაგებდნენ. პატრებივე გვართა გადსხვაფერების დიდი ოსტატები

იყვნენ. კათოლიკეთა ნახელავია გორისა და თბილისის ქართველ კათოლიკეთა გვარებიც. თვით ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილსაც** გვარი შეუცვალეს და **თამარათით** მონათლეს. ზემოთ აღწერილი გვარები ფორმით ძლიერ უახლოვდება იტალიური ენის ფორმას. რუსი შვილზე დამთავრებულ ქართულ გვარს უპირატესად **„ოვ“-ს** უმატებდა, სომეხი **იანც-ს,** იშვიათად **„ოვი“-თაც** კმაყოფილდებოდა, იტალიელი **ათ-ით** ამთავრებდა, თურქი **„ოღლით“** აფორმებდა. თურქეთიდან ქართულ მიწაზე მოსული ურუმი ბერძენი, რომელსაც ძირითადად დაკარგული ჰქონდა ბერძნული ენა, იმავე დასახელებაში ან მახლობლად მცხოვრებ ქართველს გვარს თავის ყაიდაზე ასხვაფერებინებდა. ასეთი მაგალითი ჩვენს სინამდვილეში ერთეული შემთხვევა როდია. **ხუციშვილები** სოფ. ავრანლოსა და რეხაში (დმანისისა და წალკის რაიონებში) **ქეშიშოღლები** გახდნენ (**ქეშიში** თურქულად **მღვდელს** ნიშნავს), **ქართველიშვილები** და **ბერძენიშვილები** დღესაც **გურჯიევები** არიან, **საკალიძე საკალიდია** (**„დი“** ბერძნულში **„შვილის“** აღმნიშვნელია).

ქართველ კათოლიკეთა ჰყარმა ძველმა სახელმა მოაღწია ჩვენამდე. ასეთებია: **როსტომი, ზურაბი, საბა, დალა, ელისბარი, ბეჟანი, შალვა, გურგენი, ქაიხოსრო, ბერუა, ამირანა, დარჩია, სფლია, ილოვათა, ნანო, ფარსადანი, ქრისტესია, ავთანდილი, მალხაზო, ბატონა, მზა, ჭარო, ვარდო, ზენო, ნაგულა, ბეჟუა, გოდერძა, რევაზი, მაჭა, ლამაზა, მამგლა, კაკოი, შაქარა, ბატუ, პაატა, ნონო, ერეკლე, სარარა, სუპ, ხარა, შტოპი, მზეჭაბუკი, ოქროპირა.**

ქართველ კათოლიკე მამაკაცებში ისინი ძველთაგანვე იხმარებოდა, XVIII ს-ში კი ბევრი მათგანი იკარგება.

ქალის სახელებად გვხვდება: **რუსუდანა, ასთანდარა, მზისანდარა, მზექალა, გულუხჩა, გულქანა, იაგუნდა, ლალება, თინათინა, თუთუშა, მანიჟავა, თურვანდა, დულო, დარეჯანა, ხორეშანა, თინა, აფელა, ქეთევანა, ნათელა, ხვარამზე, ანაქალა, თუთა, ლალისხანა, გულახარა, დედაქალა, თამარი, ვარდა, მანია, მარინე, გუგუნა, კაკლო, გუნდო, ფოფალა** და სხვა.

საგვარეულო სახელების შესასწავლად არსებული მრავალი არხიდან საგულისხმო ჩვენებებს შეიცავენ საფლავის ქვათა წარწერები.

აი ზოგი მათგანი:

ახალციხის რაბათის სასაფლაოზე (ჯვრის ეკლესიასთან) შემონახულია მარმარილოს სვეტი, რომელზეც ამოკვეთილია სამტაპიანი ეპიტაფია. გახსვენებულის ვინაობას გვიმხელს მესამე ტაეპი:

**„მე ვარ სტეფანე მურვანოვი**
**ძისა საფლავი ესეა.**
**წამკითხველო, ღმერთს მავედრეთ, როგორც ქრისტიანთა წესია“.**

სტ. **მურვანოვი (მურვანიშვილი)** გარდაცვლილა 1860 წელს, 23 წლისა.

იქვეა დაკრძალული ახალციხელ კათოლიკეთა არქიმანდრიტი **პავლე შაჰყულიანი** (1769-1855), რომლის ძველი გვარი **ჰილიმუზაშვილი** (ვარიანტული: **ჰინიმუზაშვილი**) ყოფილა.

ეს საგვარეულო სამცხეს ქართლიდან გადსულა, სადაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობა ჯერ ევროპულ კათოლიკობაზე გაუცვლია, ხოლო შემდეგ სომხურ ტიბიკონზე დამდგარა (ზ. ჰიჰინაძე, ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი, პავლე შაჰყულიანი (ჰილიმუზაშვილი), თბილისი, 1917 წ., გვ. 3).

რაბათის სასაფლაოზეა **ხმალაძის** ქალის ეპიტაფიაც: **„ამ ლოდს ქვეშ ნესტან-დარეჯანი ვარ, ბესარიონ ხმალაძის ქალია, უდროოდ მიწას ამოვეფარე, მშობლებზე დამრჩა თვალია...“**

საფლავის ზოგიერთი ქვა მოგვიანებით ეკლესიის საშენადაც გამოუყენებიათ, ასეთია, მაგალითად, ივლიტას ეკლესიის (ახალციხის რაიონის) კედლის ქვა (შესასვლელის მარცხნივ), რომელზეც ამოკვეთილია: **„ქ. საფლავსა ამას შინა მდებარე არის ცუმირაშვილი, მართლმადიდებელი გასპარა. მიიცვალა 1760 წ. დეკემბრის 25)“.**

კათოლიკეთა რიცხვი საგრნობი იყო გორსა და გორის მაზრაში. ისინი აქ XVIII ს-ის ბოლომდეც კი ცხოვრობდნენ. ქართველ კათოლიკეთა ძველი გვარებია: **ხოსრუაშვილი** (მოგვიანებით ზოგი ხოსროევი), **ანდრონიკაშვილი, ჯულაბაშვილი, ბეზირგანისშვილი, ყანდინაშვილი, დავრისაშვილი, მებურნუთეშვილი** (პატრების ყმა), **ღარიბაშვილი, კასკანაშვილი, მეშანდლესშვილი, ბაქრაძე** (კარალეთელი), **ალპაპაშვილი, მეჯანიკაშვილი, ამირაღაშვილი, ქამბურნათასშვილი, ჩილბაჩიშვილი, შაუაშვილი, შიშიაშვილი, ნაცვლიშვილი, ზუბალაშვილები** (ზუბაანთი), **მამულაშვილი, შიხინაშვილი, გალუსტაშვილი,** (ადრე **გვინდაძეები**), **საакაშვილი, ბიბუაშვილი, აფრიაშვილი, ჯიქშიაშვილი, არჩილაშვილი, თარალაშვილი, დავითაშვილი, შაშაბურელი, ფარემუ-**

**ზაშვილი, ყულუმბიაშვილი, გოგიაშვილი, ჯაფრაშვილი, ულუმიაშვილი, ბაქრაძე, პოლოსაშვილი, მესარკიშვილი** (მესარკოვი), **ჩიქოვანი, მაკარაშვილი, ბექანოვი, ყორხმაზაშვილი, ანტონაშვილი, მალხაზაშვილი, ერეკლეშვილი, გერასიმეშვილი, ჩოლოყაშვილი, მისდურაშვილი, გოგილაშვილი, მამასახლისშვილი, ადუკაშვილი, თუთულაშვილი, ურუაშვილი, შარვაშიძე, სამუელაშვილი, ჯიკაშვილი, გიორგობიანი, ამრივაანთი, გოდერძიანი, ხუდადელი, როსტევანიშვილი, მკერვალიშვილი,** (სტეფანე, 1780 წ.), **დიარაშვილი** (1780 წ.) **დათუაშვილი, ჩარჩიშვილი** (ჩარჩიევი), **ყანწიშვილი, ზაალიშვილი, ლალმისაშვილი, პაატაშვილი, ფისუდურაშვილი, პაპუნაანი, მამუჩარაშვილი, გაბოიანთ მღვდლისაშვილი, ფირუმაშვილი, ზარაფაშვილი, ყირმიზაშვილი, ოჰაჯანაშვილი, სტეფანეშვილი** (ზარაეთი 1788 წ.), **ბერბუკაშვილი, ხითარაშვილი, თემურაშვილი, ტულუკაშვილი, ამსუაშვილი, ადიბეგაშვილი, ტერუაშვილი** (მეზარნიშე), **ქურქჩიშვილი, მემანდარბაშვილი, ყორღანაშვილი, მურადაშვილი, თავლიდარაშვილი, ჰოჰუაშვილი, ჰარაშვილი, ჰარაშვილი** (აზნაური), **ჯაშნიაშვილი, დედამაშვილი, ღელაშვილი, ჰანჰუაშვილი** (მოზდოკელი), **ტიღაშვილი,** მოქალაქე **იავრინოვი, გვარამდინისშვილი, ფიბუაშვილი, იექაშვილი** და მრავალი სხვა (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 57-58).

აღნიშნული გვარის წარმომადგენელთა ძირთადი ნაწილი იმ დროის კვალობაზე დაწინაურებული და გამორჩეული ყოფილა. მამულები ჰქონიათ როგორც გორში, ისე მეზობელ სოფლებშიც. მათ შორის სჩანან, როგორც იშვიათი ხელობისანი – **მეზარნიშე, თავლიდარი, მეყანწე** (შდრ. დღევ. **მეყანწიშვილი**), ისე **მოქალაქენი, თავადებიც და აზნაურნიც.** მაგალითად, **თავადები არიან ხელთუბნელი თუმანისშვილები,** რომელთა კათოლიკობასთან დაკავშირების ხანა 1650 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. კათოლიკეს სარწმუნოების მაღიარებელი თავად **თუმანიშვილების** რამდენიმე ოჯახი ჩანს XVIII ს-ის ნახევრამდე. არის მოსაზრება, რომ **ოზურგეთელი თუმანიშვილები** ძველად ხელთუბნიდან იყვნენ წასული, საიდანაც იმერეთში, სამცხესა და გურიაშიც გადასულან, რის გამოც მათ თავიანთი წოდების ცნობაც დაუკარგავთ. 1815 წელს **დავით გურიელი** პირდებოდა მათ აღდგენას. ამ გვარის გარდა, კათოლიკე თავადიშვილები გორში ყოფილან **ანდრონიკაშვილები,** ალბათ კახეთიდან გადმოსულები, აქვე მოიხსენიებიან **ჩიქუანი** და **ორბელიანი** (თბილისელი),

ასევე აზნაურიშვილები **ბაქრაძე, ფარემუზაშვილი, ყანდინაშვილი, ჭარაშვილი, გაბუნია, გოდერძიშვილი, გიორგობიანი, გიგილაშვილი, ავთანდილისშვილი, ბეზირგანისშვილი, ზაალიშვილი** და სხვა მრავალი. საზღვარგარეთ (ძირითადად რომში) სწავლა-განათლებით დაწინაურებულან **პ. შაჰყულიანი, პ. ხარისჭარაშვილი, ივანე გვარამაძე, ანტონ ხუციშვილი, გრიგოლ მამულაშვილი, პატრი დავით ტულუკაშვილი** (გორიდან) და სხვები.

**[ქართველ კათოლიკეებში გვარების გადაკეთება 1829 წლიდან შემოდის, რუსული „იჩების“ (ივანიჩ, მიხაილოვიჩ, ვარდენიჩ) მიმატების ხანაც იმავე დროს ეკუთვნის.]**

გორის მაზრაში ქალებისთვის სახელებად უწოდებიათ: რუსუდანი, იაგუნდა, ნათელა, ქალება, მარეხა, თამარი, ხორეშანა, ეფემია, დარეჯანა, თინათინი, ელისუა, მაია, ფაშახათუნ, ანახანუმ, ისმინა, ნენეია... კაცებისათვის: შიხი, ზალი, ბექანი, როსტევანი, იასე, ავთანდილი, პაატა, დათუნა, ფარსადანი, ხოშია, ნონია, გლახა, გოგია, მიქელა და სხვა.

1788 წელს ვაჭართა შორის მოხსენიებული არიან **ალელი ბექან ამირაღაშვილი, გორელი ჭონბერუაშვილი, რუისელი ორმოციძე, შინდისელი ალუყაშვილი.** არის ცნობები, რომ განხეთქილება არსებობდა გორის კათოლიკებსა და გორსავე გრიგორიანებს შორის. მათში ვაჭრობის საქმე განხეთქილებას თესდა. კათოლიკები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სინდისიერი ვაჭრობით. საქმე ისე მოაწყს გრიგორიანებმა, რომ, თავიანთკენ გადაიბირეს ერთი კათოლიკე **მღებრიშვილის** მეუღლე თინათინი, მაგრამ იგი დიდხანს არ დარჩა, როგორც კი გაერკვა ვითარებაში, 1821 წელს კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ სჯულს – კათოლიკობას.

ქართველ კათოლიკებს უყვარდათ გლახაკთ შემწეობა, განკითხვა, დიდი სიბრალულით პატრონობდნენ მოხუცებულთ, უძლურთ, დავრდომილთ, ლატაკთა და სნეულთ. ვაჭრობაშიც დამთმობნი და ანგარიშიანნი იყვნენ. „ერთის სიტყვით გორის კათოლიკებს ცალი ხელი ღარიბებისკენ ჰქონდათ გაწვდილი და მათ შველოდნენ უანგაროდ. რაც შეეხება გორის კათოლიკე მოძღვართა, ესენიც ხომ მალამოები ყოფილან თავიანთ მრევლისა“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61).

თბილისის მოქალაქეთა შორის ქართველ კათოლიკებს საპა-

ტიო ადგილი ეკავათ. კათოლიკე მოქალაქენი ვაჭრობას მისდევდნენ და ამონაგები თანხით ბევრ კარგ საქველმოქმედო საქმეს აკეთებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოქალაქეებს საკმარის პატივს სცემდნენ თვით მეფენი, მათი ახლობელნი და სხვანიც. ასეთთა შორის მოიხსენიებოდნენ: **ყალამქრიშვილი, ფინთუაშვილი, გულგულაშვილი, აბესალამისშვილი, ყუზანაშვილი, მოქალაქეთაგან მელიქიშვილი,** (ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი), **უმიკაშვილი, თამაზიშვილი, კობიაშვილი.** კათოლიკე აზნაურიშვილობით არიან ცნობილნი: **ხურსიძენი (ისარლოვები),** სამცხის ძველ აზნაურთა შთამომავალნი, **ნებიერიძენი, ყარაშვილები** (მეფის ექიმბაშნი და დასტაქრები), **დავითაშვილები, ბეზირგანისშვილები, ნაზარბეგისშვილები, დანიბეგისშვილები** (რაფიელ **დანიბეგოვი** ერეკლე II-ის მიერ ინდოეთის ქ. მადრასეში იქნა გაგზავნილი ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად), **შერიმანისშვილები** (მოგვიანებით **შერიმანოვები**), **ყაითამაზაშვილები (ყაითმაზოვები), ბასტამისშვილები (ბასტამოვები); თავადიშვილთაგან** იყვნენ **ორბელიანები,** საბა ორბელიანის ძმა **ვახტანგი, ივანე,** ბიძაშვილები და მრავალნი სხვანიც. სწორედ ამიტომაც წერს XVIII ს-ში რომის პაპს ერთ-ერთი ორბელიანი და აღიარებს, რომ კათოლიკობის და პაპის პატივისმცემლად **„მთელი ჩვენი გვარი“** არისო. (პაპის არქივის ცნობა, იხ. ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 83).

**როგორც წყაროები გვარწმუნებენ, XVII საუკუნეში კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლას მასობრივი ხასიათი მიუღია. ამ მოძრაობას შეერთებია თვით მეფე, საეკლესიო პირნი და ეპისკოპოსნიც კი. მისიონერთა წერილები მოწმობენ, რომ პატრი ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანი, ასევე საქართველოს არქიეპისკოპოსი ექვთიმე რამდენიმე მღვდლითურთ.**

**პატრი ჯუსტინო** 1687 წ. რომსა წერს აქაური მისიონის ამბავს და აუწყებს ახლად გაკათოლიკებული ქართველების შემდეგ რიცხვსა და სახელებს: „...ბატონი **თამაზა,** სამხედროს გენერალი და ბიძა მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი **ყაფლანიანთი,** ამან მიიღო კათოლიკობა 15 ივნისს, 1687 წ.; ბატონი **სულხან** შვილი დიდი მინისტრისა **(ეს უნდა იყოს საბა სულხან ორბელიანი),** ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი, ამან მიიღო **კათოლიკობა 15 აგვისტოს**

**1687 წ.**, ეგრეთვე არიან სხვა სახლები და ოჯახები ლათინის წესისა, რომლებიც მარტო მისიონერებს ექვემდებარებიან; ამ მისიონის სხვა პირველი კათოლიკები არიან აგრეთვე **ბაინდურას შვილები: სტეფანე, იოსები, ფრანჩისკე** და **ნინო.** ...ტფილისი, 7 ნოემბერს 1687 წ. პატრი იოსები ლივორნელი" (**მ. თამარაშვილი,** ისტორია ქართული კათოლიკოსობისა, თბ., 1903 წ. გვ. 262-263).

ორბელიანთა გარდა, ერისთვიშვილები და თუმანიშვილებიც ფორმალურად აღიარებდენ კათოლიკობას, ხშირად დაიარებოდნენ თბილისის კათოლიკეთა ეკლესიაში და სიამოვნებით ისმენდნენ ლათინურსა და ქართულ წირვას **ციციშვილები, ბარათაშვილები** და ზოგიერთი სხვა გვარის თავადიშვილები.

XVIII საუკუნის დამლევამდე მცხოვრებ კათოლიკე თავადიშვილთა შორის მოიხსენიებიან: **ანდრონიკაშვილები** (ერთ-ერთი უძველესი გვარია, ამ გვარს მოიხსენიებს X საუკუნის ბიზანტიის მწერალი **ალექსანდრე პორფიროგენტი**), **ყარაშვილები (ყარაევი)** (განთქმულნი მკურნალობით, რის გამოც დაჯილდოებულნი იქნენ აზნაურიშვილობით, დიდი ამაგი მიუძღვით ქართველთა წინაშე), **ზუბალაშვილები,** ქართველთა უძველესი წარჩინებული გვარი, თავდაპირევლად ქართლში ცხოვრობდნენ, ეკუთვნოდნენ ქართველ ტომს და ძველთაგანვე მტკიცედ მისდევდნენ სოფლის მეურნეობას.

შემდგომში ამ გვარის წევრთა შორის ვხვდებით მწერლებს, მწიგნობრებს, სტამბის მუშაკებს (შდრ. **მესტამბისძენი, მესტამბიშვილები**), ფოლკლორისტებს, ექიმებს, ინჟინრებს, ვაჭრებს, მრეწველებს და უამრავ სხვათაც.

ზუბალაშვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **საქველმოქმედო საქმეებით**. მათ მრავალი შენობა ააგეს და დაუტოვეს შთამომავლობას. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: „სახალხო სახლი", დღევანდელი **კ. მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა, მის გვერდზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, ყოფილი **„ბიბლიოთეკა-სამკითხველო", „უქონელთა სახლი"**, ამჟამად ქალაქის ბავშვთა მეორე საავადმყოფო (ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე), მის გვერდზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ცხოვრობდა აკად. ვახტანგ ბერაძე), **საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის შენობა, კათოლიკეთა ეკლესია** (ქ. ბათუმში), ბავშვთა საავადმყოფო **მიხეილ არამიანცის** საავადმყოფოს ტერიტორიაზე, **ქარვას-**

ლა (დღევანდელი საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომიტეტი) და მრავალი სხვა.

**ხურსიძეები (ისარლოვი, ისარლიშვილი) სამცხე-საათაბაგოს** უძველეს აზნაურთა უწარჩინებულესი გვარია, რომელზედაც განსაკუთრებით უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ძველ ისტორიულ წიგნებში, სიგელ-გუჯრებში, სამეფოს დავთრებსა და თვით ქართველ მამათ-ცხოვრებაშიც კი უძველესი გვარსახელები იშვიათობაა. ქრისტეს წინარე დროიდან მოყოლებული ჩვ. წ. IX-X საუკუნეებამდე არსებული გვარებიც უპირატესად საქართველოს მამასახლისებს, ერისთავთ-ერისთავებს, მეფეებსა და თავადაზნაურებს ეკუთვნოდათ. კარგა ხანს ქართველთ წინაპრები უპირატესად სახელისა (ზოგჯერ მეტსახელის) და სადაურობის, ხელობის მიხედვით მოიხსენიებოდნენ (კანტი-კუნტად იყო სხვათა გვარებიც).

ეს წესი შუა საუკუნეებზეც გავრცელებულა. ვახუშტის თქმით: „ძველ საქართველოს მთავრებს და მოხელეებს თავიანთ თანამდებობის სახელო XII საუკუნეში თამარ მეფის დროს, ზოგს გვარათაც ეწოდათ, მაგალითებრ, როგორც **სამეგრელოს დადიან** – მთავარ, რომელიც კარიდამ კარს დადიოდა და ამიტომაც გვარათაც დადიანი ეწოდაო“ (**ვახუშტის გეოგრაფია**, გამოც. 1848 წ.).

ალნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს **ივ. გვარამაძე** და პასუხად ზ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔᲡᲐ წერს: – **„არა ბატონო, დადიანთ წოდება პარსების მეფეების დიდებულ კარის კაცების ერთი რიგი მაღალი წოდება არის, მათგანვე საკუთრად მოცემული; მგონი V საუკუნეში, გობაძის მეფობის დროს, რომელიც თამარის დროს უფრო პატივდებაში გამოქვეყნევდა“**. (შენიშვნები ხურსიძის (ისარლოვი) გვარის ისტორიისა და ახალციხის აღწერა, მესხი ივ. მღვდ. გვარამაძისა, ტფ., 19067, გვ. 5).

ქრისტიანულ რელიგიას საკუთრი წეს-ჩვეულებები მოჰყვა: მოისპო არა თუ მანამდე არსებული ქალთა და კაცთა ძველი სახელები, არამედ წიგნებიც. ახალი რელიგიის მსახურთ მიაჩნდათ, რომ კერპების დროინდელი წიგნების შენახვა დანაშაულის ტოლფასი იყო და ქრისტიანობისადმი ღალატს ნიშნავდა. ასე რომ, დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი ძველი გვარ-სახელი ქრისტიანობის შემდგომი ხანისაა. ამ საკითხზე ბევრმა ქართველმა მეცნიერმა გაამახვილა ყურადღება და საგულისხმო მოსაზრებებიც გამოთქვა. ექვთიმე

თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას, ისიდორე დოლიძის და სხვათა მიერ მრავალ ტომად გამოცემულ წიგნებში.

**ქართველთა ერთ-ერთი უძველესი გვარია ხურსიძე.** ისტორიული პიროვნება **ხურსი ხურსიძე** უხსოვარი დროიდან იხსენიება. ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, „სახელი ხურსი ან ხურსიძე წარმართობის დროსაა შეთხზული და ამ სახელის მქონე რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას აღნიშნავდა" (ისტორია ხურსიძის (ისარლოვის) გვარისა, ტფ., 1904, გვ. 4). **საბუთში ხურსიძე IX საუკუნიდან ჩანს.** მისი ვინაობა დაფიქსირებულია მეფე გიორგი V-ის ისტორიაში (მე-10 ს.). ჟამთაალმწერელი გვაუწყებს: **„ხოლო დაჯდა-რა ესე გიორგი მეფედ ყოველსა სამეფოსა და მამულისა თვისსა,** ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისა, რამეთუ იყო... და იქმნა ბრძოლა დიდი, სოფელსა მას რომელსა ეწოდების შირიმთა და მოისრნეს ორ კერძოე მრავალად და მოიკლნეს მუნ დიდი ერისთანი და დიდებულნი გიორგი მეფისანი, **რატი ძე ლიპარტისა და ხურსი"** (ქართლის ცხოვრება, I ტომი).

საბუთი ეხება ბერძენთა და ქართველთა მეფეების, ვასილისა და გიორგი პირველის მიერ უდიდესი გმირობითა და ვაჟკაცობით ჩატარებული ომის ამბავს. სასტიკი ბრძოლები ჰქონიათ ჯავახეთს, ოლთისს, ბასიანს, კოლას, არტაანსა და თრიალეთს, ბერძენ-ქართველთ მრავალგზის უძლევიათ ერთმანეთი და საბოლოოდ გამარჯვება ქართველებს დარჩენიათ.

**სწორედ გიორგი I-ის დროიდან დაწყებულა საქართველოს გაძლიერება-აღორძინება. „მისსავე დროს ბრწყინავენ სამცხის დიდებულნი და მცირებულნი და ამ დიდებულთაგანნი არიან უძველესის დროის საქართველოს აზნაურიშვილნი ხურსიძენი"** (ზ. ჭიჭინაძე, დასახლებული ნაშრომი).

**ომი აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელიც უპირველეს გმირად ხურსი-ხურსიძეს ასახელებს.**

ხურსიძეთა გვარის ისტორია და გმირობა ასახულია აგრეთვე ზარზმის ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე. იქ წერია: „ქ. სახელითა ღვთისათა და წმიდისა მღვთის მშობელსა მეოხებითა მე ივანე ძემან სულასამან, აღვაშენე წმინდა ეგვტერი, მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთი გადგა სკილაროსი: დავით კურატ-პალატი, ადიდენ ღმერთმან – უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოელნი სალაშქროთ წარგვავლინა,

სკილაროსი გავაქციეთ მემონსქობანს (მესოპტანსა), რომელსა ჰქვიან ხარსანანი ადგილისა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მოწესეო ყოველნი ტახტი".

**ზარზმის** ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული **ივანე სულასძე,** ანუ **სულაშვილი** გვარად **ხურსი,** ანუ **ხურსიძე** ყოფილა. ჯერ ერთი ეს **ივანე სულასძე ხურსიძე** მონაწილე ყოფილა ზარზმის ეკლესიის აშენებისა და მეორეც თვითონვე ამოუჭრია ქანდაკით წარწერა და მონაწილეობა მიუღია სკლიაროსის გალაშქრებაში (**ვახუშტის ისტორია** I, ტფ., 1885 წ.).

„ქართლის ცხოვრებაზე" (ტ. I. 1898 წ.) დაყრდნობით ზ. ჭიჭინაძე ასკვნის, რომ „სკლიაროსის ომში მონაწილე ივანე მონაწილე **ივანე სულაშვილი** სახლიკაცი უნდა იყოს იმ **ხურსიძისა,** რომელიც ხსენებული ომის შემდეგ, გიორგი პირველის მეფობასაც მოესწრო და მასთან ბასიანში ქართველთ და ბერძენთ ომში მონაწილეობასაც იღებდა და სადაც მოკლეს კიდეც იგი" (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8).

**დიმიტრი ბაქრაძეც** დაინტერესებულა **ხურსიძეთა** გვარით. იგი წერს, რომ „ეს ფარსმან ერისთავ-ხურსიძე უნდა იყოს ის პირი, რომელიც მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავართა სამწყსოს სიაში, მაგალითებრ: **„ერისთავთ-ერისთავი — ხურსიძესა აქუს ლობერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა** და **კარის ეკლესიითა"**. დ. ბაქრაძის აზრით, **ფარსმან ხურსიძე** უნდა ყოფილიყო XI ს-ის შემდეგ და იგივე პიროვნებაა, ვინაც ზარზმის ეკლესიის ზარის წარწერაშიც არის მოხსენიებული.

დ. ბაქრაძეს გაუშიფრავს აღნიშნული წარწერა. მოგვყავს იგი სიტყვა-სიტყვით: „აგარიანთა პირის დამყოფელსა ხურციძესა პატრონსა ფარსმანისა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან. მღვდელთა მთავართ მთავრობისა ხურსიძესა პატრონის მიტროპოლიტობასა სფირიდონისასა, ქკ „ნს სდ".

ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა მაღალი წოდების გვარის პატრონები არაიშვიათად გვარს იცვლიდნენ და ხელობა-საქმიანობის მიხედვით იწოდებოდნენ. მაგალითად, შუა საუკუნეებში ზოგ ერისთავს თავისი ძველი გვარის მაგიერ **ერისთავობა** დაურქმევია გვარად, ზოგს კი ეს არ მოუსურვებია და თავისი ძველი გვარი არ დაუთმია, რასაც ვახუშტიც ასაბუთებს (იქვე). სწორედ ასეთ უძვე-

ლეს პირებად ითვლებიან **ხურსიძენი,** რომელთაც თავიანთ ერისთავობასთან ერთად არც თავიანთი მამა-პაპური გვარი დაივიწყეს.

**ხურსიძეთა** გვარის სამფლობელოები წურწყაბელის საეპისკოპოსო საბრძანებელში ყოფილა მოქცეული. წარწერა **„წურწყაბელას სამწყსოს შეადგენს სრულიად ხურსიძის სახლი",** გვაფიქრებინებს, რომ ხურსიძის გვარის საბრძანებელი საკმაო სიდიდის უნდა ყოფილიყო. ქართველთ მეფის კურთხევის დროს, სვეტი-ცხოვლის ტაძარში, მღვდელმთავრებს შორის, წურწყაბელი მეცამეტე ადგილს იჭერდა, მტბევრის ქვემოთ ჯდებოდა და მის შემდეგ კიდევ ოცდაორი ეპისკოპოსი იჭერდა ადგილს. აქედანაც ჩანს, რომ წურწყაბელს კათალიკოსის შემდეგ არქიეპისკოპოსებს შორის თითქმის მეორე ადგილი სჭერია.

**ლუკა ისარლოვის** გადმოცემით, **ხურსიძეებს** ძველად სხვა გვარებიც ჰქონიათ. მაგალითად, **სამცხე-საათაბაგოში** ერქვათ **კოხოძეები,** სამეგრელოში კი **კოროხია** და **ჩოხაძე.** კოროხია თითქოს იმის გამო სწოდებიათ, რომ ძველთაგანვე ისინი **ქვაბლიანის უფროსები,** ანუ **ერისთავები** ყოფილან. ქვაბლიანში მოწინავე გამგე მთავარსაც ხშირი სეტყვის გამო **კოხაძე** სწოდებია („სეტყვა" შედარებით ახალია, ძველად **„კვახი", „კოხი"** იხმარებოდა). ახალციხეში ზოგიერთნი ამ გვარის ხალხს **კრუხიჭამიანთაც** ეძახდნენ.

**დ. ბაქრაძე** და **ზ. ჭიჭინაძე** არ იზიარებენ **ლ. ისარლოვის** ნაამბობს და აღნიშნავენ, რომ ხურსიძეთა გვარს საიმისო არაფერი არ უნდა დასჭირვებოდა და რომ ყოველივე ხალხის გამონაგონია. „მღვდელ ივ. გვარამაძის აზრით, ხურსიძეები ახალციხეში გადმოსახლებულან სოფელ **ივლიტიდან,** სოფელ **საძლეგთან** ან **არყი** ციხიდგან" (გვარის ისტორიისა და ახალციხის აღწერა, ტფ., 1906, გვ. 2).

აქ მოსახლეებს **კრუხი** დაუჯენიათ, შესჩვევია თრითინა და რამდენიმე კრუხი დაუხვრჩია კვერცხებზედ. ამის გამო მეზობლებს **კრუხიჭამია** დაურქმევიათ, გაფანატიკებული მაჰმადიანებიც ხომ სანთლით ეძებდნენ ამნაირ მეტსახელებს დიდ გვარიშვილთათვის მისასაკუთრებლად, მაშინვე სახელმწიფო დავთრებში შეიტანდნენ, რომ გადაევიწყებინათ ხალხისათვის მათი საპატიო წოდება, ახალ წოდებით დამცირებულ იყვნენ, რათა მომავალში აღარაფერზედ ჰქონოდათ გავლენა მთელი საზოგადოების თვალში, აღარ წარმდგარიყვნენ არსად, არც დიდკაცობასთან და არც სამართალში. მართლა ყველგან კრუხ-

იჭამიად იწერებიან (ზოგჯერ კრუხათაც უწოდებენ პატივისცემისათვის წერილებში) (ივ. გვარამაძე, შენიშვნები ხურსიძის (ისარლოვი), გვარის ისტორიისა და ახალციხის აღწერა, ტფ., 1906, გვ. 2).

**ხურსიძეები ერისთავებად** XII ს-მდე ყოფილან. როცა თამარ მეფემ მთელი საქართველო საერისთავოებად დაყო (დაადგინა 10 საერისთავო) სამცხის ერისთავად და სპასალარად დასვეს **ბოცო ჯაყელი. ხურსიძეები აზნაურებად დარჩნენ და თავიანთი წოდებით პირველხარისხოვან თავადიშვილებს უდრიდნენ,** მათ შესამჩნევი ღირსება ჰქონდათ და სამეფო თანამდებობის დროს პირველი ხარისხის სახლის შვილებთან ერთად იკავებდნენ ადგილს. მათ გარდა ძველი აზნაურის გვარისანი იყვნენ: **ასათისძე, ბადურისძე, გულისძე და გაგნისძე.**

**ხურსიძეებს** თავიანთ საბრძანებელში საკუთრებად ეკლესიაც ჰქონიათ, თანაც ისეთი ტაძარი, რომელიც არამცთუ იმ დროს, არამედ დღესაც საყურადღებოა, ესაა ზარზმის ეკლესია, რომელიც ახალციხიდან სამ ათეულ კილომეტრზეა. **ზარზმის ტაძრის გარდა, მათვე ეკუთვნით ჭულების ტაძრის მშენებლობა,** რასაც მოწმობს ტაძრის წარწერაც. შეუძლებელია, რომ უმნიშვნელო გვარის წევრთ იმ დროს შეძლებოდათ ორი გვარიანი ტაძრის მაშენებელ-განმანახლებლობა და ამასთან პატრონობა-მფარველობაც. ამ ტაძართა კარგ მფარველობაზც ბროსეც წერს თავის მოგზაურობაში (მოგზაურობა ბროსესი).

საქართველოში გავრცელებული ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა აზნაურის შვილებს შორის შემცირდა და შემოღებული იქნა **„ციხის-თავობა"[1],** ე.ი. თითო მოწინავეს, ან დიდებულთაგანს ჩაბარდა ერთი კუთხის რომელიმე ციხის უფროსობა ანუ ციხისთავობა. ასეთი თანამდებობა „ქართლის ცხოვრებაში" ჩანს 1230-იანი წლებიდან, ხოლო „ქრონიკებში" ვხვდებით შუა საუკუნეებში. XII ს-ის შემდეგ **ხურსიძეებს თანამდებობად „ციხისთავობა" მიენიჭათ.** მეფემ ისინი სცნო **ქვაბლიანისა** და **ახალციხის** „ციხისთავად". ეს თანამდებობა მათში მემკვიდრეობად დარჩა და თაობიდან თაობას გადაეცა. თუ რომელიმეს შთამომავალი არ ჰყავდა, მაშინ ძმაზედ ან ბიძაშვილზე გადადიოდა.

---

[1] „ციხის-თავობა" დღევანდელ კომენდანტობასა ჰგავს.

**ადრევე ზოგ ხურსიძეს გვარად „ციხისთავიც“ სწოდებიათ.** [კახეთში მცხოვრები „ციხისთავები“ (ერთ დროს ციხისტოვი) ხურსიძეები (იგივე ხურციძეები) არიან]. **ხურსიძე – ხურციძე** ერთი და იგივე გვარია. **ვარაუდობენ, რომ უფრო მართებულია ხურსიძე. ხურსიძედ იწოდებოდნენ მანამდე, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ოსმალები დაიკავებდნენ, შემდგომში კი გვარი სხვანაირად გადაკეთდა.** XVI ს-ის ნახევარში ცხოვრობდა გამოჩენილი მღვდელმთავართ მთავარი, აგარიანთა პირის დამყოფელი **იოსებ ხურსიძე**. ეს პიროვნება **ხურციძედაა** მოხსენიებული. თუმცა მთავართ-მთავარი **იოსები** პირდაპირი ნათესავია სამცხელი ხურსიძეებისა, რასაც ამტკიცებს ზარზმის ეკლესიის სამრეკლოს წარწერაც. ეს წარწერა გვაუწყებს: „აღშენდა ესე წმინდა ეკლესია სახელსა ზედა წმინდისა იოანე მახარებლისა ნებითა ღვთისათა, და ბრძანებითა ყოვლისა ქუყანასა სახელგანთქმულისა აგარიანთა პირის დამყოფელისა ხურცისძისა პატრონისა ფასნისითა (ფარსმან). სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან“.

მღვდელთ-მთავართ მთავრობისა ხურციძისა პატრონის მიტროპოლიტისა სპირიდონისა, ქკნს, სIე“ (**ზ. ჭიჭინაძე**, ისტორია ხურსიძის (ისარლოვი) გვარისა..., ტფ., 1904, გვ. 20).

წარწერიდან ჩანს, რომ იოსებ ხურციძის დროს ყოფილა აგრეთვე ამ გვარის მეორე უფროსთუფროსი მღვდელმთავარი **მიტროპოლიტი სპირიდონი.**

სამცხე-საათაბაგოს პირველი აკლებისას **ხურსიძეები ქვაბლიანიდან** გურიაში გადასახლებულან, რადგანაც ქვაბლიანი ერთობ ახლოს იყო გურიაზედ. როცა ზარზმის ეკლესიას ძლიერ გაუჭირდა მუსულმანების გამო, ზარზმის ეკლესიის ზოგიერთი ძვირფასი ნივთი გურიაში გადაიტანეს, შემოქმედში ახალი ეკლესია ააშენეს, ახალი ზარზმის სახელწოდებით, სამცხიდან გადატანილი საეკლესიო ნივთები იქ დაასვენეს. მათ შორის ცნობილი ღვთისმშობლის ხახულის ხატი და ბეშქენ ოპიზრის მოჭედილი ზარზმის ეკლესიის მშვენიერი ოქროს ღვთისმშობლის ხატი: რომლის წარწერა მოწმობს შემდეგს: „წ. მოვჭედეთ: და:შევამკეთ: ხატი:ესე:ყოვლად:წმიდისა:ჩვენ: ხურსიძის ქალმან:ბაბამან:თამარ:ქმარ-შვილითა:სადღეგრძელოთ: და სალსრად:სულისა:ჩვენისათვის:“. ამავე ტაძარში დაასვენეს მშვენიერი ვერცხლის ჯვარი, რომლის წარწერაც ცხადად მოწმობს, რომ იგი შეუნახავს

ზარზმის წინამძღვარს **გაბრიელ ხურსიძეს** (ხურსიძე, XIII ს-ის პირია). ხუცურად შესრულებულ წარწერაში იკითხება: „ყოველთა სახლისა ჩვენისათა და მოსახსენებლად სულისა კურთხეულია მშობელთა ძმათათვის ყოველთა სახლისა ჩვენისა გარდაცვალებულთათვის დავხსენ წმიდასა საყდარსა ზარზმის მამულისა ჩვენსა წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა. აწ ჩვენნო დიდებულნო მღვდელნო და დიაკონნო იმსახურებდეთ ხურციძესა და სასახლესა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესსა მოხსენებით წმიდასა სახელითა უფლისათა მე ფარსმან ერისთავმან ძემან კურთხეულისა ცათა მბაძავის **ივანე დაკლაკის ძემ (ხურსიძემ)** ჩვენ შექმნეს ეს მარჯვენის ლოცვად ჩემდა შვილთა ჩემთათვის“.

**ამ წარწერაში ივანე მოიხსენიება მარტო მამის სახელითა და არა გვარით. თუმცა სხვა ცნობებით ეს ივანე დაკლაკისძე, ანუ შვილი გვარად ხურსიძეა. დ. ბაქრაძეც ასე წერს: – ფარსმან ერისთავი დაკლაკის ძე გვარად ხურსიძე არისო“ (იხილეთ დ. ბაქრაძე, „მოგზაურობანი...“).**

ზარზმის ტაძრის სამრეკლოს კედელზედ არის ასეთი წარწერაც: **„ამისა აღმშენებლისა წინამძღვარსა ხურსიძესა გაბრიელისა შეუნდოს ღმერთმან, მისსა დედასა პატრონისა ივანესა ასულსა გულდადამ ყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან, მისსა მამასა შოთა ყოფილს შიოს შეუნდოს ღმერთმან“.** იქვე არსებული წარწერა ასეთნაირად წაიკითხა **დ. ბაქრაძემ:** „აგარიანთა პირის დამყოფელსა ხურსიძისა პატრონისა ფარსმანისათა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან“.

**და ბოლოს** ისტორიაში არსებობს მტკიცე ვარაუდი იმის შესახებ, რომ წარწერაში მოხსენიებული **შიო (შოთა) რუსთაველია და იგი ხურსიძეთა გვარის წარმომადგენელია.** ამის თაობაზე ზაქარია ჭიჭინაძეს მოყავს ადგილი წარწენიდან: **„ამის აღმაშენებელსა წინამძღვარსა ხურსიძესა გაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან მისსა დედასა პატრონისა ივანესა ასულსა გულადამ ყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან მისსა მამას შოთა ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან“.** ამავე აზრს იზიარებს ალ. ხახანაშვილიც.

აი რას ამბობდა **შოთა რუსთაველის მკიცხავი ქართლის მთავარეპისკოპოსი ტიმოთე:** „კვალად ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეშ სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია

შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს. თვითონაც შიგა ხატია მოხუცებული" (**ტიმოთეს მოგზაურობა იერუსალიმს:** გამ. 1852 წ. ტფილისი).

ზარზმის წარწერაში მოხსენიებულია ასე **„შოთა ყოფილი შიო"**. დ. ბაქრაძე წერს: **შოთა ბერათ შეიმოსა და შიო უწოდეს.** იგივე გაიმეორა ალ. ხახანაშვილმა და „ივერიაში" პირდაპირ თქვა, რომ **„შოთას ბერობაში შიო ეწოდაო".**

**ხურსიძეები მართლმადიდებლები იყვნენ,** XVII საუკუნიდან კათოლიკობა მიიღეს. საფარ ფაშამ 1628 წლიდან ახალი წესები შემოიღო. ყველა მოხელეს ოსმალური სახელი უწოდა. ამ დროს შემოვიდა და განწესდა **ბეგობა** (**ბეგ**-ი (თურქ.) **მემამულე, ფეოდალი, ბატონი**), **აღობა** (**აღა, აღასი**) [თურქ.-სპ.] ძვ. **ბატონი, პატრონი,** უპირატესად იხმარებოდა ვაჭართა წრეში, **ალია-ბეგობა** (ამ შემთხვევაში, **ალაჰ-ბეგი, ღმერთივით ამაღლებული), სანჯაყ-ბეგობა (რეგიონის, ოლქის ბატონი, მოურავი)** და მრავალი სხვა. ასევე მოხდა და ახალციხის მცველთ, ანუ „ციხისთავთ" ოსმალური სახელი **„ისარლი", „ისარლი-აღასი"** ეწოდათ. შემდგომში ეს ოსმალური სახელები ისე გაძლიერდა, რომ მოხელე-თანამდებობის სახელწოდება გვარად და გვარის ძირად იქცა. ასეა წარმოშობილი გვარები: **ბეგაშვილი, ბეგიშვილი, ბეგიაშვილი, ბეგალაშვილი, ბეგოიძე, ბეგინაშვილი, ჯანიბეგაშვილი, ხიდირბეგაშვილი, უჩუმბეგაშვილი, ალიბეგაშვილი** და სხვა მრავალი. გვარად **ისარლი (ისარლოვი, ისარლიშვილი)** გაუგვარდათ **ხურსიძეების** მცირე ნაწილსაც. დროთა ვითარებაში საქმე ისე აეწყო, რომ დიდებულ ერისთავთ-ერისთავის თანამდებობის მქონე ხურსიძეებს თავიანთი ძველი მამა-პაპეული გვარი ხურსიძე შეეცვალათ და მის მაგიერ მათი მოსისხლე მტრის ენაზე „ისარლი" (ციხისთავი) ეწოდათ. რატომ იყვნენ დაინტერესებული თურქები ქართველ თავად-აზნაურთა გვარ-სახელების შეცვლით? ამ კითხვაზე **ივ. გვარამაძე** ასეთნაირად პასუხობს: მართალია, თურქებმა ქართველებს სიგელები და წერილები ჩამოართვეს და უფლება დაკარგეს მამულებზედ, მაგრამ მათ ზოგიერთ სოფელში მაინც ჰქონდათ შერჩენილი ბაღჩა, წისქვილი, ყანა, ჭალა, რომელზედაც ყასრიათები ჰქონდათ მიღებული პირვანდელი მფლობელობის სახელით. ვიდრე პირვანდელი გვარი ჰქონდათ, უფლებაც უნარჩუნდებოდათ ქონებაზე, ხოლო როგორც კი სახელი შეეცვლებოდათ, მაშინ ჰკარგავდნენ ყოველ უფლებას.

„მაგალითად, ისრალოვებს (საუბარია ხურსიძეებზე. — ი. ა.) რაც მამულ-დედული და საკუთრება ჰქონიათ, პირველი სახელწოდებით უსარგებლიათ და როცა წოდება გამოსცვლიათ, მოსპობიათ უფლებაც. ასეთ მაგალითსო, ამბობს ᲘᲕ. ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ, თვით ჩვენს ჩამომავლობაშიაც ვხედავთ. **როცა აწყურითგან აუყრიან ქრისტიანები, ჩვენი განაყოფობა ერთი ახალციხეს მოსულა, მეორე ხიზაბავრას ასულა ჩვენს მამულში; აწყვერსა ყოფნისავე, რომ არ გამაჰმადიანებულან, ყოველი უფლებები ჩამოუცლიათ და მხოლოდ ბაღჩა, წისქვილები და ყანა-ჭალის ზოგიერთი უფლებები რომ დაუტოვებიათ, ყასრიათები მიუციათ ზოზიშვილების წოდებითა, ჩვენი წინაპრის ზაზა თუ ზოზია გვარამაძის სახელობითა. ეს ყასრიათები რჩებათ ჩვენს განაყოფს ხიზაბავრას, სარგებლობს ერთ ხანს ამ ყასრიათებით; ის ერთი მოსახლე თავის შვიდი ვაჟისა შვილებითა მრავლდებიან რა, ერთად ვეღარ თავსდებიან, იყრებიან და სულ ცალ-ცალკე გადიან, მაშინ უსპობენ მათ ძველ წოდებას და სწერენ თავიანთი სახელით, როგორც ახალ მოსახლეთა: 1. ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 2. ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 3. ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 4. ᲛᲐᲛᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 5. ᲛᲔᲥᲝᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 6. ᲑᲝᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲐᲗ, 7. ᲚᲔᲙᲝᲨᲕᲘᲚᲐᲗ, რომ ლეკებს ტყვეთ წაუყვანიათ, გამოჰქცევიან. ეს ხსენებული 7 ძმების სადგომი დარბაზი ჯერაც ისევ მრთელია, სადაც შობილან და უცხოვრიათ ერთად, ᲖᲝᲖᲝᲠᲗᲔᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ ეძახიან დღესაც. აქ ხიზაბავრას კოშკიც გვქონია, მის ადგილას ახლა კოშკია აღშენებული. ასევე ყანებს, ვენახს ზოზოთეულათ ასახელებენ, იმათაც ასეთი სახელების გამოცვლით გამოსცლიან ხელთაგან ყოველი უფლებები სხვადასხვა სოფლებში ქონებული“ (შენიშვნები ᲮᲣᲠᲡᲘᲫᲘᲡ (ᲘᲡᲐᲠᲚᲝᲕᲘᲡ) ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲐᲚᲬᲔᲠᲐ, ᲛᲔᲡᲮᲘ ᲘᲕ. ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲘᲡᲐ, ᲢᲤ., 1906, ᲒᲕ. 4-5).**

საკუთარმა სახელმა **ზოზიამ** და მისგან ნაწარმოებმა კნინობითმა ფორმებმა (**ზოზია, ზოზირა, ზოზრო**) ცალკეულ შემთხვევაში აწარმოვა გვარები **ზოზიაშვილი; ზოზირაშვილი, ზოზრაშვილი, ზოზროშვილი, ზოზერაშვილი, ზოზოს** საწყისი ფორმა უნდა იყოს ზაზა (მისი კნინობითი ფორმებით **ზაზანა, ზაზარა** და მათგან ნაწარმოები გვარები: **ზაზაშვილი, ზაზაძე, ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი, ზაზარაშვილი, ზაზანაშვილი.** ამავე ძირისაა **ზაზროშვილი** (—ზაზაროშვილი). ყველა ზემოთ აღწერილი გვარ-სახელი ერთი და იმავე ძირისაა (შდრ. **ილ. მაისურაძე,** ქართული გვარ-სახელები, თბ., 1981,

გვ. 66-67; ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 124-126).

**ფითუაშვილები** (ზოგი კათოლიკე ფითუაშვილი XVIII საუკუნის ნახევარში დაუკავშირეს გრიგორიანობას, **ნაზირის იოსებისშვილი – ზურაბი**), **ყაფლანიშვილები, ბარათაშვილები, ჩოლოყაშვილები, ბეგთაბეგიშვილები** (შემდგომში სომხურ გრიგორიანობას დაუკავშირეს).

ქ. თბილისში ქართველი კათოლიკეები იყვნენ: **„ღარიბაშვილები (ღარიბაშვილი (შემდგომში ღარიბოვი), მომდინარეობს გვარიდან ნარიმანიძე, ყამაზიშვილები (ყამაზოვი), შადინაშვილები, ჩუთმირზაშვილები, ცოცხალაანი, ჰიანურაშვილები, ხოჯა-სიმონიშვილები, ჯანუაშვილები, ოქრონანიშვილები, კაკულაშვილები, ჯანელაშვილები, მირაქაშვილები, ხანუმაშვილები, იერიანი, ურიხანასშვილები, ვართანაშვილები, შუაშვილები, ტერუაშვილები,** (მათი ნათესავები იყვნენ მართლმადიდებელ-აზნაურიშვილები), **სომხიშვილ-სომხიაშვილები, იეზოვები, მღებრიშვილები, ოცხელები, გიუნაშვილები (გიუნოვი),** მათი მოგვარე ქართველი მართლმადიდებლები ცხოვრობდნენ პატარძეულში – **ბერიკაშვილები.** ქართველი მართლმადიდებელი გლეხები: **ყარაზანაშვილები, ბაბულაშვილები, შიშმანაშვილები, დონიასშვილები, კიშურაშვილები, მადათოვები, მამუკაშვილები, საიფოვები, სიმონიშვილები, ყაიბეგოვები, საფარაშვილები, თავქალაშვილები, იამერანისშვილები, დავიდოვები, კირაკოზოვები, ბეჟანისშვილები, საინოვები, ბოსთანაშვილები** (დღევ. რუსულის გავლენით **ბოსტანაშვილი**), **აწუაშვილები, თამაშაანი (როსტომა) თუთელაშვილები, იავრინასშვილები, კოსტანაშვილები, კუკუჯანაშვილები, დოინანაანი, ასბარაშვილები, გრიგოლიშვილები, ჩითახაშვილები, ალავერდაშვილები, ამირაანი, ამუსაშვილები (პაპუნბეგი), პაპანალაშვილები, ბიცუაანი, ქარუმიშვილები (ქარუმი), თუმანიშვილები, დზანდარაშვილები, ნარიმანაანი, ქოქოვები, ჯიმშერისშვილები, გურგენისშვილები, ჯანყულაშვილები (ჯანყულოვი), ჯანაშიები, ჩარახჩიანი (მექალამნე), შაკრაბიძეები, ქუჩუკაშვილები, ყაზმინაანი, ქამიაანი, ყარამდივნისშვილები, ნანეტალაშვილები, წონიაშვილები, ორთაჭალელი ბენიამინე ყალუჭაანი, ბადინაანი, შანდანურაანი, სათუმაშვილები, ფაჩიაშვილები, პავლიაშვილები (პავლიევი), ქვაბიაშვილები, ქარჩიევები, დაჩინაშვილები, მომზიაანი, კობახიძეები, საპონჯანაშვილები, ალხაზანოვები (მოზდოკელი), ბაინდურასშვილები, ჯიმშეროვები, ნალბანდოვები, ყაიბეგაშვილები, იზმი-**

როვები, ყაუხჩიშვილები, არაქელაშვილები, არუთინასშვილები, გიორგისშვილები, აკოფასშვილები, ვარლამასშვილები, ლაზარესშვილები, მესამთლესშვილები, ფილიპესშვილები, ნონაშვილები, პეჩოაშვილები, შაიშმელაშვილები, ონანაშვილები, პეტრიაშვილები, კობალაძეები, თოროზაშვილები, თომასშვილები, თორმანასშვილები, უზბაშისშვილები, უზბაშოვები, შერგილაშვილები, ანტონოვები, მიზანდარი, ზაქარიაშვილები, მაისურაძეები, გორელისშვილები, საფაროვები, ჯანყულოვები, მამალაშვილები, ზარაფოვები, ხანუმაშვილები, ონანოვები, ჭარიევები, ამირალაშვილები, ვართანოვები, კანდელაკები, მიდიდაშვილები, ოქრომჭელდიშვილები, ჯერუნაანი, ხანპატოვები, შუაშვილები, ფიბუაშვილები, ალიბეგისშვილები (ალიბეგოვი) ყოფილი ჯაჟულები, გოგიასშვილები, მიტუანი, გალუსტაშვილები, მდივნისშვილები, გულამაყარისშვილები, კობიაშვილები, გულელმოსესაშვილები, დალაქბესუაშვილები, თავდიდარაშვილები, კუნთიაშვილები, გულაშვილები, ალმურაშვილები, ყასპიშვილები, დარჩიაშვილები, გვარაუდინასშვილები, თერძისშვილები, ყაზახაშვილები, ყამაზაანი, შარუაშვილები, ჩითახოვები, ჩუჩარმაზიშვილები, ჭაუკელები, პეტრუსასშვილები, ხოჯა სიმონაანთ სიმონიშვილები, ბაღდასარაშვილები, ტულუკაშვილები, ფონდუაშვილები (ფონდოევი), ოჰანეზაშვილები, იოსებისშვილები, კაკულაშვილები, მარჯანიშვილები, დოღრელაშვილები და სხვანი მრავალიც ამგვარნი“ (ზ. ჭიჭინაძე, სამცხე-საათაბაგო, ტფ., 1905, გვ. 89-90).

**უდავოდ მკითხველს ზოგიერთი აქ მოხსენიებული გვარი არ მოეჩვენება ქართულად, მაგრამ წიგნის საფუძვლიანი გაცნობა უთუოდ გაფანტავს ყოველგვარ ეჭვს. ყველა აქ წარმოდგენილი გვარი ქართულია.** ნათქვამის დასასაბუთებლად მოდით აქ ერთხელ კიდევ შევამოწმოთ **იზაშვილთა** (შემდგომში **იეზოვი**) გვარი.

**იეზაანი (იზაშვილები)** იყვნენ **თბილისის მოქალაქეები** და მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის ყმები. **იეზაანთ** სიგელში, რომელიც ძველი სიგელიდან განუახლებია საქართველოს ერთ-ერთ პირველ კათოლიკე **ანტონს,** ვკითხულობთ: „ჩვენ, ყოვლისა საქართველოისა დიდმან მამათ მთავარმან ღვთივ ცხებულთა მეფეთა შარავანდედმან ძემან ქართველთა მეფის იესემან კათოლიკოზ პატრიარქმან ანტონმა. ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა ცვალებადთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებადი სამკვიდრო და საბოლოვო და ყოვლისა კაცის

უცვალებელი და მიზეზ შემოუკლებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ცათა მბაძავს სვეტის ცხოველისა მკვიდრსა და ყმასა ჩვენსა მოქალაქესა **იეზაანთ ბექანიშვილსა ოჰან-ეზას** (?) შვილსა და მომავალსა სახლსა შენისასა, ასე რაიმე დიდი ზურაბის სახლი და კარი უმკვიდრო შექმნილიყო და პირველ კათა-ლიკოზ პატრიარქთან შენს პაპას **ფასინა იეზაშვილს** და იმის ძმას ოჰანეზას ეშოვნა და წყალობა ექმნათ, მერმე პაპა შენი და ბიძა შენი უმკვიდრო შექმნილიყვნენ **ოვანა** და **ნაფარა** და თქვენც გაუყრელი იყავთ, აწე მოხვედით კარსა და დარბაზსა პალატისა ჩვენისასა და **ოჰანეზა** და **საფარას** ექვს წილს სახლ-კარს და გიაჯეთ. ვისმინეთ აჯა და გახსენება თქვენი და რადგან პირველთ კათალიკოს-პატრიარქთა-გან წყალობის წიგნი გქონდათ, ჩვენცა ისევე წყალობა გიყავით და სიგელით ამით დაგიმტკიცეთ და ბერძენ მხატვარს აბისტოლესაც ცოტა ხანს ჰქონებოდა იასი სახლები და ისიც უმკვიდრო ქმნილიყო, რადგან თქვენს მეტს არავის ეხელყოდა ისევ თქვენ წყალობა გიყავით, აწე გქონდესთ, გიბედნიეროს ღმერთმან. ჩვენსა ერთგულებასა და სვეტიცხოვლის სამსახურსა შინა არ მოგეშალოს რა, ჩვენგან და არც სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლის წულთა და მთავართაგან, არცა დიდთა, არცა მცირეთაგან, ხოლო დამტკიცებულნი ამისნი ღმერთმან აკურთხეს აწ შემდგომად ჩვენისა ყოვლად სანატრელისა კათალიკოს პატრიარქს თქვენც ესევე გაურიგეთ და დაუმტკიცეთ, რათა თქვენი გაგებულ და გარიგებულ ღმერთმან მტკიცე ჰყოს ამის მოწამენი და ნების დამფარველნი და დამრთველნი. დაიწერა ინდიკატორსა ზ. პატრიარქობასა ჩვენის საა-მოს ხელითა მდივან ქალამ მაღალაძის ნიკოლოზი საითა, თვესა აპრილს 3. ქრისტეს აქეთ 1749 წელს.

**ეს წიგნი მოგეცი მე ქალაქის მელიქი გიორგის ძმის პაპის ტალაბმა ქეთევანამ შენ იეზაანთ ბექანის შვილს ოჰანეზას**" (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., 94-95).

**იზაშვილთა** გასომხებას წინ აღდგომია **პავლე იეზოვი**, რომელსაც სომხთა საპასუხოდ ქართველ კათოლიკეთა შესახებ წერილი დაუბე-ჭდია გაზეთ „კავკაზში".

**იზაშვილებში** სომხური სახელები ჩნდება 1700 წლის შემდეგ. საერთოდ კი **ასეთი მოქმედება 1650-იანი წლებიდან დაწყებულა**, იმ მომენტიდან, როცა საზღვარგარეთ მყოფმა **მხითარისტებმა** თვით

**საქართველოს არსებობაც უარყვეს და პაპის წინაშე აღიარეს, რომ სწორედ ადგილები, რომლებიც „კონგრეგაციას" საქართველო ჰგონია, ის სომეხთა არისო და ჩვენ ქართველობას არც ვიცნობთო.** ცნობილია. რომ ეს განცხადება შემდგომ მოგზაურმა დევალემ დაარღვია და გააბათილა.

ქართველთა შორის მიმდინარე სჯულის შეცვლის პროცესი მხედველობიდან არ გამოჰპარვია ცნობილ მწერალსა და ისტორიკოსს **ვალერიან გაბაშვილს (გაბაონს).** წიგნში **„აივნიანი ქალაქი".** ქვეთავში „სამნაირი პირჯვრის წერა" ამბობს: „ქორვაჭრობით მცხოვრებმა **ფირუზამ (გიორგი)** და თეთრმა **ლიზამ** ქალაქგარეთ წმინდა ბარბარეს ეკლესიაში იქორწინეს.

**ფირუზა** გაქნილი ქორვაჭარი და „ლხინის პაპა" გახლდათ. ქალაქში ყველა იცნობდა.

ერთ დღეს ხარფუხში, აბანოების აღმართზე, **ფირუზა** სუფსარქისის ეკლესიის მნათეს შეხვდა. მნათემ ფირუზა გააჩერა, სალამქალამით მოიკითხა და ბოლოს უთხრა:

– **ფირუზ,** გინდა ფული იშოვნო?

– **პარუმ გეურქ** – მხიარულად შესძახა ფირუზამ, – მე ჯერ სიფთა არ ამიღია, შენ კი უკვე გადაკრულში ხარ? ვაჰ! ეკლესიას ამისთანა ლოთი მნათე უნდა ჰყავდეს?

– ტუტუცო! გაიგონე, რა გითხარი? მე შენ გეუბნევი გინდა თუ არა ფული აიღო?

**ფირუზა** მნათეს თვალებში მიაცქერდა და გაუცინა:

– განა ვირს ამისთვის არ დავდევ?

– ჰამე? ვირი რა შუაშია? თუ შენ ფული გინდა, ერთი რამე უნდა ქნა.

– რა უნდა ვქნა? – დაინტერესდა ფირუზა.

სულ უბრალო რამე. თავზე წყალი უნდა დაისხა, ბლომად ფულს აიღებ.

ფირუზას უკვირდა, რომ მნათეს არც ეღიმებოდა, არც ეცინებოდა, არც ხუმრობის გუნებაზე იყო... ასე ეგონა მთვრალია და მასხრად მიგდებსო. მნათეს ენა გამოუყო და ვირს სახრე გადაჰკრა:

– წადი, წადი! გაიარე! ვისთვისაც არ მიგიყიდია, ისევ იმას მიჰყიდე. ალალ იყოს იმაზე:

მნათემ ფირუზას საყელოში ხელი სტაცა, გააჩერა და სხაპასხ-

უპით მიაყარა:

– მოიცა, სად გარბიხარ? აკი გითხარი მარტო ერთი რამ უნდა ქნა.

– რა უნდა ვქნა? **სოვდაგარ ფერშანგოვს** შევუვარდე.

– არა, მაგას ვინ ამბობს? შენ მარტო ერთი რამე უნდა ქნა – მნათემ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ფირუზას ყურში ჩასჩურჩულა: – ჩვენს ეკლესიაში მოინათლე და ქისას ფულით გაგივსებო.

ფირუზამ თვალები დააჭყიტა, ვერაფერი გაიგო.

– **რჯული გამოიცვალე, ისე ვაჭარი ვერ გახდები**, ვერ გამდიდრდები. – ეუბნებოდა მნათე..

ამ დროს ეკლესიებში წირვა გამოვიდა. ყველგან ზარების რეკვა გაისმა. ფირუზამ ქუდი გაისწორა და იკითხა:

– მაშ, სომხურად რომ პირჯვარი დავიწერო, ტერტერები ფულს მომცემენ?

– მოგცემენ, მაშ! მეც მაგას არ გეუბნევი?

– რამდენს მომცემენ, პარუნ გეურქ?

– ხუთ თუმანს. ხუთი თუმანი ცოტა ხომ არ არის?!

– ცოლიც რომ მოვნათლო?

– იმაშიც ხუთ თუმანს მიიღებ, მაშ! – გაუხარდა მნათეს.

ერთი კვირის შემდეგ, **ფირუზა** და **თეთრი ლიზა** სუფსარქისის ეკლესიაში მოინათლნენ. ტერტერებმა მათ გრძელი თეთრი პერანგები ჩააცვეს, ხელში ანთებული სანთლები დააჭერინეს, შუბლზე მირონი სცხეს და თავისებურად დააწერინეს პირჯვარი.

რამდენიმე დღის განმავლობაში თეთრი ლიზა ხიზილალიან პურსა ჭამდა. ზედ ღვინოს აყოლებდა, ნასიამოვნები ქმარს უცინოდა. ფირუზას ულვაშებში ეღიმებოდა. მალე ცოლი ისევ ხმელ პურზე დასვა და თავისი მონათვლაც დაავიწყდა. ღვთისმოშიში თეთრი ლიზა ახლა ქართველების და სომხების ეკლესიებში დადიოდა სალოცავად. ფირუზას კი არც ღმერთი აგონდებოდა და არც მისი ეკლესია.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგის ქუჩაზე, კათოლიკეთა საყდართან ფირუზას კათოლიკე პატრმა გზა გადაუჭრა და ჰკითხა:

– **ქართველი ხარ**, ყმაწვილო?

– ჰა? – ფირუზას თავის მონათვლა გახსენდა, მაგრამ არაფერი თქვა და პატრს სწრაფად უპასუხა – **ჰო, ქართველი ვარ.**

– რომელ ეკლესიაში დადიხარ?

ფირუზას ფერი ეცვალა, ენა დაება. პატრმა კითხვა გაუმეორა.

– ქართველების... – ცალი ყბით მიუგო ფირუზამ.

– ჩვენს ეკლესიაში რომ იარო, ფულიანი გახდები.

ფირუზამ ახლაც ისე დააჭყიტა თვალები, როგორც სუფსარქისის მნათესთან.

მაშ, ბატონო, თქვენებურად პირჯვარი რომ დავიწერო, ამაში ფული მერგება?

– გერგება, ოღონდ ფრანგი უნდა გახდე.

ფირუზამ კეფა მოიფხანა, ჩაფიქრდა.

– იფიქრე და პასუხი აგერ იმ წითელ სახლში მომიტანე, თოკზე ჩაქუჩია ჩამოკიდებული, სამჯერ დაჰკარი და კარს მაშინვე გაგიღებენ.

როდესაც ფირუზამ ცოლს კათოლიკების ეკლესიაში მონათლა შესთავაზა, თეთრმა ლიზამ ერთი ალიაქოთი ატეხა:

– შე ღმერთგამწყრალო, შენა! ეხლა გინდა სამ ეკლესიაში მატარო და დავთრები სულ დამიბნიო?! თქვენი ჭირიმეთ, სად გაგონილა?! ეს კაცი ღმერთით ვაჭრობს და ღმერთსა ჰყიდის. ქა, პირჯვარს არასოდეს არ იწერს, არ ლოცულობს, ჯერ სანთელიც არ დაუნთია და ორნაირად ვითომც პირჯვრის დაწერაში ორგან ფულს იღებს. არა, არა, მე მაგის გამკეთებელი აღარა ვარ, შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი, ქა, გაგონილა ქრისტიანი კაცი სამნაირ სახელს ატარებდეს? მაშ, მეც ორი ქმარი მყოლია: გიორგი და გეურქა, მესამეც ის მეყოლება, რასაც ფრანგები დაგარქმევენ.

– შენ ხომ ორნაირი სახელი გქვიან? – სიცილით ეუბნებოდა ფირუზა.

– მაშ, მაშ! ლიზა დამიწუნეთ და რიფსიმე დამარქვით. მესამე სახელად რაღას მარქმევთ?

– პატრმა ასე თქვა, შენს ცოლს მესამე სახელად **ლუჩია** მოუხდებაო.

– ქა, ეგ ლუჩი რაღა არის, ფრანგებს ქრისტიანული სახელი აღარა აქვთ?

ფირუზა ვერც ხვეწნით, ვერც მუქარით ვერაფერს გახდა. ცოლი ვერ დაიყოლია. ვერც ხიზილალიანი პურით მოიხიბლა. ცოლმა წინ მყისვე ამასწინანდელი გამასპინძლება დაუხვედრა. ამიტომ ფირუზა

იძულებული გახდა მარტო წასულიყო კათოლიკების ეკლესიაში და იქ მესამედ მონათლულიყო.

ქორვაჭარი ფირუზა პატრმა **ფილიპე ფორნელმა** და **ბარლამო განდილიმ** პაპა **პიუს VII-ის** სამწყსოში შეიყვანეს, რამდენიმე ოქრო აჩუქეს და კათოლიკურად გადააწერინეს პირჯვარი. მაგრამ ფირუზა არც ქართველების, არც სომხების და არც ფრანგების ეკლესიაში არ დადიოდა. ოღონდ ეს იყო, ქართველებთან ქართულად იწერდა პირჯვარს, სომხებთან – სომხურად, ფრანგებთან – ფრანგულად.

ფირუზას მეზობლები დღიური ქირით და ხელოსნობით მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, ვაჭრობით კი უპირატესად სომხები და ფრანგები ვაჭრობდნენ. ისინი ერთმანეთს ქიშპობდნენ, მტრობდნენ, არ ინდობდნენ და თუ სადმე სომხურად ან კათოლიკურად მონათლულ მართლმადიდებლს მოახელებდნენ, რუსეთის ხელისუფლებასთან აბეზღებდნენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწყებული ეს ბრძოლა ახლაც გრძელდებოდა.

ფირუზა არხეინად იყო, რადგან მისი მონათვლის გამო კრინტს არც სომხის ტერტერები სძრავდნენ, არც კათოლიკე პატრები. მან იცოდა, რომ ძალა სომეხი ვაჭრების ხელთ იყო, კათოლიკე პატრებს კი რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა, ავიწროებდა და სდევნიდა. ამიტომ ფირუზა უფრო ხშირად სომეხ ვაჭრებში ტრიალებდა, კათოლიკებთან კი წყალობის მისაღებად დადიოდა.

**...ფირუზას ახრიზამანი დადგა.**

შუაღამისას გრძნობა დაჰკარგა და განთიადზე საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ფირუზა ზანდაროვის სიკვდილის ამბავი მთელ ქალაქს მოედო.

...პანაშვიდზე მართლმადიდებელი მღვდლები, სომხის ტერტერები და კათოლიკე პატრები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. არავის გაჰკვირვებია, რომ მდიდარსა და განთქმულ სოვდაგარს სხვადასხვა სარწმუნოების მღვდელმსახურები უგებდნენ წესს. არც ის გაუკვირდებოდათ, ფირუზა ზანდაროვის პანაშვიდზე თათრის მოლები რომ გამოჩენილიყვნენ.

ამის ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა იყო.

სომხური ეკლესიის დავთრებში **გეურქა ზანდაროვის** სახელით მოჩხრიკეს, ხოლო კათოლიკურ ეკლესიაში **ფრანჩესკო ზანდაროვის** სახელით. საბუთები ტერტერებმა და პატრებმა **გრიგოლ ზანდაროვს**

წინ დაუდეს. გრიგოლი შეფიქრიანდა, თეთრ ლიზასთან ჩურჩული გააბა. თეთრმა ლიზამ ეს აინუნში არ ჩააგდო. მან მართლმადიდებლების ეკლესიაში გიორგი ზანდარაშვილთან ჯვრისწერის ისე კეწკეწად შენახული ქაღალდი გამოაჩინა, რომ ტერტერების და პატრების საბუთები მყისვე გააბათილა. მიუხედავად ამისა, პანაშვიდებზე სომხის ტერტერები მაინც **გუერქა ზანდაროვს** ავედრებდნენ ღმერთს, ხოლო კათოლიკე პატრები — **ფრანჩესკო ზანდაროვს.**

მართლმადიდებელი მღვდლებიც გულმოდგინედ ასრულებდნენ წესს.

მღვდლებიც, ტერტერებიც და პატრებიც გრიგოლ ზანდაროვის მიერ გულუხვად იყვნენ დასაჩუქრებულნი.

ყველაზე მეტად მან მაინც უპირატესობა ტერტერებსა და პატრებს მისცა, რადგან ეშინოდა ამ საქმეში ეგზარქოსი არ ჩარეულიყო და მართლმადიდებელთა ეკლესიას ამაზე მეტი არ წაელო, რაც უკვე მოცემული ჰქონდა.

...ფირუზა ზანდაროვი გაქვავებული იწვა მუხის კუბოში. თავით და ფერხთით ოთხი გრძელი კელაპტარი ენთო. ძლიერი სანთლით განათებული მისი სახე ყველას თვალში ხვდებოდა. მკერდზე ორი მრგვალი პური ედო, როცა საიქიოში ფირუზა ბეწვის ხიდზე გაივლიდა და სამოთხის კარს მიადგებოდა, ჯერ ერთი პური, მერე მეორე სამოთხის ალაყაფთან დარაჯად ამართული ორი ასლანისათვის უნდა გადაეგდო. სანამ ასლანები პურს დასწვდებოდნენ, უნდა მოესწრო და სამოთხეში შევარდნილიყო.

ერთი ისტყვით, ფირუზა ზანდაროვი საიქიოშიც ისევ უნდა მოქცეულიყო, როგორც სააქაოში იქცეოდა" (ვალერიან ბაბაონი, „აივნიანი ქალაქი", თბ., 1988, გვ. 499-500).

საკუთარი თავისა და ოჯახის გადარჩენის სურვილი, გათათრების შიში კარნახობდა ქართველს მეზობელი ქრისტიანი ტომის სახელი დაერქვა, თავი ერმინად გაესაღებინა, შედეგზე კი აღარ ფიქრობდა. აი, ერთი ასეთი საგულისხმო მაგალითი. **ჩილდირის** ხეობის სოფ. ველელის მცხოვრები ქრისტიანები ოსმალურ ენაზე ლაპარაკობდნენ, სომხის კათოლიკებად ირიცხებოდნენ, გვარტომით კი ქართველები იყვნენ.

**ალექსანდრე ფრონელს** წიგნში **„დიდებული მესხეთი"** ასეთი საგულისხმო მომენტი აქვს აღწერილი: **„მთავარ-დიაკონი ანდრია**

**ჯვარიძის მამა ალექსი** და **ბიძა პავლე** თათრების მოსაჩვენებლად დასვინათებულან. ამის მიზეზი ყოფილა შემდეგი: ვიდრე ღონე და შეძლება ჰქონით, უხდიათ თათრის ხარაჯა, როცა ძალზე გაღარიბებულან და ხარაჯის გადახდის თავი აღარ ჰქონიათ, შემწეობა უთხოვიათ ძველადვე მალულად მცხოვრებ მღვდელ-მამა **პავლე ზედგენიძისათვის.** ზედგენიძესაც უჩუქებია ერთი წლის გადასახადი და ასე ამგვარად ერთი წლით კიდევ შეუნარჩუნებიათ ხილულად ქრისტიანობა.

მეორე წელიწადს თხოვნით მიუმართავთ ახალციხელ ქართველ კათოლიკე მღვდლისათვის. მასაც უჩუქებია წლიური გადასახადი, ამ წელიწადსაც როგორც იყო შეირჩინეს ქრისტიანობა. მესამე წელიწადს ხელი აღარვინ გაუმართა. ხარაჯის საშოვნელად დაიწყეს სოფ. ორგორაში კირის წვა და ზიდვა ზურგით 26 კმ-ზე ახალციხეში გასაყიდად. ზურგზე ორთავეს კირის ზიდვით ტყავი გადასძვრათ და მაინც ძლივძლივობით იშოვნეს ერთი წლის ხარაჯა.

მეოთხე წელიწადი უფრო სამწუხარო და სავაგლახო დასდგომიათ. მარტო ერთი ადამიანის გადასახდელი შეუგროვებიათ. ერთი ამ წელიწადს, ხოლო მეორე მეორე წელიწადს დასვინათდა და მაჰმადიანობა მიიღეს. მამას ალექსის **„მურადაი“** დაარქვეს, ხოლო ბიძა პავლეს **„ბადალაი“**. დღესაც ბიძაჩემის ჩამომავლობას **„ბადალანთ ეძახიანო“**, უთქვამს მოსაუბრეს.[1]

– **„დასვინათებული ქართველნიო,** – მოგვითხრობს იგივე მამა **ანდრია ჯვარიძე,** – დიდის გაჭირვებით მალულად ნათლადვნენ ახლად შეძენილ ბავშვებს, ხან სადა და ხან სადაო. სოფელ ძველში დღესაცაა მივარდნილ ტყეში (წინად ხშირი და დაბურული იყოვო) ერთი პატარა წყარო, რომელსაც სახელად ეძახინ **„მონათლულ წყაროს“**. აი სწორედ ამ წყაროზე ნათლავდა ბავშვებს სოფ. ძველის მღვდელი ჯერ მამა პავლე ზედგენიძე და შემდეგ მისი შვილი მამა ქრისტეფორეო.

– ძალუა ჩემი, რომელიც მაშინ გარდაიცვალა თითქმის ასის წლისა, შემდეგს მიამბობდა ხოლმე თავის ქორწინების შესახებო: ცხადად ჩემს დროს ჯვარის-წერას ვერავინ გაბედავდა, მის გარეშე კი არავინ ქორწინდებოდა. ამის გამო ქორწილი მალულად ხდებოდაო.

---

[1] ალ. ფრონელი, დასახ. ნაშრ., გვ. 54-55

საქორწინონი ახალს ტანისამოსს ვერ ჩაიცვამდნენ, რადგან თათრები შენიშნავდნენ, გახდიდნენ და უპატიურობასაც მიაყენებდნენო. მე სხვებსავით ფარულად წამომიყვანეს სოფ. ჩუნჩხიდან (ჯავახეთშია) ვაჟის ტანისამოსით და ჯვარი დამწერეს ჩუმად სოფელ ძველში, ერთ შიგნი-შიგად მივარდნილ და ბნელ სახლში. ექვსი შვილი რძალ-პატარძალი იწერდა ჯვარსა ერთი და იგივე ლურჯი სამოსლის კაბით, ან თხოვნით, ან ყიდვითო, ისე შევიწროებული ვიყავით თათრებისაგანაო".[1]

ბოლო დრომდე ახალციხის მხარესა და ქართლ-კახეთში მიცვალებულს ანდერძს სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონისამებრ უგებდნენ, წირვასაც სომხურად ასრულებდნენ, სახარებას კი ხშირად ქართულად კითხულობდნენ. როგორც იტყვიან, ყველაფერი ბნელით არ იბინდება და გალავნებში საფლავების ქვებს, როგორც წესი, ქართული წარწერები აქვს. ასე რომ, ეკლესიაში სომხურად ადიდებდნენ უფალს, ხოლო საფლავის ქვებს ქართულად უკეთებდნენ ზედწარწერას. ამის თაობაზე **ალექსანდრე ფრონელი** ამბობს: „ხშირად უკუღმართმა და ბნელად მოსახსენებელმა ბედმა მარტოოდენ საფლავის ლოდნი-ღა გვიწყალობა სანუგეშებლად.

ძლვენი მწირია, მაგრამ რას იზამ?

მეფისშვილის საბუთად იმისა, რომ აქ ქართველი ასაფლავია, ისტორიას ეს ქართული წარწერა-ღა დარჩება.

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია...[2].

**ქართველების გასომხების ერთ-ერთი მიზეზი** საინტერესოდ აღწერა და გადმოგვცა **ილია ალხაზიშვილმა.** მან თრიალეთის მხარეში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ციკლის ერთ-ერთი ნაწილი ასე დაასათაურა: **„მასპინძელი სომეხი, მისი ძმა ქართველი"**. იგი წერს: „რა მიზეზს აღარ გაიგებს კაცი იმისას, თუ როგორ იცვალეს ქართველებმა თავისი სჯული და ეროვნება!

ქვემო ქართლში მოგზაურობისას **ალექსი სანდაძე** სომხად გამეცნო, ხოლო მისი ძმა **მოსე – ქართველად**. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსიმ მიამბო:

„პაპა ჩვენი ქართველი იყო – და ძალიან მიღებული კაციც

---

[1] ალ. ფრონელი, დასახ. ნაშრ., გვ. 57
[2] ალ. ფრონელი. დასახ. ნაშრ., გვ. 56-57.

ყოფილა ცხონებული ოსმალების აქ ბატონობის დროს. ოსმალოს მთავრობისაგან ბევრჯერ იყო თურმე გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან. მერე პაპა ჩვენი დაქვრივებულა, ახალციხეში ერთი სომხის ქალი შეჰყვარებია. ქალს თუმცა საქმრო მოსწონებია, მაგრამ თავის რჯულისათვის არ უღალატნია, პირობად ის დაუდვია, თუ შვილებს სომხად მონათლამ, შეგირთამ, თუ არა და არაო. ცხონებულიც დათანხმებულა, – მამა ჩვენი სომხად მოუნათლავთ. თავის ახალგაზრდობის შეცდომა პაპაჩვენს გულში ბოლმად ჩაჰყოლია, და ღრმა მოხუცებულობის დროს თურმე ეთხოვა თავის შვილისათვის, მამაჩემისათვის: **„არ მინდა, შვილო, რომ ჩემი სახსენებელი გაწყდეს, და ჩემი სანთელი გაქრესო, შენი სიყრმის შვილი მე მაჩუქე ქართველად მოვნათლო და გავზარდოო“.** მამაჩემსაც ერთი ვაჟიშვილი, ჩემი ძმა **მოსე,** ცხონებულისათვის დაუთმია, და **ეხლა ჩვენ სომხები ვართ და მოსე – ქართველი.**

– მართალი ხარ, ალექსი, – უპასუხა ჩვენმა თანამგზავრმა ბ. თმოგველმა.

– სომხის ქალებს მე კარგად ვიცნობ, ეგენი ძლიერ მტკიცენი არიან თავის ეროვნებაზე და რჯულზე.

...ხომ გაგიგონია საფრანგეთი (ანუ ფრანგისტანი – თათრულად)?

– ჰაი, ჰაი, რომ გამიგონია!..

– ჰო და ფრანგისტანი ქვეყანაა და ფრანგები ან ფრანცუზები ხალხია, მისი მკვიდრია.

– მაშ, საკმაო ყოფილა, კაცმა კათოლიკე სარწმუნოება მიიღოს – ის არის და ის, თუ გინდა თარაქამა იყო, თუგინდ ლეკიჩერქეზი, მაშინათვე ფრანცუზად, ფრანგად იქცევა?! თუ არა და, შე დალოცვილო, არაბი, ლეკი, ოსმალო, ყიზილბაში, ქურთი და არ ვიცი კიდევ რამდენი სხვა, ეს ამოდენი მილეთის ხალხი ყველანი მაჰმადის რჯულს აღიარებენ, მაგრამ ჯიში, გვარტომობა, ხალხოსნობაც კი სხვადასხვა აქვთ. ჰერი ა! რა ქვეყანაში იტყვით და რა ხალხში გინდათ, რომ მისიონერები კათოლიკე სარწმუნოებას არ ავრცელებდნენ, მაშ, აისორები, ჩინელები, შავკანიანი ზანგი, ინდოელნი, არაბნი, ყველანი ფრანცუზები დახდებიან!..

– თუკი არიან სომეხი კთოლიკენი, სომეხი ლოტრანგი და სხვა, მაგრამ არ უნდა იყოს სომეხი მართლმადიდებელი, ქართველი

გრიგორიანი, ქართველი კათოლიკე, ქართველი მაჰმადიანი და სხვა... ჯიში, მოდგმა, ჰერი, ენა, ჩვეულება სხვა არი და სარწმუნოება სხვაა.

– ქართველებმა, რუსებმა და თითქმის სლავიანთა რასამ, რომელნიც წინათ კერპთმსახურნი იყვნენ, ყველამ ბერძენთაგან იცნეს, ჭეშმარიტი ღმერთი, ბერძენთაგან მიიღეს ქრისტე-მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება და ერთსა და იმავე მართლმადიდებელ ეკლესიის ტიბიკონით ასრულებენ სარწმუნოებრივ წესრიგს. მაშ საცა სამართალია ჩვენ ქართველნი კი აღარა ვართ და რუსეთი რუსები კი აღარ არიან, არამედ ბერძნები ვყოფილვართ.

– დიაღ, როგორ არა! აბა ერთი, თუ თავი მოგძულებია აფრიკაში მცხოვრებ შავკანიან აბაშელს უჩურჩულე, რადგან მართლმადიდებლი ქრისტიანი ხარ, მაშ ქართველი ან რუსი ყოფილხართქო... რუსნი, ბულგარნი, სერბნი და სხვა რომ ყველანი მართლმადიდებელნი არიან, ხომ ყველანი სლავიანთა მოდგმათ ეკუთვნიან, მაგრამ სარწმუნოებას ვინ უყურებს, ყველანი სულ იმის ბრძოლაში არიან, მტკიცედ დაიცვან თავიანთი ეროვნული ვინაობა, ნაციონალური თავისებურება, ზნე-ხასიათი, საკუთარი ენა და ჩვეულება, არა, ერთი ეს მიბრძანეთ, ვინ გასცვლით თქვენს მშობელ დედას დედინაცვალზე?!

– ეჰ! რას ამბობ, ალექსი, როცა ხბორები დაერევიან ხოლმე ძროხების ნახირს, ვის გინახავთ, რომ დაბმული ხბო განურჩევლად მივარდეს რომელიმე ძროხას და თავის მშობელი დედა არ მონახოს, თუმცა კი ბევრჯერ სხვა ძროხის ჯიქანი (ცური) უფრო გატენილია რძით.

– აბა, ცხვარი ხომ სულელია, უტვინოა და გინახავს როდისმე, რომ მთელ ფარა ცხვარში გარეულ ბატკნობამ თავის დედა არ მონახოს და სხვის ძუძუს დაუწყოს წოვა?...

– რა ვქნათ, ბატონო, რა რჯულზედაც მამა მდგარა, ჩვენც იმ რჯულზე უნდა გავიაროთ.

– მერე ვინ გეუბნება, კაცო, უეჭველად რჯული გამოიცვალეო? რატომ იმას კი არ ამხელ: რა ეროვნებისაც პაპა ჩვენი იყო, ჩვენ იმის ხორც-სისხლნი ვართ, იმ ეროვნებას ვეკუთვნითო? რა ვუყოთ რომ პაპაჩემი სამი თითით იწერდა და ჩვენ ახლა ხუთი თითით ვიწერთ პირჯვარსო...

როცა თმოგველმა თანამოსაუბრე ვერ დაარწმუნა, სიტყვა

ბატონმა ვარძიელმა ჩამოართვა, ამხანაგს რუსულად გადაულაპარაკა, – რას ეკამათები, ვერ უყურებ კაცს ხალხურობა სარწმუნოებისაგან ვერ განურჩევია, უბრალო (მდაბიო) ხალხი ეროვნებაზე რელიგიის მიხედვით მსჯელობსო და განაგრძო:

– რასაკვირველია, ღმერთმანი, რად არის მდაბიო ხალხი ასეთის დამახინჯებულის აზრისა, **რად ურევს რჯულსა და ეროვნებას** ერმანეთში? რად უყურებს ასე ადვილად ადამიანის ბუნების გადაგვარებას! ამ შემთხვევაში პირუტყვები ბევრად მაღლა დგანან პირმეტყველებზე".

იმის დასამტკიცებლად, თუ მსგავს შემთხვევისათვის ბუნებას რა კანონი დაუწესებია და რა წესს იცავს, მოსაუბრე იშველიებს ასეთ მაგალითებს:

„**გუგულისთვის ბუნებას გუგულობა დაუწესებია, კაჭკაჭისათვის კაჭკაჭობა,** თუმცა კი ორივენი ფრინველებად გაუჩენია. გუგული, მოგეხსენებათ, თავის დღეში ბუდეს არ იშენებს და თავის კვერცხს ათასნაირი ხერხით და მოტყუებით ტყის პატარა ფრინველთა ბუდეებში დებს – იმათ კვერცხებს ერთ თავისას მიუმატებს ხოლმე და გამოჩეკა-გამოზრდასაც ამ გაბრიყვებულ პატარა ფრინველის თავში საცემად ხდის. მაგრამ კი არავის გვინახავს, რომ გუგულის კვერცხიდან გამოჩეკილი ბახალა იმ თავის ამხანაგებს დამსგავსებოდეს, რომლებთანაც ერთსა და იმავე დედა-ჩიტის მზრუნველობაში იკვებებოდა-იზრდებოდა. გუგულის ბღარტი დაჩრიხვდება თუ არა, ამოფრინდება დედინაცვლის ბუდიდან და მაშინვე თავისებურად გუგუ – გუ-გუ-ს გაჰყვირის ჭალა-ტყეებში. დაბრიყვებული ჩიტის ბღარტები კიდევ თავიანთებურად, მამა-პაპის ჰანგზე გალობ-ჭიკჭიკობას იწყებენ და დიდად უხარიათ, რომ ის არამკითხე, მუქთახორა სტუმარი თავიდან მოშორდათ".[1]

დიახ, ნათქვამის ნათელსაყოფად შინაურ ფრინველთა მაგალითიც გამოგვადგება. ზოგჯერ ქათამს შეუწყობენ იხვის, ბატის ან ინდაურის კვერცხს. ვის უნახავს, რომ ქათმისაგან გამოჩეკილი იხვის ან ბატის ჭუჭულს, ინდაურის ჭუკებს დაეკარგოთ თავიანთი ზნე-ჩვეულება და ხასიათის თავისებურება. მთელს ეზოში ერთი იხვი ან ბატიც რომ არ მოიპოვებოდეს, რომლისაგანაც შეეძლოთ მაგალითის

[1] ი. ალხაზიშვილი, „ბუნება და ცხოვრება", ტფილისი, 1903 წ., გვ. 53-54.

ალება, იხვის და ბატის ჭუჭულები წყალს ეძებენ საჭყუპალაოდ, ინდაურის ჭუკები საცოდავად თავაწეული დადიან, ქათამი – კრუხი კუტ-კუტებს, შვილებს უძახის, წიწილები მიდიან მასთან, სხვები კი მას არ ემორჩილებიან.

ბუნებას თავისი სასტიკი კანონები აქვს. აქ ძალზე მტკიცე მემკვიდრეობითი, ჩამომავლობითი ძალა და თუ ესა თუ ის სახე ოდესმე თანდათან იცვლება, უმჯობესდება და ვითარდება, იცვლება შეუმჩნევლად, მიკროსკოპულად და ისიც მხოლოდ ათი ათასი და მილიონი წლობით, ბუნებითი შერჩევის და არსებობისათვის ბრძოლის გამო.

ადამიანიც იმავე ბუნების შვილია და იმავე ბუნების გარდაუვალ კანონს ემორჩილება. თანაც ადამიანი ყველა ცხოველზედ მაღლა დგას. მიუხედავად ამისა იგი უშვებდა, რომ ასეთნაირად დაემახინჯებინა ბუნების დედა-აზრი. ოღონდ ჩვენ ასეთ დაშვებას ვაკეთებთ იმ პირობით, რომ თუ გვსურს მსგავს შეცდომების მორევში არ ჩავეფლოთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **„გვაროვნება“** და **„ეროვნულობა“**, უნდა დავადგინოთ **სარწმუნოებრივი** და **გვაროვნული** საკითხების ურთიერთმიმართებანი.

მიხეილ თამარაშვილმა ნაშრომში – **„პასუხი სომხის მწერლებს“** – მრავალ საკითხთთან ერთად დააყენა **„ეროვნების მარადიულობის პრინციპების“** იდეა. მისი აზრით, ამ „პრინციპს“ ემორჩილება არა მარტო კერძო არსება, არამედ საზოგადოებაც, რომელიც ბუნებითად იცავს და ავრცელებს თავის ვინაობას და დაბეჯითებით ადგა იმ აზრს, რომ ერის შიგნით ყოველთვისაა მოსალოდნელი საზოგადოებრივი ცვლილებები. იგი შესაძლოა მოხდეს მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. რომ ზოგადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე ამგვარი სახის პოლიტიკური, სოციალური და სარწმუნოებრივი ცვლილებები კანონზომიერად ახასიათებს ყველა ერის ისტორიას. ამგვარი ცვლილებები შეუძლებელია განიცადოს „ეროვნებამ“ და ცვლილებები თავის მხრივ ეროვნულობის სახეს ვერასოდეს ვერ შეცვლის. ეს მიხეილ თამარაშვილის აზრით, მარადიული და უცვლელი საზოგადოებრივი ფენომენია, რომელსაც ყველასაგან განსხვავებული და დამახასიათებელი, **თავიდანვე ბუნებით თანდაყოლილი უცვლელი თვისება აქვს.**

მიხეილ თამარაშვილმა გვიჩვენა, რომ აღმოსავლეთის ქრის-

ტიანთა შორის ხშირად **ტომობა (ეროვნება) და სარწმუნოება გაიგივებული იყო,** რომ პოლიტიკური ძნელბედობის დროს სარწმუნოების ნებსით თუ უნებლიეთ შეცვლა ხშირად მათი ვინაობის გაუგებრობასაც იწვევდა. მაგალითად, **მელიქიშვილები ქართველი თავადები** იყვნენ. ისინი შეტანილი არიან მეფე ერეკლე II-ის მიერ შედგენილ თავად-აზნაურთა სიაში. **ისინი ლორის მელიქის შთამომავლები არიან,** თავდაპირველად აზნაურები იყვნენ, ხოლო 1601 წელს აქაური **მელიქი** წარსდგა **შაჰ-აბასის** წინაშე, მაჰმადიანობა მიიღო და ამის გამო შაჰმა თავადობა უბოძა. ამ ლორის მელიქის სახელისაგან წარმოსდგნენ: **ლორის-მელიქიშვილები, პაპა მუშრიძის შვილები, მელიქ ჯანაშვილები, ავთანდილის შვილები** და სხვა.[1]

**არღუთაშვილის** გვარი წარმომდგარია **არღუთ**-ასაგან, რომელიც 1287 წელს თათრის ყეენმა **არღუნმა** გააზნაურა. **არღუთას** შთამომავალი სახელად **არღუთა** საქართველოში 1410 წელს მოვიდა, მონასტერი **სანაინი** განაახლა და იქ დასახლდა. არღუთასძენი არღუთაშვილებად იწოდნენ. ერეკლე მეფემ არღუთაშვილებს სანაინთან მიმდებარე მიწები და ხრამის ახლოს მდებარე სოფელი ავლარი (ავრალო) აჩუქა. ეკატერინე II-სთან დადებული ხელშეკრულების ძალით არღუთაშვილებს თავადობაც უბოძა და იოსებ არღუთაშვილის თხოვნით **არღუთაშვილ-მხარგრძელები არღუთინსკ-დოლგორუკოვებად გაფორმდნენ (მათგან ახალი შტო-გვარიც გაჩენილა).**

ზოგიერთი სომეხი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საქველმოქმედო საქმესაც აკეთებდა, სხვა ეროვნების კაცის გულს ინადირებდა. ისინი აგროვებდნენ ფულს, საიდანაც ეროვნების მიუხედავად როცა ღარიბი ქალი თხოვდებოდა, წელიწადში ერთხელ კენჭისყრით ვისაც შეხვდებოდა სამზითვოდ 150 მანეთს აჩუქებდნენ. მდიდარი სომეხი, როცა მეგვარტომეს სარჩო-საბადებელს აძლევდა, მათ მეზობლებსაც გვერდს არ აუვლიდა, უპირატესად ქართველსა და სხვა ტომის წარმომადგენლებსაც უწილადებდა.

ქართველების გრიგორიანული სარწმუნოების გავლენაში მოქცევას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართველებს ზოგჯერ საკუთარი საგვარტომო ეკლესია არ გააჩნდათ და იძულებული იყვნენ ხან ბერძნების, ხან სლავების ეკლესიაში ევლოთ.

---

[1] გაზ. „ივერია", 1884 წ., №5.

აქედან რომ განთავისუფლებულიყო, აუცილებლად ეკლესიას განკერძოებული სახე უნდა მიეღო, მას საკუთარი ქართული სული უნდა ჩაედგა, ხოლო, ეს თუ არ მოხერხდებოდა, ქართველი სრულიად უნდა განთავისუფლებულიყო ეკლესიური წესებისაგან.

იბადება კითხვა, განა სხვა ქვეყანაში არ იყო იმის ფაქტები, რომ ერთი გვარტომის ხალხში რამდენიმე სარწმუნოების კაცი ცხოვრობდა, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე იტყოდა, რომ იგი სხვა ტომს ეკუთვნოდა. მაგალითად, ფრანგებს შორის რამდენიმე სარწმუნოების აღმსარებისანი არიან. **ზოგი გერმანელის რჯულს აღიარებს, ზოგი – ინგლისელის, ზოგი სხვას,** მაგრამ მათ თუ ვინმე ვინაობას ჰკითხავს, არც ერთი მათგანი არ იტყვის, რომ იგი ინგლისელი ან გერმანელია და არა ფრანგი. ჩვენთან კი წესად იქცა: **სომეხი ქართველ ქალს რომ შეირთავდა, არა მარტო შვილი ინათლებოდა სომხად, არამედ ცოლიც სომხდებოდა.** ქართველი კაცი სომეხ ქალს თუ შეირთავდა, იგი პირობასაც ჩამოართმევდა საქმროს, რომ ზოგი შვილი მის რჯულზე მოენათლა. **„საქართველოს კალენდარში“ (1889 წ.) აღნიშნულია: „მართლმადიდებელნი ვერ შეუღლდებიან სხვა რჯულის პირებთან, თუ სარწმუნოებას არ გამოიცვლიანო“.**

აღნიშნულთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი 1911 წელს გაზეთ **„თემში“** (№8) დაბეჭდილ წერილში **„ჩემი აღსარება“** ფრიად საგულისხმო ცნობას გვაწვდის: „ერეკლე მეორეს ერთი იმერელი, **შანშე გამყრელიძე** ახლდა, რომელიც ძალიან უყვარდა ვაჟკაცობისათვის. ერთხელ უბრძანა მეფემ: შანშე, მოწყენილი რადა ხარო?

– ქალი მიყვარს! – მიუგო დარცხვენით.

– მერე რატომ არ შეირთავ?

– ქალი არ შვრება!

– როგორ? რა დაგიწუნა, რომ არ უყვარხარ. თვალტანადობა თუ ვაჟკაცობა?

– არც ერთი, შენი ჭირიმე! მაგრამ სომხის ქალია და ჩემ რჯულს ერიდება.

– მეტი არაფერი? არ იცი, რომ ისინი ქრისტიანები არიან? თუ ის არ გადმოდის, შენ გადადი იმის წესზე და დაიწერე ჯვარიო“. მეფის ბრძანება ასრულდა. დღეს მათი ნაშიერები **შანშიაშვილები არიან. სომხებად იწერებიან.**

ქართველ გრიგორიანებიადან მრავალი ცნობილი პირი გამ-

ოვიდა. მათ შორის კომედიების მწერალი და ცნობილი პიროვნება **მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი,** ცნობილი განათლებული მწერალი **ნიკოლოზ ხუდადოვი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა,** „კვალის" და „ჯეჯილის" რედაქტორი, ამაგდარი კაცი, ქართულ საყმაწვილო მწერლობაში კარგად ცნობილი პირი და მწერალი **ალალო თუთაევი** და სხვა მრავალი.

სომეხ მღვდელმსახურებასთან გადანასკული ცარიზმის პოლიტიკა, რუსეთის მიერ ჩატარებული აღწერები (რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ზუსტ აღრიცხვას, მოსახლეობის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის დაზუსტებასა და კომლთა საგადასახადო შესაძლებლობების განსაზღვრას შეადგენდა) სინამდვილეში ქართველი ხალხის გასომხების მექანიზმშიც იყო ჩართული.

ასეთი გაბედული თქმის საფუძველს გვაძლევს XIX საუკუნეში რამდენჯერმე ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები და შედგენილი საოჯახო სიები.

საოჯახო სიებში შეტანილია ყველა დასახლებული პუნქტი. ნაჩვენებია ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მოსახლე ოჯახების სულთა შემადგენლობა. შესაბამისად, დაჯამებულია სოფლის (ქალაქის) კომლთა და სულთა რაოდენობა, მამრობით და მდედრობით სქესთა ცალ-ცალკე ჩვენებით. 1873-1886 წწ. **სს** შეიცავს გრაფებს, რომლებშიც დაფიქსირებულია თითოეული პირის ასაკი, ტომობრივი კუთვნილება, სარწმუნოება, საოჯახო სალაპარაკო ენა, განათლება, კომლთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ამასთანავე, ყურადღება აქვს მიქცეული მოსახლეობის გადაადგილების საკითხებს. ამავე დროიდანაა ნაჩვენები მიგრაციის ფორმაც.

გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალებიდან ჩვენთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობის შემცველია გრაფა – **მოსახლეობის ეროვნული** და **რელიგიური შემადგენლობა, ეთნიკური პროცესები** და **ტოპონიმები.**

ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისას მკვლევარს ერთგვარი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ზოგჯერ ძნელია ენდო გრაფას, რომელშიც აღნიშნული პიროვნების ამა თუ იმ ეროვნებისადმი კუთვნილებაა აღნიშნული. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართველ გრიგორიანებზე, ქართველ მაჰმადიანებსა და ქართველ კათოლიკებზე.

ქართველი მონოფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერთა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. **თუ ქართველი მართლმადიდებლური რწმენის გარდა, აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად – კათოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგლისელებად – მაჰმადიანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად – მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ დასავლეთ საქართველოში.**[1]

ზოგჯერ **კათოლიკე ქართველები** სს-ის მიხედვით **სომხებად არიან წარმოდგენილი.** ალბათ, ეს იმის გამო, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ რომის პაპის მიერ დამტკიცებული ჰქონდათ სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი) და დამორჩილებული იყვნენ სომხური კათოლიკური ეკლესიისადმი. ამით იყო განპირობებული, რომ ქართველი კათოლიკების („ფრანგების") გვარ-სახელებს ზოგჯერ უცხოური ძირები ჰქონდა.

**რა მონაცემებით ვადგენთ, რომ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევართა ნაწილი ქართველია?** ისტორიულად საქართველოში (უმეტესწილად ქალაქებში) ცხოვრობდნენ სომხები, რომლებიც თავიანთი ეროვნული სარწმუნოების – გრიგორიანული (ქრისტიანობის) მიმდევრები იყვნენ; შემდეგ ცნობილია, რომ საქართველოში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) მონოფიზიტური ქრისტიანობა გავრცელდა ქართველთა შორისაც და ჩამოყალიბდა ქართველ გრიგორიანთა თავსებური ჯგუფი. საოჯახო სიებიდან პირველ რიგში გასათვალისწინებელია გრაფა „Язык домашный". ამ გრაფის მიხედვით კი არა იშვიათად სომხური ეროვნებისა და გრიგორიანული სარწმუნოების რიგი ოჯახებისათვის შინაურული სალაპარაკო ენას „ქართული" წარმოადგენს. მაგრამ ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან ბევრი სომხისთვისაც ამ პერიოდში დედაენა ქართულია. **ეს ერთი, მეორე**

[1] **როლანდ თოფჩიშვილი,** XIV ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ, ჟურნალი „მნათობი", 1987 წ., №1, გვ. 158.

– ქართულ გვარ-სახელებზე დაკვირვება ხშირად ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ქართული გვარ-სახელების მატარებელნი სომხებად არიან მიჩნეულნი (ამის მაგალითი წიგნში არა ერთი გვაქვს მოტანილი). **მესამე** – ზოგჯერ გრიგორიანული სარწმუნოების სომხური გვარ-სახელების მატარებელი მეორე (ქართული) გვარ-სახელითაც არის მოხსენიებული. **მეორე,** ანუ ძველი გვარ-სახელით პიროვნებათა მოხსენიება საოჯახო სიების ღირსებად მიგვაჩნია. ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს, რომ საოჯახო სიებში მოხსენიებული მეორე გვარ-სახელი ძველი გვარ-სახელია, რომლის შეცვლაც ფეოდალური და კაპიტალისტური პერიოდის საქართველოში გარკვეული მიზეზების გამო ხშირად არ ხდებოდა.

**გარისის** წარსული და დღევანდელი ყოფა საგულისხმო მასალას იძლევა არა მარტო მიგრაციის ისტორიის, არამედ ეთნიკური პროცესების სრული სურათის წარმოსადგენადაც.

ხალხთმცოდნეობითი და საისტორიო წყაროები, XVIII-XIX საუკუნეებში ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები, საოჯახო სიები, სტატისტიკური მონაცემები, საეკლესიო ჩანაწერები ხალხთა მიგრაციის სახეების დადგენის საშუალებას იძლევა კერძოდ, XIX ს-ის 60-იანი წლებიდან გარისისკენ მთიულებისა და ოსების გადმოსვლა-დასახლება. ქართველები **(მთიულები)** ძირითადად მდინარე ვერეს გაყოლებით, დიდგორის მიმართულებით, **ოსები** კი გარისის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ ყოფილ ქართულ ნასოფლარებზე მკვიდრდებიან. პირველნი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური წარმოშობის არიან, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს ბუნებრივი გარემო, ეკონომიკური და მისგან გამომდინარე სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ცხოვრების უკეთესი პირობები აქვთ. მეორენი, აქ მოსვლისას, მეტნაკლებად ფლობდნენ დამხვდურთა ენას, მაგრამ განსხვავდებიან წესჩვეულებებით, კულტურით, ყოფა-ცხოვრებით...

**კვლევის რეგიონში გვხვდება მიგრაციის ყველა სახეობა.** აქ საქმე გვაქვს როგორც რაიონის სოფლებს შორის გლეხობის მოძრაობასთან, ისე საქართველოს კუთხეებიდან (შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სხვა ქვეყნებიდან უცხო ტომის ხალხების გადმოსახლებასთან. საქართველოს სოფლებში ყმა-გლეხთა შიდა მოძარაობის პროცესს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა ბატონყმობის გადა-

ჟარდნის შემდეგ (1864 წ.).

XIX საუკუნეში, ქვ. ქართლის ნაოხარ და მტრისაგან იავარ-ქმნილ მიწაზე, შიდა ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან დიდძალი ხალხი გადმოდის, ბევრი სოფელი აღორძინდა, გაიზარდა. მაგალითად, 1823 წელს, **მუხათში,** ამ სოფლის **წმინდა გიორგის** საეკლესიო გლეხებად მოიხსენიებიან თავად დადიანის მიერ იმერეთიდან ოჯახებით ჩამოსახლებული **დავით გიორგიშვილი, ბესო კახას ძე სონიაშვილი** (იგივე **სვანაძე,** ფ. 254, I, 803, ფურ. 6). გორის მაზრის სოფ. წერონისიდან 1873 წ. დიდ ცნაგეთში გადმოდიან **ალექსი გიგოლის ძე ქამიერაშვილი** და მისი ვაჟი **გივი** (ფ. 254, 3, 115, 136, ფურ. 189-220). 1867 წელს კოდიდან ამავე სოფელში გადადის **იასე ნონიაშვილი** და მისი ვაჟი **ზაქარია** (იქვე); გორის მაზრის სოფ. თამარაშენიდან (დღევ. ცხინვალი) 1823 წელს აქვე გადმოდის ყმა-გლეხი, ეროვნებით ოსი, **გიორგი თედეშვილი,** რომელიც თავადმა **მიჩაგდოვმა გიორგი ბარათოვს** აჩუქა. **ენრიკო ბექურაშვილი** (იგივე **ემანტოშვილი**) ოჯახით გადმოდის თელავის მაზრის სოფ. საგარეჯოდან, იმავე წელს ქალაქ თელავიდან გადმოდიან **დათუა დალაქიშვილი** (ვაჟიშვილებით – **ბაღია, დათია, სოლომონი, მიხეილი, ალექსანდრე**); **თევდორე გზირიშვილი** (იგივე **იმრავლეშვილი**), გადმოდის გორის მაზრის სოფელ ქვახვრელიდან; **სოსია დომელაშვილი,** ძმა **ნინია,** დედა **ბარბარე** – თელავის მაზრიდან (254, I, 802, 1823 წ., ფურ. 5-18).

**გოგია ზაზიაშვილის** (იგივე **ფეიქრიშვილის**) ძმა **ნინია ტატიაშვილი** მრავალრიცხოვანი ოჯახითურთ – დისშვილი **გოგია (ქიტესა),** მეუღლე **ბარბარე,** გოგიას ძმები **დავითი, იოსები, სიხარულა, ქიტესას** ვაჟი **მიხეილი,** დედა **ანნა** – ქვემო ქართლში (სოფ. შავსაყდარში) გადმოდიან ტფილისის მაზრის სოფ. მარტყოფიდან; **დავით ინაშვილი,** გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევიდან; **ტეტია (გოგია) პატიაშვილი,** მეუღლე **ნინო,** ვაჟი **გიორგი,** ქალიშვილი **ნინო, დათია პატიაშვილი,** მეუღლე **ანა,** ვაჟი **ივანე** გადმოდიან თელავის მაზრის სოფ. **კარდანახიდან** (გურჯაანის რ-ნი). ამავე წელს საეკლესიო ჩანაწერებით, „ვარდისუბანს (შავსაყდარი) მცხოვრებლს **ტეტია კარდანახელს** დაებადა ქალიშვილი **მარიამი.** მონათლა ბორბალოს სოფლის ღვთისმშობლის მიცვალების შტატის ეკლესიის მღვდელმა **მიტროფანე ჭონქაძემ.** მიმქმელად მოიხსენიება ვინმე **ფარსადანი**" (489, 6, 1.ბ, №27,

ფურ. 100). „ვარდისუბნის მცხოვრებელს კარდანახელ **დათიას** (იგულისხმება **პატიაშვილი დათია.** – ი.ა.) დაებადა ქალი **ბარბარე,** მონათლა **მიტროფანე ჭონქაძემ,** მიმქმელი იყო ბერძენი **ნიკოლა**" (489, 6, 1.ბ, №27, ფურ. 100). **გარისის მიწაზე** უცხო ტომთა გადმოსახლება **XIX საუკუნეში** დაიწყო, მანამდე აქ არსებული 200-ზე მეტი სოფელი მხოლოდ ქართულია. ამჟამად მიგრაცია აღარ შეინიშნება. პირიქითაც ხდება. სომხებით დასახლებულ სოფლებში (დაღეთი, დურნუკი, სამღერეთი, სამშვილდე) მოსახლეობა კლებულობს, რომელთა ძირითადი ნაწილი გადავიდა ქალაქში, მცირე ნაწილი კი, საშუალო და სპეციალური სკოლების დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად მიდიან სომხეთში, უმაღლეს განათლებას ღებულობენ და ზოგიერთი იქვე რჩება. ასი წლის მანძილზე (1886-1986 წწ.) სურათი ასეთნაირად წარმოგვიდგება: **დაღეთ-ხაჩინში იყო 306 კომლი** (1693 მოსახლე); **1986 წლისათვის** შესაბამისად **დაღეთ-ხაჩინში** არის **128 კომლი** (316 სულით), მოაკლდა **128 ოჯახი** (1377 სული), **სამღერეთში** კომლთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, მაგრამ სულადობა არ მომატებია, **დურნუკში დარჩა 55 კომლი,** მოსახლეობა შემცირდა 305 კაცით და ა.შ.[1]

**გარისის მიწაზე** უცხო ტომთაგან ყველაზე ადრე **გერმანელები** სახლდებიან. გერმანული კოლონიის სოფელ ასურეთის მიწაზე გაჩენა ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებას ისახავდა მიზნად.

საქართველოს კოლონიზაციის აუცილებლობის წმინდა ეკონომიკური მხარე ის იყო, რომ რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასია თავის ნედლეულის წყაროდ ექცია. ამისათვის კი საჭირო იყო აქ ჰყოლოდა საიმედო დასაყრდენი ძალა. რუს კოლონისტთა ჩამოსახლების რამდენიმე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. აქცენტი უცხოელ კოლონიზატორებზე გადაიტანეს. იმპერატორი **ალექსანდრე I** 1801 წელს საქართველოში რუსი ჯარების სარდალ გენერალ-ლეიტენატ. თ. კნორინგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ რესკრიპტში წერდა: „გან-

[1] Свод статических данных о населении Закавказкого края извлеченных списков 1886 г. Тифл., 1893 г.

თეთრი წყაროს რაიონის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული სტატისტიკური განყოფილების ცნობა.

საკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში საზღვარგარეთიდან უპირატესად ქრისტიანი კოლონიზატორების მოზიდვას".[1]

თავის მხრივ, როგორც რუსები, ისე გერმანიაში შერჩეული „აგიტატორები" საქართველოში წამოსასვლელად აგულიანებდნენ შოტლანდიის კოლონიის გერმანულ ოჯახს. მათ საქართველოს ედემის ბაღნარად უხატავდნენ, ჩასჩიჩინებდნენ, უარი არ ეთქვათ ბუნებრივად მდიდარ მხარეზე, სადაც შრომითა და გარჯით შეეძლოთ ფუფუნებაში ეცხოვრათ და საკუთარი ბედით ტკბობას მისცემოდნენ.

ცარიზმის კოლონიური რეჟიმის განხორციელება საქართველოს მიწაზე რუსული სამხედრო ნაწილების ჩაყენებით დაიწყო. მეფის მთავრობა ცდილობდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებასა და ამ გზით საქართველოში საიმედო დასაყრდენის შექმნას.

XIX საუკუნის ოციანი წლების დამლევს, თურქებისა და სხვათა თარეშისა და დაპყრობითი გეგმების აღსაკვეთად, მეფის მთავრობას საქართველოში დიდი რაოდენობით ჰყავდა ჯარი და საჭირო იყო მათი სხვადასხვა კუთხეში დაბანაკება-მოწყობა.

1820 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა, ჯარი ისეთ ადგილებში ჩაეყენებინა, სადაც ზაფხული გრილი და ზამთარი ნაკლებად ცივი იქნებოდა, სადაც სამხედრო სწავლებასთან ერთად დაისვენებდა და ჯანმრთელობასაც აღიდგენდა, თანაც მუდმივად სამყოფი ადგილიდან საზღვარი ახლოს იქნებოდა.

ცარიზმის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ძველად ქართველები პლაცდარმად იყენებდნენ **კოჯორს, მანგლისსა** და დღევანდელ **თეთრ წყაროსაც.**

1860-იან წლებში აქ მკვიდრდებიან ქართველები **(მთიულები), ბერძნები** და **სომხები.** მთიულები ვერის, ანუ „სკვირეთის" ხეობის გაყოლებაზე სახლდებიან. ვერის ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს შემდეგ სოფლებს: **აკურისი, ბეთანია, ნახშირის გორი, წყრულეთი, ლვევი, წვერი, ვანათი, დრე, შავთა.**[1] ბოლო დრომდე ვერის ხეობაში შედიოდა: **ბაგები, წყნეთი, ნახშირგორი, მსხალდიდი, ახალდაბა, ბეთანია, კვერეთი, ორბეთი (პრიუტი)** – იგივე **ძვ. მამისდაბა, პანტიანი, ახალი**

[1] Акты, т. VI, ч. I, 302, стр. 240, 248.

**ზირბითი, ლვევი, ზემო წყლულეთი, ქვემო წყლულეთი, ვანათი, დრე, შუა წყლულეთი, წვერი, ლასტის ციხე, მეორე შამთა, მესამე შამთა, აკურისი.**[2] ამ სოფლებიდან ზოგიერთი ისტორიის კუთვნილებად იქცა.

**ვერის ხეობის სათავიდან წყნეთამდე თავდაპირველი მოსახლეობა აღარ ჩანს.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ერთი ნაწილი ამოწყდა, დანარჩენნი კი საიმედო ადგილებში გადასახლდნენ. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში: **შავმთაში, ლვევში, ვანთაში, დრეში, წვერში, წყლულეთში, ზირბითში, ორბეთში...** ძირითადად მოსახლეობას შეადგენენ მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებული მთიულები და თითო-ოროლა ქართლის სოფლებიდან ამოსული ოჯახები, **ორბეთში** კი ცხოვრობენ როგორც მთიულეთიდან და ქართლის სოფლებიდან გადმოხვეწილი ხალხი, ასევე მეცხრამეტე საუკუნეში დასახლებული რუსებიც.

დღეს აქ მცხოვრები **წიკლაურები** და **ბექაურები** თავს გუდამაყრის სოფელ მაქართიდან მოსულებად თვლიან და **პირიმზე ფუძის ანგელოზის ყმებად აცხადებენ თავს.** როგორც **გუდამაყრელნი,** ისე აქ გადმოსულები იტყვიან, **წიკლაურები** და **ბექაურები** ერთი „გვარის ხალხი" ვართო, და ძმების **ბექასა** და **წიქასაგან** წარმოსდგაო. ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს:

„– აქ გუდამაყარში, არის ოთხ გორის კაცი: ერთი – **ბექაური,** მეორე - **წიკლაური,** მესამე – **აფციაური,** მეოთხე – **ჩოხელი.** როგორ შაიძლებოდა, ბექაური წიკლაურის ქალს ითხოვდა და წიკლაური ბექაურისას. მამრელა უთხოვია, ბიძაისავ!

– სუ ადრევა, აი აქოს რო წავიდნენ, ეხლა ხევსურები ვართ, იქით ვართ გადმოსულნი. მას აქათ იქნება ათი მამა. ბექაი და წიკლაი ძმანი ყოფილან. ვერ ჩახვდომიან ერთმანეთსა. მერმე ძაღლი გაუკვეთია, შუა გაუვლია: ერთურთშ ქალი გვერგოსო".[3]

ამავე ხეობაში მცხოვრები **აფციაურებიც** გუდამაყრიდან გადმოსულებად და სოფელ ცხვედიათის მკვიდრად თვლიან თავს. **ჩოხელნი „ჩოხიდან",** ხოლო **ბურდულები** მლეთიდან წამოსულებად ითვ-

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ; გვ. 197.

[2] იქვე. გვ. 197.

[3] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961 წ., გვ. 80.

ლებიან.[1]

ამ კუთხეში მთიელთა გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი მიწის ნაკლებობა და ცარიზმის აუტანელი პოლიტიკა იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ფართო მასშტაბით დაიწყო სამხედრო გზის გეგმიანი შეკეთება და გაფართოება, რაც მძიმე ტვირთად დააწვა დარიალისა და არაგვის ხეობის მთიელებს. მთიელთა ხვეწნა-მუდარამ, აჯანყებამ, საჩივრებმა შედეგი არ გამოიღო.

ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, მიწის უკმარისობამ, არაადამიანურმა მოპყრობამ აიძულა მთიული და მოხევე მიეტოვებინათ დედულეთი და სხვაგან გადახვეწილიყვნენ. მოხევეთა ნაწილი ვლადიკავკაზში გადავიდა. იქ მამები თუ ქვის მთლელობასა და ასასობას მისდევდნენ, შინ დარჩენილი პატარა ბალღები უსაქმურად დაწანწალებდნენ, ზაფხულობით მთელი დღე თერგის პირას ეყარნენ. ასეთი საქციელი სახელს უტეხდა მოხევეს.[2] სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ უმოწყალო მოხევე კავკავში კი აღარ მიდიოდა, არამედ გეზს მანგლისისა თუ ქსნის ხეობისკენ იღებდა; აქ მამულს შოულობდა, პატიოსანი შრომითა და ჯაფით გაჰქონდა თავი.

ცარიზმის პოლიტიკის მთლიანი ჯაჭვის ერთ რგოლს ოსმალთა იმპერიიდან კავკასიაში ბერძენთა და სომეხთა ორგანიზებულად გადმოყვანა და თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში ჩასახლება წარმოადგენდა. აქ ისინი რუსთა უერთგულესი წინამავალი რაზმი უნდა ყოფილიყო. კავკასიაში (მათ შორის საქართველოში) ბერძენთა გადმოსახლების საქმეს ხელმძღვანელობდა **1810 წელს** სპეციალურად შექმნილი **„კავკასიაში თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტი“**, რომელიც მცირე აზიაში სასურველი საქმიანობის შედეგების მისაღებად ძირითადად სასულიერო პირებს იყენებდა. **ბერძენთა დიდი ჯგუფი (120 ოჯახი) 1813 წელს** ჩამოიყვანეს და დროებით ქართულ ნაქალაქარ **წინწყაროს მიწაზე** გააჩერეს. აქ მხოლოდ რამდენიმე მგზავრობით მოქანცული და დაუძლურებული ოჯახი დარჩა, სხვები კი გადაიყვანეს და დღევანდელ წალკის ტერიტორიაზე, ქართველთა ნასოფლარებზე დაასახლეს. გაჩნდა სოფლები:

---

[1] ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964 წ., გვ. 131.

[2] სასოფლო გაზეთი, 1889 წ., №13.

**ახალიკი, ბაშკოი, გერეკი, ლაქა (რეხა), ნარდევანი, სანამერი, თაკკილისი, ხადიკი, შიჰეკი.** ამჟამად სოფ. წინწყაროში მცხოვრები ბერძნების ძირითადი ნაწილი **1855 წელსაა ჩამოსული.**[1] კავკასიის მთავარმართებელ **მ. ვორონცოვის** მითითებით, 1854 წელს ჩატარებული აღწერით, **წინწყარო მართლმადიდებელი ქართველებითაა დასახლებული.**[2] თურქეთიდან ბერძნული წარმოშობის ხიზნების მოსვლა საქართველოში არა თუ XIX ს-ში, არამედ XX საუკუნის 30-იან წლებამდე არ წყდება. მიგრაცია განსაკუთრებით 1853-1856 წწ.-ის ყირიმისა და 1877-78 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში გაძლიერდა. **თეთრ წყაროში, ირაგაში ბერძნები 1865 წელს,**[3] **ჯიგრაშენში კი 1872 წელს დასახლდნენ.** ამავე პერიოდს მიეკუთვნება რეგიონში **სომხებითა** და **ოსებით** დასახლებული სოფლების **დურნუკის, დაღეთის, სამშვილდის, სამღერეთის, დმანისის, ზემო ახალშენის, ქვემო ახალშენის, ქვემო ახკალაფის, წყნარი აბანოს, ფიტარეთის, მენქალისის, ნავთიანის, ზემო ჭინჭრიანისა** და სხვათა გაჩენა.

ქვემო ქართლში დასახლებული სოფლების მიწები ეკუთვნოდათ მემამულეებს: ბარათაშვილებს, ყაფლანიშვილებს, ორბელიანებს, აბაშიშვილებს, აბულფათიშვილებს, აფხაზიშვილებს, თაყაშვილებს, თუმანიშვილებს, იოთამაშვილებს, ვარაზიშვილებს, გილაქიშვილებს, ელიოზიშვილებს, ზაზუნაშვილებს, თარხნიშვილებს, თულაშვილებს, მაღალაშვილებს, მერაბიშვილებს, საგინაშვილებს, საჩინოსშვილებს, სოლოღაშვილებს, ზურაბიშვილებს, ასლანიშვილებს, უსუფბეგაშვილებს, ყორღანაშვილებს, შალიკაშვილებს, ციციშვილებს, შარაშიძეებს, ჯავახიშვილებს, ყაითმაზაშვილ (ალთუნაშვილებს), რასაც ადასტურებს „გადმოსახლებულთა კომიტეტის" მიერ შედგენილი და რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილი უწყება, ასევე „მასალანი საქართველოს ისტორიის სტატისტიკური აღწერილობა მეთვრამეტე საუკუნეში"[1] და ზემოთ მოხსენიებული კამერალური აღწერის მასალებში.

---

[1] Кавказский календарь, Тифл., 1855, გვ. 313.

[2] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფ. 251, I, 1855 წ. აღწერა, ფურ. 246-259.

[3] იქვე, ფ. 254, 3,3, 1637 წ. აღწ., ფურც. 51-166.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის თაოსნობით საქართველოში რამდენჯერმე ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომელთა მიზანს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გარკვევა შეადგენდა.

**საქართველოში უცხო ტომთა შემოხიზვნა და დასახლება ადრეულ ხანაში იწყება.** განსაკუთრებით აქტიური ხასიათი **დავით აღმაშენებლის მეფობის წლებში მიიღო.** მეფემ ქვეყნის ცენტრალიზაცია მოახდინა. ამ მნიშვნელოვანი საქმის განმტკიცებისათვის საჭირო იყო მუდმივი სამხედრო სამსახური, რისთვისაც „ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაღი გადმოსახლდა, ნაწილი ჩაასახლა აღმოსავლეთ საქართველოში, თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად გაპარტახებულ შიდა ქართლში, ჩრდილო სომხითში, ჰერეთში, საქართველოს საზღვაო-სანაპირო ზოლში, მათ მოვალეობას სახელმწიფო საზღვრის გამაგრება შეადგენდა“.

„... დავით აღმაშენებლის ქართულ სამხედრო ლაშქარში გაერთიანებული იყვნენ ყივჩაღები, ოსები, ლეკები და ქურთი, დაქირავებული მოლაშქრენი“.[2] საქართველოს ქალაქებში მრავალი იყო არაქართული, კერძოდ მუსულმანური, ებრაული და სომხურ-გრიგორიანული მოსახლეობა.

**ქართველების გვერდით სომხები ცხოვრობდნენ შიდა ქართლში (მცხეთა, დუშეთი, მუხრანი, ქანდა, ახალგორა, უფლისციხე, ქვახვრელი, გორი, კარალეთი, ტყვიავი, ძევერა, ატენი, სურამი, კავთისხევი, ყარაღაჯი, ახალქალაქი, ატოცი, ცხინვალი, ვაყა, ალი, ნაბახტევი** და სხვა.). წყაროები მოწმობენ, რომ **სომხები დუშეთში 1760 წელს, 1761 წელს ახალგორში, 1770 წელს სიღნაღსა და ბოლნისში, 1793 წ. თელავში ჩასახლებულან[3]. ქვ. ქართლის მიწაზე სომხური ელემენტი უკვე ჩნდება XVIII საუკუნის II ნახევარში, კოდაში,** ხოლო XIX საუკუნის ბოლოს სოფლებში: **არდისუბანში,**

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფ. 55-38, ფურ. 15-16; ბატონიშვილი ვახუშტი, მსალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ექვ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1907 წ. ივს. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეთოხედში, ნაწ. I და II, თბ., 1935 წ.; ივს. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIIIსაუკუნის I მეოთხედში, ნაწ. III და IV, თბ., 1938 წ.; ივს. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. 158.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 227.

[3] იქვე, გვ. 228.

**ვაშლოვანში,** 1854 წლის აღწერით **თეთრ წყაროში** სომხებითა და ქართველებით დასახლებულ სოფლებს შორის მოიხსენიება მხოლოდ ვაშლოვანი და ვანეთი“.[1]

აღნიშნული შეღავათების გარდა, ჩამოსახლებულ სომხებზე მიწების გაცემა, სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული მრავალი შეღავათი ვრცელდებოდა. მაჰმადიანური სამყარო სომხურ ეკლესიას არ ავიწროვებდა, რაც ქართველთათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა, რასაც ღარიბი გლეხობა თუ ღარიბი ქართველი მოქალაქენი ადვილად ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე **ბევრი ქართველი ლებულობს გრიგორიანობას და სომხად ეწერება. „გასომხება“ სოფლებს – კოდას, მუხათს, ერტისს, ვაშლოვანს, ბოგვს, ენაგეთს, არდისუბანს, დიდ ენაგეთს, დიდ და პატარა თონეთსაც შეეხო.**

**XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი ქართველი მებატონის მამული სომეხ დიდვაჭრებს უვარდებათ ხელში. ხშირად ჩასახლებული გლეხები ახალი მებატონის სარწმუნოებასაც ლებულობდნენ. დიდ თონეთში** ცხოვრობდნენ **ასლამაზაშვილები.** მანამდე ქართველებს ჰქონდათ გვარი **ლამაზაშვილი.** გვარის პატრონები ყოფით, წეს-ჩვეულებით და კულტურის ყველა ნიშნით **ქართველები** არიან, სომხურ ყოფასთან საერთო არაფერი აქვთ. მათი მშობლიური ენა ქართულია. ისტორიულ დოკუმენტებში გვარი **ასლამაზაშვილი** გვხვდება 1615 წ., (შდ 354, 1689 წ. Hd 767, 1782 წ. შდ 2987) და შემდეგ წლებში[2]. ამ ეთნოსისადმი მიკუთვნებულ გვარ-სახელს აქვს მეორე, მესამე და მეოთხე ვარიანტიც. ასეთი გვარები ამ მხრის მცხოვრებთათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აღწერაში ფრჩხილებში მითითებული მეორე გვარ-სახელები он-же ადრინდელ გვარებს წარმოადგენენ. მეორე გვარით პიროვნების მოხსენიება დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის თითქმის ყველა კამერალური აღწერისათვის, რა თქმა უნდა, თუ ასეთი მეორე (ანუ ძველი) გვარსახელი ჰქონდათ. დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ **დიდ თონეთში** მცხოვრებ ასლამაზაშვილებს ჰქონდათ შტო-გვარები – **ზურაბიშვილი** (1738 წ. 245, 20/33); **ფეიქრიშვილი** (254,3, 1608); **რამაზიშვილი** (254,3 – ფურ. 82-146). კოდაში ზოგიერთი სხვა

---

[1] გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ. 16.

[2] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. შდ 354 და ა.შ.

გვართან ერთად **დოლმაზიშვილები** (რუსული გაფორმებით **დოლმაზოვი**) სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შემდეგ სომხებად არიან აღიარებული. **დოლმაზაშვილთა** ადრინდელი გვარი **შანშიაშვილია.** მისი ხუთი ვაჟიდან შუათანამ, სახელად **დოლმაზამ,** ამ კუთხის ყველა დავის მოწმემ და მოსამართლემ, აწარმოვა გვარი **დოლმაზაშვილი. დოლმაზაშვილ-შანშიაშვილთა** შტო-გვარებია: **პაპიაშვილი, გოგიბაშვილი, მარტუილოზაშვილი (მოგვიანებით მარტიროსოვი), გლახაშვილი** (იგივე დოლმაზაშვილი); შვილები **მათე, იაგორა,** მიწათმოქმედი, ქართველი, მართლმადიდებელი (254, I, 2043, 1843 წ. ფურ. 275); **ბუდახაშვილი** (მოგვიანებით **ბუდაღოვი**) უძველესი და ცნობილი გვარია. **ბუდახაშვილების** ყმა-გლეხებს ყიდულობდნენ **თუმანიშვილები** (1659 წ. აპრილის 6). ბექან და პაპუა ბუდახაშვილების სოფელ **ეშვისწყაროს** ყიდულობენ **ბარათაშვილები** და **თაყაშვილები.** ვაშლოვანში ეშიკაღაბაშის ყმებად 1781 წ. მოიხსენიებიან **ბექია** და **როსტომ ბუდახაშვილები.** სოფელ **წალასყურს** მცხოვრები **ბუდახაშვილები** 1823 წლის კამერალური აღწერით, **დავით გარეჯის მონასტრის** გლეხები არიან (254, I, 801, ფურ. 12-23). „ტფილისის მაზრის სოფ. წალასყურში მცხოვრები **აბრამა გიორგის ძე ბუდახაშვილი,** მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა, ქართველი, ქორწინდება ფარცხისში მცხოვრებ **პავლე ადოლაშვილის ასულ მაგდალინაზე** და ჯვარს იწერს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. ჯვარი დასწერა და გვირგვინი დაულოცა მღვდელმა **ზაქარია ბარნოვმა** პრიჩეტნიკია **ილია თეთრაძე**".[1] ორი და მეტი გვარი გააჩნდათ: **აზრუმელაშვილს** (იგივე **ნურიკაშვილი**), **ალთუნაშვილს (ოქროაშვილი, მინასაშვილი, ყაითმაზაშვილი), ამურველაშვილს (ოქროასშვილი, ერწველაშვილი, ერწოელი), ასლანიშვილის (ადამაშვილი), ასლუაშვილს (ზურაბიშვილი). ვარდანაშვილს (ბაჯიაშვილი), ბერაშვილს (ფეიქრიშვილი), პაპაშვილს (გობრიშვილი), გრიგორაშვილს (მესტვირიშვილი), გულასპაშვილს (გურასპაშვილი), დემურაშვილს (თოროსაშვილი), დესპოზიშვილს (საგინაშვილი), ერასტიშვილის (რევაზიშვილი), თვაურს (დოლენჯაშვილი, ჯაჯანაშვილი), თუმანიშვილს (ბექანიშვილი, თაყაიშვილი), ინათობელს (მახარობლიძე), პაპალაშვილს (ლაპიაშვილი),** კა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლბი, ტ. I, თბ., 1967 წ. გვ. 166-167.

ციაშვილ (ადამაშვილი), ლარაძეს (პაატაშვილი), მაჭკალაშვილს (ბეგნაზარაშვილი), ნაზარიშვილს (ყვავილაშვილი, პოჩიკაშვილი), რევაზიშვილს (ქაიხოსროშვილი, ბეჟანისშვილი, ერასტიშვილი, გივისშვილი), სააკაძეს (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი, მოურავიშვილი, ალიყულაშვილი), საგინაშვილს (ფარემუზაშვილი, ინდოშვილი, ზურაბიშვილი), სამხარაულს (მეხინაშვილი), სეხნიაშვილს (ჭინჭველაშვილი), სელიპანაშვილს (ფარემუზაშვილი), სომხიშვილს (ელიაზარაშვილი), სტეფანაშვილს (კუპაძე), სულხანიშვილს (ქრისტესიაშვილი), ტატიაშვილს (ტატუაშვილი), ქაიხოსროშვილს (თავადიშვილი), ქიტილაშვილს (დემეტრაშვილი), ყორღანაშვილს (როინიშვილი, როსტომაშვილი, არდაზდიანიშვილი, მერაბისშვილი, ავდროზანაშვილი), შერმაზანაშვილს (მარქარაშვილი, მოლოდინაშვილი, მენაბდიშვილი – გორში). შიოშვილს (ხუხაძე, ნოდარისშვილი, რამისშვილი, პაპუაშვილი, ზაალიშვილი), ხატიაშვილს (აზატაშვილი), ხოსიტაშვილს (ჯიმშიტაშვილი, ნავროზაშვილი, ციხელაშვილი), ხუდავერდაშვილს (პერლიხაშვილი, ფერშანაშვილი, ფერიხანაშვილი) და სხვა.

ჩვენი დაკვირვებითაც ეთნოგრაფიული მასალა (გადმოცემა) გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ და დოკუმენტური მონაცემები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. თაობიდნ თაობას გადაეცემა მრავალი საინტერესო, როგორც გვარ-ტომეულობის, ისე წინაპართა ხელობა-საქმიანობაზე. სოფელ **მუხათში ბაჯიაშვილთა** უფროსმა თაობამ იცოდა, რომ **ვარდანაშვილები** იყვნენ და თავიანთი რძლის, სახელოვანი გმირი ქალის, **ანა-ბაჯის** შემდეგ **ბაჯიაშვილები** გახდნენ. დიდ თონეთში მცხოვრებ **ასლამაზაშვილებს** დღესაც **ფეიქრიანთ** ეძახიან, სოფელ **ჯორჯიაშვილში** მცხოვრებ **დავიდოვებს გურგენაანთს** ეძახიან. დაბადების წიგნის ჩანაწერებით, დადგინდა, რომ მათი წინაპარი სარწმუნოებით მართლმადიდებელი და ქართველი ყოფილა.

XIX საუკუნე გარისელთა ცხოვრებაში ახალი ეტაპია. სოფლებს მომრავლების საშუალება მიეცათ. გარისში ამ დროს მიმდინარეობს მეზობელი რეგიონებიდან უმიწაწყლო გლეხების გადმოსვლა და დამკვიდრება. ბატონყმობა ხელფეხს უხსნის ქვემო ქართლის მოსახლეობის შინაგან მიგრაციებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ ზოგიერთი მაგალითის აღნიშვნაც კმარა.

**კოდა** 1721 წელს ვახუშტი ბატონიშვილის აღწერაში არ

მოხვედრილა იმის გამო, რომ აქ მცხოვრებნი აღარ ყოფილან. სოფლის ხელახალი აღორძინება XVIII ს-ის მეორე ნახევარში იწყება. 1781 წლის აღწერაში პირდაპირაა მითითებული, თუ რომელი გვარის კაცი რომელი სოფლიდანაა მოსული.

ამჟამად სოფელ კოდაში მცხოვრებლებზე საკმაო მასალას იძლევა 1781 წლის აღწერის სიები. აღორძინებულ სოფელში საცხოვრებლად მოსულან შემდეგ სოფლებიდან: **ხოპისი, ბოგვი, ნახიდური** (დღევ. **არაფლო,** მარნეულის რ-ნი), **ეგრისი** (დიდი და პატარა ეგრისი ყარაბულაღში), აქედან გვარი **ყარაბუდახიშვილი,** მებატონეები ქციაში, **ბევრეთი** (სოფ. მეოთხე სადროშოში), **ტნუსი** (სოფ. დბანისში), **ძველი ქვეში, საკარა** (საკარისები, საკარი, ორი სოფელი იყო დმანისში), **წიფორი** სოფ. (დბანისში), **ანდრია** (სოფ. ქციაში), **ქვეში, ღოუბანი, საღორისი** (სოფელ ალგეთში), **ანდრია** (სოფ. დბანისში), **ერიტისი.**

ამ აღწერის მონაცემებით, **ქართველ დიაკონ დავითიასთან** ერთად მოიხსენიება **ტერ-ფილიპე** და **ტერ-გრიქოლა.** 1823 წელს კოდაში ქართველი მღვდლის **იაკობ აბრამიშვილის** გვერდით მოიხსენიება **ტერ-არაქელა სარქისიანი.** კამერალური აღწერის ჩანაწერების სიზუსტეს ადასტურებს მღვდელი **ტერ-დავიდოვი.** ქართულ საყდართან ერთად, სოფელში სომხურმა ეკლესიამ XX საუკუნის 30-ინ წლებამდე იარსება. მისმა თითქმის საუკუნენახევრიანმა „მოღვაწეობამ" უკვალოდ არ ჩაიარა. უცხო ძირზე (არაბ. თურქ. სპარს..) დაშენებული ბევრი გვარი სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მქონედ და სომხად მოინათლა. მათ შორის, თვით **ჯავახიშვილი, გულასპაშვილი, დათასშვილი, ფავილაშვილი, კაციაშვილი, ყულიაშვილი, მეკოკიშვილი, დიმიტრაშვილი, კედელაშვილი, ბეჟანიშვილი, პაპაშვილი... პატაშვილი, ძამუნაშვილი, ჩიტუაშვილი, კაკალაშვილი...**

აღნიშნულ გვარებთან ერთად სოფელში მოიხსენიებიან: **ბასილაშვილი, გოგინასშვილი, ახვსიაშვილი, დესპოტაშვილი, ბარნაველი (ბარნოვი), ბაგრატიშვილი, მჭედლისშვილი, ირემაშვილი, დავითაშვილი. სეხნიაშვილი, ავგაროზაშვილი, ზაქარასშვილი ნეგულაშვილი, ლუარსაბასშვილი, ბოჩოლასშვილი, რევაზასშვილი, ძმანასშვილი, სულხანაშვილი, ფულბერაშვილი** და სხვა. **კოდა ქართველი თავადებისა და აზნაურების სამფლობელო სოფელია,** დაარსებულია ქართული სოფლების ხარჯზე, სომხური ელემენტის ჩასახლებაზე მასალებში მინიშნებანი არ არსებობს (გარდა XII ს., როცა აქ დავით

ღმაშენებელმა ორი კომლი სომეხი ჩაასახლა). კამერალური აღწერის მონაცემთა მიხედვით კი 1873 წელს სომეხთა შორის აღრიცხულია 21 კომლი, ხოლო 1886 წ. – უკვე 84.

**ისტორიკოსი გურამ მაისურაძე** ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევის მრავალ მიზეზს ასახელებს. იმოწმებს **მიხეილ თამარაშვილს** და ამბობს, რომ სომეხთა მიერ სოფლის, ე.ი. ყმამამულის შეძენის შემდეგ ის მოსახლე ქართველთ ნაწილი სომხურ სარწმუნოებაზე გადადიოდაო. თბილისელი ვაჭრები ხშირად არღვევდნენ დადგენილ წესს და მართლმადიდებლებს ყიდულობდნენ არა მხოლოდ სახლის საჭიროებისათვის, არამედ სახელოსნოებში სამუშაოდაც. მრავალი მიზეზის გამო, საჭიროების შემთხვევაში, ბევრი მართლმადიდებელი ადვილად ტოვებდა თავის სარწმუნოებას და სომხურს ეკედლებოდა. გავიხსენოთ, თვით ირან-ოსმალეთისათვისაც შედარებით მოსათმენი ჩანდა რუსული მართლმადიდებლობისაგან განსხვავებული სომხური მონოფიზიტობა და დასავლური კატოლიციზმი. ირანის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე შაჰი მფარველობდა აღმოსავლური ტრადიციების მქონე სომხურ ეკლესიას, რის გამოც ირანში მყოფ ქართველებს მხოლოდ გასომხებით შეეძლოთ ქრისტიანობის შენარჩუნება. გასაგებია, რომ ირანთან დაკავშირებულ ქართველ ვაჭრებს სომხური სარწმუნოების მიღება მრავალმხრივ აძლევდათ ხელს, პირველ რიგში კი ეკონომიკური ინტერესების გამო.[1]

**ღამბარაშვილი** 1908 წ. გადაკეთდა **ქანდურამიანცად, აკუაშვილი – გევორგიან ოკონცად, შ. კ. ფაშიშვილი – რუბენ ფაშიკიანცად** (1916, 13/IX), **ივანე ყურაშვილი – ოჰანეზ ნასყიდიანცად** (1912, 5/X, 254, აღწ. 3, წიგ. 2); **დონდუაშვილი – დონდაროვად, გიორგაძე – გრიგორიანცად, ხიმშიაშვილები** (ძველად თავადები, ცხოვრობდნენ ქვედა აჭარაში) გათათრების გამო ზოგიერთი მათი გვარისა ქართლსა და კახეთში გადმოსახლებულა. ერთ-ერთ მათგანს **სიმონი** რქმევია. აქედან გაჩენილა გვარი **სიმონიშვილები.** თელავში მცხოვრები **სიმონიშვილები** XVIII ს. დაკავშირებიან გრიგორიანობას და **სიმონოვად** წოდებულან. ერთი **მეტივიშვილი** (ბორჯომის მხრიდან – ჰობისხ-

---

[1] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII ს. თბ., 1982, გვ. 302-303.

ველები) დაკავშირებიან გრიგორიანობას და **მეტიველანცად** მონათლულან, დღევანდელი სომეხი **ხუბლაროვები** მეგრელი **ხუბლარიების** შთამომავალნი არიან. **ჭიპაშვილის** გვარი გადმოსახლებულა XVIII ს. იმერეთიდან, მათგან ნაწილი სომხურ რჯულზე გადაივდა და **ჭიპიანცად** იწოდა. **აბულაძეები** (ჯავახეთში არის მთა **აბული**) ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამათგან რამდენიმე წევრი დაკავშირებულა გრიგორიანობას და გვარი გადაუკეთებიათ **აბოლოვ-აბულიანცად** და სომხობენ. **გველესიანი** ქართული გვარია (ქართველი მოღვაწე და გაზეთ „აღორძინების" რედაქტორს **გრიგოლ გველესიანს** „ნორდარში" **გველიანცი** უწოდეს). **გულაშვილი** (**ივანე გულაშვილი**) შემდეგ გადაკეთდა **ივანგულად, ივანგულოვად,** დღევანდელი **ივანგულოვები, მამულაშვილი – მამულოვად, ლაშქარაშვილი – ლაშქაროვად, წამალაშვილი – წამალიანცად** აქციეს და ა.შ.[1].

ქართველთა გასომხების შემთხვევები განსაკუთრებით მომრავლდა და შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც 1831 წელს 19 იანვარს საქართველოში სომხური სასულიერო საქმეთა მართვისათვის არქიეპისკოპოსად **ოჰანეზა** დაინიშნა (254, I, 1217, 1802-1840 წწ. ფურ. 50); **ქ. გ. ბასილაშვილი** გადაკეთდა **ქ. გ. ბასილიანცად** (254, 3, 8921, საქმე 485, 1911-1912 წწ.), **გ. მდივნიშვილი** ჯერ გახადეს **დივანოვად,** შემდეგ **მდივანიანცად** (254, 8923, №502); **ყაითმაზაშვილი** (თავადი) – **ყაითმაზოვად** (254, 8947, №153, 1911 წ.); **ჩილინგარაშვილი – ჩილინგაროვად, ჩილინგარიანცად, მინასაშვილი – მინასოვად, მინასიანცად** (254, 9058, №349, 1912 წ.). იმავე საქმეებში ვკითხულობთ:

"Об исправлении отчества и фамилии Манташева Г. И. он же Леван Иванович Замашвили (Манташев на Манташянц" (254, 9090, №13, 1911, 30/1); "...Об установлении происхождения племяника Лалиашвили З. О. на Георгия Лалянц" (254, 9117, №79, 1911); об исправлении по камерального описанию возраста сына Пашашвили Ш К. Пашикянц Рубена); "Об исправлении имен и фамилии Ивана (он же Ованез) Курашвили (он же Насхидянц) и о выдаче ему паспорт" (254, 9252, №415, 1912-19013, 12/X); Об исправления (254, 9265, № 492, 1912-1913); "...Зубиашвили на Зубянц" (259, 9309, 289, 1912); "...Георгий Габриелович Кочиа-

[1] შავშელი, ქართველი გრიგორიანები, თბ., 1907 წ.

швили он же Шахназаров" (254, 9333, №349, 1912); "...Вано Гарибашвили (Гарибов)" (254, 9385, №387, 1912, 13/X ); "...Зурабишвили (Зурабов, Зурабянц).

დასკვნისათვის კვლავ დავესესხოთ ნ. ვოლკოვას. ბერძნებთან დაკავშირებით იგი წერს „საქართველოში თურქეთიდან 100-150 წლის წინათ გადმოსახლებულმა ბერძნებმა (მათი სოფლები არსებობს წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში, აჭარასა და აფხაზეთში), ქართველ მოსახლეობასთან მნიშვნელოვანი კონტაქტების გამო, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ეთნიკური ნიშნები, კავკასიაში გადმოსახლებამდე მათში გავრცელებული ტრადიციული კულტურის ელემენტები".[1] თუ არა მხოლოდ ხელოვნურად თავსმოხვეული სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება, მრავალჭირგამოვლილი კაცი, საკუთარ სამშობლოსთან მეზობლად მცხოვრები, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ასე მოკლე ხნის მანძილზე სავსებით დაივიწყებდა მშობლიურ ენას და სხვა ენას შეითვისებდა.

ქართულ მიწაზე ზოგიერთ სოფელში მცხოვრებთა ერთი ნაწილი უწინ თავის სომხობას მხოლოდ იმაში გამოხატავდა, რომ მათი ოჯახის რომელიმე წევრი ეგუებოდა იმას, რომ სომეხ ტერტერას ტრადიციული სომხური სახელი (**იაკობის** ნაცვლად **აკოფა, იოანეს** ნაცვლად **ოჰანეზა, გიორგის** ნაცვლად **გეურქა (გეო), გრიგოლის** ნაცვლად **გრიქურა, არუფინას, არუთენას** ნაცვლად **არუთინა,** (თუმცა არუთინა თურქულია და სხვა.) დაერქმია.

ვინც კამერალური აღწერის დავთრებს თავიდან ბოლომდე თვალს გადაავლებს, შემდეგ საეკლესიო ჩანაწერებს შეადარებს, დაინახავს, რომ მსგავსი სურათი შეინიშნება იმ სოფლებში, რომელთაც გარკვეული მოსაზრებით, სომეხი მღვდელ-ტერტერა მწყემსავდა. გრიგორიანული საყდარი ქართული ეკლესიისაგან ერთგვარად განზე იდგა, რასაც სომხური მოსახლეობა და სომხური მღვდელმსახურება, როგორც ერთგვარ ფარს, მოხერხებულად იყენებდა და ქართულ სოფელში, სადაც კი ერთი სომეხი იყო, თავისი საყდრის ფილიალს აარსებდა.

ქვემო ქართლის სოფლებში **კოდაში, დიდ თონეთში, პატარა თონეთში,** მოგვიანებით ალ. ნეველის, წმიდა გიორგის, ღვთისმშობლის ეკლესიასთან ერთად სომხური საყდრებიც არსებობდა. რა თქმა

[1] Н. Г. Волкова, დასხ. ნაშრ., გვ. 20.

უნდა, სომხური საყდარი ეცდებოდა და ყოველმხრივ მოწადინებული იქნებოდა, რათა საკუთარი მრევლი ჰყოლოდა, რაშიც რუსეთის იმპერიაც ზურგს უმაგრებდა.

ქვემო ქართლის მცხოვრებლები XIX საუკუნეს წერა-კითხვის უცოდინარობით შეხვდნენ. თითზე ჩამოითვლებიან ისეთები, ვინც ხელმოწერა იცოდა. **ვასილ ბარნოვის,** ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პაპა და მამა ამ კუთხის მღვდლები იყვნენ. **ზაქარია ბარნოვი** და **მედავითნე ილია თეთრაძე** დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიის სამწყსოს განაგებდნენ. იგი წარმოდგენილი იყო სოფლებით: **საკუთრივ დიდი ენაგეთი, პატარა ენაგეთი, ვარდისუბანი** (მოგვიანებით **შავსაყდარი**), **საღირაშენი, ბოგვი, ფარცხისი, გოლთეთი, მაწევანი.** მეტრიკის წიგნებში, თანამედროვე ენით მოსახლეობის მოქალაქეობრივ ჩანაწერებში იმის გამო, რომ აღნიშნულმა პირებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, მათ მაგიერ მღვდელი ვინმე **იაკობ ავალიანი** აწერდა ხოლმე ხელს.

როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლებს ქართულ და სომხურ ეთნიკურ ფენას მიაკუთვნებენ. სოფელ ვაშლოვანში 1886 წ. **გიორგი სომხიშვილი** გრაფაში „Какую веру исповедуют", უწერია "Армяно-григорянский", ტომი, ჩამომავლობა მითითებულია **სომეხი,** ხოლო გრაფაში "Язык домашный" – შინაურული, სალაპარაკო ენა **ქართულია.** იქვე **ეფრემ სომხიშვილს** უწერია მართლმადიდებელი, ქართველი (254, 3, 1611, ფურ. 29-84); აქვე ერთი ძმა – **ზაქარია სომხიშვილი ქართველია,** ხოლო მეორე – **იაგორ სომხიშვილი – სომეხი;** იქვე **ალექსი სიმონის ძე სომხიშვილი** არის ქართველი, მართლმადიდებელი. **სომხიშვილების** მეორე გვარია **ელიაზარაშვილი.** ელიაზარაშვილები როგორც ერთი ყველგან ქართველებად და მართლმადიდებელი სარწმუნოების მქონნედ მოიხსენიებიან.[1] **რევაზიშვილები** (რუსული გაფორმებით **რევაზოვი**) სომხადაა რეგისტრირებული, თუმცა ისინი ქართველი მებატონემემამულენი არიან. უფრო მეტიც, ბარათაშვილთა შტო-გვარია. მათი შტო-გვარებია: **ქაიხოსროშვილი, ბეჟანისშვილი, ერასტიშვილი, გივისშვილი. აკოფაშვილი** ქართული გვარია. ეს უკანასკნელი ნაწარმოებია

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, XV-XIX სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953 წ. გვ. 257.

სახელიდან **იაკობი.** ზოგჯერ ამ გვარის მქონე სომხადაა აღიარებული. სოფელ ბორბალოში მცხ. **აკოფაშვილების** წინაპარია **იაკობ ვარსიმაშვილი. „იაგორ აკოფის ძე აკოფოვი** და **ამირან იოსების ძე აკოფაშვილი** სარწმუნოებით მართლმადიდებლები და ტომით ქართველები არიან" (254, 3, 1608, უწ. №708, 1886 წ. ფ. 1-29). ჩანაწერთა „სიზუსტეს" სომეხი ტერტერა ადასტურებს. **ყორღანაშვილი ქართველ აზნაურთა ცნობილი გვარია.** ყმა-მამულები მოეპოვებოდათ ალგეთის **ციხიაში, მოქრისში, ფიცხისში, შავთაში** (დღევ. **შამთა**), **აკურისში, უკან დალეთს** და სხვა. ყორღანაშვილის შტო-გვარებს წარმოადგენდა **არდაზდიანიშვილი** (**ყორღანაშვილთა** წინაპრები), **მერაბისშვილი, ავდროზანაშვილი, როინაშვილი. ყორღანაშვილი შიოშ** იყო **ბაქარ მეფის მემამულე,** ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში[1]. დღესაც ზოგიერთი ყორღანაშვილი რუსული გაფორმებით, **ყორღანოვად** და სომხად არიან ჩაწერილნი. (1831 წ.) **ნონია მეწისქვილეშვილი,** შვილი **პავლე,** მეუღლე **რიმსიმე,** ქალიშვილი **მართა, ანტონი, გიორგი, პეტრე, მათე, დავით მეწისქვილეშვილი,** მეუღლე **ანნა** 1831 წ. აღწერით ჩაწერილი არიან სომხებად (254, I, 1242, 1831 წ.).

**ვახტანგ** და **გიორგი ფეიქრიშვილები** 1873 წ. აღწერით დიდ თონეთში სომხური ეთნოსისათვის მიუკუთვნებიათ (254, 3, 127, აღწ. 319, ფურ. 175-2-9). ასევე **სოსია (იოსებ) მარცვალაძე** პატარა თონეთში სომხურ ეთნოსზეა მიწერილი (245, 8, 127, აღწ. 320, 1873 წ. ფურ. 218-244).

ასეთივე ბედი ეწიათ გვარებს – **მირზაშვილს, ავალიშვილს, ალხაზიშვილს, ბარათაშვილს, დალაქიშვილს, თეთრუაშვილს, მაჩაბლიშვილს, მაჩაბელს, კოხტაშვილს, მამაცაშვილს, როსტომიშვილს, ათაბეგოვს** (ძველი გვარი **ჯაყელია**), **ზურაბიშვილს, ალიხანაშვილს, ასლანაშვილს, მაჭკალაშვილს** (დღევანდელი **მაჭკალოვი**), **ელიზბარაშვილს, ნადირაძეს, აღნიაშვილს, აბუაშვილს** და სხვა.

საგულისხმოა **აკაკი ბაქრაძის** სტატია **„ყურადღება მივაქციოთ"**[2]. სწორედ ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე, როცა ეროვნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა გაიგივდა, როცა მეფის ხელისუფლებამ მოწყალების კალთა გადააფარა საქართველოში ჩამოსახლე-

---

[1] ის. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი ნაწ. III და IV, თბ., 1938, გვ. 471-472.
[2] გაზ. „თბილისი", 21 დეკემბერი, 1987 წ.

ბულ ბერძნებს, წინწყაროში ოდითგანვე მცხოვრები თუ აკლებ-აოხრების შემდეგ კვლავ უკან მობრუნებული ეკონომიკურად სუსტი და სულიერად დაკნინებული მკვიდრი ქართველი იმდენადაა არაქათ-გამოცლილი, რომ მიგრანტთა გავლენაში ექცევა და ბერძენი ხდება.

ცნობილია, რომ **წინწყარო** (ადრე სამეხრეო) მცირე ქალაქი იყო ალგეთში. ვახუშტის აღწერით, **„საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო ქალაქი“**[1], დასტურლამალით დედოფლის იქაური ხოდაბუნი უნდა დაემუშავებია 23 სოფელს: **აბელიას, ენაგეთს, ახალშენს, გოლთეთს, დვალთას, ენაგეთს, ერწოს, ეცოს, ირდასუბანს, კარას, კრეფას, კობალას, მაწევანს, ორთაშუას, ოშეთს, ცხვრისს, საღირაშენს, ფარცხისს, ფუტრევს, ჩხიკვთას, ცოვრეთს, წინვენახს, წრუთას.** 1721 წ. აღწ. წინწყაროში მოიხსენიებიან: მამასახლისი **ბირთველა,** ძმები, **ბერუა, ზალია,** ძმისწულები **ავთანდილა, მანუჩარა, ქოროღლიშვილი, ბასიაშვილი, ჯავახიშვილი, ხოციკაშვილი, მაზმიაშვილი, ვარძელაშვილი, ბატატაშვილი, დათიაშვილი, ქვახარაშვილი, მელიქაშვილი, სუთიაშვილი, ბატონიშვილი, აჩუაშვილი, ელისაშვილი...**[2] 1822 წელს ვხვდებით გვარებს: **აზარიაშვილი, იოანიძე, ბესალაშვილი, ლაზარეშვილი, აბრამიშვილი, ელეფთერისშვილი, იოსებაშვილი, ამირაშვილი, ნიკოლაშვილი, ვასილაშვილი, პეტრესშვილი, მიხეილისშვილი (თევდორესშვილი), ესტატესშვილი, თომასშვილი, პავლიაშვილი (პავლესშვილი), სვიმონიშვილი, გიორგიშვილი, ქართველიშვილი, სტეფანესშვილი** (489 (489, 6, Iბ, 1822 წ.). 1822-1855-იან წლებში ჩნდება გვარები: **კალაძე, არდიშვილი, ბოსტანიშვილი, ბარათოვი, ანანიაშვილი, ფერიაშვილი, გოგოლაშვილი, სეფიაშვილი, ასლანიშვილი, ასლამაზიშვილი** და სხვა.

საინტერესოა ცნობა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ერთი საუკუნის მანძილზე (1886-1986 წწ.) ქვემო ქართლის თეთრი წყაროს რაიონში კომლთა (მოსახლეობის) და ეროვნულ შემადგენლობაზე:

წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, **„ბელი-კლუჩი“,** 1940 წლიდან **თეთრი წყარო,** 1886 წლისთვის იყოფოდა **14 სასოფლო საზოგადოებად,** რომელიც **67 სოფელს აერთიანებდა.** დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონი (**1986 წ.** მონაცემებით) თბილისის სამხრეთ-

[1] ვახუშტი, მასალანი... გვ. 101.
[2] იქვე, 101-103.

კომლთა და მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა ერთი საუკუნის განმავლობაში

(1886-1986 წ. 1 იანვრის მონაცემებით)

| დასახლებული პუნქტის სახელწოდება | | კომლთა რაოდენობა | | მცხოვრებთა რაოდენობა | | სხვაობა 1986 წ. | | კომლთა რიცხვი ეროვნებათა მიხედვით 1886 წ. | | | ეროვნება 1986 წლისათვის 1979 წლის აღწერით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1886 წ. | 1986 წ. | 1886 | 1986 | 1886 | 1986 | მატება კომლ. | კლება კომლ. | ქართ. | სომეხი | რუსი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| ბელი კლუჩის სახოფ. საზოგადოება | ქალაქი თეთრი წყარო | 183 | 1300 | 804 | 8300 | 1117 | | 7 | 4 | 165 | ქართველი, სომეხი, ბერძენი, რუსი |
| ვაშლოვანის ს/სა-ზოგად.<br>ბორბალო<br>ვაშლოვანი | ბორბალოს სოფ-საბჭო<br>ბორბალო<br>ვაშლოვანი | 67<br>96 | 92<br>153 | 361<br>517 | 260<br>691 | 101<br>57 კომ.<br>174 კაც. | – | 56<br>20 | 11<br>76 | –<br>– | ქართველი<br>სომეხი |
| ერტისი | ერტისი | 39 | 82 | 273 | 251 | –42 | 22 კაც. | 31 | 7 | 1 | ქართველი |
| ღოუბანი | ღოუბანი | 100 | 205 | 590 | 645 | 105 | | 100 | – | – | ქართველი |
| ლევის ს/საზოგად.<br>აგურის<br>საყდარი<br>ბევრეთი | ორბეთის სოფსაბჭო<br>ამჟამად<br>აღარაა<br>„–" | 5<br>22 | –<br>– | 37<br>174 | –<br>– | | | 5<br>22 | –<br>– | –<br>– | ქართველი<br>ქართველი |
| ვანეთი | ვანეთი' | 12 | 12 | 66 | 12 | – | კაცთა რაოდ. შემც. 54 ერთ. | 12 | – | – | ქართველი |
| ლევევი | ლევევი | 20 | 29 | 146 | 75 | 9 | 71 კაცით შემც. | 29 | – | – | ქართველი |
| დრე | დრე | 13 | 42 | 97 | 81 | 20 | შემც. 16 კაცით | 13 | – | – | ქართველი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმოუნიკი | ამჟ. აღარაა | 12 | – | 81 | – | | | 12 | – | – | ქართველი |
| ზირბითი | ახ. ზირბითი | 1 | 48 | 9 | 153 | 47 | | 1 | – | – | ქართველი |
| ლასტის ციხე | ამჟ. აღარაა | 12 | – | 90 | – | | | 12 | – | – | ქართველი |
| ლელობა | აღარაა | 13 | – | 97 | – | – | – | 13 | – | – | – |
| ნახშირგორა | თეთრი წყაროში აღარაა | 21 | – | 120 | – | – | | 21 | – | – | – |
| თაბარუკი | აღარაა | 5 | – | 16 | – | – | – | 5 | – | – | – |
| წეერი | აღარაა | 16 | – | 129 | – | – | – | 16 | – | – | – |
| წყრულეთი | აღარაა | 14 | | 101 | – | – | – | 14 | – | – | – |
| შამთა | შამთა | 15 | 18 | 122 | 40 | 3 | 82 | 15 | – | – | ქართველი |
| დალეთ-ხაჩინის ს/საზ-ბა | | | | | | | | | | | |
| ვარხუნა | 1980 წ. შეუიდა თეთრი წყაროს შემადგენლობაში | 31 | – | 265 | – | – | – | – | 31 | – | სომეხი |
| დალეთ ხაჩინი | დალეთ ხაჩინი | 306 | 128 | 1693 | 316 | – | 178 | – | 306 | – | – |
| პატარა დალეთი | აღარაა | 5 | – | 21 | – | – | – | – | 5 | – | – |
| დანილოუკა | აღარაა | 14 | – | 106 | – | – | – | – | 14 | – | |
| პატარა დუმანისი | აღარაა | 34 | – | 262 | – | – | – | – | – | ოსი | |
| იფნარა | ინფარი | 13 | 31 | 88 | 111 | 18 | – | – | – | – | ოსი |
| კრენა | აღარაა | 5 | – | 31 | – | – | – | – | 5 | – | – |
| ლიპი | ლიპი | 3 | 7 | 29 | 17 | 4 | 12 | – | – | – | ოსი |
| სამღრეთი | სამღრეთი | 27 | 81 | 211 | 277 | 54 | – | – | 27 | – | სომეხი |
| დურნუკის ს/საზ-ბა | დურნუკის სოფსაბჭო | 92 | 55 | 596 | 93 | – | 37 კომ. 508 სული | 1 | 76 | სხვა ხალხ. | სომეხი |
| დურნუკი | დურნუკი | | | | | | | | | | |
| ქარაკენტი | ქოსალარი | | | | | | | | | | |
| ქოსალარი | (წინწყ. სოფ. საბჭო) | 30 | 308 | 271 | 1570 | 268 კომ. 1269 კაცი | – | – | – | აზერბაიჯანელი | აზერბაიჯ. |
| ქოთიში | ქოთიში (დურნ. სოფ. საბჭო) | 17 | 32 | 107 | 116 | 15 კომლ. 9 კაცი | – | 2 | 14 | სხვა ხალხ. 1 | ბერძენი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელისაბედის ს/საზ-ბა პრიუტი | ორბეთის საკრებულო | | 134 | 328 | 193 | 74 კომლ. | 135 კაც. | 8 | 6 | 43 | ქართველი |
| ელისაბედტალის ს/საზოგადოება | ორბეთი | 60 | | | | | | | | | რუსი |
| ელისაბედტალი კოლონია | ასურეთის საკრებულო ასურეთი | 189 | 528 | 1178 | 1360 | 239 კომლ. 182 კაც. | – | 7 | 4 | გერმანელები | ქართველი |
| ირაგის ს/საზ-ბა | ირაგის სოფსაბჭო | | | | | | | | | | |
| ვასილევკა | – | 7 | – | 39 | – | – | – | – | – | სხვადას. ხალხი | – |
| ჯიგრაშენი | ჯიგარშენი | 22 | 88 | 132 | 257 | 66 კომ. 125 კაცი | – | – | – | ,, | – |
| ივანოვკა | ივანოვკა | 37 | 133 | 203 | 363 | 97 კომლი 160 კაც. | – | – | – | ბერძენი | ბერძენი |
| ირაგა | ირაგა | 35 | – | 171 | – | – | – | – | – | ,, | ,, |
| | ა) პატარა ირაგა | – | 261 | – | 712 | – | – | – | – | ბერძენი | ბერძენი |
| | ბ) დიდი ირაგა | – | 161 | – | 433 | – | – | – | – | ბერძენი | ბერძენი |
| კოდის ს/საზ-ბა | კოდის სოფსაბჭო | | | | | | | | | | |
| კოდა | კოდა | 127 | 359 | 710 | 1928 | 232 კომ. 1218 კაცი | – | 41 | 84 | სხვა ხალხ. 2 კომლ. | ქართველი |
| მარაბდა | მარაბდა | 35 | – | 167 | – | – | – | 31 | 2 | სხვა ხალხ. 2 | ქართველი |
| | ა) ძველი მარაბდა | – | 40 | – | 166 | – | – | 40 | – | – | ქართველი |
| | ბ) ახალი მარაბდა | – | 31 | – | 90 | – | – | 31 | – | – | ქართველი |
| მუხათი | მუხათი | 42 | 141 | 296 | 1030 | 99 კომ. 934 კაცი მეფრ. ფაბრ. დასახ. ერთად | – | 20 | 21 | – | ქართველი |
| მარნეული | მარნეული (ქალაქი) | 14 | – | 38 | – | – | – | 6 | 8 | – | – |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანგლისის<br>ს/საზ-ბა<br>მანგლისი | მანგლისის<br>საკრებულო<br>დაბა მანგლისი | 168 | 1150 | 907 | 3500 | 982 კომ.<br>2523 კაც. | – | 8 | 7 | 149 | ქართველი, რუსი, სომეხი,<br>ბერძენი |
| არხოტა | არხოტი | 17 | 17 | 136 | 47 | | 89 | 1 | – | სხვა ხალხები | ოსი |
| ბეჟანას სოფელი<br>(ნასოფლარი) | – | 17 | – | 95 | – | – | – | 17 | – | – | – |
| ზა (ბზა) | – | 11 | – | 88 | – | – | – | 11 | – | სხვა ' ხალხ. | – |
| მჟავისი | – | 6 | – | 35 | – | – | – | 6 | – | – | – |
| მოხისი | მოხისი | 11 | 6 | 102 | 14 | – | 5 კომლ.<br>88 კაც. | 11 | – | – | ქართველი |
| ნამტვრევანა<br>ნაპილნარი | – | 14 | – | 76 | – | – | – | 14 | – | – | |
| | ნაპილნარი | 9 | 34 | 68 | 169 | 25 კომლი.<br>101 კაცი | – | – | – | სხვ. ხალხები | –<br>აზერბაიჯანელები |
| თხილნარა | თხინვარი | 15 | – | 105 | – | – | – | 15 | – | – | – |
| შეხვეტილა | | 9 | 18 | 67 | 41 | 9 კომლ. | 26 კაც. | 9 | – | – | ქართველი, ოსი |
| სამშვილდის<br>ს/საზ-ბა | სამშვილდე<br>(დალეთ-ხაჩინის<br>საკრებულო) | 110 | 220 | 681 | 746 | 110 კომ.<br>65 კაც. | – | – | 110 | – | სომეხი |
| დიდი თონეთის<br>ს/საზოგა-დოება | (დიდი თონეთის<br>საკრებუ-ლო) | 173 | 273 | 1351 | 798 | 100 კომ. | 553 კაცი | 147 | 26 | – | ქართველი<br>სომეხი |
| პატარა თონეთის<br>ს/საზ-ბა<br>პატარა თრნეთი | პატარა თონეთი<br>(სოფელი შედის<br>დ/თონეთის<br>საკრებულოში) | 125 | 98 | 818 | 180 | – | 27 კომ.<br>638 კაც. | 65 | 60 | – | ქართველი |
| ამლივი | ამლევი | 10 | 13 | 71 | 31 | 3 კომ. | 40 კაცი | 10 | – | – | სომეხი |
| ღოლოვა-ნი | ღოლოვანი | 39 | 21 | 255 | 39 | 18 კომ. | 216 კაც. | 39 | – | – | ქართველი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წინწყაროს ს/საზ-ბა | წინწყაროს საკრებულო | | | | | | | | | | |
| მაწევანი | მაწევანი | 14 | 67 | 73 | 127 | 54 კომ. | – | 9 | 1 | სხვა. ხალხ. | ქართველი |
| | ჩხიკვთის საკრებულო | | | | | 54 კაც. | | | | | |
| წინწყარო | წინწყარო | 192 | 852 | 1703 | 3416 | 760 კომ.<br>2713 კაცი | – | 5 | 4 | 183 კომ.<br>(ბერძ.) | ბერძენი |
| დიდი ენაგეთის ს/საზოგადოება | ჯორჯიაშვილი<br>(ჯორჯიაშვილის საკრებულო) | | | | | | | | | | |
| არდისუბანი | არდისუბანი | 25 | 85 | 182 | 165 | 60 კომ. | 17 კაც. | – | 25 | – | ქართველი |
| | | | | | | | – | 19 | 12 | 1 | ქართველი |
| ბოგვი | ბოგვი | 32 | 86 | 143 | 219 | 54 კომ. | | | | | |
| | | | | | | 76 კაც. | – | 20 | 2 | – | ქართველი |
| ვარდისუბანი | შავსაყდარი (ასურეთის საკრებულო) | 22 | 152 | 158 | 410 | 136 კომ.<br>252 კაც. | | | | | |
| გოლთეთი | გოლთეთი<br>(ჩხიკვთის საკრებულო) | 19 | 12 | 104 | 28 | | 6 კომ.<br>66 კაც. | 19 | – | – | ქართველი |
| ფარცხისი | ფარცხისი (ჯორჯიაშვილის საკრებულო) | 42 | 102 | 180 | 264 | 60 კომ.<br>183 კაც. | | 39 | 2 | 1 სხვ. (ერ.) | ქართველი |
| სადირაშენი | სადირაშენი<br>(ჯორჯიაშილის საკრებულო) | 23 | 100 | 204 | 222 | 77 კომ.<br>18 კაც. | – | 17 | 2 | 4 | ქართველი |
| ტბისი | ტბისი ჩხიკვთის საკრებულო | 12 | 28 | 74 | 102 | 26 კომ.<br>28 კაც. | – | 7 კომ. | – | სხვა ეროვ. | ქართველი |
| ჩხიკვთა | ჩხიკვთა (ჩხიკვთის საკრებულ) | 20 | 67 | 127 | 203 | 47 კატ.<br>76 კომ. | – | 15 | 1 | სხვა ეროვ.<br>4 კომ. | ქართველი |
| დიდი ენაგეთი | ჯორჯიაშვილი | 101 | 273 | 646 | 821 | 172 კომ.<br>175 კაც. | – | 42 | 59 | – | ქართველი |
| პატარა ენაგეთი | ენაგეთი (ასურეთის საკრებულ) | 39 | 152 | 347 | 410 | 113 კომ.<br>63 კაც. | – | 13 | 26 | – | ქართველი |

**1986 წლის 1 იანვრის მონაცემებით აღწერილი სოფლების გარდა, რაიონში საკრებულოების მიხედვით არის შემდეგი დასახლებული პუნქტები, რომელთა დემოგრაფიული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:**

| საკრებულო | დასახლებული პუნქტი | კომლთა რაოდენობა | მოსახლეთა რაოდენობა | ეროვნება |
|---|---|---|---|---|
| თეთრი წყაროს | აბელიანი | 139 | 542 | ბერძენი |
| | ვაკე | – | – | – |
| | ქსოვრეთი | 33 | 79 | ქართველი |
| | გუდარეხი | 12 | 14 | ქართველი |
| | ხოპისი | 37 | 78 | ქართველი |
| ახალსოფლის | ახალსოფელი | 109 | 289 | ქართველი |
| | ზირბითი | 43 | 95 | ქართველი |
| | საფუძრები | 61 | 140 | ქართველი |
| | გოხნარი | 23 | 66 | ქართველი |
| დმანისის | დმანისი | 85 | 315 | ოსი |
| | ზემო ახალშენი | 6 | 11 | ოსი |
| | შიხლო | 55 | 277 | აზერბაიჯანელი |
| | ქვემო ახალშენი | 16 | 61 | ოსი |
| | ქვემო ახკალაფა | 20 | 49 | ოსი |
| | ზემო ახკალაფა | 21 | 47 | ოსი |
| | წყნარი აბანო | 1 | 5 | ოსი |
| | ფიტარეთი | 4 | 8 | ოსი |
| ღურნუკის | პატარა ღურნუკი | 30 | 73 | სომეხი |
| ირაგის | ალექსეევკა | 142 | 437 | რუსი, ოსი, ბერძენი |
| | ვიზიროვკა | 1 | 2 | ბერძენი |
| | მენქალისი | 38 | 103 | ოსი |
| | ნავთიანი | 15 | 45 | ოსი |
| კლდეისის | დიდი კლდეისი | 53 | 144 | ქართველი |
| | პატარა კლდეისი | 7 | 17 | ოსი |
| მანგლისის | ალგეთი | 176 | 419 | რუსი, ბერძენი |
| ორბეთის | ახალი პანტიანი | 32 | 101 | ქართველი |
| | ნაოსარი | – | – | – |
| | ღვევი | 29 | 75 | ქართველი |
| | მეორე შამთა | 6 | 14 | ქართველი |
| | მესამე შამთა | 18 | 40 | ქართველი |
| შეხვეტილას | კოდის წყარო | 3 | 9 | ქართველი |
| | პოლიანა | 10 | 34 | ქართველი |
| | ზემო ჭინჭრიანი | 2 | 4 | ოსი |
| ჯორჯიაშვილის | ძვ. ზირბითი | 5 | 15 | ქართველი |

დასავლეთით თრიალეთის ქედსა და მდ. ხრამს შორის არის მოქცეული, 1774,4 კვ. კმ-ზეა გადაჭიმული, მოსახლეობა მრავალნაირია. **ქართველების მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ ბერძენი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი** და სხვები. თეთრი წყარო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად იყოფა: პრეფექტურა-1, საქალაქო საკრ.-1, სადაბო საკრ.-1, საკრებულო-15, ქალაქი-1, დაბა-1, სოფელი-80.

**ცნობები 1886 წელს რაიონის აღწერის შესახებ:** სოფელ **ვაშლოვანში** კომლთა რიცხვი **ასი წლის** მანძილზე **57**-ით გაიზარდა, სამაგიეროდ შემცირდა მოსახლეობის რიცხვი. ფაქტობრივად ადამიანთა მატებას ადგილი არ ჰქონია. 57 კომლმა, 96 კომლთან ერთად, სულ მოგვცა 174 კაცი, ე.ი. ფაქტობრივად, კომლზე მოდის 1 კაცი. 1854 წლის აღწერით ვაშლოვანში უცხოვრიათ როგორც ქართველებს, ისე სომხებს, სოფელს ჰყოლია სომეხი მღვდელი, რომელსაც გავლენა თავისი ეკლესიის (კოდაში, მუხათსა და ვაშლოვანში ქართველი მღვდლის გვერდით იყო სომეხი ტერტერაც) მრევლზეც გაუვრცელებია და **სომხურ-გრიგორინულ სარწმუნოებაზე მოუქცევია.** სწორედ ამის შედეგია ქართულ სოფელში ფიქტიურად გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით არაპროპორციული შეფარდება: **ქართული კომლი-20, სომხური-76.** მეფის რუსეთის იმპერიის უშუალო ხელმძღვანელობითა და სასულიერო პირთა აქტიური მონაწილეობით წარმოებული კამერალური აღწერის სიები გახდა ის ერთადერთი დოკუმენტი, რომლებმაც ბრმა იარაღად გამოიყენა უსწავლელი და გაუნათლებლი ხალხი, გამიზნულად დამატებულ გრაფას **სარწმუნოება, ტომი, ჩამომავლობაც მიუმატა და ბევრზე ბევრი ოდითგანვე ქართველი კაცი სხვა ტომის ნაშიერი გახადა.** იგივე ბედი ეწვიათ: **კოდას, მუხათს, დიდსა და პატარა თონეთს, არდისუბანს, ბოგვს, დიდსა და პატარა ენაგეთს** (დღევანდელი ჯორჯიაშვილი და ენაგეთი). მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: **ფეიქრიშვილები** ვარდისუბანში (ამჟამად შავსაყდარი), როგორც კამერალური აღწერის სიებში, ისე მეტრიკის წიგნში (დღევ. დაბადების წიგნი) რეგისტრირებული არიან მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონენი და ქართველები. „**ბეჟან ფეიქრიშვილი,** იგივე **ბერაშვილი,** მეუღლე **ლალუა,** ვაჟიშვილი **ალექსი**" (ცსსა: ფ. 254, I, 802, ფურ. 24-26); „**გიორგი ივანეს ძე ფეიქრიშვილი,** 1872 წ., ვარდისუბნელი მართლმადიდებელი სარწმუნოების, **ზაქარია გიორგის ძე ჩონბახაშვილის** ქალიშვილი ეკატერინეს მიმქმელია (ნათლია)" (სცსსა,

მეტრ. წიგნ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო I, 1872 წ.); სოფ. კოდაში **მინაშვილები** ჩანაწერებით არიან **სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისანი,** ხოლო პატარა თონეთში **მართლმადიდებლები, ქართველები.** „**იოსებ მინაშვილი,** მეუღლე მარიამი, შვილი თომა, მართლმადიდებლები (სცსსა, ფ. 254, №1, 1242, ფურ. 41); პატარა ენაგეთს მცხოვრები **ალიხანაშვილები სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე არიან მოქცეული,** ხოლო **სხვა სოფლებში არიან მართლმადიდებლები და ქართველები.** „1831 წელს, პატარა თონეთში **ბერუა ალიხანაშვილი,** მეუღლე **სოფიო,** შვილები **ადამა, აბრამა,** ქალიშვილი **მაგდალინა; ნონია ალიხანაშვილი,** მეუღლე **მზექალა (ზექალა),** შვილები **მაგდალინა, სარქისა, სტეფანე, ეფემია; როსტომ ალიხანაშვილი,** მეუღლე **სარა,** შვილები **გლახა, სოფიო; როსტომ ალიხანაშვილი,** მეუღლე **ხამფერა,** შვილები **ყაზარა** და **სოლომონ ალიხანაშვილები,** მეუღლე **ხამფერა,** შვილები **ყაზარა** და **სოლომონ ალიხანაშვილები, სარწმუნოებით მართლმადიდებლები, ტომით ქართველები** (სცსსა, 1831 წ., ფ. 254, №1, 1242, ფურ. ჩაწ. №143, 144)"; მსგავსი მაგალითების მოყვანა ათობით და ასობით შეიძლება.

კითხვაზე, თუ რამ მიიყვანა ჩვენი წინაპარი ამ ყოფამდე, ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცით პასუხი.

ასეთი კითხვა XIX საუკუნეშივე დასვეს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და გასცეს კიდეც პასუხი.

დიდი აკაკი 1911 წელს წერდა: „ზოგიერთები „სომხიყლაპიას" მეძახიან და ეს უსამართლობა, რომ შევიფერო, შეუძლებელია!.. მრწამს ქრისტეს მოძღვრება და არავინ მიმაჩნია სამარიტელად; თანასწორად ვუყურებ ელინსა და იუდიანს, როგორც ადამიანებს. ყოველი ერი, რა ტომისაც უნდა იყოს, მიყვარს და თანამგრნობი ვარ, თუ ის თავის ქერქში ეტევა და საკუთარი ეროვნული სწორი გზით მიდის... მაგრამ როცა რომელიმე ერი მარტო თავისას აღარ სჯერდება და მოინდომებს სხვა ერების დაჩაგვრით ამაღლებას, სხვების უბედურებით საკუთარ ბედნიერებას და სხვების ჩაყლაპვით გასუქებას, მე იმ ტომის თანაგრძნობა აღარ შემიძლია. ამ შეგნებით გამოვედი მე იმთავით ცხოვრების სარბიელზე და ამ ბარგითვე მივდივარ სამარისკენ, და რაღა გასაკვირველია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც ჩვენთან ერთად ერთ ისტორიულ ტაფაში ნაწვავ-ნადაგი, მიყვარდეს და თანავუგრძნობდე? და მაშ

**რაღა უფლება ან სიმართლე აქვს ვინმეს, რომ მე „სომხიყლაპია“ დამიძახოს? ნათქვამია „კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო“, მაგრამ კვამლიც არის და კვამლიც. სახლს რომ ბოროტ-განზრახვით ცეცხლს წაუკიდებენ, ბოლი ავარდება... კვამლი ადის!.. საცეცხლურში რომ საკმეველს ჩაჰყრიან და უკმევენ, ან ხატს რომ წმინდა სანთელს აუნთებენ, კვამლი მაშინაც ადის, მაგრამ დიდი განსხვავებაა ამ ორ კვამლს შუა! პირველი უკუღმართობითაა გამოწვეული და მეორე კი სიყვარულითა და სასოებით! ჩემი „სომხიყლაპიობის“ კვამლიც, ეგება ამ უკანასკნელ კვამლის გვარი იყოს?! გავსინჯოთ გულდამშვიდებით!..**

თუ დავუჯერებთ ისტორიას (და რომ არ დავუჯეროთ რა უფლება გვაქვს?), ჩვენ წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონიათ სომხებთან და საუკუღმართო რომ არა მიუძღვით რა მათდამი. არა ერთი გზის მორწყულა სომხეთის მიდამოები მათ მომხრე და მათთვის თავდადებულ ქართველებისაგან მოწამეთა სისხლით. სიტყვა რომ არ გავაჭიანუროთ, ისიც კმარა რომ გავიხსენოთ, მარტო **დავით აღმაშენებლის დრო** და **გიორგი მესამის** – მეთორმეტე საუკუნეში, როცა **ოცდათხუთმეტი ათასმა მეომარ-ქართველმა თავი დასდო ანის ქალაქში.** ჭირვეულები მეტყვიან: რა ვუყოთ მერე, ეგ პოლიტიკური მოსაზრება იყოო?! სასომხეთში შემოსული მტერი, როცა სომხებს დაამარცხებდა, მერე ხომ საქართველოსკენ წამოვიდოდა და ამ მოსაზრებამ შეაკავშირა ქართველები სომხებთანო!.. შეიძლება ეს ასეც იყოს. უმიზეზოდ ქვეყანაზე არა ხდება რა. მაგრამ რაო მერე? ფაქტი ხომ მაინც ფაქტად რჩება და ძმური კავშირი მაინც არსებობს? და ეს კავშირი ასე თუ ისე გამოწვეული, ამტკიცებდა და ადუღაბებდა სომეხ-ქართველების ერთობას.

საქართველომ თავისი მეფობა, სარწმუნოება, ეროვნული ელფერი და დედაენა მე-19 საუკუნის კარებამდე მოიტანა შეუბღალავად და უმწიკვლოდ ჩააბარა რუსეთს. სასომხეთი კი წინათ... ბევრად ადრე დაემხო, როგორც სამეფო და სომხებიც აქეთ-იქით გარბოდნენ ქვეყნის პირად. მაშინ ერთი გუნდი მოადგა საქართველოსაც, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით კი არა ძალ-მომრევად, მხოლოდ ქრისტიანულის სიმდაბლით. ქართველები მიეგებნენ ძმური სიყვარულით. გაუღეს წიაღი და მიიღეს, შეიყვანეს საქართველოში, როგორც მკვიდრი შვილები. მიანიჭეს ყოველგვარი სამოქალაქო უფლება, რაც თვითონ ჰქონდათ: მიწა-წყლი, ადგილ-მამული, ხარისხი და მზამზა-

რეული ეკლესიებიც კი. უთხრეს აქ მოისვენეთ! შეგვეტკბით ძმურად! ამიერიდან თქვენ საქართველოს შვილები იქნებით. ჩვენ ხმლით ხელში საზღვარზე დავდგებით მტრების მოსაგერიებლად და თქვენც უშიშრად მიჰყავით ხელი სასწორ-საზომს, რადგანაც მაგგვარი შრომა და სამსახურიც სამეფოს ერთგულებაა და მისივე საჭიროებაო – ორივე მხრივ დათანხმდა. ვისაც რა ემარჯვებოდა, იმას მოჰკიდა ხელი და მართლაც, გულში თუ დაფარული რამე ედოთ, ეს ვინ იცოდა? მაგრამ მესამოცე წლებამდე კი სიამტკბილობით იყვნენ ერთმანეთთან, ასე გასინჯეთ, რომ რჯულის სხვადასხვაობაც ვერას უშლიდა; ბევრი ქართველის ჩამომავალი აღიარებდა გრიგორიანელობას თავისუფლად და კანონი ხელს არ უშლიდა.

ასეთი ვითარება შეიქმნა სიამტკბილობით დაკავშირებულ ორ მეზობელ ერში, რომლებმაც ერთმანეთისათვის ძალზე ბევრი გააკეთეს, რათა ფიზიკური მოსპობისაგან გადარჩენილიყვნენ. განა ისტორიულად ცნობილი არაა, რომ გარეშე მტერთა ხშირი შემოსევები და ბარბაროსი ტომების მარბიელი თარეშები აფერხებდა ამიერკავკასიის ხალხთა განვითარების ბუნებრივ პროცესს, უფრო მეტიც, საფრთხეს უქმნიდა მათ ფიზიკურ არსებობასაც კი.

მეზობელ, მოძმე და ათეული საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილ სომხებსა და ქართველებს შუა ჩადგა ცარიზმი. რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ შეუტია იმპერიის განაპირა მხარეების მოსახლეობას. ცარიზმს სურდა, ფეხქვეშ გაეთელა არარუსი ხალხების ეროვნული ინტერესები, გაეტეხა მათი ძალები, ხელი შეეშალა მათი ეროვნული კონსოლიდაციისათვის და ამრიგად გამოეთიშა ამ ქვეყნების მშრომელი მოსახლეობა იმ საერთო ბრძოლიდან, რომელსაც ეწეოდა რუსეთის გამოღვიძებული მუშათა კლასი თვითმპყრობელობის წინაამღდეგ. ამ ვერაგულ მოძრაობაში ცარიზმი ხშირად მეზობელი ხალხების ერთიმეორეზე წასისინების პოლიტიკას მიმართავდა და მათ თანდათან აშორებდა ბრძოლის მთავარ გზას. ცარიზმის ამ პოლიტიკას უმთავრესად წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტურ ფენებში ჰქონდა გასავალი და ყველგან, სადაც მან ფეხი მოიკიდა და გაღვივდა, არასასურველი და ზოგჯერ შემზარავი შედეგები მოჰყვა.

ამგვარად იყო საქმე ამიერკავკავსიაში, სადაც არაერთგზის მოხდა სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკება და სისხლის ღვრა. ქართვე-

ლი და სომეხი ხალხის ერთიმეორეზე შესევის ყველა ცდა მარცხით თავდებოდა. ამ ხალხთა საუკუნოვანი ძმობისა და თანამეგობრობის დარღვევა ასე ადვილი არ აღმოჩნდა და ცარიზმმა სწორედ მისი ისტორიული თანამეგობრობისა და ძმობის ფესვების შერყევა მოინდომა. ამ მხრივ პოხიერი ნიადაგი მან სომეხ დაშნაკებსა და ულტრანაციონალისტურ ელემენტებში ნახა და მათ „მეცნიერული თოფიარაღის აღკაზმვისაკენ" მოუწოდა: „ბრძოლის ასპარეზზე გამოჩნდნენ **ხუდაბაშოვები, ქიშმიშოვები, ნახაპეტიანები, იეზოვები, პატკანოვები, არწრუნები** და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სომხური და ქართული ეროვნული ისტორიული ცხოვრების გაყალბებითა და გაბიაბრუებით მკვიდრი ნიადაგი შეექმნათ სომხებისა და ბურჟუაზიისათვის საქართველოში და ხელი შეეწყოთ კლასობრივი ბრძოლის შენელებისა და ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის. **ილია ჭავჭავაძე ამ პირებს სომხების ერთ გუნდს უწოდებდა, რომლებიც აშკარად სომეხი ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა და მათ ნამდვილ სურვილს ანგარიშს არ უწევდა.** საქართველოში მოგზაური **ფრანგი კუტული** აქაურმა სომხებმა ისე მოხიბლეს, რომ მას ათქმევინეს: **„მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მის მეზობლებს – ქართველებსა და თათრებს – სხვა არა დარჩენიათ რა, რომ უნდა გასომხდნენო".** იგივე კუტულმა გაზეთ „Temps"-ის ფურცლებზე დაწერა, რომ სომხები მომავალში შეადგენენ სახელმწიფოს, რომელსაც 30 მილიონი ქვეშევრდომი ეყოლებაო".

**ისტორიას საკუთარი კანონზომიერება აქვს და ადრე თუ გვიან სიმართლე იმარჯვებს.** ცხოვრებამ სააშკარაოზე გამოიყვანა ისტორიული სინამდვილის გამყალბებლები და პოხიერი ნიადაგი შექმნა ჭეშმარიტების აღსადგენად[1].

ფ. ბოდენშტედტი უფრო ადრე, **1847** წელს წერდა: **„ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა ფიქრობს, დიდს ფასს არა სდებს მიწიერს მოსახვეჭსა, არა აქვს დაუძინებელი წყურვილი მოხვეჭისა, ამიტომაც, ვაჭრობა განსაკუთრებით სომხის ხელშია, სამაგიეროდ, ქართველები ყველაზე უფრო ზნეობიანი, ყველაზე უფრო პატიოსანნი კაცნი არიან ამ მხარეში. სტუმართმოყვარეობა დიდი იციან, როგორც სხვა კავკასიელთაც; ერთგულნი არიან, როგორც მათნი**

---

[1] გაზ. „თემი", 1911 წ., №8, აკ. წერეთელი, „ჩემი ალსარება".

**ხმალნი, სწრაფნი და საამურნი“**[1]. ამას უნდა დაემატოს მსოფლიოს ყველა მეცნიერის გაკვირვება. თუ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა, როგორ გაუძლო იმდენს ბრძოლას ბარ-ბაროსებთან. **„ერთობ მხნე, თავგანწირული და მამაცი ეს ერი რომ არ ყოფილიყო ქართველობა, ისე შეუძლებელი იქნებოდა“**, ამბობს ფრანგი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე **დელორიე**.

სომეხ კათოლიკე მღვდლებს (ტერტერებს) ერთგულ მოკავში-რეებად რუსები მოევლინნენ. გავიხსენოთ, დასაწყისში რუსებს სომხები აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და თანაც თავი-ანთ ერთგულად თვლიდნენ. „უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პლაკაციო – რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხ-ოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა **პასკევიჩმა** ქართველებს ლიხთიმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ დართო და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომეხთაგან 3000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლმდე ქართვე-ლი მოსახლეობა 90 პროცენტს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობა სომხები იყვნენ“[2].

ცარიზმმა კავკასიაში რუსული დაპყრობითი პოლიტიკა ვერ გაატარა, რადგან ჩათრეული იქნა ხანგრძლივ და მომქანცველ ბრძოლაში. მეფის მთავრობა მიხვდა, რომ კავკასიის დასაპყრობად საჭირო იყო კოლონიური ზომების შეფარდება მთელი კავკასიის მხარის თავისებურებებთან. ამ მიმრთულებით გარკვეული პრაქ-ტიკული ნაბიჯები გადადგა. დაიწყო რუსულ სამხედრო დასახლება-თა დაარსება. ახალშენები ძირითადად დაოჯახებული რუსი ჯარისკაცე-ბისაგან შედგებოდა. მეფის მთავრობამ იკისრა მათი უზრუნველყოფა მიწის ნაკვეთებითა და სამუშაო იარაღებით. 1837 წლისთვის აქ უკვე შექმნილი იყო 10 სამხედრო კოლონია[3].

გენერალ **ერმოლოვის** თაოსნობით რუსული ახალშენები შეიქმნა

---

[1] ფ. ბოდენშტედტი, „კავკასიის ერნი“, მიუნხენი, 1847 წ., გვ. 202-203.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1952, გვ. 209.

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19-20 სს., 1949 წ., გვ. 632-634.

**გორში, ბაშკიჩეთში** (დღე. დმანისის რაიონი), **მანგლისში, თეთრი წყაროში, გომბორსა** და **მუხრანში.**

მეფის მთავრობა ცდილობდა სამხედრო დასახლებათა მოწყობით საქართველოში საიმედო დასაყრდენი შეექმნა თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის განსახორციელებლად.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის კოლონიად იქცა, რუსეთის მთავრობა ქართველ ხალხს ანგარიშს აღარ უწევდა. თავისი ნება-სურვილის აღმსრულებლად **ა. პ. ერმოლოვი** ეგულებოდა. ეს გარემოება ევროპელ მოგზაურ **ე. სპენსერსაც** არ გამოჰპარვია და ხაზგასმით აღნიშნავს ამ სფეროში მის დამსახურებას. **ა. ერმოლოვის** მთავარი მიზანი ის იყო, რომ საქართველო ექცია რუსეთის განუყოფელ ნაწილად, რათა ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ამბობდა, **„ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო".**

მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მიწურულში თურქეთისა და სხვა მტრების თარეშისა და დაპყრობითი გეგმების აღსაკვეთად, მეფის მთავრობას საქართველოში დიდი რაოდენობით ჰყავდა ჯარი. 1820 წელს დღევანდელი **თეთრი წყაროს** მიწაზე გადაყვანილ იქნა **მეგრელთა ეგერის პოლკი შტაბითურთ.** ათასეული მხოლოდ სახელს ატარებდა, სინამდვილეში ქართველი არავინ იყო. შენაერთში ცხოვრება მოეწყო **ბარონ როზენის** მიერ შედგენილი და 1836 წელს იმპერატორის მიერ დამკვიდრებული კავკასიის კოლონიზაციის პროექტით. გენერალმა **ა. პ. ერმოლოვმა** დემობილიზებულ, ბეგარამოხდილ ჯარისკაცთა და ავადმყოფობის გამო დათხოვნილთა გარდა, რიგით ჯარისკაცებსაც მისცა უფლება რუსეთიდან სახელმწიფო ხარჯზე ოჯახი ჩამოეყვანათ და ერთად ყოფილიყვნენ. 1847 წელს აღნიშნული პოლკი გაიწვიეს და მის ადგილზე გორიდან მუდმივ დასაბანაკებლად აქ გადმოვიდა **გრენადერთა მე-14 „ქართული" პოლკი,** სადაც გარდა გენერალ **თავად ორბელიანისა,** ქართველი თითქმის არავინ იყო. 1864 წელს აქვე გადმოჰყავთ **ერევნის გრენადერთა პოლკი, თეთრი წყაროს, თხინვალას, გარისის, ორთაშუას** მიდამოებში ჩნდება რუსული დასახლებები, ისინი უპირატესად პენზის, ტამბოვის, სარატოვის გუბერნიებიდან და დონის ოლქიდან ჩამოვიდნენ. ბევრი უკრაინელიც იყო.

1873 წლისთვის თეთრი წყაროში მცირერიცხოვან ქართვე-

ლებთან ერთად მოიხსენიებიან: **პეტროვი, ზოტოვი, ანდრეევი, ზამბრუდცკი, კლევეტოვი, ლავრენტიევი, პორავინი, პოლიზიევი, პერვუშკინი, გორბუნოვი, ნიკიტინი, ასესოროვი, კოზლოვი, ზავისნოვი, რიაზანცევი, ლიანუშკინი, მაკაროვი, ლეონოვი, კოტინი, იგნატოვი, პონომარევი, ნანიევი, სკვარცოვი, ბალადინი, შევჩენკო, სიზიუმოვი, ზაიცევი, სიზიუსნოვი, ეფრემენკო, ბობჩიევი, ავასკორვი, კამსაევი, სემენოვი, ეგოროვი, ბარტიშინი, პოპოვი, იაკოვლევი,** და სხვები. 1873 წ. აღწერით თეთრი წყაროში ცხოვრობდა **616 სული,** აქედან მამაკაცი იყო **321,** ქალი – **295** (სცსსა, ფ. 254, №3, III. ფურ. 80-523, 1873 წ.).

სამი დღით ადრე, 1817 წელს, იმავე ა. პ. **ერმოლოვის** ინიციატივით, **ასურეთში** ჩაასახლეს **გერმანელები.** როგორც ა. ერმოლოვი, ისე მეფის სხვა მოხელეები, კავკასიაში ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას ახორციელებენ. ისინი ამ მხარის შიდა საკითხებითაც დაინტერესდნენ.

გერმანელთა ჩამოსახლების აუცილებლობა ა. ერმოლოვმა ასეთნაირად „დაასაბუთა“: „ქართველებს მეურნეობის გაძღოლის უნარი არ შესწევთ და არიქა „ოცდაათი გვარისაგან“ შემდგარი გერმანული ოჯახი ჩამომისახლეთო“. სწორედ ამას აუწყებდა იმპერატორის ქვეშევრდომი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმულო მრჩეველ **კოზოდავლოვის** სახელზე გაგზავნილ მიმართვაში (№24, 1816 წლის 31 დეკემბერი).

ა. ერმოლოვმა ხრიკებს მიმართა და ამ გზით მოახერხა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. **გერმანელთა ერთი ჯგუფი (65 ოჯახი, 307 სული)** მდინარე ასურეთზე დასახლდა და ამ ადგილს **ელისაბედტალი** ეწოდა (კოლონია 19 ნოემბერს იყო ადგილზე, ამ დღეს კი კალენდარი **ელისაბედის** სახელს მოიხსენიებდა).

**ასურეთში ჩამოსულები განსაკუთრებული პატივით მიიღეს.**

თითოეულ ოჯახს 60 ჰექტარი საუკეთესო მიწა გამოუყვეს. მეურნეობის მოსაწყობად მეფის მთავრობამ მათ მისცა სამშენებლო მასალა, მარცვლეული, ფული და სხვა. ბინების მშენებლობაზე ჯარისკაცები დაასაქმეს, ხოლო საშენი მასალის მოზიდვა, მიწების უფასოდ მოხვნა მეზობელი სოფლების მკვიდრთ დაევალათ. 1818 წელს 65 კომლზე (307 სული) მთავრობამ დიდი ხარჯი გაიღო: საკვები პროდუქტებით მოსამარგებლად 4. 179 მანეთი და 34 კაპიკი,

ოდესიდან თბილისამდე გზის ხარჯები და კვება 56608 მან და 56 კაპიკი, პირველ თვეებში ასურეთში კვებისათვის – 30,560 მან. და 15 კაპ, სამეურნეო საჭიროებისათვის – 26 ათასი მანეთი, მედიკამენტებისშესაძენად – 486 მან. და 43 კაპიკი, წისქვილის ასაგებად – 600 მანეთი, ხოლო სესხად – 117, 834 მან. და 77 კაპიკი.

მეფის მთავრობამ უხვად მოხსნა ქისას პირი. თითოეულ ოჯახზე დახმარების სახით გაიცა 2800 მანეთი. სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს მისცეს 25 მანეთი, ხოლო ოსმალეთიდან მოსულ ბერძნებს – 10 მანეთი, უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთ სესხი მთლიანად დააფარვინეს, გეერმანელებს კი აპატიეს.

შეღავათებითა და ყურადღებით განებივრებული გერმანელები სწრაფად გამრავლდნენ. 1819 წელს მათი რიცხვი 486 კომლს (2525 სული) შეადგენდა, 1886 წლისათვის კომლთა რაოდენობამ 690-ს მიაღწია და მოსახლეობა 2440 კაცით გაიზარდა.

**ასურეთში** შემდეგი **გვარისანი** ცხოვრობდნენ: **იოგანესი, ხრისტია, იაკობა, ცოლერი, ფრიცი, შმიდტი, გუტბროტი, ბაუმეისტერი, კაიზერი, ჰსრაუ, რომელი, ბაიტინგერი, აბერლე, ლანგენშტეინი, ბიოპლე, კუგელი, აიხგოლცი, დასტი, გიო, მილლერი, ბაუერი, ფრიკი, ბრიმი, შალლი, გოსსი, შიოტლე, კიონიგი, შლეხტი** და სხვები.

ბერძნებისა და სომხების (ისევე როგორც ოსებისა და მთიელების) ჩასახლება 1850-იანი წლებით თარიღდება, რასაც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული კამერალური აღწერის მასალები და საოჯახო სიები ადასტურებს. ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე (1988 წ. №6) მკითხველებს ვაუწყეთ, რომ **გიუმიშხანიდან** და **ანატოლიიდან** გადმოსახლებულ ბერძენთა გვერდით მცხოვრები არაერთი ქართველი გააბერძნეს და გვარებიც შეუცვალეს. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გავრცელებული ჭორები, თითქოს აქ წინწყაროში ბერძნებთან ერთად ათი სომხური ოჯახიც მოსულიყოს და სოფლის მეორე ეკლესია მათ ეკუთვნოდათ და სომხურია, სინამდვილეს არ შეეფერება. სომხად დასახელებული **არუდოვი,** ქართველი **არდიშვილია,** ხოლო ეს პატარა ცალნავიანი ეკლესია სოფელ კვირაცხოველს ეკუთვნოდა. მეფის ნაცვალ მ.ს. ვორონცოვის მითითებით ჩატარებული აღწერის (1854 წ.) მონაცემებით სოფლების **წინწყაროს, დურნუკის, სამშვილდის...** გასწვრივ –

**„მცხოვრებლები რომელ ტომს“** მიეკუთვნებიან? – წერია **„ქართველები“**, „რომელი სარწმუნოების მიმდევრები“ არიან? – აღნიშნულია **მართლმადიდებლური, „მშობლიური, სალაპარაკო ენა“** რომელია? – **ქართული.** დღევანდელ სომხურ სოფელში **სამღრეთი** (უნდა იყოს სამღერეთი) 1873 წ. აღწ. 15 კომლი ცხოვრობს, აქედან 10 სომხური და 5 ქართულია. სომხებიდან მოიხსენიებიან: **გასპაროვები, მიგდასოვები, სურუმოვები** და **ქანანოვები.**

1855 წელს **დაღეთში** ბოლნის-ხაჩინიდან გადმოდიან სომხები და დიდ დაღეთს დაღეთ-ხაჩინათ ნათლავენ. მოსული სომხების გვარები ასე წარმოგვიდგება: **ასანჯანიანი** (შემდგომში რუსული ფორმანტით **ასანჯანოვი**), **გაპრიელიანი (გაპრიელოვი), ტერ-ანდრიასოვი, სარუხანიანი, ცუკანოვი, იგათოვი, ჯაგინოვი, ქოსმანოვი, გრიგორიანი** და სხვები.

აღწერის სიებში ქართული ოჯახების სომხურ ოჯახად მონათვლისა და გვარების შეცვლის მაგალითები სომხებით დასახლებულ სოფლებშიც არაერთია. „სტუმართა“ მოსვლამდე ეს ადგილები ქართველებით იყო დასახლებული. **მამაჯანაშვილები** (შდრ. მამისულაშვილი, ამისულაშვილი) **მამაჯანოვად** და სომხად ჩაწერეს, **თეიმურაზიშვილები თეიმურაზოვები** გახდნენ, **ხარატიშვილი – ხარატოვად** იქცა, **ადამაშვილი – ადამოვად, სარქისაშვილი – სარქისოვად** (სოფ. თონეთიდან გადასულან დურნუკში 1864 წ.), **მახარაშვილი – მახაროვად** – იგივე **ჯირაშვილი** დღესაც სომხად ეწერება (სცსსა, ფ. 254, №3, 144, სია №109, ფურც. 179–199).

რუსიფიკატორული პოლიტიკა მიზნად ამიერკავკასიის მოსახლეობის გადაშენებასაც ითვალისწინებდა. **„სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი ფულსაც მოგვიტანენო“**. ასე ფიქრობდნენ რუსი მოხელენი და მათ სომხები მართლაც მხარში ამოუდგნენ. ქართველები რუს მთავრობას პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა მიჩნეული და მათი საქმიანობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ თვლიდა. „სომეხთა პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი რუსეთს ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველი მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და საქართველოში რუსეთის განუყოფლობის,

როგორც ეგონათ, ურთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა“[1].

ცარიზმის უღელქვეშ მგმინავი ქართველი საკუთარ მიწაზე, უცხო ელემენტებთან შედარებით, უფერულად და შეურაცხყოფილად გამოიყურებოდა. გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას განსახლების გზა თავის სამშობლოში, საქართველოშიც კი შეკრული ჰქონდა, უცხოეთიდან მოყვანილებს კი მიწაც ეძლოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

1803 წელს ანგარებითი მიზნით ჩატარებულ აღწერაში (ანტერსებდათ გადასახადის ოდენობის დადგენა), სახელმწიფო გლეხები მსგავსი წესით გააფორმეს, რის შედეგადაც მივიღეთ გვარები: **დავით სალამანოვი** ნაცვლად **(სალამაძისა), ბერო ივანოვი (ივანეშვილი), ბერო პავლიევი (პავლიაშვილი), იოვანე შიოვი (შიოშვილი), მახეა ბოგველინსკი (ბოგველაშვილი), გოგია სულიოვი (სულიაშვილი), აბრამ დალაქოვი (დალაქიშვილი), დათია პატიევი (პატიაშვილი), გლახა პატარკაცოვი (პატარკაციშვილი), ნინია თომოვი (თომაშვილი), იაკობ გოგიევი (გოგიაშვილი), თათო ზურაბოვი (ზურაბიშვილი), ბეცია კალატოზოვი (კალატოზიშვილი), ოთარ კაცოვი (კაციაშვილი), ბესო მეურმოვი (მეურმიშვილი), დავით გაბანოვი (გაბაშვილი), გოგია ტატუნოვი (ტატუნაშვილი), მამულა როსტომოვი (როსტომაშვილი)** და ა.შ. მკითხველი თუ ჩაუკვირდება, შენიშნავს, რომ გასომხება, ძირითადად, უცხო ძირებზე დაშენებულ და **„ოვ“**-ით დაბოლოებულ გვარ-სახელებზე ვრცელდება. საქართველოში „მოღვაწე“ ტერტერების მიერ სწორედ ეს მომენტი ითვლება გამიზნულად გამოყენებულად. ალექსანდრე ფრონელი ამ პროცესს ასე აგვიწერს: **„ბევრ ქართველ-კათოლიკეთა სამრევლოს მოძღვრებად სომხები ჰყავდათ, რომელთაც ქართულ მრევლში ჩიქორთული ქართული შეჰქონდათ. წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე სრულდებოდა. ოფიციალურად სომეხ-კათოლიკედ იწერებოდნენ, რასაც შეესაბამებოდა „ქართველი კათოლიკე“, საუბედუროდ რელიგიური ტერმინი ეროვნების აღმნიშვნელად იქცა. „მდაბიო ქართველ-კათოლიკეს, რომ ჰკითხავ, ვინა ხარო, გიპასუხებს – სომეხ-კათოლიკეო. თუ წყრომით**

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 23 სექტემბერი, 1988 წ. (გამოუქვეყნებელი წერილი).

**ან გაჯავრებით ეტყვი, რას მიედ-მოედები,მამა-პაპით ქართველი იყავ და სომეხი როგორ გახდიო, მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით მოგიგებს: დიახ, ამბობენ, რომ წინათ ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო. სომეხ კათოლიკე მოძღვართა სახელებს წინ ერთვოდა „ტერ“ (მამა-ო) და მათი სახელები ასე ჟღერს: ტერ-პოღოსა, ტერ-პეტროსი, ტერ-არაქელა და სხვა“[1].**

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მემატიანე გვიმოწმებს, რომ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებელნი ხილულად აღარ მოიძებნებოდნენ. აქა-იქ ძლივსღა ბოგინობდა თითო-ოროლა, რომელნიც მალულად წმინდა ზიარებას ღამღამობით ღებულობდნენ ერისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი მღვდელთაგან, ან კიდევ ქრისტეშობას დღესასწაულობდნენ ღორის ხორცის ნაჭრის მიღებით, რომელიც იმავე ერის მღვდლებს სოფელ-სოფელ ხურჯინებით დაჰქონდათ მრევლისათვის. ,,ვინ იფიქრებდა, რომ ქართველი სულ რაღაც 130 წლის წინათ ასე იჩაგრებოდა: ბევრს ზღაპრად მოეჩვენება, 2 მილიონი ქართველის მაჰმადიანობა, 400 ათასის გასომხება, მაგრამ სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე კია“[2].

**ერთი შეხედვით თითქოს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სრულიად რეალური ფაქტია, რომ საკუთარ მიწა-წყალზე, თავის სამშობლოში მრავალ მიზეზთა გამო ქართველი კაცი ეროვნებას იცვლიდა, სხვა გვარს იღებდა, ეროვნულობასა და სარწმუნოებას აიგივებდა.** საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა შორის დღეს ბევრს ვხვდებით **ყოფილ ისეთ ქართველს,** რომელსაც მამა-პაპური გვარი აქვს შენარჩუნებული, ეროვნება კი **ბერძენი** უწერია. არაერთი მაგალითი გვაქვს იმისაც, როცა დროთა ვითარებაში მრავალმა ქართველმა გვარიც შეიცვალა და ეროვნებაც. რა თქმა უნდა, ასეთნაირად ჩვენი წინაპარი დალხენილი ცხოვრების გამო არ მოქცეულა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ რგოლს ქართულ მიწაზე ბერძნული ახალშენების შექმნა შეადგენდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს XIX საუკუნის I მეოთხედიდან საქართველოში თურქეთის მიწა-წყლიდან ურუმ-ბერძენთა გადმოსახლება და ქართულ იავარქმნილ სოფლების ადგილზე მათი დასახლება.

[1] ალექსანდრე ფრონელი, დიდებული მესხეთი, ქ. გორი, 1914 წ., გვ. 33.
[2] ალექსანდრე ფრონელი, დასახ. ნაშრ., გვ. 27-28.

ამ მიმართებით ბერძნულ ახალშენებს შორის ყურადღებას იმსახურებს დღევანდელი **თეთრი წყაროს რაიონის მიწაზე სოფელ წინწყაროს გაჩენა.** როგორც ითქვა **წინწყარო** ისტორიულ წყაროებში (1671 წ.) ერთერთი დიდი დასახლებული პუნქტია, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერის მასალებში (1721 წ.) **სახასო სადედოფლო ქალაქია.**

**„დასტურლამალში“** (ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი), შეადგინა მეფე ვახტანგ VI-მ (1707-1709 წწ.) წინ-წყაროს გარიგებისათვის (179) აღნიშნულია: „წინ-წყაროს სამეხრეო, მეხრემ მოხნას, მანვე დაფარცხოს, წინწყაროელთ შემოზიდონ... წინწყაროს ღალა შვიდს ათეულზე ერთი: ათეულზედ კოდნახევარი, სადაც ბრძანდება, იქ მიიტანონ წინწყაროელთა სძეს: წინწყაროს ცოლიანს (ცალიანს) მალი 1 მიზალთუნი და ორი შაური, აქედან ხუთი აბაზი ბატონს და უზალთუნი მალეს (მალის ამკრეთი მოხელე): სასვიანო მორჩილი შვიდი, საშობაო ცხვარი შვიდი, ერბო – ლიტრა 7, ძროხა 1, ქათამი 80, კვერცხი 80, სააღდგომო ცხვარი 7, ბატკანი 6“ (. 708).

1721 წლის აღწერით, წინწყაროში ცხოვრობდა 110 გამომღები ყმა და 34 ბოგანო. წინწყარო ეკუთვნოდა 1 მებატონეს, 6 აზნაურსა და დედოფალს. აზნაურად იხსენიებიან: **ჩარი, თემუა** და **ბირთველა დიარაშვილ-ვარნოზაშვილები** (**დიარაშვილები** ამჟამად სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაღაროში ცხოვრობენ), ყმა-გლეხებად მოიხსენიებიან: მამასახლისი ბირთველა, **დაირაშვილის ძმები** – ბერუა, ზალია, ძმისწულები – ავთანდილი, მანუჩარ, ზურაბ **ყარაულაშვილი,** ალელი როსტომა, ყაზარა და თემუა ფასინაშვილები, გოგინა **ნაზარაშვილი,** ზალია **ქოროღლიშვილი,** ნასყიდა **ზუბუაშვილი,** ბიდუა **ბოციკაშვილი,** ზურაბ **პეპნიაშვილი,** ბერდია და გოგია **ამირბეგიშვილები,** ნასყიდა, ხეჩინა და ვრზა **მაზმნიაშვილები,** მარქარა **ჯავახიშვილი,** ალავერდა **სუთიაშვილი,** ხეჩია **ვარძელაშვილი,** გოგინა **აჩუაშვილი** და სხვა.

1818 წელს წინწყაროში მოიხსენიება გვარები: **პავლესშვილი, სომხიშვილი, თოფრაყლაშვილი, ქართველიშვილი, გალიგაშვილი** (სცსსა, ფ. 489, 6, 1-ბ, ?29, ფურ. 104-187). 1819 წელს – **ტანჯაშვილი, გურჯიშვილი, ყარაშვილი, თომასშვილი, ვასილაშვილი, თევდორაშვილი, ჯავახიშვილი, გიორგისშვილი, სტეფანესშვილი, საბამღვდლისშ-**

**ვილი, გაბრიელაშვილი, ანანიაშვილი, იონასშვილი, მღვდლისშვილი, ისპირაშვილი,** 1820 წელს, აღნიშნულის გარდა, ჩნდება გვარები: **სიმონიშვილი, საბაშვილი, აბრამისშვილი, იასეშვილი, ესტატეშვილი, ლაზარესშვილი, ნიკოლოზისშვილი, მოსესშვილი, აზარიაშვილი, იოსებაშვილი, იორდანესშვილი, ოსეფაშვილი,** მღვდლებად მოიხსენიებიან **იოსებ ავალიანი** და **დიმიტრი პავლესშვილი** (სცსსა, ფ. 189, 6, 1-ბ, ფურ. 185-195; იქვე, №27, ფურ. 130).

**ამჟამად წინწყაროში მცხოვრებთა წინაპრები აქ ჩამოვიდნენ 1855 წელს,** ამას ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული სია, მ. თ. ვორონცოვის მითითებით 1854 წელს ჩატარებული ამ მხარის აღწერის მასალები და სოფლის სასაფლაოს ქვებზე შესრულებული წარწერები.

ჩამოსულთა შორის სიაში მოიხსენიებიან: **ბოზა გავრიელოვი, ფეოდორი სტაფილოვი, ივანე კარაგეშევი, ბასკალ ბიხალოვი, ანასტასია თათაროვი, ანასტასია კატაევი, გიორგი ფახიროვი (ისაკაძე), კონსტანტინე საფაროვი, პეტრე გეკოევი, მიხეილ ჩულფაევი, მიხეილ ოსკოვი, სტეფანე კონოსოვი, ილია გალიკოვი, აბრამ კოროტოვი, ანასტასია მაზლუმოვი, გიორგი ბლიზოვი, იოსიფ კარაქლიევი (იგივე ფერიაშვილი), ნიკოლაი ჩადიევი, ანტონ ევსტაფიევი, სიმონ კატიევი, ანასტას ენიდუნიაევი, იოსეფ ბიჩახჩიევი, პავლე ფანასტოვი, ანასტასია პეტროვი, სავკა გალბიევი, პავლე იორდანოვი...** (სცსსა, ფონდი 254, №, 1855 წ. ფურ. 245-259).[1]

1873 წელს სოფელში ცხოვრობენ: **მიხეილ ყარაჯაშოღლი (ყარაგაშევი), სტათიე კალაიჩიოღლი (ყოფილი კალაძე), ვასილ თევდორაშვილი (ფეოდოროვი), ვასილ ბოსტანჩიოღლი (ყოფილი ბოსტანაშვილი, ახლა ბოსტანჯიევი), ვასილ ყარაჯაოღლი (ყარაჯიევი), იაკიმ ერაგულოღლი (ისაგულოვი), კოლტას ანოზოღლი (იგივე თევდორაშვილი, ფეოდოროვმა** გადაიკეთა გვარი **ანოზოვად), იორდან ქურდოღლი (იორდანოვი), სოფრომ მაზმანოღლი (შდრ. მაზმნიაშვილი, მაზმანოვი), ვასილ მარაბიოღლი (მარაბაევი), იორამ ნაროოღლი (ნაროევი), კირიკე ზალიოღლი (ზილფიევი), ვასილ გურჯიოღლი (გურჯიევი), კირიაკე კნიაზოღლი (კნიაზევი), ისაკ ანასტასოღლი**

---

[1] ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 1854 წელს ჩატარებული აღწერით წინწყაროში ცხოვრობენ ქართველები („კავკასიის კალენდარი", თბ., 1855, გვ. 69-75). (რუს.).

(ისაგულოვი), იოსებ ვასილოღლი (ვასილიევი, დღევ. ნიკოლაძე), პანო ბიჩახჩოღლი (ბიჩახჩიევი), ილია მიხაილოღლი (მურადოვი), სოლომონ დუმანოღლი (თუმანოვი), პავლე ისტაფილოღლი (სტაფილოვი), ანასტას ფახიროღლი (ფახიროვი, იგივე ისაკაძე), ანდრია ყარსიაოღლი (კარსიევი), ვასილ ბიჭიაშვილი (ბიდჯოევი), ანასტას მადანელოღლი (მანდიევი), ლაზარე კოზმაოღლი (კოზმაევი), დიმიტრი არუდოვი (არდიშვილი), ანასტას ხარაოღლი (ხროევი), გიორგი მურადოღლი (მურადიდი, მურადაშვილი), იასე პოისოღლი (უფლისოვი, უფლისაშვილი), პელეტ ფალევანოღლი (თაფლევანოვი), თეოდორ ჩელფაოღლი, სიმონ მირზოოღლი, (მირზოევი), სავკა პარკაოღლი (პასკალოვი), სპირიდონ ქაშენიზოღლი (ქაშაევი), ანასტას ფალევანოღლი (თაფლევანოვი), დოროთეს აზონუსოოღლი (აზოევი), იოსებ ჩახჩაოღლი (ჩახჩახოვი), ნიკოლა გადიგოღლი (გადიკოვი), პავლე ჭადაოღლი (ჭადოევი), ვასილ ყარაგაზოღლი (ყარაგაზოვი), სტათიე სტაბიეოღლი (წინწყაროში აღარ ცხოვრობს), სტეფანე თედოროღლი (თევდორაშვილი, ამჟამად ფეოდოროვი), ანდრია ფერიოღლი (ყოფილი ფერიაშვილი, დღეს კარაქლიევი), თეოფან და იაკიმ ბოზოოღლი (ბოზოევი), მიხეილ და ნიკოლა ყარყაშოღლები (კარგაშიევი), სტეფანე ჩორლიკოსტანოღლი (კოსტანოვი), მიხეილ ალექსანოღლი (ალექსანოვი), სავვა ქეიშანოღლი (პოპოვი), ივანე ყარიბოღლი (კარიბოვი), ლაზარე აივაზოღლი (აივაზაშვილი, დღევ. აივაზოვი), სავვა გურჯიოღლი (ქართველიშვილი, გურჯიშვილი, გურჯიევი), სიმონ ჭილდიოღლი (ჩუხუფოთოვი, საცხოვრებლად გადასულა სოღანლუღში), ალექსი თათაროღლი (იგივე თათარაშვილი), პავლე ოსკოოღლი (ოსკოევი), თოდორ ნიკოლაოღლი (ნიკოლასშვილი, წინწყაროში აღარ ცხოვრობენ), სტოდელ გიორგიოღლი (გიორგაშვილი).

სოფელ წინწყაროს დამატებით სიაში შეტანილი არიან: **დიმიტრი სეფიაშვილი** (სეფიანოვების გვარით ამჟამად ცხოვრობენ სოფ. აბელიანში, თეთრი წყაროს რაიონში), **სიმონ ფარაჯანაშვილი** (ფარაჯანოვი, აქ საცხოვრებალდ გადმოსულა 1863 წ. სოფ. ტბისიდან), სოფ. ტბისიდან გადმოსულია აგრეთვე **ვასილ გიგოლაშვილი** (გიგოლოვი)...

აღწერის უწყისებს ხელმოწერით ადასტურებენ: **კოლეჯის მდივანი ალექსანდრე საგინაშვილი, წინწყაროს სასოფლო საზოგადოების მამასახლისი სავვა გეორგოღლი და ნაცვალი ალექსანდრე**

**დიმიტრის ძე პოპოვი** (სცსსა, ფ. 254, №1, ფურც. 246-259, 1855 წ., და სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №356, ფურ. 191-240, 1873 წ.).

**1873 წლის აღწერით წინწყაროში აღრიცხულია 81 კომლი, მათგან 77 ბერძენი, 4 – ქართველი.**

1886 წლისათვის წინწყაროში ცხოვრობდა **1280 სული,** მათგან მამრობითი სქესის **643,** მდედრობითისა – **557,** გვარები **ბარაიაშვილი, ასკალიძე, კეკელაშვილი** და **თოფურიძე** „გახდნენ" ბერძნები. თურქეთიდან გადმოსულთა შორის მცირე ნაწილი ქართველებიც იყვნენ, რომლებსაც ბერძენთა მსგავსად შეცვლილი ჰქონდათ გვარები, მათაც ისევე, როგორც თურქეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვა ტომის ხალხებმაც, გაიარეს გათურქების ეტაპი. ერთი წყება ქართველები გადმოსახლებულებს საკუთარ მიწაზე დახვდნენ, რომლებსაც მცირე გამონაკლისის გარდა, გვარები შეუცვალეს და ბერძნებად ჩაწერეს. ესენი არიან **ქართველიშვილები** (გურჯიევები), **კალაძეები** (კალაიჩევი), **თევდორაშვილები** (ფეოდოროვი), **მაზმიაშვილები** (მაზლუმოვები), **მურადაშვილები** (მურადოვი, მურადიდები), **ასლანიშვილები** (ასლანოვი), **ასლამაზიშვილი** (ასლამაზოვი), **აივაზაშვილები** (აივაზოვები), **ქოქიაშვილები** (ქოქინოვები), **ხამოჯაგაშვილები** (ზილფიევი), **ისანამიშვილები** (სიმონოვი), **ხეჩინაშვილები** (ხეჩინოვი), **ბარათაშვილები** (დანჩიევი, ბარათოვი), **მირზაშვილები** (მირზოევი), **არდიშვილები** (არუდოვი), **თათარაშვილები** (თათაროვი), **პეტრიაშვილები** (დიმოევი), **ლაზარიაშვილები** (ლაზარიდი), **იორდანეშვილები** (ჩულფაევი), **მერაბიშვილები** (მერაბიევი), **ფალავანდიშვილები** (ფალევანოვი), **ანესაშვილები** (ამოსოვი), **გიორგიშვილები** (გიორგოვი), **თომაშვილები** (ტომაზოვი) და სხვა.

აღნიშნული გვარების ძირითადმა ნაწილმა გადმოცემით იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. **ილია გიორგის ძე დიმოევმა** (პედაგოგი, 64 წლისა) გვიამბო: **„ჩვენ ქართველები ვართ, პირვანდელი გვარი პეტრიაშვილია. როცა გვარების შეცვლა დაუწყიათ, აქ მოსულ ურუმ-ბერძენთა გვარების მიმსგავსებით, პაპაჩემის პაპა პეტრეოღლად ჩაუწერიათ. მას ეს ამბავი უთაკილია და შემდგომ აღწერაზე (1886 წ.) გვარი სახელი დიმიტრის მიხედვით, კნინობით დიმა – დიმოევად გადაუკეთებია".**

წინწყაროელმა **მათე ვასილის ძე გურჯიევმა** (75 წლის, 1986 წელს გვითხრა: **„ჩვენი გვარისანი დღეს ცხოვრობენ სოფ. წინ-**

**წყაროს, აგრეთვე წალკის რაიონის სოფლებში – კვირაცხოველში (იგივე წინწყარო), ბარმახსიზში, ხადიკაში, ბერძნების გომარეთში (ბოლნისის რაიონი), განახლებაში (დმანისის რაიონი). ყველა ისინი ერთ შტოს, ერთი ბუდის ქართველები არიან. მე მახსოვს წინაპრები – პაპები და ბებიები, რომლებიც ქართველობდნენ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. პაპაჩემს ნათესავები ჰყავდა სოფ. ერტისში, ჩვენთან სტუმრად მოდიოდა სახელად „მაღალი ვასო", აგრეთვე გიორგი.ბებიაჩემი მართაც ქართველი ქალი იყო. დღესაც საფლავის ქვაზე ეროვნების უკვდავსაყოფად რუსულ წარწერასთან ერთად არის ქართული წარწერაც" – მართა ქართველი".**

1783 წელს ერეკლე მეორის მიერ იმპერატორთან წაღებული სია იმ თავად-აზნაურთა, რომლებიც რუსეთთან შეერთების შემდეგაც არ კარგავდნენ პრივილეგიებს, გვარები **ბარათაშვილი ბარათოვად, ფალავანდიშვილი ფალავანდოვად, თუმანიშვილი თუმანოვად** და ა.შ. შეიცვალა. 200 წელზე მეტი ხნის შემდეგ წინწყაროში მცხოვრებმა **ბარათაშვილმა (ბარათოვები)** განცხადებით (თხოვნით) მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს, დაუსაბუთონ, **რომ ისინი ქართველები** და **ბარათაშვილები არიან**. მოგვყავს განცხადების სრული ტექსტი და გაცემული პასუხი.

**„ისტორიულად ჩვენი წინაპრები იყვნენ ბარათაშვილები. რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის გამო გავხდით ბარათოვები. წინწყაროში (ჩვენს საცხოვრებელ ადგილას) გადმოასახლეს თურქეთიდან ურუმი ბერძნები. აღმწერლებმა მათზე მიგვათვალეს და ბერძნებად მოგვნათლეს. გვაქვს მამა-პაპურად ქართული ტრადიციის მქონე ოჯახები, ვიცავთ ყველა ქართულ წეს-ჩვეულებას.**

გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა ჩვენი ვინაობის შესახებ" (**გიორგი ლევანის ძე ბარათოვი** 5.09.88 წ.).

„... **ბარათაშვილები**, ფეოდალური საგვარეულო იყო მე-15-16 სს-ის საქართველოში. გვარის ფუძემდებელი იყო **ბარათა ქაჩიბაძე (ქაჩიბაისძე)**. ბარათაშვილების სამფლობელო საბარათიანო მე-15 ს. ბოლოსათვის ძირითადად ალგეთის, ქციისა და მაშავერის ხეობებს მოიცავდა. მათ ეკუთვნოდათ ასობით სოფელი, ჰყავდათ დაახლოებით 250-300 აზნაური და 2500-3000 კომლი გლეხი. სამფლობელოს ცენტრი სამშვილდე იყო. ციხე-სიმაგრეები და სასახლეები

ჰქონდათ აგრეთვე დმანისში, დარბასჭალაში, ტბისში, ალგეთში, წინწყაროში (ეს უკანასკნელი მე-18 ს. I მეოთხედში სახასო, სადედოფლო ქალაქი იყო).

მე-19 ს-ში რუსული რეჟიმის გავლენით ბევრმა ქართულმა გვარმა განიცადა ცვლილება. ქართული გვარის დაბოლოება **„შვილი"** ფორმანტმა **„ოვ"**-მა შეცვალა, რაც წინწყაროში მცხოვრებ გვარებსაც შეეხო. გვარების – **ბარათაშვილი, ფალავანდიშვილი, ანანიაშვილი, თუმანიშვილი, სეფიაშვილი, თევდორაშვილი, არდიშვილი, კალაძე, პეტრიაშვილი, ქართველიშვილი, ფერიაშვილი** და სხვათა ნაცვლად გაჩნდა გვარი **ბარათოვი, ფალავანდოვი (პავლევანოვი), ანანიევი, თუმანოვი, სეფიანოვი, ფედოროვი, არუდოვი, კალაიჩევი, დიმოევი, გურჯიევი, ფერიოღლი,** რომლებიც ბერძნებად მონათლეს. **1886 წლის აღწერის მასალებში მხოლოდ ოთხი გვარიღა მოიხსენიება ქართველად.** ესენია: **საკალაიძე, კეკელაშვილი, თოფურიძე, ბარათოვი (ბარათაშვილი),** რომლებიც ასევე ბერძნულ ეთნოსს მიაწერეს (იხ. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, 1, 2043, ფურც. 263, 273-274-276; ფ. 254, 3, 136, 1873 წ. ფურც. 189-220, ფ. 254, 1, 820, 1823 წ. ფურც. 7-18 ჩათვლით; ფ. 254, 1, 2043, ფურც. 76-82; 246-259-260; ფ. 254, 3, 131, 1873 წ. ფურც. 191-242, 133, 134, 177, 192, 191, 193, 220; ფ. 254, 3, 131, 1873 წ. გვარის №№77, 78, 89, 105, 22, 116, 122, 129 (წინწყარო) ფ. 254, 3, 1637, 1886 წ. ფურც. 51, 65, 105, 113, 125, 132, 135, 139, გვარების №№21, 24, 78, 79, 89, 105, 116, 135, 139, 182: 183, 188 (წინწყარო); იხ. აგრეთვე ჟურნალი „მნათობი", 1988 წ. №6, გვ. 148-149.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც **ბარათოვები,** ისე აღნიშნული გვარის მატარებლები მართლმადიდებლები და ტომით ქართველები არიან. შეგიძლიათ გამოიყენოთ კონსტიტუციური უფლებები, აღიდგინოთ პირვანდელი (ისტ.) გვარი და ეროვნება (ისტ. ინსტ. 08-01. 662; 13.09.88 წ.) – აღნიშნულია ინსტიტუტის მიერ გაცემულ დასკვნაში.

**ზაქარია გულისაშვილს** წალკის რაიონის სოფელ წინწყაროში მცხოვრებ გურჯიევთან ჩაუწერია საუბარი: **„წალკის წინწყაროს ერთი გლეხის ოჯახს – გვარად გურჯიოვს – ერთ ცალკე ბნელ ოთახში თახჩაში მოუთავსებია ტყავზე შესრულებული ორი ხელნაწერი სახარება.**

ოთახში ხის საშანდლეები დგას და, როგორც წალკის

ბერძნობა, ისე თრიალეთზედ მცხოვრები სხვა ქრისტიანები მიდიან იქ სალოცავად – სანთლებს უნთებენ და მიაქვთ შესაწირავიც. თვითონ **გურჯიოვები** ასე ამბობენ: კახეთიდან **ბერძნიშვილები** ვყოფილვართ. წინაპრები უხსოვარ დროს გაქცეულან და იქაურ ბერძნებს **„გურჯიოვი“** უწოდებიათ ჩვენთვის გვარად. ეს ორი ხელნაწერი სახარებაც მაშინ წაუღიათ თან; ხოლო 1832 წელს წალკის ქართველ ნაოხრებზე რომ გადმოვსახლდით, ეს სახარებანიც მოვიტანეთო.

როგორც ეტყობა, ორივე სახარება უწინ მეტად ძვირფასად ყოფილა შემკული, შემდეგში გაუძარცვიათ და უბრალო ლალ-ფირუზანები ჩაუსხამთ ყდებში. მღვდელი **ზაქარია გულისაშვილი,** რომელმაც აღწერა წერილში მოყვანილი ამბავი, წერს: უფრო მეტად მჯერა მეორე ქართველ-ბერძნის, გვარად **თოფხალოვის** ნათქვამი, რომელმაც მიამბო: მეც ტყვედ წაყვანილ წინაპრის შვილი ვარო, დიდძალი ტყვეები, წიგნები და ნივთები გადიოდა თურმე უწინ საქართველოდან ოსმალეთში. გზა არზრუმის საფაშალიკოზედ იდო. აქ ბევრი მოსახლე ბერძნობა და სხვა ქრისტიანები იყვნენ – იმათ ჰქონიათ საერთო თანხა, რომელსაც ახმარდნენ ტყვეებისა და ნივთების გამოსყიდვას. ჩემი წინაპარიც ტყვეობიდგან ამათ შეუსყიდნიათ და თავიანთ შორის დაუსახლებიათ. 1832 წელს იქიდგან საქართველოს ნაოხრებზე გადმოსახლებულს მაინც ვერ გამიგია სადაური ვყოფილვარ იმ თავით... ბევრი ქართული წიგნები და ხატები იყო არზრუმის საფაშალიკოში, ქრისტიანთ შორის საქართველოდგან გადატანილი და საერთო თანხიდგან ნასყიდი – ეგ ჩემი მეზობელ გურჯიაანთ სახარებაშიც ეგრეა აქ შესყიდულიო და ამიტომ მთელი წალკა სასოებით ექცევა და სალოცავად მიდისო.

ერთი ოთხთავი მეტად ლამაზ ტყავზეა დაწერილი, მეორე უფრო ნაკლებ სიკეთეზედ – ამ მეორეს აწერია: ოთხთავი სრულ იქმნა კალმახოს ციხესა შინა (საუბარია ოროხის ხეობაში კარმახოს ციხეზე) წმინდის დიმიტრის კარის ბჭეთა, ხელთა ფრიად ცოდვილისა და უღირსისა და სულთსაწყალობელისა მთავარ დიაკონისა რომანოზისათა ქორონიკონს სკბ“ – ე.ი. 1524 წ.

ამის მწერალსა **ხერხერხეულიძესა რომანოზს** შეუნდოს. მის მამას **იოსებს** შეუნდოს. სულსა **ბექანს** ყოფილისასა და **ბესარიონს. ბესარიონის ძეს ბენიამინს** შეუნდოს ღმერთმან.

სულსა **გულდამისას** შეუნდოს ღმერთმან“ (გაზ. „ივერია“, №200, 1900 წ.).

**გრიშა (გრიგოლ) გარაქლიევის** (34 წლის, იურისტი) საუბრიდან: „დმანისის რაიონის სოფ.ველისპირში ძირითადად ბერძნები – ფილიპოვები, გურჯიევები, გარაქლიევები, ბიჩახჩიევები, დემურჩიევები, ბეროვები, შახბაზოვები ცხოვრობენ. არიან ქართველებიც: მაისურაძეები, ჯამელაშვილები და ფურცელაძეები. ფურცელაძეთა ერთი ნაწილი ქართველად ეწერება, ხოლო ნაწილი გაბერძნდა და ერგიშევი გახდა. ერთ დროს ველისპირს ერკუშაანთ სოფელი შეარქვეს და აქედან გაჩნდა გვარიც – ერკუშევი, ერგუშევი. ფურცელაძეების ერთ ოჯახში ისეთი შემთხვევაცაა, როცა ერთი ძმა ქართველია, ხოლო მეორე ბერძენი“. კითხვაზე, როგორ ახსნის ჩვენი მოსაუბრე ამ გარემოებას, ამბობს: „წინაპართა გადმოცემით, 1820-იან წლებში მეფის მთავრობა ეკონომიკურად ეხმარებოდა საქართველოში გადმოსახლებულ ბერძნებს; მათ შაქარს, ფქვილს, საპონს, ასანთს, მარილს და სხვა სახის პირველი მოთხოვნილების საგნებს აძლევდნენ. ფურცელაძეებსა და სხვებსაც რომ შეხვედროდათ დახმარება, გადაიკეთეს (ზოგს, ალბათ, გადაუკეთეს) როგორც გვარი, ისე ეროვნება.

თბილისში ცხოვრობს ჩემი მეგობარი ვენია ერგიშევი, რომელმაც აღიდგინა მამა-პაპური გვარი (ფურცელაძე), ეროვნებას კი არ უცვლიან, ეუბნებიან ბერძენი ხარო“.

ამავე ველისპირში მცხოვრები **ბეროვები** მეზობელი სოფელ ახალიან არიან გადმოსული. ახაში **ბერუაშვილები** ქართველები არიან, ველისპირში კი – **ბეროვები**, ეროვნებით **ბერძნები**. ამ გვარის წარმომადგენლებთან საუბარში გაირკვა, რომ მათ გვარი და ეროვნება XX საუკუნის დასაწყისში შეეცვალათ.

**ბასონოვი ანტიპა ანდრიას ძე** (57 წლის, 25. VIII. 89 წ. ისტორიის მასწავლებელი) გურჯიევთა გვარის წარმოშობის შესახებ ამბობს: სოფ. სარკინეთში მცხოვრები ყოფილი თეთრაძეები დღეს გურჯიევებად, ეროვნებით ბერძნებად ითვლებიან. თეთრაძეები გადმოვიდნენ სოფ. გომარეთიდან, ურუმ ბერძნებს შორის რომ მოხვდნენ, მათ „გურჯის“ ეძახდნენ. (თურქ. „გურჯი“ ხომ ქართველია) და აქედან წავიდა გვარი გურჯიევი, მეორე წყება გურჯიევებისა (ეს ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია ქვემო ქართლის ბერძნულ სოფლებში) მოდიან ქართველიშვილებიდან. ქართველიშვილები, ბევრი სხვა ქარ-

**თულ გვართან ერთად, გაასახლეს ყარსში, იქ გურჯიოღლებად გახადეს, როცა მშობლიურ მიწაზე დაბრუნდნენ, უბრალოდ, გურჯს ოღლი (შვილი) ჩამოაცმლეს და გურჯიევებად დარჩნენ".**

მკითხველს ვთავაზობთ ჩანაწერს ორი გვარის თაობაზე 1886 წლის კამერალური აღწერიდან. **იორდანე იოსების ძე თევდორაშვილის (თევდოროვის)** ოჯახის შემადგენლობა: **იორდანეს** ძმა **ვარლამი,** შვილები **იორდანე, სოლომონი, ისიდორე, ვარლამის** შვილები – **იოსები, პავლე, მინადორა... გრიგოლ ლამბრიონოვი,** მეუღლე **მარია, შვილები, კირიაკია, პორესა, ხრისტინა...**

მკითხველს უთუოდ დაებადა კითხვა, როგორ მოხდა, რომ საკუთარ მიწა-წყალზე ქართველი გაბერძნდა და გვარ-სახელიანად სხვა ეთნოსს მიეკუთვნა? მიზეზებზე ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ „მნათობში" გამოქვეყნებულ წერილებში (როლანდ თოფჩიშვილი **XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ** X12, 1986 წ., იაკობ ახუაშვილი, **ეთნიკური პროცესები გარისის მიწაზე,** №6, 1986 წ.), აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ წინწყაროში გადმოსახლებულებს რუსეთმა განსაკუთრებული პირობები შეუქმნა, თითოეულ ოჯახს სამი დესეტინა მიწა მისცა და ყოველი სახის გადასახადისაგან გაათავისუფლა. ასეთსავე პირობებში აღმოჩნდა ბერძენთა შორის მცხოვრები, ეკონომიკურად ხელმოკლე ქართველი კაცი, ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩანაწერები რუსულად კეთდებოდა და აქ ამა თუ იმ პირს როგორ ჩაწერდნენ, ალბათ, არც ანგარიშს უწევდნენ და არც ინტერესის საგანს შეადგენდა. ეროვნებაზე მითითება საჭირო გახდა 1917 წლის შემდეგ, როცა ადამიანებს ქალაქებში წასასვლელად დაბადების მოწმობა და პასპორტი დასჭირდათ.

დღეს საქართველოში ორი წინწყაროა – **ერთი თეთრი წყაროს,** ხოლო მეორე **წალკის რაიონში.** თეთრი წყაროს აქვს ორი ეკლესია... მცხოვრებნი ერთ-ერთ მათგანს გრიგორიანულ ეკლესიად მიიჩნევენ. მარნეულის მხრიდან სოფელში შესასვლელის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს მდებარე ეკლესია (არაფეოდალური ხანისაა, XVII ს-ში გადაკეთდა „ღვთისმშობლის" ეკლესიად) ეკუთვნოდა აქ არსებულ ქართული სოფლის – კვირაცხოველის ბინადართ. ამ სოფელში 1843 წლის აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდნენ: **კონსტანტინე ფილიევი, დიმიტრი დიმიტრიევი, იოსებ ზიროვი, ლაზარე ლევთეროვი (ბოზოვი),**

**იოსებ კოსტანოვი** (აფისოვი), **სტეფანე იოგინოვი, სავვა გურჯიოღლი, სავვა გეორგიევი (დემირჩოვი), ხარიტონ ათანასოვი, ივანე ასლანოვი, ვასილ (ივანოვი) ტარსეპოვი, თევდორე ამანათოვი** (**ამანათიშვილები** ქართველები არიან და გადმოსულან ტრაპეზუნდიდან, გვარზე არის მინაწერი **ამინათოვი-ტრაპეზუნდოვი),** სტეფანე ტრანდაფილოვი, სტეფანე ათანასოვი, კირიაკ ასლამაზოვი, ივანე პაინდოვი-დემიგენოვი (სცსსა, ფ. 254, 1, 2043 წ., ფურ. 76-81). კვირაცხოველი ერთდროულად წინწყაროთაც მოიხსენიება. სოფლის აღწერაში წერია: **„კვირაცხოველი იგივე წინწყარო“**. კვირაცხოველისა და სოფ. წინწყაროს მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად გადავიდა წალკის რაიონში და ქართულ ნასოფლარს, სადაც დასახლდნენ, **უწოდეს წინწყარო (იგივე კვირაცხოველი)**. მოთხრობილი ამბავი დღესაც კარგად ახსოვთ, როგორც თეთრი წყაროს, ისე წალკის წინწყაროს ხანდაზმულ ადამიანებს.

წინწყაროში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, იყო ქართველთა სასაფლაო ეკლესიითურთ. სასაფლაო გავერანებულია – ნაწილი მოასფალტებულია, ქვები – წაღებული. აქ ჩამოსულ ბერძნებს ეკლესიის მოვლა-პატრონობაზე უფიქრიათ, ეკლესიის რესტავრაცია 1882 წელს დაუწყიათ და 1892 წელს დაუმთავრებიათ.

წინწყაროს მიდამოებში ნასოფლარი ყოფილა, რომელსაც **არნაუთა** რქმევია. შემაღლებულ ადგილას აღმართულია დარბაზული ტიპის არნაუთის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ **„დედა ღვთის“** ეკლესია, რომელიც სოფელ მაწევანსა და წინწყაროს შორის მდებარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. სოფელ წინწყაროს სიძველის უტყუარი ძეგლია ადრეულ საუკუნეებში აგებული გუმბათოვანი ეკლესია **„აი გიორგი“**.

**კოდა-მარნეულის** მიმართულებით მგზავრობისას ავტომანქანა „მოსკვიჩის“ პატრონმა ეროვნულ საკითხზე ჩამოაგდო საუბარი. როგორც გაირკვა, მას საკუთარი პრობლემა აღელვდება. დღეს რომ **კილინკაროვად** იწერება, მისი ოჯახი, ძმები და ბიძაშვილები, სიღნაღიდან გადმოსული **ჯალიაშვილები** არიან. ფედია კილინკაროვის (იგივე ჯალიაშვილის) გადმოცემით, მის პაპას – ნიკო ჯალიაშვილს კაცი შემოჰკვდომია და მარნეულის რაიონის უკიდურეს სოფელ **ოფრეთისთვის** შეუფარებია თავი. ფედიას მამამ კარგად იცოდა

ქართული, შვილები და შვილიშვილები ცდილობენ არ დაივიწყონ მშობლიური ქართული ენა. ოფრეთელმა **ჭედილაშვილებმა** გვარი არ შეიცვალეს, მაგრამ ბერძნებად იწერებიან.

**თრიალეთში,** წალკის რაიონული ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 45-ე კმ-ზე, მდინარე ქციას მარჯვენა მხარეს მდებარეობს ქართული სოფელი **რეხა.** მის გაჩენას მეისტორიენი 200 წლის წინათ ვარაუდობენ. აქაურმა მცხოვრებლებმა (170 კოლმლია) ამჟამადაც ზოგი რამ იციან წინაპართა და სოფლის ისტორიის შესახებ. **ჰამლეტ ნოეს ძე საბაძის** (47 წლის, პედაგოგი) და **გიორგი ზაზოვის** (24 წლის) თქმით, **საბაძეები** გურიიდან არიან, მათი თავდაპირველი გვარი ყოფილა **მანველიძე.** სხვა ქართველებთან ერთად, ამ გვარის ხალხიც გაუსახლებიათ თურქეთში, საიდანაც ორი ძმა, **საბა** და **ვახტანგი,** გამოქცეულა და თავი შეუფარებიათ ახალციხის რაიონის სოფ. **ხეოთში. საბამ** დაუდო სათავე **საბაძეების,** ხოლო **ვახტანგმა ვახტანგიშვილების** გვარს (**ვახტანგიშვილები** ცხოვრობდნენ აგრეთვე გორსა და თელავში, მათ საერთო არა აქვთ რა აღნიშნულ ვახტანგიშვილებთან. 1870-იანი წლებიდან თელაველი **ვახტანგიშვილების** ნაწილი **ვახტანგოვებად** მონათლეს). **ხეოთში** საბაძეებს აუგიათ ეკლესია, რომელიც დღესაც არსებობს. დროთა განმავლობაში საბაძეები ხეოთიდან გადასულან კოთელიაში (ახალქალაქის რ-ნი), ხოლო იქ იძულებული გამხდარან შეეცვალათ ადგილსამყოფელი და სადმე მოშორებულ, უშიშარ ადგილას გადასულიყვნენ. ასეთად კი დღევანდელი სოფელი რეხა აურჩევიათ. ხეოთის ეკლესიის პატივსაცემად **საბაძეები** დიდმარხვობას დღესაც ინახავენ. კოთელიაში ჰყავთ ნათესავები, ახლობლები და მათთან მისვლა-მოსვლაც აქვთ.

**ზაზაშვილები** გორის რაიონიდან ჯერ თბილისში წასულან, ხოლო იქიდან რეხაში გადასულან. წასვლის მიზეზი გვარის მატარებლებმა არ იციან. რეხაში ზაზაშვილთა 4 კომლია, რომლებიც **ზაზოვებად** და **ეროვნებით ბერძნებად იწერებიან.** მათ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ქართული ენა და ქართველებთან გავრცელებული სახელები: **გიორგი, უშანგი, ზაზა, ზურაბი, ზვიადი, თედო (თევდორე), ბათლომე, ცირა, ნანა, მზია, ლიდა, ზეინაბი, საბედა,** თუმცა ზოგს ბერძნული სახელიც ჰქვია: **ართემიდა, ოდისეი** და სხვა.

**გიორგი ზაზოვის ნათქვამიდან: „მყავს სამი შვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, მექანიზატორი, მეორე წელიწადია, რაც გავეყარე**

**მამაჩემს, მინდა წინაპრებს მივბაძო და კიდევ მივუმატო შვილებს, ვიცით, რომ ქართველები ვართ, ყველას გვინდა ჩვენი გვარისა და ეროვნების აღდგენა, ოღონდ არ ვიცით, როგორ გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ?!".**

**კოსტანაშვილები – ყარამანი, შალვა, ზაზულა, ილია, ისაკი –** იწერებიან **კოსტანოვებად** და **ბერძნებად.** რეხელ **კალაძეებს (კალაიჩევებს)** ჰქონიათ მეორე გვარიც, **ღარიბაძე, კალაიჩევებიც,** როგორც აქ, ისე სხვა ბერძნულ დასახლებებში (წინწყარო...), ბერძნებად არიან ჩაწერილი.

**ლაზარიშვილებიდან** ნაწილი **ლაზაროვია,** ბერძენი, ხოლო ნაწილი – ქართველი. არიან ისეთებიც, რომლებსაც გვარი შეეცვალათ ლაზაროვად, ხოლო ეროვნება დარჩათ ქართველი.

**ღვინიაშვილები** დიდხანს **ხრისტოფოროვებად** იწერებოდნენ, დღეისათვის კი ლითქმის უმრავლესობამ დაიბრუნა საკუთარი გვარი და ეროვნება (**ქართველი**).

**ნიკოლაძეები – დავით, ბენო (ბენიამინი), მევლუდ, რამაზ, ლამარა, ცარო, ივერი...** კარგა ხანს იწერებოდნენ **ნიკადიმოვებად, ვასილევებად,** ეროვნებით **ბერძნებად.**

ბერძნებს შორის ვხვდებით გვარს **ბალაბანოვს.** იგი ყოფილი ქართული **ბალაბანიშვილია.** სოფ. ავრანლოში მცხოვრებმა ბალაბანოვმა მონათლა რეხელი **დალბანდიშვილი,** ნათესაური კავშირი რომ განმტკიცდა, ურჩია დაწერილიყო ბალაბანოვად (ბერძნად), რათა შესძლებოდა მიეღო საბერძნეთიდან ბერძნებისათვის გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგის ნაწილი, ბერძენთა შორის მცხოვრები ქართველების გაბერძნების ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ, ვინც ბერძნობას მიიღებდა და გვარს შეიცვლიდა, სურსათ-სანოვაგე მასაც შეხვდებოდა.

გარდა აღნიშნული გვარებისა, ამჟამად სოფელ რეხაში ცხოვრობენ: **მაცუკატოვები** (ზოგის აზრით ისინი **ივანიძეები,** ზოგის კი – **ქოჩიკიძეები** არიან), **მურმანიშვილები (მურმანოვები).** რეხა ვიდრე გორის რაიონში შედიოდა, ისინი იყვნენ **მურმანიშვილები.** აქვე ცხოვრობდნენ: **მიქაძეები, მინაძეები, ღარიბაძეები, მამულაძეები, ხუციშვილები, მანძულაშვილები, ურუმაშვილები** (ეს უკანასკნელნი გადმოსულან **„ბერძნების გომარეთიდან"**).

რეხელების ეკლესიაში (აღადგინეს 1877 წ.( მღვდლებად დიდხანს ქართველები იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მღვდე-

ლი გვარად **დარჩია** შეცვალა ბერძენმა მღვდელმა და დაიწყო საკუთარი მრევლის მომრავლება. ვინც გადავიდოდა ბერძნულ გვარზე და ბერძნებად ჩაეწერებოდა, იგი მათ სამოთხურ ცხოვრებას, საბერძნეთიდან გამოგზავნილ ბრინჯს, საპონს, სურსათსა და სხვა სიკეთეს ჰპირდებოდა და უსრულებდა კიდეც.

**ქართველების მთვლემარე გენებში თანდათან იღვიძებს მიწის, ტრადიციის, ფუძის, ქართული სიტყვის სიყვარული და პატივისცემა.** ზოგიერთმა გაბერძნებულმა ქართველმა დაიწყო კიდეც საკუთარი წარმომავლობის, გვარის გენეზისის დადგენა-ძიება. ვინც დარწმუნდა, აღიდგინა კიდეც მამა-პაპეული გვარი (**ბარათაშვილი, თევდორაშვილი, გაბაშვილი...**) და **ეროვნება.** მრავალ მოქალაქეს სწადია, თვითშეგნების საფუძველზე, სხვათა დარად იმოქმედოს, მაგრამ მეზობლებსა და თანასოფლელებს ერიდება, ფრთხილობს, ცუდკაცობა არ დასწამონ. სწორედ ამის გამოა, ჩვენთან, რომ მოდიან და გვეუბნებიან, ჩვენც ვიცით ქართველები რომ ვართ, მაგრამ გთხოვთ დოკუმენტურად დაგვისაბუთოთ, რომ სხვებსაც გავაგებინოთ, რომ ჩვენი მოქმედება სავსებით გამართლებული და კანონიერია.

ზემოთ მოთხრობილი ვინმეს ზღაპრად ან გაგონილად რომ არ მოეჩვენოს, შეუძლია გაეცნოს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მასალებს და უმალ დარწმუნდება: ესა თუ ის ქართული გვარი როგორ იცვლიდა არქიტექტონიკას და გრაფაში (ტომი", „ჩამომავლობა") ოდითგანვე ქართველი როგორ ხდებოდა არაქართველი.

პასუხის მოძებნა რომ გაგიადვილდეთ, გკარნახობთ არქივის ფონდის ნომერსა და გვერდებს: სცსსა, ფონდი 54, 1; 2043, ფურც 76, 82. 246-259-260; ფ. 254, 3; 131, 1873 წ. გვარის №№77, 78, 89, 105, 11; 116, 122, 129 და ფონდი 254, 3, 1637, 1886; ფურც. 51, 65, 195; 113; 125, 132, 135; 139 ცალკეულ გვართა რიგითი ნომრები: 21, 74, 78, 89, 105, 116, 135, 182: 188 (სოფელი წინწყარო) და სხვა.

*პატივისცემით იაკობ ალგეთელი*
*10.VII.2004 წ.*

# გვარ-სახელთა გენეალოგიური
# ნ უ ს ხ ა
# საქართველოს ისტორია გვარ-სახელებში
(დოკუმენტური მასალები)

## ა

**აბადიაშვილი** მოიხსენიება 1721 წ. საკუთარი სახელი **აბადა** (ქართლ. ცხ., II, 234); შდრ. ზმნა **აბადია** (იგივეა, რაც გააჩნია). ზაალ **ციციშვილი-ბაადურიშვილის** ყმად დიდ დაღეთს მოიხსენიება **დათუნა აბადიაშვილი** (ვახუშტი, 32); შდრ. **ბადიაშვილი** (საკ. სახ. ბადია, ხევსურ; ბარისახო, **ალ. ღლ.**, 80). (დიდი დაღეთი).

აბაშიშვილი 158
*ქარელი 115*
*თბილისი 27*
*გორი 11*

**აბაშიშვილი** საკ. სახ. **აბაშ** (ქართლ. ცხ., II, 280); **აბაშ** (ტბეთის მატიანე,. 239, 355); **აბაში** (**გ. ლეონ.** სახელები).

დაცულია გვარებში: **აბაშიძე, აბაშიშვილი, აბაშია.** შდრ. **აბაშმაძე** (ი. მაისურ., 15); **აბაში** – 1. ექიმი, .შინაური მკურნალი. 2. შინაური წამლეულობით მკურნალი.

„**თავადი აბაშის შვილი**. ესენი იყვნენ ძველად **ყიფიანნი** ეგვიპტის ნაწილიდგან; ოდეს მეფესა დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს; მაშინ **აბაშმან** ამან ცხენი თავისი მიართო და განარინა მით წელსა ქრისტეს აქეთ 1285სა და შემდგომად ბრძოლისა, მეფემან მიიღო **აბაში** იგი მერეთ, შემდგომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა **აბაში** იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა **თავადობა აბაშადვე წოდებით** და სომხითსა შინა სამეფოთგან ადგილნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამითგან არიან **თავადად აბაშად** აღვიარებულნი გარნა ამა დროსა შინა ასწყდა გვარი მათი და არვინღა არიან შთამომავ-

ალობანი მისნი" (საანდაზო ლექსები, 27);[1]

**აბაშიშვილები** ქვემო ქართლში იყვნენ **მებატონეები. დავით აბაშიშვილს** 1721 წელს ყმები ჰყოლია კიკეთში, გოლთეთში, ფარცხისში, ოშეთში, მჟავისში, გარისში, ეცოში, უკანდაღეთსა და დიაში. სულ ჯეელი კომლი ოცდაშვიდი იყო, ბოგანო – სამი (ვახუშტი, გვ. 116-117). **საამ** და **ედიშერ აბაშიშვილებს** – ბეთანიაში, ნახშირის გორაში, მძოვრეთში, ენაგეთში,. ახალშენში, გარისში, ტბისში, წინვენახში, თაკვაში, დვალთაში, ზემო ოძისში, ხოზეთში, საბუზარში, თაფანში, ჩხეკვში (იქვე, გვ. 177-119);

**1721 წ. აბაშიშვილი და ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე** მანგლისის საეკლესიო მიწასა და იქ. მოსახლე გლეხებზე პრეტენზიას აცხადებდნენ და ამის თაობაზე ვახტანგ მეფესთან წარდგნენ. (დ. ფურცელაძე, Груз. крест. грамота, გვ. 11); 1785 წ. **ლუარსაბ აბაშიშვილმა** იოანე ეპისკოპოსს შესწირა სოფელი არმანეთი (იქვე, გვ. 11).

| | |
|---|---|
| ᲐᲑᲘᲐᲗᲐᲠᲘ | 112 |
| *თეთრიწყარო* | *62* |
| *თბილისი* | *37* |
| *გარდაბანი* | *5* |

**ᲐᲑᲘᲐᲗᲐᲠᲘ //აბიათარაშვილი// აბიათარიშვილი// აბეთარაშვილი** ეს გვარი მოიხსენიება სოფ. ენაგეთში. **აბიათარ** (უცხ.) მამა ამაღლებული,, საკ. სახ. **აბიათარ** (ქართლ. ცხ., I, 95) ,,როდესაც წმინდა ნინოს მიუთხრა მეფეს მესიის გამოჩინება, მისი სწავლა და ცხოვრება, მირიანს ენიშნა: ,,მაშინ მირიანა მეფე განჰკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხავენ ჰურია–ყოფილსა აბიათარს ძუეულთა და ახალთა წიგნთასა და იგი ყოველსა" (ქრონიკ., I 47).

**გიორგი, გრიგოლ და აბიათარ ჭარმაულებს,** 1531 წელს ბასილ კათოლიკოსმა დაუმტკიცა სოფ. ხატი-წობენა და მათგანვე შეძენილი სხვა მამულები (საქ. სიძვ., II, 401);

**აბაითარი** მოიხსენიება 1616 წ. (დოკ., I, 16);

**იოანე ფავლენიშვილი** იულონ ბატონიშვილს ტყვიავიდან აბი-

[1] იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) მიერ აღწერილი თავად-აზნაურთა გვარები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფ. 5, №3729). ᲝᲚᲦᲐ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐ ,,ქართველ თავადაზნაურთა გვარების წარმოშობას, შორეულ წარსულს უკავშირებს. ძირითადად, ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა, ამრიგად აღნიშნული წყაროს მონაცემები ხშირად ისტორიულ საფუძველს მოკლებულია. მათი ხელაღებით უარყოფა მაინც არ შეიძლება, რადგან ჭეშმარიტების მარცვალსაც შეიცავენ" (ო. **სოსელია**, ნარკ. ფეოდ. ხანის დას. საქ. სოც-პოლიტ. ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973 წ., გვ. 53).

ათარის მიერ აყრილი კაცის მამულსა სთხოვს (1791 წ. 1 ივლისი, სცსსა, ფ. 1450, დავთარი №17, საბუთი №171);

**იოანე კათალიკოსის ნასყიდობის წიგნი** (1616) **გვაუწყებს:** „...ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავართა მთავარმა, ქართლის კათალიკოზმან, პატრონმა იოვანემ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, დიდსა და ცათა მობაძვისა სვეტისა ცხოვლისა და კუართისა საუფლოსა კათოლიკე ეკლესიისა დედაქალაქისასა მცხეთისა შვილსა ელიოზის ძესა დავითს... და აბიათარს, ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა[თა]... მოგიბოძეთ მამუკასეული სამამათავრო და ახტანს სამი კომლი"... (საქ. სიძვ., II, 145); **აბიათარაშვილი** მოიხსენიება (1741 წ.) მამულისა და ყმის ზურაბ ზურაბის შვილის მიერ ქაიხოსრო **ორბელიანისადმი** გაცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 295); **აბიათარის შვილი,** არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულისა თაობაზე, ერეკლე მეორის ოქმით, 1792 წ. 17 ივლისი (ქსე., VIII, 164);

**გაბრიელ ზოზიაშვილი** მამულის თაობაზე, არზით მიმართავს იულონ ბატონიშვილს: „...ერთი ვენახი მქონდა გირაოთა. მოვიდა ეფემიას შვილმა მამუკამა, მალვით აბიათარის შვილს მიმიყიდა..." (1796 წ.,, 18 იანვარი, ხელნაწ. ინსტ.-ტი AD 263);

**აბაითარისშვილი** მოხსენიებულია 1792 წ. 17 ივლისის არზაში (სცსსა, ფ. 1450, დავთარი №31, საბუთი №206); 1798 წ. 2 მარტის არზაში (იქვე, საბ. 184); 1873 წ. აღწერის მიხედვით ჩნდება სოფ. თხილნარა. აქ მოხსენიებულნი არიან **გოგია აბეთარიშვილის** ვაჟი **ოთარ აბეთარიშვილი** და **ნინიკა აბეთარიშვილი,** რომელიც სოფ. მოხისიდან გადმოსულან (**იოანე ბაგრატიონი,** ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., თონეთში ტფილისის მაზრის სოფ. თხილნარიდან (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, 1886 წ. ფ. 82-146); ოთარ და ნიკოლოზ აბეთარიშვილები (1873 წ. აღწერით) მოიხსენიებიან სოფ. მოხისში (სცსსა, ფ. 254, №3, 241, ფურ. 821-825 (თონეთი, თხილნარა, მანგლისი, მოხისი).

ᲐᲑᲘᲠᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1523) კომპოზიტია. საკ. სახ. **აბირო** (ალ. ღლ., 67); **მურა** (იქვე, 167).

**აბირ** (სპარს.) – სირცხვილი, ნამუსი, პირისწყალი. **მურა** – რუხწითელი, შავ-წითელი ძაღლი (**საბა**); საკუთარი სახელია **აბირმურა** (ქრონიკ., II, 350); „...ერთთწილად ზედა თაფანს დაგუიდებია

ძამურა **აბირმურაშვილი**. მოხსენებულია 1523 წ. ბარათაშვილთა გაყრის სიგელში (ქრონიკა., II, 350); (თაფანი). (**აქ და ყველგან დართულია ის სოფლები, სადაც დაფიქსირდა ესა თუ ის გვარი ი.ა.**).

**აბიშელაშვილი** (1721 წ.). სავარ. რთული სახელი **აბი,** **აბილ,** (სვან., I, მესტია, ალ. ღლ., 66). **შელა, შელა-ი** (ხევს., გერგეტი, ალ. ღლ., 219). ,,ქ. ბატონის ტფილელისა, ქ. ღოლოვნას, 1721 წ. **გიორგი აბიშელაშვილი**“ (ვახუშტი, 47).

| აბრამიშვილი | 580 |
| --- | --- |
| *ბორჯომი* | *68* |
| *თბილისი* | *44* |
| *გორი* | *30* |

**აბრამაშვილი** (1721 წ.) **აბრამ** (ძვ. ებრ.) ,,მამა სიმაღლისა“, ან ,,ამაღლებული“. ქართულში მნიშვნელობით ემთხვევა აგრეთვე მეორე ებრაული სახელი **აბრაჰამ** (–აბრაამ–აბრამ), ,,მამა მრავალთა“ (**ზ. ჭუმბ..**, დედაენა ქართ., 320). (ებრაულად ,,ურიცხვთა მამა“) – ბიბლ. პატრიარქი, თარას ძე, უფლის მეგობარი, ისმაილისა და ისააკის მამა, იცოცხლა 380 წ. (ძვ. წ. 2180–1800) (აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 24). დათუნა, თამაზა, ელისბარა, ქაქუცა, შერმაზანა, ნინია **აბრამასშვილ-იახათუნასშვილები** (1767 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, საქ. მუზ., ფ. Hd №2838); ,,ქ. **ხოსროხანიშვილისა** კრწანისს (1721 წ.) თამაზ **აბრამიშვილი**“ (ვახუშტი, 23). ეკლესიის მღვდლად კოდაში 1823 წ. მოიხსენიება იაკობ აბრამიშვილი, მეუღლე ნინო, შვილები: თომა, თინათინი, სალომე, იაკობის მეუღლე ბარბარე. ამავე წელს თავად **გედევანიშვილის** გლეხად სოფ. ერტისს მოიხხსენიება ქიტესა აბრამიშვილი (სცსსა, ფ. 254,, I, 802, ფურ. 43–60), (იქვე, ფურ. 93-98);

| აბრამიძე | 1185 |
| --- | --- |
| *ვანი* | *476* |
| *თბილისი* | *261* |
| *ქუთაისი* | *120* |

**აბრამიძე** (1886 წ.) საკ სახ, **აბრამა** (დოკ., II, 134); **აბრამ** (**გ. ლეონ.** სახელები); ამავე ძირისაა აბრამია.

1886 წელს სოფელ თეთრ წყაროში სოფ. მანავიდან გადმოვიდა **ივანე გაბრიელის ძე აბრამიძე** (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, 1610, ფურ. 94 (სოფ. თეთრი წყარო).

**აბრამი** ბიბლიური ტრადიცია (მოსეს I წიგნი, XI–XIV ). **აბრაამის** სამშობლოდ მიიჩნევენ **ურს**. ა. პირველმა აღიარა ერთღმერთობა, რის გამოც წარმართი თანამემამულენი სდევნიდნენ. დატოვა სამშობლო და უფლის ,,აღთქმულ ქვეყანაში“ – ქანაანში (პალესტინა) გადასახლდა. იცოცხლა 175 წელი. ყურანში ა. (იბრაჰიმი) მიჩნეულია ებრაელთა და არაბთა საერთო წინაპრად. მაჰმადის

წინამორბედად (ქსე, ტ. 1, 32) (ბერძ. Abraam, ლათინ. Abraam, სომხ. გვხვდება **აფერჰამ** ფორმების სახით, **აბრამი** (დოკ., II, 134); **აბრამ** (გ. ლეონ., სახელები); **აბრამელა** (სახ. არქ., 1448, №2405); **აბრაჰამ** (ქართლ. ცხ., მუზ., ფ. Hd №9758); **აბრამიძე** საქართველოში მოიხსენიება 1523 წელს (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, თბ., 1991, გვ, 61).

**სახელი აბრამი** ძირითადად ებრაელებშია გავრცელებული, გვარი კი ქართველების კუთვნილებაა. სოფ. წინწყაროში მცხოვრები აბრამიშვილები ბერძნებად არიან ჩაწერილი და **ავრამოვ**-ად იწოდებიან.

ამავე ძირისაა: აბრამია, აბრამიშვილი, აბრამიძე (ერტისი, კოდა, კწანისი, წინწყარო).

ᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1373
*თბილისი 693*
*მცხეთა 211*
*კასპი 163*

**ᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **აბუ** – შუმერთა ნაყოფიერების ღმერთი ძვ. დინასტიისა. ეშნუნაში (ტელ. ასმათში) ჰქონდა დიდი ტაძარი, რომლის იატაკის სიღრმეში ნაპოვნი 60 თიხის ფიგურა ბაღდადის მუზეუმის საგანძურშია (ნაწილი გადაეცა ჰილდელსჰაიმის მუზეუმს). მათ შორისაა ხელოვნების უნიკალური ძეგლი, 72 სმ სიმაღლის მარმარილოს ღმერთთან მლოცველი მამაკაცი (მასთან აღმოჩნდა ქალღმერთი ყრმით). ქვის წვეროსანი ბნელფორებიანი **აბუ** ძვ. წ. 2700-2500 წლებისაა (თვალები მძარცველებმა ამოუგდეს) (ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 24).

საკ. სახ. **აბუა** (საქ. სიძვ., I, 225); ...ქ. ფარცხისი იხსენიება **აბუა ჯანიაშვილი** (ვახუშტი, 117); **აბუა** სახელიდან **აბო** უნდა მომდინარეობდეს. **აბო** ტფილელი გაქრისტიანებული არაბის სახელი იყო. წამებული **აბო** ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და შეიტანა კალენდარულ სახელებში. ეკლესია აბოობას 8 იანვარს დღესასწაულობდა. **აბოს** საალერსო ფორმებია: **აბონ, აბრო,** აბუა.

**ყაზარა, შანაზარა, ზადიკა აბუაშვილები** იხსენიებიან 1721 წ. აღწერების მასალებში (**ვახუშტი,** 245). „ქ. ბატონიშვილის ვახუშტისა მონასტერს (ირაგას მარჯვნივ) **გოგია აბუაშვილი**" (ვახუშტი, 22). სოფ. ვაშლოვანში 1781 წ. აღწერით მოიხსენიებიან **რევაზ აბუაშვილი** და მისი შვილი **მოსია (ივ. ჯავახ.,** სეიძ., I, 167).

**კოდაში** 1818 წელს **ივანე დემეტრაშვილის** ვაჟის **ბერას** მიმქმელი ყოფილა თანასოფლელი **გიორგი აბუაშვილი** (სცსსა, ფ. 289,

აღწ. 6, 1ბ); **ფარემუზა აბუაშვილი,** მეუღლე **მაია,** ვაჟი **თედო,** ქალიშვილები: **ელისაბედი, ხორეშანი, ბარბარე, მოსია აბუაშვილი,** მეუღლე **ბარბარე,** ქალიშვილი – **მარინე,** ძმა – **გიორგი აბუაშვილი,** და – **თამარ აბუაშვილი, შიო აბუას ძე აბუაშვილი,** ვაჟი **ნინია,** მეუღლე **ელისაბედი,** ძმები – **დავითი, ქიტესა, ანდრო, გიორგი აბუაშვილები** მოიხსენიებიან სოფ. ვაშლოვანის 1823 წ. აღწერის მასალებში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 99 105);

1873 წ. აღწ., იქვე მოიხსენიებიან: **შიო, ხრისტო, დიმიტრი, გიორგი, დავით, ნიკოლოზ, გიორგი** (მეორე) **აბუაშვილები** (სცსსა, ფ. 254, №3, 112,ს აქმე X7, ფ. 25-51); შდრ. **აბუაშვილი – ნოზაძე** (1671 წ. პალ., I, 62) (ვაშლოვანი, კოდა, მონასტერი (ირაგას მარჯვნივ).

**ᲐᲑᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 7) უნდა მომდინარეობდეს სახელიდან აბუზვა. „**მანუჩარ ქავთარაშვილის** ყმა... ქ. ჩხიკვთას. **ელიზბარა** აბუზაშვილი" (ვახუშტი, 1721 . 122). (ჩხიკვთა).

| |
|---|
| ᲐᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1187 |
| *სიღნაღი 403* |
| *თბილისი 286* |
| *ახმეტა 142* |
| *(XVII ს. IV მეოთხ)* |

**ᲐᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1703 წ.), საკ. სახ. **აბულა** (დოკ., II, 78); **აბულა** მკერვალთუფროსი იხსენიება 1635 წ. (სცსსა, ფ. 1449, საბ. - 2449); აბულა – 1771 წ. **გრიგოლ ჩოლოყაშვილის** მიერ **ერეკლე II** სახელზე გაცემული არზა (საქ. მუზ., Hd №2618);

1703 წ. **სვიმონ ამირეჯიბმა** მამუკა აბულაშვილისაგან იყიდა საჭე სოლმანაურთ ნაფუზვარში (იქვე,. II, 195);

**აბულაშვილი** (1710 წ.) მოიხსენიება სოფ. ენაგეთში, ერთ-ერთი გუჯარით სუფრაჯ ბატონ დავით აბაშიშვილს მაცხოვრის ხატისათვის შეუწირავს (საქ. სიძვ., I, 79); **აბულაშვილები 1721 წ. აღწერის მასალებში არიან ყმებიც და აზნაურებიც.** „ქ. **იესე სოლაღაშვილის** ყმა ლოუბანში: კაცია და ოქრუა აბულაშვილები (ვახუშტი, 140); „ღვთისია აბულაშვილის ყმა საჭეს: 1721 წლ. აღწ. მისის ძმის გასაყიდელი დაუხსნია (ვახუშტი, 156); „რევაზ აბულაშვილისა **იორდანე მაცხონაშვილი**" (იქვე, 156); „ქ. გივი აბულაშვილისა მაჩქათაღანას **ნინია ფირალიშვილი**". „ქ. საჭეს, **ხიზანა ხიზანიშვილი,** ბოგანო თამაზა, ბარათა და გიორგი აბულაშვილებისა ქ. საჭეს: **ბერუა ონაშვილი, რამაზა მილილაშვილი, დათუნა ბიძინაშვილი,** ბოგანოები **გამსახურდი** და **ოანაშვილი. აბულაშვილების თერთმეტი** ჯიელი კომლი, ბოგანო სამი" (ვახუშტი, 156-157); ბარათა, გიორგი,

რევაზა, ღვთისია, გივი აბულაშვილები (1721 წლ. აღწ. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ყარაბულაღში (იას. ლორთქ. ნაწ. III და IV, 319);

**აბულაშვილები** XVI-XVII სს. ცხოვრობდნენ ფშავის სოფ. შუაფხოშიც (რ. თოფჩ., 35); სოფ. ღოუბანში მცხ. **პეტრე აბულაშვილმა** 1818 წელს თანასოფლელ აბრამას მოუნათლა ქალიშვილი მელანია (სცსსა, ფ. 489, 6, 1ბ, №24, ფურ. 146); **ნინია აბულაშვილი,** მეუღლე **ელისაბედი,** ვაჟი **დათია,** დათიას მეუღლე **ნინო,** დათიას ვაჟები: **სოსია, პეტრე, სოლომონი,** ქალიშვილები: **მართა, მარიამი, ეფემია** იხსენიებიან ღოუბანში 1823 წლიდან (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 83-92) ენაგეთში მცხოვრებ ფრიდონ აბულაშვილს დაებადა ვაჟი, მონათლა ანტონ ციმაკურიძემ, დაარქვა გრიგოლი (489, აღწ. 6, საქა. 31, ფურ. 167, 1826 წ.); ღოუბანში მცხოვრებმა პავლე პეტრეს ძე აბულაშვილმა (1874 წელს) ჯვარი დაიწერა ვარდისუბნელ იაკობ ჯავახიშვილის ასულ ანაზე. თავმდებნი იყნენ ღოუბნელები: თევდორე შიოს ძე მაკარიშვილი, ივანე პავლეს ძე ჩომახაშვილი, დიმიტრი თევდორეს ძე ხუციშვილი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1);

შდრ. **აბულაძე, აბულვარდისშვილი, აბულფათისშვილი.** (ბოგვი, ენაგეთი, ღოუბანი).

ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ 10438
*თბილისი 1474*
*თერჯოლა 829*
*ზესტაფონი 687*
*1584 წ.*

**ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ** (1708 წ.), **აბულაძეშვილი** (1823 წ.), **აბული,** მთების დიდი და პატარა **აბულის** სახელწოდება.

**აბული,** ტბა ახალქალაქის რაიონში, პატარა **აბულის** დასავლეთ ფერდობზე. **აბული,** სოფელი ახალქალაქის რაიონში (კარტიკამის საკრებულო); მდ. ფარავნის შენაკად აბულის სათავეში. ხალხურ ლექსშიც ვკითხულობთ: **„ადე, ადე, აბულაო, თეთრად გათენებულაო“.**

საკ. სახ. **აბულა. აბულა,** გორელი **ხითარიშვილის** ნასყიდი ყმა ქვენატკოცელი **ოვათელას** ძმა, 1649 წ. (დოკ., I, 33); მამუკა აბულაძე, 1708 წ. აპრილის 3-ს. მამუკა აბულაძისა და დათუნა **კოსაძის** მიერ დეკ. **არდაშელი ზუბულიძისადმი** მიცემულ ბიჭის დახსნილობის წიგნი (დოკ., I, 137).

**აბულაძე თამაზა** მოიხსენიება 1768 წ. ზაზა **თარხნიშვილისა** და **მიროტაძის** განჩინებაში. ჯავახეთიდან აყრილა და ზაზა თარხნიშვილის ყმა გამხდარა (დოკ., II, 70); **აბულაძეები** სოფ. ბოგვში

მოიხსენიებიან 1873 წლიდან. კერძოდ, **თამაზ აბრამის ძე აბულაძე,** ვაჟები **აბრაამი** და **ბერდია,** 1884 წ. თამაზ აბრამის ძე აბულაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); პატ. ენაგეთელმა დავით იორდანის ძე აბულაძემ 1882 წელს მონათლა ქალიშვილი ეკატერინე დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. მიმქმელი იყო არდისუბნელი გლეხი **ისაკ გრიგორის ძე ქოჩორაშვილი** (სცსსა, ფფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); 1886 წლის აღწერით მოიხსენიებიან იგივე თამაზ აბრამის ძე აბულაძე, შვილები: აბრამი, აბელა, კოლა, ვანო, ძმები: მიხეილ, ალექსი; მიხეილის შვილი ვასილი; თამაზის მეუღლე საბედა, ქალიშვილები: კეკელა, სონა, მაკო, გაიანე. მიხეილის მეუღლე მაკა(ო), ალექის მეუღლე (მაკო); ბასილა ბერიკას ძე აბულაძე, შვილები: გლახა, ვანო. ბასილის მეუღლე მარუსა, ქალიშვილი ანა (სცსსა, ფ. 254. №3, 1609, ფ. 170-183). **ბერო აბულაძეშვილი დავითის ძე,** მეუღლე **მარეხი,** შვილი **ვასილი,** ქალიშვილები **ნინო, სალომე** მოიხსენიებიან სოფ. ბოგვის 1823 წლის აღწერაში, გენერალ-მაიორ **ახვერდაშვილის** გლეხად (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 5–12);

ბოგვში 1885 წელს მიხეილ აბრამის ძე აბულაძემ მონათლა ვაჟი ვასილი, მიმქმელი იყო დიდ ენაგეთელი გიორგი ივანეს ძე **სუხიტაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1);

ამავე ძირისაა: **აბულაშვილი, აბულაძეშვილი, აბულფათიშვილი, აბულვერდიშვილი, აბულიძე.** (ბოგვი, პატარა ენაგეთი, ჯორჯიაშვილი).

**ᲐᲑᲣᲚᲤᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1673 წ.) **აბულფათი** შედგება ორი ნაწილისაგან: **აბულ, აბულა.** საკ. სახ. და სიტყვა **ფათ**-ისაგან (იმერ.) გაფათება, გასწორება, გათანაბრება ანგარიშისა. **ფათა** (ქიზიყ.) ყაიმი (**ს. მენთეშ.,** ძეგლები); **ფათი** არის აგრეთვე საკ. სახელიც. დამოწმებულია კოლხ., 65 ლეწურწუმე, მეტსახელი **ფათა** ქვ. გომი, კასპის რ-ნი (ალ. ღლ., 198);

1673 წ. სოფ. ტბისში მოხსენიებული არიან აბულფათიშვილები (იხ. საქ. სიძვ., I, 79); „**აბულფათისშვილი ბეჟანი,** 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა დბანისში“ (ისს. ლორთქ. ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 320); ბეჟან და ლუარსაბ აბულფათიშვილებს ვხვდებით ლუარსაბ აბულფათიშვილის მიერ გოსტაშაბ **ასლანისშვილის** სახელზე 1740 წ. გაცემულ ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ. ფ. Hd, №10, გ.29); (ტბისი, ცოვრეთი).

| |
|---|
| ადამაშვილი 834 |
| თბილისი 603 |
| ბოლნისი 52 |
| კასპი 34 |

**ადამაშვილი** // **ასლანაშვილი** (1489 წ.) **ადამ** (ძვ. ებრ.) „თიხა“ (წითელი მიწა). ბიბლიური ლეგენდების მიხედვით, ღმერთმა პირველი კაცი შექმნა თიხისაგან და სწორედ ამიტომ **ადამი** ეწოდა. აქედანაა ნაწარმოები სიტყვა **ადამ-იან-ი** (**ზ. ჭუმბ.**, დედაენა ქართ. 320).

თურქულ ენოვან ხალხებში **„ადამ“** ნიშნავს **კაცს.** საკ. სახ. **ადამ** მრავალ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. **ადამ** – მოხსენიებულია **გივი ამილახვრის** მიერ **პაპუნა ორბელიანისადმი** მიცემულ პირობაში (1685-1995 წწ., საქ. სიძვ., II, 176). **„...სოფელ ქისტაურის მკვიდრთაგან ძირად მთიელებად თვლიან თავს ადამაშვილები“** (რ. ТОФჩ., გვ. 33); 1832 წ. სოფელ მაწევანში მცხოვრებმა **ანდრია ელისბარის ძე ადამაშვილმა** პირველი ქორწინებით ჯვარი დაიწერა მუხათელ თავად **გრიგოლ ორბელიანის** გლეხ **ივანე სარქისაშვილის** ასულ **ელისაბედზე**. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **იაკობ ხუროვმა** (**ხუროშვილი** – ი. ა.), თავმდებნი იყვნენ სარძლოს მხრივ: **ნანუშა ბაჯიაშვილი, აზატა სარქისაშვილი, არაქელა კიკოლაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 25);

1843 წლის აღწერით, პატარა თონეთში მოიხსენიება **იაკობ ასლანაშვილი (ადამაშვილი), სოსია და გოგია ასლანაშვილი (ადამაშვილი)** (სც¹სსა, ფ. 254, I, 2043, ფურც. 328); მაწევანელმა **გიორგი ადამის ძე ადამაშვილმა** დიდი ენაგეთის წმ, გიორგის ეკლესიაში (1871 წელს) მონათლა ვაჟი **ალექსანდრე,** მიმქმელი იყო **სოფიო ზურაბის ასული ოძელაშვილი** (მატრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრიწყარო №1); **ნიკო, სოლომონ, ოჰანეზ (იოვანე) ადამაშვილები** იხსენიეიბიან **1873** წ. პატარა თონეთში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №320, ფ. 218–244).

**ზაქარია იოსების ძე ადამაშვილი** პატარა თონეთში მცხოვრები **ესტატე გარსევანის ძე ხელაძის** მეჯვარეა (სცსსა, 1882 წ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1). მაწევანელმა მიხეილ ანდრიას ძე და გიორგი ანდრიას ძე ადამაშვილებმა მონათლეს შვილები იოსები და სოლომონი – მიმქმელი იყო თანასოფლელი **დავით გიორგის ძე ლომსაძე** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); (ბორბალო, პ/თონეთი, მაწევანი, ღოუბანი).

ადოლაშვილი 28
*თეთრიწყარო 17*
*თბილისი 8*
*გარდაბანი 2*

**ადოლაშვილი** (1871 წ.), საკ. **ადოლა** (საქ. სიძვ. II, 55); **ადოლ-ი** (ლეჩხ., ორბელი; გ. ბოჭორ., კახ. 146, ალ. ღლ., 68);

ფარცხისელმა სახელმწიფო ყმამ **სოლომონ ზურაბის ძე ადოლაშვილმა** (1871 წელს) ითხოვა ვარდისუბნელი (დღევ. შავსაყდარი.– ი.ა.) სახელმწიფო ყმის **ნიკოლოზ თეგაძის ასული ეკატერინე** (მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); მეჯვარე იყო **ივანე პავლეს ძე ადოლაშვილი.** ფარცხისელმა სახელმწიფო ყმამ იოსებ ესტატეს ძე ადოლაშვილმა და მისმა მეუღლემ სოფა მათეს ასულმა მონათლეს ქალიშვილი, მიმქმელი იყო საღირაშენში მცხოვრები **მიხეილ ცქრიალაშვილის** ასული **სიდონია** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1) სახაზინო ყმამ დავით გიორგის ძე ადოლაშვილმა და მისმა მეუღლემ მაკრინე აბრამის ასულმა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლეს ქალიშვილი სოფა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). (ფარცხისი).

**ადომელი** (1721 წ.), საკ. სახ. **ადომელ** (გ. ბოჭორ., კახ. 154); **ადომელა** (სახ. არქ. 1449, №348); ა. თინა., ღულელები (ალ. ღლ., 68);

„პატარა ენაგეთში სახელმწიფო ყმა **ანდრია ადომელის ძე მესტვირიშვილი** (1871 წ. სცსსა, მეტრ. წიგ. ფურ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1). „ქ. **ჩხეიძის სეხნიასი** ღორისთავს, 1721 წ. გიუა **ადომელი**“ (ვახუშტი, 37) (ღორისთავი).

ადუაშვილი 1868
*გორი 682*
*თბილისი 571*
*დმანისი 193*

**ადუაშვილი** (1706–07), საკ. სახ. **ადუა** (ალ. ღლ., 68). დმანისში მცხოვრები **ადუა** მამულითურთ წილად ხვდა **თავად იოთამ ბარათაშვილს** (1537–1538 წწ. VIII. 16. 1450–11/112); „აქავ **ადუა** ნასყიდი ძმისწულებით“ (სცსსა, ფ. 1149, საბ. №854, 1766 წ.); **ადუასშვილისა** და **პაპუნაშვილის** მიერ როსტომ **ყორღანაშვილისათვის** მიყიდულ გურგენას ნაქონი ვენახი ერთმანეთს ემიჯნებოდა (XVIII ს. 80-იანი წ. 1450–1/105); **ელიბო** და **იასე ადუაშვილები** იხსენიებიან **პაპუა თურქისტანიშვილის** მიერ იასე ადუაშვილის სახელზე გაცემულ თავდახსნილობის წიგნში (სცსსა, ფ. 1448, საბ. №942); „ქ. **ხოსროხანიშვილისა** ქ. სამშვილდეს: ...**ბაინდურა ადუაშვილი**, 1721 წ.“ (ვახუშტი, 24); 1818 წელს კოდელი ადუაშვილის ქალი მარინე ცოლად გაჰყვა

თანასოფლელ გიორგი მაისურაძეს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, ფურ. 164); გოლთეთელმა პავლე გიორგის ძე ადუაშვილმა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ვაჟი დავითი. მიმქმელი იყო **სვიმონ პეტრეს ძე ქათამაძე** (სცსსა, ფ. 489, ა1წ. 9, თ/წ. №1); (გოლთეთი, დმანისი, ჯვარა, კოდა, სამშვილდე).

| |
|---|
| ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ 2612 |
| *თბილისი 642* |
| *ქუთაისი 368* |
| *გარდაბანი 227* |

**ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ,** საკ, სახ. **ავალ(ა), ავალ-ი.** თეიმურაზ I-მა (1633) უბოძა ერთგულ ყმებს საფიცრის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: გიბოძეთ ესე ავალიშვილსა, პატ(რ)ონსა ზაქარიასა და შვილ-თა თქუენთა ბოდბელ მთავარ-ეპისკოპოზსა პა-ტრონსა არსენის, ავალსა, ქაიხსოროსა (საქ. სიძვ. III, 541); **ავალ ავალიშვილი** იხსენიება პირობის წიგნში – ზაალ ავალიშვილსა და სხვებს მიუციათ კათალიკოზ ანტონისადმი (დოკ., I, 333); ავალიანები 1807 წ. მოიხსენიებიან სოფ. ბრეთში (დლევ. ქარელის რ-ნი), ჰყოლიათ ყმები (დოკ., II, 226); **ეგნატე ავალიანი,** მღვდელი, საბუთის დამწერი (იქვე, 250); პეტრე ავალიანი, სოფ. ბორბალოს წმ. ელენეს ეკლესიაში ბლაღოჩინი, დეკანოზი (489, 6, №31, №25); **ავალიანები** და **ავალიშვილები** ერთი ძირისანი არიან. **ისტორიულად სამცხის სათავადო გვარეულობაა.** ვახუშტი მთავართა და წარჩინებულთა გვარებს შორის იხსენიებს (ქართ. ცხ., IV, 34); ბორჯომის ხეობის მფლობელნი: გიორგი ავალიშვილი (ქრონიკ., 1, 128); ავალ, არსენ, გიორგი, დავით, დემეტრე, ზაალ, ზალ, ზურაბ და სხვა. ავალიშვილები (დოკ., I, 478–479);

**როსტომ ავალიშვილი** 1721 წლის აღწერით გარეშე მება-ტონე, ჰყავდა ყმები თრიალეთში (ისს. ლორთქ., 320); 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ხოტევიდან ასურეთში გადმოსახლდა ალექსანდრე ავალიანი (ასურეთი).

**ავალიშვილი // პეტრესშვილი // გოგიასშვილი** (1886 წ.).

| |
|---|
| ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 944 |
| *თბილისი 393* |
| *ხარაგაული 107* |
| *გარდაბანი 98* |

**ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში,** დაწინაურდა XV-XVI სს. ძვე-ლი თორის მხარეში (ახლანდ. ბორჯომის ხეობა). აქ ჩამოყალიბდა ა-ის სათავადო **(საავალიშვი-ლო),** ცენტრი სადგერი იყო. საავალიშვილო (1535-45 წწ.) იმერეთის სამეფოში, 1545 წლიდ-ან კი სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. XVI ს-ის 70-80 წწ-წლ ოსმალებ-

მა დაიპყრეს. XVII ს-ში ავალიშვილების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში გადასახლდა, საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენილნი გამაჰმადიანდნენ და ბეგების წოდება მიიღეს. ქართლ-კახეთის ავალიშვილები იყვნენ ეპისკოპოსები, ეკავათ მოურავთა, ეშიკაღაბაშთა, მეითართა და სხვა თანამდებობები (ქსე, ტ. I, 114);

**ავალისშვილები** ძველად **ციციშვილთა** გვარს ენათესავებოდნენ და წინაპარს სახელად **ავალა** ერქვა. თავდაპირველად სახლობდნენ ახალციხის ახლომახლო, როცა ათაბაგი „განდგა და დაიპყრა ახალციხე თავისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601, მათგან რომელიმე შთავიდნენ იმერეთს, სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობის მიზეზთა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა. რომელიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი **ავალიანნი** ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: **პეტრესშვილები, გოგიასშვილები,** ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი“ (საანდაზო ლექსები... 21);

**გიორგი ავალიშვილი** მოიხსენიება 1886 წლის აღწერით სოფელ პატარა თონეთში (სცსსა, ფ. 254, №1, 1274 ფურ. 149).

შდრ. **ეთნონიმი ავალნი** (კეკ., ეტიუდ., I, 179); (პატარა თონეთი) შდრ. ავალიანი.

**ᲐᲕᲐᲢᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – (1523წ.), სავარ. მეტსახელი ავადამა. შტრ.: ავბეწვა, ავპეწი, ავგაროზი... ენაგეთში მცხ. აზნაური (ბარათაშვილების) გაყრის წიგნით, ერთ წილად ერგო გერმანოზსა და მის ძმებს: თ...ას, გოსტაშაბს, ფალავან ხოსროს (ხელნ. ინსტ.., 1523, Ad 1299 ა). (ენაგეთი).

| | |
|---|---|
| ᲐᲕᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 160 |
| *საგარეჯო* | *68* |
| *თბილისი* | *56* |
| *რუსთავი* | *18* |

**ᲐᲕᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.) საკ. სახ. **ავაქა//ავაგა,** იხსენიება 1744 წ. თუმანიანთ პაპუას მიერ ჩარჩიანთ ქრისტესიას სახელზე გაცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 319); **ავაგ** (ქართლ. ცხ., II, 17);

**ავაგ სარგისი** – მე ავაგ სარგის ცა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ (შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, 1259 წ. (ქსძ, II, 65); **ავაქაშვილი** გვხვდება (1678 წ.) **ესტატე ხოსიტაშვილის** მიერ თავის განაყოფ ზურაბ, სულხან და **ყალანდარ ჯიმშიტაშვილების** სახელზე გაცემულ ყმების ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 57); **ბეროა ავაქაშვილი** იყო მოწმე შაყუბათა ბერუაშვილის მიერ

დოლმაზა **შანშიაშვილისა** და დურმიშხან **დემურაშვილის** მიერ თავის ბიძაშვილ ალიხანასათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნებისა (1678 წ. IX, Hd – 14179; 1700 წ. X. 15 (1450 9/149); **ავაქაშვილი,** მეუღლე მარიამი, ვაჟები – კიკუა, დავითი, ქალიშვილები – ანახანუმი, მარგარიტა, მალალა – მოიხსენიებიან ერტისში 1823 წ. აღწერის მასალებში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 93 – 98); შდრ. **ავაგაისძე, ავაგაშვილი, ავაგუმაშვილი** (დურნუკი, ერტისი).

**ავბეწვასშვილი** 29
*გორი* 3
*გურჯაანი* 3
*თელავი* 29

**ავბეწვასშვილი //ავბეწვასშუილი// ავბეწვაშვილი** (1638 წ.) სავარაუდოა მეტსახელი **ავბეწი //ავპეწი//** ავი პეწისა, გონჯი, ულამაზო.

**ავბეწვაშვილი** მოიხსენიება 1632-1658 წწ.-ის თუმანიშვილების მამულების გაყოფის საქმეზე შედგენილ განჩინების წიგნში (Hd №145); **ავბეწვასშვილი (ავბეწვასშუილი)** – ახალდაბის მცხოვრები ერთწილად მამულითურთ მანუჩარ და ჯიმშიტა **თუმანიშვილებს** ერგოთ 1656 წ. (Hd – 14665), შემდგომში ჯიმშიტა (თუმანიშვილს) დარჩა (1656 წ. Hd – 12271).

**ავბეწვაშვილი** კოდაში მოიხსენიება 1853 წ. აღწერის მასალებში (კოდა).

**ავგაროზაშვილი** 27
*თბილისი* 5
*თელავი* 2
*ყვარელი* 20

**ავგაროზაშვილი//შინდაძე** (1400 წ.). **ავგაროზი** – პატარა ნივთი თილისმა, რომელსაც ცრუმორწმუნეები გულზე იკიდებენ (ქეგლ).

**კრკონელი ავგაროზი** გოშფარ და როინ **ჯავახიშვილის** გაყრისას **ნახევარი** მამულით ერგო პირველს ([1527–1558 წწ.]), Qd–605); **[აბ]რაჰამ ავგაროზის ძე** იყო, სამეფო კარის მწიგნობარი, რომელმაც შეადგინა გიორგი მეფის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელზე გაცემული მონასტრის წყალობის სიგელი (1338 წ. Hd–11628); შიდარელ გრიგოლ ავგაროზის ძე – **ანდრიასშვილს** გულშარ დედოფალმა უბოძა თოთხმეტი ათასი თეთრი, რათა გულშარისათვის გადაეხადა ალაპი ქვათახევის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე დაევალა **ონიას** (1488 წ., 1449–1489).

„**ავგაროზი** ჯერ იყო მეტსახელი, შემდეგ საკუთარ სახელად იქცა. ისტორიაში მოიხსენიებიან: **ავგაროზი,** 1446–1460 წწ. უძველესი დროის ქსნის ერისთავის გირშელი ქვენიფნეველი II-ის შვილი

(ქრონიკ., II, 27); **ავგაროზ ჟურული** (1460 წ. 12 ივნისი), იქვე (278); **ავგაროზ ქარუმიძე** (იქვე) და სხვა.

| | |
|---|---|
| ავგაროზიშვილი | 37 |
| *თეთრიწყარო* | *28* |
| *თბილისი* | *4* |
| *რუსთავი* | *5* |

ავგაროზიშვილს წინ უსწრებდა **ავგაროზის ძე** (იხ. 1488 წ.): **შინდარ ავგაროზის ძე** (ქრონიკ., II, 306), **ავგაროზ შინდაძე,** საიდანაც მომდინარეობს ავგაროზაშვილი. ...1400 წელს თემურ ბეგის ლაშქრობასთან დაკავშირებით, **გრიგოლ შინდაძე (ავგაროზიშვილი)** გვაუწყებს: „მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ჴელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისაჲ, დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ შინდაძე (შინდაძესა) ავგაროზიშვილი". შემდგომ ჩამოთვლის მის მიერ ნამოქმედარ საქველმოქმედო საქმეებს და დასძენს: „...და დავხსენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოI, გულაI ავგაროზი... წმინდანნო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს-ოდენ შევიძელ და შენდობით მომიხსენეთ: სულსა შინდაძისა ავგაროზისასა შეუნდვენ ღმერთმან" (ქრონიკ., II, 204–205).

**სოფ. წიფორიდან გადმოსულან ავგაროზიშვილები სოფელ კოდაში.** „...აქავ კოდაზედ სარდალ-სახლთხუცის ყმა წიფორელი... იოანე ავგაროზასშვილი, ამის ძმა შიო, აქავ წიფორელი **ბერიძე ავგაროზასშვილი" (ივ. ჯავახიშვ.,** ალმ. საქ-ოს XVIII ს. ხალხის აღწ. დავთრები, წ. I, 176).

კოდაში 1818 წელს **დავით ავგაროზიშვილის** ქალიშვილის, **მარინეს,** მიმქმელი იყო **ალა შანშიაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ).

„**კოდას გიორგი ავგაროზიშვილს** ეყოლა შვილი, სახელი უწოდა **ქეთევან** ნათლიად იყო კოდელი **ხოსრო ეგნატისშვილი**" (489, №6,57,1828 წ. ფურ. 9); კოდელმა **თევდორე ავგაროზიშვილმა** 1829 წელს იქორწინა ნადარბაზევში მცხოვრებ **მათეს** ქალ **ტასიასთან**. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **აბრამა ხუროშვილმა**. თავდები იყვნენ: **სარბიქა მეკოკისშვილი, არუთინა დალაქისშვილი, პავლე თათარაშვილი** (489, აღწ. 6, №76, ფურ. 5).

ავეტიზაშვილი (1721 წ.) საკ. სახ. **ავეტიზა** (საქ. სიძვ., II 203). **ავეტიზ მარქარას ძე,** მჭედელი (საქ. სიძვ. II, 203; **ავეტიზ ხარებას** ნიშნავს. შდრ. **ხარაბაძე, ხარებავა**... „ნოდარ სუფრაჯის ყმათ საღირაშენს 1721 წ. აღწერით იხსენიება **დოლმაზ ავეტიზაშვილი**" (ვახუშტი, 112).

ამავე ძირისაა: **ავეტისაშვილი** (საქ. სიძვ., I, 496). შდრ. **ავეტისოვი** (საღირაშენი, არდისუბანი).

| | |
|---|---|
| ავთანდილაშვილი | 203 |
| *ქარელი* | *101* |
| *თბილისი* | *44* |
| *გორი* | *12* |
| ავთანდილოვი | 141 |

**ავთანდილაშვილი//იეგანაშვილი//ბექანიშვილი** (1721 წ.). **ავთანდილი** მნიშვნელობით უკავშირდება **არაბულ-ირანულ** ენებს, ნიშნავს „სამშობლოს გულს“, „სამშობლოს რწმენას“, ან „სარწმუნოების სამშობლოს (კერას)“. საკუთარ სახელად იქცა და ძალიან გავრცელდა ქართულში. პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მისი მოფერებითი ფორმაა **ავთო** (ზ. ჭუმბ., დედა ენა ქართ. 20); 1721 წლის აღწერით **ზაალიშვილი** პატარა ზურაბის ყმად ქ. რაფაქეთში იხსენიება მოლაშქრე **თამაზ ავთანდილაშვილი** (ვახუშტი, 58); „ქ. საკარისში იაგანას ყმები ყოფილან ფარუა და ყულიჯანა ავთანდილისშვილები (იქვე, 353).

**ავთანდილისშვილები** 1721 წ. აღწერით იყვნენ **მემამულეებიც**. ცნობილ არიან: **ავთანდილისშვილი//იეგანაშვილი, ავთანდილისშვილები//ბექანიშვილები;** ბერუა, გიორგი, დოლმაზა, ფარემუზა, ფარემუზ (მეორე), ფრიდონა, ზავრადა, ბექანა, ნოდარ, ფარუა, ავთანდილ, იეგანი... ყმები ჰყავდათ: დბანისში, დბ-ის ვარდისუბანში, ფარანჯუკში, საკარში (საკარისი, რაფაქეთი). ზოგი გასომხდა (**ავთანდილოვი**).

**ავჭალელი** (1873 წ.), საკუთარ სახელად ქცეული სადაუროების სიტყვა, **ავჭალა** (ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი).

შდრ. **გლოველ-ი, ენაგელ-ი, ახმეტელ-ი, ახატნელ-ი, ბელაქნელ-ი, მაჩხანელ-ი** და მისთ. (მარაბდა),

| | |
|---|---|
| აზარაშვილი | 303 |
| *თბილისი* | *155* |
| *ბოლნისი* | *47* |
| *ქუთაისი* | *20* |

**აზარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **აზარა**, გვხვდება გვარში: **აზარაშვილი** (ალ. ღლ., 69); **აზარ** (სპარს.) ნიშნავს „ცეცხლს“, „სტუმარს“. შდრ. **ცეცხლაძე**. „ქ. ლუარსაბ **ვარაზაშვილის** ყმა ქ. ზას, 1721 წ. **ბერუა აზარაშვილი**“ (ვახუშტი, 137).

ამავე ძირისაა: **აზარიაშვილი.**

| | |
|---|---|
| აზარიაშვილი | 390 |
| *თბილისი* | *133* |
| *თეთრიწყარო* | *77* |
| *საგარეჯო* | *68* |

**აზარიაშვილი** (1721 წ.), **აზარიაჰ** (ძვ. ებრ.) „შეწევნა ღვთისა“, „შემეწია უფალი“ (საბა, 10); საკ, სახ. **აზარია** (**გ. ლეონ.**, სახელები); „ქ. **სოლოღაშვილის იესეს** ყმა ღოუბანს: ... ივანე აზარიაშვილი“. (ვახუშტი, 140). ღოუბანში მცხოვრებმა ივანე აზარიაშვილმა 1826 წელს

შვილი მოუნათლა თანასოფლელ სოლომონ სულხანიშვილს (489, 9, №31, №25, ფურ. 154); ღოუბანს მცხოვრებ ლაზარე აზარიაშვილს 1829 წ. შეეძინა შვილი, მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა, დაარქვა ანა; ივანე აზარიაშვილს დაებადა ვაჟი, დაარქვეს იოსები (489, აღწ. №6, №76, ფურ. 1); 27 წლის ანდრია აზარიაშვილმა იქორწინა ბოგველ ივანე კიკოლაშვილის ასულ (14 წლის) თინათინზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ (იქვე, ფურ. 4).; ღოუბნელი აზარია აზარიაშვილი 1930-იან წლებში სახცოვრებლად გადავიდა სოფელ კოდაში და დასახლდა ვასილ ბარნოვისა და მისი მამის ზაქარია ბარნოვის ეზო-ნასახლარში (კოდა, ღოუბანი).

ᲐᲖᲐᲢᲝᲕᲘ (ყოფილი ᲐᲖᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ) 101
*თბილისი 53*
*გურჯაანი 44*
*თელავი 2*

**ᲐᲖᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ხატიაშვილი** (1721 წ.). სპარს. **აზად** თავისუფალი, საშუალო და წვრილი მონათმფლობელები, გაბატონებული კლასის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა სასანიანთა ირანში. **აზად** (ისტ.) **თავისუფალი,** კერძოდ, **განთავისუფლებული ყმა**.

საღირაშენს 1721 წ. როსტომისა და გუგუნას (ნამანგლელევიშვილები) ყმად მოიხსენიება ბერი აზატაშვილი (ვახუშტი, 120).

**აზატიშვილები** კოდაში მოიხსენიებიან 1817 წლიდან. გვარი მომდინარეობს ძველი ქვეშიდან 1897 წელს გადმოსულ **აზატა**-დან (ივ. ჯავახ. სეიძ. I, 175); **„ნონია აზატაშვილი, შვილი სიმონი, მართლმადიდებელი, ქართველი“** (სცსსა, ფ. 254, I 1274, 1851, ფურ. 55). თავად ზურაბ ორბელიანის გლეხებს შორის სოფელ მუხათს 1823 წლის აღწერაში მოიხსენიება სარქისა აზატაშვილი იგივე (ხატიაშვილი), მეუღლე, მარიამი, ვაჟიშვილი აზატა, სარქისას ძმები იაკობი, ნონია, მეუღლე ნანუა, ვაჟი არუთინა, ქალიშვილები – სარა, სოფიო, ანა, მეორე ძმა ყაზარა, მეუღლე **შუშანა,** დედა მარიამი, აზატას ქვრივი ქეთევანი (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 38).

**ᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1851 წ.), სავარ. საკ. სახ. **აზო.** კნინობითი ფორმებია: **აზია, აზონ, აზორ, აზორეი, აზორკ, აზრია** (ალ., ღლ., 69); **აზუა** (სოფ. მუხათი).

**აზია** დამოწმებულია სოფ. მარაბდაში (აზია ფიჩხულაშვილი).

შდრ. **აზიანი** (ნამდვ. გვარი **დონდაროვა**) – ქართველი დრამატურგი, პუბლიცისტი (კოდა).

**ᲐᲖᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.) – რთული შედგენილობის (ორფუძიანი) გვარია (შდრ. **ადიბეგა, ალაიბეგა, ამირბეგა, ასანბეგა** და მისთ.); „საერთო დაბალში სოფ. წრაურთაში 1721 წ. ყაფლანიშვილის მამულში მოსახლეთა შორის იხსენიება **მირზუა აზიბეგაშვილი**“ (ვახუშტი, 159).

| | |
|---|---|
| ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 153 |
| საგარეჯო | 84 |
| თბილისი | 36 |
| რუსთავი | 20 |

**ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.) **აზნაური** თავისუფალი (საბა, 9). **აზნაური** (ძვ.) პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი, თავადზე დაბლა მდგომი (ქეგლ.); **აზნაური (აზნაურიშვილი)** თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინიდანაა წარმოებული. სიტყვა „აზნაური“ ფორმით ქართულია, ამ სახით სომხურშიც დასტურდება. მომდინარეობს ძირიდან „აზნ“, რაც **„გამორჩენილს“ „გოლიათს“, „რაინდს“** ნიშნავს. აზნაურის საპირისპირო ფორმა **უაზნოც** ამ ძირიდან მომდინარეობს. აღნიშნული ტერმინი ქართულიდან შევიდა რუსულში აზნაგურის სახელწოდებით. ეს სიტყვა გვხვდება სპარსულ ლიტერატურაშიც (**ჰრ. აჭარიანი,** სომხური ენის ძირების ლექსიკონი, ტ. I, ერევანი, 1971, გვ. 87); გოლთეთში აზნაურად მოიხსენიებიან **დავით აბაშიშვილი** და **ავთანდილ სუფრაჯი,** მაწევანში, თონეთსა და ჩხიკვთაში ქაიხოსრო **აფხაზიშვილი,** არდისუბანში შიოშ **ყორღანაშვილი** და ა.შ. „ქ. ციციშვილის – ბაადურიშვილის ზაალისა ქ. დიდდალეთს: ...დათუნა აზნაურიშვილი მოლაშქრე“ (ვახუშტი, 33); **აზნაურიშვილ-ლამაზაშვილი ბეცია,** 1781 წ. მოიხსენიება მარაბდაში (ივ. ჯავახ., სეიძ., №, 79); ზაზა აზნაურიშვილი, 1721 წ. ირაგაში (ვახუშტი, 57). **წინწყაროს მცხოვრები აზნაურიშვილები ბერძნებად ჩაწერეს** და რუსული გაფორმებით **კნიაზევად** არიან ცნობილი. შდრ. (სომხ) აზნაურიანი.

**აზნაურიშვილი.** შდრ. **ბატონიშვილი,** ერისთავი, ამილახვარი, ამილახვრის შვილი („მეჯინიბეთუხუცესი“) და მისთ. (დიდი დალეთი, მარაბდა, ირაგა, წინწყარო).

**ᲐᲖᲝᲨᲕᲘᲚᲘ.** (1721 წ.), საკ. სახ. **აზო** (სარეკ. სია, 13; ალ. ღლ., 69); იხსენიება ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად **აზო** – ქართლის მეფის შვილი იყო (ქსე, ტ1, 215); **აზო,** გვარს, გარდა, გვხვდება გამოთქმაში: **აზოსაღებავი, „შიოშ სოლაღიშვილის** ყმად ქ. საღორისში 1721 წ.

მოიხსენიება სეხნია აზოშვილი“ (ვახუშტი, 149).

წინწყაროში მცხოვრები **აზოშვილები** ბერძნებად აღიარეს და **აზოევ**-ად ჩაწერეს. (საღორისი, წინწყარო).

**ᲐᲖᲠᲐᲙᲐᲫᲔ//აზრაკაძეშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **აზრაკაძე,** მემამულე **ზურაბ საგინოვის (საგინაშვილის)** გლეხად მოიხსენიება სოფ. ბოგვში 1823 წელს. **მაკარ კიკოლის ძე აზრაკაძეშვილი,** მეუღლე მარიამი, ძმა ივანე, ივანეს მეუღლე ბარბარე, მეორე ძმა აბრამი, მესამე ძმა იოსები, მეოთხე დავითი, ივანეს შვილები: ბერუა აზრაკაძე, იოსების შვილები: ანა, თინა, ნასტია, მაია. აბრამის მეუღლე თამარა, ვაჟი გლახა, ქალიშვილები – ელენე, მართა, ქეთევანი, დავითის მეუღლე ელენე, იოსების ქალიშვილები: სალომე, სოფიო, მეუღლე მარიამი, ბერუას მეუღლე თამარი (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურც. 1-5) (ბოგვი).

| ᲐᲖᲠᲣᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 151 |
|---|---|
| *თბილისი* | *83* |
| *თეთრიწყარო* | *33* |
| *რუსთავი* | *15* |

**ᲐᲖᲠᲣᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ნურიკაშვილი** (1843 წ.), სახელად ქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა **არზრუმი,** იგივე **ერზრუმი,** ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში. **არზერუმ** (სპარს.) „რომის მიწა“, აქედან სახელი **არზუმელა.**

**თომა და გიორგი აზრუმელაშვილები** მოიხსენიებიან 1873 წ. დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 127, აღწ. №319, ფ. 175-209). 1843 წ. პატარა თონეთში მოიხსენიება **ნურიკაშვილი,** თომა აზრუმელაშვილი (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურც. 310–322).

| ᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 285 |
|---|---|
| *თბილისი* | *71* |
| *გურჯაანი* | *53* |
| *საგარეჯო* | *49* |

**ᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (XVIII ს.), საკ. სახ. **ათუა** (დოკ. I, 330); **ათოა** მოიხსენიება 1781 წლის 18 თებერვალს ზურაბ თუმანიშვილის მიერ გიორგი ბატონიშვილის სახელზე გაცემულ არზაში (საქ. მუზ. ფ. Hd №2805); კოდელი **ათუა** XVIII ს. ყმების ნუსხაში (იქვე, Qd №200); **ათუა** 1783 წ. დავით თუმანიშვილის მიერ ძმის სახელზე გაცემულ ყმების მიბარების წერილში 5 დეკემბერს (ხელნ. ინსტ. Hd 155); 1831 წელს თონეთში **ესტატე თავსუბუქმა** ჯვარი დაიწერა **ბერუა დოლისშვილის** ასულ მარიამზე. სასიძოს მხრივ თავმდები იყო **გელაძე** მამუკა **ათუაშვილი** (ფ. 254, №1, 1274, ფ. 37–63); იქვე, **სტეფანე ათუაშვილი,** მისი დედა მაგდალინა (თონეთი, კოდა).

| | |
|---|---|
| ᲐᲘᲕᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 436 |
| *თელავი* | *164* |
| *თბილისი* | *121* |
| *ახმეტა* | *102* |

**ᲐᲘᲕᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1851 წ.), საკ. სახ. **აივაზა** (დოკ., II, 225); **აივაზ-ი** (იქვე, 90), **აივაზა** მელიქი, **აივაზა** სარდლის ყმა, აივაზი არნშტასშვილი, უზბაში (დოკ. II, 309).

**აივაზ** (არაბ.), **ავაზ** (ნაცვალი). გასულ საუკუნეებში გავრცელებული სახელი იყო. მრავალ აღმოსავლურ ენაში გვხვდება. აზერბაიჯანულ ეპოსში „ქოროღლი"-ს ერთ-ერთ პერსონაჟს **აივაზ ხანი** ჰქვია, **აივაზოვსკი ი.კ.** (1871–1900 წწ.). შდრ. **ნაცვლიშვილი.** სარქისა აივაზაშვილი, მოიხსენიება პატარა თონეთში 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №320, ფ. 218–244); „გაბრიელ აივაზაშვილი, სოფ. მუხათში 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3); სარქისა აივაზაშვილი, კოდაში, 1851 წ. (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფ. 37–63). ...გლახა გიორგის ძე აივაზაშვილი, იმავე კოდაში 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №23, 119, საქმე №156, ფ. 497–539). „თბილისის მაზრის სოფ. ელფიაში მცხოვრები **აივაზ მალხაზის ძე აივაზაშვილი** და სჯულიერი ცოლი მისი მარიამ იოსების ასული, ორივენი არიან **მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარებისანი.** 3 თებერვალს დაიბადა, ხოლო 10 თებერვალს მიხეილ აივაზაშვილი განათლა მღვდელმა ზაქარია ბარნოვმა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში" (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); წინწყაროელმა ლაზარე მოსიას ძე აივაზაშვილმა (რუსული გაფორმებით აივაზოვი) 1874 წელს სოფელ ბოგვში მონათლა მარიამი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); შდრ.: **ოსანა ნიკოლოზის ასული აივაზაშვილი,** შრომის დამკვრელი, სოციალისტური შრომის გმირი.

წინწყაროელი ქართველი **აივაზაშვილები ბერძნებად** ჩაწერეს და **აივაზოვ-ად** მონათლეს (პატარა თონეთი, მუხათი, კოდა, წინწყარო).

**ᲐᲙᲝᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1733 წ.), საკ. სახ. **აკო** (კოლხ. 41, თამაკონი; **აკოია** (კოლხ., 51, გეჯეთი, ალ., ღლ. 70); **აკო იაკობის** კნ. ფორმაა.

**აკოასშვილი** მოიხსენიება მოწმედ ასურეთის ხევს 1733 წ. (დოკ. I, 237)? **მიკირტუმა აკოაშვილი,** ძმა მიხეილი მოიხსენიებიან 1823 წ. სოფელ დიდ ენაგეთის აღწერის სიებში (სცსსა, ფ.' 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 5–14). (დიდი ენაგეთი, ასურეთის ხევი).

| | |
|---|---|
| ᲐᲙᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1171 |
| *გორი* | *329* |
| *თბილისი* | *186* |
| *ადიგენი* | *155* |

**ᲐᲙᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1697), **აკოფა** (გასომხებული საკ. სახ.). მოგვიანებით ტერტერები ქართველებს სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ, აქედანაა გვარიც. **იაკობ** (ძვ. ებრ.) „მიმყ-

ოლი", „მიმდევარი" (სიტყვასიტყვით: „მისდევს", „მიჰყვება"), თავდაპირველად ნიშნავდა ტყუპთაგან მეორედ დაბადებულს, შემდეგ კი მიეცა მნიშვნელობა ღვთის მიმყოლისა ანუ ღვთის კვალზე მავალისა (ზ. **ჭუმბ.,** 344). **აკოფა** ერქვათ და ჰქვიათ როგორც სომხებს, ისე ქართველებს. ორი საუკუნის წინათ ტრადიციულ სახელს **იაკობ,** XIX ს. მეორე ნახევრიდან ხშირად ცვლის **აკოფ (აკოფა).**

აკოფა ქვემო ქართლში მოიხსენიება 1791 წ. ქ. განჯიდან ჭირის მიზეზით მოსახლეობა აყრილა და სხვადასხვა მხარეს გახიზნულა. ქვ. ქართლში (წერაქვში) მოსული აკოფა ერასტი გოსტაშაბიშვილის ყმა გახდა (საქ. მუზ. ფ. Hd №3001); იქვე, ფონდი №2870, 1796 წ. 24 აპრილს, გიორგი მეფის ოქმში, ახლად მოსული განჯელი სახასო ყმების სიაში წერია: „აკოფა ქართლს არის"; XVI ს. I ნახევარში გაჩნდა გვარი აკოფაშვილი. სოფ. ვარხუნას, აზნაურიშვილის ყმად მოიხსენიება აკოფაშვილი (საქ. მუზ., Hd №6923). 1860 წ. ბორბალოსა და მანგლისში ჩნდებიან **ზურაბა და დათუნა აკოფაშვილები** (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 88-89); აკოფაშვილები მოიხსენიებიან ვახუშტი ბატონიშვილის აღწერაშიც. მაგალითად, 1721 წ. ასურეთში ცხოვრობდა შავერდა აკოფაშვილი, მადანა აკოფაშვილი, მამასახლისი, 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილის ყმა გატეხილ საყდარში (ის. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ III და IV, ბ, 15); აკოფაშვილი, 1701–11 და 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების ყმა საკარისებში (იქვე); „ქ. თულაშვილის ასლანისა და ქ. აწუფის 1721 წ. აკოფაშვილი ფირალა, აკოფაშვილი დავითა" (ვახუშტი, 85); „ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ქ. კრეფას 1721 წ. აკოფაშვილი, მეუღლე ხარიჯემა, შვილები სოლომონი, ვანო, იაკობი, ძმა ზურაბ აკოფაშვილი, მეუღლე ხამფერა, ქალიშვილი ქეთევანი (ბორბალო, 1823 წ. (სცსს, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77–83); ვაშლოვნელი მცხოვრები სახაზინო ყმამ გიორგი გიორგის ძე აკოფაშვილმა (1883 წელს) სალირაშენელ იაკობ გიორგის ძე ნინიკაშვილს მოუნათლა ქალიშვილი ელისაბედი (სცსსა, ფ. 489, აღწ. თ/წ. №254, 1611, ფურც. 29–84). (ასურეთი, აწუფი, ბორბალო, ვარხუნო, ვაშლოვანი, კრეფა: მანგლისი, წინწყარო).

| ალაგარდაშვილი | 104 |
|---|---|
| *ბოლნისი* | *62* |
| *დმანისი* | *36* |
| *თბილისი* | *2* |

**ალაგარდაშვილი** (1873 წ.), საკ. სახელი **ალაგარდა** (ი. მაისურ., 18); **ალავერდა,** მეტსახელი გვარში: **ალავერდაშვილი** (ალ. ღლ., 70). შედგენილი სახელებია: **ალავერდი, ახვერდი, ხუდავერდი, ხანკერდი.** სარქისა ალაგარ-

დაშვილი, შვილები: კონა, ალექსი, სოლომონი, გეურქა, არშაკა მოიხსენიებიან მუხათში 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. 222, ფ. 1–17); (მოგვიანებით, რუსული გაფორმებით: (ალაგარდოვი). სარქისა ალაგარდაშვილი კოდაში მოიხსენიება 1886 წ. (სცსსა, ფ, №3, 1625, საკომლო №719, ფურ. 188–205) (კოდა, მუხათი).

ალადაშვილი 2386
*სიღნაღი 696*
*თბილისი 523*
*დედოფლისწყარო 363*

**ალადაშვილი** საკ. სახ. **ალადა** (გ. ლეონ., სახელები), ამავე ძირისაა **ალადაური** (კოდა).

**ალავერანაშვილი** (1558 წ.), **ალავერანა** მეტსახელი, გვარში ალავერანაშვილი (ვერანა, ოხერი, ტიალი. იტყვიან უპატრონოდ დარჩენილ სახლ-კარზე, მიწის ნაკვეთზე).

**ალავერნა, მამასახლისი, აზნაური,** 1721 წ. აღწ. დედოფლის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (ივს. ლორთქ. ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 332); **ალავერანაშვილი** მოიხსენიება 1558 წ. თურქისტანის შვილების მამულის ნასყიდობის წიგნში სოფ. მუხანთან (დღევ. მუხათი) დაკავშირებით აძლევენ პატრონს იესეს (ქსძ. VIII, 826; ხელნ. ინსტ. შდ 734) (ვაშლოვანი).

ალავერდაშვილი 744
*თბილისი 199*
*მცხეთა 156*
*გორი 113*
ალვერდიშვილი 27

**ალავერდაშვილი//ალავერდიშვილი** (1537 წ.), საკ. სახ. **ალავერდა** (1677 წ. დოკ. I, 55). **ალავერდა** (ალავერდასი), კუთხ. (კახ. ქართლი); იგივეა, რაც **იონჯა. აცა ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდა ამოვაო** (ანდაზა). ზოგჯერ **ალავერდ**-ი (ალავერდისა) (არაბ.-თურქ. ალლაჰ-ვერდი – „ღმერთმა მომცა“, „მოგცა“ (ხშირად ქალს შვილი რომ არ რჩება, არქმევენ ალავერდას); დმანისელი ალავერდა მამულით წილად ხვდა **იოთამ ბარათაშვილს** (1537–1538 წწ. VIII. 16. 1450–11/112); ახალშენი ალავერდაშვილი სვიმონ მეფემ უწყალობა გოშთაშაბ განაყოფებს თაყასა და ასნამაზ **ასანბეგიშვილებს** ენაგეთში, ხოლო სიზუა **ჯანიკაშვილებსა** და ბერუა ალავერდასშვილს, პაპის გორში მისცა 10 დღის მიწა. ამის სანაცვლოდ მათგან მიიღო ყმა-მამული ტბისში (1671 წ.). ალავერდასშვილის მიწამდე **მანთაშა ტერტერაშვილმა** ოთხი დღის მიწა 1689 წელს მიჰყიდა ბაინდურ გოგიბაშვილს (VI.10.1450–5/38); დურმიშხანა ალავერდაშვილი მოიხსენიება 1699 წლის 27 სექტემბერს მამულის გაცვლილობის წიგნში, რომელსაც ხოსუა ასლუაშვილი აძლევს ნასყიდა დოლმაზაშვილს (ხელნ. ინსტ. Hd №10257);

მეფე ერეკლე მეორეს სიგელის ძალით იოსებ ყორღანაშვილს უმტკიცებს იოსებ ალავერდასშვილის მამულს (საქ. სიძვ., II, 552); ისაი, გეურქა და ნონია ალავერდაშვილები (1851 წ.), კოდაში ურჩ გადამხდელებად მოიხსენიებიან (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 275–280);

შდრ. **ახვერდა, ხუდავერდა, ხუდავერდი.** ამავე ძირისაა: **ახვერდაშვილი, ხუდავერდასშვილი,** შდრ. **ალახვერდიევი** (აზერბ.). (ენაგეთი, ახალშენი, კოდა).

**ალელი** (1721 7), სავარ. საკ. სახ. **ალე** ან გეოგრაფ. სახელიდან **ალი** (ხაშურის რ.). **ალელ-ი,** მეტსახელი, გვარში: **ალელიშვილი** (ალ. ღლ., 71); „ქ. დემეტრე მუსხელიშვილის ყმად სამღერეთში 1721 წ. მოიხსენიება **ალელი ესტატე**" (ვახუშტი, 40). (სამღერეთი).

ალელიშვილი 298
*თბილისი 111*
*გარდაბანი 63*
*ახალქალაქი 28*

**ალელაშვილი // ალელიშვილი** (1721–1873წწ.), **ალელ-ი,** მეტსახელი, გვარში: **ალელიშვილი** (ალ. ღლ., 71); ...გვარდაქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა **ალელი. მანუჩარა ალელი** (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 259); გადმოცემით, წინაპართა გვარი **ნოზაძე** ყოფილა. სოფელი **ალი**-დან მესხეთში გადასახლებულან. ახალციხელ **ალელიშვილებს არდელიანთს** უწოდებენ, ამის გამო საფიქრებელია „მათი წარმომავლობა სოფელ არალ-დან (არალი ადიგენის რაიონშია, ი. მაისურაძე, 19).

**ალელისშვილი,** მოიხსენიება 1713–1738 წ. ყმის სახლკარისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, დიდი მოურავის **გიორგი სააკაძის** შვილის-შვილის დავითის მიერ ბექანა **ნაზარისშვილის** სახელზე გაცემულ ყმის სახლ-კარისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ., №2514 Hd; დოკ., №, 159); „...კუკიას სახასო **ალელის** შვილი ხიზანა, ... აქვე სახასო ალელის შვილი როსტომა (**ივ. ჯავახ.,** სეიძ., I, 160); „ქ. **ხერხეულიძეების** დიდებას, რევაზისა 1721 წ. ალელაშვილი ზურაბა, ქ. აქავ აღათანგისა **ალელაშვილი დავითა, ალელაშვილი ხოსიტა,** აქავ იესესი **ალელაშვილი ხოსიტა**" (ვახუშტი, 139, კოდა, დიდება).

ალექსიშვილი 267
*თბილისი 157*
*თელავი 4*
*ბოლნისი 16*

**ალექსიშვილი** (1851 წ.) **ალექსი** (ბერძ.) „მცველი". (საკ. სახ. **ალექსი,** ანჩისხატის დეკანოზი, საბუთის დამწერი; **ალექსი,** ანჩისხატის დეკანოზი, მღვდლის გრიგოლ მხატვრის ძე (იქვე, 261, 264); **ივანე ალექსიშვილი,** მოიხსენიება 1738 წ. ოთარ ალექსიშვილის მიერ **ფარსადან ციციშვი-**

**ლის** სახელზე გაცემულ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ. I, 274); ანდრია, ბესარიონ, გაბრიელ, დიმიტრი, იაკობ, ნინია, სოლომონ ალექსიშვილები (აზნაურიშვილები) მოიხსენიებიან 1795 წლის 17 თებერვალს ფარნავაზ ბატონიშვილის მიერ ბესარიონ ალექსიშვილის სახელზე გაცემულ წყალობის წიგნში (საქ. მუზ. ფ. Qd H366); სტეფანე ალექსიშვილი, 1851 წ. მოიხსენიება სოფ. კოდაში, როგორც ურჩი გადამხდელი (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 275–280).

ალექსის საალერსო ფორმებია: **ალე, ლექსო, ლექსია.** ამავე ძირისაა: **ალექსაშვილი, ალექსიძე** (კოდა).

| ალიაშვილი | 299 |
|---|---|
| *თბილისი* | *84* |
| *ყვარელი* | *50* |
| *სიღნაღი* | *45* |

**ალიასშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ალი** (ისტ. საბ.); **ალია** (სვან., I, მესტია, ალ. ღლ., 71); **ალი, ამირა, ალი შურიაშამი** (ქრონიკ., 3, 651); **ალია** (ლეჩხ.) დრო მცირე, მოკლე (მ. ალავ., 1) **ალი** ზაქუსძე (საქ. სიძვ., II, 510); **ალი-მირდან-ბეგი, ალი-ყული-ბეგ** ამირეჯიბი (საქ. სიძვ., III, 388, 389). „ქ. ზაალ ციციშვილ-ბაადურისშვილის ყმა ქ. სამღერეთის ახალშენს (1721 წელს). „ბეჟუა ალიაშვილი, ბოგანო“ (ვახუშტი, 32). „იმავე წელს როსტომ და გუგანა ნამანგლელევიშვილების ყმა ქ. ანდრიას შავერდა ალიაშვილი“ (ვახუშტი, 121). (სამღერეთი, ახალშენი, კოდა, ანდრია).

| ალთუნაშვილი | 683 |
|---|---|
| *თბილისი* | *426* |
| *თეთრიწყარო* | *83* |
| *გარდაბანი* | *58* |

**ალთუნაშვილი // მინასაშვილი** (1873 წ.), **ალთუნ** (მონღოლურ-თურქ. ოქროს ნიშნავს). საკ. სახ. **ალთუნა**, იხ. ალთუნა ბალიჭის მამასახლისი (დოკ., I, 296); **ალთუნა ნურალასშვილი** (იქვე, 63). **თეიმურაზ ალთუნაშვილი**, მოიხსენიება 1741 წ. ტერ-ფილიპეს მიერ თავის ბიძაშვილების იესეს, ტარიელისა და დანიელის სახელზე გაცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ. ფ. Hd №2772; დოკ. II, 37); გურგენა, გიგოლა, მათე, გლახა ალთუნაშვილები მოიხსენიებიან 1873 წელს პატარა თონეთის კამერალური აღწერის საოჯახო სიებში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. 320, ფ. 2181244); 1873 წ. აღწერით პატარა თონეთში ნონია მინასაშვილი მოიხსენიება ალთუნაშვილად. 1721 წლის აღწერით ქვემო ქართლში ალთუნაშვილები (იგივე ყაითმაზაშვილები) მებატონე-მემამულეები იყვნენ. (სცსსა, ფ. 254, I, 2043, 1843 წ. ფურ. 323–329).

შდრ. **ოქროპირიძე, ოქროპირაშვილი, ოქროაშვილი, ოქრუაშვილი, ოქრიაშვილი, ოქრიაული, ოქუაშვილი** (ორბეთი, პატარა

თონეთი). ალთუნაშვილები იყნენ აზნაურები.

ალიბეგაშვილი 575
თბილისი 233
ყაზბეგი 33
ქართლი 46

**ალიბეგაშვილი//ალიბეგისშვილი// ალაიბეგიშვილი** (1699 წ.). საკ. სახ. **ალიბეგა** შედგება ორი ნაწილისაგან: **ალი** მშობიერის მაცთურს იტყვიან. **ალი** – ცეცხლი ანადენი (5. 24 ესაია, საბა, 14); **ბეგი, ბეგა** – თურქული სიტყვა გვიანდელი გამოთქმით **ბეი** „ბატონს", „ფეოდალს", „მემამულეს", ნიშნავს. აქედნაა წარმოებული გვარი **ალიბეგაშვილი.** შინაარსობრივად მკაცრ, ფიცხ ბატონს უნდა უკავშირდებოდეს. საპირისპირო გვარია **უჩუმბეგაშვილი** (თურქ.). **უჩუმ** ნიშნავს წყნარს, მშვიდს. აქედან წყნარი, მშვიდი „ბატონი".

ტერმინი „**ბეგ**"-ი 50-მდე ქართულ გვარში გვხვდება. საკ. სახ. **ალიბეგ** (დოკ. I, 33); **ალიბეგა** (საქ. სიძვ., II, 50); უყმო ალიბეგა (ვახუშტი, 93); **ალიბეგ** – დმანისის მცხოვრები, ქონებითურთ წილად ხვდა **იოთამ ბარათაშვილს** (1537–1538 წწ. 1450–11/112).

**ალიბეგ** მამასახლისი// გორის მამასახლისი, ჰყავს: ბიძა – ბექან, ძმები – თუმან, გოდერძი, თაყა, დავით (1647 წ. XII. I. 1448–273); **ალ<ა>იბეგიშვილი – ციციშვილის–აზნაურიშვილი,** მისი დამტკიცების პირობა შაჰნავაზ მეფემ მისცა იმერეთში გადახვეწილ ციციშვილს ([1658–1663 წწ.] 1449–328); **ალიბეგისშვილი** – საციციანოს ყმების ნუსხის მიხედვით, თელეთში ჰყავდა სამი კომლი ყმა ([1658–1675 წწ.] Hd–145, 34 ა); **ალიბეგიშვილი ბერუკა**–[1684]–1699 წწ. **სახლთუხუცესი** ([1684], 1697–1699 წწ. 1449–1190, Hd: 13151, 14262). „...ახოთელი ფოლადა და სხვები... მოწმენი არიან ხუგაზა ალიბეგაშვილის მიერ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა" (1699 წ. IX. 27, Hd 10257); ალიბეგასშვილი ზაალა, გორელი, მოწმობის წიგნი, 1766 წ. (საქ. მუზ. ფ. Hd №8526); ალიბეგა, ბიძინა, გიორგი, დავითა, ვაზუ, ვარძუკა, თანდილა, იოთამ, გარსევანი, მურვანა, ილია, ნინია, როსტომა, სვიმონა, შემასა, შიო ალიბეგაშვილები, ალიბეგოვი იოანე ქურქჩების უსტაბაში (კოლექცია, 1448, №1152); (ენაგეთი). ალიბეგაშვილები ჯაყელების შტო-გვარია.

ალიხანაშვილი 409
თბილისი 128
თეთრიწყარო 62
მცხეთა 53

**ალიხანასშვილი//ალიხანაშვილი.** **ალიხან** (თურქ.) // დურმიშხან, მურზაყან // მირზახან... (იხ. ზ. ჭუმბურ., 321). **ალი** (თურქ.) უმაღლესი, **ხან**-ი (ისტ.). მეფე, მთავარი ზოგიერთ თურქი და მონღოლი ხალხისა (ქეგლ). **ალი** ერქვა დაღე-

სტანში, ავარიაში, სოფ. გიმრში, 1797 თუ 1798 წელს დაბადებულ შამილს. შამილი ღედისერთა იყო (ერთი და ჰყავდა, მაგრამ მაშინ ქალი მემკვიდრედ არ ითვლებოდა). პირველი მისი სახელია **ალი.** სუნიტებსა და შიიტებშიც ეს სახელი დიდი პატივითაა გარემოსილი.

**ალი** როცა შეუძლოდ შეიქმნა და ვერანაირმა წამალმა ვერ უშველა, აღმოსავლური ადათის თანახმად, სახელი გამოუცვალეს, შამილი უწოდეს (შამილი არაბულად „ყოვლისმომცველს“ ნიშნავს), და მთელ ქვეყნიერებას მოჰფინეს ეს სახელი, რაც უწინ არავის სმენია. გვიან, როცა ბიოგრაფმა ჰკითხა, გიშველა თუ არა სახელის გამოცვლამო, შამილმა სალი პასუხი გასცა: „მალე კი მოვრჩი, ოღონდ არ ვიცი, სახელმა მიშველა თუ სხვა რამემო“ (ელგუჯა მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნაკადული, თბ., 1967, 96–97);

საკ. სახ. **ალიხან** (ქართლ. ცხ., II, 517); **ალიხანა,** გორი (სცსსა, ფ. 1448, №4187); ალიხანი მოიხსენიება 1747 წ. ქორონიკონში: „...ალიხან და აბდულბეგი მიუხდნენ ჯარით ქალაქსა, ყაზახის სულთანი თალიბეი თან ახლდა ჯარით, ციხისთავმა მონბაშმა ციხეში არ შეუშვა“ (ქრონიკ., III, 190); ალიხანაშვილები – გორელები, ქსნის ერისთავების მკვიდრი ვაჭრები, გიორგი მეფემ მათი წყალობა განუახლა დავით ქსნის ერისთავს (1683 წ. I, 21, Hd–23–42).

**ალიხანა ალიხანაშვილი** – მოწმეა ზაქუმაანთ ნაზაქუმას მიერ ზალინა ხოსროვასშვილის სახელზე გაცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. I, 24, 1450–48/129); ხუდავერდა ალიხანასშვილმა როსტომ ყორღანაშვილს კალოს პირს მიჰყიდა ერთი დღის მიწა (1692 წ. IX. 1450–1/58); **ზალია ალიხანაშვილი** მოიხსენიება ვახტანგ მეექვსის მიერ (1723 წ.) თავის შვილ ბაქართან გაგზავნილ წერილში. მეფე ზალია ალიხანაშვილის წილ მამულს სჩუქნის **ამირბაშ გოსტაშაბიშვილს** (საქ. სიძვ., I, 83); **ალიხანა** იყო მოურავი ყაიყულის სააკას სოფლისა (ისს. ლორთქ., ნაწ. III და IV, 322); იყო აგრეთვე ალიხანას სოფელი ყაიყულში (იქვე).

**...ზალია და ბეჟან ალიხანაშვილები** ორივე ერთად 1721 წ. აღწ. **მებატონენი** არიან, ცხოვრობენ და ყმები ჰყავთ სომხითში (იქვე, 322); „ქ. ალიხანაშვილის ზალიასი სალარველას: **ჯუვარაშვილი ფარსადანა,** შანაზარა... ქ. ხოხმელს: **ხუციშვილი დავითა, მირუმაშვილი არუთინა, ნადარაშვილი გრიგორა, მჭედელი ალექსანა, ოქრომჭედელი მელქუა.**

**ელადაშვილი ხეჩუა,** მანთაშა..., ბოგანო სარქისა მოლაშქრე, ბოგანო ულუხანა მოლაშქრე; ქ. ვანქს: **აშრაფაშვილი** ბეჟუა, **სვიმონაშვილი** შერმაზანა, ბოგანო სულუა, მოლაშქრე. ჯამი: კომლი თერთმეტი, ბოგანო სამი. ,,ქ. ალიხანაშვილის ბეჟანისა საღარველას: მამასახლისი ავთანდილა, ბოგანო ელიზბარა მოლაშქრე. ქ. ხოხმელს: მამასახლისი მამუა, **ყარახანაშვილი შალვა, ჩარათაშვილი ნაზარა, ჯავახიშვილი ბაბა, თურვანდაშვილი ფარზალა, ჩართაშვილი ავაქა,** ბოგანო ბალია მოლაშქრე, ბოგანო თამუნა მოლაშქრე, ქ. ვანქს: **სალუყაზანაშვილი თამაზა,** ბოგანო გინოზა მოლაშქრე, ბოგანო დავითა მოლაშქრე; ქ. ბეჟანისა ხინძორიკს: **ოლქიაშვილი შიხუა,** ქ. ჯანხოშას ორთავესი: ალავერდა. ჯეელი კომლი ათი, ბოგანო ოთხი" (ვახუშტი, 276–277); ,,თონეთელ მართლმადიდებელ **ალიხანაშვილ ბერს** 1829 წ. დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა **აბრამ თეთრაძემ.** სახელი უწოდა აბრამ. ნათლიად იყო ნორიოში მცხოვრები **რაფიელ იოკიმისშვილი** (489, აღწ. 6, №76, ფურ. 8); ,,ქ. **სოლაღაშვილის ქაიხოსროს** მამულში ქ. ტანგანეთს (1721 წ.) **ალიხანაშვილი მელქუა**" (იქვე, 144). ნიკოლოზ ალიხანაშვილი, ბერო ალიხანაშვილი, პატარა თონეთი, 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №127, აღწ. №320, ფ. 218–244); ,,ქ. მიტაშენს მკვიდრი ზურაბის ყმა: ალიხანაშვილი ხველა" (ვახუშტი, 334);ალიხანაშვილი ბერუა, მეუღლე სოფიო, შვილები ადამა, აბრამა, ქალიშვილი მაგდალინა, ქართველი, მართლმადიდებელი. ალიხანაშვილი ნონია, მეუღლე მზექალა, შვილები: გერმანოზი, მათე, ვარვარა, ნინო, ძმები: მოსე, მისი მეუღლე მაგდალინა, შვილები: სარქისა, სტეფანე, ქალიშვილი ეფემია, მეორე ძმა გიორგი, მეუღლე სარა, შვილი გლახა, ქალიშვილი სოფიო, მესამე ძმა როსტომი, შვილები ყაზარა, სოლომონი, **მართლმადიდებლები, ქართველები** (სცსსა, ფ. 254, №1, 1242, ფურ. 41); შდრ. **ალიხანოვი, ალიხანიდი, ალიხანიანი** (არდისუბანი, ენაგეთი, მარაბდა, მირტაშენი, პატარა თონეთი, ტაგნაგეთი). პირველი რუსიფიცირებული ფორმაა, მეორე ბერძენთა, ხოლო მესამე სომხების გვარია (ი.ა.).

ალუაშვილი 34
*თბილისი 18*
*გორი 11*
*გურჯაანი 1*

**ალუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ალუა** (სტატ. ცნ., XVIII ს. 142; სტუდ. კოლექ., ალ. ღლ., 71); **ალუა** (საქ. სიძვ., I, 355); **ალუა** ტერტერას ძმა (იქვე, 355). 1721 წ. **გიუა ზალუაშვილი** ქ. ზაალის ყმა ენაგეთს (ვახუშტი, 94); პეტრე ალუაშვილი,

1851 წ. კოდა. (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფ. 37–63).

**ალხაზაშვილი**
232
ქუთაისი 107
გორი 26
გურჯაანი 25

**ალხაზაშვილი//ალხაზიშვილი** (1873 წ.), **ალხაზ** (არაბ.) რჩეული. საკ. სახ. **ალხაზ-ი** (საქ. სიძვ., II, 249); **ალხაზ** (მასალა, II, 30).

**ალხაზა, ახალხაზი, დავითა, დავითა** (მეორე), დემეტრა, ლეონი, იოსებ, სიმონ, **ალხაზიშვილები,** გიორგი არტემის ძე ალხაზოვი, გაბრიელ, ლაზარე, სიმონ ალხაზოვები (კოლ., 1448); **ივანე მეგულას ძე ალხაზიშვილი,** 1873 წლ. აღწერით, მოიხსენიება სოფ. ენაგეთში (სცსსა, ფ. 254, 3, 114, საქ. -136, ფურ. 189–218); სოფ. დიდ ენაგეთში 1879 წელს მოიხსენიება ივანე ალხაზიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); შდრ. **ალხაზიშვილი – რჩეულიშვილი** (ენაგეთი). ალხაზიშვილები იყვნენ აზნაურებიც.

**ალხაზიშვილი**
298
თბილისი 150
ხარაგაული 25
თელავი 21

**ამბარიშვილი**
128
ახალციხე 59
ბორჯომი 48
თბილისი 28

**ამბარასშვილი//ამბრისშვილი** (1477 წ.), **ამბარ-ი** (ამბრისა) [სპარს. ანბარა იგივეა, რაც ბეღელი (შ. ძიძ., ანგარიში). თურქ. атвaг – ბეღელი, საწყობი საცავი, კიდობანი, სკივრი, ზანდუკი. ქურდმა დაჩხრიკა სულმთლად სახლ-კარი, ხულა, მარანი, ჭერი, ამბარი (რ. ერისთავი).

**ამბარისშვილი იოვანე** მოიხსენიება მოწმედ (1477 წ. 4 ივ-ლისს), **ნიკოლოზ პალატიშვილის** მიერ **გოგიტა არდაშელიშვილის** სახელზე გაცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (ქსძ, VIII, 823); ყაზარი ამბარასშვილს ფარდად ახალქალაქელი **სტეფანაშვილები** წილად ხვდნენ ზურაბ [სააკაძეს]ა და მოურავს (XVII ს. ბოლო მეოთხ. ხელნ. ინსტ. Hd–11722).

**ამბარასშვილი** სოფ. კოდაში ჩანს 1851 წ. აღწერაში.

შდრ. **ბეღელაშვილი, ბეღელაძე,** სომხ. ამბარიანი (კოდა).

**ამბრიაშვილი** (1721 წ. ), საკ. **ამბრია, ამბრი** (საამილახვ. დავთ., 5); **ამბრ-ი** (გ. ლეონ., სახელები); **ამბრო** (ალ. ღლ., 72); **ამბროსი** (ბერძ.) „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი/, „ღვთაებრივი“, „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟი. **ამბრი** არაბი, ხალხური ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელი (**მ. ჩიქოვანი,** მიჯაჭული ამირანი, თბ., 1959, 183–196); „1721 წ. აღწ. სოფ. ერწოში დემეტრე **თაყაიშვილის**

ყმად მოიხსენიება **ამბრიაშვილი** (ვახუშტი, 127).

ამავე ძირისაა: **ამბრიაძე** (ერწო).

| ამბროსაშვილი | 47 |
| --- | --- |
| თბილისი | 21 |
| გორი | 13 |
| კასპი | 10 |

| ამბროსიშვილი | 86 |
| --- | --- |
| თბილისი | 12 |
| რუსთავი | 8 |
| თელავი | 3 |

**ამბროსაშვილი** (1721 წ.), **ამბროსი** (ბერძ.) „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი“, „ღვთაებრივი“. საკ. სახ. **ამბროსი** (ისტ. საბ., 1); **ამბროსაშვილი შერმაზანა** მოიხსენიება XV– ს. პირველ ნახევარში შედგენილ ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში (დოკ., II, 32); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღანბარის ქ. მარიამს 1721 წ. ამბროსაშვილი შერმაზანა“ (ვახუშტი, 55). (მარიამი).

**ამბრუაშვილი** (1721 წ.), **ამბროსი** (ბერძ. „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი“, „ღვთაებრივი“. „ქ. **ციციშვილის ადამასი** დაღეთს (1721 წ.) **ამბრუაშვილი ოსია**“ (ვახუშტი, 36). (დაღეთი).

| ამზაშვილი | 20 |
| --- | --- |
| თბილისი | 13 |
| თელავი | 4 |
| ყვარელი | 3 |

**ამზაშვილი** (1721 წ. ), საკ. სახ. **ამზა** საქ. სიძვ., II, 161); **ამზია** (დოკ., II, 10). **ამზა** (ვახუშტი, 92). „ქ. საგინაშვილის ბეჟანის ყმა ჩხიკვთას... **ამზუაშვილი გიორგი** (ვახუშტი, 158). ამაზასშვილი (მოიხსენიება სოფლებში დურნუკი, ვაშლოვანი, 1721 წ.); თავად გერენალ-მაიორ ორბელიანის შთამომავალთა გლეხად სოფ. ვაშლოვანში 1832 წელს მოიხსენიებიან მოსია ამზაშვილი, მეუღლით ანა, ვაჟები თათუა, გლახა, პეპანა (სცსსა, ფ. 254. I, 802, 1823 წ. ფურ. 99–105); მაიჩკო სანოს ძე ამზაშვილი, მეუღლე სარა, ვაჟები ოსქუა, ამზა, ქალიშვილები მალალა, ანა, ელისაბედ (იქვე, ფურ. 99–105). (დურნუკი, ვაშლოვანი, ჩხიკვთა).

**ამზუაშვილი** (1721 წ. ), საკ. სახ. **ამზა** (საქ. სიძვ., II, 161); **ამზია** [ამზნია, უმზნევია] (დოკ. II, 10); **ამზაელ** (ქართლ. ცხ., I, 100). აქედანაა ნაწარმოები **ამზუა**. ქ. საგინაშვილის ბეჟანის ყმა ქ. ჩხიკვთას (1721 წელს) ...გიორგი ამზუაშვილი (ვახუშტი, 151); ამზუაშვილი მოიხსენიება 1743 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ მებატონე თამაზა **საგინაშვილმა** ამზუაშკილი მამულით მიჰყიდა თავის განაყოფ როსტომ **ბეჟანიშვილს** (დოკ., I, 316). (ჩხიკვთა). (საგინაშვილებს ჰქონდათ შტო-გვარები, მათ შორის ბეჟანიშვილები).

**ამილბარასშვილი // ამილბარაანი** (1682 წ.), ამილბარ,

იგივეა, რაც **ამირბარი** (ამირბარისა). არაბ. **ამირ-ალ-ბაჰრ** „ზღვის ამირა“, ისტ. საზღვაო ფლოტის უფროსი – ადმირალი. თვით ამირ-ბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა (რუსთაველი), აქედან საკ. სახ. **ამილბარ.** ამილბარამის ფარდად მოურავსა და ზურაბ სააკაძეს წილად ერგოთ **დემეტრე ამილბარაშვილი** (XVII ს. ბოლო მეოთხ.). ამილბარ მაღალაძე, კათალიკოზის სახლთუხუცესი, (დოკ., I, 178, 162); პაპნია **დედაბრისშვილმა** ბატონ თამარს მიჰყიდა მიწა ამილბარაშვილის მი-წამდე (1682 წ. XII 27. 1450–33/229); ბერიკა ამილბარასშვილი მოწმეა პაპნია დედაბრიშვილის მიერ ბატონ თამარისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. XII.27. 1450–33/229); ამილბარასშვილი ოქროა მონასტრელი, იასე სოლაღაშვილის ყმა, მოიხსენიება (1736 წ.) **იასე სოლაღაშვილის** მიერ ოქროა ამილბარასშვილის სახელზე გაცე-მული თავდახსნილობის წიგნში (დოკ., №, 248); „ქ. მანგლელის ყმებად მანგლისში 1721 წელს მოიხსენიებიან: დათუნია, ფილია და დათუნა (მეორე) ამილბარაშვილები (ვახუშტი, 110); იქვე დავით ქ. **დავით აბაშიშვილისად** ქ. გარისს (1721 წ.), ელიზბარა ამილბარაშვილი (ვახუშტი, 117); „ქ. მონასტერს **სოლაღაშვილის** იესეს ყმად ამილბარ-აშვილი სეხნია“ (, 141). ა-ს ამილბარაანთ ეძახდნენ. (გარისი, მანგლისი, მონასტერი). **ამილბარაშვილი** იყო აგრეთვე ციციშვილების შტო-გვარი (შიდა ქართლში).

ამინაშვილი 90
თბილისი 67
თეთრიწყარო 18
გარდაბანი 2

**ამინაშვილი** (1692 წ.), **ამენ/ამინ** (ლათ. Amen<ბერძნ.<ებრ. ნამდვილად, ჭეშმარიტად), ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დამამტკიცებე-ლი, დამადასტურებელი დასკვნითი ფორმულა. წარმოთქვამენ ლოცვის, საგალობლის, ქადაგებ-ის ბოლოს, საზეიმო ფიცის ან აღთქმის დადებ-ის დროს (ქსე, ტ, I, 393);

**ამინ** (უცხ.) იყავნ, აღსრულდეს, გინა მრწამს, გინა ღმერთი (ამინ ღმერთი); გინა მართალი, გინა ჭეშმარიტი (საბა); საკ. სახ. **ამინ** (მამაკაცის), **ამინა** (ქალის) (ალ. 1ლ., 256);

„**ამინასშვილი აბრამა** – ბეთანიას მცხოვრები ხუცის ფარდად ერგო **ბარათაშვილს**“ (ხელნაწ. ისტ. 1692 წ. VIII. 30. 1450–11/18); სოფ. ბოგვში (1818 წელს) **ანდრია პეტრეს ძე მელიქაშვილის** თავდებად მოიხსენიება **აბელ დათებას ძე ამინაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. თ/წ. №1); **გლახა ამინაშვილი,** მეუღლე ელისაბედი, ვაჟი დათია, ქალიშვილი

მარზლია, დისშვილი ნინია, მეუღლე თამარი მოიხსენიებიან სოფ. მარაბდას 1823 წ. აღწერის მასალებში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 27–34); ამავე წელს სოფ. დიდ ენაგეთს მოიხსენიება **აბრამ**, იგივე **კიკოლა ამინაშვილი**, მეუღლე **დარეჯანი**, შვილები **დავით, ნიკოლოზ, ბარბარე** (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №115, №136, ფურ. 189–220); საღირაშენი (1873 წელს) მოიხსენიება გიორგი ზაქარიას ძე ამინაშვილი, ხოლო 1876 წელს ბესარიონ აბრამის ძე ამინაშვილი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. I); გიგლა აბრამის ძე ამინაშვილი, ძმა გიორგი ამინაშვილი, ამინაშვილის ვაჟი აბელა დათებას ძე, ძმები იობა, იოსები მოიხსენიებიან ენაგეთს, ახალშენს (1873 წ.) კამერალური აღწერის მასალებში (სცსსა,ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189–220); იმავე წელს სოლომონა ამინაშვილი, დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 127, აღწ. №139, ფ. 175–209). 1881 წელს, თბილისის მაზრის სოფ. ბოგვში მოიხსენიება სახელმწიფო ყმა – **აბელ დავითის ძე ამინაშვილი** და მისი სჯულიერი ცოლი **მაკრინა აბრამის** ასული, ორივე მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარებისანი. მონათლეს მიხაილ-ი. მიმქმელად იყო სოფელ ბოგვის მკვიდრი, **სვიმონ ზაქარიას ძე ბეგიაშვილი.** მღვდელი **ზაქარია ბარნოვი,** დიაკვანი ილია თეთრაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო I). (ბოგვი, დიდი ენაგეთი, დიდი თონეთი, მარაბდა, საღირაშენი).

**ᲐᲛᲘᲠᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.) // **ამირაიზაშვილი** (1721 წ.), **ამირ** (ამირასი) [არაბ. **ამირ**] ისტ. მბრძანებელი, უფროსი, ემირი. აქედანაა ნაწარმოები საკ. სახ. ამირ+აზა. შდრ. ამირ+ზალა, ამირ+ანა, ამირ+აღა, ამირ–ბოქა, ამირ–ეჯიბი, ამირ–ჯანა, ამირ–ზა, ამირ–ღა, ამირ–ხანა... აქედან მომდინარეობს გვარები: **ამირაზაშვილი, ამირზალაშვილი, ამირაღაშვილი, ამირბოქაშვილი, ამირეჯიბი (ამირეჯიბიშვილი), ამირჯანაშვილი, ამირხანაშვილი...**

როსები იარალიშვილის ყმად წობას (1721 წ.) მოიხსენიება დავითა ამირაიზაშვილი (ვახუშტი, 65). (კოდა, წობა).

| | |
|---|---|
| ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1399 |
| *თბილისი* | *829* |
| *ქუთაისი* | *110* |
| *თერჯოლა* | *74* |

**ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ // ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1537 წ.), **ამირანი,** ქართული ხალხური ეპოსის გმირი, „ამირანიანის“ მთავარი პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთის დალისა და უცნობი მონადირის შვილი.

**ამირანი** (სვანური **ამირმ, მირიმ**) უძვე-

ლესი წარმართული ქართული ეპოსის „ამირანიანის“ მთავარი გმირი, კოლხური მითოლოგიის ღერძი, ბერძნული პრომეთეს ორეული, დალისა და მონადირე დარჯელანის შვილი (ეს ვერსია ამაგრებს ვარაუდს, რომ ლიტ. ამირანდარეჯანიანის წყაროც ხალხურია), დაახლ. 3500 წლის წინ შექმნილი საკაცობრიო მაშვრალის ტიპი, სიკეთის სიმბოლო, ბაადურის, კოპალას, ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის, აბესალომის, ასფურცელას და სხვაეროვნულ გმირთა გვერდით ამირანს ერთ-ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს (აკ. გელოვანი., მით. ლექს., თბ., 1983, გვ. 48).

**ამირან** ქართული ხალხური ეპოსის გმირის სახელია, რომელსაც მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მისგან ნაწარმოებია გვარები: ამირანიშვილი, ამირანიძე (ზ. ჭუმბ., 321);

საკ. სახ. **ამირან** (დოკ., I, 55); **ამირანა ბურდიაშვილი, ამირანა გვერწითელი, ამირანა ორბელისშვილი** (იქვე, 482);

ამირან მამასახლისი, მოწმე ელიზბარ მანთაშაშვილის მიერ ამირასათვის მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1631 წ.VI.24. 1450–45/135); ამირანაშვილი ანჯრევანს მცხოვრები, წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537– 1538 წწ. VIII. 16.1450–11/112); ამირანასშვილის მიწა ესაზღვრება ნასყიდა შავერდასშვილის მიერ შოშია გოგიჩაიშვილისათვის მიყიდულ მიწებს (1673 წ. II. Hd–14517, 1681 წ. III.I. Hd– 2513, 1681 წ. V.27.Hd–9390); ამირანაშვილი სოფ. ზირბითში მოიხსენიება 1721 წელს (ვახუშტი, 85); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა ქ. ელფიას 1721 წ., ამირანაშვილი ნიკოლოზა“ (ვახუშტი, 121); ამირანაშვილი ბერი, XVIII ს. I ნახევარი, ამირანასშვილი გიორგი, ღანბარაანთი, 1744 წ. იანვარი, ამირანაშვილი გლახა, 1805 წ. 1 მარტი (საქ. მუზ. ფ. Hd №6923, ფ. Qd №215, Hd №2658). (ელფია, ზრბითი, კოდა).

**ამირასშვილი // ამირაღაანი** (1629 წ.), ამირა (ამირასი) (არაბ. ამირ) ისტ. მბრძანებელი, უფროსი, ემირი. II არაბთა ხელისუფლების ქალღმერთის დალისა და უცნობი მონადირის შვილი.

ამირაშვილი
*მცხეთა 60*
*თბილისი 44*
*გურჯაანი 28*

ვალი თბილისისა (ქეგელ).

შდრ., **ამირბარი** [არაბ.] (ისტ.) სახელმწიფოს საზღვაო ფლოტის უფროსი, ადმირალი; **ამირეჯიბი** [არაბ.] (ისტ.) ერთ-ერთი დიდი მოხელე საქართველოს მეფის კარზე, წესრი-

გის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს. ამირსპასალარი [არაბ-სპ.) (ისტ.) ძველ საქართველოში მთავარსარდალი, მხედართმთავარი, ამირა უფროსი (დარეჯანიანი, საბა, 11).

საკ. სახ. **ამირა** (იხ. **ამირა დათაშვილი,** 1638 წ., დოკ., I, 74); ამირა გვარის ფუძედ ქცეული არაბული თანამდებობის ტერმინია. ამირა, სიონში მცხოვრები, გოშფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრის დროს რგებია გოშფარს ([1527–1558 წ.] Qd–605); თაკვს მცხოვრები ამირაშვილი, სვიმონ მეფემ უწყალობა გოშთაბაშ ბარათაშვილს (1629 წ. ვ.27–Hd–1700); ტბისში, ამირასშვილის ვენახთან მამუგულა მამაგულასშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს თავისი ვენახი (XVII ს. 70-იანი წწ. Hd–10120); ამირაშვილი მოიხსენიება სოფ. თაკუვს სვიმონ მეფის მიერ 1629 წლის 29 მაისს გაცემულ წყალობის წიგნში (საქ. სიძვ., I, 111); **მახარა ამირაშვილი** დასახელებულია მოწმედ 1636 წელს შედგენილ წყალობის წიგნში (იქვე, 121); „**ამირაშვილმა** თუ იფიცოს ასრე, რომ კოტიაშვილი მე ზედ-სიძედ მყვანდაო, თქვენს გაყრაში მე გამომყვაო და არც ბატონმა და მოსამართლემ გასაყოფად დადვესო, თუ ასრე იფიცოს ვარაზას (საუბარია გერმანოზაშვილზე ი.ა.) დარჩეს. და თუ ვერ იფიცოს, და სამად გაიყონ 1688 წ.“ (ხელნ. ინსტ. შდ 577); **ამირაშვილი** მოხსენიებულია XVIII ს. პირველ ნახევარში, 1710 წ. სექტემბერსა და 1744 წ. იანვარს ტაგნაგეთში (საქ. მუზ. ჯავახ., სესძ., I. 79); ასლამაზის ნასყიდი თაფანს: ამირაშვილი თამაზა (ვახუშტი, 160); „ქ. გოსტაშაბაშვილის ამილღანბარისა თაკვს 1721 წ. ამირაშვილი მაზიტა“ (იქვე, 53);

ამავე ძირისაა: **ამირზალაშვილი, ამირახორი, ამირბეგაშვილი, ამირეჯიბი, ამირაზაშვილი, ამირაღასშვილი, ამირეზაშვილი, ამირეჯიბიშვილი, ამირიძე, ამირხანაშვილი, ამირჯანაშვილი.**

| |
|---|
| ამირბეგოვი (შდრ. ამირბეგაშვილი) 57 |
| *თბილისი 41* |
| *რუსთავი 5* |
| *თელავი 4* |

ამირბეგაშვილი (1657 წ.), საკ. სახ. **ამირბეგა** შედგება ორი ნაწილისაგან: **ამირა** (ამირასი) [არაბ. **ამირ**] ისტ. მბრძანებელი, უფროსი, ემირი//არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოს არაბობის დროს, – ხალიფას ნაცვალი.

**ბეგ**-ი (**ბეგისა**), თურქ. ბეჲ „ბატონი“, ძვ. ფეოდალი, მემამულე (აზერბაიჯანელებში, თურქებში). აქედან მომდინარეობს არაბულ-თურქული ამირბეგა და მისგან წარმოებული გვარი **ამირბეგაშვილი.**

პაპუნა ამირბეგიშვილს ჰყავს შვილები: ბასილა, გიუნა, შალვა, ბერუკა, ქრისტესია. ყიდულობს ბატა პიპიაშვილისაგან სალმთოს ტყსთან ულალო სახატო მიწას სვიმონიშვილის და ჯავახის მიწებამდე იმ პირობით, რომ როცა მოხნავდნენ, ერთი კოდი პური „სასამხთოედ მიეცათ სოფლისათვის" (1657 წ. Hd–6428); „...ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს: ...**ამირბეგაშვილი** მაქანდარა, **ამირბეგაშვილი** ავეტიზა, **ამირბეგაშვილი** გოგია" (1721 წ. ვახუშტი, 101–102); ამავე ძირისაა: **ამირბეგისძე** (წინწყარო).

ᲐᲛᲘᲠᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.), რთული შედგენილი სახელი **ამირ, ამირა,** პლუს **შელა** (შელაი, ხევს, გერგეტი, ალ. ღლ., 219); „ქ.ჩხეიძის სეხნიასი ღორისთავს, 1721 წ. **ამირშელაშვილი ბერუკა**" (ვახუშტი, 37). (ღორისთავი).

ᲐᲛᲘᲠᲯᲐᲜᲝᲕᲘ 55
*თბილისი 27*
*თეთრიწყარო 11*
*მარნეული 10* შდრ.
ᲐᲛᲘᲠᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛᲘᲠᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.) საკ. სახ. **ამირჯანა,** პატრიარქის ყმა (XVIII ს. ყმების ნუსხა, საქ. მუზ., ფ. Qd №200). **ამირ** (არაბ.) „მბრძანებელი", „მპყრობელი", **ჯან** (ინდ.–სპარს.) „სული" სულთამპყრობელი, სულთამბრძანებელი. „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს: ...ამირჯანაშვილი შავერდა" (ვახუშტი, 25); ძაბაშიშვილის დავითისა ქ. გარის (1721 წ.). ამირჯანაშვილი სტეფანა (ვახუშტი, 117); შდრ. მალიჯანაშვილი, აკოფჯანაშვილი, ყულიჯანაშვილი, ველიჯანაშვილი, ბეგიჯანაშვილი და სხვა. (დურნუკი, გარისი).

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
135
*თბილისი 72*
*ბორჯომი 19*
*ქუთაისი 8*

ᲐᲛᲜᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ // **ამანათაშვილი // მძევლიშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ამნათი** (ალ. ღლ., 71); **ამანათ-ი** [არაბ.] 1. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება. 2. (ძვ.) იგივეა, რაც მძევალი (მნიშვ. 1) (ქეგლ). „1818 წელს თონეთს მცხოვრები **სოლომონ ამანათაშვილს** დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა ანდრია, მღვდელი აბრამ თეთრაძე. მიმქმელი იყო გიორგი ლუკასშვილი" (489, აღწ. №6, 57, ფურ. 14); „თონეთში მცხოვრებელ სოლომონ ამანათაშვილს 1830 წ. დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა ივანე (489, №6, 98, ფურ. 37); სოლომონი, ამანათა, მოიხსენიებიან დ/თონთში 1843 წ. აღწ. (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფ. 310–322); **სოლომონი, გიორგი ამანათაშვილი**, 1873 წ. (სცსსა, ფ. 254,

№3, საქმე 127, 1873 წ. აღწ. №319, ფურც. 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 127, 1873 წ. აღწ. №319, ფურც. 175–209); „ამანათაშვილი ალექსი, ამანათაშვილი მიხეილი, ამანათაშვილი სოლომონი, დიდი თონეთი, 1886 წ.“ (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, ფ. 82–146).

**ამანათაშვილების** (დღევ. **ამნათაშვილი**) მეორე გვარია **მძევლიშვილი.**

ამავე ძირისაა: **ამანათიძე**; წალკის რ-ში **ამანათაშვილები ამანათოვებად** და **ბერძნებად** ჩაწერეს (დ. თონეთი).

**ᲐᲛᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ. ), საკ. სახ. **ამრი, ამრილ, ამრო** (ალ. ღლ., 72); **ამროლ, ამროლა** (პ. ინგორ., სვან. 2, 135, 136, 158; ალ. ღლ., 72). აქედან მომდინარეობს კნინობითი ფორმა. **ამრუა.** „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღანბარისა ქ. ერწოს 1721 წ., **ამრუაშვილი პაპუნა**“ (ვახუშტი, 54). (ერწო).

**ᲐᲛᲠᲣᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (XVIII ს. I ნახე.), საკ. სახ. **ამრუმელა. ამრუმელაშვილი პაპუნა** – XVIII ს. I ნახევარი. ამილღაბარ გოსტაშაბაშვილის ყმების ნუსხა (დოკ., II, 30); ამრუმელაშვილი ოსიყმა, სეხნია – 1736–1742 წწ. პირობის წიგნი, მიცემული პაატა და პაპუნა რევაზიშვილების მიერ მილახვარბაში მერალიიბეგ ციციშვილისადმი (დოკ. I, 262); **ამრუმელაშვილი ოქრუა,** 1781 წ. მარაბდა (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 78); მამასახლისი **ამრუმელაშვილი ზურაბა,** მეუღლით **ქანანა,** შვილები გლახა, გიორგი, ელისაბედი, ქეთევანი, დისშვილი თინა მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1823 წ. (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 5–15). (დიდი ენაგეთი, მარაბდა).

| ᲐᲛᲣᲠᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 100 |
|---|---|
| *თბილისი* | *49* |
| *თეთრიწყარო* | *41* |
| *გურჯაანი* | *6* |

**ᲐᲛᲣᲠᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ოქროასშვილი // ერწველაშვილი // ერწოელი** (1721 წ. ), საკ. **ამურველა** (ი. მაისურ., 21); **ამურველა,** მეტსახელი, გვარში: **ამურველაშვილი** (ალ. ღლ., 72); თავდაპირველი ფორმაა **ამრუმელაშვილი. აბრამა ამრუმელაშვილი** (საქ. სიძვ., 367); **ზურაბა ამრუმელაშვილი – ოქროასშვილი** (იქვე, 477); ამრუმელაშვილები (იქვე, 458); სამებისა ამრუმელიშვილი (იქვე, 458). „... 1871 წ. აღწ. აქავ მარაბდას გოსტაშაბაშვილების ყმა... ამრუმელაშვილი ოქრუა“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 169). „ერწოს ამრუმელაშვილი პაპუნა“ (XVIII ს. საქ. მუზ., Hd №6923).

შდრ. **ერწველაშვილი, ერწოელი.**

**ამურველაშვილები** სოფ. ერწოდან არიან გადმოსულები (დიდი

ენაგეთი, მარაბდა).

| |
|---|
| ანანიაშვილი 261 |
| *თბილისი 148* |
| *გორი 21* |
| *ახალციხე 14* |

**ანანიაშვილი** (1751 წ. ; **ანანია** (ძვ. ბერძ.) „მადლი უფლისა, „შემწეობა უფლისა". **ანანია** წმინდანთა სახელია, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ იდღესასწაულებოდა 2–4 იანვარს, 17 აპრილს, 1 ოქტომბერსა და 1, 17 დეკემბერს. საკ. სახ. **ანანია,** მოიხსენიება ბარათაანთ გაყრის წიგნში 1536 წ. „**ანანია** – კვეთელი, მღვდელ-მონაზონი, მოწმეა დავით ბერისძის მიერ ელიოზ კათალიკოსისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა" (1411 წ. X.25. 1449–1651); იესე ანანიაშვილი მოწმეა ფარსადან ციციშვილის მიერ პაპუა მაღალაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა" (1673 წ. XII 10. Ad – 1667); ანანიას შვილი ადამ, 1751 წ.აპრილი (საქ. მუზ. ფ. Hd №2974); ანანიას შვილი დავითი, შეტანილია შერმაზან გნოლიძის მოწმობის წიგნში, 1766 წ. 30 დეკემბერი (საქ. მუზ. ფ. Sd H №2819); **ანანიასშვილი იოსებ,** მოხსენიებულია მოწმედ პირობის წიგნში, 1796 წ. 20 ოქტომბერი (იქვე, ფ. Sd №384).

წინწყაროში მცხოვრები **ანანიაშვილები** 1866 წ. აღწერით, ბერძნებად ჩაწერეს და გვარიც **ანანიევად** მოუნათლეს (ვაშლოვანი, წინწყარო).

**ანდერმანისშვილი** (1736 წ.), საკ. სახ. **ანდერმან** (საქ. სიძვ., II, 422); **ანდერმანა** (ალ. ღლ., 73).

**იორამ და ზურაბ ანდერმანისშვილი** შვილებით: იასე, ანდერმანი, ნიკოლოზი, ბექანი მოიხსენიებიან ჩხიკვთას (1736 წ. ) **თამაზა საგინაშვილის** მიერ თავის ბიძაშვილ იორამ ანდერმანის შვილისათვის მიცემულ ყმისა და მამულის ნაყიდობის წიგნში (დოკ. I, 260). (ჩხიკვთა).

| |
|---|
| ანდრიაშვილი 373 |
| *თბილისი 160* |
| *მცხეთა 95* |
| *დმანისი 22* |

**ანდრიაშვილი** (1721 წ.), **ანდრია, ანდრო** (ბერძ.) „მამაცი", „ვაჟკაცი", „მხნე". **ანდრია** წმინდან მამაკაცთა სახელია, რომელსაც ზეიმობდა მართლმადიდებლური ეკლესია 18 მაისს, 12 ივნისს, 30 ივლისს, 4 აგვისტოს, 19 სექტემბერს, 21, 23 ოქტომბერს, 2, 17, 27 ნოემბერსა და 30 დეკემბერს. „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში. ქ. წრაურთს, 1721 წ. **ლამაზა ანდრიაშვილი**" (ვახუშტი, 159).

შდრ. **ანდრია** – ქალაქი სამხრეთ იტალიაში, აპულიის ოლქში, ბარის პროვინციაში (წრაურთა). ანდრიაშვილთა შტო-გვარებია ამირხანაშვილი და ამირამიზაშვილი (იხ. პალ. II, 1991 წ.).

ᲐᲜᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ 191
გორი 155
თბილისი 31
ბორჯომი 2

**ᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ოჰანეზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ანეზა** (სტატ. ცნ., XVIII ს., 192; ალ. ღლ., 73); შდრ. ქალის საკ. სახ. **ანესა**, აქედანაა ნაწარმოები გვარი **ანესაშვილი,** ალექსი დავითის ძე. ანეზაშვილი, გიორგი ანეზაშვილი, მოიხსენიებიან მუხათში, 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №231; 221.222, 1873 წ. ფ. 1–17). კოდაში **ანეზაშვილის** გასწვრივ წერია – **ოჰანეზაშვილი იგივე // ანეზაშვილი** (იხ. 1873 წ. სცსსა აღწერის დავთარი). არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. ბალახურს, 1721 წ. ანეზაშვილი ბეგუა (ვახუშტი, 159).

სოფ. წინწყაროს მცხოვრები **ანეზაშვილები** 1886 წლიდან ბერძნებად აღიარეს და **ანოზოვ-ად** ჩაწერეს (ბალახური, კოდა, მუხათი, წინწყარო).

ᲐᲜᲢᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 26
თბილისი 14
მცხეთა 4
საგარეჯო 8

ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 37
თბილისი 19
ბორჯომი 6
გურჯაანი 5

**ᲐᲜᲢᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), **ანტონ** (ბერძ.) თარგმნიან როგორც **„მეომარს“**, „ომში ჩაბმულს“, „წინამძღოლს“, „მეთაურს“ (Ზ. ᲭᲣᲛᲑᲣᲠ. დედა ენა ქართ., 322); **ანტონ ანტონაშვილი,** მისი შვილი, სერგო, გეურქა, ზაქარია ანტონაშვილი მოიხსენიებიან 1873 წელს სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25–51).

შდრ. **ანტონიუსი, ანტონოვი, ანტონოვიჩი, ანტონიანი...** (ვაშლოვანი).

**ᲐᲜᲯᲘᲧᲐᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), რთული აგებულების სახელიდან – **ანჯახ (ანჯახისა),** თურქ. **ანჯაქ** – „ძლივს“, „გაჭირვებით“, კუთხ. (ქიზ.) ძნელად ასატანი, უხასიათო ადამიანი. **ყაფა** (ყაფნი, ყაფნისა) ძვ. ფულადი გამოსაღები – გადასახადი (დ. ჩუბინ.), წუწურაქი, ქვაწვია, ქვახარშია (ფიტარეთი).

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ 2903
თბილისი 766
დუშეთი 410
დედოფლისწყარო349

**ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ,** არაბი, არაბები (საკ. სახელწ. ალარაბ), დასავლეთ აზიისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში მცხოვრები ხალხთა ჯგუფი.

**არაბი** (ბერძ. – არაბოს), ჰერმესის ძე,

კასიიჰეას მამა, არაბთა ტომის მამამთავარი (აკ. გელოვ., მით. ლექს., თბ., 1983, გვ. 65), „ქართულ გვარებში გამოიყოფა აგრეთვე მრავალი სხვა ტომისა და ხალხის სახელწოდება, როგორიცაა: არაბი, სპარსი, ოსი (ალანი), ებრაელი, ფრანგი, ჩერქეზი, ჩაჩანი, ქაშაგი, ლეკი, ქისტი, ხაზარი“ (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართული, 311). შდრ. **არაბაშვილი** (საკ. სახ. ხევსურეთში) (მაკალ. ხევს., 1818); **არაბ** (ალ. ღლ., სახელ.); **არაბა** (ზარზმის ტაძრის წარწერაში); შდრ. **არაბული, არაბიძე** (თეთრი წყარო). (არაბულიდან მრავალი ნაყარი გვარია გამოყოფილი).

**არაზაშვილი** (1828 წ. ), საკ სახ. **არაზა** (საქ. სიძვა., II, 117); კოდაში მცხოვრებმა ასლან არაზაშვილმა 1828 წელს შვილი ეფემია მოუნათლა თანასოფლელ **იოსებ დემეტრაშვილს** (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 57, ფურ. 9).

**არაქელაშვილი 47**
*თელავი 11*
*თბილისი 10*
*კასპი 5*
შდრ. არაქელოვი 913
პრაქტ. ქართველები არიან

**არაქელაშვილი** (1537 წ.), **არაქელა** (იმერ.) ზარმაცი, უქნარა, მოუხერხებელი (დიალექტ., 669; ქ. ძოწ.).

**ყაზაზ არაქელა,** გიჰაოს დახსნის წიგნი მიცემული თუმანიშვილებისა ხითარიშვილებისადმი, 1699 წ. 28 ივნისი (ხელნაწერთა ინტიტუტი, შდ 482); **ყაზაზი** (ყაზაზისა) არაბ. **კაზაზ** „აბრეშუმეულის მქსოველი“, **ძვ. ყაითან** – ბუზმენტის მქსოველი ხელოსანი.

**არაქელა,** თეიმურაზ რამაზიშვილის ყმა, მოიხსენიება 1676–1683 წწ., ერასტი მდივანბეგის მიერ (1703–04 წწ.) იასაულისადმი მიცემულ ბრძანებაში (დოკ., II, 12); **არაქელასშვილი,** ჯანაზიანს მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] VIII. 16. 1450–1–112).

ციციშვილის მიერ გამოფიცული სამწევრისეული მიწების ნუსხაში აღნიშნულია, რომ წვერზე ბაადურ არქელაშვილს ეჭირა ყულიაშვილის ნაქონი ერთი დღის მიწა (1671 წ. Hd 833). არაქელაშვილი, კალატოზი, არაქელაშვილი ღარიბა, ტაბახმელელი, მოიხსენიება XVIII ს. მეორე ნახევრის მორიგეთა ნუსხაში (დოკ., II, 84); არაქელაშვილი იოანე ცხოვრობდა მცხეთაში 1838 წ. (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 5).

**არაქელი,** სოფელი ბოლნისის რაიონში (აკაურთის საკრებულო) კოდაში ყოფილი არაქელოვები (პატრონომიული გვარია დუ-

რგლიშვილი) (ღორისთავი, სამღერეთი, გოლთეთი, ერტისი, მუხათა, კოდა).

ᲐᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ 29
*თბილისი 15*
*ქუთაისი 14*

**ᲐᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), საკ. სახ. **არდი** (კოლხ., 88, მარტვილი, ალ. ღლ., 74). საკ. სახ. **არდი**, მზის ღვთაების სახელი ურარტუს ქვეყანაში. **„მზეს ქართულად ოდესღაც არდი უნდა რქმეოდა“** (ივ. ჯავახიშვ., ქ. ერ. ისტ., 1, 103); სიტყვა **„არდადეგი“** – მზის დგომის დღე (ი. მაისურ., 22);

სოფ. წინწყაროში 1886 წლიდან **არდიშვილები** ბერძნებად არიან ჩაწერილი და **არუდოვის** გვარს ატარებენ (წინწყარო). **არდიშვილები იმერეთში აზნაურები იყვნენ.**

**ᲐᲠᲔᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), რთული შედგ. სახელია საკ. სახ. **არე** (კოლხეთი, 38, სალხინო, ალ. ღლ., 74); **მაზა** (კარალეთი, გორის რ., იქვე, 155);

1817 წელს სოფელ მუხათში  თავად ლუარსაბ ორბელიანის ყმად მოიხსენიება არუთინ არემაზაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 477, ფურ. 40-45).

ᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ 26
*თბილისი 19*
*რუსთავი 1*
*შდრ. არეშოვი*

**ᲐᲠᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ/ᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1661 წ.), **არეშ-ი**, ქსნის ხეობა, ლარგვისი; გვარში: **არეშიძე** (ალ. ღლ., ლაგოეთის ტოპონიმია, 1981, 46).

საკვლევ რეგიონში **არეშიშვილები** ცხოვრობდნენ სოფ. **არეშევაში** (მოგვიანებით, ვარხუნო).

ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ 960
*თბილისი 471*
*თერჯოლა 116*
*ქუაისი 111*

1671 წლის 12 სექტემბრის თარიღით შედგენილ გაცვლის წიგნში მოწმეთა შორის მოიხსენიება **ფრიდონ არეშის შვილი** (საქ. სიძვ., I, 68); **არეშაშვილები** იყვნენ ყმა გლეხებიც და აზნაურებიც. მაგ., **ამზა არეშიშვილი** მოიხსენიება აზნაურად (თ. ჟორდ., ქრონიკ., III, 349); ფარემუზ არეშაშვილი (XVIIII ს. პირველ ნახევარში) დასახელებულია ამილღაბარ გოსტაშაბაშვილის ყმად (საქ. მუზ., Hd №6923; დოკ., II, 30); იმავე გოსტაშაბაშვილებს ჰყავდათ აზნაურად არეშიშვილი, 20 დამოუკიდებელი უყმო აზნაური (არეშიშვილები); „ქ. არეშიშვილები: ქ. **გარის ვარხუნას**: დუშია, ამისი ყმა ხარატიშვილი გულუა, ხარატიშვილი მარკოზა, ბოგანო გიუა, ბოგანო პაპუა, ქ. გიორგი, ყმა ხუციშვილი აკოფა, ქ. ბიძინა, დიაკვნიშ-

ვილი ასლანა, ბერია, ბოგანო ბერუა... ჯ.ი.: ყმა ათი, ბოგანო შვიდი" (ვახუშტი, 91–93); **გარის ვარხუნას მემამულეებად მოიხსენიებიან:** ბექან, დუშია, გიორგი, ჩალაბა, უთრუთა, თამაზა, არეშიშვილი, უყმო, სარქისა, დუშია (მეორე), ბიძინა, მანუჩარი, შამშია, სალმახანა (ივ. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 221); ვარხუნოს გარდა არეშიშვილები ცხოვრობდნენ დურნუკში, ენაგეთში. „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ. უყმო არეშიშვილი მანუჩარა" (ვახუშტი, 26); დურნუკის უყმო აზნაურის გვარი არეშიშვილია (ივ. ლორთქ. ქვ. ქართლ., ნაწ. I და II, 180); პაპუნა გოსტაშაბაშვილის ყმებად ენაგეთს 1661 წ. მოიხსენიებიან არეშისშვილი ფრიდონა და გურგენა (დოკ., I, 39); გოსტაშაბაშვილის მემამულეები ყოფილან ბერდია, ხინჩლა და ფარემუზა არეშიშვილი. მათი ყმები სოფ. დვალთაში იანგარიშება გოსტაშაბიშვილის არეშიშვილი. მათი ყმები სოფ. დვალთაში იანგარიშება გოსტაშაბაშვილის ყმების საერთო ჯამში (ვახუშტი, 53);

1873 წ. ახლად დაარსებულ სოფელ იფნარაში იყო 7 კომლი, მამაკაცი 39, ქალი 27. შედიოდა დალეთ-ხაჩინის სასოფლო სამმართველოში და ეკუთვნოდა მემამულე არეშოვს (არეშიშვილს) (სცსსა, ფ. 254, №3, 117, 1873 წ. ფ. 78–8-); დიდი ენაგეთის სახაზინო ყმას ივანე იოსების ძე ჯოიშვილსა და მის მეუღლეს სოფა ზურაბის ასულს ქალიშვილი ანა მოუნათლა აზნაურმა ალექსანდრე არეშიშვილმა და სიმონ ჯოიაშვილის ასულმა ქეთევანმა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1883 წ7); იასე იოსების ძე ჯოიაშვილს 1883 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილი მოუნათლა აზნაურმა იოსებ გრიგორის ძე არეშიშვილმა (იქვე).

**არეშიშვილებს (არეშოვებს)** 1886 წლის აღწერის მონაცემებით ეკუთვნოდათ: ვარხუნოში, ეცოსა და ლიპში ვასილ გრიგორის ძე არეშიშვილის ვარგისი მიწა I კატეგორიის 1 ქცევა, II კატეგორიის 28 ქცევა, III კატეგორიის 70 ქცევა, სულ 99 ქცევა, შემოსავალი 2 მან. 73 კაპ.; ახალშენსა და გენაურში შუშანა, ნიკოლოზ, იოსებ გრიგორის ძეებს, იაგორ, ალექსანდრე ხოსროსძეებს – მეორე კატეგორიის 200 ქცევა, მესამე – 400, შემოსავალი 14 მანეთი; ალექსანდრე გრიგორის ძე არეშიშვილს (არეშოვს) შესაბამისად 20 და 90 ქცევა, შემოსავალი 2 მან. და 15 კაპ.; როსტომ, ალექსანდრე და იაგორ ხოსროს ძეებს, სამღერეთში, ეცოსა და ვარხუნოს I კატეგორიის 1 ქცევა, II კატეგორიის 52 ქცევა, მესამე – 103, შემოსავალი

3 მან. 65 კაპ.; როსტომ ხოსროს ძე არეშოვს ჩხიკვთასა და შავსაყდარს ეკუთვნოდა შესაბამისად 4, 100 და 135 ქცევა, შემოსავალი 6 მან. და 44 კაპ. და ა.შ. (ფ. 254, აღწ. 3, საქ. 2057, ფურ. 146–157).

**არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის მემამულეები.**

ა. მოგვიანებით არეშოვებად და სომხად „მონათლეს“ (ვარხუნო, ეცო, დურნუკი, ენაგეთი).

არეშიძე (1858 წ.), საკ. სახ. **არეში** (ქსნის ხეობა, ლარგვისი; გვარში: არეშიძე (ალ. ღლ., ლაგოეთის ტოპონიმია, 1981, 46). 1858 წლის აღწერით, სოფ. ბორბალოში ქაიხოსრო სოლაღაშვილის ყმად მოიხსენიება „ქვრივი“ ნინო არეშიძე (სცსსა, ფ. 254, №1, ფურ. 88–95); 1873 წ. აღწერის მასალებში ჩნდება **გიორგი არეშიძე** (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, №11, ფურ. 1–4);

**არეში,** მდინარე ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში, მდ. კაბალის მარჯვენა შენაკადი. **არეშიძეები იმერეთში აზნაურები იყვნენ.**

ამავე ძირისაა: **არეშიშვილი, აროშიძე** (ბორბალო).

**ᲐᲠᲗᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ართუთა** (პ. ინგორ., სვან 2, 47); ა. არუთინას კნინობითი ფორმაა. „ქ. ბეჟანი ზურაბაშვილის ყმა 1721 წ. მონასტერს შერმაზანა ართუთაშვილი“ (ვახუშტი, 61). (მონასტერი).

| | |
|---|---|
| ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲫᲔ | 1074 |
| *ქუთაისი* | *402* |
| *ტყიბული* | *368* |
| *თბილისი* | *123* |
| არისენიშვილი | 282 |

**ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲫᲔ** (1886 წ.), **არსენ** (ბერძ.) „მამაკაცი“, „ვაჟკაცი“. მისგან ნაწარმოებია **არსენიძე, არსენიშვილი** (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 323);

**არსენ I, არსენ დიდი, არსენ საფარელი** (დაახლ. 820/830–877/887) ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი.

**არსენ ბერი,** XI ს.-ის II ნახ. და XII ს.-ის ნახევრის საქართველოს საეკლესიო მოღვაწე, მწერალი. დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი.

**არსენ გულმაისიმის ძე,** XIII ს.-ის ნახ.-ში საქართველოს კათოლიკოსი, მწერალი.

**არსენ თბილელი,** ბაგრატიონთა გვარის, ქართლ-კახეთის სამეფოს საეკლესიო მოღვაწე.

**არსენი,** XII ს.-ის ქართველი კალიგრაფი. არსენ იყალთოელი... **არსენა ოძელაშვილი** (მარაბდა); **არსენა ჯორჯიშვილი** და სხვა.

1886 წლის აღწერით სოფ. ბორბალოში მოიხსენიება **გიორგი არსენისძე** (სცსსა., ფ. 254, №3, 1608, უწყ. №702, ფურ. 1–49).

| | |
|---|---|
| **არუთინაშვილი** | 260 |
| *გურჯაანი* | *169* |
| *თბილისი* | *31* |
| *რუსთავი* | *19* |

**არუთინაშვილი//მექანარიშვილი//ალამაზაშვილი.** საკ. სახ. **არუთინა** ნასესხებია თურქულიდან და ნიშნავს **მექანარეს** – **ქანარის** დამკვრელს. „არუთინა დაგვიყენებია აუშთარის თავილდარად (აბჯრის დამცველად, საჯაბადროს მოხელედ) (იხ. „დასტურლამალი", გვ. 672 წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები). **არუთინა მეზინჯე.** „ნაღარახანი: მოხელენი დაგვიყენებია... მესინჯე – გოგინა, მესინჯე – არუთინა, მეზინჯე – ზინჯის მცემელი, დამკვრელი" (იქვე, გვ. 661). პეტრე უმიკაშვილი ასე განმარტავს სიტყვა **სინჯს:** „სპ. სინჯი. თეფშის მსგავსი საკრავი თითბირისა, გარს ეჟვნებიანი, რომელსაც ერთმანეთს სცემენ ხმის გამოსაცემად (იქვე, გვ. 798).

სახელ **არუთინას** ქართული სინონიმია **არუფინა** (აქედნ არუფინაშვილი) (იხ. საქ. სიძვ., I, 100) და **არუთენა.** არზაში, არუთენა **ბარხუდარაშვილის** ვალის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით (1793 წ. 2 აპრილი) აღნიშნულია: „ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის ვახტანგის ჭირი **თუმანისშვილის** ბირთველის ყმას ბარხუდარაშვილს არუთენა, რომ... ჩემი ახი მამცეს და თავისი თამასუქი დაიხსნას" (იხ. სცსსა, ფონდი 1450. დავთარი №17, საბუთი №180. „ნასყიდობის წიგნი, 1781, იანვრის 9, №100. „ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგართვი მე ენაგელმა **უსტაშვილმა** არუფინამ" (საქ. სიძვ. ტ. I, გვ. 100). მაშასადამე, გვაქვს: **არუთენა//არუთინა//არუთინ//არუფინა.**

პატარა თონეთში 1843 წელს **ბადალა არუთინაშვილი,** იგივე **ალამაზაშვილი** (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 310–32); **არუთინაშვილი//მექანარიშვილი** (ჯავახი), მოიხსენიება თელათუბანში (ყოფ. თელათგორი, კასპის რ.) 1695 წ. (დოკ.., I, 95); „ქრისტიან არუთინა ხანისთვის ხანობის მინიჭებისა და მზისა და ლომის ორდენით დაჯილდოების შესახებ" (1574, კოლექცია 1449); არუთენა, არუთინა პოპულარული სახელი 1721წ. აღწერაში 58-ჯერაა მოხსენიებული. მაგ., **არუთენაშვილი** ზაზუტა, არუთენაშვილი მითარასი, არუთინა ისაიას ძე, ა. ბაყალი, ა. გზირი, ა. დალაქი, ა. ექიმბაში, ა. ექიმი, ა. ვაშლა, **ა. ზურაბაშვილი,** ა. თოფსაზი, ა. მანველი, ა. მებალე, ა. მეზანდუკე, ა. ჭონი, ა. მექვაბე,

ა. მექუდე, ა. მოლაშქრე, ა. მწერალი, ა. მჭედელი. ა. მხერხავი, ა. ნაცვალი, ა. ფეიქარი, ა. გოგინასშვილი, ა. ყასაბი, ა. ხარაზი და სხვა.

**არუთინაშვილები** – ბეჟანი, გიორგი, გლახა, დავითი, ზაქარია, ზურაბა, თაყა, თევდორე, მოსე, ნათელა, მაია, ნინო, ნონია, ოსეფა, პაპა, პეპია, სააკა, სტეფანე, ღთისია; იქვე მოიხსენიებიან სომხები: არუთინოვი გალუსტა, გეურქა, მელქო, მნაცაკან, ოჰანეზა, ტერ-მოვსესა, ფარსიღა, ფასანა (კოლექცია №1449, ნაწ. I, წიგნი. II).

მოგვიანებით რუსული გაფორმებით – **არუთინოვი**. არუთინოვები არიან ქართველებიც და სომხებიც. (კოდა, პატარა თონეთი).

| | |
|---|---|
| ᲐᲠᲩᲣᲐᲫᲔ | 957 |
| *გორი* | *454* |
| *თბილისი* | *225* |
| *საგარეჯო* | *108* |

| | |
|---|---|
| ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ | 2338 |
| *თბილისი* | *1177* |
| *ჭიათურა* | *184* |
| *რუსთავი* | *102* |

**ᲐᲠᲩᲣᲐᲫᲔ // არჩვაძე** (1559 წ. ), **არჩვი,** ოთხფეხა ცხოველი. შდრ. დათვია. ვეფხია, მგელიკა, მგელა, (გელა), ფოცხვერა, **შევარდენა** (და არა **შევარდნა**).

**არჩვაძეები:** „სვიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა წიასწყალში ერისთავისგან ბოძებული არჩვაძეების შეწირულობა" (1559 წ. XII.I. Ad–1572). ნუსხა მცხეთისა №:მ. 1574 წ. სვიმონ მეფე წერს: „...მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სვეტი-ცხოველს შემოსწირვია წასწყალს (?) არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა" (ქრონ., II, 415); **არჩუაძე** – გიორგი მეფემ შესწირა ცაგერის ეკლესიას სერაპიონის ცაგერლობის დროს დიჩს არჩუაძისეული მამული (1610 წ. Qd–9085 ბ); გიორგი არჩვაძე ქორდელი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე გიორგი, 1616 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოსის ზაქარიას მიერ დავით და სხვა **გელევანისშვილებისადმი** – არჩვაძე **ზაალ სააკაძემ** თავის განაყოფს ზურაბ სააკაძეს, მის რუმდე მიჰყიდა საჯვარეს წინა ვენახი (1688 წ. VII.20. Sd–548).

**არჩვაძეები** (1941 წ.) სოფ. ასურეთში გადმოვიდნენ საცხოვრებლად სოფელ სხვავადან (ამბროლაურის რ.).

| | |
|---|---|
| ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ | 1499 |
| *თბილისი* | *414* |
| *ხაშური* | *150* |
| *ხელვაჩაური* | *107* |

**ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ** (1873 წ.), საკ. სახ. **არჯევანი;** ამავე ძირისაა **არჯევანიშვილი** (ი. მაისურ., 23).

**არჯევან** (ზენდური) „ღირსი", „ღირსეული" (ეტიმოლოგია საეჭვოა). აქედანაა გვარი **არჯევანიძე** (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 323). (დიდი თონეთი).

| | |
|---|---|
| ასაბაშვილი | 844 |
| ყვარელი | 484 |
| თბილისი | 102 |
| მარტვილი | 73 |

**ასაბაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ასაბა,** გვარში: **ასაბაშვილი** (ალ. ღლ., 76); ასაბაშვილი მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 133, ფურ. 191);

რუსული გაფორმებით – **ასაბოვი** (დიდი ენაგეთი).

| | |
|---|---|
| ასათაშვილი | 110 |
| ახმეტა | 77 |
| თბილისი | 20 |
| თელავი | 10 |

**ასათაშვილი** (1523 წ.), **ასათ** (არაბ.) „ლომი“, აქედანაა ნაწარმოები გვარები **ასათაშვილი, ასათიანი** (ზ. ჭუმბურ., 323). შდრ. **ასლანიშვილი/ /ასლან** (თურქ.) „ლომი“. შდრ. გვარები: **ლომაძე, ლომაია, ლომიშვილი** და მისთ.

საკ. სახ. **ასათ** (ქართლ. ცხ., II, 19); **ასათა** (ქრონიკ., II, 207); ასათ (ალ. ღლ., 76); **ასათიშვილის** ძველი ფორმაა **ასათის ძე,** ვახუშტი „მთავართა გუართათვის“ წერს: „...ხოლო გუარნი მთავართა მათ ძველთანი არიან: **ქობულისძე... ასათის ძე, კარიჭისძე...**“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 13); მეფე დავით X-ის განჩინებით ბარათაშვილთა გაყრისას (1523 წ.) გერმანოზსა და მის ძმებს ენაგეთში შეხვედრია **ასათაშვილი** (ხელნ. ინტს. Ad). დემეტრე **ასათაშვილი** მოიხსენიება 1741 წ. პირობის წიგნში, რომელსაც გრიგოლ ჩოლოყაშვილი აძლევს ფშაველებს (დოკ. I, 406); გაბრიელ, გიორგი, დავით, პეტრე ასათიშვილები (იხ. იქვე, 484). გ. ასათიშვილს უცხოვრია სოფ. ენაგეთს 1756 წ. (სიძვ., I, 95).

| | |
|---|---|
| ასათიანი | 3716 |
| თბილისი | 1160 |
| ქუთაისი | 1113 |
| წყალტუბო | 214 |

**ასათიანი** (1881 წ.), **ასათ** (არაბ. ლომი), საკ. სახ. **ასათ** (ქართლ. ცხ., II, 19); **ასათა** (ქრონიკ., II, 207); „**ასათიანი,** აზნაურნი ასაით მიხაილ იყო ბერძენთა მხედარი სარდას მონომახის კეისრისა **წელსა 1073,** და მისი შვილი მოვიდა იმერეთს და მეფემან მათი გვარი მიიღო ასათიანად და მუნითგან იწოდებიან ამ გვარად (სანდაზო ლექსები... 139); საღირაშენში 1881 წელს მოიხსენიება გლახა გიორგის ძე ასათიანი, რომელსაც ვაჟიშვილი გიორგი მოუნათლა ამავე სოფლელმა **დავით დავითის ძე მოდრეკილაძემ** (მეტრჩ. წიგ., არქ. 182,1). შდრ. **ასათაშვილი** (საღირაშენი).

**ასანბეგიშვილი** (1659 წ.), შედგენილია ორი კომპოზიტისაგან **ასან (ხასან)**-ისაგან, რაც (თურქ.) წითელს ნიშნავს და **ბეგი**-საგან.

თურქული სიტყვა **ბეგი** (გვიანდელი გამოთქმით **ბეი**) ნიშნავს „ბატონს". ოსმალეთში, რუმელიაში, ანატოლიასა და სირიაში უმაღლესი ხელისუფალი იყო, მოგვიანებით, უბრალოდ საპატიო წოდება. ქართულში საკუთარ სახელად არის ქცეული და რამდენიმე ფორმით გვხვდება. იხ. გვარი: **ბეგაშვილი. ასან-მირზა** (გ. 1750 წ. ), კახეთის მეფის დავით II-ის (იმამყულიხანის) მესამე ვაჟი, ირანის ორიენტაციის მომხრე. მხარს უჭერდა თავის ძმას ალექსანდრე ბატონიშვილს (ალიმირზას) თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ასანსოლი** ქალაქი ჩრდ.-აღმოსავლეთ ინდოეთში. **ასანხოჯალო,** სოფელი ბოლნისის რაიონში (ამირასანის საკრებულო).

„**ასანა** – სიონს მცხოვრები, **გოშფარ და როინ ჯავახიშვილების** გაყრის დროს ერგო გოშფარს [1527–1556 წწ.] Qd–605"). „**ასანბეგა** – აკაურთას მცხოვრები, მამულითურთ წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] VIII. 6. 1450–11–112):. **ასანბეგა** ერქვა როსტომ მეფის დისწულს, რომელსაც მეფემ სოფელ ენაგეთს უბოძა მოსახლეები მამულებითურთ: **პაპია ფირუაშვილი, დათუნა სურამაშვილი, სტეფანე მჭედლიშვილი, ევანეზა ჯანიკაშვილი** (1647 წ.) (ისს. ლორთქ. ქვ. ქართ., ნაწ. I და II,...); **ასანბეგიშვილი** – ტბისს მცხოვრები, მისი მამული იყო ერთ-ერთი საზღვარი **ოთარ ბარათაშვილის** მიერ **პაპუნა ბარათაშვილისათვის** მიყიდული ვენახისა (1659 წ. IV.15. 6285). შდრ. **ამირბეგაშვილი, ბეგთათაშვილი, ალიბეგაშვილი, ჯანიბეგაშვილი** და სხვა. (ენაგეთი, ტბისი).

**ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1536 წ.), საკ. სახ. **ასატურა** (ს. კაკაბაძე, ბარათაანთ გაყრის წიგნი, 1536 წ., საისტ. მოამბე, 1924 წ. 184); **ასატურა** ბერის–შვილი, იესე გერმანოზიშვილის ყმა, ენაგეთში რუსუდან დედოფალმა უბოძა მებატონე **იესე გერმანოზიშვილს** (1714 წ.) (საქ. მუზ., №3059 Hd); **ასატურა ლოინაშვილი** დასახელებულია მოწმედ 1721 წ. **ოთარ რატისშვილის** მიერ **ბეჟან შანშიაშვილისადმი** მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ., №10.285 hd); **ასატურაშვილი** ანტონა, ჯაჰანბანუ დედოფალმა უბოძა ფალავან ხოსროს 1688 წ. (ყმების წყალობის წიგნი, 1688 წ., დოკ., I, 79); „... და მივეცით მანუჩარსა და ჯ[ა]მშიტას საჭირნანახოთ: გორს: ასატურასშვილი პაპინა მისი კერძის ყმითა და მამულითა" (1636 წ. ხელნ. ინსტ. Hd 14665); თამაზა ასატურაშვილი, ანდრიელი, სუფრაჯ აბა-

შიშვილის მსახური (1705 წ. გურჯაანი, საქ. სიძვ., I, 127); ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა. მოსია ასატურაშვილი (1721 წ. ივ. ჯავახ., სეიძ., I, 167); „ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. თამაზა ასატურაშვილი“ (ვახუშტი, 113); „ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ქ. კრეფას ოთარა ასატურაშვილი, ლაჩინა ასატურაშვილი“ (იქვე, 128);

შდრ. (სომხ.) **ასტვაწატურ, გევარქ კონსტანტინეს ძე ასატური** (ნამდვ. გვარი ასტვაწატრიანი) (თბილისი, 1863–1937 წწ.) სომეხი ლიტერატორი, მთარგმნელი. ასატრიანი, ასტვაცატუროვი იგივეა, რაც ალავერდაშვილი, სომხ. ალავერდი, თათრ. ალავერდიევი რუს. ბოგდანოვი (ანდრია, ვაშლოვანი, კოდა, კრეფა).

**ასიმაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ასიმა** (ქართ. ცხ., I, 246); სერგო გრიგორის ძე ასიმაშვილი მოიხსენიება ენაგეთის ახალშენს 1873 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო, 1) (ენაგეთის ახალშენი).

ასიტაშვილი 232
*რუსთავი 217*
*გურჯაანი 8*
*გარდაბანი 1*

**ასიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ასიტა** (დოკ., II, 5); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანისს 1721 წ. **ასიტაშვილი მელიქა**“ (ვახუშტი, 23).

ასლამაზაშვილი 429
*თბილისი 231*
*დმანისი 46*
*კასპი 30*

ასლამაზიშვილი 467
*თბილისი 251*
*გარდაბანი 65*
*მცხეთა 25*
ასლამაზოვი 303

**ასლამაზაშვილი//ასლამაზიშვილი // ზურაბაშვილი // ფეიქრიშვილი // არუთინაშვილი // რამაზაშვილი** (1615 წ.), საკ. სახ. **ასლამაზა,** მიხუდა იოთამს დმანის ციხეში საუხუცესოდ... ასლამაზა,... რატევანს **ასლამაზა** (მეორე), ...მირტაშენს ასლამაზა (მესამე) (ს. კაკაბ. დასახ. ნაშრ. 1936 წ.).

ასლამაზსა და პაპუნას თეიმურაზ მეფემ გამოართვა ყმა, **სუხუასშვილი,** ქვემო ბოლნისიდან და ნაცვლად მისცა ალეკს მცხოვრები ალიხანა (1631 წ. Ad–682).

**ასლამაზ ჭონი,** წინწყაროს მცხოვრები, მისი მამის გათარხნების გამო კათალიკოზ დომენტი III-ს ქალაქს (თბილისს) დაუსახლებია (სითარხანის წიგნი კათალიკოზ დომენტი III-სა, 1705 წ., საქ. სიძვ. II, 203); **ასლამაზ ბარათაშვილი** მოიხსენიება თაყა ბარათაშვილის მიერ როსტომა

ყორღანაშვილისადმი მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნში (1881 წ. დოკ., I, 68); **ასლამაზ ვარდიაშვილი,** გიორგი გედევანიშვილის მიერ აბელ მოურავისადმი გაცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში (1703–1736 წწ. დოკ., I, 376); **ასლამაზა,** ზაზა სოლოღაშვილის (მებატონე) მოურავი იხსენიება ზაზა სოლოღაშვილის მიერ ბაღდუა და ბერელა ზურაბიშვილებისადმი მიცემულ თავდახსნილობის წიგნში (1738 წ. დოკ., I,280); ასლამაზ თაყაიშვილი (1688 წ. (საქ. სიძვ., I, 69); ა. მამასახლისი, გაცვლილობის წიგნით, მოწმე (hd №1785). **ასლამაზა** მამასახლისი, ა. მელიქი. ა. ხანი. ასლამაზაშვილი ავთანდილა, ა. გიორგი, ა. დავითია, ა. დანელია, ა. ელისბარა, ა. ზაქარია, ა. როსტომი, ა. ოთარი, ასლამაზოვი ნიკო (კოლექცია 1449, 794, 8944); **ასლამაზიშვილი ზაქუა.** ზაქუმაშვილის მიერ შანშიაშვილდოლმაზაშვილებისადმი გაცემული ნასყიდობის წიგნი (1615 წ. ჰდ 3054). ასლამაზაშვილი–მის მიწას ესაზღვრებოდა ვარძელა ყუზანაშვილის მიერ დუშია შავერდაშვილისათვის მიყიდული მიწა (1633 წ. II, 9, 1450–6–39); **ასლამაზიშვილი** ზურაბა მოხსენიებულია ამაზასშვილი პაპუას სასახლის ნასყიდობის წიგნში 1689 წ. (საქ. სიძვ; II 442); **ასლამაზიშვილი** – მცოვრეთის მცხოვრები (1705 წ., საქ. მუზ., №2085 რვ).

საქართველოს ბევრ კუთხეში ცხოვრობენ ასლამაზიშვილების (რუსული გაფორმებით ზოგან ასლამაზოვები). გვარის წინაპრები ლამაზიშვილები ყოფილან (XV ს.). მოგვიანებით (XVIII ს.) ზედმეტმა სახელმა ასლამაზ აწარმოა გვარი ასლამაზიშვილი. „**118. აზნაური ლამაზის შვილი.** ამათნი წინაპარნი ესახლნენ კახეთსა შინა, ლაბიანად წოდებულსა ივრის ხეობაზედ, რომელთაცა უწოდენ ლამიანის ძეებად, დროსა გიორგი მეფისასა 1587 წ. ხოლო ამათ შთამომავალთაგანი იყო ვინმე ყრმა ფრიად მშვენიერი, რომელსა სახელად უწოდენ ლამაზსა და მის გამო გაუგვარდათ შვილთა მათთა ლამაზისშვილობა და არიან ესენიცა მოხსენებული ტრაქტატსა შინა" (იოანე ბატონიშვილი, ისტორია საქართველოს თავადთა და აზნაურთა..., გვ. 175). როგორც ცხოვრებაში ხდება, მჯობზე მჯობი არ დაილია და ლამაზის შვილთა ერთ-ერთ ასულს ასლამაზა შეარქვეს. მეტსახელიდან **ასლამაზა** გაჩნდა გვარი **ასლამაზიშვილი**.

XIX საუკუნეში ქალაქ თბილისში მუდმივად ცხოვრობდა **23** სხვადასხვა გვარის **70-ზე** მეტი **მამრობითი სქესის თავადი.** ამას

გარდა, იყო 68 სხვადასხვა გვარის აზნაური. მათ შორის იყვნენ: **ყორღანაშვილები, გაბაშვილები, თურქისტანიშვილები, შანშიაშვილები, საგინაშვილები, ჩუბინაშვილები, ხიმშიაშვილები, რჩეულიშვილები, ლარაძეები, ასლამაზიშვილები** (ხაზგასმა ჩვენია. –ი. ა.) და სხვები (თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 256). (**ასლამაზიშვილთა** ერთი წყება **ბარათაშვილთა შტო-გვარიცაა**).

ისტორიულ დოკუმენტში გვარი ასლამაზიშვილი გვხვდება 1615 წ., 1689 წ., 1782 წ. და შემდგომ წლებში (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd 354, Hd 767, Sd 2987). გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სომხურ ეთნოსს მიაკუთვნეს, მაგრამ დაივიწყეს, რომ კუდი დაემალათ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ გვარს (ისევე, როგორც ბევრ სხვა გასომხებულ გვარსაც) აქვს შტო-გვარები: **ზურაბიშვილი, რამაზაშვილი, ფეიქრიშვილი** (დიდ თონეთში დღესაც ასლამაზიშვილებს ფეიქრიანთს უძახიან) (სცსსა, ფ. 254, 20 გვ. 1738 წ.ფ. 254-3-ფურც. 82-146; ფ. 254–3-1608).

**ასლამაზიშვილების მეორე გვარი ყოფილა ზურაბაშვილი.**

**ასლამაზიშვილი // ზურაბაშვილი.** ასლამაზიშვილი ბაღდუა და ბერელა ზურაბაშვილებისადმი მიცემულ თავდახსნილობის წიგნში (1738 წ. ცსსა, ფ.-, №20/33; დოკ., I 280); ზაქარია ასლამაზიშვილი ემოწმება გორჯასპ მდივანს, რომ ხარაბა ადგილზე სახლი ააშენა და წყალი გაიყვანა (1756 წ. საბ. №1809); ასლამაზიშვილი გიორგი – მოხსენიებულია თომა ქუთათელაძის მიერ მღვდელ-მონაზონ ვასილისადმი მიცემული პირობის წიგნში (1815 წ. დოკ., II, 291); ასლამაზაშვილი. (იხ. 3.III.1914), სოფ. კავთისხევი, ახლანდ. კასპის რაიონი – 22. XI. 1970. თბილისი). ...ფეიქრიშვილი სოლომონ (იგივე ასლამაზიშვილი), ...ფეიქრიშვილი სოლომონ (იგივე ასლამაზიშვილი), ფეიქრიშვილი ვახტანგ, იგივე ასლამაზოვი, ფეიქრიშვილი გლახა,იგივე ასლამაზოვი, ფეიქრიშვილი ზაქარია, იგივე ასლამაზოვი, ფეიქრიშვილი გიორგი, იგივე ასლამაზოვი (სცსსა, ფ, 254, №3, 1608, 1886 წ. ფ. 82–146); 1843 წ. აღწერის მასალებში პატარა თონეთში მოიხსენიება **ბადალა არუთინაშვილი, იგივე ასლამაზიშვილი** (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 310–322). **რამაზაშვილი მოიხსენიება ასლამაზიშვილად** (იქვე, დიდი თონეთი, პატარა თონეთი).

ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 1168
*თბილისი 395*
*დმანისი 341*
*ბოლნისი 145*

ᲐᲡᲚᲐᲜᲝᲕᲘ 1129
*თბილისი 362*
*წალკა 161*
*მარნეული 129*

**ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ // არსლას ძე // არსლანის ძე //არსლანიშვილი // ადამაშვილი** (1439 წ.), **ას-ლან-ი** (თურქ.) „ლომი“, ჰოლანდიური „ოქროს მონეტა“, გვიანდელი მნიშვნელობაა „გმირი“, „გო-ლიათი“, „დიდი“.

**ასლანლუ–ასლანუ** სპარსეთში **შემნახვე-ლი** და **დამკვრელი ბეჭდისა,** ანუ **შტამპელისა, რომელზედაც გამოსახული იყო ლომი.**

სახელი **არსლან,** მოგვიანებით **ასლან-ა** გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში. მის პოპულარობას ხელი შეუ-წყო თურქ-სელჩუკთა სულთან **ალფ-არსლანის** შემოსევებმა, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1064, 1068 წწ.).

სახელი **არსლან-ი** ჩნდება XII საუკუნეში. **არსლან ოქრომჭედელი** (XII ს. ტბეთის მატიანე, 183); **არსლან ბალას ძე** (იქვე, 258); **არსლან ქლუტისშვილი** (491); გვარის პირველადი ფორმაა **არსლას ძე** და **არსლანის ძე** (ქრონიკ., II, 25); ამავე პერიოდში დასტურდება გვარი არსლანისძე, ასლანისძე. კაბენის ტყავზე ერთ-ერთ წარწერაში ვკითხ-ულობთ: „...მე, მიქელაშვილმა ბასილმა, პიპამა, ნიკოლოზ და გიორგიმ ასლასძისგან ვიყიდეთ ვენახი, აღალითა ჩვენითა საქონლითა...“(ქრონიკ., II, 25); აქედან მოდის **არსლანისშვილი.** შდრ. ბიბლია არსლანიშვი-ლი, მთიელი, მოიხსენიება 1439 წ. სამების ტაძრის „სულთა მატიანე-ში“. „დ-ბ-წ-სა სამებაისა ერთარსებისა და ერთღვთაებასა შევიყვარენ-ით ხევიხევობით კობით და გუცლეთადმი მზევლები მოგაცით თქ̃ნ გერგეტელთა საყდარი [შვილებს] გუჩლეთით ანი[ა] და ხარსილაც-დოით გიშელი და ბარზანდელი: სტეფანწმინდით ხეთაგა... ბი... და არსლანიშვილი“ (ქრონიკ., II, 245–246).

**ასლან** მრავალ ადგილასაა მოხსენიებული „დასტურლამალ-ში“ (ვახტანგ VI-ს მიერ შედგენილი კანონთა კრებული), სადაც შესულია ასლანა ბოლნელი (მუჯირი, ამ შემთხვევაში, როგორც თანმდებობა). **მუჯირი** „ხვარბლის მნე“ (საბა), ბოვნელი ასლანა, ასლანა თავილდარი (საანგარიშო დარგის მოხელე) და სხვა. სამართ-ლის განაჩენში (კოლექცია №1448, ნაწ. I, №5236) **ასლან-ი** 19-ჯერაა მოხსენიებული. მაგ., ასლან ბატონიშვილი, **ა.** თარხანი, **ა.** დიაკონი, **ა.** ეშიკაღაბაში, **ქა.** ზურაბიშვილი, **ა.** მებაქეთუხუცესი, **ა.** მოლარე-

თუხუცესი, ა. პატარკაცი, ა. უზბაში, ა. ფარეში, ა. ქალაქელი.

ცნობილი ყოფილან: გოგია, დათუნა, ზურაბ, იასე, იონა, ნინია, პაპა, ქეთევან ასლანიშვილები (იქვე).

**სტეფანწმინდელი ასლანისშვილი,** ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ხევმა მძევლად უბოძა გერგეტის საყდრისშვილებს(1439 წ. II, 20 A 1085, 13–15); **ასლანიშვილთა** ერთ-ერთი შტო **ასლან ბარათაშვილების** ჩამომავალია. ასლანიშვილები იყვნენ საჯაბადროს მოხელენი („აბჯარის დამცველნი“) (**ივ. სურგ.,** 193–194); **შავერდა ასლანიშვილი** მოიხსენიება მოწმედ 1619 წ. შიოშ სოლაღაშვილის (ამ მხარის ბატონის) ნასყიდობის წიგნში, რომლითაც ირკვევა, რომ 1745 წ. ვახუშტი გოსტაშაბიშვილმა მიჰყიდა მისი კუთვნილი ნავენახარი (საქ. სიძვ., I, 92); **პაპა ასლანიშვილი** მოხსენიებულია 1721 წ. ერთ-ერთ დოკუმენტში. **ასლანიშვილები არიან მებატონეები თოფრაყალას. სარდალ ლუარსაბისაგან ყიდულობენ ყმებს:** აზნაურიშვილ გიორგი ტაველაშვილს, პავლიაშვილს... ნასყიდას, სოფ. ძეძვნარიანში ჯაღუაშვილ პაპუნას, ჯაღუაშვილ როსტომას, თევდორაშვილ მამუკას, ასევე ყმები ჰყავთ სიქიშხანს, შუაბოლნისს, უშევანს (ვახუშტი, 224–225); ქვემო ქართლს 1721 წელს მოიხსენიება იორამ სოლოღაშვილის ყმა **ასლანიშვილი იაკობი,** მისივე ყმა **ასლანიშვილი ბექანა** (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 167–168); 1823 წელს სოფ. ღოუბანში თავად ლუარსაბ ორბელიანის მამულში მოიხსენიება გიორგი ასლანიშვილი (ფ. 254, I, 802, ფურ. 83–92); ამავე წელს სოფელ ბორბალოს მოიხსენიებიან: **ასლანა ასლანაშვილი,** მეუღლე **მათუა,** შვილები გაბო, დავითი, ანა, მაია; **პეპია ასლანაშვილი,** მეუღლე **ბარბარე,** ძმა **პეპია ასლანაშვილი,** დედა ანა (ფ. 254, I, 802, ფურ. 77–83); „1834 წელს, თებერვლის თვრამეტს ავლაბარში მცხოვრებმა სახაზინო ყმამ **გრიგოლ იოანეს ძემ ასლანოვმა** იქორწინა კუკიაში მცხოვრებ სახაზინო ყმის იმერლის ბუჭუკელა თხილაძის იოანეს ძის ქალწულ ქალ **თინათინზედ.** ჯვარი დასწერა წმიხდა ჯვარის გამოჩენის ეკლესიის მღვდელმა იოანე პეტრეს ძე იმნაძემ. გვირგვინის კურთხევის დროს იყო დიაკონის თანამდებობის აღმასრულებელი **პავლე ეგნატეს ძე ნიკურაძე**“ (ფ. 489, აღწ. 6, საქ. №203, ფურ. 6);

1843 წლის აღწერით, პატარა თონეთში თავად ლუარსაბ ორბელიანის დასჯილ ყმებად მოიხსენიებიან **იაკობ ასლანაშვილი,** იგივე **ადამაშვილი, სოსია ასლანაშვილი // ადამაშვილი, გოგია**

**ასლანაშვილი // ადამაშვილი** (ფ. 254, I, 2042, ფურ. 328);

ქართველები გრიგორიანული წესით (XIX–XX სს. ოციანი წლები) მონათვლის გამო, თბილისის მახლობელი ზოგიერთი სოფლის მცხოვრებნი სომხებად ჩაუწერიათ, ხოლო რუსული გაფორმებით, **ასლანოვად** გადაუკეთებიათ.

**ასლან** ძირზეა აგებული სომხური გვარი **ასლანიანი,** ოსებსა და აზერბაიჯანელებში – **ასლანოვი,** ბერძნებში – **ასლანიდი.**

**ასლანიშვილის** ფარდია **ლომაძე, ლომიძე, ლომაშვილი...**

ამავე ძირისაა: ასლანიძე, ასლანიკაშვილი, ასლუაშვილი...

ნ. ადამაშვილი (ბორბალო, პატარა თონეთი, ღოუბანი).

**ასლუაშვილი // ზურაბაშვილი** (1670 წ.), საკ. სახ. **ასლანის** (თურქ.) „ლომი“ მოფერებითი ფორმაა **ასლუა.** შდრ. **ასლა** (სიძვ., I, 306); **ასლუა** მამასახლისი მოიხსენიება 1719 წ. ედიშერ ციციშვილის მიერ გაცემული ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 298); **ასლუაშვილი – ზურაბაშვილი, ასლუაშვილი ხოსრუა - ზურაბიშვილი** (საქ. სიძვ., I, 301); ასლუაშვილი მოიხსენიება 1879 წლის 2 აგვისტოს ბოლნელი ეპისკოპოსის იოსებ რევიშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში 1670 წ. (საქ. მუზ., Hd № 5242); **„ახოთის მამასახლისი თამაზა მოწმეა ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა“** (1699 წ. IX. 27. Hd 10257). იხ. ასლუაშვილი **ბანდუა,** დავრიშა, ფეშაგა, ხოსუა (ქართ. სამ. ძეგ. VIII, 1009).

ასრათაშვილი
162
თბილისი 54
თეთრიწყარო 33
რუსთავი 6

ასრატაშვილი
22
თბილისი 11
რუსთავი 11

**ასრათაშვილი** (1886 წ.), გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასრათა. ასრათ** (არაბ.) „ნატვრა“, „მონატრება“. ნაცვალი ასრათა, მოიხსენიება 1705 წ. კათალიკოს დომენტი III-ის სითარხნის წიგნში (საქ. სიძვ., II, 204); ასრათა, ამირინდო ამილახვრის მიერ 1744 წ. 19 იანვარს თავის ქალიშვილ თამარისათვის მიცემულ ყმების მზითევად მიცემულ წიგნში (ხელნ. ინსტ.; Sd 1237; ქსძ, VIII, 905); იქვე მოიხსენიებიან გიგუა, მარტილოზა, სარუხანა ასრათაშვილები (905); ოჰანეზ, ანდრო, ივანე ასრათაშვილები მოიხსენიებიან დიდ თონეთში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1608,

ფურ. 82–146); შდრ. **ნატროშვილი, ნატრიაშვილი** (დიდი თონეთი).

| | |
|---|---|
| ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔ | 668 |
| *ასპინძა* | *197* |
| *თბილისი* | *166* |
| *ახალციხე* | *104* |

| | |
|---|---|
| ᲐᲡᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 57 |
| ᲐᲡᲞᲐᲜᲐᲫᲔ | 212 |

**ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **ასპან** (ქართლ. ცხ., I, 336); **ასპანა** (იქვე, 29). შდრ. **ასპან, ასპუა** (ალ. ღლ., 75). **„ასპანიძე ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელი“** (ს. ჯანაშია), XII ს-ში **ასპანიძენი** ტაოს მფლობელნი იყვნენ და **ფანასკ-ერტელად** იწოდებოდნენ. მათი ერთი შტო XV ს.-ში გადმოსახლდა ქართლში და **ფანსკერტელ-ციციშვილად** იქცა (ნ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ფანასკ-ერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორი-იდან, ისტორიული გეოგრაფია, I, 1960, 95–116).

ამავე ძირისაა: **ასპანაშვილი** (კლდეისი).

| | |
|---|---|
| ᲐᲡᲠᲐᲙᲐᲫᲔ | 26 |
| *თბილისი* | *16* |
| *გარდაბანი* | *5* |
| *თეთრიწყარო* | *4* |

| | |
|---|---|
| *კიკოლაშვილი* | *359* |
| *თბილისი* | *151* |
| *ყვარელი* | *62* |
| *გარდაბანი* | *35* |

**ᲐᲡᲠᲐᲙᲐᲫᲔ // არსაკაძე // არსაკიძე// კიკოლაშ-ვილი** (1873 წ. ), საკ. სახ. **ასრაკა;** სოფ. ფარცხ-ისში 1871 წ. მოიხსენიება **ილიკო ასრაკაძე – კიკოლაშვილი** (სცსსა, მეტრი. წიგნ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); **ასრაკაძე** იგივე **არსაკაძე (არსაკიძე)** უნდა იყოს. შდრ. საკ. სახ. **არსა** (დოკ., II, 4); **არსოკ** (პ. ინგორ., მეფეთა სია, 315); **არსუკ** (იქვე, ალ, ღლ., 75).

ბოგვში მცხოვრები **დავით არსაკაძის** მეუღლეს 1820 წ. შეეძინა ქალიშვილი **თამარი.** მიმქმელად იყო ბორბალოში მცხოვრები იმერე-ლი **კვირია ქებაძე** (ფ. 489, №6, №5, ფურ. 103); „სოფელ ფარცხისში 1873 წელს მოიხსენიებიან: გიგოლა იოსების ძე ასრაკაძე, პეტრე აბრამის ძე ასრაკაძე, დავით ბერის ძე ასრაკაძე (სცსსა, ფ. 254, №3, 124, საქმე №279, ფ. 253); **ისტორია მცხეთის სვეტიცხოვლის აგებას არსაკიძეს მიაწერს (ფარცხისი).**

**ᲐᲡᲣᲠᲔᲚᲘ//ᲐᲡᲣᲠᲚᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1826 წ.), სავარ. სადაურობის აღმნიშვნელი ტერმინი **ასურელი. ასურელები** (საკუთარი სახელწ. ათურაი, სურაი, ქალდაი), სემიტური მოდგმის ხალხი, არამეელების შთამომავალნი (ქსე, ტ. I. 661);

**ასური** (აშური) 1. ღმერთის ზოგადი სახელი ძველ სან-სკრიტულ ენაზე; 2. **ასურები,** ღმერთების მოწინააღმდეგე დემონები უფრო გვიანდელ მითოლოგიაში,როცა ღმერთებს სურებს უწოდე-

ბენ (დანავები, დაითიები და სხვა); 3. ბიბლიის მიხედვით: სემის ერთ-ერთი შვილი, ასირიელთა მამამთავარი, მეფე (**ასური,** აკ. გელოვ., მით. ლექს., თბ., 1983, გვ. 82).

სოფელ ბორბალოში გლახა ნავროზაშვილის თავდებად 1826 წ. მოიხსენიება ტეტია ასურელი (489, 6, №31, №25); ბორბალოში მცხოვრები იასე ასურლიშვილი გარდაიცვალა 1826 წელს და უკურთხებია ერტისის ეკლესიის მღვდელს გიორგი აზარიაშვილს (489, 6, №31, №25); 1831 წელს ბორბალოელი საბატონო ყმა გიორგი პეტრიაშვილის თავდებად ყოფილა ამავე სოფელში მცხოვრები საბატონო ყმა ტეტია ასურელი (489, №6, 121 ბ, ფურ. 33); ბორბალოს მცხოვრები ტეტია ასურელი  თავმდები იყო გლახა ნავროზაშვილისა (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ. 168, 182 წ.); „ბორბალოს მცხოვრები მათე იასე ასურლიშვილი მოკვდა და დამარხა ერტისის სამრევლოს მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა“ (იქვე, 169. ბორბალო).

**ატილაშვილი // ათილაშვილი // ქავთარაშვილი** (1866 წ.), საკ. სახ. **ატილ** (სვან. I, მესტია, ალ. ღლ., 76); შდრ. **ათალა** (ვახუშტი). „... ქ. ცხიაური პაპუას შვილი, ბერი, **ათილა** და ზარშბეგ მსახური“ (ვახუშტი, 438); „აქავ სვიანაიძე ათილას შვილი ნიკოლა და გიორგი“ (იქვე, 438); „...შიო **ატილაშვილი // ქავთარაშვილი,** მისი ვაჟები: გლახა, სიმონი, გიორგი, 1866 წ. სოფ. გოხნარში გადმოვიდა დუშეთის მაზრის სოფ. ვაშლობი-დან“ (სცსსა, ფ. 254, №3, 113, 1873 წ. №87. ფ. 475–477). (გოხნარა).

| | |
|---|---|
| აფრიამაშვილი | 752 |
| *ადიგენი* | *547* |
| *ახალციხე* | *77* |
| *თბილისი* | *63* |

**აფრიამაშვილი** (1851 წ.), საკ. სახ. **აფრიამა** (საქ. სიძვ., II, 513); **აფრიამ-მირზა, აფრიამა ბოშა** (დოკ., II, 310); სტეფანა აფრიამასშვილი, საბუთის დამწერი, მოიხსენიება 1775 წ. ოვანესა ამაზასშვილის მიერ საამ ყაფლანისშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნში (დოკ., II, 90); დავით აფრიამაშვილი, 1787 წ., პირობის წიგნში იხსენიება, რომელიც დავით აფრიამაშვილმა მისცა ზაალ ყაფლანისშვილს მიცემულ პირობის წიგნში (იქვე, 140); **ახუა აფრიამაშვილი** 1851 წ. იხსენიება სოფელ მუხათში (სცსსა, ფ. 254, №3, ფ. 35–38);

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო კუმისში მცხოვრები კათოლიკე აფრიამაშვილები სომხად მოუნათლავთ და **აფრიამოვად** (აპრიამოვად) ჩაუწერიათ (იხ. ამავე წიგნში, – კუმი-

სი, მუხათი). აფრიამაშვილები სოფელ კუმისში. გადმოსული არიან ადიგენის რ-ის სოფ. არალიდან.

აფციაური 5083
თბილისი 1954
დუშეთი 600
თეთრიწყარო 591

**აფციაური** (1774), საკ. სახ. **აფსა.** გადმოცემით, ორი ძმა **თაგაურს აფსა და ჩალს** (ქისტებს) კაცი მოუკლავთ, მესისხლეობას გამოქცევიან და გუდამაყარში შეხიზნულან. აქ **აფისაგან აფციაურები** წარმოშობილან, **ჩალისაგან** კი **ჩოხელები** (ს. მაკალ., მთიულეთი); **აფციაურებს** უცხოვრიათ: ათნოხს, დუმაცხოს, ლუთხუბს, ცხვედიანს, წინამხარს, ჯულისს (ფასანაურის თემი). **აფციაურთა** განაყარი გვარებია: **გიორგის** შვილი, **ნადირას** შვილი, **ლომის** შვილი, **პაპუნას** შვილი, **ფაცხვერის** შვილი, **მირიანას** შვილი, **გვიანის** შვილი, **გელის** შვილი, **ელისბარის** შვილი, **ავთანდილის** შვილი, **ზაქარიას** შვილი, **ათილას** შვილი, **ათილაის** შვილი, **გამახარეს** შვილი, **აფთარას** შვილი, **საბუჯურის** შვილი, **მაზიტას** შვილი, **პაპის** შვილი, **დათვას** შვილი, **დათვიას** შვილი.

ა.-ში ვხვდებით სახელებს: გივი, პაპი, პაპუნა, მარტია, გიორგი, აფთარა, ოზდეგა, გიორგი, მამუკა, ნადირა, ავთანდილა, ბასილა, ელისბარა, ასპან, ვეფხო, ფაცხვერა, ათილა, ხახა, ირემა, ბატარა, გელა, დათვა, ბერი და სხვა (ვახუშტი, 462–470);

**აფციაურები** არიან: **მირიანიანი, ივანიანი, ბასილიანი, ასპანიანი, ბუბუნაურნი, მამუკიანი** და სხვა. (**ს. მაკალ.,** მთიულეთი, 78–79); აფციაურები სოფ. ცხვედიათის მკვიდრად ასახელებენ თავს. 1853–1854 წწ. აღწ. ჩანაწერებით, გარისის მიწაზე მცხოვრებნი **აფციაურიშვილები** არიან (სცსსა, ფ. 254, №2, 188, ფურ. 380–382; სცსსა, ფ. 254, №2, ფურ. 374–376). **ამირან ადამის ძე აფციაური** (ეძახდნენ **ამირანაანთს,** დღეს ეძახიან **გოგიანს**). **ნინია დავითის ძე აფციაური, ნინია (მეორე) აფციაური, ივანე ხიზანის ძე აფციაური, ნინია პატის ძე აფციაური, ბეწიკა აფციაური, ივანე აფციაური** ღვევში გადმოვიდნენ 1854 წელს და მოიხსენიებიან 1873 წ. აღწერის მასალებში (სცსსა. ფ. 254, №3, 112, საქმე 74, ფურ. 177–181). 1886 წ. აღწერით, ემატებათ **ადამა აფციაური** (იქვე, 1613, ფ. 23–40). **ბახვა აფციაურის** გადმოცემით, **გამახარესშვილი** იყო მისი დიდი პაპა, ეძახდნენ გამიხარდის, ბინის შეკეთებისას ქართულ კრამიტზე ამოუტვიფრავს **„შიო გამიხარდის ძე“.** მის ჩამომავლობას დღეს საბჯურიანთს ეძახიან. **აფთარასშვილებს** სოფ. ნაქალაქარში **აფთარიანთს** ეძახიან (დღეს ჯავარიაშვილებად

ეწერებიან), პოეტ იოსებ აფციაურის განაყოფებს მახარობლიანთს ეძახიან. იმავე აფციაურის წინაპრებიდან მოდის სახინჯარი **კრუტაანი** და აშენებაანი (ღვედი, ასურეთი, მანგლისი, ორბეთი).

| | |
|---|---|
| აფხაზიშვილი | 151 |
| *თბილისი* | *101* |
| *გარდაბანი* | *28* |
| *გურჯაანი* | *9* |
| აფხაზაშვილი | 95 |

**აფხაზიშვილი** (1721 წ.), **აფხაზი** ტომის აღმნიშვნელი სიტყვაა. აქედან მომდინარეობს გვარი: **აფხაზი, აფხაზავა, აფხაზიშვილი.** „სატომო სახელთაგან ზოგი ისევე წმინდა ფუძით გვხვდება გვარად, როგორც ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად: აფხაზი, ბერძენი, დვალი, ლაშხი, მესხი, სვანი...“ (ზ. ჭუმბურ., დედა-ენა ქართული, 310); „**თავადი აფხაზისშვილი.** ესენი არიან აფხაზეთიდან მოსრულნი, ოდეს იწყს მამადიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზისშვილებად და უბოძა კარდანეხს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრობენ მუნ ჟამიდან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად“ (საანდაზო ლექსები... 38); „ალგეთში დვალთას ხევის მარჯვენა მხარეზე, ბოღრანეთის სამხრეთით, ხორბუკის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით 1654 წელს იხსენიება მებატონე აფხაზი“. სოფელ თონეთში1721 წ. აღწ. 3 მებატონეს შორის მოიხსენიება „ბატონი აფხაზიშვილი“; ივანე აფხაზიშვილი 1742 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში სოფ. ბოგვში მოიხსენიება მოწმედ (დოკ., I, 309); შდრ. **აფხაზი ივანე კონსტანტინეს ძე** (1785–1831 წწ.) რუსეთის არმიის გენერალ–მაიორი. აფხაზი კონსტანტინე (XIX ს. 60-იანი წწ., – 1922), აღმ. მეთაურობდა ე.წ. „უპარტიოთა კავშირს“ (ბოგვი, თონეთი).

**აქაურაშვილი** (1721 წ.), **აქაურა,** მეტსახელი, **ვარაზიშვილის** გვარის სახინჯარში; აქაურაანთი (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 43); **აქაურა** (აქაურისა), რაც აქ, ამ ადგილას არის; ვინც აქ, ამ ადგილას ცხოვრობს ამ ადგილას, ამ მხარისა, ამ მიწა-წყლისა (ქეგლ, 718); **აქაურაშვილი** მოიხსენიება დიდდალეთს 1721 წლ. აღწერაში (დიდი დალეთი).

**აქელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **აქელა,** შუაბოლნელი, დასახელებულია მოწმედ 1746 წ. ბოლნისის მამასახლისის ზალიას მიერ **ქაიხოსრო ყორღანაშვილისადმი** გაცემულ ყმაზე სულადობის წიგნში (დოკ., I, 330). **აქელა** (დოკ., I, 330); „ქ. ვარაზაშვილის

ლუარსაბის ყმა ქ. მცოვრეთს 1721 წ. **აქელაშვილი ზაქარა**" (ვახუშტი, 137)); ვაშლოვანში 1823 წელს თავად დავით ბარათოვ-გოსტაშაბოვის გლეხად მოიხსენიება **გეო აქელაშვილი** (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 99–107) (ვაშლოვანი, მარაბდა, მცოვრეთი).

**აქემურაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **აქემურა** გვარში: **აქემურაშვილი.** შედგენილი უნდა იყოს ორი სიტყვისაგან: **აქე** (აქოადიდა, უქი-უდიდებია), **მურა** მეტსახელი დამოწმებული სოფ. კოდაში. „ქ. ციციშვილი – ბაადურიშვილის ზაალისა ქ. დიდალეთს: ...**აქემურაშვილი დათუნა**" (ვახუშტი, 32).

**ალათონაშვილი** (1818 წ.), საკ. სახ. **ალათანგ-ი // ალათანგელ** (ბერძნ. კეთილმახარობელი (საქ. სიძვ., II, 417; ქართლ. ცხ., II, 408); **ალათონიკე** (საქ. სიძვ. I, 198); **ალათონაშვილი აზარია** მოიხსენიება 1818 წელს სოფელ წინწყაროში (სცსსა, ფ. 489, აღწ. I, ბ, ფურ. 184-187).

ალაჯანაშვილი
46
*კასპი 10*
*ქვარელი 10*
*თბილისი 5*

**ალაჯანაშვილი** (1670 წ.), შედგენილი სახელია. **ალა** [სპარს.] ბატონი, **ჯან** – (ინდურ-სპარს.) სული. კონკრეტულ შემთხვევაში **ჯან** მიმართვის საალერსო ფორმაა. შდრ. ქართული **სული, სულიკო, სულიაშვილი, სულაბერიძე, სულავა.** აქედან მოდის გვარი **ჯანაშვილი, ჯანიაშვილი.**

საკ. სახ. **ალაჯანან.** მამულის ნასყიდობის წიგნი, 1670 წ. 2 აგვისტო (საქ. მუზ., Hd №242); **ალაჯანას-ი** ქერი თალასი. 1774 წ. 30 მარტი (საქ. მუზ. ფ. Hd №14298). ალაჯანასშვილი იხსენიება მამულის ნასყიდობის წიგნში 1670 წ. 2 მარტს (საქ. მუზ. Hd №5242); **ალაჯანაშვილი გიგუა** (1721 წ. ვახუშტი); შდრ. **ამირჯანასშვილი, ახიჯანასშვილი, ბერიჯანაშვილი (ბერიჯანანი), გოგიჯანაშვილი (გორგიჯანაანი), გელიჯანაშვილი, ბეგიჯანაშვილი, მამაჯანაშვილი.**

შდრ. აგრეთვე **ალაბაბიანი, ალაიანი, ალა-მაჰმად-ხანი, ალამირეჯ ისფაჰანი, ალანბეგინი, ალა-ხან III, ალაჯანიანი...** (სალირაშენი).

ალდგომელაშვილი
573
*თბილისი 252*
*თეთრიწყარო 100*
*გორი 60*

**ალდგომელაშვილი** (1688 წ.), საკ. სახ. **ალდგომელი** მოწმედ მოიხსენიება 1601 წ. (ვარდიაშვილი–ალდგომელი) (დოკ., I, 14); **ალდგომელა,** თაყა ბარათაშვილის ყმა, ზეელი (იქვე, 51); „სახელს ალდგომელა, ალდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ. **ალდგომელა** ერქვა

ქრისტეს საფლავის მოსამსახურე ქართველ ბერს“ (ე. მეტრევ., მასალები, 34); „ყმის ნასყიდობის წიგნში (1764 წ. 26 იანვარი) მოწმედ დასახელებულია გომის მოურავი აღდგომელა (საქ. მუზ., ფ. Hd №27); „აქავ ამისივ ყმა ჯოეშვილი აღდგომელა და მისი შვილი ქიტესა“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 167); „...ანდრიას აღდგომელაშვილი სამათ გაიყონ“ (განჩინება გერმანოზიშვილების გაყრის საქმეზე, 1688–1703 წწ., ხელნ. ინსტ., Sd 577); „ქ. მანუჩარ ქავთარაშვილის ყმა ქ. ზას, 1721 წ., აღდგომელაშვილი ზურაბი“ (ვახუშტი, 122); „გერმანოზიშვილი დათუნასი ქ. ანდრიას, 1721 წ. აღდგომელაშვილი მახარა“ (იქვე, 134); სოფ. ერტისში მცხ. **ლაზარე აღდგომელაშვილი** 1818 წელს ნათლავს ქალიშვილ **მარიამს,** მიმქმელი ყოფილა ლოუბნელი გულუაშვილის მეუღლე **ნინო** (სცსსა, ფ. 389, 6, I ბ, №24, ფურ, 145); ერტისს მცხოვრებ **ივანე აღდგომელაშვილს** 1829 წელს დაებადა ვაჟი, მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი უწოდა სოლომონ. პავლე აღდგომელაშვილს დაებადა ქალი, სახელი ეწოდა ეკატერინე (489, აღწ. №76, ფურ. 2); **„პეტრე, შარმაზან, მიხეილ, სოლომონ, გიორგი,** ისაკ. **ანდრია აღდგომელაშვილები** 1873 წ. აღწერით მოიხსენიებიან სოფ. ერტისს“ (სცსსა, ფ. 254, №3, 114, საქ. №134, ფ. 172I188); „ქ. ნახიდურს ბატონის დედოფლისა: ...აღდგომელაშვილი მამუკა“ (ვახუშტი, 107). სალირაშენში სვიმონ ვასილის ძე **დემეტრაშვილს** თავდებად ქორწილში 1882 წელს მოიხსენიება გიორგი გრიგოლის ძე აღდგომელაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო I (ანდრია, ასურეთი, ერტისი, ზა, მუხათი, ნახიდური).

ალნიაშვილი 507
*თბილისი 240*
*მცხეთა 99*
*გურჯაანი 20*

**ალნიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ალნია,** მოიხსენიება 1513 წ. სამთავისის №68 სიგელში (ქრონიკ., II, 332); **ალნია** (საქ. სიძვ., I, 439); **ალნია,** ამილახვარ ამირინდოს ძმა (**თ. ჟორდ.** ქრონ. III, 206); ალნია, ამილახვარ-ზედგენიძე თაყას ძმა, (იქვე, 332, 333); **ალნია ხერხაულის ძე,** (284); ალნიაშვილი ევანეზა და თამაზა (საქ. სიძვ., I, 360); ალნიაშვილი (იქვე 439); 1721 წ. აღწ., სოფ. ენაგეთში მოიხსენიებიან ნასყიდა და თამაზა ალნიაშვილები (ვახუშტი 93); „მეტეხის მამასახლისი ალნიასშვილი ბერუა და მრავალი სხვანი...“ განჩინება **ზაზა თაზისშვილის** ყმების საქმეზე 1779 წ. 10 დეკემბერი (სცსსა,

ფ. 1450. დავით №34, საბ. №122)1; **ალნიაშვილი ალავერდას, შერმაზანასა და შალვას** ყმები ჰყავდათ, შალვასი ხავარაძორს: „**დავითაშვილი ზალია, ყარახანაშვილი არუთინა, თუმანიშვილი გრიქოლა, ვართიკაშვილი ყაზარა, მარტიროზაშვილი აკოფა,** ტერ-სარქისა, ჯამი კომლი ექვსი. ალნიაშვილის ალავერდასი ჯანხოშას: **მირზაშვილი ოთელა,** აყრილი..., ქ. ალნიაშვილის შალვასი: ჯი: სარქისა“ (ვახუშტი, 287).

| | |
|---|---|
| ანუაშვილი | 101 |
| საგარეჯო | 40 |
| თბილისი | 30 |
| გარდაბანი | 18 |

**ანუაშვილი** (1829 წ.), მეტსახელა **ანუა** (ანუანი სოფ. კოდაში... სახინჯარი); „ბოგვში მცხოვრებელმა გლეხმა, 23 წლისამ, **გიორგი ანუაშვილმა** 1829 წ. იქორწინა წალასყურში მცხოვრებ გლეხ **ივანე შიუაშვილის** ქალ 14 წლის მარიამთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **იაკობ ხუროშვილმა.** თავსდებნი იყვნენ აზნაური დიმიტრი **ჯორაევი,** ნასყიდა **ქოქიასშვილი,** მიხეილ **ბუდახაშვილი,** საბა **წერეთლისაშვილი**“ (489, აღწ. №76, ფურ. 4).

| | |
|---|---|
| აჩუაშვილი | 157 |
| თელავი | 140 |
| თბილისი | 8 |
| რუსთავი | 3 |

**აჩუაშვილი** (1721 წ.), **აჩუა (აჩუასი)** [ხევსურ., გურ. ცხენი ბავშვის ენაზე (ქართ. კილო-თქმათა სიტყ. კონა, I, 48); „...ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს ...**აჩუაშვილი გოგინა** (ვახუშტი, 103); **თევდორე აჩუაშვილი, ივანე აჩუაშვილი** (კოლ. 1448, №9184).

| | |
|---|---|
| ახლოური | 228 |
| კასპი | 107 |
| თბილისი | 56 |
| ახალგორი | 45 |

**ახალაური // ახლოურა // ახლაური** (1818 წ.) (ივ. ჯავახიშ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. 45); დიდთონეთში 1818 წელს მოიხსენიება **ახლოური გლახა** (სცსსა ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ).

| | |
|---|---|
| ახალკაცი | 1567 |
| ხაშური | 343 |
| თბილისი | 337 |
| გორი | 318 |

**ახალკაცი** (1721 წ.), **ახალკაც-ი,** გადმოცემით, ბატონისაგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი საკუთარ გვარს ვერ ამჟღავნებდა **ახალკაცს** ირქმევდნენ (იხ. ახალკაციშვილი). შდრ. ახალმოსულიშვილი, ახალშენაშვილი. „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. წრაურთს, 1721 წ. **ახალკაცი სეხნია**“ (ვახუშტი, 159).

ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
531
*თბილისი 222*
*გარდაბანი 84*
*საგარეჯო 67*

**ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ // ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ** (1714 წ. ), **ახალკაცი** (დ. კასრ.). ამ გაგებით **ახალკაც-ი**, მეტსახელი, გვარებში: **ახალკაცი, ახალკაციშვილი** (შდრ. ალ. ღლ., 78); **ახალკოჩი-ი** (მეგრ. ახალკაცი), კოლხ., 93, ჩხოროწყუ (ალ. ღლ., 78); **ახალკაციშვილი** (საქ. სიძვ., I, 396); **ბერი ახალკაციშვილი** მოიხსენიება 1714 წ. ახალკაცისშვილის მიერ ფარსადან და ალხაზ მაჩაბლებისადმი მიცემულ შვილის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 162). „...1721 წ. ქ. სოლოღაშვილის ქაიხოსროს ყმა ღოუბანს: ახალკაციშვილი გიუა, ახალკაციშვილი ბერაძე“ (ვახუშტი, 143); გიგოლა (დოლმაზაშვილი) ახალკაცი, კოდაში 1869 წ. გადმოსულა გორის მაზრის სოფ. ცაგულიცან (სცსსა, ფ. 254, №3, 119, საქმე №156, 1873 წ. ფ. 497–539); შემდგომში ახალკაციშვილები დიდ ენაგეთში 1871 წელს მოიხსენიება გიორგი ალექსანდრეს ძე ახალკაციშვილი (მეტრ. წიგნ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრიწყარო №1); დიდი ენაგეთის წმ. გიორგის მეორე პრიჩეტნიკმა გიორგი ალექსანდრეს ძე ახალკაცოვმა 1871 წ. განათლა ქალიშვილი **ელენა**. მიმქმელი იყო დიდი ენაგეთის ფოშტის ურიადნიკი ექვთიმე ივანეს ძე გერსანია, მართმადიდებლობითის სარწმუნოების (489, 9, №1, 1876 წ.); ამავე ძირისაა: ახალკოჩი, ახალკაცი, ახალშენაშვილი, ახალმოსულიშვილი, ახალაძე (ვანეთი, ზა, დიდი ენაგეთი, კოდა, ღოლოვნა, ღოუბანი).

ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
470
*თელავი 236*
*გურჯაანი 116*
*თბილისი 50*

**ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), **ახალმოსული** მნიშვნელობით იგივეა, რაც ახალკაცი. შდრ. რუს. Новиков.

ანალოგიურია: **ახალბედაშვილი** (ამ გვარის წინაპარი, გადმოცემით, მესხეთიდან გადმოსახლებულა ვინმე **მაისურაძე,** როგორც ახალმოსახლისათვის, **ახალბედაშვილი** უწოდებიათ (ი. მაისურ., 25). შდრ. **ახალშენიშვილი,** კონდოლი (თელავის რ.).

**ᲐᲮᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1828 წ.), სავარ. საკ.. სახ. **ახატა.** სოფელ კოდაში მცხოვრებ ახატასშვილმა 1828 წ. შვილი მოუნათლა თანასოფლელ ქიტესა ირემაშვილს (ფ. 489, №6, საქ. 57.X, ფურ. 8).

ᲐᲮᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
261
*საგარეჯო 93*
*თბილისი 63*
*თელავი 47*

**ᲐᲮᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ღვთისიაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **ახვერდა** (თურქ.) ღვთის ნაბოძები (**ს. კაკაბ.,** საისტ. მოამბე, I, 1924); **ახვერდა** და **პაპა შანშიაშვილები,** მებატონეები სომხითში (**იას. ლორთქ.,** ქვ.

ქართლ., ნაწ. III და IV, §73, გვ. 5); ახვერდას თარხანი ელია თაბუნი (იქვე, 328); **ახვერდა, მზეჭაბუკ ჯავახიშვილის** ყმების, ხოვლელების მიერ მეფისადმი მიცემული არზა (1766 წ. საქ. მუზ. ფ. Hd № 11547); ახვერდაბეგი (იქვე), შანშიაშვილი ახვერდა (ვახუშტი,271); ვაშლოვანს: ახვერდაშვილი (1781 წ. ივ. ჯავახ., სეიძ., I, 166); ერტისში 1818 წელს ვაშლოვნელმა თამაზა ახვერდაშვილმა იმერელ ოთარას (ივანეს) ვაჟი მოუნათლა (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 146); **ახვერდაშვილი თამაზი,** მეუღლე ანა, ქალიშვილები მაია, დედა მარიამი, რძალი ოსანა, ვაჟი სარქისა, ქალიშვილები ბარბარე, მართა, მარიამი, მოიხსენიებიან სოფ. ვაშლოვანში 1823 წ. (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 99–105);

**ახვერდა** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ღვთისია,** ღვთისა, უფლისა. შდრ. გვარები **ღვთისიაშვილი, უფლისაშვილი.**

ა. მოგვიანებით რუსული გაფორმებით ახვერდოვი, ამჟამად ნაწილი ახვლედიანად დაეწერა. (ვაშლოვანი, მუხათი).

**ᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ახია** (სახ. არქ., 1448, №7059); შდრ. **ახო, ახოა, ახუა...** „ქ. მუსხელიშვილის იესეი სამღერეთის ახალშენს, 1721 წ. **ახიაშვილი ყარახანა**" (ვახუშტი, 40).

**ᲐᲮᲘᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1750 წ.), სინონიმ. ახტაჯანა (ახტაჯანასი), საუბ. მეტისმეტად თამამი, შეუპოვარი ქალი (ა. ჭუმბ.) (ქეგლ. I, 930). მამადა და ნაბია ახიჯანასშვილები მოიხსენიებიან 1750 წ. დეკემბრის 4-ს ოქმში დიმიტრი ეშიკაღასბაშისა მამადა ახიჯანასშვილის სულზე შედგენილ ოქმში (დოკ., I, 352); შავსაყდარს მოიხსენიებია 1873 წელს. (შდრ. ახიჯანოვი, 125 სულია აღრიცხული).

ᲐᲮᲠᲐᲮᲐᲫᲔ 225
*ზესტაფონი 100*
*ბილისი 59*
*ქუთაისი 26*

**ᲐᲮᲠᲐᲮᲐᲫᲔ,** მეტსახელი **ახრახა** (ი. მაისურ., 62); **ახრახა** მეტსახელი გვარში: **ახრახაძე** (ალ. ღლ., 78) (დ. თონეთი).

ᲐᲮᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 46
*თბილისი 30*
*გარდაბანი 2*
*თეთრიწყარო 14*

**ᲐᲮᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲐᲮᲕᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲐᲚᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ახსია. ახსიაშვილი ახსია** დასახელებულია მოწმედ 1721 წ.), ასევე ახსიაშვილი ახსია დასახელებულია მოწმედ 1732 წ. ტბელი **გიორგი იაგულაშვილი** ტბელ ხელავეხა გიორგისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., I, 136); „ახსიაშვილი ამისა მოლაშქრე, ბოგანო" (იქვე, 120). ახსიაშვილი სტეფანე მიხეილის ძე, ბიძაშვილი სოსია ახსიაშვილი, **ქართველი მართლმადიდებლები** მოიხსენიებიან

1873 წ. აღწერით, სოფ. საღირაშენში (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, აღწ. №289, ფურც. 675–686); 1737 წ. წვერის დეკანოზია **ოქროპირ ალვსიაშვილი** (დოკ., I, 272); ალსიაშვილი მოიხსენიება სოფ. ახალშენში (ვახუშტი, 121); „ენაგეთში მცხოვრებმა **იოსებ ახსიაშვილმა,** 23 წლისამ, 1830 წელს იქორწინა ამავე სოფელში მცხოვრების **ვაჩნაძის** ქალთან 16 წლის ბარბარესთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **ანტონ ციმაკურიძემ.** თავდებნი იყვნენ: **პეტრე კეკელიშვილი, აბრამ ამინაშვილი**" (489, №6, №98, ფურ. 29); სოფელ ენაგეთს მცხოვრებ **იოსებ ახსიაშვილს** კანონიერი მეუღლე **ღარიბას ასული ბარბარესაგან** ეყოლა შვილი, სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. ნათლია იყო ამავე სოფლელი დავით სვიმონიშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, 1831 შ. ფურ. 11); საღირაშენელმა სახაზინო ყმამ **ივანე იოსების ძე ახსიაშვილმა,** მეუღლემ **თინათინ ზაქარიას ასულმა,** მონათლეს ქალიშვილი სოფა. მიმქმელი იყო ამავე სოფლელი გიორგი ივანეს ძე **ჩადუნაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1883 წ.); სახელმწიფო ყმამ ივანე იოსების ძე ახსიაშვილმა, მეუღლემ თინათინ ზურაბის ასულმა მონათლეს ქალიშვილი ელისაბედი. მიმქმელი ჰყავდათ გიორგი ივანეს ძე ჩადუნაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1885 წ.). შდრ. **ალვსაბაძე, ალსაბაძე** (ალვსება ძვ. ქართულში აღდგომას ნიშნავდა). (ენაგეთი, ახალშენი, კოდა, ტბისი, სამღერეთი, საღირაშენი, ჯორჯიაშვილი).

**ასტურაშვილი // ავთანდილასშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ახტურა.**

„ქ. საკარის იაგანის ყმა ახტურასშვილი გრიგოლა, განაყოფი ზავორიდა ავთანდილასშვილი (ვახუშტი, 352).

| | |
|---|---|
| ახუაშვილი | 82 |
| *თეთრიწყარო* | *57* |
| *თბილისი* | *19* |
| *მარნეული* | *3* |

**ახუაშვილი** (1817 წ.). საკ. სახ. **ახუა,** ...ყაითმაზიშვილის ყმა, მამუა მურადაშვილი და განაყოფი **ახუა**" (ვახუშტი, გვ. 167); მიტაშენს **ახუა** (იქვე, 334), ახუა, **ახოა** (ახუაშვილი) (ალ. ღლ., ქართ. საკ. სახ., 78); „...აქავ მუხათს **ახუა,** „თავია" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 177); 1817 წ. აღწ. სოფ. მუხათში თავად ლუარსაბ ორბელიანის ყმად მოიხსენიება **ბოშაშვილი ახუა** (სცსსა, ფ. 254, №1, საქ. 477, ფ. 40-45); **ახუა** ერქვა აგრეთვე მთიულ ქალსაც, რომელმაც გულით დაიტირა მეფე ერეკლე II. **ახუა** ერქვა სოფელ ენაგეთში მცხოვრებ გოგია ივანიშვილის მეუღლესაც (სცსსა,

1823 წ.ფ. 254, აღწ. I, 802, ფურ. 7); **ახუა** ,ერქვა იესე ბარათაშვილის დას. „წიგნს მაკითხებდნენ, გალობასა და წერას მასწავლიდნენ. ვიყავ ეკლესიის გალავანში, და რა რომ ტყვებს კრეფას დაუწყებდნენ, აკლდამებში ჩაგვასახლებდნენ მე და ჩემს დას **ახუას**. ეს ქალი ჩემი უმცროსი იყო და მიქელს დოლენჯაშვილს ჰყავდა" (ი. ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი, მასალები, საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი, 28, თბ., 1950, გვ. 4). **ახუა ახო**-დან უნდა იყოს მიღებული. შდრ. მეტსახელი **ახო,** გვარში **ახოშვილი** (ი. მაისურ., 26);

**ახო,** საბას განმარტებით, – „საყანური გაკაფული (განაკაფი). საყანედ გაკაფულ ტყეს (ერთი წლის განმავლობაში ტყეს ჭრიან საყანედ) **ახოს** უწოდებენ; „ხამი მიწა, ყამირი – **ხამ მიწას ახო ჰქვია**" (სოფ. გეზრული, ჭიათურის რ., ქეთ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 40); **მიხეილ** და **გაბრიელ ახუაშვილები** სოფელ მუხათში მოიხსენიებიან 1817 წლიდან. „1818წელს ქვეშს მცხოვრებელ **იოანე ახუაშვილს** დაებადა ქალი. სახელი გაუნათლა და მოუნათლა ქვეშის ეკლესიის მღვდელმა პეტრემ. სახელი ეწოდა დარეჯან. მიმქმელი იყო დმანისელი ბაბა პეტრიაშვილი" (სცსსა. ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №28, ფურ. 176); 1882 წელს მუხათში მცხოვრები სახელმწიფო ყმის **მიხეილ ახუაშვილის ასული მარიამი** (ბებია, ბაბო, მაშო ი. ა.) ითხოვა სოფ. ბოგვში მცხოვრებ **მიხეილ აბრამის ძე აბულაძემ.** სასიძოს თავდებნი იყვნენ იასე ბესარიონის ძე გზირიშვილი, იაკობ მიხეილის ძე ახსიაშვილი, გლახო ბასილას ძე აბულაძე; სასძლოს თავდებნი: **იაკობ მიხეილის ძე ახუაშვილი,** (ამ სტრიქონების ავტორის პაპა) **მიხეილ ისაკის ძე მელიქიშვილი,** დავით გიორგის ძე გოგინაშვილი. მღვდელი **ზაქარია ბარნოვი** (ვასილ ბარნოვის მამა), პრიჩეტნიკი ილია თეთრაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1, 1882 წ.); 1882 წლის 21 დეკემბერს სოფ. დიდ ენაგეთში დაკრძალეს სახაზინო ყმა **ზაქარია გიორგის ძე ახუაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); დიდ ენაგეთში მცხოვრები სახაზინო ყმა **ივანე სოლომონის ძე ახუაშვილი** 1884 წლის 21 მარტს გარდაიცვალა, დაკრძალეს სოფლის სასაფლაოზე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ.. №1, ფურ. 37); შდრ., გვარები: **ახაშვილი, ახიაშვილი, ახოაშვილი, კახუაშვილი, იახუაშვილი, მახუაშვილი... ახოშვილი ანდრია, ახოშვილი გოგია** (კოლ. 1448, №8868); **ახუა** მენაბდის ცოლი (იქვე, 5797); **ახუბაძე // ახუბასძე** (დიდი ენაგეთი, მუხათი).

# ბ

**ბაადურაშვილი** (1721 წ.), **ბაადურ** (სპ.) „გოლიათი“, „მამაცი“, „რაინდი“. სიტყვა წარმოშობით მონღოლურია. თურქულმა ბაჰადურმა ქართულში მოგვცა **ბაადურ** (აქედანაა ნაწარმოები გვარი **ბადურაშვილი, ბაადურაშვილი**) და **ბაღათურ** (შედრ. **ბაღათურია**). პირველი ფორმისაგან უნდა იყოს მიღებული სახელი **ბადურიც**, მეორისგან – **ბაღათურია** (გვაქვს გვარი **ბაღათრიშვილი**). ამავე ძირისაგან მომდინარეობს ოსური **ბაყათარ** (შეადარეთ რუსული „Богатырь“ (იხ. ზ. ჭუმბ., 323–324);

**ბაადური** – ბერი ბუქნაი ბაადურ – ღვთისშვილი, ღმერთი მორიგის ნასახი (გაჩენილი), გმირი და ნახევრად ღმერთი ქართულ მითოლოგიაში, ერთ-ერთი უძველესი ხატისალოცავი უფლის ნასახთა ბატონი, კოპალას თანამებრძოლი. ეს პატივი წილისყრით ერგო: ხორციელთა ბატონობა ერეკლეს ერგო, ხატთა – ბერი ბაადურს (აკ. გელოვ; მით. ლექს; თბ;1983, გვ 96); საკ. სახ. **ბაადურა,** იხ. ბაადური **პაპუაშვილი** (ვახუშტი, 59); ბაადურ, მიწის ნასყიდობის წიგნი, 1742 წ. (საქ. მუზ. რვ. №5246); ბაადურ მოურავის შვილი (იქვე). გლახა ბაადურისშვილი, 1766 წ. 24 თებერვალს **ლომი გვარამიძის** მიერ ერეკლე II-ის სახელზე გაცემული არზა (საქ. მუზ. ფ. რვ 2837).

| | |
|---|---|
| ბაბაშვილი | 122 |
| *თბილისი* | *39* |
| *მცხეთა* | *37* |
| *ყვარელი* | *23* |

**ბაბაშვილი,** (1721 წ.), საკ. სახ. **ბაბა** (საქ. სიძვ; II. 83); **ბაბა** (ვახუშტი, 208); აჭარული დიალექტით ბაბა, მამაა (ქართ. დიალექ; I, 656); იმერხეული ბაბა, იგივე მამა (იქვე, 653); შდრ. (თურქ.) ბაბა / / მამა.

**ბაბა** – ლაგაშელთა ნაყოფიერების ქალღმერთი, ნინგურსუს ცოლი შუმერულ მითოლოგიაში. ამ ღვთაებრივი ქორწინების შედეგი იყო ნაყოფიერი წელი. ტაძარი ლაგაშში ჰქონდა. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართული ქალღმერთი **ბაბალე, ბარბალეს** უძველესი სახეა (**აკ. გელოვ;** მით. ლექს; თბ; 1983, გვ. 97).

1818 წელს იოანე ახუაშვილის შვილის მიმქმელი იყო ბაბა პეტრიაშვილი (სცსსა, ფ. 489, №28, აღწ. 1 ბ, ფურ. 176); „ქ. ძველდბანისს 1721 წ. ბაბაშვილი ასლანა, ბაბაშვილი სულხანა" (ვახუშტი, 82). **ბაბაშვილები მოგვიანებით ბაბასოვებად მონათლეს** (დბანისი – ჯვარა).

**ბაბადიში** – **თავადი ბაბადიშიშვილი,** ბაგრატიონთა შთამომავლობა ერეკლე I-ის ძის იმამ ყული ხანისაგან (იმამ ყული ხანი, მეფე დავით II).

| ბაბაჯანაშვილი 29 |
|---|
| *თბილისი 8* |
| *ლაგოდეხი 4* |
| *გარდაბანი 3* |

**ბაბაჯანაშვილი** (1721 წ. ), სავარ. საკ. სახ. **ბაბაჯანა,** ან რთული შედგენილი სახელიდან ბაბა+ჯანა. შდრ. **ბაბაჯანა** (ვახუშტის აღწერით, 1721 წელს მცოვრეთში **ლუარსაბ ვარაზაშვილის** ყმად მოიხსენიება **ბერუა ბაბაჯანაშვილი** (ვახუშტი, 137);

შდრ. ბაბიტკო (უკრაინ.), **ბაბაიანი, ბაბაჯანიანი, ბაბახანიანი** (სომხ.), **ბაბახანოვი** (უზბეკი არქიტექტორი), **ბაბანოვა** (რუსი მსახიობი), **ბაბალაშვილი, ბაბლუანი,** ბაბილაშვილი, **ბაბლიძე** (მცოვრეთი).

**ბაბურაშვილი** (1883 წ. ქ), საკ. სახ. **ბაბურ-ი** (გ. ლეონ. სახელები); **ბაბურა, გვარებში: ბაბურაშვილი, ბაბურაული** (ალ. ღლ., 79); **ბაბურაულ-ი** (ხევსურ., ხახმატი, იქვე); სოფელ ვარდისუბნელ ისაკი გიორგის ძე **კედელაშვილის** ქალიშვილ ბარბარეს მიმქმელად მოიხსენიება **ბადა ბაბურაშვილის** ასული **თალალე** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, №1, 1883 წ.), ვარდისუბანი (დღევ. შავსაყდარი).

| ბაბრატაშვილი 66 |
|---|
| *თბილისი 38.* |
| *თელავი 9* |
| *თეთრიწყარო 7* |

| ბაბრატიშვილი 41 |
|---|
| *თბილისი 24* |
| *გურჯაანი 7* |
| *თელავი 5* |

**ბაბრატაშვილი // ბაბრატიშვილი // ციციშვილი** (1721 წ.), **ბაგრატ** ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელია, ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელ ბაგრატ დიდისაგან მოყოლებული, ერქვა რამდენიმე მეფეს. **ბაგრატ** – სომეხ მეფეთა საგვარეულო სახელიც იყო... წარმოშობით, ამ სახელს უკავშირებენ ძვ. სპარსულს: **ბაგადატა** – „ღვთის ბოძებული", „ღვთის წყალობა" (ასეთი შინაარსის საკუთარი სახელები ხშირად გვხვდება სხვადასხვა ენაში: მაგალითად: ბერძნული **თეოდორე,** „ღვთის საჩუქარი", **დოროთე** „საჩუქარი ღვთისა", სლავური **ბოგდან,** თურქული ალაჰვერდი, სომხური ასტვაწატური, სპარს.

ხოდედან „ღვთის ბოძებული“. არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის თანახმად, **ბაგრატი** ქართული წარმოშობის სახელია, მიღებული ზაქარიასაგან ტ სუფიქსის დართვით (შეადარეთ სუმ-ბა-ტ-ი, ლიპარი-ტ-ი, გვარები: ჯიბუ-ტ-ი, ქლენ-ტ-ი და სხვა (**ზ. ჭუმბურ.**, დედაენა ქართ. 324); **ბაგრატი,** მამა ბაგრატიონიანთა (ქართლ. ცხ. I, 374). ბაგრატი (საქ. სიძვ., II, 13); პაატა ბაგრატისშვილი (ციციშვილი) 1739 წ. სექტემბრის „დამდეგს“ მოიხსენიება კიკულა ბაჯვაძის მიერ თავის ბატონ გიორგი ბაგრატისშვილის სახელზე გაცემული თავნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ. №14, 398); ვახუშტით: წობას უცხოვრია ზურაბ ბაგრატიშვილს (1710); ზურაბ ბაგრატიშვილი, აზნ. 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში. 1701–11 წ. აღწ. ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დრიანეთში, იხ. „ქ. დრიანეთს აზნაურიშვილი ბაგრატიშვილი ბაგრატ, 1721 წ“. (ვახუშტი, 170); ბაგრატ ბაგრატიშვილი, აზნ., 1721 წ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში (ისს. ლორთქ. III–IV, §128, გვ. 128–134); აზნაური გიორგი ბაგრატიშვილი მოიხსენიება სოფ. კოდაში 1823 წ. აღწერის მასალებში (სცსსა, ფ. 254 I, 802, ფურ. 43–60); იმავე წელს კოდაში ცხოვრობდნენ რამაზ ბაგრატიშვილი, მეუღლე თამარა, ძმა სიმონ ბაგრატიშვილი, მეუღლე დარეჯანი. დისშვილები სულხანა, თევდორე, მარიამი, სიმონის დედა ბარბარე, დისშვილი გიგოლა (იქვე). (ჩემს ჯეელობაში ბაგრატიშვილებს გიგოლაანთ ეძახდნენ).

**ბაგრატაშვილები** იყვნენ ყმა-გლეხები, **ბაგრატიშვილი** კი – აზნაურები (თეთრი წყარო, კოდა).

| ბადალაშვილი | 514 |
|---|---|
| თბილისი | 242 |
| თეთრიწყარო | 145 |
| რუსთავი | 53 |

**ბადალაშვილი** (1873 წ.) **ბადალ, ბადალი,** „ტოლფასი“ (არაბ.) – **„ბადალაშვილი,** დიდი თონეთი, ისაკ. სახ. **ბადალა** (ბადა+ალ.), შდრ. ბადაშვილი, ბადურაშვილი (ილ. მაისურ., 27); **ბადალი** ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად ბეგარის მომხდელს ნიშნავდა. უკვე ძეგლის დადება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ“ (XIVს.) ითვალისწინებდა შეუძლოდ მყოფი ხევისბერის მაგიერ ლაშქარში ძმის ან სხვა მახლობლის წასვლას (გვ. 20). ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა XVIIIს-ში, ცვალებადი შემადგენლობის მუდმივი ჯარის – მორიგი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებით. შდრ.: **მორიგი ლაშქრობის განაჩენი 1774 წ.** (გვ. 9, 32, 33), ბადლობის ნებას აძლევდა სოფლის მღვდელს, „აღებ-

მიცემის კაცს", გუთნისდედას, მეწისქვილესა და ზოგი სხვა ხელობის მუშაკს (ქსე, ტ. 2, 133); ღოლოვანში მცხოვრები **ანდრია გიორგის ძე ბადალაშვილი** 1818 წელს არის **გრიგორ ივანეს ძე ღვედერიძის** მეჯვარე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9. თ/წ. №1); **ბადალაშვილები** სოფ. კოდაში მოიხსენიებიან 1873 წლიდან, მოგვიანებით, რუსული გაფორმებით **ბადალოვი.** შდრ. **ბადალიანი** (სომხ.).

ბადაშვილი 318
*თბილისი 122*
*გორი 78*
*ყაზბეგი 32*

**ბადაშვილი,** საკ. სახ. **ბადა** (ი. მაისურ., 27); **ბადა** (ალ. ღლ., ხევსურ., ხახმატი, 80); **ბადა** (ა. შან., ხევსურ., 218). **ბახუტი ბადასშვილი,** ავთანდილ ბადასშვილი, გიორგი, ივანე, სოლომანა, ქაიხოსრო **ბადაშვილები** (საქ. სიძვ., I, 258, 268, 338).

**ბადიგიშვილი // ბადაგიშვილი** (1871 წ.) **ბადაგი,** „შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი" (ქეგელ). საკ. სახ. **ბადაგა,** გვარში: **ბადაგვაძე** (ალ. ღლ., 80).

ბ. მოიხსენიებიან სოფ. ლოუბანში.

**ბადრალაშვილი // ბადრახაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **ბადრახა.** გვარში: ბადრახაშვილი (შდრ.: ი. მაისურ. 27). „აქავ მარაბდაში 1781 წ. იოსებ თურქისტანიშვილის ყმა, ხიზანი, უკან – გორელი ბადრალაშვილი ნიკოლაოზ, ამისი ძმა ბექანა, აქავ ხიზანი ამისივ ყმა ბადრალაშვილი დავითა" (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 171). (მარაბდა).

ბადრიაშვილი 313
*გურჯაანი 123*
*თბილისი 96*
*გორი 21*

**ბადრიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბადრი,** არაბულში ნიშნავს, 14 დღის სავსე მთვარეს. შდრ. ბადრიშვილი, შუაფხო (დუშეთის რ.): ამავე ძირისაა ბადრიძე (ი. მაისურ. 27); „ქ. ქაიხოსრო **სოლაღაშვილთან** ქ. მონასტერს 1721 წ. მოიხსენიება **გიორგი ბადრიაშვილი**" (ვახუშტი, 144).

ბ. იყვნენ როგორც აზნაურები ისე გლეხები.

ბადუაშვილი 350
*ქარელი 94*
*თბილისი 69*
*თეთრიწყარო 62*

**ბადუაშვილი,** საკ. სახ. **ბადუა** (დოკ., I, 130), **ბადუა,** მეტსახელი (სოფ. მუხათი).

ბ. მოიხსენიება დიდ თონეთში.

ბადურაშვილი 444
*თიანეთი 121*
*თბილისი 103*
*გურჯაანი 70*

**ბადურაშვილი** (1697 წ.) საკ. სახ. **ბადურა,** XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილახვარ **გოსტაბიშვილის** ყმების ნუსხა (დოკ., II, 31); ბადური (ქართლ. ცხ. II, 68); გიორგი და

ინაურია ბადურაშვილები მოიხსენიებიან 1697 წ. ხითარ კიტირაშვილის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 156); ბადურაშვილი არზა, ნინია ქარუმიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით (1795 წ. 9 ივნისი ხელნ. ინსტ. Ad 1976); გლახა ბადურისშვილი, არზა გვარამაძეებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით, 1790 წ. 30 ოქტომბერი (ქსე., VIII, 76);

„... სიმონ ბადურაშვილი მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ. კამერალური აღწერის მასალებში" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურ. 310–322); „1721 წ. ქ. თაფანს სახასო ბადურაშვილი, ამის განაყოფი დათუნა" (ვახუშტი, 364).

**ბადუჩაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბადუჩა** (საამილახვრ., დავთ. 18). „1721 წ. ქ. თაფანს ყაფლანაანთი: შიო ბადუჩაშვილი, ამისი განაყოფი დათუნა" (ვახუშტი, 162).

ბაზიერაშვილი 108
*თბილისი 29*
*გურჯაანი 5*
*თელავი 74*

**ბაზიერაშვილი // ბაზიერიშვილი** (1701), **ბაზიარი,** გვარადქცეული თანამდებობა – საქმიანობის ტერმინია (სპარს. ბაზიარ). ბაზიერი მექორემეშავარდნენი (საბ.). „ქორ-შავარდენთა სანადიროდ დამგეშავ მწვრთნელი და ყურის მგდებელი" (ქეგლ.); **გამსახურდია ბაზიერი** (ივ. ჯავახ., სეიძ. 11, 17); **ბაზიერი,** მექორე, მეშავარდნე. ქორ-მიმინოთა და შევარდენთა დამგეში. (იხ. დუშია, საქია, შამშია და სხვა.) არეშიშვილები ქორის ბაზიერები (დასტურლ., იას. ლორთქ. ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, 324); ბაზიერთუხუცესი, ბაზიერების უფროსი, იხ. ყაფლანიშვილი ოთარ ასლანის ძე (იქვე, 330); გიორგი ბაზიერიშვილი, 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე. ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში (იქვე, 151, §§ 80, 128, 134); დავით ბაზიერიშვილი, 1701–11 წ. აღწ., ყაფლანიშვილების მემამულე იფნობში (იქვე, §37-40.), გუგუნა ბაზიერისშვილი, მოხსენიებულია იმერეთის მეფის სოლომონ II-ის წყალობის წიგნში (1808 წ. საქ. სიძვ., III, 262); შდრ. ბაზიერთუხუცესიშვილი (ეფრემ წინამძღვარი, 1717–1722 წ. საქ. სიძვ., II, 363).

ბაიდარაშვილი 225
*თბილისი 105*
*თეთრიწყარო 85*
*რუსთავი 18*

**ბაიდარაშვილი,** საკ. სახ. **ბაიდო** (ქართლ. ცხ., II, 299); **ბაიდა** მეტსახელი, გვარში: **ბაიდაური** (შდრ.: **ი. მაისურ.,** 28, **ალ. ღლ.,** 81); **ბაიდარა,** 1. ზღვისპირა ჩუქჩების, კორიაკებისა და ესკიმოსების ნავი. 2. ვიწრო და მსუბუქი

სპორტული ან ტურისტული ნავი. **ბაიდარი** (ძვ. წყალთშუა) ისტ. მხარე ქვემო ქართლში. მოიცავდა მდ. ქციის ორივე ნაპირზე გაშლილ ველს, დღევანდელი ბოლნისის რაიონის სოფ. არუხლოს (ძვ. ნახიდური) აღმოსავლეთით. **ბაიდარი,** სოფელი მარნეულის რაიონში (ქურთლარის საკრებულო). შდრ. **ბაიდარის კლდეკარი,** უღელტეხილი ყირიმის მთებში. **ბაიდარის ხეობა,** ქვაბული ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრ. – დასავლ. ნაწილში. **„1765 წლისთვის კი ბორჩალო-ბაიდარსაც ერეკლე მეფის მოურავები განაგებდნენ“** (ნ. ბერძენ., გვ. 315); სავარ. **ბაიდარაშვილი** სადაურობის აღმნიშვნელი გვარი უნდა იყოს. შდრ. დილმელაშვილი, რაჭველიშვილი, თბილელი, მანგლელი...

თონეთელმა **ალექსანდრე ანდრიას ძე მჭედლიშვილმა** 1875 წელს დიდი ენაგეთის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ჩხიკვთაში მცხოვრებ **ანდრია ბაიდარიშვილის ასულ მაგდალინაზე**. თავდებნი იყვნენ **ვაჟის მხრიდან: მიხეილ ანდრიას ძე ამირაზაშვილი, იოსებ გიორგის ძე ონიკაძე, ზაქარია გლახას ძე მგალობლიშვილი** (მგალობელოვი). ქალის მხრიდან ჩხიკვთელები: **ანდრია დიმიტრის ძე** და **ზაქარია დავითის ძე რამაზიშვილები, ივანე გლახას ძე გაგელიძე** (სცსსა, ფ. 489, ტ აღწ. 9, №6, თ/წ. 1); 1882 წელს სოფ. ჩხიკვთიდან გიორგი გრიგოლის ძე ბაიდარაშვილი საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში (სცსსა, ფ. 254, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); სოფ. ჩხიკვთაში მცხოვრებ ივანე ანდრიას ძე **დავითაშვილს** ქალიშვილი **თებრონე** მოუნათლა თანსოფლელმა **ივანე ანდრიას ძე ბაიდარაშვილმა** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1883 წ.); ჩხიკვთელმა **ზაქარია ზურაბის ძე ბაიდარაშვილმა** თავისი ასული **ბარბარე** 1884 წელს მიათხოვა პატარა თონეთში მცხოვრებ **ელიზბარ პეტრეს ძე დემეტრაშვილს** (სცსსა, ფ. 489, ივანე ანდრიას ძე ბაიდარაშვილი, ჩინოვნიკის შვილს, **ლეონ დიმიტრის ძე თეთრაძის** თავდებად მოიხსენიება 1885 წელს (იქვე); სოფელი ჩხიკვთა მოიხსენიება 1398 წელს. ეკუთვნოდათ გერმანოზიშვილებს, მანგლელს, სააკაძეს, გოსტაშაბიშვილებს, საგინაშვილებს...

**სოფლის მორიგი აკლებისას საგინაშვილები კახეთში გახიზნულან და იქ ჭავჭავაძეებთან დანათესავებულან.** ამას ადასტურებს საფლავის ქვების წარწერები მაწევანსა და სამებაში. XIX საუკუნის დასაწყისში უკანვე აღბულაღის რაიონში დაბრუნებულ საგინაშვილებს კახეთიდან თან წამოუყვანიათ იქაური გლეხები, გვარად **ბაიდ-**

არაშვილები (ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲢᲐᲘᲐ, საქ-ს მუზ. მოამბე, ტფ. 1928, გვ. 207).

გადმოცემით (მთხრ. ქიტო ბაიდარაშვილი, 50 წლისა), ბაიდარაშვილები 4-5 თაობის წინ გადმოსულან სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგიდან. სოფელში ამჟამად ბაიდარაშვილთა ორი შტოა – **კორელაანი** და **ზანდარაანი**. კორელაანთ თიკუნი მომდინარეობს ოთხი ძმისაგან – **სოლომონ, ივანე, სანდრო** (ალექსანდრე) და **გიგასაგან,** მათი მამა იყო **ზაქრო ბაიდარაშვილი.** ამ შტოს ჩამომავლები საგინაშვილთა კარის მოსამსახურენი იყვნენ. ურთიერთსიახლოვე საგინაშვილ-ბაიდარიშვილებს ბოლო ხანებამდე შემორჩათ. ჩხიკვთაში სტუმრად დადიოდა დიმიტრი საგინაშვილის ქალიშვილი **ნინო საგინაშვილ-ბერელაშვილი.** მისი შვილი მარინე საგინაშვილ-გეგეჭკორი დღესაც არ წყვეტს კონტაქტს. შრომასა და კაიკაცობაში იხსენიებენ დავით და ქიტო სოლომონის ძე ბაიდარაშვილებს. ქიტოს შვილიშვილი **ციცინო (ცისანა) ბაიდარაშვილი,** ფიზიკოსი, პედაგოგი, საზოგადოებაში ავტორიტეტითა და დამსახურებული სახელით სარგებლობს. სადღეისოდ **ზანდარაანთ ბაიდარაშვილები** ჩხიკვთაში, ტბისსა და თბილისში ცხოვრობენ.

ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1022
თბილისი 244
კასპი 171
სიღნაღი 127

**ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1672 წ.), მეტსახელი **ბაინდურა** (იგივე დაბდური, უშნო). შდრ. ბერბიჭა, ლოხი, ტროყია და სხვა.

„ადამიანის ხასიათს, თვისებას გამოხატავენ გვარები: **ამყოლაძე, კეთილაძე, ბაინდურაშვილი** (კელენჯერი, კელენჯუხი რაჭულ დიალექტში ნიშნავს „ჯიუტს", ლოჩოშვილი (**ლოჩო** – „მშვიდი" წყნარი")... (ზ. ჭუმბურ., 306); საკ. სახ. **ბაინდურ // ბაინდურ** პატრონი მოიხსენიება 1060 წელს რუისის ეკლესიის ერუშეთის წარწერაში. „პატრონსა ბანდურს შ' ს' ღ' (+1474) და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხსროს შ' სღ' (1500); XIII ს.-ში ქართლში იქმნება არაგვისა და ქსნის საერისთავოები. არაგვის პირველ ერისთავებად მოიხსენიებიან **შაბურის ძენი,** რომელთაც 1474 წელს ძალადობით ცვლიან ვანათელი (ვანათი იყო ქციასა და სომხითშიც) არაგვის ერისთავნი. არაგვის მესამე ერისთავად ისტორია ბაინდურ-ას ასახელებს. ვარაუდით, ეს ის პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელმაც 1560 წლებში ამოხოცა ძმები. 1527 წლის ახლოხანს ცოლად შეირთო დავით მეფის ასული (თ. ჟორდ., გუჯარის წიგნი: „ქ. ... ესე წიგნი ვკადრეთ (მცხეთას)... და კზ'ნ ბასილს ჩ·ჳნ ერისთავმან ბაინდურ და ჩ·ჳნთა ძმათა ზურაბ,

გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ (უცნობი ისტორიაში) ... მას ჟამსა, ოდენ (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევირთეთ; საკანონო იყო და თქუენ გამოგუც ნახენით და ჩუენ მისთჳს დაგიდევით ჩუენი-ნასყიდი დიღუამს ვენაჴი თავაქალასეული მისითა წყლითა“ (ქრონიკ., II, 371).

არაგვის ერისთავ „ნუგზარ დიდს“ (1616 წ.) ცხრა შვილიდან (6 ვაჟი, 3 ქალიშვილი) ერთ-ერთს ერქვა „ბაინდურ დიდი“ (1616–1619 წ. 20 წ. +21 წ.); „...1617 წ. ქ. კს: ტე; ქ. ესე წიგნი მოგაჴსენე... სუეტსა ცხოველსა... მე ერისთავმან, პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ' იმ) ... ასრე... რომ ჩუენი სამკვდრო გერი და გერისთავი სუეტიცხოვლისათვის შეწირა (შეეწირა) მეფეთა“ (ქრონიკ., II, 441–42); 1697 წ. ერისთავად ჯდება ბაინდურ II. მისი მეუღლე იყო თამარ (1701 წ.). ამისგან შეკერილი ოლარი (მღვდლის ყელ-საკიდი, ქამარი) ინახება ეკ. მუზეუმში (იქვე, 442); **ბაინდურა** ბატონი არის მოწამე ნასყიდობის წიგნისა, 1689 წ., რომლითაც **ქუბასშვილი** ბასილა და მისი ძმები თავიანთ განაყოფს ქიტიას და მის შვილს ასყიდებენ წისქვილსა და მიწის ნაკვეთს (საქ. სიძვ., №, 118); იქვე მოიხსენიება **ყორღანაშვილი ბაინდურა**.

ქართული სახელი **ბაინდურა** და მისგან ნაწარმოები გვარი **ბაინდურაშვილი** ისტორიულ წყაროებში ბევრჯერაა დამოწმებული. მაგალითად: **ბაინდურა ნაზირი** (არაბ. სამეფო კარის დიდ მოხელეთაგანი აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში), ბ. შანშიაშვილი მოწმედ მოიხსენიება 1693 წ. (საქ. სიძვ., I, 118); განჩინებაში ლუარსაბ I-ისა, იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე (1537–1538 წწ.) აღნიშნულია: **„დაუსხედით დარბაისელნი და თავჩინებულნი თავადნი: ერისთავი ბაინდურ, ციცისშვილი ქაიხოსრო, ამირეჯიბი ქუცნა, მაჩაბელი ქაბულ, გაბაშვილი გოდერძი“** (აღნ. წყარო);

**ბაინდური** (1661 წ. 15 მარტი) პაპუნა ბარათაშვილისა და მერაბ ყორღანაშვილის ნასოფლარის მოწმე და შუამდგომელია (ხელნაწ. ინსტ.-ტი, Hd 1375); ნასყიდობის წიგნი (1689 წ. 25 მარტი), მოიხსენიებს „ბატონ ბაინდურასა და ბაინდურა ყორღან (ა)-შვილს“ (საქ. სიძვ., ტ. I, 1920, გვ. 118); **„ნაზარ-ალიხანმა გიორგი ერისთავი ყაენს გაუგზავნა და არაგვის ერისთავად ბაინდური დასვა 1696 წელს“** (ვახ. საქ. ცხ. 66–67); „ქაფანავანთ ფარსადანა ყიდულობს ორ ქულბაქს ხოსინა ბაინდურაშვილისაგან“ (საქ. სიძვ., ტ. II, 425); განჩინებაში **ნასყიდა** და

**ნაზარა დოლმაზაშვილების გაყრის საქმეზე (1696 წლის 25 მარტი), აღნიშნულია:** „ბაინდურაშვილს შინდი[ს] მიწაში ნალობი ჰქონდა, ნაზარას დავანებეთ; (ხელ. ინსტ. Hd 9350); სიყმია, შარმაზანა და იოსებ ბაინდურაშვილები მოხსენიებული არიან XVIII ს. შუა წლებში ბაინდურაშვილების მიერ **შუშანა კაკიაშვილის** სახელზე გაცემულ ცოლ-ქმრის გაყრის წიგნში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1223); ბაინდურაშვილი მოხსენიებულია ერეკლე II-ის ოქმით, ყმის თაობაზე, ნინია ქარუმაძის არზაში, 1795 წ. 9 ივნისს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1976) (საქ. სიძვ., II, გვ. 128); ბაინდურა, წრაურთის მამასახლისის შვილი, ყაფლანიშვილების მერიქიფე, იხსენიება XVII ს. დავთარში (ის. ლორთქ., გვ. 330); **ბაინდურაშვილი ბერი, აზნაური,** 1721 წ. აღწ. ზაალიშვილის პატარა ზურაბის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დბანისში (იქვე, 330); ბაინდურაშვილები – ყორღანას მამულში მოსახლენი (ყორღანაშვილები. – ი. ა.). ციხისს (დოკ., I, 92), ბაინდურასშვილი გიორგი, ბაინდურაშვილი ბეჟან, ესტატე, იასე (დოკ., I, 487).

„ქ. სოლოღაშვილის ზურაბის მამულში, ქ. გუდელისს, 1721 წ. ბაინდურაშვილი ფარსადანა“ (ვახუშტი, 146); „ქ. ქავთარაშვილის სულხანის ქ. ანდრიას, 1721 წ. ბაინდურაშვილი ზურაბა“ (ვახუშტი, 123); პატარა თონეთში მცხოვრები ზაქარია ივანეს ძე ბაინდურაშვილი 1873 წ. მოიხსენიება თავისსავე თანასოფლელ ვასილ თომას ძე მაისურაძის თავდებად (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1); ნასყიდობის წიგნში როსტომ, პაატა, იოსებ და გიორგი რევიშვილების მამულში სოფ. წყლულეთში მოიხსენიებიან **ელიზბარ სულხანისშვილი, დავით ქიტოაშვილი, იასე იმედაშვილი, ლაზარე ბასილაშვილი, ბაინდურაშვილი, ქიტოაშვილი** და **ძამიაშვილი** (ფ. 112, აღწ. I, საქ. 937, ფურ. 2–4); **ქართულფუძიანი გვარსახელია ბაინდურაშვილი, წარმომდგარი მეტსახელიდან ბაინდურა.** (დონდლო), რუსული გაფორმებით ბაინდუროვი სომხური ეთნოსისათვის მიუკუთვნებიათ. ქართლსა და კახეთში მსგავსი შემთხვევა არაერთია. იგივე ბედი ეწიათ გვარებს: **ლაღიძე** (ლაღიევი), **ოლქიაშვილი** (ოლქიევი), **პავლიაშვილი** (პალიანცი), **ზაალიშვილი** (ზალიანცი, ზაალოვი), **ქობულაშვილი** (ქობულოვი), **მაღალაშვილი** (მაღალოვი), **მამულაშვილი** (მამულოვი), **დედალამაზაშვილი** (დედალამაზოვი), **ასლამაზაშვილი** (ასლამაზოვი), **ქოჩორაშვილი** (ქოჩოროვი), **დოლმაზაშვილი** (დოლმაზოვი), **ბუდახაშვილი** (ბუდაღოვი) და სხვა მრავალი (ანდრია, გუდელი, ენაგეთი,

პატარა თონეთი, წყრუელეთი).

ბაირამაშვილი 134
საგრევო 44
თბილისი 35
რუსთავი 13

**ბაირამაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბაირამ** (საქ. სიძვ., II, 390); (თურქ. „ზეიმი“, „დღესასწაული“). აქედანაა გამოთქმა **„ბაირამობა“, ბაირამა** (საქ. სიძვ., II, 147); **ბაირამა** არის მეტსახელიც. ბ. ქართველები არიან.

„ქ. პატარა ზურაბი ზაალიშვილის ყმად 1721 წ. ჰონასტერს მოიხსენიება ლამაზა ბაირამაშვილი“ (ვახუშტი, 58).

ბაქაშვილი 563
სიღნაღი 273
თბილისი 149
ლაგოდეხი 36

**ბაქაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბაკა** (დოკ., I, 131); **ბაკა** (ალ. ღლ., 81). ჰქვია ზოგჯერ ქალსაც. შდრ. **ბაკ-ი** – საქონლის დასამწყვდევი ადგილი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურაო. **ბაკი** ურმის დასაყენებელი ეზო-ყურე ქალაქში. „როსტომისა და გუგუნა ნამანგლელევიშვილების ყმად 1721 წ. ქ. ორთაშუას მოიხსენიება უყმო აზნაურიშვილი დავით ბაკაშვილი (ვახუშტი, 121). შდრ. ოსური ბაკაევი, რუს. Бакаев (Баскаков).

ბალაბანაშვილი 27
თბილისი 14
ადიგენი 11
მარნეული 1

**ბალაბანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბალ+ბანა. ბალა** (უცხ.) – დაძველებული (საბა). **ბალ,** თურქულენოვან ხალხებში ნიშნავს „ბავშვს“, „ბალღს“.

**ბალა ღანუკელი,** 1569 წ. ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი (დოკ., I, 8); **ბანა** ტანის განრცხა, დაბანა, ნაბანი (საბა), საკ. სახ. ბანა (ისტ. დოკ., I, 93), **„ქ. საგინაშვილ-ინდოშვილის** ყმად ჩხიკვთაში 1721 წ. მოიხსენიება შავერდა ბალაბანაშვილი“ (ვახუშტი, 155).

ბალაბანიშვილი 54
თბილისი 30
გორი 4
გარდაბანი 3

**ბალაბანაშვილები დღეს ბალაბანოვებად და ბერძნებად არიან ჩაწერილი. შდრ. ბალამწარაშვილი** (ჩხიკვთა).

ბალახაძე 891
თბილისი 287
ბორჯომი 128
დმანისი 102

**ბალახაძე** (1721 წ.), **ბალახა,** მეტსახელი გვარში: ბალახაშვილი (ალ. ღლ., 81); მეტსახ. **ბალახა,** მოხსენიებულია XIII საუკუნისად მიჩნეულ სიგელში (თ.ჟორდ., ისტ. საბ. შიო მღვ. მონასტრისა, 47);

ბალახაშვილი 778
ადიგენი 480
ახალციხე 73
თბილისი 58

დიდ და პატარა ირაგაში მცხოვრები **ბალახაძეები** დღეს ბერძნებად არიან ჩაწერილი. ამავე ძირისაა: **ბალახაშვილი**. (დ/ირაგა, პ/ირაგა).

ბალიაშვილი 1972
*ქარელი 743*
*გორი 354*
*თბილისი 327*
ბალიაური 70

**ბალიაშვილი** (1721 წ.), **ბალია,** მეტსახელი გვარებში: **ბალიაშვილი, ბალიაური** (ალ. ღლ., 82).

„ქ. გიორგი სოლაღაშვილის ყმად ქ. საღორისში 1721 წ. იხსენიება ივანე ბალიაშვილი" (ვახუშტი, 147).

ბალუაშვილი 226
*თელავი 74*
*გურჯაანი 58*
*თბილისი 44*

**ბალოაშვილი // ბალუაშვილი // ბალომაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. ბალო (ალ. ღლ., 82); „ქ. საკარის მცხოვრები 1721 წ. ბალოაშვილი" (ვახუშტი, 312); „დიდ და პატარა საკარისში **ბალუაშვილი ხაბაზი**" (იქვე. 375); გიორგი ზაქარიას ძე ბალომაშვილი მოიხსენიება სოფ. ჩხიკვთაში ანდრია ბაიდარიშვილის ასულ ქეთევანის თავდებად 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო I).

ბაქუზანაშვილი 47
*თბილისი 33*
*თეთრიწყარო 7*
*მარნეული 7*

**ბალუზანაშვილი // ბაქუზანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბაქუზა,** ჩუმლაყი, გურჯაანის რ., (ალ. ღლ., 84); **ბაქუზან-ი,** თუშ., (ს. მაკალ., 163).

**ბაქუზა გიორგი** იხსენიება ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ გაცემულ ყმისა და ნასყიდობის წიგნში სიონის ეკლესიისადმი (1709 წ. დოკ., I, 135); ბაირამა, კაკალა, ნონია ბაქუზანაშვილები და პოლიაშვილი გასპარა 1721 წ. (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36); ამჟამად ბაქუზანოვებად იწერებიან. (ვაშლოვანი).

ბარაბაძე 1460
*თბილისი 262*
*ქუთაისი 230*
*ბათუმი 132*
ბარაბაძე 27

**ბარაბაძე** (1932), **ბარაბა** (მათე 27, 16), **ბარაბა** (უცხ.) განვრცობა (საბა). შდრ. ბარნაბა.

XVII ს.-ში მათხოჯის დავთარში მოხსენიებული არიან: ბარაბაძე გიორგი, გონიერი, ივანე, კაცობელა, მათე, მამისთვალი, მამუკა, მამუკელა, მამუკაცა და სტეფანე. გიორგი, გონიერი, ივანე, კაცობელა, მათე, მამისთვალა, მამუკელა, მამუკაცა ბარაბაძეები (დოკ., I, 487).

**ბარაბაძე** სოფ. კოდაში გადმოსულა 1932 წელს.

ბარათაშვილი 1521
თბილისი 524
ჭიათურა 308
ქუთაისი 119
ბარათაშვილებმა 5 ათეულ გვარზე მეტი მოგვცა.

**ბარათაშვილი // ორბელიშვილი // ორბელიანი // ყაფლანაშვილი,** ბარათა, ბარათ (არაბ.) წერილი, **ბარათი** (საქ. სიძვ., I, 75); საკ. სახ. **ბარათა** შდრ.: **ბარათა ქაჩიბაძე (ქაჩიბაიძე).**

**ბარათაშვილები, ფეოდალური საგვარეულო XV-XIX სს. საქართველოში.** გვარის ფუძემდებელი იყო **ბარათა ქაჩიბაიძე (ქაჩიბაძე),** რ-ის შვილები, XV ს. II ნახევრის მოღვაწენი, ჯერ კიდევ ქაჩიბაძის გვარს ატარებდნენ, ჩამომავლები კი XV ს. ბოლოდან უკვე ბარათაშვილებად იწოდებიან. ბ. სამფლობელოს ცენტრი სამშვილდე იყო. ციხე-სიმაგრეები და სასახლეები ჰქონდათ აგრეთვე დმანისში, დარბასჭალაში, ტბისში, ენაგეთში და სხვა. მათ ეკუთვნოდათ ფიტარეთისა და გუდარეხის საგვარეულო მონასტრები, დმანისის ღვთისშობლისა და სოფ. ქედის ეკლესიები. ბარათაშვილებს გამოეყვნენ და შექმნეს: **გოსტაშაბიშვილების, გერმანოზიშვილების, აბაშიშვილების, ზურაბიშვილების, ორბელიშვილების** (შემდეგში **ორბელიანების**), **ყაფლანისშვილების, ფალავანხოსროშვილების, თაყაშვილების, იარალიშვილების, გიორგიშვილების, ითამიშვილების, ზაალიშვილების, ასლანიშვილების, ქავთარიშვილების, თურქისტანიშვილების** და სხვ. საგვარეულოები. ბ. საგვარეულოს საბარათიანოს ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: **ბარათა ბარათაშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სულხან ბარათაშვილი** და სხვა. (ტბისი, ენაგეთი, ბორბალო, მონასტერი, წინწყარო).

ბარამაშვილი 592
ქართლი 148
საგარეჯო 100
თბილისი 94

ბარამიშვილი 45
თბილისი 31
გარდაბანი 8
რუსთავი 2

**ბარამიშვილი // ბარამაშვილი** (1660 წ.), **ბარამ** მიღებულია მრავალსაფეხურიანი გარდაქმნის გზით ავესტური ვერეთრაგნასგან. ეს არის სახელი გამარჯვების ღვთაებისა, რომელმაც დაამარცხა ბოროტი დემონი ვერეთრა. ვერეთრაგნა ნიშნავს „ვერეთრას გამგდებს". მასთან ეტიმოლოგიურ კავშირშია სახელები: **ვარამ, გვარამ** და **გურამ;** გვარები: **ბარამაძე, ბარამიძე, ბარამია, გვარამაძე, გვარამია, გურამიშვილი** (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 325); შდრ. (სპარს.) **ბაჰრამ,** საკ. სახ. **ბარამ.** (ქართ. ცხ., II, 33);

**ბარამ ბექანის შვილი** (მოხს. 1715 წ. დეკემბრის 20-ს, საქ. მუზ. ფ. Hd №11395), **ბარამ** ყორჩიბაში 1654, წ. იანვრის 2–ს, საქ. მუზ. ფ. Hd №11395), **ბარამ** ყორჩიბაში 1654, წ. იანვრის 2-ს (იქვე, №83 89); სეხნია ბარამიშვილი იხსენიება XVIII ს. II ნახევარში შედგენილ მორიგეთა ნუსხაში (საქ. სიძვ., II ნახევარში შედგენილ მორიგეთა ნუსხაში (საქ. მუზ. ფ. Hd№3947); მაზიტა **ბარამიშვილი** ნასყიდობის 1660 წ. წიგნში (საქ. სიძვ., II, ნვ, 31–132); „ქ. ქირმანის ხანის ყმად დურნუკში 1721 წ. ... მიყლუყა **ბარამიშვილი**“ (ვახუშტი, 25); „ქ. სოლაღიშვილის ქაიხოსროს ყმად ლოუბანში... ბერუა ბარამიშვილი“ (ვახუშტი, 143); „ქ. აბულფათიშვილის ბექანის ყმად ქ. ახალშენს ნავროზა **ბარამიშვილი**, ლოუბნელი **პეტრე ბარამიშვილმა** 1826 წელს მონათლა შვილი – **აბრამი**. მიმქმელი იყო თანასოფლელი პეტრე აბულაშვილი (489, 9, №31, 1826 წ.). (ლოუბანი, დურნუკი, ახალშენი).

| | |
|---|---|
| ᲑᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ | 176 |
| ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲐ | 1385 |
| ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ | 4000 |
| *თბილისი* | *1031* |
| *ოზურგეთი* | *440* |
| *ბათუმი* | *414* |

**ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **ბარამ.** აქედან გვარი **ბარამიძე, ბარამაძე.**

**ბარამ** არაბ.-სპარს. გამარჯვების გენია (ქართლ. ცხ., II, 33; ალ ღლ., 82).

**ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲫᲔ** (1721 წ.), **ბარაქა,** არაბულად კურთხევა (აკურთხა უფალი, გინა კეთილმეტყველი უფალი, საბა, 35).

| | |
|---|---|
| ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲫᲔ | 91 |
| *ვანი* | *38* |
| *ბათუმი* | *10* |
| *სამტრედია* | *8* |

**ბარაქა** (არაბ.) დიდი გამოსავალი, ხვავი და ბარქა მიწის, შრომის ბარაქა (ქეგლ., 57); ბარაქა მეტსახელი გვარში ბარაქაძე; „ ქ. ამილღანბარ გოსტაბაშვილის ყმად ქ. აზიკის, 1721 წ. იხსენება ბოგანო, მოლაშქრე ბარაქაძე“ (ვახუშტი, 55).

**ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ** (1879 წ.), საკ. სახ. ბარბაქა გვარში: ბარბაქაძე (ალ. ღლ., 82); სოფ. პატარა ენაგეთში 1879 წელს მოიხსენიება იოსებ სოლომონის ძე ბარბაქაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); შდრ. დაბახიძე//ბარბაქაძე.

ბ. ცხოვრობენ წმანში (საჩხერის რ.). ხორაგაულის, ხაშურის, მუხურაში ტყიბულის რაიონსა და სხვა. (გავრც.); სოფ. მაქათუბანში მცხოვრებთა ერთ-ერთ შტოს ყველიჭამიებს უწოდებენ (პატარა ენაგეთი).

ბარნოვი 672
*თბილისი 413*
*კასპი 199*
*ოზურგეთი 7*

ბარნაველი 33
*თბილისი 33*

**ბარნოვი (ბარნაველი),** გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, სავარაუდ. ტოპონიმი **ბარნავი** + ბოლოსართი-ელ; აქედანაა მიღებული ბარნაველი.

„ბარნოვის წინაპრები მესხები ყოფილან და სოფელ ბარნავიდან ქვემო ქართლში (კოდაში) გადმოსახლებულან, რათა მაჰმადიანთა ძალმომრეობას გარიდებოდნენ“ (**თედო სახოკიას** მოგონებიდან წიგნში: **გერონტი ქიქოძე**, მოგონებები, სიტყვები და წერილები, 1956, გვ. 196); 1886 წლის კამერული აღწერის საოჯახო სიებში მოიხსენიება **გიგო ბარნოვი,** მეუღლე მისი **კეკელა,** შვილი **თომა, ნიკოლოზ ბარნოვი,** მეუღლე **ელისაბედი,** ვაჟი **ანდრო,** (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, წიგ, 1, 1619, 1620, ფურ. 162); **ვ. ბარნოვის** მამა **ზაქარია ბარნოვი** XIX ს.-ის II ნახევარში დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო.

ბარსონაძე 0
ბარსონიძე 97
*თბილისი 48*
*ამბროლაური 33*
*საჩხერე 5*

**ბარსონაძე//ბარსონიძე,** საკ. სახ. **ბარსონა // ბარსუნა** (ალ. ღლ., 83); შდრ. საკ. სახ. ბარსუ და ბერსუმა; **ბერსუმა პიტიახში** (თ. ყაუხჩიშვილი, ბერსუმა პიტიახშის წარწერისათვის, თსუ შრომები, XXX-B; ილ. მაის., 31); ბარსონიძები ამბროლაურის რ-ის სოფ. ხიმშიდან, 1941 წელს კალმოვიდნენ სოფ. ასურეთში. ამავე ძირისაა ბარსონაშვილი.

**ბარსანიძე** (1871 წ.), **ბარსანა,** მეტსახელი ქიზიყი; გვარებში: **ბასანიძე, ბასანიშვილი** (ალ. ღლ., 83).

**სიმონ ბასანიძე** 1817 წელს სოფელ მუხათში მოიხსენიება თავად გიორგი ორბელიანის ყმად (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 477, ფურ. 40-45); ამავე ძირისაა **ბასიკაშვილი, ბასიშვილი, ბასინაშვილი.** (მუხათი).

ბასიაშვილი 533
*თბილისი 382*
*კასპი 98*
*რუსთავი 30*

**ბასიაშვილი** (1721 წ.) მომდინარეობს საკ. სახელიდან **ბასილ** (ბერ.) „მეფური“, „სამეფო“. გვქონდა აგრეთვე საკ. სახ. **ბასი (ბესი),** უკავშირდება ძველი ქართული წყაროების ეთნონიმს **ბასს, ბესს** (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 84–98).

საკ. სახ. **ბასია** გვხვდება რაჭაში, ქიორში (ალ. ღლ., 83); ბატონის დედოფლის სახასო ქალაქ წინწყაროში

(საბარათაშვილოში) 1721 წ. მოიხსენიება ნასყიდა **ბასიშვილი** და **ბასიანთ** კარპეტა (ვახუშტი, 101); ნინია ბასიაშვილი და ბასიანთ კარაპეტა (ვახუშტი, 101); ნინია ბასიაშვილი მეუღლით ბარბარე, ქალიშვილი მაია 1823 წელს მოიხსენიებიან დიდ ენაგეთში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 5–18); ამავე ძირისაა **ბასიშვილი, ბასიკაშვილი, ბასილაშვილი, ბასელაშვილი, ბასოშვილი, ბასილია...** (დიდი ენაგეთი, წინწყარო).

ბასილაშვილი
2138
*თბილისი 693*
*გურჯაანი 216*
*ბოლნისი 202*

**ბასილაშვილი//ბასილიშვილი** (XIII ს.), **ბასილ** (ბერძნ. სამეფო). ამჟამად გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის **ვასილ. ბ** და **ვ** ბგერათა მონაცვლეობას თვით ბერძნულში ჰქონდა ადგილი. შდრ. **ბასილ//ვასილ, ბიქტორ** და **ვიქტორ** (ზ. ჭუმბურ., 136–137); **ნ. ბასილ,** ქსნის ერისთავის ლარგველის შვილიშვილი, XII ს.

**ბასილ** დიდი კესარელი, „ექვსთა დღე". 1729 წ. (ქრონ. III, 125); ბ., წმინდა (იქვე, 196); იხ. ბოცო ბასილაშვილი, XIII ს. სვინაქსარი, გიორგი მთაწმინდელის თარგმანი, №1245 (ქრონ., II, 284); **იოსებ ბასილაშვილი,** მწიგნობარი, იხსენიება მცხეთის გუჯარში, №169, 1398 წ. (ქრონ., II, 203); „ბოცოეთის მკვიდრი ქ. ბასილაშვილი 1721 წ. (ვახუშტი, 332); „**ქ. იარალაშვილის** როსებისა სამაჩვეთს 1721 წ. ბასილაშვილი დათუნა" (იქვე, 62); „1830 წ. 12 დეკემბერს მუხათში მცხოვრები კარდანახელი **გიორგი ბასილაშვილი** მოკვდა და დამარხა მღვდელმა იოსებ ხუროვმა (489, №6, №98, ფურ. 24); გოლთეთელმა გიორგი იოსების ძე ბასილაშვილმა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა შვილი ევა, მიმქმელი იყო თანასოფლელი ზაქარია გაბრიელის ძე წითელაური (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); ამავე ძირისაა **ბასილაძე, ბასილაია, ბასილისძე, ბასილიძე.** შდრ. **ბასილაშვილი//მეფისაშვილი** (ბურვილი, ბოცო, გოლთეთი, ენაგეთი, კობალა, სამაჩვეთი).

**ბასიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბასიტა** (საამილახვრო. დავთ., 11; ალ. ღლ., 83); „ქ. ფიტარეთის წინამძღვრისა: ...**ბასიტაშვილი ბერიძე,** 1721 წ". (ვახუშტი, 171).

**ბატიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბატა** (დოკ., II, 5); **ბატა** მეტსახელი ბატის ქურდისა, ქვ. გომი, კასპის რ.) (ალ. ღლ., 83); ბატონის დედოფლის სახასო ქალაქ წინწყაროში 1721 წელს მოიხ-

სენიებიან **მანდენა და ოქრუა ბატაშვილები** (ვახუშტი, 102).

ბატაშვილი 80
დედოფლისწყარო 77
თბილისი 2
მარნეული 1

**ბატაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბატატა** (ალ. ღლ., 83); **ბატატ-ი** (ფშავი, მაღაროსკარი, იქვე); ბატონის სახასო ქალაქ წინწყაროში (საბარათიანო) 1721 წ. მოიხსენიებიან არუთინა და მოსია ბატაშვილები (ვახუშტი, 102). ამავე ძირისაა **ბატაშვილი, ბატატატიაშვილი, ბატატუნაშვილი, ბატიაშვილი, ბატიკაშვილი, ბატკუაშვილი** (წინწყარო).

**ბატატიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბატატა**. იხ. **ბატატა** შაქარაშვილი, 1702 წ. (დოკ., I, 118); **ბატატა** (ფარეში), 1688—1694) (იქვე, 371).

„ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს: ...**ბატატიაშვილი იმედა,** 1721 წ.“ (ვახუშტი, 228); ამავე ძირისაა **ბატაშვილი, ბატატაშვილი, ბატიაშვილი, ბატიკაშვილი, ბატკუაშვილი...** (ლიპი).

**ბატიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბატა** (დოკ., II, 5); **ბატა** (ალ. ღლ., 83); **ბატია** (იქვე); ზგდ მნიშვნ. **ბატი**. შდრ. **ქათამაძე, ბატიაშვილი, კოკონაშვილი, იხვიშვილი...**

„ქ. ავთანდილ სუფრაჯისა ქ. საღირაშენს 1721 წ. ბატიშვილი“. შდრ. (რუს.) Гусев, იხ. ბატაშვილი.

ბატკუაშვილი
216
თბილისი 133
კასპი 56
მცხეთა 9

**ბატკუაშვილი** (ვახუშტი, 47). **ბატონიშვილი** ვახუშტი//ბაგრატიონი (1696–1757 წწ.), ბატონი ვაჟი მეპატრონე. ბატონა, ქალი მეპატრონე (მებატონე) [ნ. დედოფალი] (საბა, 36); ბატონი, პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს. მიწისა და ყმების პატრონი – მემამულე (ქეგლ, 58); ბატონიშვილი (ისტ.) მეფის შვილი – უფლისწული ვახუშტი ბატონიშვილი (იქვე, 58); ბატონიშვილი, სამეფო გვარის წევრი. იხ. აბდულბეგი (იგივე არჩილ ბატონიშვილი), ანახანუმი (არახაანუმ, მოლარეთუხუცესი სეხნია ჩხეიძის ასული, ვახუშტი, ალიყული ხანი), გიორგი, ელენე, ვახტანგი, იესე, იოანე, ლევანი, მირიანი, რამაზი და სხვა.

**ბატონიშვილი,** სიუზერენის შვილი ფეოდალურ საქართველოში. ძირითადად იხმარებოდა უმაღლესი სიუზერენის, მეფის, აგრეთვე მთავრისშვილების აღსანიშნავად. სხვა მებატონეთა შვილები იწოდებოდნენ **თავადიშვილებად, აზნაურიშვილებად, ერისთავიშვილებად**

და ა.შ. „ბატონისშვილების“ წარმოქმნამდე იხმარებოდა ტერმინი უფლისწული. შდრ. ბატონისაშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი.

ვახტანგ ბატონიშვილი იყო პირველი სადროშოს (საბარათიანოს) სარდარი და გამგებელი, რომელიც თრიალეთის ახალქალაქში იჯდა (ახალქალაქი დღევ. სომხების სოფ. ტაშბაშია).

**ვახუშტი ბატონიშვილს ჰყავდა ყმები ალგეთში, ქციასა და წინწყაროში.**

**ბატუაშვილი** (1781 წ.), **ბატუ** (უცხ.) ზომიერი და უსულონი (ზომიერსულიანი, საბა).

საკ. სახ. **ბატუ** (კოლხ., 38. სალხინო, ალ. ღლ., 83); **ბატუა** (კოლხ., 49, ნოქალაქევი, იქვე), **ბატურია** (კოლხ., 63., 63, ქვემო ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 83); „აქავ (მარაბდის) ეკლესიას 1781 წ. ლუარსაბ აბაშიშვილის ყმა **ზურაბა ბატუაშვილი**“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 171); ამავე ძირისაა **ბატაშვილი, ბატატუაშვილი, ბატუაშვილი...** (მარაბდა).

| | |
|---|---|
| ბაქრაძე | 3106 |
| *თბილისი* | *1444* |
| *ქუთაისი* | *268* |
| *ჭიათურა* | *213* |

**ბაქრაძე//ბაქრაძესშვილი** (1830 .), საკ. სახ. **ბაქრა** (კოდა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); შდრ. საკ. სახ. **ბაქარ** (საქ. სიძვ., II, 320); ბაქარ მეფის შვილი ალექსანდრე, ბ. ვახტანგ მეფის პირმშო, ბ. საქართველოს მეფე, ბ. ბატონიშვილი, საქართველოს გამგებელი (კოლექ, 1448); ივანე გიორგი, კაცია, როსტომ, სიმონ ბაქრაძეები მოიხსენიებიან 1830 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულების წიგნში, რომელსაც ივანე ტოგონიძე აძლევს იაგორ ქეთხუდოვს (საქ. მუზ. ფ. Sd №866); გიორგი ბაქრაძე XIX ს-ის 30-იან წლებში თბილისიდან საცხოვრებლად გადასულა სოფ. კოდაში. 1851 წელს მასთან ერთად მოიხსენიებიან ოჯახის წევრები: მეუღლე **ნინო,** ვაჟები **ივანე, ბაქრაძე, მიხეილი,** დედა **ქეთევანი** (ფ. 254, №1, 1274, ფურ. 80); კოდაში მცხოვრებ **დავით ბაქრაძისშვილმა** ჯვარი დაიწერა თანასოფლელ **დავით დათაშვილის ქალიშვილ ელისაბედზე,** თავდებად მოიხსენიებიან სოლომონ **ბესელაშვილი,** ნინია **აბულაშვილი,** მირზა **ჩიტუაშვილი,** იოსებ **დემეტრასშვილი,** თათუა **პაპასშვილი** (ფ. 489, აღწ. №6, საქ. 31, ფურ. 174–175); კოდაში მცხოვრებ **ბერიკისძე ბაქრაძეს** კანონიერ ცოლთან, **ნინია მათეს ასულთან** შეეძინა ვაჟი. სახლი განათლა და მონათლა

მღვდელმა აბრამმა, სახელი დაარქვა მიხეილი (ფ. 489, №6, 98, 1830 წ. ფ. 20); „კოდაში მცხოვრებ შტაბს – კაპიტან, თავად გრიგოლ ორბელიანოვის გლეხს გიორგი ბერიკას ძე ბაქრაძესა და მის სჯულიერ ცოლს, – ნინა მათეს ასულს, – 1832 წ. შეეძინათ ვაჟი დავითი. სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროშვილმა (ხუროვმა). მიმქმელად იყო ქალაქში მცხოვრები თავადი ილია ზურაბის ძე ორბელიანოვი“ (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 22); სოფ. კოდაში მცხოვრები **ბაქრა გიორგის ძე ბაქრაძე** 1874 წელს ქორწილში თავდებად (მეჯვარედ) ახლავს თანასოფლელ სიმონა გიორგის ძე **სეხნიაშვილს,** რომელსაც ცოლად შეურთავს დიდენაგეთელ გრიგოლ **გოდერძიშვილის** ასული ეფემია (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); **კოდელ ბაქრაძეებს ბერიკაანთს ეძახიან. გრიგოლ (გრიშა) ბაქრაძეს „ბაქრაძეს“ ეძახდნენ.** (კოდა).

ბაქუზანაშვილი 47
*თბილისი 33*
*თეთრიწყარო 7*
*მარნეული 7*

**ბაქუზანაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **ბაქუზა** (ჩუმლაყი, გურჯაანის რ. ალ. ღლ.,); **ბაქუზან-ი** (თუშ. ს. მაკალ., 163).

„ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა... **ბაქუზანაშვილი** ბაირამა და კაკალა, აქავ ბაქუზანაანთ პოლიაშვილი გასპარა, 1781 წ. (ივ. ჯავახ., სიძვ., I, 166); იქვე 1823 წ. აღწერით, მოიხსენიებიან ნინია ბაქუზანაშვილი, მეუღლე სარა: ვაჟები კიკოლა, ბარამი, ავეტიკა, ქალიშვილები ელისაბედი, ნინო; ძმა დანდუა ბაქუზანაშვილი, მეუღლე მარიამი, ვაჟიშვილი თევდორე, ქალიშვილი თამარი, დისშვილი გლახა, დედა მარიამი (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 99–105); შდრ. **ბალუზანაშვილი** (ვაშლოვანი).

ბალაშვილი 1275
*თბილისი 406*
*დედოფლისწყარო 207*
*სიღნაღი 134*

**ბალაშვილი** (1721 წ.), **ბალა,** მეტსახელი გვარებში: **ბალაძე, ბალაშვილი** (ალ. ღლ., 84).

„ქ საამისა და ედიშერისა ქ. თაფანს 1721 წ. **ბალაშვილი ელუა, ბალაშვილი თევდორა**“ (ვახუშტი, 119); ამჟამად სოფ. მუხათში ცხოვრობენ **ბალაშვილები.** ამავე ძირისაა **ბალაკაშვილი, ბალბაია, ბალიაშვილი, ბალნიაშვილი, ბალიაური, ბალოშვილი, ბალიშვილი.**

შდრ. **ბალვაში (ბალუაში),** ლაზური წარმოშობის გვარსახელი, არგვეთის მფლობელნი,. ქართლში გადმოსვლის შემდეგ ორბელიანნი, კლდეკარის მფლობელნი (ი. მაისურ., 31). (თაფანი, მუხათი).

**ბალდასარაშვილი. ბალდასარა** საკ. სახელია (გაყრილობის წიგნში ნასყიდასი, ბალდასარასი და ანუასი, 1672 წ. 8 მარტი (ხელნ. ინსტიტუტი №1, 34). შდრ. **ბალჩა** (სპარს. – **ბალ, ბალჩა**), საზამთროს, ნესვის, ან გოგრის ყამირი, ან ნასვენ მიწებზე (თესლბრუნვის მინდორზე, რომელიც ჩვეულებრივ მოშორებულია საცხოვრებელი ადგილიდან (ქსე, ტ. 2, 248); **ბალდასარა** ალელიანთი, ბ. ანშელაანთი, ბ. ალამურაანთი, ბ. ახლოაბეგაანთი, **ბ. გაგუაშვილი.** ფარსადანა, ასლანა, მოსია, ოსეფა ბალდასარიშვილები; დათია, ალექსანდრე, მადირა, პეტრე ბალდასაროვი (კოლ. 1448, 5797).

„... ამ წელს ყულუაშვილს ბალდასარასაგან ექვსი მინალთუნი მიერთვა" (1770 წ. საბ. №333, სცსსა, ხ. ბერძ. მასალები საქ-ს ეკონ. ინსტ. წ. I, გვ. 50); ვახუშტის მიხედვით, **გოლოშვილი** ბალდასარა (36), **ყულიაშვილი** ბალდასარა (36) ტაბახმელას **დავითაშვილი** ბალდასარა (146); XVI– ს-ში იხსენიებიან იოსება ბალდასარაშვილი და გაბუანთ ბალდასარაშვილი (ექვ. თაყ, I, 269); მთხრ. გადმ სახელი შედგენილია ბალი და სარიდან. შდრ. ბალ-ვენახი,

**ბალნარი, ბალ-მინდორი, ბალ-მარანი.** სოფ. მუხათში ბალდასარაშვილების ადრინდელი გვარი ნონიაშვილი ყოფილა. მათ დღესაც ნონიაანთ ეძახიან.

**ბალ** ძირის შემცველი გვარსახელებია **ბალაშვილი, ბალსაშვილი, ბალსარაშვილი, ბალუაშვილი, ბალდავაძე, ბალიშვილი, ბალიაშვილი, ბალიაური.**

**ბალაშვილი** (1960 წ. ), საკ. სახ. **ბალა, ბალა-ი,** ხოვ. გერგეტი (ალ. ღლ., 84). კონკრ. შემთხვ. გადაკეთებულია **ბალდასარიდან.**

**ქაიხოსრო ბალდასარაშვილი** (XVII ს. II ნახევარში), ანანურის დიდი ტაძრის (1689 წ.) მშენებლობის ხელმძღვანელი (სარქარი) ყოფილა (მუხათი).

ბალდუაშვილი
34
კასპი 7
თეთრიწყარო 5

**ბალდუაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ბალდუა,** ბოგანო **ბალდუა** (ვახუშტი, გვ. 14).

**ბალდუაშვილები** სოფ. მუხათში მოიხსენიებიან 1847 წ. მიწის გაყოფაზე ჩხუბი მოსვლიათ ბაჯიაშვილებსა და ბალდუაშვილებს. სიგელი შედგენილია ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანსკის მითითებით, ხელს აწერს (ამოწმებს) **არტემა ბალდუაშვილი.** იქვე მოიხსენიებიან დროებით ვალდებული გლეხები **არტემა** და

მელქო **ბაღდუაშვილები** (სცსსა, 55, საქმე 39, ფურ. 126); **გოგია** და **პეტრე ბაღდუაშვილები** მოიხსენიებიან (კოლ. 148, 6485, 6907); შდრ. ბაღდოშვილი (მუხათი).

| ᲑᲐᲧᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 26 |
|---|
| *გურჯაანი 22* |
| *თბილისი 3* |
| *სიღნაღი 1* |

**ᲑᲐᲧᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), მოსაქმეობის ტერმინი **ბაყალი** (მებაყლე). **ბაყალ-ი** არაბ. **ბაკალ** – სურსათის, სანელებლის გამყიდველი, ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილეულით მოვაჭრე, საერთოდ, მზა სანოვაგითა და წვრილმანით მოვაჭრე ძველად (ქეგლ., 58); აქედან ბაკალეა. შდრ. (რუს.) Бакалейщик.

„ქ. ბატონის ტფილელისა, 1721 წ. ქ. ხეკორდს: **ბაყლიშვილი რაზმაძე, ბაყლიშვილი თამაზა**“ (ვახუშტი, 47). (რაზმაძე აქ სახელია).

**ᲑᲐᲩᲐ [ᲡᲮᲨᲕᲘᲚᲘ** (XVIII ს. II ნახ. ), საკ. სახ. **ბაჩა** (ხევსურ)., ბარისახო (ალ. ღლ., 84); კნინობითი ფორმებია **ბაჩი, ბაჩანა, ბაჩია, ბაჩიკო, ბაჩილა, ბაჩიკუდა, ბაჩალა, ბაჩუა.** შდრ. **ბაჩა** (სპარს.) ბავშვი.

**ბაჩაშვილი გოგია,** XVIII ს.-ის II ნახევარი, მორიგეთა ნუსხა (დოკ., II, 83); 1817 წ. სოფ. კოდაში პოდპოლკოვნიკ ასლანა ორბელიანის ყმათა შორის მოიხსენიება ასითა ბაჩაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, №1, ფ. 40–43); სოფ. კოდაში მცხ. ნინია ბაჩაშვილის მეუღლე ელისაბედი 1826 წელს ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილს უნათლავს **ზარიძე მოსიაშვილს** (489, 9, №1); „კოდაში მცხოვრებ ივანე ბაჩაშვილს ეყოლა ქალი, სახელი ეწოდა ქეთევან. ნათლია იყო კოდაში მცხოვრები ისაია დოლმაზოვი (489, აღწ. №6, 57, 1828 7 ფურ. 9); ამავე ძირისაა **ბაჩაგაშვილი, ბაჩიკაშვილი, ბაჩანაშვილი, ბაჩალიაშვილი, ბაჩანაძე, ბაჩიაშვილი, ბაჩილავა, ბაჩილაშვილი, ბაჩუაშვილი** და სხვ. (ი. მაისურ., 32). შდრ. **ბალღიაშვილი.** (კოდა, წინწყარო).

**ᲑᲐᲩᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ბაჩა** (ხევსურ. ბარისახო, ალ. ღლ., 84); შდრ. **ბაჩაგა,** გვარში **ბაჩაგიშვილი** (ი. მაისურ., 32). **ბაჩაყაურ-ი** (ალ. ღლ., 84).

„პაპუნა საგინაშვილის ირდისუბანში მოიხსენიება პაპუა ბაჩაღაშვილი“ (ვახუშტი, 150).

| ᲑᲐᲪᲘᲙᲐᲫᲔ 468 |
|---|
| *თბილისი 151* |
| *გორი 101* |
| *ქარელი 76* |

**ᲑᲐᲪᲘᲙᲐᲫᲔ.** მეტსახელი **ბაცი-ი** (რაჭ. კოლექც., გლოლა, ალ. ღლ., 84); **ბაცა** (კარალეთი, იქვე); **ბაციკაძეები** 1941 წელს ასურეთში გადმოვიდნენ სოფ. კორტიდან. ამავე ძირისაა **ბაცანკალაშვი-**

ლი, ბაცანიძე, ბაცანაძე, ბაცაცაშვილი, ბაცალია, ბაცელაშვილი, ბაციაშვილი, ბაცილავა, ბაცაცია (ასურეთი).

ბახტაძე 3369
თბილისი 1357
კასპი 234
ზუგდიდი 158

**ბახტაძე** (1721 წ.), **ბაჰტ** (სპ.) ბედი, შდრ. **ბედიაშვილი, ბედოშვილი, ბედოიძე. ბახტა,** მეტსახელი გვარში: **ბახტაძე** (ალ. ღლ., 85); საკ. სახ. **ბახტა** (**ბახთა** (ილ. მაისურ., 33).

**ბერუა ბახტაძე** იხსენიება 1776 წლის 3 აგვისტოს, ხოლო ბახუტა ბახტაძე მიწის გაცვლილობის წიგნში 1816 წლის იანვარში (ნ. ბერძენ., დოკ., II, 97-98, 246); ბერია, გიორგი, დათუნა, ივანე, პაპუნა, პატიტა, შოშია შეტანილნი არიან XVIII ს.-ის I ნახევარში შედგენილ ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 452); სოფ. ჩხიკვთაში 1721 წ. დურმიშხან საგინაშვილის მამულში მოიხსენიება ხოსიტა ბახტაძე (ვახუშტი, 152).

**ბახურაული//გერმანოზიშვილი//ბახურაულისშვილი** (1828 წ.), საკ. სახ. **ბახურა** (მთიულ., ფასანაური, ალ. ღლ., 85).

„ქალაქის უეზდის სოფელს ღოუბანში მცხოვრებმა **გერმანოზ ბახურაულისშვილმა** 1828 წელს ჯვარი დაიწერა კუმისში მცხოვრებ იორდანე გულვარდიშვილის ქალ ელისაბედთანა. გვირგვინი უკურთხა იაკობ ხუროევმა“ (489, №6, 57, 1828 წ. გვ. 4); გლახა და დიმიტრი ბახურაულები ცხოვრობდნენ 1886 წ. აღწერით, სოფ. ღოუბანში (სცსსა, ფ. 254, №3, 1613, ფურ. 23–40; 114); იქვე მოიხსენიება **გერმანოზიშვილ-ბახურაული** (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 83-93 ასურეთი, ღოუბანი).

ბახუტაშვილი 590
თბილისი209
ტყიბული 86
სიღნაღი 81

**ბახუტაშვილი** (1619 წ.). საკ. სახ. **ბახუტა** (საქ. სიძვ., II, 90); **ბახუტა,** 1666 წ. ჯავახიშვილების ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია სახლთუხუცესად (იქვე, 90). სახლთუხუცესი, გვინაფეოდალურ საქართველოში დიდი მოხელე, რომელსაც ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციული შინაარსის ფუნქციები ჰქონდა.

ბახუტა ბობდის მამასახლისი, ბ. ქილიფთარი. ელიზბარ, თეოდორე, ბახუტა. ბერი, იოსებ, მოსე, **სეხნიკა ბახტაშვილები** (კოლ. 1448); **ბახტინ ბახტაშვილი** იყო სომეხთა მოხელე ათასის თავი, გვარით ფრანგი, რომელიც ცხოვრობდა ყარაბაღსა შინა. ამათნი გვარნი მოვიდნენ კახეთსა შინა. მეფემან მიიღო აზნაურად და მუნითგან იწოდებიან ბახტინიშვილები ბახუტაშვილებად (საანდაზო

ლექსები... 129); გადმოცემით (ინფორმატორი კ. ბახუტაშვილი, 58 წლისა), სოფელ ლოუბანში კახეთიდან გამოთხოვილა ქალი, რომელსაც თან წამოუყვანია გერი, გვარად ბახუტაშვილი. ბ. იყოფიან ორ შტოდ: **ქუცაანი** და **ლექვიანნი. ბახუტაშვილები** (ბახუტოვები) 1619 წ. სიმონ მეფის სიგელში მოიხსენიებიან **აზნაურებად,** რომლებსაც თუშეთში, ფშავში, ხევსურეთსა და ერწოში გლეხები ჰყოლიათ (დ. ფურცელაძე, Груз. крест. грамоты, Тиф. 1882, 7); **ბახუტაშვილი** იყო **თეიმურაზ I-ის** კარის დაცვის უფროსი. შეთქმულების გამჟღავნებისა და მეფის გადარჩენისათვის თეიმურაზმა **მოურაობა** უბოძა. „ბახუტაშვილი – 1622 г. царь Теймуразь даёт Бахутовому (Бахуташвили) сьедующю грамоту: „когда Персидский шахь вель сь нами войну, отняль у нась царство и мы удалились вь Кутаись (Кутаись), онь подслаль кь намь персяньизменниковь, которые ночью покрались кь намь сь цьелью убить нась, но ты открыл ихь и поймаль ихь, и такимь образомь спась нась оть смерти. За эту услугу мы пожаловали тебе имение и крестьян Раиндашвили вь кисисхеви и должности моурава кисисхвескоге". (Д. П. Пурцеладзе, Груз. церк. гуджари Грамоты) т. 1881, გვ. 15).

**ბახუტა** ჯავახიშვილი, XVII ს-ის II ნახევარი (საქ. მუზ. Hd №84 39); **ბახუტა** მემანდარბაში 1681 წ. (სცცსა, ფ. №1-101); **ბახუტა,** იხილეთ თუთა ჩხეიძის ქალიშვილის მიერ გაცემულ ყანის ნასყიდობის წიგნში, 1724-1735 წწ. (საქ. მუზ. № 2873 Hd). ბახუტა თულაშვილი, **ბახუტა** თუმანიშვილი, **ბახუტა** მამასახლისი ქვემო ბოლნისისა (იქვე, №1724); „ქ. სააკაძე ბახუტასი ფარეხას (ვახუშტი, 43); სახელი **ბახუტა** მეტად გავრცელებული იყო XVIII-XIX საუკუნეებში (იხ. დოკ., №, 490); **ბახუტაშვილი** მოიხსენიება სოფ. წინანდალში 1788 წ. იხ. განჩინება გრიგოლ ბახუტაშვილისა მამუჩიანთ მამულის საქმეზე, 1788 წ. ნოემბერი... მღვდელი გრიგოლ და რამაზა **ბახუტაშვილები** (მდივანბეგი, მოსამართლე) (სცცსა, ფ. 1450, დავთ. №53, საბ. №6); ბახუტაშვილი გიორგი, შეყრილობის წიგნი ბირთველ და პაპუა თუმანიშვილებისა, 1735 წლის 15 ივნისი (ხელნ. ინსტ. Qd 167; ქსძ. VIII, 890); **ბახუტაშვილები** სოფელ ლოუბანში ჩანან 1817 წლიდან. „იაკობ ორბელიანის მამულში გიორგი ბახუტაშვილი (სცსსა, ფ. 254, საქმე №1, 2043, ფურ. 271);

**ლოუბნელმა** გიორგი ბახუტაშვილმა 1818 წელს მონათლა

ვაჟი გიორგი, მიმქმელი იყო პავლე პეტრიაშვილი (სცსსა, ფ. 489, 6, I ბ, №24, ფურ. 145); 1823 წლის აღწერით გიორგი ბახუტაშვილი, მეუღლე თამარი, ვაჟები გლახა, იასე, ქალიშვილები მარიამი, მაია, ძმა იორდანე ბახუტაშვილი, მეუღლე ბარბარე, დედა ანა მოიხსენიებიან სოფ. ლოუბანში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 83-92); „ლოუბნელ იორდანე ბახუტაშვილს (1828 წ.) ეყოლა ქალი, სახელი ეწოდა ანა (489, აღწ. №6, 57, ფურ. 32); 1879 წელს ლოუბნელმა ალექსი გლახას ძე ბახუტაშვილმა ჯვარი დაიწერა ვარდისუბნელ **სოლომონ ფეიქრიშვილის** ასულ **ელისაბედზე**. თავდები იყო **იაკობ გიორგის** ძე **პატიაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). (მარაბდა, ლოუბანი).

ბაჯიაშვილი
104
*თბილისი 26*
*ბორჯომი 5*
*გორი 1*

**ბაჯიაშვილი//ვარდუაშვილი//ვარდანაშვილი//ვართანაშვილი** (1847 წ.). **ბაჯი,** მატსახელი გვარში: **ბაჯიაშვილი.** გადმოცემით, გვარი **ბაჯიაშვილი** (მთხრ. **ალექსი ბაჯიაშვილი** 103 წ. გ. 1966 წ.) მიუღიათ თავიანთი რძლის, გმირი ქალის, **ანაბაჯის** პატივსაცემად. **იეთიმ გურჯმა (დაბლიშვილი)** „ანაბაჯის ლექსს" 1896 წ. ეპიგრაფად ასეთი სიტყვები წაუმძღვარა: **„ანამ სთქვა, სახელად ბაჯის მე მიტომ მიძახიანო, თათრებს რომ დედას ვუტირებ, მიტომ დას მეძახიანო".** **ბაჯი** არის მეტსახელი, აღრიცხული აგრეთვე ქსნის ხეობაში, ლარგვისსა და სხვაგან (ალ. ღლ., 85).

**ბაჯიაშვილები** სოფ. მუხათში მოიხსენიებიან 1847 წლის ერთ-ერთი კერძო სამართლებრივ აქტში. მათი გვარი ადრე **ვარდუაშვილი** ყოფილა, ხოლო 1840-იან წლებში სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას გვარის არქიტექტონიკა შეუცვლია. ამ პერიოდში გვარი **ვართანაშვილი** ქვემო ქართლის მრავალ სოფელში აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს (იხ. ვახუშტი, აღწ. მეწინ. დროშისა... 1721 წ., თბ., 1907 წ).

საკ. სახ. **ვარდუა** გვხვდება ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლებში. მაგალითად 1413 წ. 12 მაისს, ანდრია დეკანოზის მიერ **დემეტრე წითლიძის** სახელზე შედგენილ ნავენახობის ნასყიდობის წიგნში დემეტრე წითლიძის შვილად მოიხსენიება **ვარდუა** (ხელნ. ინსტ. Hd №1358; ქსძ., ტ. VIII, 817); სახელი **ვარდუა, ვარდო, ვარდია** სოფ. მუხათში ძალზე გავრცელებული ყოფილა. ბოლო ხანებში აქ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ: **ვარდუა ბაჯიაშვილი, ვარდუა** (სამნი)

**ახუაშვილები (ვარდო** ახუაშვილი გარდ. 1972 წ. 1897 წლის აღწერის მასალებში დასტურდება **ვართანა), ვარდო დევლახაშვილი, ვარდო ნონიაშვილი, ვარდო პაპაშვილი** და დღეს მისი შვილიშვილია **ვარდია** პაპაშვილი, ვარდო ეუაშვილი. გვარი ვარდიაშვილი მოიხსენიება 1509 წ. წმინდანი გრიგოლა **ვარდიაშვილი** დასახელებულია მოწმედ **სუმბაძეების** მიერ მარკოზ **დედაბრიშვილისთვის** მიცემულ სავენახეს ნასყიდობის წიგნში (ხელნაწ. ისტ. Sd 136; ქსძ, VIII, 824).

**ბაჯიაშვილების** გვარმა მოგვცა ცნობილი დასტაქრები **აზრია** და **გიორგი ბაჯიაშვილები.** მათ დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს ამჟამად აგრძელებენ **ვალერიან** და **ეთერ ბაჯიაშვილები.** დიდი პაპის „გიორგი ბაჯიაშვილის" რეცეპტით დამზადებულ წამლებს წარმატებით იყენებს გიორგის შვილიშვილი, ექიმი **ნანა ბაჯიაშვილი** (მუხათი).

ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 164
*თბილისი 107*
*ქუთაისი 15*
*ოზურგეთი 17*

**ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1740 წ.), საკ. სახ. **ბებური,** იხ. ნასყიდობის წიგნი **ელიზბარ ორბელიანისა,** მიცემული **ბებურ სოლოღაშვილისადმი** (საქ. სიძვ., II, 365); **ბებურ ბებურიშვილი, ბებურ ზურაბისშვილი, ბებურ ვაჩნაძე, ბებურ ჯორჯაძე** და სხვა. იხილეთ (დოკ., I, 365); ბებური ბებურაშვილი მოიხსენიება 1740 წ. 29 აგვისტოს ბერი და ბაგრატ **ფალავანდისშვილების** მიერ ბებურ და ომან ბებურიშვილებისადმი მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ. №2560 Hd); **პაპა ბებურიშვილი, ერეკლე II-ის თანამებრძოლი. კახელი თავადიშვილი.** შდრ. ბებურიანი სოფელი ლაგოდეხის რ-ში (ლელიანის საკრებულო). ამავე ძირისაა **ბებურია. ბებურიძე** (მამის დაბა). დიდი ილიას დედა იყო **ბებურიშვილი** (იგივე ვაჩნაძე) **ბებურიშვილი** წარმოიშვა **ბებურ ვაჩნაძიდან** (ი.ა.)

ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1156
*გურჯაანი 312*
*თბილისი 204*
*სიღნაღი 105*

**ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ბატონიშვილი** (1670 წ.), **ბეგი, ბეგა** – თურქული სიტყვა **ბეგი** (გვიანდელი გამოთქმით, **ბეი**), ბატონს ნიშნავს, ქართულში საკუთარ სახელად არის ქცეული და **ბეგი, ბეგას, ბეგლარის** ფორმებით გვხვდება.

საკ. სახ. **ბეგა** (ქართლ. ცხ. II, 296); ბეგა, 1527 წ. (მცხეთის ნუსხა №-ტი: წ. ქრონ., II, 371); **ბეგა სურამელი** („ხალინ ბეგი") გრიგოლის ძე, ბეგა ციციშვილი (იქვე, 691); სახელ

„**ბეგადან**“ მიღებულია გვარი **ბეგაშვილი** (შდრ. ქართ. ბატონიშვილი). მისი ვარიანტებია: **ბეგალა, ბეგანა, ბეგვე, ბეგი, ბეგია, ბეგინა, ბეგუმ** (ერეკლე I-ის ასული, იესე მეფის მეუღლე), **ალიბეგა** (მამასახლისი, მემამულე, ბექან თაყაიშვილის ძმისწული), **აბდულათბეგი** (არჩილ მეფე), **აბდულაბეგ** (ამილახორის შვილი), **ავთანდილ ბეგი** (ჯავახიშვილი), **ალიყულიბეგ** (სააკაძე), **ასან-ბეგი, აივაზბეგი, ასლანბეგა, ალი-ყული-ბეგი** (ამირეჯიბი), **აშხარბეგ** (ქალაქის მელიქი, მამასახლისი), **ბაანდურ-ბეგი** (არღუთაშვილი), **ბეგთაბეგი** (იგივე „ბეგების უფროსი“), **ბეგთათა, ბეგთაშა, დავუთბეგა, ბეგიჯანა, ზაალბეგ** (ყორღანაშვილი), **ზალიბეგ** (ზაალიშვილი), **ზაქუმბეგი** (ალიყულიშვილი), **ისპაყბეგი** (ბატონისშვილი), **იმამვერდი ბეგ უზბაში, იბრეიმ ბეგი** (ხერთვისის აღა), **ისპაყბეგ** (ბატონისშვილი), **მამადარბაზბეგა** (ტფილელი), **ნარიბეგა** (ედილაშვილი), **პატაბეგი** (მანუჩარაშვილი), **პაპუნბეგ** (გოსტაშაბიშვილი, ბარათაშვილი), **საბუთბეგი, საიბეგა, ულუმბეგა, უსეინბეგი** (ბატონიშვილი), **უსუფბეგი** (ასანბეგიშვილი, ბარათაშვილი), **ფარაბეგი: ქაიაბეგი, ქამარბეგი** (მელიქიშვილი), **ყაფარბეგი** (ბარათაშვილი), **ყაფარბეგ** (გოსტაშაბიშვილი), **ყაზიბეგ** (ჩოფიკაშვილი), **ყურდიბეგი, შიუშბეგი** (მდივანი), **ხაჯაბეგა, ხალილბეგი, ხიდრიბეგი, ჯანიბეგა** (გვერწითელი), **ჰიდრალბეგი, ჰუსეინ-ბეგი** (ბატონიშვილი) და სხვა.

სახელთა ასეთმა სიმრავლემ, როგორც ირკვევა, გვართა მრავალფეროვნებაზეც იქონია გავლენა. **ბეგა, ბეგი** სახელისგან მომდინარეობს გვარები: **ბეგაშვილი, ბეგიშვილი, ბეგიაშვილი, ბეგინასშვილი, ბეგალიშვილი, ბეგანაშვილი, ბეგაძე, ბეგთაბეგიშვილი, ბეგლარიშვილი, ბეგიანიშვილი, ბეგუასშვილი, ბეგოშვილი, ადიბეგაშვილი, ათაბეგასშვილი, ალაიბეგიშვილი, ბეგმამედაშვილი, თუმანბეგიშვილი** (შდრ. მეგმამედოვი, საინგილო, კახი), **ბეგიჯანიშვილი** (შდრ. ბეგიჯანოვი), **საიბეგაშვილი, ბეგიხურიტაშვილი, დიამბეგისშვილი, უსუფბეგაშვილი, უჩუმბეგაშვილი, ყალაბეგაშვილი, შანიბეგაშვილი, შიოშბეგისშვილი, ნარიბეგასშვილი, შიხინბეგისშვილი, ხაზარბეგიშვილი, ხოჯაბეგაშვილი, ხიდირბეგიშვილი, ჯანიბეგაშვილი, ასლანბეგიშვილი, უდურბეგაშვილი, ყაზიბეგაშვილი, ალაბეგაშვილი, ბეგთათაშვილი, პარუნბეგიშვილი, გურგინბეგიშვილი, აშხარბეგიშვილი** და სხვა. უნდა გავითვალისწინოთ სახელ ბეგა-ს ვარიაციებიც: **ბექა, ბექი,** აქედანაა ნაწარმოები გვარები: **ბექიშვილი, ბექაია, ბექაური** (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, 1987 წ., გვ. 326).

მაშასადამე, როგორც ერთი, ისე ყველა აქ ჩამოთვლილი გვარი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან (შემდგომში ქართულ საკუთარ სახელად ქცეულ **ბეგა**-საგან. ქართულ გვარსახელებშიც ანალოგიურ მოვლენებს აქვს ადგილი).

ამრიგად, უცხო ტომთა სახელები (ტერმინები) XVI-XVII საუკუნეებში უკვე ისე მძლავრად არის შემოჭრილი საქართველოში (განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და კახეთში), რომ ეს გარემოება არ გამოჰპარვია **სულხან-საბა ორბელიანს,** როდესაც წერს: „**მოხელენი, რომელნი არიან ქართველნი, რომელთამე არღარა უწოდენ და დავიწყებიესთ** და სხვა. თურქთა ენისაგან მიუღიეს მისდ ნაცვლად" (საბა, ლექსიკ., ქართ., მატიანე, XVIII, თბ., 652).

**გიორგი ბეგაშვილი,** მოიხსენიება 1670. თებერვლის 15-ს გიორგი თურაზასშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., II, 11); **ბეგაშვილები იყვნენ მებატონეები.** „**ბეგაშვილი ლომკაცი,** 1721 წლ. აღწ., **მებატონე,** ცხოვრობდა ქციაში (ისს. ლორთქ., §132, 142); **ბეგაშვილი მჟაუნა,** 1721 წლ. აღწ., **მებატონე** ცხოვრობდა ქციაში (იქვე, §76, §142); **ბეგაშვილები** როსება, ბარათა, ოტია, 1721 წლ. აღწ., **მებატონეები,** ცხოვრობდნენ ქციაში (იქვე). **ბეგაშვილი იოსებ, ძე ბექან,** 1736 წ. ყიდიან შუა ბოლნისში ნაყიდ ვენახს (§71-122);

სახელებიდან **ბეგი, ბეგა 50-ზე** მეტი გვარია ნაწარმოები. მაგალითად: **ბეგიშვილი.** შდრ. ბატონიშვილი, **ბეგიაშვილი** (აზნ. ტბისში), **ბეგაძე, ბეგთაბეგიშვილი, ადიბეგაშვილი მებატონეები** სოფ. კარმირქას – სომხ. „წითელი ქვა". **უდურბეგაშვილი** (მებატონეები ხინძორკუტს – სომხ. „ვაშლის კურკა". **უსუფბეგიშვილი** (მებატონე თაკვს, აბრამეთს) (ვახუშტი, 1721 წ. გვ. 269, 77, 276); **ბეგიხურიტაშვილი, ბეგიჯანაშვილი, ბეგლიკაშვილი, ბეგოშვილი, უჩუმბეგაშვილი, ასანბეგიშვილი... ბეგი, ბეგა-ს** ფორმებია: **ბექი, ბექა,** (აქედანაა გვარები ბექიშვილი, ბექაია, ბექაური). ამავე სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმას თურქულში წარმოადგენს სახელი **ბეგლარ.** წინათ გვხვდება აგრეთვე **ბეგთაბეგ** (აქედან მოდის ბეგთაბეგიშვილი), რაც ნიშნავს „ბეგების ბეგს", „ბეგების უფროსს", დიდ ბატონს". შეადარეთ დიდი თანამდებობის სამოხელეო ტერმინი თურქეთში **ბეგლარბეგი.** თურქეთიდან შემოვიდა აგრეთვე სამოხელეო ტერმინი **ათაბეგი. ათაბეგი** შედიოდა ვეზირის საბჭოში, საათაბაგოს უფროსი, მთავარი, რამაც

მოგვცა **ათაბეგიშვილები. ათაბაგობა** სამცხე-საათაბაგოში ეპყრათ **ჯაყლებს.** ჯაყლები ყოფილან აწყურიდან. „არსენი ეპისკოპოზი ბოცო მაწყვერელი მარზაპან ჯაყლის ძე, 1031 წ." (ქრონიკ., I, 175, 183); ამ შტოს წარმომადგენლების გვარი გახდა **ათაბეგისშვილი. ათაბაგი** იქცა აგრეთვე საკუთარ სახელადაც. ისტორიაში ცნობილი არიან: **ათაბეგ,** ჸუენისეული (საქ. სიძვ., II, 116); **ათაბეგა** დივანიშვილი, ათაბეგა მამიჯანასშვილი და სხვა. (იქვე).

**გიორგი ათაბეგაშვილი, რევაზა ათაბეგასშვილი, მამოკა ათაბეგაშვილი** (დოკ., I, 480); მოგვიანებით, რუსულ-სომხური გაფორმებით, ათაბეგაშვილი (ჯაყლი) ათაბეგოვად გადაკეთდა და სომხად მონათლეს.

ყაიყულში მოიხსენიება ბეგის სოფელი, **ბეგქამათი** (ისპ. ლორთქ., 358). (თრიალეთი, აბანო, მენქალისი).

ბეგიაშვილი
2341
*თბილისი 765*
*სიღნაღი 609*
*გორი 187*

**ბეგიაშვილი** (1523 წ.), საკ. სახ. **ბეგია** (სვან., ზ. მულახი, ალ. ღლ., 86); მთხრ. **ვლადიმერ (ვალიკო) ბეგიაშვილის** (61 წლ.) გადმოცემით, პაპამისი (დაბ. 1879 წ.) **ივანე ზაქარიას ძე ბეგიაშვილი** ამბობდა: **ძველად სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგიდან (ფანიანი)ქვემო ქართლში გადმოსულა ორი ძმა – თევდორე და ზურაბი.** თევდორე შრომისმოყვარეობით, ზურაბი კი სიზარმაცით გამოირჩეოდა. თევდორეს ალგეთის პირას გაუკაფავს ტყის დიდი მასივი და ვენახი გაუშენებია. ზურაბი მცირე ნაკვეთს დასჯერებია. თევდორაანი შეძლებულნი, ზურაბაანი კი ღარიბები ყოფილან. სასაფლაოზეც კი სხვადასხვა ადგილას იმარხებიან.

ისტორიული წყაროებით, **ბეგიაშვილები** თავდაპირველად სოფ. **ტბისში (ტაბისი)** ცხოვრობდნენ. იქ აზნაურებად მოიხსენიებიან. 1843 წ. ერთი ოჯახი სოფ. დიდ ენაგეთს გადმოსულა, ხოლო მოგვიანებით სოფელ ბოგვსა და ფარცხისში დასახლებულან.

**გიორგი და იასე ბეგიაშვილები** მოიხსენიებიან გიორგი XII-ის მიერ 1773 წელს **იასე ბეგიაშვილისათვის** მიცემული მამულის წყალობის წიგნში (საქ. მუზ. ფ. Hd №№2585). გოგია ხმალაძე ჩივის, რომ ყმა მისი დავით კვეზერელს მიუცია მეჯვრისხევის მოურავ **გოგია ბეგიაშვილისათვის.** „ქ. საქართველოს მემკვიდრე და მმართველი დავით გიბრძანებ, **მოურაო ბეგიაშვილო გოგიავ!** მერმეთ, როგორც ნეტარხსენებულს უბრძანებია, მანამ თავისი

თეთრი მიეცემოდეს **ხმალაძეს,** მანდ რომ ტილა არის, აუყარე და მოეც ხმალაძე გოგიას" (1799 წ. 25 სექტემბერი, ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2195); ბეცია, გოგია, გოგილა, მახარებელი, ნინია, შერმადინ ბეგიაშვილები მოიხსენიებიან 1817 წ. ოქტომბრის 15-ს. გოგია ბეგიაშვილის მიერ **პეტრე წიფლაშვილისთვის** მიცემული განთავისუფლების წიგნში (იქვე, ფ. Hd №9781). 1721 წლის აღწ. ბეგიაშვილები სოფ. ტბისში არიან აზნაურები. სოფ. ბოგვში ბეგიაშვილი 1523 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში მოიხსენიება, როგორც **ქავთარ ბარათაშვილის აზნაური (გ. ჯამბურია,** ქართ. ფეოდ. ურთ. ისტ.-დან, თბ., 1955 წ.); „კოდელმა **გაბრიელ ბეგიაშვილმა** ჯვარი დაიწერა თანასოფლელ **ძმანაშვილის** ქალ ელენეზე. თავადები იყვნენ **კოდელები პეტრე ლუკმიაშვილი და მიქუა ბოჩიკაშვილი, პოჩიკაშვილი.** (სცსსა, ფ. 49, აღწ. 6,1 ბ ფურ. 169); „იმავე წელს ენაგეთელმა ფარსადან ყორღანოვმა იქორწინა კოდელ ბეგიაშვილის ასულ თინათინზე. თავდებად იყვნენ კოდელი დათუა ბეგიაშვილი, ყაზარა **ნონიაშვილი,** მირზა **ქიტუაშვილი** (იქვე, ფურ. 164); 1823 წლის აღწერით, სოფელ ბოგვში გენერალ-მაიორ **ახვერდაშვილთან** მოიხსენიება **ადამა ბეგიაშვილი,** მეუღლე ნინო, შვილები იაგორა, გიგოლა ქალიშვილი ელისაბედა (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 1-5); პატარა ენაგეთში 1823 წელს ცხოვრობდნენ დავით ბეგიაშვილი, მეუღლე **თინათინი,** შვილი **ქიტესა; გიორგი ბეგიაშვილი,** მეუღლე ელისაბედი, შვილები ანდრო, ნინია, ზაქარია, ქალიშვილები ანა, თინათინი; ძმა ბერო ბეგიაშვილი, მეუღლე ელისაბედი, ქალიშვილი მართა (სცსსა, ფ. 254, აღწ. №1, №803, ფურ. 3-4); ზემო ენაგეთელ თევდორე ბეგიაშვილს შეეძინა ქალი, მონათლა ბორბალოს შტატის მღვდელმა **ანტონ ციმაკურიძემ,** სახელი ეწოდა მარიამი (489, აღწ. 6, საქ. №31, ფურ. 166, 1826 წ.); 1873 წლ. აღწერით, სოფელ ბოგვში ცხოვრობდნენ ბეგიაშვილები გიორგი, თევდორე და ზურაბი (სცსს, ფ. 254, №1, 1274, ფ. 142-148); პატარა ენაგეთელმა **გრიგორ გიორგის ძე ბეგიაშვილმა** 1882 წელს მონათლა ქალიშვილი მაკრინე. მიმქმელი იყო თანსოფლელი ივანე მიხეილის ძე **სელეპანოვი** იგივე **სელეპანაშვილი (საგინაშვილ-ფარემუზაშვილთა განშტოება** ი.ა.) (სცსსპ, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); 1882 წელს ფარცხისელმა გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილმა ცოლად შეირთო ჩხიკვთელი ს[illegible]ინო

ყმის **ანდრია გიორგის ძე ბაიდარაშვილის** ასული ქეთევანი. სასიძოს თავდებნი იყვნენ გიორგი გაბრიელის ძე ბეგიაშვილი, სოლომონ ივანეს ძე **ლონლაძე**, მელქო ბარამის ძე **ყულიაშვილი**; სასძლოს მხრიდან თავდებნი იყვნენ გრიგოლ ზაქარიას ძე ბალომაშვილი, იოსებ ანდრიას ძე დავითაშვილი, ივანე ანდრიას ძე ბაიდარაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1), ფარცხისში ამავე წელს ცხოვრობდა გაბრიელ ბერუას ძე ბეგიაშვილი; პატარა ენაგეთში 1874 წელს მოხსენიებულია ელიზბარ ქრისტესიას ძე ბეგიაშვილი. მან დიდ ენაგეთში შეირთო ცოლი, თავდები იყო ალექსი გრიგორას ძე **დალაქიშვილი** (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1). 1885 წ. სოფელ ფარცხისში მოიხსენიება გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). ამავე ძირისაა: **ბეგაშვილი, ბეგოაშვილი**... მოიხსენიებიან: ბეგია ბეგიაშვილები, გიორგი ნინიას ძე, იოსებ ნინიას ძე, ლაზარე გიორგის ძე ბეგიაშვილები, სტეფანე, ანდრია, ასლან, აღდგომელა, ბერი, ბეცია, გოგია, გიორგი, გოგია (მეორე) მამასახლისი, გოგია (მესამე), გოგილა, დავითი, დათია, დათუნა, ზურაბა, თამაზა, თევდორა, იასე მღვდელი, ივანე, ივანა, მირზა, ნასყიდა, ნინია, იასე, რამაზა, რევაზი, ფიდონ, ფირანა, ქიტესა, ყაზარა, შიო, ხუხუტი, გრიქორა ბეგიანთ გურგენაშვილი (სცსსა, კოლექცია, №1448). (არდისუბანი, ბოგვი, დიდი ენაგეთი, კოდა, პატარა ენაგეთი, ტბისი, ფარცხისი).

**ბეგინაშვილი** (1797 წ.), სამოხელეო ტერმინის (ბეგის) მოდიფიკაციით მიღებულია **ბეგინა** (იხ. ბეგაშვილი). **ბეგია** ღანუკელი (დოკ., I, 490); პეტრე ბეგინაშვილი, იხსენიება 1797 წელს **გუსამა ელბაქიძის** მიერ **რევაზ მაჩაბლისათვის** მიცემულ შვილის მოახლედ მიცემის წიგნში (დოკ., II, 186).

ამავე ძირისაა ბეგაშვილი, ბეგიაშვილი, ბეგალიშვილი, ბეგანაშვილი, ბეგაძე, ბეგინასშვილი, ბეგთაბეგაშვილი, დარაბეგაშვილი, სოლთანბეგისშვილი, ნარიბეგაშვილი, იერიბეგაშვილი, სამიბეგაშვილი, დანიბეგაშვილი, ყაზიბეგისშვილი და სხვა. (დურნუკი, ირაგა. კოდა).

**ბეგვალაშვილი** (1731 წ.), სავარ. საკ. სახ. **ბეგალა** (დოკ., I, 60), შდრ.: **ბეგვე** (ალ.. ღლ., 86).

ახალშენს (ენაგეთის) 1713 წ. მოიხსენიებიან ზურაბა, პაპუა ბეგვალასშვილები და მათი ძმები (დოკ., II, 18).

ბეგლარაშვილი 669
კასპი 411
თბილისი 155
რუსთავი 32

ბეგლარიშვილი 363
თბილისი 198
გორი 49
კასპი 45

**ბეგლარაშვილი** (1721 წ.), **ბეგლარ** (თურქ. („ბატონები", ბეგლარ-ბეგი (თურქ. ბეგთა ბეგი), ფეოდალური ტიტული და თანამდებობა. შდრ. **ბეგაშვილი.** ფუძე ბეგადანაა გვარი **ბეგლარიშვილი.**

**ბეგლარ** ქსნის ერისთავის დავითის ძმა (საქ. სიძვ., I, 175); **ბეგლარ** მოიხსენიება 1809 წ. 24 მარტს **ევგენ აბაშიძის** მიერ **ამილახორის ასულ ანასადმი** მიწერილ წერილში (საქ. მუზ., ფ. Hd №5058). „დურნუკში ქირმანის ხანის ყმად 1721 წ. მოიხსენიება ბალდასარა ბეგლარაშვილი (ვახუშტი, 65). **ბეგლარი** მარნეულის რაიონის სოფლების დიდი ბეგლარისა და პატარა ბეგლარის ძველი სახელწოდებაცაა (დურნუკი, კოდა, ირაგა, შავსაყდარი). შდრ. **ბეგლაროვი.** იგივე **ბეგლარაშვილ-ბეგლარიშვილები** არიან.

**ბეგუაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ბეგუა** (სტატ. ცნ. XVIII ს. 159); იხ. **ბეგაშვილი, ბეგიასშვილი, ბეგიშვილი, ბეგაძე** და სხვა.

ბ. უცხოვრიათ სოფ. კოდაში.

ბედენაშვილი 424
თბილისი 118
გურჯაანი 88
ამბროლაური 67

**ბედენაშვილი** (1831 წ.(, საკ. სახ. **ბედანა, ბედენა** (დოკ. №, 46); შდრ. მთა **ბედენი** (თეთრი წყაროს რ.), **ბედიანა** (ბედიანი,ბედის მქონე), მისი ვარიანტებია: ბედანა, ბედენა (ი. მაისურ., 33), „ერტისში მცხოვრებ **გიორგი ბედენას ძე ბედენაშვილს** და სჯულიერსა ცოლსა მისსა ელენე თევდორეს ასულს 1831 წელს ეყოლათ ვაჟი ივანე, სახლი გაუნათლა და ნათლისცემა სრულყო მღვდელმა **გრიგოლ გიორგის ძე ნატროშვილმა.** მიმქმელად იყო თავად გრიგოლ ზურაბის ძე ყაფლანიშვილის ყმა, ლოუბანში მცხოვრები **დიმიტრი ივანეს ძე კენკებაშვილი**" (489, №6, 121 ბ, ფურ. 26).

ბედიაშვილი 423
თბილისი 172
საგარეჯო 76
ხარაგაული 54

**ბედიაშვილი** (1676 წ.), საკ. სახ. **ბედია** (სვან., I, მესტია, ალ. ღლ., 86); ბედისა, აზნაური (საქ. მუზ., Hd №6923). ბედი, ბედისწერა, რელიგიურ-ფილოსოფიური იდეალისტური წარმოდგენა, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა ადამიანზე ბრმა ძალების ბატონობისა; **ბედიაშვილი** 1729 წ. მოიხსენიება სოფ. ცხნარის მკვიდრად ვახუშტი

ორბელიანისა და მისი მეუღლის ანა-ხანუმის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 350); ცხნარს მღვდელი იორდანე ბედიაშვილი, მისი განაყოფი თევდორე მოიხსენიება ფილიპე მღვდლის წიგნში 1725 წ. 27 ივნისს (იქვე, 329); **ადუა ბედიაშვილი,** დურმიშხანის ყმად მოიხსენიება ყმის ნასყიდობის წიგნში, 1676 წ. 5 სექტემბერს (საქ. მუზ., ფ. Hd №7596); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს: ...**ბედიაშვილი ელიზბარა,** 1721 წ." (ვახუშტი, 229); სოფელ კოდაში 1843 წელს მოიხსენიება **ზურაბ და სოლომონ ბედიაშვილები,** მართლმადიდებელი სარწმუნოებისანი, ქართველები (სცსაა, ფ. 254, I, ფურ. 275). (კოდა, ლიპი, ტბისი).

| | |
|---|---|
| ბედინაშვილი | 319 |
| *ქიათურა* | *192* |
| *თბილისი* | *58* |
| *მცხეთა* | *25* |

| | |
|---|---|
| ბედიანაშვილი | 500 |
| *თბილისი* | *184* |
| *გარდაბანი* | *140* |
| *რუსთავი* | *50* |

ბედინაშვილი//ბედიანიშვილი (1817 წ.), საკ. სახ. **ბედიანა** (დოკ. II, 2); **ბედიანი** (ქართლ. ცხ., II, 34); **ბედიანი,** ბედის მქონე, იღბლიანი, „კვალად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი რა ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესე ვითართა სახელად ბედი ეწოდების" (საბა, 62). **ბედიანა ტატიშვილი** (ვახუშტი, 111). მისი ვარიანტებია: ბედანა, ბედია, ბედენა, ამავე ძირის სხვა გვარსახელებია: **ბედანაშვილი, ბედენაშვილი, ბედენიშვილი, ბედიანი, ბედია, ბედიანიძე, ბედინაძე, ბედიაშვილი, ბედინეიშვილი ბედმანიკაშვილი** (ილ. მაის. 33); ტატე ბედიანიშვილი, მღვდელი. ბედიანიშვილი დოლენჯი (საქ. სიძვ., I, 80, II, 247); ლოუბანში 1823 წლის აღწერით თავად ქაიხოსრო ორბელიანის მამულში მოიხსენიება **გიორგი ბედიანიშვილი,** მეუღლე **ელენე,** ვაჟი **სოლომონი,** ქალიშვილი **თინათინი** (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 83-92); „კოდაში მცხოვრები სახელმწიფო ყმა **მიხეილ იოსების ძე ბედიანაშვილი** თხოულობს დიდ ენაგეთში მცხოვრებ სახელმწიფო ყმის **გრიგოლ გოდერძიშვილის** ასულს ელისაბედს. სასიძოს თავდებნი: დავით პავლეს ძე **კოჭლაშვილი,** გიორგი ნიკოლოზის ძე **ელენაშვილი** და სვიმონ გიორგის ძე **თაქლაშვილი**: სასძლოს თავდებნი: გიორგი თევდორეს ძე გოდერძიშვილი, დავით სოლომონის ძე **ღარიბაშვილი,** გიორგი ივანეს ძე **სუხიტაშვილი,** მღვდელი **ზაქარია ბარნოვი,** დიაკონი **ილია თეთრაძე,** 1882 წ." (სცსსა, ფ. 489, აღწ. თეთრი წყარო, 1).

კოდაში ბედიანაშვილებს **შაფათაანთ** უწოდებენ.

**ბედინაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ., **ბედინა** (ტბეთის მატიანე, 329). **ბედინა** (რაჭა, ჭიორა, ალ. ღლ., 86).

„ქ. **მანუჩარ ქავთარაშვილის** ყმად ფუტრევში 1721 წ. იხსენიება **შიო ბედინაშვილი**“ (ვახუშტი, 122).

ბედოიძე 556
*თბილისი 187*
*თეთრიწყარო 90*
*კასპი 69*

**ბედოიძე** (1774 წ.), საკ. სახ. **ბედო** (ილ. მაისურ., 33); მთიულეთში **ბედოიძეები** ცხოვრობდნენ: **ბედოთ-კარი** (მლეთის თემი), ამჟამად **ბედონი** (ბედოიძეთა სოფელი); 1774 წლ. აღწ. მოიხსენიებიან: **ბედოიძე მარზაბეგის შვილი, ჯანუყის** შვილი, **თამაზას** შვილი, **ელისბარის** შვილი, **ნადირას** შვილი, **ბერას** შვილი, **ხოსროს** შვილი, გის შვილი, **ბედოიძეების** თიკუნებია: **ბია, კურდღელი, თამაზა, ამოან, კაცია, ელისბარა, დათუნა, აბრამა, ნასყიდა, პატარკაცი, ბედიანი, გიორგი, სეხნია, დოლა, იამან, ივანე** (ჯილავდარი), **გულია** (მეჯინიბე) და სხვა. (ვახუშტი, 441); 1873 წელს დიდ თონეთში მოიხსენიებიან **სიმონ** და **სოსია ბედოიძეები** (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფურ. 175-209). (თეთრი წყარო, დიდი თონეთი).

ბეკარიშვილი 33
*თეთრიწყარო 16*
*თბილისი 14*
*ახმეტა 1*

**ბეკარიშვილი,** სავარ. საკ. **ბეკურ-ი** (გ. ლეონ. სახელები); **ბეკურა** (დოკ., I, 284); **ბეკურაშვილი/ /ბეკურიშვილი.** შდრ. ბექარ, ბაკურ, ბაკურიანი, ბაკურაძე.

**ბეკარიშვილები** 1860 წ. ახალგორის რაიონის სოფ. წირქოლადან გადმოსულან. მარაბდის ბატონს ყორღანაშვილს (ყორღანოვს) ყმები უყიდია ახალგორის რაიონის სოფ. წირქოლსა და მის მეზობელ სოფლებში. ესენი ყოფილან: **ძეყორაშვილები** (ე.ი. **ყორას** ჩამომავლები), **ბეკარაშვილები** (1873 წ. ჩანაწერით, **გრძელკარაშვილები), მახარაშვილები, ხრიკულები,** ამჟამად **ტიკურიშვილები** და **წითლაურები**. აღნიშნული ყმები ბატონს გოლთეთის მიწაზე დაუსახლებია, თვითონ კი თბილისში უცხოვრია. სოფლის გამგებელი მოურავი ყოფილა, რომელიც ბატონის დავალებებს ასრულებდა (ინფორმ. **გრიგორ ბეკარაშვილი,** 75 წლის); „ანტონ სოლომონის ძე ყორღანოვის (ყორღანაშვილის) დროებით ვალდებული გლეხები: **ზურაბ ტიკურიშვილი, დავით ხრიკულიშვილი, გრძელკარიშვილი...**“ (სცსსა, ფ. 254, 3, X113, საქ. X79, 1873 წ. ფურც. 383-386). (გოლთეთი).

**ბეკურაშვილი//ემანტოშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ბეკურ-ი** (გ. ლეონ., სახელები); **ბეკურა** (დოკ., I, 284); საკ. სახ. **ემინ** (დოკ., II, 306); **ემინა** (დოკ., II, 201); აქედან კნინობითი ფორმა **ემინტო**.

**ენრიკო ბეკურაშვილი** იგივე **ემინტოშვილი** მოიხსენიება დიდი ენაგეთის 1823 წ. აღწერის მასალებში. იქვეა მისი ძმა **იოსებ ბეკურაშვილი (ემანტოშვილი),** მეუღლე **ქეთევანი,** ვაჟი **დათია,** ქალიშვილი **მარიამი,** ისინი გადმოსულან თელავის მაზრის სოფ. საგარეჯოდან (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 5-18); დიდ ენაგეთში მცხოვრები იოსებ თევდორეს ძე ბეკურაშვილი 1871 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილს გრიგოლს უნათლავს თანასოფლელ სიმონ გრიგორის ძე **გზირიშვილს** (სცცსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); დიდ ენაგეთში მცხ. იოსებ დავითის ძე ბეკურაშვილი 1873 წელს ამავე სოფლის ეკლესიაში შვილს უნათლავს ფარცხისელ ივანე ბექანის ძე **წულაძეს** (ფ. 489, აღწ. №6, თ/წ. 1).

**ბეჟანაშვილი//ბეჟანიშვილი** (1609 წ.), საკ. სახ. **ბეჟან** (სპ. „მამაცი", მომდინარეობს ძვ. ირანულიდან (ვეჟან-„ვეჯილი". ანუ „ირანელი"). თავკიდური ბგერა სპარსულშივე არის შეცვლილი: **ვეჟან–ბეჟან.** ბეჟანი ფირდოუსისი პოემის „შაჰ-ნამეს ერთ-ერთი გმირია. ქართულში ამ სახელის კნინობითი ფორმებია: **ბეჟია, ბეჟუა, ბეჟიკო, ბეჟუკი, ბეჟიტა,** საიდანაც მიღებულია გვარები: **ბეჟანიშვილი, ბეჟუაშვილი, ბეჟუკაშვილი, ბეჟიტაშვილი** (იხ. **ზ. ჭუმბურ,** 1659 წ. 5 მარტი, ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 38); **ბეჟან აბულფათიშვილი,** 1708 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 135); **ბეჟან** მეჯინიბეთუხუცესი, ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძმისწული, 1716 წ. (იქვე, 172); ბერუა, ლუარსაბ, ოთია, როსტომ და შერმაზან ბეჟანიშვილები (დოკ.,I, 492); **ადოლა ბეჟანიშვილი** (1609 წ.), ბაინდურა, ფირან, ხუცია (იქვე, 493); ბეჟან აზნ. 1701–11 წ. აღწ., ყაფლანიშვილის მემამულე უნდუმში (ისს. ლორთქ., ნაწ. III და IV, § 37–72); ბეჟან აზნ. 1701–11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა ქვ. ბოლნისში, ყმები ჰყავდა ქვ. ბოლნისსა და ქედის ეკლესიაში (იქვე, § 37–13, 78); ბეჟან მოლაშქრე, 1721 წ. აღწ., ვახუშტი ბატონიშვილის უყმო აზნაური კიანეთში (§ 78); ბერია, **ბეჟუა ბეჟუაშვილები,** 1721 წ. აღწ., **დათუნა გერმანოზიშვილის უყმო აზნაურები** ცოვრეთში (§ 78); პატარა ენაგეთელმა **გიორგი ბეჟანიშვილმა** 1881

წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილი მოუნათლა თანასოფლელ **გიორგი გაბრიელის ძე მესტვირიშვილს** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); პატარა ენაგეთში 1885 წელს მოიხსენიება **გიორგი ანტონის ძე ბექანიშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); **ბექან** სახელი, ამ ფორმით ქართულიდან არის შესული სომხურში (ზ. ჭუმბ., 138); ისტორიულად **ბექანიშვილები თავად ამილახვართა შთამომავლებიც არიან. იხ. რევაზისშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ბექანიძე, ბექოკიშვილი, ბექანეიშვილი, ბექუაშვილი, ბექიაშვილი, ბექიკელაშვილი, ბექიკოშვილი, ბექიტაშვილი, ბექოშვილი...** (აბელია აბელიანი), ვაშლოვანი, პატარა ენაგეთი).

| | |
|---|---|
| ბექიტაშვილი | 1196 |
| *თბილისი* | *354* |
| *საგარეჯო* | *253* |
| *კასპი* | *169* |

**ბექიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბექიტა** (საქ. სიძვ., II, 124); **ბექიტა** აჭარაძე, 1727 წ. **მანუჩარ ქავთარაძის** მიერ ქველი წერეთლის სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 463). შდრ. **ბექან**. ამ სახელის კნინობითი ფორმებია ქართულში: ბექა, ბექია, ბექიკი, ბექიკო, ბექო, ბექუა, ბექუკი, ბუქუნა, (იხ. ალ. ღლ., 87); „1721 წ. ქ. ბატონ ტფილელის ყმა ქ. ღოლოვანში... **ბატატა ბექიტაშვილი**" (ვახუშტი, 47); „1721 წ. ოთარ გერმანოზიშვილის ყმა ვერხვნალაში **ბერია ბექიტაშვილი**" (იქვე, 136).

**ბექუაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ბექუა** (საქ. სიძვ., II, 92); **გიორგი ბექუაშვილი** მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 310–322); გოლთეთელმა **გიორგი ზაქარიას ძე ბექუაშვილმა,** მისმა მეუღლემ თალალე ლაზარეს ასულმა 1884 წ. მონათლეს ნატალია, მიმქმელი იყო **საგინოვის** ქალი (სცცსა, 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

**ბექუნაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბექუნა** (საამილახვრ. დავთ., 22); „ქ. ლუარსაბ მერაბიშვილის ყმა ოშეთში 1721 წ. **ბასილა ბექუნაშვილი**" (ვახუშტი, 139).

| | |
|---|---|
| ბერაშვილი | 246 |
| *გორი* | *125* |
| *თელავი* | *51* |
| *თბილისი* | *27* |

**ბერაშვილი//ფეიქრიშვილი** (1823 წ. ), საკ. სახ. **ბერა** (დოკ., I, 186); **ბერა** (გ. ცოცანიძე.).

**ბერაშვილი** (იგივე **ფეიქრიშვილი**) მოიხსენიება 1823 წელს სოფ. პატარა ენაგეთს (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 24–26).

შდრ. **ფეიქრიშვილი, ბერიშვილი...** (პა-

ტარა ენაგეთი).

ბერბიჭაშვილი 314
თბილისი 169
კასპი 67
მცხეთა 24

**ბერბიჭაშვილი** (1868 წ.), **ბერბიჭა** დახასიათების შემცველი სახელია. „ზოგჯერ გვარში მოცემულია პიროვნების დახასიათება ასაკის მიხედვით. ასეთია გვარები: **ბებერაშვილი, ბერბერაშვილი, ბებიაშვილი, დედაბრიშვილი, ბერბიჭაშვილი, ბიბიჩაძე** (აქაც იგივე სიტყვა გვაქვს, რაც მწერალ გ. შატბერაშვილის განმარტებით ნიშნავს ხნიერ, მაგრამ უბერებელ კაცს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ჭაბუკური იერი და ძალ-ღონე (იხ. ზ. ჭუმბ., 306); **დავით ბერბიჭაშვილი** და მისი ვაჟი **იოსები** 1868 წ. გორის მაზრის კავთისხევიდან სოფ. ვაშლოვანში გადმოვიდნენ (სცსსა, ფ. 254, №3, 112, 1873 წ. საქმე №70, ფ. 25-51).

ბერდიაშვილი 34
თბილისი 10
გურჯაანი 7
ქუთაისი 3

**ბერდიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბერდია,** თუშ. (ს. მაკალ., 163); ა. შან. ხევსურ., 158; (ალ. ღლ., 87).

**ბერდია** მოიხსენიება 1651 წ. ყმა-მამულის ნუსხაში (დოკ., II, 6); **გოგია ბერდიაშვილი,** 1742 წ. თებერვლის 25-ს. მემამულე მანუჩარ თულაშვილის მიერ საქართველოს ვექილ ქაიხსოროსთვის მიცემული ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 304); სოფ. დრეში 1860 წლ. აღწ. მოიხსენიება **გიორგი ბერდიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №2, 1860 წ.).

**ბერზელაშვილი** (1817 წ.), სავარ. რთული შედგენილი სახელი **ბერა, ბერი** და **ზელია, ზელა.** დავით და გერმანე ბერზელაშვილები 1817 წ. აღწერით, მოიხსენიებიან სოფ. ღოუბანში (სცსსა, ფ. 254, საქ. №1, 1043, ფურ. 271); **ბერზელაშვილი გლახა,** დეიდა თუთა (ღოუბანი, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-92). შდრ.: **ბერზენია** 36 (ზუგდიდი – 22, რუსთავი – 9).

ბერიაშვილი 2924
თბილისი 1052
კასპი 453
სიღნაღი 377

**ბერიაშვილი** (1683 წ.), საკ. სახ. **ბერია,** (იხ. ვახუშტი), **ბერია** ხოსრუაშვილი, **ბერია** ვარამაშვილი (გვ. 50-51); ზაალიშვილი **ბერია** (55).

**ბერია** (გუჯარი, 1611-1657 წწ. ნასყიდობის წიგნი, 1749 წ. (ექვთ. თაყ. I, 27, 141); ასატურა **ბერიასშვილი** (I, 397), გუგუნა **ბერიაშვილი** ნასყიდობის წიგნი თუმანიშვილთა (1683., II, 97).

„სოფ. ქისტაურის მკვიდრთაგან ძირად მთიელებად თვლიან

ავს... **ბერიაშვილები**" (**რ. თოფჩ.** 33); ...მანგლელის ყმად მანგლისში 1721 წ. მოიხსენიება შერმაზანა ბერიაშვილი (ვახუშტი, 110); **სოსია ბერიაშვილმა** 1818 წელს მარაბდელ ბასილა გულვერდაშვილს მოუნათლა ქალიშვილი ბარბარე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ). (მანგლისი, მარაბდა, მუხათი).

ბერიკაშვილი
1729
გურჯაანი 437
თბილისი 407
გორი 219

**ბერიკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბერიკა** (გ. ლეონ., სახელები); **ბერიკა** გამგებელი, ამილახორის ასულ ანას ყმა, მოიხსენიება პირობის წიგნში 1807 წ. 23 ნოემბერს (საქ. მუზ., ფ. Hd №9923); **ბერიკა** მეტსახელი, ქიზიყი, (ნუკრიანი) (ალ. ღლ., 87); „ქ. მანგლელის ყმა მანგლისს 1721 წ. ფიდია ბერიკაშვილი" (ვახუშტი, 111); ქ. სოლოღაშვილის გიორგის ყმა ქ. გუდელისს 1721 წ. **ბერიკაშვილი** საქუა, **ბერიკაშვილი** ნასყიდა აყრილი (იქვე, 147); „ქ. საგინაშვილის პაპუნასი ქ. წრის 1721 წ. **ბერიკაშვილი სეხნია**" (იქვე, 150). (გუდელი, მანგლისი, ფარცხისი, წრისი).

ბერიკაცაშვილი
194
გორი 177
თბილისი 15
მცხეთა 1

**ბერიკაცაშვილი** (1873 წ.), ბერიკაცის პირველი კომპონენტია **ბერა, ბერი** (ვარიანტებია: **ბერი, ბერო, ბერუა, ბერუჩა, ბერიკა, ბერიტა** უნდა გავიგოთ, როგორც „მოხუცი", **ბერიკაციშვილი** ასაკის მიმნიშნებელი გვარია. ასეთებია აგრეთვე **ბებერაშვილი, ბერბერაშვილი, ბერბიჭაშვილი** და სხვა; **ნინიკა ბერიკაციშვილი** გვხვდება 1873 წელს სოფ. თხინვალში (სოფ. ერთ დროს აღნიშნულ რეგიონში შედიოდა); (სცსსა, ფ. 254, №3, 1615, ფურ. 112-123).

ბერინაშვილი
157
მცხეთა 43
გურჯაანი 6

**ბერინაშვილი** (1690 წ.), საკ. სახ. **ბერი** (ზოგადი მნიშვ.: ვაჟი, ძე, ყმა); ნ. **ბერიშვილი, ბერიძე**. (დაწვრ. იხ. ი. მაისურაძე, „ბერ ძირი ქართულ სახელ გვარებში", მაცნე, №1, 1965, მისივე ქართ. გვარსახელები, თბ., 1979); იხ: **ბერინაშვილი ზუნია** (საქ. სიძვ., I, 245); ...ნაზარალიხანმა გაუთარხნა იასე **შიოშბეგიშვილს** კლდეისელი 6 კომლი: მათ შორის, **ბერინაშვილი** (1690. VIII.27. Qd–2150); **ფარემუზ ბერინაშვილი**, მეუღლე **ახუნდა**, შვილები **ბექანი, მერლო, ელისაბედი, ბარბარე**, დისშვილები **დავითი**, მეუღლე **ბარბარე**, ქალიშვილი **თამარი, თათუა**, დედა მარ-

**იაში** მოიხსენიებიან ვაშლოვანში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 98-105).

> ბერიანიძე 2103
> *კასპი 517*
> *თბილისი 494*

**ბერიანიძე** (1826 წ.), საკ. სახ. **ბერი** (ზოგადი მნიშვნ. ვაჟი, ძე, ყმა); შდრ. საკ. სახ. **ბერა, ბერალი, ბერელა, ბერიკა, ბერინი, ბერინა, ბერო, ბერია, ბერონა** (ალ. ღლ., 87); **გლახა, გრიგოლ. ბერუა, მანველა, ბერი, სვიმონ, შალვა, ნინია, ოქროპირი, ბერუა** (მეორე), ბერუა (მესამე) **ბერიანიძეები** მოიხსენიებიან დიდ თონეთში 1818 წელს (სცსსა, ფ. 489, ალწ. 6, 1 ბ, X35, ფურ. 386-386).

> ბერიშვილი 4107
> *თბილისი 868*
> *ზუგდიდი 680*
> *წალენჯიხა 511*

**ბერიშვილი** (1666 წ.), საკ. სახ. **ბერი** (ზოგადი მნიშვნ. ვაჟი, ძე, ყმა); ბერი ხანმრავალი კაცი (საბა, 65). **ბერა**-ი არის შატბერდის კრებულის დამწერი. იოანე ბერამ დიდი ღვაწლი დასდო სარწმუნოებას. მოიხსენიება 911 წ. (ქრონიკ., I, 98); იხ. **გულია ბერისშვილი** (სოფ. არბოს მორიგეთა ნუსხა, XVIII ს. II ნახევარი, საქ. საქ. მუზ. ფ. Hd №7865); გოგია ბერისშვილი, ყმის დანებების წიგნი, 1666 წ.; საქ. სიძვ., II, 131-132); **ქიტია ბერიშვილი,** ნასყიდობის წიგნი, 1681 წ. (საქ. სიძვ., II, 131-132); **ოთარი ბერიშვილი, ბერუა ბეროშვილი,** ნასყიდობის წიგნი ედიშერ ციციშვილისა, 1719 წ.ვ „... საბოლოო ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, ბერიშვილმა ოთარმა, ძმამა ჩემმა ბერაძემა, სოლომონ, აბრამმა, მახარამა" (საქ. სიძვ., II, 298); **ბერიძე,** საკ. სახელია ფშავში (შდრ. 1873 წ. **ბერიძიშვილი** სოფ. ფარცხისში); 1797 წ. 15 ივლისის არზით ირკვევა, რომ **დავით** და **ბესარიონ ბერიშვილები** ყოფილან თავად ლუარსაბ თარხნიშვილების ბიძაშვილები. **ბერიშვილებს ჰყოლიათ ყმებიც,** (სცსსა, ფონდი 1450. დავთარი №23, საბუთი №108); ღოუბნელმა **გლახა ბერისშვილმა** 1829 წელს იქორწინა ბოგველ თამაზას ასულ მართაზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. თავდებნი იყვნენ თანასოფლელები თევდორე **გულუაშვილი,** ივანე **აზარიაშვილი,** შიო **მეტრეველი** და გრიგოლ **სოხაძე** (489, ალწ. 6, №76, ფურ. 2).

**ბერა, ბერი, ბერ ძირეული ელემენტია შემდეგ ქართულ გვარსახელებში: ბერაია, ბერაიძე, ბერაკაშვილი, ბერასბურიშვილი, ბერაული, ბერაშვილი, ბერაძე, ბერბურაშვილი, ბერგეჩიშვილი, ბერგულიშვილი, ბერდელაშვილი, ბერდიაშვილი, ბერდიკალი, ბერდიკე-**

ლა, **ბერეკაშვილი, ბერელაშვილი, ბერელიშვილი, ბერეჯაშვილი, ბერვანიძე, ბერია, ბერიანიძე, ბერიაშვილი, ბერიბუშიშვილი, ბერიკაშვილი, ბერიკიშვილი, ბერინაშვილი, ბერიტაშვილი, ბერიშვილი, ბერიული, ბერიუმიძე, ბერიძე, ბერიძეშვილი, ბერიძიშვილი, ბერლიაშვილი, ბეროაშვილი, ბეროშვილი, ბეროზაშვილი, ბეროგელაშვილი, ბეროშალაშვილი, ბეროძე, ბეროძელაშვილი, ბერუაშვილი, ბერუკაშვილი, ბერულავა, ბერუხაშვილი...** (სცსსა, კოლექცია №1448). (ასურეთი, ენაგეთი, მანგლისი, მარაბდა, სამღერეთი, ფარცხისი).

ბერიძე 24797
ხელვაჩაური 3703
ქობულეთი 2706
თბილისი 2593

ბერიძეიშვილი 329
გურჯაანი 170
გარდაბანი 85
თბილისი 45

**ბერიძე // ბერიძეიშვილი // გეორგიშვილი / / ირემაშვილი** (1701–11 წწ.), ბერა (ქართ.), ბერი (ზგდი მნიშვნ: ვაჟი, ძე, ყმა); მისგან მიღებულია მრავალი საკუთარი სახელი, რომლებიც შესულია გვარ-სახელებში: **ბერაძე, ბერეკაშვილი, ბერაია, ბერიანიძე, ბერიკაშვილი, ბერინაშვილი, ბერიტაშვილი, ბეროზაშვილი, ბეროძე, ბერუაშვილი, ბერულავა, ბერუხაშვილი** და სხვა. (ი. მაისურ., 34); ბერი სხვა მოსაზრებით, მაგ., კოლხურად **ბერე, ბერი** ნიშნავს „შვილს“, „ვაჟს“, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს სიტყვა ძველად ზოგად ქართულში ყოფილა (მის ფონეტიკურ სახესხვაობად მიჩნეულია **ბელი** – „დათვის შვილი“ (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 327).

**ბერიძე** ზოგჯერ საკუთარი სახელიცაა. **ბერიძე ბასიტაშვილი** (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 357); **ბერიძე ახალკაციშვილი, ბერიძე შიოშვილი, ბერიძე ავგაროზაშვილი...** (ვახუშტი, 143, 150-, 176); „აქ არის უტოს ფარსადან მეითრის მამულში **ბერიძე გიორგი** მოხელე“ (ივ. ჯავახ., 73); მესხეთში (ახალციხის რ-ნი) ბერიძეზე ასეთი თქმულება არსებობს: **„სოფელ ერკოტის უმრავლესობა გვარად არიან ბერიძეები, რომლებიც მოშენებულან ერთი ბერისაგან. თათრების შემოსევის დროს ეს ბერი გამოქცეულა ზარზმიდან, თათრებს ეჭვი რომ არ მიეტანათ, ამიტომ სოფელ ერკოტში უთხოვია ცოლი, მიუყვია ხელი გლეხობისათვის და თურმე ჩუმად დარბაზებში მაინც სწირავდა ხოლმეო. გვარად კი დაწერილა ბერიძე. დღეს ამ გვარეულობას ეძახიან ზანდარიენთს, უფრო უწინ კი ეძახდნენ ზარზგიენთს“** (ქართ. დიალექტოლოგია, I, 362); სოფელ **ფარცხისში** მცხოვრებ დღევანდელ **ბერიძეთა** ვარაუდით (წინაპართა გამოძახილით), აქ გად-

მოსულან ასპინძის რაიონიდან. თავდაპირველად, 1873 წ. აღწერით, იწერებოდნენ **ბერიძესშვილებად,** ხოლო 1886 წელს აღწერაში ბერიძეებად მოიხსენიებიან. აქ მცხოვრები ბერიძეები ყოფილან ორ შტოდ დაყოფილი: საკუთრივ **ბერიძიანები** და **ადოლანეებად (ადოლაშვილები)** იმ უბანში, სადაც დღეს ადოლაანი ცხოვრობენ, ჰყოლიათ დოლაჯიშის ღორები, აქედან **დოლაანი, ადოლაანი** (ინფ. ა. ბერიძე 60 წ.). ბოგვში მცხოვრებ სვიმონ ბერიძეშვილის მეუღლეს (1820 წ.) შეეძინა ვაჟი გაბრიელი, მიმქმელი იყო ბოგვში მცხოვრები ზურაბ ბეგიაშვილი (ფ. 489, აღწ. №6, 5. ფურ. 103); ბოგველ ქრისტესია ბერიძისშვილს შეეძინა ვაჟი, მონათლა მღვდელმან ანტონ ციმაკურიძემ, სახელი ეწოდა იოსებ, ნათლიად იყო ტფილისს მცხოვრები პაპა იოსებისშვილი (489, აღწ. №6, საქ. 31, ფურ. 166, 1826 წ.); ბორბალოს მცხოვრებ ლევან ბერიძისშვილს (იმერელს) ეყოლა ქალი, მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ, სახელი ეწოდა მართა. ნათლიად იყო ამავე სოფელს მცხოვრები პაპა ვარსიმაშვილი (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ. 166, 1826 წ.); 1843 წლიდან სოფ. ბოგვში ცხოვრობდნენ როგორც **ბერიძეები,** ისე **ბერიძეშვილები** (იგივე **გეორგიშვილები**). 1845 წელს აქ საცხოვრებლად გადმოსულან ქიტესა და დათა ბერიძეები. აქვე მოიხსენიებიან გენერალ-მაიორ ახვედროვის (ახვერდაშვილის) ყმები: გლახა და დათო ბერიძეშვილები (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფურ. 142-148; სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 1-5); ბერიძე (ბერი) 1701-1711 წლების აღწ. სიყმია ირემაშვილის განაყოფი ყაფლანიშვილების მამული ფიტარეთში (ის. ლორთქ., დასახ. ნაშრ. § 15).

შდრ. ბერიშვილი, ბერიძეშვილი... (ბოგვი, ბორბალო, დიდი დაღეთი, ფარცხისი, ფიტარეთი). **ვახუშტი ბერიძეთა გვარს ადრინდელ მთავრებში მოიხსენიებს (XII-XIV სს.).**

ბერუაშვილი
412
თბილისი 1578
გორი 937
ქარელი 526

**ბერუაშვილი** (1693 წ.), საკ. სახ. **ბერუა** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი XVIII ს. ქვ. ქართლში. ვახუშტის მიხედვით, წალასყურსა და თელეთში მამასახლისია **ბერუა**; სამღერეთის ახალშენს ალიხანაშვილი ბერუა, მანგლელის ყმა მანგლისს ქიტუაშვილი ბერუა, ტანგანეთის მოლაშქრე ბერუა, ბოგანო ბერუა...

**ნ. ბერუა** XVIII ს. I ნახევარი, ამილღაბარ გოსტაშაბიშვილების ყმების ნუსხა (ნ. ბერძ., დოკუმ., II, 30); იქვე, **ბერუა** გოგიასშვილი

(30), ბერუა ნასყიდას შვილი, მამულის ნასყიდობის წიგნი 1723 წ. 20 მაისი (23), **ბერუა,** მამასახლისი, ზურაბ, პაპა და გიორგი ღვთისიაშვილების მიერ ნიკოლოზ ამილახვრისთვის მიცემული მუჩალგის წიგნი (220); ...იესე თულაშვილის მამული ქ. ზირბითში 1721 წ. დათუნა ბერუაშვილი" (ვახუშტი, 85); „ქ. საამისა და ედიშერისა ქ. ზემო ოძისში 1721 წ. ებალა ბერუაშვილი" (იქვე, 119); კოდელმა დავით ბერუაშვილმა 1818 წ. მონათლა ვაჟი ზურაბი, მიმქმელი იყო ბაყალი ბრმა ბეჟანა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ); ერტისელმა თამაზა ბერუაშვილმა 1818 წ. მონათლა ქალიშვილი თინათინი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 144); თევდორე ბერუაშვილი, მეუღლე ელენე, ვაჟები ზაქრო, იაკობი, მათე, ქალიშვილი მართა, ზაქროს მეუღლე ელისაბედი, დედა თუთა (ლოუბანი) 1823 წ. (სცსსა, ფ. 254. I, 802, ფურ. 83-92); კოდელმა დავით ბერუაშვილმა 1826 წელს ამავე სოფლის ალექსანდრე ნეველის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა შვილი პეტრე. მიმქმელი იყო თანასოფლელი ივანე მათიაშვილი. მოგვიანებით, რუსული გაფორმებით, **მატინოვი** (489, 6, №28, 1826 წ.); ვარდისუბნელმა თევდორე ბერუაშვილმა 1826 წელს ჯვარი დაიწერა **ლოუბნელ გიორგი კენკებაშვილის ქალ მარიამზე.** თავდებნი იყვნენ **ვარდისუბნიდან: გლახა ინაშვილი, ქიტესა მჭედლიშვილი; ლოუბნიდან: სოლომონ სულხანიშვილი და ელისაბედ გიორგაშვილი** (489, 6, №31, 25); ივანე ბესარიონის ძე ბერუაშვილი მოიხსენიება 1882 წ. სოფ. ფარცხისში (სცსსა, ფ. ც489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

(ბოგვი, ვარდისუბანი, შავსაყდარი, კოდა, ზემო ოძისი, ზირბითი, მუხათი, სალერეთი, ფარცხისი, ლოუბანი).

ბერძენიშვილი
2662
*თბილისი 1050*
*ჩოხატაური 389*
*რუსთავი 146*

**ბერძენაშვილი // ბერძენიშვილი** (1721.), **ბერძენ-ი** (თ. ჟორდანია, ქრონ., III, 600); გვარ-ადქცეული ეთნონიმი; გვარი გვხვდება, როგორც წმინდა ფუძით **ბერძენი,** ისე გავრცობადი სახით **ბერძენიშვილი.**

**ბერძენა ჯვარისშვილი,** 1721 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 190); **ბერძენა** (იქვე, 306); **ბერძენა ალავერდასშვილი,** 1738-1744, **მოსე მაღალაძის** მიერ თავის განაყოფ სახლთუხუცეს გიორგი მაღალისძისთვის მიცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 286); **ოთარი ბერძენიშვილი, აზნაური,** სახლთუხუცესი, თავად ამილღაბარ გოსტაშაბაშიშვი-

ლის მემამულე, 1721 წ. ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში (იას. ლორთქ., ქვ. ქართ. ნაწ. III და IV, §§ 79, 134, 121); **ბერძენაშვილი ბერუკა** ყარელში, 1746, ივლისის 28-ს. ნუსხა კახეთს მყოფი თარხნიანთ ყმებისა (დოკ., I, 332); ბერძენიშვილი იორდანე, 1843 წ. დ/თონეთი" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 310-322).

ამავე ძირისაა: **ბერძენიშვილი, ბერძნიშვილი, ბერძენიძე, ბერძენაძე, ბერძული.**

ბერძნიშვილი 208
*გორი 101*
*მცხეთა 45*
*თბილისი 14*

**ბერძნიშვილი**[1] (1721 წ.) ბერძენი გვარადქცეული ეთნონიმი. ამავე ძირისაა: **ბერძენი, ბერძენიშვილი, ბერძენიძე, ბერძული.** ბ. იყო სახელიც. შდრ. **ბერძენა** (დოკ., I, 306).

„ქ. მჟავის ნოდარ სუფრაჯის ყმა **დათუნა ბერძნიშვილი** (ვახუშტი, 113); ქ. გოსტაშაბაშვილი ამილღაბარის ქ. მოლავს 1721 წ. სახლთუხუცესი **ოთარი ბერძნიშვილი**" (იქვე, 53). (მჟავისი, მოლავი).

-ბესალაშვილი 102
*ბოლნისი 59*
*თბილისი 35*
*თელავი 6*

**ბესალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბესალა** (საქ. სიძვ., I, 68); ძირეულია **ბესი** (ბესა + ბოლოსართი **ალ-ა**); (ილ. მაის., 35); „...ქ. მანგლელის ყმა მანგლისს... ხიზანა **ბესალაშვილი**" (ვახუშტი, 110).

ბესიაშვილი 228
*გორი 174*
*თბილისი 415*
*კასპი 4*

**ბესიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბესია** (კოლხ., ს. მაკალ., 276); „1721 წ. ვახტანგი იარალაშვილის ყმა ქ. სამაჩვეთს ბასილა ბესიაშვილი" (ვახუშტი, 66).

ბექაური 3463
*თბილისი 468*
*თეთრიწყარო 417*

**ბექაური //ბექაურიშვილი // ბეროშვილი** (1774 წ.), **ბექა** ძველი ქართული სახელია. ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდენიმე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **ბექა მანდატურთუხუცესი** (წესრიგის დამცველი, მხლებელი. შედიოდა მეფის დარბაზის შემადგენლობაში, XIII ს.). რუს-

---

[1] ბერძნიშვილი, ბერძენიშვილი... ფაქტობრივად ერთი და იგივე გვარია, მაგრამ სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით მოცემული ფორმით.

თაველის ეპოქაში ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ოსტატები იყვნენ **ბექა** და **ბეშქენ ოპიზრები** (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 328); ბექა მანდატურთუხუცესი იყო მეფე გიორგი ბრწყინვალეს აღმზრდელი, დახატულია საფარის დიდებულის ტაძარში და მოხსენიებულია ანჩისხატის წარწერაში. ცხოვრობდა 1293-1300 წწ. (XIII ს., ქრონიკ. II, 169).

**ბექა ოპიზარი,** მოხს., 1204-1207 წწ. (ქრონიკ. I, 293); ბექაურები გარისის მიწაზე გადმოვიდნენ მთიულეთიდან. იქ ცხოვრობდნენ სოფლებში: გამსი, დიდებანი, ზანდუკი, ჭიმში-თორელანი, ცაცქუნაური, ხოზა (ს. მაკალ., 11-13); მთიულეთში მცხოვრებ ბექაურთა თიკუნებია: **აფთარაანი, გულოიანი, შარვანიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი** და **ბატარაანი** (იქვე, 79); არაგვის ხეობის აღწერაში (1774 წ.) მოიხსენიებიან: გუდამაყრის ჭალის სოფელს არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო: „ქ. **ბექაური ბექანის შვილი ნადირა, ირემა** და **შიო**. აქავ **ბექაური პაპისშვილი** ვეფხია, აქავ **ბექაური ლომნის შვილი ახალა,** აქავ **ბექაური ხიზანის შვილი გამიხარდი;** გუდამაყრის გამხის არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო: ქ. **ბექაური ბაიას შვილი თამაზა** და **ჯაბანა,** აქავ **ბექაური ჯანგირასშვილი გიორგი** და **ივანე,** აქავ **ბექაური გახუტას შვილი შარვანა, ხოსრო, ქურციკი** და **მამისიმედი,** აქავ **ბექაური პაპუნასშვილი პაპი** და **ზაქარია,** აქავ **ბექაური როსტოვანას შვილი იმედა.** აქავ **ბექაური თათარის შვილი გელა.** გუდამაყარს გოგანაურთას არაგვის ერისთავის ყმა ამსიავე სახელო; ქ. **ბექაური ავთანდილის შვილი თამაზა, ფაცხვერი, ქავთარი, ონოფრე** და **ივანე.** აქავ **ბექაური ბეჟიტას შვილი გამიხარდი.** აქავ **ბექაური ბოლონას შვილი ლომნია, ისედა, იმედა.** აქავ **ბექაური ივანეს შვილი ბერი** და **გიორგი.** აქავ **ბექაური დიდებას შვილი შარუნა** და **ივანე.** აქავ **ბექაური დიდებასშვილი მამუკა.** აქავ **ბექაური გიორგის შვილი მამუკა** და **ბერი.** აქავ **ბექაური ბაიდურასშვილი ივანე მსახური.** გუდამაყარს კიტოხს არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო: ქ. **ბექაური ბიმის შვილი შალიმან** და **ჯაბარი.** აქავ **ბექაური ბიძიას შვილი ნადირა** და **ზარდონა.** აქავ **ბექაური პაპუნას შვილი პატარკაცი.** აქავ **ბექაური გორზამას შვილი ლომნია, ბენა, შალიკა** და **ავთანდილი.** აქავ **ბექაური გახუას შვილი მგელია.** აქავ **ბექაური ბიძის შვილი ლომნია**" (ვახუშტი, 467-469).

გადმოცემით, ამ გვარის მიმცემი **ბექაი** და **წიკლაურის** გვარის

ფუძის დამდები **წიქქვაი** ძმები ყოფილან. გუდამაყრელთა საუბრიდან: – **აქ, გუდამაყარში, არის ოთხი გორის კაცი: – ერთი – ბექაური, მეორე – წიკლაური, მესამე – აფციაური, მეოთხე – ჩოხელი. როგორ შაიძლე-ბოდა, ბექაური წიკლაურის ქალს ითხოვდა და წიკლაური ბექაურისას. მამრელა უთხოვია, ბიძაისავ! – სუ ადრევა, აი აჯოს რო წავიდნენ ეხლა, ხევსურები ვართ, იქით ვართ გადმოსულნი. მას აქეთ იქნება ათი მამა ბექაი და წიკვაი ძმანი ყოფილან. ვერ შახვდომიან ერთმანეთსა: მემრე ძაღლი გაუკვეთია, შუა გაულია: ერთურთში ქალი გვერგოსო**" (ქარ-თული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961 წ. 80); **თეთრი წყაროელი ბექაურები** სოფ. **მაქართადან** (დუშეთის რ.) არიან; 1853-1854 წწ. სოფ. შამთაში მცხოვრები **ბექაურები, შალვა ბექაურის** გარდა, **ბექაური-შვილებად** არიან ჩაწერილი. აქ მოიხსენიებიან: **ხიზანა ბექაურიშვილი,** შვილები: მახარობელი, მამუკა, გიორგი, თევდორე, შიო და მარტი **ბექაურიშვილები** (სცსსა, ფ. 254, №2, 188, ფ. 380-382); დუშეთის მაზრის სოფ. ცუცქუნადან ბექანას სოფელში (მჟავისის სასოფლო საზოგადოება) 1869 წელს ჩამოსახლებულა **გიორგი** და **ივანე ბეროშ-ვილ-ბექაურების** ოჯახი (254, 3, 1873 წ. ფურ. 530); შდრ. **ბერიშვილი**. (არხოტი, ასურეთი, ბექანას სოფელი, თეთრი წყარო, შამთა).

ბექაძე 36
ოზურგეთი 25
გორი 7
თბილისი 2

**ბექაძე** (1721 წ.), **ბექა** ძველი ქართული სახელია. შდრ. ბექაური. **ბექა** (საქ. სიძვ., II, 7); **ბექა** ოპიზარი (ქრონ., I, 293); „1721 წ. ქ. ქირმანის ხანის ყმად დურნუკში მოიხსენიება **ბექაძე**" (ვახ-უშტი, 25).

თეთრუაშვილი 639
თბილისი 237
დუშეთი 166
ქარელი 86

**ბექთათაშვილი // ბეგთათაშვილი // ბეგთაშაშვილი // თეთრუაშვილი** (1826 წ.), საკ. სახ. **ბექთაშა** მოხსენიებულია სოფ. კოდაში (სცსსა, ფონდი 251,: საქმე №1, 1274, ფურც. 37-63, 1851); შდრ. საკ. სახ. **ბექთათა, ბექთაში,** დერვიშული ორდენისა და მისი წევრების სახელწოდება. გადმოცემით, ბ. დაუარსებია მცირე აზიაში დერვიშ ჰაჯი ბექთაშის. 1925 წლის შემდეგ ბ-ს ცენტრი ალბანეთში გადაიტანეს (ქსე, ტ. 2, 346). **ბეგთაშა,** როგორც საკ. სახ., მოიხსენიება შულავერში (იას. ლორთქ., III და IV ნ. 454 ნ. 454); ბექა ცნობილი ისტორიული სახელია. „ბექა მანდატართუხუცესი (წესრიგის დამცველი, მხლებელი) აღმზრდელი მეფის გიორგი ბრწყინვალისა. დახატულია საფარის დიდე-

ბულ ტაძარში და მოხსენიებულია ანჩისხატის წარწერაში (ქრონიკ. II, 170); სინოდის კანტორის ალაპთა ალაპი – მკვიდრისათვის ჭამა. მკვდართათვის ნადიმი (საბა, 73), ნუსხა №507-ში აღნიშნულია: „... მანდარტუხუცესის ბექასი და მისი მეუღლე მარინასი“ (იქვე, 170); საკ. სახ. **თაშა** (არქ., 1890, მესტია, სვან. ალ. ღლ., 129); **თათა,** „ათორმეტთა ძმათა სახელები... თათა სტეფანწმინდელი (მამებელი)“ (ქრონიკ., I, 54); თათა – ძაღლის შერისხვა (საბა, 294); **ბეგთათაშვილი** – **თეთრუაშვილი** მოიხსენიება 1823 წელს სოფ. დიდ ენაგეთს. მასთან ერთად აღნიშნულნი არიან: მეუღლე სარა, შვილები: გლახა, გიორგი, მაია (სცსსა, ფ. 254: I, 802, ფურ. 5-18); **დარჩია ბეგთათაშვილი,** მეუღლე **თინათინი,** ვაჟები **შაქრო, შავერდა,** ქალიშვილი **ანა** (ფურ. 5-18); კოდელმა **გეუა ბეგთათაშვილმა** 1826 წ. ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში **ბეჟან მაისურაძეს** მოუნათლა ვაჟი სოლომონი (489, 6, №28, 1826 წ. ფურ. 172); იხ. **თეთრუაშვილი** (დიდი ენაგეთი, კოდა).

ბელელური 230
*გორი 97*
*თბილისი 89*
*თეთრიწყარო 14*

**ბელელური** (1873 წ.), საკ. სახ. ბელელა (ივ. ჯავახიშვ. სეიძ.); ბელელი პურეულის შესანახი ნაგებობა (ძვ.) ფშავსა და ხევსურეთში – საკულტო ემბლემებისა და სახატე ჭირნახულის შესანახი შენობა (ქეგლ.). ბ. მშრალი თავლის, მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი ნაგებობა, უმთავრესად ხისა (წაბლი, ცაცხვი, თელა).

ფარცხისში 1818 წელს **ნიკოლოზ პეტრეს ძე ადოლაშვილის** თავდებად მოიხსენიება **გიორგი ზურაბის ძე ბელელური** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); **გიორგი ზურაბის ძე ბელელური** ფარცხისში (1871 წელს), მოწმედ მოიხსენიება თბილისელი **ალექსანდრე სოლომონის ძე ალნიაშვილისა** და ფარცხისელი **გაბრიელ ბეგიაშვილის ასულ ეფემიას** შეუღლებისა (სცსსა, მეტრ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); „1873 წ. სოფ. ფარცხისში მოიხსენიება **ზურაბ სოლომონის ძე ბელელური**“ (სცსსა, ფ. 254, №3, 124, საქმე №279, ფ. 253).

ამავე ძირისაა: **ბელელაძე, ბელელაშვილი** (ფარცხისი).

ბიბილაშვილი 1922
*თბილისი 648*
*გორი 519*
*დუშეთი 118*

**ბიბილაშვილი** (1716), **ბიბილა** ცნობილი საკუთარი სახელია: შდრ.: **ბიბილა გურკელელი (პ. ინგოროყვა,** თხზ., I, 720); ბიბილა, ერისთავი (344, ტბეთის მატიანე, 225; ძვ. საქ. IV განყ. III, 57, ალ. ღლ., 89); **ბიჭილა,**

ბიბილეიშვილი
1157

როსტომის ძმა (ქრონ., II, 2, 26); **ბიბილაშვილი** მოიხსენიება 1716 წ. 8 აპრილს ვენახის ნასყიდობის წიგნში, რომელიც ჩიტუა გიორგაშვილმა მისცა თავის ბატონ ვინმე ლევანს (დოკ., I, 170).

მთიულეთში არის სოფელი **ბიბილიანი** (დუშეთის რ.); **//ბიბილეიშვილი // (ბაბილაშვილი);** ამავე ძირისაა: **ბიბილაური, ბიბილური, ბიბილურიძე, ბიბილაია.**

ბ. ასურეთში 1941 წელს გადმოვიდნენ ამბროლაურის რაიონის სოფ. ბეთლევიდან.

ბიბილური 865
თბილისი 301
გორი 298
ბორჯომი 68

**ბიბილური // ქვენიფნეველი** (1721 წ.), საკ. სახ. ბიბილა (ტბეთის მატიანე, 225); ბიბილა (ალ. ღლ., 89); „...ხოლო იალბუზის კალთით ქსნის ერისთავი და არა ქვაფენიფნელისაგან, არამედ, იტყვის ბიბილურობასა" (ვახუშტი, საქ. ისტორია, ნაწ. I, 1910. გვ. 20); **ბიბილურთა შტოგვარია ქვენიფნეველი. ქვენიფნეველები** ფეოდალური საგვარეულოა საქართველოში; ცრაზმისხევის (ცხრაძმისხევი; ქსნის ხეობის ნაწილი) ერისთავები. საგვარეულოს დამფუძნებელი (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლ ერისთავთა" ცნობით), იყო **როსტომ ბიბილური.** როსტომ (VI ს.) ცხრაზმის ხევში სამფლობელოდ მიუღია ქვენიფნევი, რის შემდეგაც მის გვარისშვილებს ეწოდათ ქვენიფნეველები. სახელი ქვენიფნეველი ბიბილურებში XV-XVI საუკუნეებამდე გვხვდება (ქსე, ტ. 10, გვ. 518); 1721 წელს **იესე სოლაღაშვილთან** მონასტერს მოიხსენიება **ქიტია ბიბილური** (ვახუშტი, 141); გიორგი, გლახა, გოგია, დათუა, ზურაბა, იოთამ, იოსები, მართა, პაატა, პართენ მღვდელი, სიდამონ ბიბილურები მოიხსენიებიან სცსსა (კოლექცია, №1448-ში); **ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წელს თავი გამოიჩინა სარდალმა ბიბილურმა** (საისტ. მოამბე, №17-18, 1964, გვ. 277); ვარდისუბნელ თეოდორე ბიბილურს ეყოლა ქალი, მონათლა **ანტონ ციმაკურიძემ,** სახელი ეწოდა მელანია, ნათლიად იყო თანასოფლელი **პეტრე ფეიქრიშვილი** (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ 167, 1826 წ.); „მთიულეთში არის სოფელი **ბიბილიანი** (დუშეთის რ.) **//ბიბილეიშვილი//ბიბილაშვილი;** ამავე ძირისაა, **ბიბილაური, ბიბილური...** (ი. მაისურ., 35). შდრ. **ბიბილაშვილი, ბიბილ-**

ურიძე, ბიბილაია. (ვარდისუბანი, მონასტერი).

ᲑᲘᲠᲗᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 3
ქარელი 18
რუსთავი 5
თბილისი 4

ᲑᲘᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 244
თბილისი 85
ქარელი 46
რუსთავი 45

**ᲑᲘᲠᲗᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲑᲘᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკუთარ სახელადქცეული სადაურობის სიტყვა **ბირთველი**, მიღებულია ტოპონიმისაგან **ბირთვისი**, ციხე-სიმაგრე ისტორიული ალგეთის ხეობაში (დღევანდელი თეთრი წყაროს რ-ნი). **წყაროებში მოხსენიებულია XI ს-ში,** როდესაც კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა და ქართლის ერისთავმა **ივანე აბაზას ძემ** შეიპყრეს თბილისის ამირა და ბირთვისი ჩამოართვეს (ქართლ. ცხ., I, 296); ბ. მომდინარეობს ქართული ფუძისეულ სიტყვიდან **ბირთვი**. შდრ. მანგლისი, ხოპისი, ტბისი, გარისი, მოხისი, კლდეისი...

**ბირთველ**-საბუთის დამწერი, 1646 წ. (დოკ., I, 31); **ბირთველ თუმანისშვილი,** მეფის კარის მდივან-მწიგნობარი, 1650 (იქვე, 35); **ბირთველი** (დოკ., I, 23); **ბირთველა დავარაშვილი,** 1720 წ. (იქვე, 187). „ქ. **ხოსროხანისშვილის** ყმა სამშვილდეს 1721 წ. **თამაზა ბირთველაშვილი**" (ვახუშტი, 24).

ᲑᲘᲠᲙᲐᲫᲔ 361
თბილისი 127
რუსთავი 15
ბორჯომი 14

**ᲑᲘᲠᲙᲐᲫᲔ** (1873 წ.), **ბირკა** მეტსახელი გვარში, **ბირკაძე** (ალ. ღლ., 90); შდრ. **ბირკა** ზოგიერთი ბალახის ნაყოფი შემოსილი კაუჭიანი ეკლით (ქეგლ); ამავე ძირისაა: **ბირკაია** (პ/თონეთი).

ᲑᲘᲠᲙᲐᲘᲐ 417
მარტვილი 164
თბილისი 105
სენაკი 29

**ᲑᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1882 წ.), საკ. სახ. **ბიქ-ი** (კოლხ., 49, ნოქალაქევი, ალ. ღლ., 90); **ივანე მიხეილის ძე ბიქიშვილი,** მოიხსენიება 1882 წელს სოფ. ფარცხისში (სცსსა, მეტრ. წიგ., 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1785
თბილისი 525
გორი 270
თელავი 171

**ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.(, საკ. სახ. **ბიძინა** (საამილახვრო დავთ. 22; ალ. ღლ., 90); „ბ. მომდინარეობს სიტყვიდან **ბიძა**" (ზ. ჭუმბ., 14); იხ. **ბიძინა** სუფრაჯი, 1654 წ. იანვრის 2-ს სვეტიცხოვლის მიწების გამოფიცულობის წიგნი (დოკ., II, 6); გიორგი, ოანა, დათუნა

ბიძინაშვილები, ქ. აბულაშვილის ბარათასი და გიორგისა, ქ. საჭეს 1721 წ. (ვახუშტი, 144); იასე ბიძინაშვილი, 1823 წლის აღწერით, მეუღლე ხამფერა, შვილები ტეტია, ელისაბედი, მათია მოიხსენიებიან ბორბალოში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 77-83).

**ბიჭილაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბიჭილა** (ხევ., ს. მაკალ., 168); „ოთარი მდივნის ყმა 1721 წ. ქვემო ოძისში მჭედელი **ბიჭილაშვილი**" (ვახუშტი, 45).

| | |
|---|---|
| ბლიაძე | 2296 |
| *ხაშური* | *756* |
| *ბორჯომი* | *657* |
| *თბილისი* | *648* |

**ბლიაძე** (1828 წ.): „სალორისს მცხოვრებ **სვიმონ ბლიაძეს** 1828 წელს ეყოლა ქალი, სახელი ეწოდა ბარბარე. მონათლა მღვდელმა იოანე აღნიევმა (აღნიაშვილი) (489, აღწ. №6, 57, ფურ. 21).

**ბობოქაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბობო+ქა** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 191); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო წინწყაროს ...ბობოქაშვილი ბერი, 1721 წ." (ვახუშტი, 4). შდრ. ბობოქაიძე (სული 32).

| | |
|---|---|
| ბოგველი | 210 |
| *კასპი* | *114* |
| *თბილისი* | *80* |
| *გარდაბანი* | *6* |

**ბოგველიშვილი** (1822 წ.), საკ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა ბოგველი. შდრ. **ბოყოველ-ი** (**ბოყვა**, სოფელი ონის რაიონში), **ბოტკოველ-ი** (**ბოტკო**, სოფ. საგარეჯოს რ.), **ბოდაველი** (ბოდავი, სოფ. დუშეთის რ-ში) და ა.შ.

1822 წელს ბოგვში მცხოვრებმა ბერუა ბოგველაშვილმა მონათლა შვილი მარიამი. მიმქმელი იყო თანასოფლელი **თოქბელაშვილი ბარბარე** (სცსსა, ფ. 489, 6, 1, ბ, №27).

**ბოგნელაშვილი** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ბოგნელა. ბოგველიშვილების** ადრინდელი გვარია **ჩიბუხაშვილი, ბოგველების კი ჯორჯიაშვილი.**

„ქ. თორნეთს: მანგლელის ყმა ...ბოგნელაშვილი მამაცა აღირიცხება 1721 წ." (ვახუშტი. 111).

| | |
|---|---|
| მაისურაძე | 16516 |
| *თბილისი* | *6330* |
| *გორი* | *1406* |
| *ონი* | *1024* |

**ბოლოკიაშვილი // მაისურაძე** (1831 წ.), **ბოლოკა,** მეტსახელი (ალ. ღლ., 91); შდრ. ერტისში სახინჯარი ბოლოკაანი.

ერტისის წმ. გიორგის ეკლესიაში 1832 წელს აზნაურ სოლომონ თურქესტანოვის ყმას **თამაზ ზურაბის ძე მაისურაძეს** (იგივე ბოლოკიაშვილი) და მის სჯულიერ ცოლს **მაია ტეტიას ასულს** ეყოლათ ქალი **ბარბარე.**

ნათლისცემა სრულყო მღვდელმა გრიგოლ გიორგის ძე ნატროშვილმა (ფ. 489, საქმე №6, აღწ. 150, ფურ, 1). იხ. მაისურაძე (ერტისი).

**ბოლუქაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ბოლა** გვარებში: **ბოლაძე, ბოლაშვილი** (ალ. ღლ., 91). შდრ. **ბოლბოქა, ბოლქვა** (ბოლქვაძე). „...წობას 1721 წ. თამაზა **ბოლუქაშვილი**" (ვახუშტი, 170). შდრ. თურქ. **ბოლუქ.** – ნაწილი, ასეული, რუს. პოლკ-ი. (წობა).

| | |
|---|---|
| ბორაშვილი | 987 |
| *საგარეჯო* | *335* |
| *თბილისი* | *165* |
| *გარდაბანი* | *40* |

**ბორაშვილი** (1721 წ.), **ბორა** მეტსახელი (ცოჯორი, გარდაბნის ტოპონიმია, 1982); „**ბორა,** ფრინველია, ძერას ჰგავს" (საბა); **ბორა** – ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრებიც ხშირად პარაზიტობენ ძროხის, ცხენის კუჭ-ნაწლავში, ცხვრის შუბლის ფოსოში და სხვა. **ბორა** – მოზრდილი მტაცებელი ფრინველი, ძერის მსგავსი (ქეგლ); „ქ. ბროსებ იარალაშვილის ყმა სამაჩვეთს 1721 წ. მოლაშქრე **იესე ბორაშვილი**" (ვახუშტი, 63).

| | |
|---|---|
| ბოსტანაშვილი | 0 |
| ბოსტოლანაშვილი | 28 |
| ბოსტაშვილი | 221 |
| *დედოფლისწყარო* | *96* |
| *თბილისი* | *63* |
| *სიღნაღი* | *20* |

**ბოსტანაშვილი** (1721 წ.), **ბოსტანი,** მიწის ნაკვეთი ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. **ბოსტანა,** სოფელი ამბროლაურის რაიონში (სადმელის საკრებულო). **ბოსტანა,** მეტსახელი გვარში: **ბოსტანაშვილი** (კახ. ჭიკაანი, ალ. ღლ., 92). შდრ. **ბოსტა** გვარში **ბოსტაშვილი, ბოსტაღანა** – გვარში **ბოსტაღანაშვილი** (ქრონიკ., II, 190).

წინწყაროელი ბოსტანაშვილები ბოსტანჯიევად და ბერძნად არიან ჩაწერილი.

**ბოსტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ბოსტა,** გვარში **ბოსტაშვილი.**

**ბოსტაშვილი დავით (დათუნა),** მაჩხაანელი გლეხი, ერეკლე II-ის მიერ გააზნაურებული. 1751 წ. აგრის ბრძოლაში დამარცხებული ერეკლე ალაზანზე რომ გადმოდიოდა, ბ-მა ხიფათს გადაარჩინა. ხალხმა ლექსი გამოუთქვა. „აზნაური ბოსტაშვილები არიან ძველად კალმუხთაგან დაშთომილნი. ლომის (?) გამო გაიგვარეს ბოსტაშვილობა" (საანდაზო ლექსები... 131); ლეკთა შთამომავალი ნუხისხანი აჯიჩალაბის წინააღმდეგ ბრძოლისას ერეკლე მეფეს გასჭირვებია ალაზნიდან გამოსვლა., „მაშინაო, – წერს მემატიანე, – **თავადმა ბებურიშვილმა პაპამ** მოსწყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე

მშვიდობით. ხოლო ვინაითგან ნაპირი მდინარისა ალაზნისა არს ფლატოიანი, ამან პაპამან მუნ ვერღარა აღიყვანა ცხენი მეფისა და ვიდრე მოატარებდა შორს, ვირი ქვევითსა, მეფესა შეამთხვია ბოსტაშვილი მაჩხანელი და მიართო ცხენი თვისი.· და ესრეთ განერა მეფე. ხოლო მეფემან მიუბოძა სახლსა ამისსა აზნაურიშვილობა და უწოდა კვალადვე გუარისა თავისისა სახელი – ბოსტაშვილობაივე სამსახურისა ამისთვაისვე" (მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744-1840 წწ.., ტფ., 1906, გვ. 6). ამავე ძირისაა **ბოსტანაშვილი, ბოსტოღანაშვილი.**

**ბოტკუაშვილი** (1886 წ.), **ბოტა,** მეტსახელი (სტუდ. კოლექცია; კახ. ჭიკაანი, ალ. ღლ., 92); ბოტა (იქვე). აქედანაა კნინობითი ბოტკუა. შდრ. ბოტკოველ-ი, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა (ბოტკო-ვ-ელ-ი); ბოტკო სოფელია საგარეჯოს რაიონში; მოხსენიებულია თამარ მეფის 1202 წ. სიგელში შიო მღვიმის მონასტრის მიდამოებში მდებარე სოფლად, სხალტბის ახლოს (ჟორდ., ისტ. საბ. შიომღვ. მონასტრისა, 28; ქრონიკ., II, 12); ნიკო ბოტკუაშვილი მოიხსენიება 1886 წ. დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, ფურ. 82-146).

**ბოჩოლასშვილი** (1817 წ.(, საკ. სახ. **ბოჩოლა** სტატ. ცნ. XVIII ს., 419); ბოჩოლა, მეტსახელი, ობჩა I (ალ. ღლ., 92).

**ბოჩოლა** ხბოს კნინობითი ფორმაა. შდრ. გოჭისშვილი, კოკონაშვილი, ბარაძე, იხვიაშვილი, ღარიშვილი და მისთ. (კოდა).

**ბოძალაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ბოძა, ბოძალა. ბოძა** მეტსახელი გვარში: ბოძალაშვილი (ალ. ღლ., 92); შდრ. ბოძი.

„ბექან **ზაზუნაშვილის** ყმა 1721 წ. დიდებას **პაპუნა ბოძალაშვილი**" (ვახუშტი, 125).

| |
|---|
| ბუაძე 1861 |
| *თბილისი 570* |
| *ქუთაისი 182* |

**ბუაძე** საკ. სახ. **ბუა,** ჩუმლაყი, გურჯაანის რ.: ბუა, მეტსახელი, სამიქაო აბაშის რ. (ალ. ღლ., 93); **ბუ-ი,** მეტსახელი, გვარებში: **ბუიძე, ბუიშვილი** (ალ. ღლ., ლაგოეთის ტიპონომია, 1941, 45); შდრ. ფრინველი ბუ. ამავე ძირისაა: **ბუაშვილი, ბუაჩიძე.**

ბ. ამბროლაურის რაიონის სოფ. ბუძეულიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს.

| | |
|---|---|
| ბუდახაშვილი | 0 |
| ბუდალაშვილი | 298 |
| *თბილისი* | *119* |
| *კასპი* | *91* |
| *გარდაბანი* | *73* |

**ბუდახაშვილი** (1659 წ.), საკ. სახ. **ბუდახა** (1536 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნი, ს. კაკაბ., საისტ. მოამბე, I, 181); **ბუდახ,** აზერბაიჯ. და თურქულად ნიშნავს ტოტს, ყლორტს.

**ბუდახა** მოიხსენიება მეფე ერეკლე I-ის ანუ ნაზარა-ალიხანის დროის განჩინების წიგნში (1692-1703.; საქ. სიძვ., II, 192); ბუდახაშვილი იხსენიება თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნში 1659 წ. 6 აპრილს (საქ. სიძვ., III, 554); „ეშვის წყაროს ბარათაშვილის მამულში ყოფილა **პაპუა ბუდახაშვილი** (1681 წ. V. სოც. დოკ. I, №96); „გიორგი თაყაიშვილის ყმა ეშვის წყაროს 1721 წ. **ბექანა ბუდახაშვილი**" (ვახუშტი, 76); „ვაშლოვანს ამავე წელს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმანი არიან; ბექია და როსტომა ბუდახაშვილები" (ივ. ჯავახ. სესძ, I, 166); ბატონიშვილის სვიმონისა წარახპურს, 1721 წ. ბუდახაშვილი.

**ბერუა ბუდახაშვილი** (ვახუშტი, 18); „აქავ შემკვიდრეები წყალსყურს დავით გარეჯის უდაბნოს ყმა თამაზა, აქავ ამისივე ყმა კიდევ ბუდალასშვილი ავეტიკა, აქავ მისივე ყმა კიდევ ბუდალასშვილი ბერუა 1781 წ". (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 180); 1823 წელს დავით გარეჯის მონასტრის გლეხებად მოიხსენიებიან: **ნაცვალა სოსიას ძე ბუდახაშვილი,** მეუღლე **მაია,** ვაჟები **ნონია, თამაზა, გაბრიელი,** ქალიშვილები **მარიამი, შუშანა; თათო ბუდახაშვილი,** მეუღლე **მაია,** შვილები: **როსტომი, ბუდახა, ნეკრემზონა, ნინო, სოფა, შუშანა; გიორგი ბუდახაშვილი,** მეუღლე **ნინო,** ვაჟები **საკა, იაკობი,** ქალიშვილი **ოსანა; ნიკიტა ბუდახაშვილი,** დედა **მარიამი; გიორგი ბუდახაშვილი,** მეუღლე **ორომსიმა,** შვილი **ფარსადანი,** ქალიშვილი **სოფა,** ძმა **ვანო,** მეუღლე **მათო,** შვილი **ბუდახა,** ქალიშვილი **ნინო, ელისაბედი, ხახანა; ბექან ბუდახაშვილები** (სცსსა, ფ. 254, 1, 8091, 1823 წ. ფურ. 12-13); „ტფილისის უეზიდის სოფ. წალახპურში მცხოვრები **აბრამა გიორგის ძე ბუდალაშვილი** მართლმადიდებლის სარწმუნოებისა პირველითა ქორწინებითა.

ტფილისის უეზიდის სოფელ ფარცხისში მცხოვრები **პავლე ადოლაშვილის** ასული მაგდალინა მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა პირველითა ქორწინებით.

სასიძონი: წალახპურის მცხოვრებნი **ესტატე მათეს ძე ბადრიძე, იაგორა თევდორეს ძე ჩაჩანიძე, აბრამა გიორგის ძე საბაშვილი.**

სასძლონი: „ფარცხისში მცხოვრებნი გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილი, ილიკო ასრაკას ძე კიკოლაშვილი, პეტრე გიორგის ძე კიკოლაშვილი. მღვდელი ზაქარია ბარნოვი, ფსალმ. ილია თეთრაძე" (სცსსა, მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1, 1871 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია).

მოგვიანებით, რუსული გაფორმებით **ბუდალოვები,** ამჟამად **ბუდალაშვილები** (ერტისი, ეშვის წყარო, ვაშლოვანი).

| | |
|---|---|
| ბუზალაძე | 1249 |
| თბილისი | 218 |
| ჭიათურა | 186 |
| ლაგოდეხი | 171 |

**ბუზალაძე** (1886 წ.), მეტსახელი ბუზა (ქიზიყი, გვარებში, **ბუზაშვილი, ბუზიაშვილი** (ალ. ღლ., 93); **ბუზალა** (მეტსახელი გვარში; ბუზალაძე, (იქვე, 93).

1886 წლის აღწერით, სოფ. ბორბალოს მოიხსენიება პავლე ბუზალაძე (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, №702, ფურ. 1-29). (ბორბალო).

| | |
|---|---|
| ბუზიაშვილი | 629 |
| ქარელი | 260 |
| თბილისი | 150 |
| საგარეჯო | 68 |

**ბუზიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. ბუზია (სტატ. ცნ., XVIII ს. 10); ბუზა (მეტსახელი, ქიზიყ გვარებში; ბუზაშვილი (ალ. ღლ., 93).

**ბუზიაშვილი პავლე** მოიხსენიება სოფ. ბორბალოს 1873 წლის აღწერის მასალებში (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, №111, ფურც. 1-4).

**ბულღადარაშვილი** (1721 წ.), სავარ, საკ. სახ.-დან ბულღადაირ (ვ. ინგორ., სვან. 2, 15); **ბულღარა** (იქვე, 21) **ბულღარი** (საბა, 46).

„ქ. საგინაშვილის როსტომის ყმა ბოგვს, 1721 წ. **ბულღადარაშვილი გულია**" (ვახუშტი, 152).

| | |
|---|---|
| ბუნტური | 699 |
| *თბილისი* | *199* |
| *კასპი* | *186* |
| *დედოფლისწყარო* | *80* |

**ბუნტური** (1818 წ.), გვარი უფრო მთაშია გავრცელებული. გვხვდება სახელადაც და გვარადაც. შდრ. ბუნტური-ბუნტურიშვილი.

დიდ თონეთში 1818 წელს მოიხსენიებიან **ბერი** და **გრიგორ ბუნტურები** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №35, ფურ. 38, ფურ. 386-388).

ამავე წელს ნინია ბუნტურის ქალზე ჯვარი დაიწერა კიკოლა ყოჩიაშვილმა, თავდებნი იყვნენ ნინია ყოჩიაშვილი და გლახა ბერიანიძე (იქვე) (დიდი თონეთი).

**ბუნჯილაშვილი** (1721 წ.): „ქ. თაყაიშვილის გიორგისა დიდებას, 1721 წ. იესე **ბუნჯილაშვილი**" (ვახუშტი, 76). (დიდება).

> **ბუქღულაშვილი** 253
> გორი 177
> თბილისი 68
> მცხეთა 2

**ბუქღულაშვილი** (1461 წ.), **ბუქღა//ბუქღულა**: მეტსახელი გვარებში: **ბუქღაშვილი, ბუქღულაშვილი** (შდრ. ი. მაისურ., 39; ალ. ღლ., 34); საკ. სახ. **ბუქღულა** მოხსენიებულია ბარათაშვილთა გაყრილობის სიგელშიც (1523 წ.).

გ. ჯამბურია ვარაუდობს, რომ სოფ. ტბისის ახლოს, ალგეთის მარცხენა ნაპირას, არის სოფ. ბუქღულეთი, საიდანაც უნდა მოდიოდეს აღნიშნული გვარი ან პირიქით // ბუქღულაშვილი – ბუქღულეთი (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდ. ურთიერთობის ისტორია, 1955, გვ. 9) **თევდორე, ნავროზ ბუქღულაშვილები** მოიხსენიებიან 1461 წ. 17 იანვარს, ბატონ ბარათას მიერ ბუქღულაშვილებისათვის მიცემულ წყალობის წიგნში, რომლითაც ირკვევა, რომ ბატონი ბარათა თავიანთ ერთგულ ყმებს აძლევს სოფლებს: ნაქურდევს, წლეპის, ურთხნალას (ხელნ. ინსტ. Hd 14858; ქსძ., VIII, 819); ბერუკა ბუქღულაშვილი მოიხსენიება 1661 წ. ბერუკა ბუქღულაშვილის მიერ პაპუნა გოსტაბაშის-შვილისთვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 39) (ღოლოვნა, ჩხიკვთა, ტბისი).

> **ბურდიაშვილი** 599
> ყვარელი 234
> გურჯაანი 146
> თბილისი 82

**ბურდიაშვილი** (1393 წ.) საკ. სახ. **ბურდია** (იერუს., 96); ამავე სახელის ვარიანტია: **ბურდი, ბურდა, ბურდუ** ( ალ. ღლ., 94); ვირშელი ბურდასშვილი იხსენიება 1393 წ. (ქრონიკ., II, 15); გიორგი, სულხან ბურდიასშვილები 1704 წ. (დოკ., I, 126); ამირან ბურდიასშვილი 1734 წ. (დოკ., I, 240); ბურდიაშვილი სამშვილდეში 1721 წ. (ვახუშტი, 52); 1721 წ. კწანისსა და სამშვილდეს ბურდიაშვილი მოიხსენიება მემამულედ (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 222); ამავე ძირისაა: **ბურდაშვილი** (ქრონიკ., III, 10-11).

> **ბურდულაძე** 285
> **ბურდული** 2713
> თბილისი 1151
> დუშეთი 510
> დედოფლისწყარო 177

**ბურდულაძე, ბურდულა** მეტსახელი გვარებში: **ბუ[illegible]დულაძე** (ალ. ღლ., 94); შდრ. **ბურდი, ბურდა, ბურდუ** გვარებში: **ბურდული, ბურდელაშვილი, ბურდიაშვილი, ბურდილაძე** (ჩხიკვთა).

**ბურდული** (1774 წ.), საკ. სახ. **ბურდი** (კოლხ., 106, ორსანტია, ალ. ღლ., 94); **ბურდუ** (სტუდ. კოლექცია); ბ. მლეთის თემში ცხოვრობდნენ: არახვეთი, ხადა, მლეთი-ქვემო.

ვახუშტის მიხედვით, 1774 წ. ხადას უცხოვრიათ გოგი, გივი, ბერი, ამან, ნიკულა, მახარა, ღარიბა, ხაბა, გივი, მამუკა, ხიზანა, ათაბია, ბურდულებს. აქ მოხსენიებულია გვარები: **ბურდული ესტატეს შვილი, პატარკაცის შვილი, თადილის შვილი, თამაზას შვილი, ამირსანას შვილი, ხოსროს შვილი, ათინის შვილი, ბექანის შვილი.**

გარეშემოს არახვეთს: **ბურდული ხუტაშვილი, ნასყიდაშვილი, მახარებლის შვილი, ბედიანის შვილი, ბექანის შვილი, ნადირას შვილი, გივის შვილი, გურასპის შვილი, მგელის შვილი:** ბ. იყოფიან: **პოვლიანი, შიუკიანი, ხოსროიანი, ვარდანიანი, ჭაბუკიანი, ჭიჭლიანი, ვაჟიკიანი, ბექანიანი, თადულიანი, აფთიანი, ლეგიანი** და სხვა. (მაკალ., მთიულეთი, 78); **გარისის მიწაზე** ბ. გადმოსულან **ხადას ქვემო მლეთიდან** 1886 წ. (შამთა, მანგლისი, თეთრი წყარო).

# გ

| | |
|---|---|
| გაბაშვილი | 557 |
| თბილისი | 333 |
| გარდაბანი | 45 |
| თელავი | 30 |

**გაბაშვილი** (1705 წ.), საკ. სახ. **გაბა** (კოლხ., 92, ბანძა); **გაბო** (გ. ლეონ.; სახელები; ალ. ღლ., 37); **გაბა** – გაბრიელის შემოკლებული ფორმა უნდა იყოს. იხ. **გაბრიელაშვილი**; ებრაული სახელიდან **გაბრიელ,** რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან geber „ქვრივი", „კაცი" და **ელ** „ღმერთი", შდრ. ელია. **გაბრიელ** (ძვ. ებრ.) სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია". მიქელ-გაბრიელი „სიკვდილის მოციქული". გაბრიელი მუსლიმანურ სამყაროში აზრაილს უდრის („სიკვდილის მოციქული").

იხ. იოსებ გაბაშვილი წინამძღვარი – გუჯარი, 1705 წ. (საქ. სიძვ., I, 126); ამავე იოსებს 1712 წ. უთარხნებენ ენაგეთში საკომლოს (იას. ლორთქ., ძვ. კართ., § 71-215).

**ბაგრატ გაბაშვილი,** მდივან-მწიგნობარი – ნასყიდობის წიგნი, 1731 წ.: (საქ. სიძვ., I, 86); 1817 წ. სოფ. ერტისში თავად თურქისტანიშვილის საბუთში მოიხსენიებიან **დათო და პაპა გაბაშვილები** (სცსსა, 254, №1, 477, . 37); **(~გაბატაძე), გაბაიძე, გაბაშიძე, გაბახაძე, გაბიანი, გაბედაური (~ გაბეტაური), გაბედავა (~გაბეტაძე), გაბეტაშვილი** და სხვა. (ილ. მაის., 41).

წინწყაროში მცხოვრები **გაბაშვილები გაბაოლლად** და **ბერძნად** მონათლეს (ერტისი, წინწყარო). (გაბაშვილი ერთ-ერთი წარჩინებული გვარია)

| | |
|---|---|
| გაბაძე | 936 |
| საჩხერე | 497 |
| თბილისი | 203 |
| ლაგოდეხი | 32 |

**გაბაძე** (1858 წ.), საკ. სახ. **გაბა** (კოლხ., 92, ბანძა, ალ. ღლ., 97); იხ. გაბაშვილი.

**კიკოლა გაბაძე** მოიხსენიება 1853 წ. სოფ. ბორბალოში (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 269-270); **მაკარ გაბაძე,** მართლმადიდებელი, ქართველი, მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წლის აღწერაში (254, I, 2043, ფურ. 310-322);გ იქვე, 1873 წ. ცხოვრობდნენ **თომა და ივანე გაბაძეები** (254, 3, 127, №319, ფურ. 175-209).

ამავე ძირისაა **გაბაშვილი** (ბორბალო, დიდი თონეთი).

| | |
|---|---|
| ᲒᲐᲑᲘᲓᲐᲣᲠᲘ | 383 |
| *თბილისი* | *132* |
| *თეთრიწყარო* | *93* |
| *თონეთი* | *31* |

**ᲒᲐᲑᲘᲓᲐᲣᲠᲘ** (1796 წ.), საკ. სახ. **გაბიდა,** გვარში: **გაბიდაური** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 73).

**გაბიდაური** კოლოთადან იხსენიება 1796 წ. ერეკლე II-ის ოქმით შედგენილ ყმების ნუსხაში (დოკ., II, 181); **მახარობელი გაბიდაური** მოხსენიებულია 1873 წლის აღწერით, სოფ. ნამტვრევანში (სცსსა, ფ. 254, №13, საქმე №265, 1973 წ.).

**ᲒᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (XVIII ს. I ნახ.), **გაბილა** (სვან., 7, ცაიში, ალ. ღლ., 97); **გაბილა** (ქსნის ხეობა, ლარგვისი, იქვე); საკ. სახ. **გაბელა;** ამავე ძირისაა **გაბელაია, გაბელია, გაბლიანი,** ~ **გაბლიშვილი;** შდრ. ქართლში გავრც. საკ. სახ. **გაბა;** ამავე ძირისაა: **გაბადაძე (გაბატაძე), გაბაიძე, გაბაშიძე, გაბახაძე, გაბიანი, გაბედაური (~გაბეტაური), გაბედავა (~გაბეტავა); გაბედაძე, გაბეტაშვილი, გაბოძე** და სხვა.

შდრ. აგრეთვე **გაბე, გაბიჩავა, გაბიცინა, გაბიძა (გაბესკირია, გაბეჩავა, გაბიცინაშვილი, გაბიძაშვილი);** „**გაბილ,** ანუ **ზაბილ** გაბიძაშვილი იყო ასული ლეონ III მეფისა. ამან აღზარდა ობოლი ვინმე ყრმა და უწოდა **გაბილა შვილად.** ამის გამო მიიღეს აზნაურობა და შთამომავლებს ეწოდა გაბილაშვილობა“ (საანდაზო ლექსები... 125); **თამაზა გაბილაშვილი** მოიხსენიება ღოლოვანში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ამილღაბარ გოსტაბაშიშვილის ყმების ნუსხაში (საქ. მუზ. Hd №6923; დოკ., II, 30); თადია გაბილაშვილის შვილის ანასტასიას მიმქმელი იყო კოდაში მყოფი იმერელი ბიჭი ბეჟანა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, 1818 წ.).

| | |
|---|---|
| ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 437 |
| *თბილისი* | *159* |
| *მცხეთა* | *79* |
| *ახალგორი* | *42* |

**ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1477 წ.), **გაბრიელ** (ებრ.) „კაცი ღვთისა“, „საღვთო მეომარი“, „ღვთის მცველი (სიმტკიცე)“. მისი შემოკლებული ფორმაა ქართულში (წოდ.) **გაბო** (ზ. ჭუმბ., 139).

**გაბრიელ** (ძვ. ებრ.), „სიმტკიცე, ანუ ძალი ღვთისა“ (დოკ., II, 7); **გაბრიელა** (საქ. სიძვ., III, 322); **გაბრიო, გაბრიელ** (კოლხ., 37, გაჭედილი, ალ. ღლ., 97); **გაბრიელ I,** ქართლის კათალიკოსი VI ს. დასაწყისში, დვინის საეკლესიო კრების (506 წ.) მონაწილე, ქართული ეკლესიის დელეგაციის ხელმძღვანელი (ეპისტოლეთა წიგნი, 8. ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968).

**გაბრიელ II,** ქართლის კათალიკოსი IX ს. 30-50-იან წლებში.

**გაბრიელIII** (საფარელი) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) დროს. წარმოშობით სოფ. საფარიდან იყო და საფარელად იწოდებოდა.

„ბადრი გაბრიელისშვილი მოიხსენიება მოწმედ 1477 წ. ანდერძის წიგნში, რომელსაც მამისა მეჯინიბეთუხუცესი აძლევს ძმისწულს ზაქარიას“ (ქსძ, VIII, გვ. 822); „ქ. ციციშვილის ბადურაშვილის ზაალისა ქ. სამღერეთის მონასტერს: ...**გაბრიელაშვილი გიორგი** 1721 წ. “““ (ვახუშტი, 32).

შდრ. **გაბრილიან** (სომხ.), **გაბრილოვიჩი** (რუს.) (სამღერეთი).

| | |
|---|---|
| ბაბუნია | 6389 |
| *ქუთაისი* | *1350* |
| *თბილისი* | *1232* |
| *წყალტუბო* | *566* |

**ბაბუნია,** საკ. სახ, **გაბუნა** (ალ. ღლ., 97); **გაბა, გაბი+ბლსრთი, -უნ-ა**). ამავე ძირისაა: **გაბუნაშვილი, გაბუნაძე, გაბუნიძე.**

გ. ასურეთში ჩამოვიდნენ ამბროლაურის რ-ის სოფ. სხვავადან 1951 წელს.

| | |
|---|---|
| ბაბელიძე | 240 |
| *თბილისი* | *94* |
| *დუშეთი* | *93* |
| *მცხეთა* | *23* |

**ბაბელიძე** (1721 წ.), საკ. სახ. **გაგელა** (საქ. სიძვ., II, 302); **გაგელა** (ალ. ღლ., 97); ქ. ყლგძელის ნიკოლოზისა; ქ. სთონეთს 1721 წ. **გაგელიძე ბერუკა**“ (ვახუშტი, 158); ჩხიკვთელმა **ივანე გაგელიძემ** 1871 წ. თავისი ასული **მართა** ღოუბანში გაათხოვა პავლე პეტრეს ძე **აბულაშვილზე** (მატრ. წიგ. ფ. 489, აღწ. №9, თეთრი წყარო №1, დიდი ენაგეთის წმ. ეკლესია).

სოფ. ჩხიკვთაში 1871 წელს **ივანე ფილიპეს ძე გაგელიძეს** ქალიშვილი **მარიამი** მოუნათლა კნეინა მარიამ ბარათოვის ასულმა (იქვე); შიო ფილიპეს ძე გაგელიძე 1882 წელს არის ჩხიკვთელი ივანე ფილიპეს ძე გაგელიძის ასულ ელისაბედის თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

შდრ. **გაგანაშვილი,** საკ. სახ. **გაგანა,** მისი შეკუმშვით მიღებულია **გაგნა;** ფუძისეულია **გაგა;** ამავე ძირისაა: **გაგაშვილი, გაგაძე, გაგელიძე** (←**გეგელიძე**), **გაგია...** (ი. მაისურ., 41) (თონეთი, ჩხიკვთა).

| | |
|---|---|
| ბაბნიძე | 3741 |
| *თბილისი* | *1559* |
| *ხაშური* | *309* |
| *თელავი* | *298* |

**ბაბნიძე,** სავარ. მეტსახელიდან **გაგანა. გაგანა,** მეტსახელი გვარში: **გაგანაშვილი. გაგანა//გაგნი.** ამავე ძირისაა **გაგა, გაგი.**

**გაგნიძე გიორგი, გაგნიძე პაატა, გაგნიძე**

**ნინია, გაგნიძე პაპტა, გაგნიძე ხარება** (საქ. სიძვ., II, 127).

გ. ასურეთში ჩამოსახლდნენ ქლუხორიდან 1957 წელს.

| | |
|---|---|
| ᲒᲐᲒᲣᲐ | 4526 |
| თბილისი | 919 |
| მარტვილი | 826 |
| სამტრედია | 534 |

**ᲒᲐᲒᲣᲐ,** საკ. სახ. **გაგუ** (სვან.,1, მესტია), **გაგუ** (კოლხ., 104, მუხური); **გაგუა** (ხევსურ., ბარისახო, ალ. ღლ., 97); „გაგუა მიიღება საკ. სახ. გაგანა-საგან. **გაგანას** შეკუმშვით მივიღებთ **გაგნა;** მისი ძირეულია **გაგუა, გაგუნაშვილი, გაგულია, გაგუ-ჩაშვილ...** (Ი. ᲛᲐᲘᲡᲣᲠ., 41).

**ᲒᲐᲒᲣᲚᲘᲫᲔ** (1721 წ.), საკ. სახ. **გაგო, გაგული, გაგულ, გაგუ-ლა** (ალ., ღლ., 97); „ქ. ყელგძელის ნიკოლოზისა ქ. თონეთს, 1721 წ. **გაგულიძე მამულა:** (ვახუშტი, 158).

| | |
|---|---|
| ᲒᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 947 |
| გორი | 315 |
| თბილისი | 175 |
| ქარელი | 160 |

**ᲒᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), საკ. სახ. **გაზა** (კოლხ., 79, ბარლები (ალ. ღლ., 98); **გაზ** (სპ.) სიგრძის საზომი ერთეულია

**გალატოზიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. გალატა-ზა (პ. ᲘᲜᲒᲝᲠ., სვან. 2, 110), სავარ. **კალატოზიშვილი.** „ქ. საგინაშვილის ბეჟანის ყმა ბოგვს: ...**გალატოზიშ-ვილი დეკანოზი,** 1721 წ.“ (ვახუშტი, 151).

შდრ. **კალატოზი** (ბოგვი).

**ᲒᲐᲚᲐᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **გაილაჯა, გალაჯა.** „ქ. არის ყაფლანიშვილის მამული და მისი ყმები... ქ. შავსაყ-დარს... **გალაჯაშვილი,** 1721 წ. (ვახუშტი, 213).

**ᲒᲐᲚᲔᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **გალეტა** (სცსსა, 1449, №622); „ქ. ნახიდურს... **გალეტაშვილი თამაზა,** 1721 წ.“ (ვახუშტი, 19); ამავე ძირისაა: **გელიტაშვილი** (ქ. გოჩაშვილის ყმა უგუდეთს გე-ლეტაშვილი ნასყიდა (ვახუშტი, 41).

**ᲒᲐᲚᲘᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), თხზული შედგენილი სახელი **გალი+ჯანა.** შდრ. **ბეგიჯანა, ველიჯანა, ამირჯანა, მამაჯანა, მარიჯანა (მარიჯანაშვილი), მამიჯანა, ახიჯანა (ახიჯანასშვილი), გიორგიჯანა (გიორგ-იჯანიშვილი)... გალიჯანაშვილი ველიხანა** მოიხსენიება დურნუკში 1721 წ. (ვახუშტი, 108).

| | |
|---|---|
| ᲒᲐᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 206 |
| თბილისი | 155 |
| გარდაბანი | 35 |
| რუსთავი | 6 |

**ᲒᲐᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1823 წ.(, საკ. სახ. **გალა** (გალაქ-ტიონ, კოლხ., 53, თეკლათი, ალ. ღლ., 9); **გალაქ-ტიონ** (ბერძ. რძისა, რძიანი; **გალაქტიკა** – რძის გზა); კნინობითი ფორმებია: **გალო, გალუა...**

**მიქელ დავითის ძე გალუაშვილი,** მეუღლე დარეჯანი, ძმები გიგოლა, ზაქრო, პეტრო გალუაშვილები, დედა ხამფერევანი სოფ. ლოუბანში მოიხსენიებიან 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36).

**ᲒᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.) საკ. სახ. **გამა** (არქ., 1905, წალენჯიხა); **გამა** კოლხ. გამ. 5; ალ. ღლ., 98). 1817 წლის აღწერით სოფელ ვაშლოვანში მოიხსენიება **ნინია გამაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36).

ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
350
*ზესტაფონი 89*
*ქარელი 87*
*თბილისი 51*

**ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), **გამრეკელ**-ი, უძველესი ფეოდალური საგვარეულო მესხეთში. „**ძველთა მთავართა გვარი**" (ქართლ. ცხ., IV; **გამრეკელთორელები** XII ს-ში ფლობდნენ თმოგვის ციხეს, მონღოლთა ბატონობის დროს **გამრეკელ-თორელი** ჯავახეთის მმართველი იყო (ქართლ. ცხ., II, 208); საკ. სახელადაც გვევლინება; **გამრეკელი კახას ძე, გამრეკელჯავახიშვილი** (იქვე, 38, 317-320); სამხედრო თანამდებობის ტერმინიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ამავე ძირისაა: **გამრეკელაშვილი, გამრეკელიძე, გამრეკლიძე** (ი. მაისურ., 42-43); ბორბალოში მცხოვრებ **სვიმონ გამრეკელაშვილს** 1829 წელს ეყოლა ვაჟი. განათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი უწოდა შიო. ნათლია იყო თანსოფლელი ნიკოლოზი (489, აღწ. 6, №76, ფურ. 2); პავლე გამრეკელაშვილს ამავე წელს შეეძინა ვაჟი. მონათლა ასურელმა დიმიტრიმ დაარქვა გიორგი. შიო, გაბრიელ და მამუკა გამრეკელაშვილები მოიხსენიებიან სოფ. ბორბალოს 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 252, №1, საქმე 477); 1879 წელს ბორბალოელმა **ივანე ივანეს ძე გამრეკელაშვილმა** შვილი ივანე მოუნათლა პატარა ენაგეთში მცხოვრებ **ანდრია შიოს ძე მესტვირიშვილს** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
79
*თერჯოლა 33*
*გორი 10*
*თბილისი 8*

**ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1829 წ.), საკ. სახ. **გამსახურდი, გამსახურდა** (ივ. ჯავახიშვ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 17; ალ. ღლ., 98); **გამსახურდი ამისაშვილი** (ნ. ბერძ., დოკ., I, 81); ღოუბნელმა იოსებ გამსახურდაშვილმა 1829 წელს ჯვარი დაიწერა მარაბდელ **ტეტია ოძელაშვილის** ქალ ელისაბედზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **აბრამ ხუროშვილმა.** თავდები იყვნენ **ივანე კიკოლაშვილი, ნიკოლოზ ხიდაშელიძე, სტეფანე ასლანაშვილი, ნინია ბერაშვილი** (489, აღწ. 6, №76, ფურ. 4); „ტიფლი-

სის უეზიდის სოფელ მარაბდას მცხოვრებმა საეკლესიო ყმამ, 33 წლის **იორდანე გამსახურდიშვილმა** პირველი ქორწინებით იქორწინა ბორბალოში მცხოვრებ საბატონო ყმის **ბიძინა ჩალაძის** ასულ ანასთან, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **ანტონ ციმაკურიძემ**. თავდებად იყვნენ: ვაჟის მხრით, **შერმაზან ხუციშვილი, შალვა გულდამაშვილი,** ქალის მხრით: **პაპა ვარსიმაშვილი, კვირია ქებაძე**" (489, №6, 121 ბ, ფურ. 33); „სოსია გამსახურდაშვილი 1828 წელს სოფელ მარაბდაში არის **ზაქარია ბასაშვილის** მეჯვარე. მასთან ერთად მოიხსენიებიან **დავით ყაჟაჩოშვილი, იოსებ ბერსიაშვილი, ნინია მელვინისშვილი**" (489, №6, § 7, ფურ. 11); მარაბდელ საეკლესიო ყმას იოსებ იოანეს ძე გამსახურდისშვილსა და მის კანონიერ ცოლს ბარბარეს 1834 წელს ეყოლათ ქალი ელენა (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 203, ფურ. 32).

**გარდუკეტაშვილი** (1781 წ.), სავარ. მეტსახელიდან **გარდუკეტა (დაუკეტა)**. შდრ. **საბასკომბლიშვილი, გოგრისყელაშვილი, გამტკიცულაშვილი, გობირახაშვილი, გორიგლეჯიაშვილი**. მარაბდას თაყაშვილი დავითის ყმა... **გარდუკეტაშვილი თევდორე**, 1781 წ. (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 170).

**გარისელაისძე** (1250-1260 წწ.), შიომღვიმის სიგელში (№38) 1250-1260 წწ. აღნიშნულია: „ნაშენებისა მათისა ნაცვლად ი" ეს გამზრდელსა გარისელაის ძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათვის. და მის გარისელაის ძისა სულისა სალოცავად თორმეტი კოკაი გაუყოფლისა ტკბილისაგან აიღების მ[ისა]დ სალოცავად ყ"თა წელიწადთა და ამისა სანაცვლოდ შენ ზოსიმეს გამზრდელმან ი'ე გარისელაის ძისა სულისა სალოცავად: თევდოროობისა პარასკევსა" (თ. ჟორდ., ქრონიკ., II, 150).

შდრ. დასახლებული პუნქტი **გარისი** (დღევ. თეთრი წყარო).

| | |
|---|---|
| გარსევანაშვილი | 25 |
| *დუშეთი* | *9* |
| *თბილისი* | *4* |
| *ყვარელი* | *12* |

**გარსევანიშვილი//გარსევანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გარსევან** (დოკ., I, 47); გარსევან ეტიმოლოგია უცნობია; შესაძლოა მომდინარეობდეს სპარსულ **გარსევაზ**-ისაგან, რაც „მცირე ძალის მქონეს" ნიშნავს (იხ. ზ. ჭუმბურ., 329); ნ. **გარსევან სამაღალნიშვილი** (სამაღანიშვილი) წყალობის წიგნში 1518 წ., რომელსაც **შიოშ ფალავანდისშვილი** აძლევს **გიორგი გულიკაშვილს** (დოკ., I, 6); **გოზაურა გარსევანასშვილი**

გარსევანიშვილი 25
თბილისი 272
გურჯაანი 55
გარდაბანი 35

იხსენიება 1736 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (1736 წ.), რომელსაც ზაზა სოლაღაშვილი აძლევს ქსნის ერისთავ შანშეს (დოკ., I, 249); **ანდრია, იოვანე გარსევანასშვილები** იხსენიებიან ნასყიდობის წიგნში (1745 წ.), გაცემულია **პაპუნა როჭიკაშვილის** მიერ **გიჭიყრელისა** და სხვებისადმი (საქ. მუზ., №14, 189 hd); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს; ...**შიო გარსევანიშვილი** 1721 წ.; (ვახუშტი, 229).

ამავე ძირისაა **გარსევანისძე, გარსიაშვილი, გარსუაშვილი** (ლიპი, დ/თონეთი).

გარსევანიძე 75
თბილისი 52
ახმეტა 13
საგარეჯო 5

**გარსევანიძე** (1843 წ.), **გარსევან** ეტიმოლოგია იხ. გარსევანიშვილთან. „ბერუა გარსევანაშვილი, მოიხსენიება დ/თონეთში 1843 წ“. (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 254. 310-322); „გიორგი გარსევანიძე“, იქვე, 1873 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფურც. 175-209), იხ. **გარსევანიშვილი** (გარსევანიშვილი თავად-აზნაურული გვარი იყო).

**გარსუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გარსევან**. კნინობითი ფორმებია: **გარსა, გარსია, გარსო, გარსოა** (ალ. ღლ., 99); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, ქ. ენაგეთს, 1721 წ. **გარსუაშვილი** (ვახუშტი, 5); შდრ. **გარსევანიშვილი, გარსევანიძე**.

გასპარაშვილები დღეისათვის რუსული ფორმანტი ოვი-თ არიან ჩაწერილი შდრ. გასპაროვი 313

**გასპარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გასპარ-ა, გასპარ** ერთ-ერთი ბიბლიური მოგვი (სპ.), ქრისტიან ხალხებშიც ვხვდებით. ეს სახელი სომხებშიც გვხვდება XIII-XV საუკუნეებიდან. მისი შემოკლებული ფორმაა გსპე (ც. გ. დურგარიანი, საკ. სახ. ლექს., 27); **გასპარა** გვხვდება 1677 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც **შაღუბათა ბერუაშვილი** აძლევს **დოლმაზა შანშიას-შვილს** (საქ. მუზ. №10, 252, Hd, დოკ. I, 55); **გასპარა** საბუთის დამწერი იხსენიება 1678 წ. შვილის გირავნობის წიგნში (დოკ., I, 58); **გასპარა ბასტამაშვილი,** შერაშაშვილი (იქვე, 322, 249); **პაპუნა გასპარაშვილი** მოიხსენიება 1724 წ. პირობის წიგნში, რომელსაც **გიორგი კაციასშვილი** აძლევს პაპა **ხატოასშვილს** (საქ. მუზ. №470 Ad; დოკ., I, 203); „ქ. ბატონიშვილის სვიმონისა ქ. ნახიდურს: ...**გასპარაშვილი ლამაზა,** 1721 წ.“

(ვახუშტი, 19). შდრ. (სომხ.) გასპარიანი (ნახიდური, სამღერეთი).

ბებეშიძე 1944
*თბილისი 469*
*სამტრედია 431*
*ქუთაისი 164*

**ბებეშიძე, გებე** მეგრ. სიტყვა-სიტყვით: **ყმა** (გებე წმინდა გიორგის აღნიშნავს. იხ. ა. შანიძე, მაცნე, №2, 1967, 198). გ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს ამბროლაურის რ-ნის სოფ. ნიკორწმინდიდან.

გელაძე 2870
*თბილისი 569*
*ყაზბეგი 183*
*ტყიბული 155*

**გელაძე** (1843 წ.), **გელა** ქართული სახელია: თუშური დიალექტოლოგიის ლექსიკონით **გელა/ /„მგელი“**. ძველად გვხვდებოდა აგრეთვე **მგელია, მგელიკა** (ამ სახელს უკავშირდება გვარები: მგელაძე, გელაშვილი, გელიაშვილი, მგელიაშვილი, გელუკაშვილი და სხვა). საეკლესიო კალენდრის მიხედვით მათი შესატყვისი სახელებია **ლუპე, ლვიკარიონ** (ზ. ჭუმბ., 140); დიდ და პატარა თონეთში 1843 წ. აღწერით მოიხსენიებიან: **მაკარი გელაძე** (1843 წ.), **თომა** და **ივანე გელაძე** (1873 წ.) (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფ. 175-209). **გელაშვილი,** სომხებთან **გელ** (მგელი) მგელს ნიშნავს.

გელდიაშვილი 494
*ქარელი 152*
*თბილისი 107*
*ახმეტა 72*

**გელდიაშვილი** (1707 წ.) საკ, სახ. **გელდია** (გ. ლეონ., შდრ. **გელდი** „მოვიდა“, ამანგელდი „წყალობა მოვიდა“ (თურქ.).

**ბერი გელდიაშვილი** მოიხსენიება სოფ. მოხისში 1707 წ. პირობის წიგნში, მიცემული ბერი გელდიაშვილის მიერ არდაშელ ზუბულიძისადმი (დოკ., I, 133). (მოხისი).

გელიაშვილი 1141
*თხილნარი 322*
*მცხეთა 191*
*დუშეთი 172*

**გელიაშვილი** (1713 წ.). საკ. სახ. **გელია//გელა.** იხ. **გელია//გელა//** (საქ. სიძვ., III, 464); **გელია ყოდაშვილი** (იქვე, 466); **გელია ღოუბნელი** (დოკ., II, 83); **გიორგი გელიაშვილი** მოიხსენიება 1713 წ. გაყრილობის წიგნში, რომელსაც კათალიკოზი დომენტი აძლევს ამილბარ და სხვა მაღალაძეებს (სქ. მუზ., Hd №8257; დოკ., II, 17); **ლევან გელიაშვილი,** მეუღლე **ელისაბედი,** შვილები: **მიქელა, ვანო, ანა, თამარი** 1823 წელს აღირიცხებიან ბორბალოში (სცსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 77-83); **გელა** ძირის პროდუქტიულობა აყენებს საკითხს მის ეთნონიმურ წარმომავლობაზე, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული სკვითური ტომის

სახელწოდება **გელა, გელონი, გელონო, გელონოსი,** ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველებთან ურთიერთობაში მყოფი, მათი მეზობელი ტომთაგანი უნდა ყოფილიყო (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტ.-ეთნოლ. პრობლ., 116-120); გადმოცემით გელაშვილების სალოცავი ტაძარი გელათი ყოფილა (ი. მაისურ., 44); გ. ძირია **გელა.** შდრ. **გელავა, გელაძე, გელეიშვილი, გელეხავა, გელოვანი, გელუტაშვილი** და სხვა. (ბორბალო).

| გელიტაშვილი | 346 |
|---|---|
| თბილისი | 190 |
| კასპი | 80 |
| გურჯაანი | 53 |

**გელიტაშვილი//გულიტაშვილი** (1713 წ.), საკ. სახ. **გელიტა** (გ. ლეონ., სახელები); **გელიტა** (ვახუშტი).

**გიორგი გელიტაშვილი** გვხვდება წყალობის წიგნში 1713 წ. (სიძვ., I, 129); **გელიტასშვილი ხაბაზი** – 1736 წ. თებერვლის 25-ს თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ელიზბარ და სხვა **სოლაღაშვილების** მიერ მელქოა **საქუაშვილისათვის** (დოკ., I, 253); **გელიტაშვილი მელაძე** – 1745 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული **პაპუნა როჭიკაშვილის** მიერ **გიჯიყრელისა** და სხვებისადმი (დოკ., I, 413); დავითა, წოდორელი, ოთარა, ბერიკა, ევანეზა, ლუარსაბ გელიტაშვილები (დოკ., II, 65, 53, 449, 44, 39); „ქ. ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმა ქ. აგვდანეთს: ...**ევანეზა გულიტაშვილი** 1721 წ." (ვახუშტი, 43); **სოსია გელიტაშვილი,** მეუღლე **ანასტასია,** ძმები **გიორგი, ელიზბარი** მოიხსენიებიან დიდ ენაგეთში 1823 წელს (სცსსა, ფ. I, 802, ფურ. 5-18); დიდ ენაგეთელი ღვთისია პეტრეს ძე გელიტაშვილი ნათლავს შვილს ბარბარეს. მიმქმელი ყოფილა თანასოფლელი სოლომონ გიორგის ძე **მენაბდიშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ.-წყ I, 1877 წ.); ხვთისო ბერიას ძე გელიტაშვილი, შვილი პეტრე, ხვთისოს ძმები: დათუა, ივანე, გოგლა, დემეტრე, ზაქარია მოიხსენიებიან დიდ ენაგეთში 1873 წელს(სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); დიდ ენაგეთში მცხ. ესტატე ელიზბარის ძე გელიტაშვილის ვაჟს, სიმონს, 1874 წელს ნათლავს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. მიმქმელი ყოფილა თანასოფლელი ზაქარია გლახას ძე **ამურველაშვილი** (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ...სახელმწიფო ყმა ღვთისია პეტრეს ძე გელიტაშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე გრიგოლის ასული ნათლავენ შვილს დარიას. მიმქმელი ყოფილა თბილისელი **მოსე სახლისაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9,თ-წ. 1, 1881წ.).

ამავე ძირისაა **მგელიტაშვილი** (იხ. მღრთისია, ბერუა, იქვე, 10, 91), **გელუტაშვილ** (აგვაღნეთი, ვაკე, დიდი ენაგეთი).

**ᲒᲔᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **გელუა,** ნასყიდობის წიგნი, 1789 მკათათვის 10 (საქ. სიძვ., II, 475); **გელუანი** აბესალომ „ქვანისა ერისთავი" (იქვე, 515); **გელუა** (ვახუშტი); „ვაშლოვანს, 1781 წ. დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმად იხსენიება **ნიკოლოზ გელუაშვილი**" (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 167).

**ᲒᲔᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1700 წ.). მამაკაცის საკ. სახ. ᲒᲔᲛᲐ (კოლხ., ტოპონიმიკა, I, 73, ოქუმი, ᲐᲚ. ᲦᲚ., 100); **გემია** – ქალის საკ. სახ. (ალ. ღლ., 262); აქედან სახელი **გემა+ნა.**

სოფ. მოხისში **გემანაშვილი** მოიხსენიება 1700 წელს.

**ᲒᲔᲠᲒᲘᲫᲔ** (1676 წ.), საკ. სახ. **გერგი (–გეორგი), ლობიტა გერგიძე** მოიხსენიება მოწმედ სოფ. ტბისში 1676 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დურმიშხან ფალავანხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბაშვილისადმი (საქ. მუზ. ფ. Hd №7596).

ამავე ძირისაა: **გერგაია, გერგაული, გერგია, გერგიშვილი, გერგუჩაძე...** (ტბისი).

ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ 14582
*თბილისი 2798*
*ქუთაისი 2256*
*ვანი 1112*

**ᲒᲔᲝᲠᲒᲐᲫᲔ//ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ** (1817 წ.), საკ. სახ. **გიორგა** (დოკ., I, 22); **გიორგა,** შემონახულია გვარში: **გიორგაძე** (ᲐᲚ. ᲦᲚ., 103); იხ. **გიორგიშვილი.**

1817 წ. აღწერით სოფ. ბორბალოში თავად ნინია იოსების ძე სოლაღაშვილის ყმად მოიხსენიება **ივანე გეორგაძე** (სცსსა, ფ, 254, №1, საქმე 477). იქვეა გეორგაშვილი (მოგვიანებით იმერლიშვილი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 143
*თბილისი 92*
*გორი 30*
*თერჯოლა 7*

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ბარათაშვილი//ბახურაული** (XVII ს.), საკ. სახ. **გერმანოზ-ი** (საქ. სიძვ., II, 153); (ლათ. **გერმან. გერმანე** „ღვიძლი ძმა", **„ოზ"-** ზედსართავი სახელის დაბოლოება. შდრ. **რომანოზ, ფარნაოზ, სტეფანოზ, დეკანოზ**)...

**გერმანოზ ბარათაშვილი, ძე ქავთარ ბარათაშვილისა,** 1523 წ. იხსენიება ძმებთან ერთად (იხ. **გერმანოზიშვილები**); **გერმანოზ გერმანოზიშვილი – ბარათაშვილი,** მამა ოთარის, პაატასი და ვარაზასი, 1638 წ. (საქ. სიძვ., I, №416) შვილებთან ერთად მცოვრეთში ყიდულობს სავენახე ადგილს; **ოთარ გერმანოზიშვილი-ბართაშვილი, ძე გერმანოზისა,** გერმანოზიშვილი-ბარათაშვილი პაატა, ვარაზა, პაპუნა, გუგუნა, დათუნა, პაატა (მეორე),ოთარი, გერ-

მანოზ, ძე იესესი, ძმა ოთარის, პაპუა, გუგუნა, ნიკოლოზ...; გერმანოზიშვილებს 1712-1755 წლებში ჰყოლიათ ყმები 18 სოფელში: ქციაში, აბელიაში, ანდრიაში, ალგეთში, ჩხეკვში, ზაში, მცოვრეთში, ტბისში, მარაბდაში, მუხათში, ენაგეთში, ვერხვნალში (საქ. სიძვ., I, №330); ღოუბანში მცხოვრები **ნინია გერმანოზიშვილი** 1818 წ. ნათლავს ვაჟს დავითს (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 145); **გერმანოზიშვილი გერმანე** ნათლავს ქალიშვილ **ელისაბედს**, მიმქმელი ყოფილა ღოუბნელი კიკოლა ზურაბაშვილი (იქვე); **ნინია გერმანოზიშვილი-ბახურაული (ბახურა,** საკ. სახ. მთიულ. ფასანაური), მეუღლე **მარიამი,** ვაჟები დავითი, ზაქრო, ძმები გიორგი, მეუღლე ნინო, ქალიშვილები სალომე, საბედა, ნათლული გლახა, მეუღლე ანა, შვილი გერმანე, დედა ხანუმა იხსენიებიან 1823 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-93); მარაბდას მცხოვრები ზაალ გერმანოზიშვილი 1826 წ. სოფ კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელ აბრამ ხუროშვილს (ხუროევი) ანათვლინებს ქალიშვილს, რომელსაც სახელად უწოდეს **პულღერია** (489, 6, №28, 1826 წ.); ღოუბანში მცხოვრებ გიორგი გერმანოზიშვილს დაებადა ქალი, მონათლა ერტისის წმიდა გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელმა გიორგი აზარიევმა, სახელი უწოდა ივანე (489, აღწ. №6, საქ. №31, ფურ. 154, 1826 წ.); ღოუბანში მცხოვრებ დავით გერმანოზიშვილს მოუკვდა ცოლი **ანა.** აზიარა და აღსარება ათქმევინა წმინდანთა კოდის წმიდა გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელმა აბრამ ხუროშვილმა, სახელი ეწოდა **პულღერია** (იქვე, ფურ. 171).

გეტაშვილი 26
*თბილისი 25*
*კასპი 1*

ცეცხლაძე 6463
*ქობულეთი 1778*
*ოზურგეთი 850*
*ხელვაჩაური 456*

**გეტაშვილი//ცეცხლაძე** (1823 წ.), მეტსახელი **გეტა,** სახინჯარი **გეტაანი,** სოფ. მუხათში სამი ძმა ა.,ე., ი. ღარიბაშვილებისა. საკ. სახ. **გეტო** (თუშ. ალვანი, ალ. ღლ., 101); **პეტრე გეტაშვილი,** იგივე **ცეცხლაძე,** მეუღლე **მართა,** შვილები **გრიგორი, მაია,** მოიხსენიებიან სოფ. დიდ ენაგეთში 1823წლის კამერულ აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18). (დიდი ენაგეთი.)

**გვარაშვილი** (1721 წ.). საკ. სახ. **გვარა** (ალ. ღლ., 101), მოიხსენიება ვახუშტის 1721 წ. აღწერაში.

ამავე ძირისაა: **გვარაძე, გვარიშვილი** (იგივე **დადეშქელიანი**),

გვარიძიშვილი (ასურეთი). **გვარაძე** იყო სახელიც. **გვარაძე სეხნიაშვილი** მოიხსენიება 1731 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც პაპუა და ოსმანა გერმანოზიშვილები აძლევენ ქაიხსორო ორბელისშვილს (დოკ., I, 233); „...აბაშიშვილ დავითისა უკანდაღეთს **გვარაძე გიორგი**" (ვახუშტი, 117); „თონეთში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხს **ნინია იასეს ძე გვარაძესა** და სჯულიერსა ცოლსა მისას **მარიამ საბას ასულს** 1832 წელს დაებადათ ვაჟი – **გაბრიელი**. მიმქმელად იყო თანასოფლელი გიორგი კაკალას ძე კაკალაშვილი" (ფ. 489, აღწ. 6, საქ, 150, ფურ. 50); „...**გვარა გვარაძე** 1843 წ. მოიხსენიება ღოლოვანს". სოფ. ერტისში მცხოვრები **იაკობ გვარიძე** 1818 წელს ნათლავს შვილს იოანეს. ნათლია ყოფილა იმერელი სვიმონა, ვინაიდან მღვდელმა აზარიაშვილმა ხელმოწერა არ იცოდა, ხელს აწერს მღვდელი აღნიაშვილი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 146).

ამავე ძირისაა: **გვარაშვილი, გვარიშვილი (–დადეშქელიანი)** (ერტისი, თონეთი, უკანდაღეთი, ღოლოვნა).

| |
|---|
| ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ 1456 |
| *თბილისი 497* |
| *ახალციხე 122* |
| *ახალქალაქი 116* |

**ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ//ᲒᲣᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲫᲔ//ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔ** (1310 წ.), საკ. სახ. **გვარამა, გვარამი (~გუარამი).**

ისტ. ცნობილია **გუარამ//გვარამ კურაპალატი ერისთავი გვარამ+678** (ქრონიკ., I, 71).

**გვარამ (გუარამ) მამფალი** (გ. 882). IX ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, აშოტ I დიდის უმცროსი ძე, ბაგრატ I კურაპალატის თანამართველი, ბაგრატიონთა ტაოს შტოს ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. წარმატებით იბრძოდა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. შეიპყრო თბილისის ამირა გაბულოცი და ბიზანტიაში გაგზავნა დატყვევებული. დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი (აშოცი) და არტაანი (ამ დროს უნდა მიეღო მას „მამფლის" ტიტული). სამცხეში აუგია ციხეები – ოძრხე, ჯვარის ციხე და ლომსიანთა (ქსე, ტ. 3, 133); **გვარამ ერისთავი ადარნასეს ძე** (ქრონიკ., I, 71); **გვარამ ერისთავი სოლომონის ძე** (იქვე, 67); **გვარამ ნასრას მამა** (XV); „...ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგეცით სამამულოდ შენ ვაჩე გუარამის ძესა, ჩუენსა მსახურთუხუცესსა ... კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორმაშენი ყოველი..." (სინოდის კანტ. ნუსხა №507, 1310-1318 წწ., ქრონიკ., —, 176); **ლომაი გვარამაძე** იხსენიება ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის წიგნში 1697 წ. 21 მაისს (სიძვ., II, 172); „ზაალ,

იესე, იორამ, ლომი, ნიკოლოზ, რევაზ, სეხნია **გვარამაძეები** იხსენიებიან ანუკა ციციშვილის ქალის წყალობის წიგნში, რომელიც უბოძა ლომი გვარამაძეს 1701 წ.“ (სიძვ., III, 147).

> გველესიანი 2683
> *თბილისი 834*
> *ზესტაფონი 401*
> *ჭიათურა 294*

**გველესიანი** (1817 წ.). **გიორგი გველესიანი** მოიხსენიება 1817 წ. კამერულ აღწერაში (სცსსა, ფ. 252, №1, 2043, ფურც. 269-270); შდრ. **გეფხვაძე, კვერნაძე, მელაძე, ფოცხვერაშვილი, ტურაშვილი, კურდღელაშვილი**... აგრეთვე გველებიანი, **გველუკაშვილი, გველუკიშვილი, გველიკურაშვილი** (ბორბალო).

> გვრიტიშვილი 1153
> *თბილისი 382*
> *დუშეთი 178*
> *ახალგორი 118*

**გვრიტიშვილი** (1873 წ.), **გვრიტა//გვრიტ-ი**, მეტსახელი, გვარებში: **გვრიტიძე, გვრიტიშვილი;** ქალის საკ. სახ. **გვრიტა** (ალ. ღლ., 102); „...ფრინველთა სახელები გვაქვს შემდეგ გვარებში: **გვრიტიშვილი, გნოლიძე, კაკაბაძე, კარანაძე (←ყარანაძე), ყორანაშვილი**...“ (ზ. ჭუმბ., 316); არაგვის ხეობის აღწერის მონაცემებით (1774 წ.) გვრიტიშვილებს უცხოვრიათ მთიულეთის სოფლებში: მეჯილაური და სოდევი (ვახუშტი... აღწერა მეწინავე დროშისა...); ღვევის საზოგადოების სოფ. შამთაში 1873-1886 წწ. აღწერებში მოიხსენიება **ივანე გვრიტიშვილი** (სცსსა, ფ. 254, №3, 1635, ფურ. 15-32).

ამავე ძირისაა **გვრიტაძე//გვრიტიძე**, შდრ. **გვრიტიძე** 38 სული (თელავი 22, თბილისი 5, გორი 2). (შამთა, შეხვეტილა).

> გზირიშვილი 1182
> *თბილისი 288*
> *კასპი 246*
> *საგარეჯო 181*

**გზირიშვილი//იმრავლეშვილი** (1721 წ.). სამოხელეო ტერმინი **გზირი**. **გზირი** სხვათა ენაა, ქართულად **შულტა** ჰქვია (საბა, 68); **შულტი** გზირი (საბ, 405).

**გიორგი გზირიშვილი** მოიხსენიება ნასყიდობის წიგნში 1746 წ. (სიძვ., III, 221); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის ზაალისა ქ. სამღერეთს, ...ზურაბა გზირიშვილი 1721 წ.“ (ვახუშტი, 31); **თევდორე გზირიშვილი,** იგივე **იმრავლეშვილი,** მეუღლე **ელენე,** ვაჟები **გიორგი, აზრუა, გრიგოლი, პეტრე** გადმოსულან გორის მაზრის სოფ. ქვახვრელიდან (სცსსა, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 5-18); დიდი ენაგეთის სიმონ გრიგორის ძე გზირიშვილი 1871 წელს ნათლავს შვილს გრიგორს, მიმქმელი ყოფილა თანასოფლელი

იოსებ ბეკურაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); იასე ბერიას ძე გზირიშვილი, ძმები ოედო, დავითი, პეტრე თევდორეს ძე გზირიშვილი, შვილი გიორგი. სიმონ გიგოლის ძე გზირიშვილი იხსენიებიან 1873 წ. დიდ ენაგეთში (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1) აქვე, 1883 წ. თევდორე ბერიას ძე გზირიშვილი ნათლავს შვილს ნინას, მიმქმელი იყო გრიგორ ქოჩორაშვილის ასული გაიანე.

შდრ. **მელიქიშვილი, მელიქიძე, მამასახლისი, მამასახლისაშვილი, ნაცვლიშვილი, ნაცვალაძე** და მისთ. (დიდი ენაგეთი, სამღერეთი).

ბიბაური 4516
თბილისი 1442
გორი 664
დედოფლისწყარო 238

**ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ** (1690), საკ. სახ. **გიგა, გიგაურა** (ალ. ღლ., 102); **გიგაური** (ვახუშტი, 481).

**ნ. გიგაური გიგინა**, ვენახის ნასყიდობის წიგნი, 1690 წ. 10 მაისი „არიან ამის მოწმენი გიგაური გიგნია... სულად ოძელნი და გრემისხეველნი“ (საქ. მუზ. Hd); ყმის დანებების წიგნი; ბეენა გიგაურის მიერ ბექან რატიშვილების სახელზე გაცემული 1776 წ. (საქ. მუზ. ფ. Hd №2758); **მთიულეთში მცხოვრებ გიგაურთა „ნაყარი“ შტოებია: გუდაშვილი, მამულაშვილი, პაპიაშვილი, ხარებაშვილი, ჩიტაური, ბულალური, გოგიშვილი, ჯიქური, ბუჩაანი** (ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთი, 18); ვახუშტით არაგვის ხეობაში (1774 წ. აღწერით), ქართლის სარეკთ უბანს არაგვის ერისთავის ყმა **ჭილაშვილი ბაბანას** სამოურაოში მოიხსენიებიან: **გიგაური ანდრის** შვილი თვარელი;

**ლოთიკას ობოლი ბერი და კურდღელი;**
**ბოგანო გიგაური ფაცხვერის შვილი დათუნა;**
**„გარსევანის შვილი ელისბარ და პაპუა.**
**ზენ-უბანს არაგვის ერისთავის ყმა**
**ამისავე სახელი:**
**გიგაური ავთანდილის შვილი ნადირა;**
**„ „ გამიხარდი;**
**„ „ ივანე;**
**„ „ ზურაბი;**
**„ ბერის შვილი თანდილა;**
**„ ბაინდურას ბაინდურასშვილი შვილი დათუნა სამუკა და ბერი;**
**„ ელოს შვილი ფირილა;**

„ ჯაბანას ობოლი თამაზა.

ჭართალს კოლოტას არაგვის ერისთავის ყმა ამისავე სახელო;
გიგაური ზაქარის შვილი სეხნია და ბერი;
„ ძაღლიას შვილი ელისბარ და გამიხარდი;
გიგაური ვეფხის შვილი გიორგი, სამუკა და ელისბარ;
„ რუხის შვილი ელისბარ;
„ ზურაბის შვილი ილია;
„ ბერის შვილი შალიკა და შალვა;
„ თადილის შვილი გიგაური;
გიგაური რუსი ობოლი გოგია.

ჭართალს გუგუდას არაგვის ერისთავის ყმა ამისავე სახელო;
გიგაური გოდერძის შვილი ხიზანა და თამაზა;
გიგაური პაპუჩელის შვილი კურდღელი, გელა და ბერი;
„ ავთანდილის შვილი პატარკაცი;
„ სამუკას შვილი სეხნია;
„ ზურაბის შვილი რუსი და პეტრე;
„ ბაჩუას შვილი ხახო და ჩოფა;
„ გიორგის შვილი ხთისია;
„ გამიხარდის შვილი დათუნა;
„ ირემას შვილი ქალილა და შუშანა;
„ ფოცხვერის შვილი თათარი და ხიზანა;
„ ხარებას ობოლი გივი, თვარელი, ლევან, მახარებელი და ბერი;
„ პატარკაცის ობოლი გოგია (გვ. 479-483)[1]

თეთრი წყაროს ადმინისტრაციულ ცენტრსა და სოფლებში (არდისუბანი, ვაშლოვანი და სხვა). ცხოვრობენ გიგაურები. მათ შორის არიან როგორც ჩამოსახლებულები, ისე შემდგომ გაჩენილი (შერქმეული) გვარის მქონენი.

გადმოცემით (მთხრ. პოეტი გიორგი გიგაური) ხევსურეთში ყოფილან სამი ძმანი: გიგა, თეთრა და წოწკა. გიგამ აწარმოვა გვარი გიგაური, დასახლდა სოფელ ბლოში, თეთრა დასახლდა სოფ. ჭიმღა-ში, ხოლო წოწკამ აწარმოვა წოწკოლაური, რომელიც საცხოვრე-

[1] აღნიშნული ჩანაწერები მიგვანიშნებს გიგაურთა ჩამომავლობას. ავთანდილს ჰყოლია შვილები: ნადირა, გამიხარდი, ივანე, ზურაბი, ბაინდურა გიგაურს — დათუნა, სამუკა, ბერი და ა.შ.

ბლად გადასულა ფშავის ხეობაში. გიგა ეროვნულ გმირადაა დახატული. ხალხურ ლექსში ვკითხულობთ;

ბლოელ ყოფილა გიგაი,
უსაურ მეომარია,
ხმლითა სჭერია ადგილი,
მტრისგან სდგომია ძალია,
უვლევავ მძიმე რჯულშია,

სად ერთურთს სძლია გვარია (ვაშლოვანი, კოდა, არდისუბანი).

**ბიბიჯანაშვილი** (1781 წ.). საკ. სახ. **გიგი** (საქ. სიძვ., III, 125); **გიგია** (საქ. სიძვ., II, 142); საკ. სახ. **ჯანა** (დოკ., I, 357), ე.ი. რთული, შედგენილი სახელია: **გიგი+ჯანა**. შდრ. **მარიჯანი, გოგიჯანა, ველიჯანა** და მისთ.

როგორც **გიგი** და **გიგია**, ისე სახელები: **გია, გიგა, გიგილა, გიგიტა, გიგიშა, გიგდა, გიგო, გიგოია, გიგოლა, გიგოლია, გიგუა, გიგუშა, გიგუცა, გოგი, გრიგოლი** და მისთ. **გიორგი, გიორგა**-ს (ბერძნ. მიწის მოქმედი, მხვნელმთესველი) კნინობითი ფორმებია.

„მარაბდას **სულხან გერმანოზიშვილის** ყმად 1781 წ. მოიხსენიება **დათუნა გიგიჯანიშვილი**" (ივ. ბერძ., სესძ, I, 169).

ამავე ძირისაა: **გოგიჯანაშვილი, გორგიჯანაშვილი, გიორგჯანიძე, გორგიჯანიძე** (მარაბდა).

| |
|---|
| ბიბოლაშვილი 1329 |
| *თბილისი 324* |
| *ადიგენი 214* |
| *გორი 200* |

**ბიბოლაშვილი** (1721 წ.), **გიგოლა** ქართული სახელია. მიჩნეულია **გიორგი**-ს ან **გრიგოლ**-ის შემოკლებულ ფორმად. შდრ. **გია, გიგა, გიგი, გიგია, გიგუცა, გიგო, გიგილო** და სხვა.

**გიგოლა** (დოკ., I, 71); **გიგოლი** (ხევსურ. ბარისახო; ა. შან. ხევსურ. 197, ალ. ოლ., 102); „აქავ მარაბდას ნიკოლოზ ქავთარიშვილის ყმა... გიგოლაშვილი გლახა და მახარე, აქავ ამისი ყმა **გიგოლაშვილი გოგია**, 1781" (ივ. ჯავახიშვ. სეიძ., I, 169); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. ლიპებს 1721 წ. გიგოლაშვილი როსტომა" (ვახუშტი, 11); **გიგოლაშვილი,** XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხა (საქ. მუზ. Hd №6923).

ᲒᲘᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 946
გორი 423
თბილისი 160
მცხეთა 142

**ᲒᲘᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **გიგო, გიგუა,** სოფ. მუხათი (**მატიაშვილი გიგუა**), „ტაბახმელას, აქავ **გიგუა**“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 166); **გიგუა** (საამილახვრ. დავთ., ზ; ალ. ღლ., 102); სულხანა გიგუაშვილი-ნაბახტეველი 1731 წ. ოქმი დავით მოურავისშვილისა ბეჟანისადმი (დოკ., I, 232); „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს: „1721 წ. **ამირა გიგუაშვილი**“ (ვახუშტი, 25).

**ᲒᲘᲚᲐᲥᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **გილა** (გ. ლეონ., სახელები); გილან-ი (ალ. ღლ., 102); სავარ. აქედან **გილაქი**.

**გილაქის შვილი** მოიხსენიება 1781 წ. სოფ. ორთაშუას (დოკ., II, 116); **ბეჟან გილაქიშვილი** მოიხსენიება **მემამულედ** სოფ. ნახიდურს (ივს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 222).

**ᲒᲘᲟᲑᲔᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.). მეტსახელი **გიჟბერა**. შდრ. **გიმზერი, გინგლა, გირკელა, გიცქერი, ყლღერა, ყლბერა, ყლგრეხა...**

„ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა „**გასპარა გიჟბერინაშვილი** 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 166); გადმოცემით ვაშლოვანიდან სოფ. ბორბალოში გამოთხოვილ **გიგაურების** ქალს **აკოფაშვილების** რძალ სირანას მეტსახელად **გიჟბერას** ეძახდნენ. ე.ი. მოხუცებმა იცოდნენ, რომ ის გამოსული იყო გიჟბერინაშვილების გვარიდან. აკოფაშვილებს დღეს გიჟბერაანთ ეძახიან (ინფორმ. ნ. ძულიაშვილი, ბორბალო, 63 წლ.).

ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ 736
თბილისი 197
გორი 184
თელავი 49

**ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲒᲔᲝᲠᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ბარათაშვილი//ხმალაძე//ბერიძეშვილი** (1547 წ.). **გიორგი** (ბერძ.) „მხვნელმთესველი“, „მიწათმოქმედი“, **გეო** – „მიწა“ (შდრ. გეო-გრაფია, გეოლოგია, გეო-მეტრია), ერგონ – „მუშაობა“ შდრ. ენ-ერგ-ია. სახელი გიორგი გავრცელებულია სხვადასხვა ფორმით: **ჟორჟ** (ფრანგული), **ჯორჯ** (ინგლისური), **ეჟი** (პოლონური), **ირჟი** (ჩეხური), **ეგორ, იური** (რუსული) (ზ. ჭუმბ., 141).

ამ სახელის ფართოდ გავრცელებას მოწმობს: მეფე **გიორგი I,** მეფე **გიორგი II,** მეფე **გიორგი III, გიორგი IV ლაშა, გიორგი V ბრწყინვალე,** მეფე **გიორგი XI,** მეფე **გიორგი XII, გიორგი ბერი, გიორგი დადიანი** (სხვადასხვა), **გიორგი** კათალიკოზი ქართლისა (სხვადასხვა), **გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ბერი., გიორგი მოძღვარი, გიორგი მწირველი, გიორგი პატრიარქი, გიორ-**

**გი ჭყონდიდელი, ბერი** სხვა.

მეფე გიორგი XI-მ შეადგინა: სადედოფლო დასტურლამალი, ყაიყულის სამოურაოს გარიგება. 1676 წლამდე გიორგი ბატონიშვილი ლევან ბატონიშვილთან ერთად სწირავს მცხეთის ეკლესიას წავკისს. 1678 წ. მეფე სწირავს მანგლისის ეკლესიას მეთრევანს. 1692 წ. პირდება დემურაშვილს სამსახურისათვის სოფ. თავდიდიანს, როცა საბატონოს დაიბრუნებს. მან და ვახტანგმა დაამთავრეს როსტომ მეფის მიერ დაწყებული სასახლე კოჯორში (ის. ლორთქ., ქვ. ქართლი, ნაწ. III და IV, გვ. 367); გიორგი მეფის დროს შაჰ-აბასმა (XVII ს. ათიან წლებში) მოიყვანა და დაასახლა ბერდუჯის მხარეში (დღევ. ბოლნისი) **ელი ბორჩალუ** (იქვე, §§ 45, 48); გიორგი მეფეს გაუახლებია 1457 წ. სამთავისი მონასტრისათვის გველფარეხი (იქვე, § 71-150); გიორგი მეფეს გაუახლებია 1170 წ. შიო მღვიმის მონასტრისათვის მანგლისის ხევში ბორცვის ჯვარი, რომელიც **ლიპარიტს (ორბელიანს)** წინათ წაურთმევია და გიორგი მეფის პაპას დაუბრუნებია (იქვე, § 71-128); გიორგი აზნაური 1721 წ. აღწ. დედოფლის მემამულე (§134), ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (იქვე, §§ 126, 34); გიორგი, 1701-11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე ყარაქილისაში (იქვე, § 37-87);

1547 წ. როგორც შუადამხდომი (მოწმე) სანასარასი ვეციკ-ისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია მოურავი ზურაბ გიორგიშვილი (ხელნ. ინსტ. Hd 1555; ქსძ, VIII, 825); **ბერი გიორგაშვილი** – მოიხსენიება 3 აპრილს, ვენახის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ჩიტუა გიორგაშვილი აძლევს თავის ბატონ ვინმე ლევანს (დოკ., I, 170); გარსევან გიორგიშვილი – 1717 – 1731 წ. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ავთანდილ სოლოღაშვილის მიერ პაპა და გარსევან **გიორგიშვილებისადმი** (იქვე, 177); ჩიტუა გიორგაშვილი მოიხსენიება 1716 წ. სოფ. ჯიგრაშენში, ვენახის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია ჩიტუა გიორგაშვილის მიერ ბატონ ლევანისადმი (საქ. მუზ., №1782 Hd); სოფ. ერტისში მცხოვრებმა იმერელმა **ხმალაძემ,** იმავე **იოსებ გიორგისშვილმა,** იქორწინა ერტისში დროებით მცხოვრებ ბორბალოელ **იმედა პეტრიაშვილის** ასულ მარიამზე, გვირგვინი უკურთხა პავლე გიორგიშვილმა (სცსსა, ფ. 489, 6, 1, ბ, 1818 წ.); ერტისში მცხოვრები სესია გიორგაშვილი 1826 წელს ნათლავს ქალიშვილ ბარბარეს. მიმქმელი ყოფილა ერტისელი იაკობ

ზაზიაშვილი (489, 9, №31, №25, ფურ. 155); „ღოუბანს მცხოვრებ კახელ გიორგი გიორგისშვილს 1828 წ. დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა, სახელი ეწოდა გლახა" (489, აღწ. №6, 57, ფკრ. 29); ...კახელ ელისბარ გიორგიშვილს დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა სოლომონ" (იქვე, 32); ყაფლან ბარათაშვილის მეხუთე ვაჟმა **გიორგიმ** აწარმოვა გვარი გეორგაშვილი. **ბოგვში გეორგაშვილის შტოგვარია ბერიძეშვილი** (შდრ. ბერიძე//ბერიძეშვილი).

ამავე ძირისაა: **გიორგაძე, გიორგიძე, გორგიძე, გოგაძე, გოგიძე, გოგია, გოგიავა, გოგავა, გოგიშვილი, გოგიაშვილი, გოგიტაშვილი, გოგიჩაიშვილი, გოგილაშვილი, გოგინაშვილი, გოგიჯანაშვილი, გოგილაძე, გოგიბაშვილი** და სხვა.

**გიორგის** ანუ **გრიგოლის** შემოკლებულ ფორმებად მიიჩნევა – **გია, გიგა, გიგი (გიგია, გიგუცა), გიგო, გიგილო, გიგლა, გიგოლი.** მათგან ნაწარმოებია მრავალი გვარი: **გიაძე, გიგაშვილი, გიგოშვილი, გიგოლაშვილი, გრიგოლაშვილი, გრიგოლია** და სხვა.

**გიორგის** მოფერებითი (კნინობითი) ფორმებია: **გოგი, გოგიტა, გოგიჩა, გოგია.** ამავე სახელის შემოკლებული ფორმაა ქართულში დამოუკიდებელ სახელად გავრცელებული **გიო.** (აგვდანეთი, ბოგვი, ბორბალო, დურნუკი, ერტისი, კოდა, მარაბდა, ღოუბანი, ჯიგრაშენი).

გიორგობიანი
2600
*თბილისი 1399*
*ქუთაისი 72*
*თბილისი 68*

**გიორგობიანი,** ძირი საკ. სახ. **გიორგი** რელიგიურ დღესასწაულ **გიორგობასთან** უნდა იყოს დაკავშირებული.

გ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წ. ამბროლაურის რაიონის სოფ. ხიმშიდან (ასურეთი).

გლახაშვილი 69
*გორი 41*
*თელავი 12*
*ახმეტა 9*

**გლახაშვილი**//ებრალიძე (1872 წ.). **გლახა** ცრურწმენის საფუძველზე შერქმეული სახელია. მაგალითად, ბერძნებს აქვთ სახელი კალონ („განუვითარებელი", „დაუხვეწელი"), **არდალიონ („გათხუპნული", „ტურტლიანი"),** ლათინური: **კლავდიუს, კლავდია,** („კოჭლი"), არაბული: **იამუტ** („მკვდარი"). ქართლში ასეთი სახელებია: **გლახა, გახა, გლახუა, გლახუკა, საგინა...** (ზ. ჭუმბ., 284).

ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔ 1539
*ლანჩხუთი 474*
*თბილისი 445*
*შუახევი 143*

**გლახა** საკუთარი სახელია. მაგალითად, **გლახა** ბადურაშვილი მოიხსენიება თეიმურაზ II-ის განჩინების წიგნში, 1753 წ. 10 მაისს (საქ. სიძვ., III, 507); **გლახა** რაჯაბაშვილი, **გლახა** წითლიაშვილი (დოკ., I, 507); **გლახა** სახლთუხუცესი (საქ. სიძვ., I, 344); ამავე სახელის ვარიანტებია: **გლახა-ი, გლახო, გლახუ, გლახუკა, გლახუკი, გლახუნა.** სოფ. ერტისს 1823 წლ, აღწერით თავად გედევანიშვილის გლეხებად მოიხსენიებიან **გიორგი** და **დავით გლახაშვილები,** მათი დედა **ნინო** (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98).

ახლადდაარსებულ სოფელ გოხნარაში 1873 წ. აღწერით მოიხსენიება **ღვთისავარ გლახაშვილი** (იგივე **ებრალიძე**), მისი ვაჟები დიმიტრი და ივანე. 1872 წელს მოსულა, დუშეთის მაზრის სოფ. სეფედან (სცსსა, ფ. 254, №3, 113, №89, ფურც. 475-477).

ამავე ძირისაა: **გლახუნაშვილი** (დოკ., II, 314) (გოხნარა, ერტისი, კოდა).

ᲒᲘᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 156
*გორი 74*
*თხილნარი 35*
*ბორჯომი 20*

ᲒᲘᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1699 წ.), საკ. სახ. **გიუა** – ნ. 1800 წ. 7 აგვისტო, თავდებობის წიგნი (სიძვ., I, 166); **გიუა** (საქ. სიძვ., I, 166); **ქუბა გიუაშვილი** მოხსენიებულია 1699 წ. მიწის ნასყიდობის წიგნში, როგორც მოწმე (ის. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. I და II...); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანისს 1721 წ. **გოგია გიუაშვილი**“ (ვახუშტი, 23); ბორბალოში მცხოვრები ნინია გიუაშვილი 1822 წ. ნათლავს ქალიშვილ ბარბარეს, მიმქმელი ყოფილა **გიგოლა ქართლელი** (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №27).

ᲒᲜᲝᲚᲘᲫᲔ 239
*გორი 134*
*თხილნარი 97*
*თელავი 1*

ᲒᲜᲝᲚᲘᲫᲔ (1830 წ.), მეტსახელი **გნოლია** (ალ. ღლ., 103); **გნოლი** კაკბის მსგავსი მომცრო ფრინველი ქათმების ოჯახისა. „თონეთში მცხოვრებელს გლეხს **გიორგი გნოლიძეს** 1830 წელს დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ, სახელი უწოდა **ანა**. ნათლიად იყო სოლომონ ამანათაშვილი (489, №6, X98, ფურ. 37).

შდრ. **მტრედაძე, ჩიტიშვილი, ყვავაძე, გვრიტაძე, არწივაძე**... (თონეთი).

ᲒᲝᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ//პაპაშვილი (1886 წ.), საკ სახ. **გობრო, გობრონ** (ალ. ღლ., 104).

**იაგორ ზაქარიას ძე გობრიშვილი** (იგივე **პაპაშვილი**), ვაჟი **ზაქარია, იაგორას** ძმები **მოსია, მელქო,** მოსიას მეუღლე **საბედა,** მისი შვილები **ნინა, ნატო,** ზაქარიას დედა **ანა** მოიხსენიებიან სოფ. მუხათში 1886 წელს (სცსსა, ფ. 254, №3, 1625, №719, ფურ. 188-205). (მუხათში პაპაშვილებს მოსიააანთ ეძახიან).

**ვარდო პაპაშვილს მოსიანთ ვარდუას ეძახდნენ. ვარდოს ქალიშვილს საბედა ჰქვია (მუხათი).**

| ᲒᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ 814 |
|---|
| *თბილისი 228* |
| *გურჯაანი 123* |
| *სიღნაღი 86* |

**ᲒᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **გოგა** (ტბეთის მატიანე, 52). „აქავ ერტის თურქისტანიშვილი თამაზის ობლების ყმა... გურგენა **გოგაშვილი,** სამნა **გოგაშვილი,** 1781 წ" (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 167); 1832 წ. ქრისტესია ბეროას ძე გოგაშვილისა და მისი მეუღლის მაია ლომის ასულის ვაჟის თევდორეს მიმჩემლად ყოფილა თავად ზაზა სოლოლაშვილის ყმა, ბორბალოში მცხოვრები ტეტია იასეს ძე ასურელი (ფ. 489, აღწ. 6, საქმე №150, ფურ. 3).

**ნ. გოგაძე** (ბორბალო, ერტისი).

| ᲒᲝᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 36 |
|---|
| *თბილისი 9* |
| *თელავი 1* |
| *მცხეთა 26* |

**ᲒᲝᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **გოგალა** (საქ. სიძვ., I, 21); შდრ. **გოგა, გოგე, გოგი, გოგია, გოგიჩა...** „ქ, ქაიხოსროს საგინაშვილის ყმა ქ. ჩხიკვთას ...1721 წ. **შალვა გოგალაშვილი**" (ვახუშტი, 154).

ძირიდან გოგა ნაწარმოებია: **გოგავა, გოგალაშვილი, გოგალაძე, გოგოლაძე, გოგოლაძიშვილი, გოგასიძე, გოგაძე, გოგბერაშვილი, გოგებაშვილი, გოგებაძე, გოგელია, გოგელიშვილი, გოგეშვილი, გოგინაშვილი, გოგიაშვილი, გოგიბაშვილი, გოგიბედაშვილი, გოგიბერიძე, გოგიდეშვილი, გოგიელაშვილი, გოგიზაშვილი, გოგილაშვილი, გოგინაშვილი, გოგირიშვილი, გოგისაშვილი, გოგიტაშვილი, გოგიტელაშვილი, გოგატაძე, გოგიტიძე, გოგიჩაშვილი, გოგიჩაიშვილი, გოგიჩაძე, გოგიშვილი, გოგიძე, გოგიჯაშვილი, გოგიჯანაშვილი, გოგლაძე, გოგლიაშვილი, გოგლიჩიძე, გოგლიძე, გოგლუა, გოგნია, გოგნიაშვილი, გოგნიძე, გოგოლაური, გოგოლაშვილი, გოგოლაძე, გოგონებაშვილი, გოგორელიანი, გოგორიშვილი, გოგისაშვილი, გოგოშვილი, გოგოჩაშვილი, გოგოძე, გოგრაშვილი, გოგრიჭიანი, გოგსაძე, გოგობერიშვილი, გოგობერიძე** და სხვ. სულ 80-ზე მეტი ერთეული (სცსსა, კოლექცია №1448) (ჩხიკვთა).

ᲒᲝᲒᲐᲫᲔ 1025
თბილისი 205
ვანი 168
ქობულეთი 83

**ᲒᲝᲒᲐᲫᲔ** (1817 წ.), საკ. სახ. **გოგა** (ტბეთის მატიანე, 52; სვან. 6. ქიბიანი; თ. ენუქ., მასალ., 4,9; ალ. ღლ., 104).

**გოგაძე** (სიძვ., I, 368, 370); ამავე ძირისაა: გოგაშვილი, გოგიძე, გოგიშვილი, გოგია, გოგილავა, გოგილაშვილი, გოგინაშვილი, გოგისვანიძე, გოგიტაური, გოგიშვილი, გოგიჩაიშვილი, გოგლიჩიძე, გოგლიძე, გოგმაჩიძე, გოგიბერიშვილი, გოგნელაშვილი და სხვა. (სულ 80-მდე ერთეული).

ილ. მაისურაძის ვარაუდით, **გოგი** დღეს **გიორგის** შემოკლებულ სახეობად ითვლება, მაგრამ ირკვევა, რომ იგი უძველეს ხანში დამოუკიდებელი სახელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ამ ძირეული სახელის ფართო გავრცელება და მისგან წარმოქმნილ ფორმათა სიუხვე. იგი ეთნონიმური წარმოშობის ანთროპონიმად უნდა მივიჩნიოთ (ერტისი, დ/თონეთი).

ᲒᲝᲒᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 900
თერჯოლა 329
ზესტაფონი 236
თბილისი 114

**ᲒᲝᲒᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//პახტაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **გოგიბერი (გოგი+ბერი)**, შდრ. ანალოგიური **ბერ**-ძირიანი გვარები: **გოგიბერაშვილი, გოგიბერიშვილი, დოლაბერიძე, ედიბერიძე, კახაბერიძე, მაცაბერიძე, სულაბერიძე** და სხვა. (იხ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠ., ბერ–ძირი...).

...**მოსე გოგბერაშვილი//პახტაშვილი**, მოიხსენიება 1843 წ. აღწერაში სოფ. დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 323-329).

ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 3700
თბილისი 111
გორი 800
თერჯოლა 253
ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 153

**ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ//მოლოდინაშვილი** (1714), საკ. სახ. **გოგი** (დოკ., I, 65); **გოგია** (ისტორ. საბ. 76); ნ. **გოგია**, ბაყალ ბაბანას ყმა, **გოგია**, ბერის შვილი, **გოგია** გამგებელი, **გოგია** გიორგი ჯამაგიძის ყმა, **გოგია იასაული, გოგია** პატარძლეული, **გოგია** ფეიქარი, გოგია მოლაშქრე და სხვა. (დოკ., II, 315); **სეხნია გოგიაშვილი**, განაჩენის ნაწყვეტი ყმის დავის გამო. 1764 წ. (საქ. მუზ. Hd 9951); არზა მიცემული **ანდრია გოგიაშვილის** მიერ ერეკლე II-ისადმი 1745 წ. 3 თებერვალს (საქ. მუზ;. №1137, Sd); **გოგიაშვილი გიორგი**, 1782 წ. წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ, მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილების მიერ თამაზა ოთანიშვილებისადმი (იქვე. №11400); „ქ. შერმად-

ინიშვილის ბეჟანის ყმა კრეფას, 1721 წ. სოლაღაშვილის მამულზე **გოგიაშვილი ასლუა**“ (ვახუშტი, 130); „ქ. აბაშიშვილის დავითისა ქ. მქავის 1721 წ. **გოგიაშვილი ბერია**“ (იქვე, 117); „ქ. იარალაშვილის როსებისა ქ. წობას, 1721 წ. **გოგიაშვილი თამაზა**“ (იქვე, 65); 1823 წელს სოფელ ბოგვში კაპიტან დიმიტრი საგინოვის გლეხად მოიხსენიება **ბეროა გოგიაშვილი** (იგივე **მოლოდინაშვილი**), მეუღლე დარეჯანი, ქალიშვილი თამარა, მაია (სცსსა, ფ. 254. 1, 802, 1823 წ. ფურ. 1-5); **ბერუა გოგიაშვილი,** მეუღლე მარიამი, ვაჟები: ქიტესა, სოსია, გიორგი, ვანო, ქალიშვილები ელისაბედი, ქეთევანი; **ვანო გოგიაშვილი,** მეუღლე ელისაბედი, ვაჟები თევდორე, გიორგი, დედა ელენე; **თამაზ გოგიაშვილი,** ძმები არუთინა, პეპანა, სიმონი, დედა მაგდალინა, მოიხსენიებიან 1823 წლ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98); **გოგიაშვილი სიმონი,** მეუღლე მარიამი, ვაჟი გაბო, ქალიშვილები ბარბარე, ელისაბედი, თინათინი, ძმა პავლე გოგიაშვილი, მეუღლე ნინო, შვილი სოლომონი (ბორბალო, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); შდრ. **გოგია, გოგიბერიძე** (ბორბალო, ენაგეთი, ერტისი, კოდა, კრეფა, წობა). გოგიაშვილი არის ასევე წარჩინებულ საგვარეულოდან გაჩენილი შტო-გვარიც (ი. ა.).

ᲒᲝᲒᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 0
ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 687
ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 652
ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 249
ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲝᲕᲘ 93
ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2512
ᲛᲐᲠᲢᲘᲠᲝᲖᲝᲕᲘ 35

**ᲒᲝᲒᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ//შანშიაშვილი//დოლმაზაშვილი//პაპიაშვილი//მარტიროზაშვილი** (1609 წ.), საკ. სახ. **გოგიბა**. ნ. **გოგიბა** ჩივაძე, 1729 წ. 30 აპრილი მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფირან ჩივაძის მიერ დავით თარხნიშვილისადმი (დოკ., I, 228); **გოგიბაი** ხელაძე (იქვე, 476); **გოგიბი გოგიბაშვილი** – 1609 წ. ახლო. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძისადმი (საქ. სუზ., №7567 Hd; დოკ., I, 15); **გოგიბაშვილი ბექია** და **სოსია** – 1656 წ. მარტის 21-ს. ყმობის წიგნში, მიცემული ველია და ასან მუსტაფაშვილების მიერ ბაინდურა და სხვა ტერტერაშვილებისადმი (დოკ., I, 37); **ბეჟან გოგიბაშვილი** – ზაალ თარხნიშვილის აზნაურიშვილი, 1722 წ. 5 ნოემბერი ყმობისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული თარხნისშვილის მიერ სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი (საქ. მუზ., №2480, Hd; დოკ., I, 198).

**გოგიბაშვილი მოურავი** სარქისას სოფელში (იხ. ლორ=.ქ., დას.,

ნაშრ. § 71-581); **გოგიბაშვილი** – **შანშიაშვილთა** შტოგვარია (იხ. **შანშიაშვილი//დოლმაზაშვილი**). ამავე ძირისაა: **გოგებაშვილიცაა** (აბელია დღევაბელიანი). აზნაურიშვილი მარტყილოზაშვილ-მარტილოზაშვილები (იგივე გოგიბაშვილები, რუსულის გავლენით **მარტიროსოვები** გახადეს.

**გოგიზაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **გოგი, გოგია** (დოკ., I, 65); კნინობითი სახელებია: **გოგიბა, გოგილა, გოგილო, გოგინა, გოგიტა, გოგიზა**...

1817 წ. აღწ. სოფელ მუხათში თავად სოლომონ ორბელიანის ყმად მოიხსენიება **გლახა გოგიზაშვილი** (სცსსა, ფ; 254, №1, საქმე 477. გვ. 40-45).

| ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ | 2608 |
|---|---|
| *თბილისი* | *744* |
| *გურჯაანი* | *444* |
| *გორი* | *399* |
| ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 2917 |

**ᲒᲝᲒᲘᲜᲐ[Ს]ᲨᲕᲘᲚᲘ** (1704), საკ. სახ. **გოგი**. მისი მოფერებითი (კნინობითი) სახ. **გოგინა, ნ. გოგიაშვილი, გიორგიშვილი.** საკ. სახ. **გოგინა** (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 172); **გოგინაშვილი** (სიძვ., I, 359).

**პაპუა გოგინაშვილი** – ნასყიდობის წიგნი პაპუნა გოსტაშაბიშვილისა, 1704 (სიძვ., II, 200); **ისაია გოგინასშვილი**, ყიყინანთი – ნასყიდობის წიგნი პეჯუბაშვილის ხახუასი, 1728 წ. (სიძვ., II, 513); „კოდაზედ ბარათაშვილის დავითის ყმა: 1781 წ. **ივანე გოგინასშვილი,** ძმა მისი **გოგინა**“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 172).

**ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), საკ. სახ. **გოგი** (დოკ., I, 65); **გოგი, გოგია, გოგიტა, გოგლა– გიორგი**-ს კნინობითი ფორმებია.

1873 წ. აღწერაში მოიხსენიებიან **გიორგი, გულვერდა, გაბრიელ, სიმონ, საბა, სიმონ** (მეორე) **გოგიშვილები** (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, გვ. 175-209).

| ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1612 |
|---|---|
| *ქარელი* | *467* |
| *თბილისი* | *361* |
| *გორი* | *270* |

**ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲒᲝᲒᲐᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1881 წ.), საკ. სახ. **გოგიჩა** (ბარათაშვილების, გაყრის წიგნი, 1536 წ. 189); **გოგიჩა** (ალ. ღლ., 105).

**გოგიჩაშვილი** (საქ. სიძვ., II, 136); **გოგიჩაშვილი ბერუა**, გედუანთი (იქვე, 443); დავით გიორგის ძე გოგიჩაშვილი მიხეილ, გოგიჩაშვილი თევდორე მოიხსენიებიან 1843 წ. დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-322); სოფ. თონეთში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხს მოსია ოქროპირის ძეს 1832 წელს შეეძინათ ქალი როდამი. მიმქმელი იყო თონეთში მცხოვრები სახაზინო გლეხი პეტრე ჩერქეზას ძე მაისურაძე (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 49); სოფ. ბოგვში მცხოვრებ ანდრია

პეტრეს ძე მელიქიშვილის შვილი 1884 წელს მოუნათლავს დავით გიორგის ძე გოგიჩაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

გოგიჩაიშვილი 2224
*თბილისი 1037*
*ლანჩხუთი 370*
*ბათუმი 196*

**გოგიჩაიშვილი** (1854), საკ. სახ. გოგიჩა (ბარათაშვილთა გაყრის წიგნის, 1536 წლ-სა, 189); გ. (ძვ, საქ., IV, განყ., III, 6); ნ. გოგიჩა, ღანუხელი, 1568 (საქ. მუზ. №14. 430 Hd); ნ. **გოგიჩაიშვილი** ბ. ფელეტონისტი (სახ. გაზ. აპრილის №№1913 წ.) (არხოტა).

**გოგიჩაშვილი** (1843 წ.), **გოგოჩ-ი**, გვარში: **გოგოჩაშვილი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 46); **გოჩა, გოგიჩა, გოგოჩ-ი**, მოფერებითი ფორმებია, მიღებულია გიორგისაგან.

...მიხეილ და თევდორე გოგოჩაშვილები მოიხსენიებიან დიდ თონეთში, 1843 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 310-322).

შდრ. **გოგიჩაშვილი, გოჩაშვილი (გოჩაშვილი ბაგრატიონთა შტო-გვარიცაა)**. (დიდი თონეთი).

გოგიძე 1782
*გორი 474*
*თბილისი 375*
*წყალტუბო 297*

**გოგიძე** (1817 წ.), საკ. სახ. **გოგი. გოგია. გოგიტა, გოგლა** — გიორგის კნინობითი ფორმებია. ამავე სახელის შემოკლებული ფორმაა ქართულში დამოუკიდებელ სახელად გავრცელებული **გიო** (ზ. ჭუმბ., ღედაენა ქართ., 331). **გოგი**-ს ი. მაისურაძე ეთნონიმური წარმოშობის ანთროპონიმად მიიჩნევს (ი. მაისურ., ქართ.გვარ. სახ., 47); საკ. სახელიდან **გიორგი, გოგი** 80-მდე გვარია ნაწარმოები (იხ. **გოგაძე, გოგიაშვილი, გოგაშვილი, გიორგიშვილი**); **გოგიძე კაციელა**, 1817 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული **პავლე ნემსაძის** მიერ **ბექან წერეთლისადმი** (საქ. მუზ. ფ. Hd. №2888; დოკ., II, 294).

ბორბალოში მცხოვრებმა გლეხმა 30 წლის **ივანე გოგიძემ** 1829 წელს იქორწინა გლეხ დავითის ასულ (21 წლის) **მარიამზე**. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ (489, აღწ. 6, №76, ფურ.4). გოგიძეები არიან ლეჩხუმში, შიდა ქართლში, იმერეთში და სხვაგან.

გოგიჯანაშვილი 47
*თბილისი 29*
*გორი 1*
*თელავი 1*

**გოგიჯანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გოგიჯანა** (შდრ. სახ. **ჯანა**, დოკ., I, 357); ნ. **მამაჯანაშვილი, ბეგიჯანაშვილი, ჯანიბეგიშვილი**...

„ქ. გურიელისა ქ. ფუტრევს 1721 წ. **გოგიჯანაშვილი**" (ვახუშტი, 126);

შესაძლოა საქმე გვაქვს სუფიქსთან

ჯან და არა რთული სიტყვის შემადგენელ კომპონენტებთან. (ფუტრევი).

გოგლაძე 874
თბილისი 522
გორი 92
ონი 78
გოგილიძე 158

**გოგლიძე//გოგილიძე,** სავ. სახ. **გოგი, გოგლა** (ძვ, საქ., IV, განყ. III, 51); **გოგლია** (საქ. სიძვ., III, 539); **გოგლ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 131).

გ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წ. ამბროლაურის რაიონის სოფელ უჯეშიდან.

ამავე ძირისაა: **გოგილიძე, გოგლიაშვილი** (ასურეთი).

გოგნაძე 859
ხარაგაული 166
თბილისი 113
ბაღდადი 112

**გოგნაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **გოგნა** (პ. ინგორ., სვან., 2, 47); შდრ. **გოგნია, გოგინა** (ალ. ღდ., 104); **„გოგნა მგალობელი"** (ვახუშტი, 116).

**გოგნიაშვილი გოგინ** იყო ძმა მიმწობლიძისა, მეფის მეღვინისა 1430 წ. და ამათმა შვილმა გაიგვარა **გოგნიაშვილობა** (საანდაზო ლექსები, 130); „ქ. აბაშიშვილის დავითისა ქ. გოლთეთს... **გოგნაძე** მგალობელი (1721 წ." ვახუშტი, 116).

გოგნიაშვილი 403
თბილისი 167
გორი 39
საგარეჯო 39

ამავე ძირისაა: **გოგნელაშვილი** (გოლთეთი).

**გოგობერიშვილი,** კომპოზიტი, საკ. სახ. **გოგო,** საკ. სახ. **ბერი** (ზგდი მნიშვნ.: ვაჟი, ძე, ყმა); შდრ. **ბერიშვილი.**

გოგობერიშვილი 862
თბილისი 285
ამბროლაური 165
საჩხერე 115

გადმოცემით, ბერიშვილებს ლამაზი გოგო ჰყოლიათ. კითხვაზე, თუ ვისია ასეთი ლამაზი ქალიშვილი, უპასუხიათ, ბერიშვილის გოგოაო. აქედან წამომდგარა გვარი **გოგობერიშვილი** (ინფორმ. ნიურა გოგობერიშვილი-ექსეულიძე, ქ. ქუთაისი).

გოგოლაშვილი 1675
თბილისი 521
ქუთაისი 229
სიღნაღი 173

**გოგოლასშვილი//გოგოლაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **გოგოლა,** გვარში: **გოგოლაძე** (ალ. ღლ., 104). შდრ.: **გოგალაძე** იგივე გოგოლაძე.

აზნაური **გოგოლასშვილი მიხლანჯი** მოიხსენიება 1721 წ. ავაზანს. აქვეა აზნ. **გოგოლაშვილი – გოგოლაძე** (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 229).

**გოგოლაძე 9791**
თბილისი 2135
ბორჯომი 1554
ლაგოდეხი 1007

ამავე ძირისაა: **გოგოლაური, გოგოლაძე.** (ავაზანი).

**გოგოლაური** (1774 წ.), საკ. სახ. **გოგოლა** (ათაბ., 272; ალ. ღლ., 104).

**გოგოლაური,** ყიზილბაშთა დამპყრობლების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1695 წ.) გმირი.

ამავე ძირისაა: **გოგოლაძე.**

შდრ. **გოგოლაურთა** სოფელი დუშეთის რ-ში (უკანაფშავის სოფ. საკრებულო) (დრე).

**გოდერძიშვილი 1594**
თბილისი 648
ახმეტა 254
სიღნაღი 124
გოდერძაული 26

**გოდერძაშვილი//გოდერძიშვილი** (1721 წ.). **გოდერძი** (ირან.) „ძლიერი ხანი". აქედანაა გვარი: **გოდერძიშვილი** (იხ. ზ. ჭუმბ., 331); საკ. სახ. **გოდერძი** (საქ. სიძვ., I, 121); **გოდ-ერძა** (საქ. სიძვ., III, 413); **გოდერძა გოდერ-ძაშვილი** ცხოვრობდა დიდ ენაგეთში.

**გოდერძაშვილი,** დარბაზელი, გივი მდივნის ყმა, 1721 წ. **თუ-მანიშვილების** საკომლოების ნუსხა (დოკ., I, 124); **გოდერძაშვილი გიორგი.** 1744 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი მიცემული ქაიხოსრო **ციციშვილის** მიერ ბებურ **ბებურისშვილისადმი** (იქვე, 409); „ქ. **ციციშვილის პაპუნაშვილის** ზაზასი ქ. საპონაურს... გოდერძაშვილი ოსიყმა, 1721 წ." (ვახუშტი, 31); დიდ ენაგეთში 1871 წელს მოიხსენიე-ბიან: ანა გრიგოლის ასული გოდერძაშვილი, ზაქარია თევდორეს ძე გოდერძაშვილი, კაკალა გიორგის ძე გოდერძაშვილი (სცსსა, მეტრ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); იქვე უცხოვრია თევდორე გიორგის ძე გოდერძიშვილს. ეფემია გოდერძიშვილი, დემეტრე ივანეს ძე გოდერძიშვილი, **გიორგი თევდორეს ძე გოდერძაშვილი** (1871-1882 წწ.); გიორგი ბარათაშვილის მიწაზე მოიხსენიებიან: გიგოლა ნიკოლოზ-ის ძე გოდერძაშვილი: შვილები: ივანე, გლახა; გიგოლას ძმები; სოსია, დემეტრე; შვილები: დემეტრე, ანტონა, სანდრო, ქიტესა, ბასილა; ბასილას შვილი აბრამა; კიკოლა გიორგის ძე გოდერძაშვი-ლი, შვილი გიორგი; თევდორე გიორგის ძე გოდერძაშვილი, შვილები: იაგორა, ზაქარია, მიხეილ, სოლომონი, კონია, ვასილი (დიდი ენაგეთი, 1873 წ.) (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); დიდ ენაგეთში, 1884 წელს იაკობ გიორგის ძე გოდერძაშვილი ნათლავს შვილს **დავითს.** მიმქმელი ყოფილა სოფ. ენაგეთში მცხოვრები **გიორგი**

**გაბრიელის ძე პოილარაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1), ამავე ძირისაა: **გოდერძაული.**

შდრ. გოდერძის უღელტეხილი გადასასვლელი არსიანის ქედზე, მდ. ძინძეს სათავეში (დიდი ენაგეთი, ჯორჯიაშვილი).

ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 939
*ახალციხე 271*
*თბილისი 208*
*სიღნაღი 134*

**ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1477 წ.). **გოზალ** (თურქ.) „ლამაზი". **გოზალა** (დოკ., I, 57); შემონახულია ბეიტრიშვილის გვარის სახინჯარში: **გოზალაანი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტიპონ., 1982, 43).

**„გოზ[ს]ალაშვილი ნიკოლოზა** 1477 წ. დასახელებულია კრწანისში მოწმედ მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ნიკოლოზ პალატისშვილი აძლევს გოგიტა არდაშელიშვილს (ქსძ, VIII, 822); მოიხსენიებიან აშინა, ესტატე, ზურაბ, ზალინა, ამირანი, ბეჟანა, გივი, გლახა, ესტატე (მეორე), ზაქარია, თადია, ივანე, იოანე, იობი, იოსები, ისმაილ, იმანი, სოლომონი, გიგო, მოსია, სოლომონი (მეორე) გოზალიშვილები (სცსსა, კოლექცია, №1448, ნაწ. I); მოგვიანებით, რუსული გაფორმებით, ზოგჯერ **გოზალოვი**, შდრ. **ლამაზაშვილი//გოზალაშვილი** (გოზალოვი). **გოზალოვების** გვარებია: **ბროლაძე** და **წერეთელი** (ვაშლოვანი, დიდი თონეთი).

ᲒᲝᲜᲑᲐᲫᲔ 436
*თბილისი 192*
*წყალტუბო 75*
*თეთრიწყარო 72*
ᲒᲘᲜᲑᲚᲐᲫᲔ 618

**ᲒᲝᲜᲑᲐᲫᲔ** (1843 წ.), ქართ. საკ. სახ. **გონა-ს** მოფერებითი ფორმაა **გონგა.** აქედანაა გვარი **გონგაძე.**

შდრ. **გონა** (საქ. სიძვ., III, 505); **გონაშვილი, გონცა//გონცაძე, გონჯილა//გონჯილაშვილი, გორგა//გორგაძე, გორგილა//გორგილაძე, გოროზა//გოროზაშვილი.**

**ნ. გონგლაძე,** ნაბახტეველი, 1731 წ. ოქმი დავით მოურავისშვილის ბეჟანისადმი. ნაბახტევის ხარაჯის გამომღებთა ნუსხით (დოკ., I, 232). „ბორბალოში მცხოვრებ, **კაცია გონგაძეს** (1830 წ.) დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელად უწოდა ნიკოლოზ. ნათლიად იყო ბორბალოში მცხოვრები სვიმონ ნასყიდაშვილი (498, ფურ. 27); „1843 წ. სოფ. ფარცხისში მოიხსენიებიან: ძმები ივანე, კაცია და მიხეილ გონგაძეები, ივანეს შვილები: დავითი და სოლომონი" (სცსსა,ფ. 254, №1, 2043, ფ. 363-365); ფარცხისში, სახელმწიფო გლეხად მოიხსენიებიან იაკობ ნიკოლოზის ძე გონგაძე, მეუღლე სიდონია ზურაბის ასული, ვაჟი ზაქარია

მოუნათლავს გოლთეთელ ალექსი გიორგის ძე კულაშვილს (მეტრ. ჩ., არქ. 182, 1, 1881 წ.).

ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 84
*თბილისი 25*
*დედოფლისწყარო 17*
*საგარეჯო 12*

**ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **გორა** (კარალეთი, გორის რ., ჭონქაძე, დუშეთის რ. ალ. ღლ., 105); „ქ. სოლოღაშვილის იესეს ყმა ასურეთს... **გორაშვილი ბასილა,** 1721 წ." (ვახუშტი, 140); (ასურეთს... **გორაშვილი ბასილა,** 1721 წ." (ვახუშტი, 140); (ასურეთი).

**ᲒᲝᲠᲐᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. გვარის ფუძე შედგება ორი კომპონენტისაგან: საკ. სახ. **გორა** (ალ. ღლ., 105); **ხანია** (**ხანა,** იქვე, 241), **გორხანა** ადგილია კოდასა და მარნეულს შორის; „ქ. სოლოღაშვილის იესეს ყმა ქ. მონასტერს, 1721 წ... გორახანაშვილი ზაზანა" (ვახუშტი, 141); გიურ (თურქ.) სამარე, საფლავი, აქედან ქართულში გორა, რუსულში Курган. შდრ. **ყორღანაშვილი** (მონასტერი).

ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲫᲔ 285
*ქუთაისი 82*
*ამბროლაური 50*
*თბილისი 49*

**ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲫᲔ,** ძვ. საკ. სახ. **გორგასალი.** „მაშინ თან ახლდა გიორგი სააკაძეს **გორგასალ** და შვილი მისი ბეჟან" (ქართლ. ცხ., II, 412); შდრ. **ვახტანგ გორგასალი** (ქართ. ცხ., I, 80); **გორგასალ** (სპარ.), **გორგ** – „მგელი", „**სარ**" – თავი. შდრ. მეფე ვახტანგ გორგასალი „მგლის თავი".

გ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელიდან.

ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ 4751
*თბილისი 535*
*ზესტაფონი 435*
*ხელვაჩაური 382*

**ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ** (1886 წ.), საკ. სახ. **გორგა (←გიორგა), გორგაძეები** სოფელია ზემო აჭარაში (ხულოს რ.); **გორგა** (თუშ., ს. მაკალ., 163); **გორგა-ი** (საქ. სიძვ., I, 136); 1886 წელს სოფ. თეთრწყაროში შორაპნის მაზრის სოფელ ამაშუკელებიდან გადმოსულა საჩინო სიმონის ძე გორგაძე (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, 1610, ფურ. 1-99); ამავე ძირისაა: **გორგელია, გორგიაშვილი, გორგილაძე, გორგიშვილი, გორგოტაშვილი, გორგოშია, გორგოშიძე, გორგოძე...** (სოფ. თეთრი წყარო).

ᲒᲝᲠᲓᲔᲟᲘᲐᲜᲘ 768
*თბილისი 263*
*ქუთაის 107*
*ამბროლაური 102*

**ᲒᲝᲠᲓᲔᲟᲘᲐᲜᲘ** (1873 წ.), ამ გვარის ძირი უნდა იყოს **გორდა** (სპ.), **გორდა** ქართ. ნიშნავს **დანას, დუქარდი, ორი დანა.** მისი ფორმებია: **გორდელა,** გვარში: **გორდელაძე, გორდიანე, გორდილა** (ალ. ღლ., 105).

ამავე ძირისაა: **გორდაძე, გორდაშვილი.**

გ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წ. ამბროლაურის რაიონის სოფ. ხოტევიდან.

**ᲒᲝᲡᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1477 წ.), სავარ. საკ. სახ. **გოსალა,** მოგვიანებით **გოზალი//გოზალაშვილი.** შდრ. **გოზალა** (დოკ., I, 57); **გოსალაშვილი ნიკოლოზა** მოიხსენიება მოწმედ სოფ. კრწანისის 1477 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში, მოცემული ნიკოლოზ და სხვა პალატის-შვილთა მიერ გოგიტა არდაშერას-შვილისადმი დოკ., I, 4).

**ᲒᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1875 წ.), სავარ. **ქოსაშვილი. ქოსა,** მეტსახელი გვარში: **ქოსაშვილი** (ალ. ღლ., 209); **სერგო პავლეს ძე გოსაშვილი** 1875 წელს ცოლად ირთავს ბოგვში მცხოვრებ შარმაზან ყრიალაშვილის ასულ ეკატერინეს. თავდებნი ყოფილან მარაბდელები: მათე პავლეს ძე ასლაბეგოვი, ივანე ბესარიონის ძე ბასილაშვილი და პეტრე ივანეს ძე ხიზანიშვილი. ქალის მხრიდან ბოგველები: ზაქარია სიმონის ძე ბეგიაშვილი, იოსებ შარმაზანას ძე ყრიალაშვილი და მიხეილ აბარმის ძე აბულაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. №6, 1875, თ/წ. №1).

**ᲒᲝᲡᲢᲐᲨᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (XVI ს.), საკ. სახ. **გოსტა** პლუს **შაბ** (სპ.) „ღამე“. ბარათაშვილ-ქავთარის შვილებად მოიხსენიებიან: გუგუნა, გერმანოზ, თაყა, ქუმსი, გოსტასაბი, ფალავან ხოსრო.

ბარათაშვილების გვარმა, ქავთარის შვილებმა, ორბელისა და იოთამის შთამომავლობამ, თავიანთი წინაპრების სახელებიდან აწარმოვა: **გერმანოზიშვილები, გოსტაშაბიშვილები, ფალავანხსოროშვილები, ორბელისშვილები, იოთამისშვილები, ყაფლანიშვილები, ზურაბიშვილები** და სხვა. (50-ზე მეტი გვარი ი. ა.).

**გოსტაშაბიშვილი — ბარათაშვილი გოსტაშაბი** ძე იოანესი, 1628 წ. ებოძა მისი ბიძის ყაფარბეგის ნაქონი მამული ამლივში (საქ. სიძვ., I, 340); ბარათაშვილი გოსტაშაბ, შვილი ქავთარ ბარათაშვილისა მამა იოანესი და ამილღაბარისა. იხს. 1523 წ. ძმებთან (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ III და IV, 335); **გოსტაშაბიშვილი გოსტაშაბ,** ძე პაპუნასი, მამა ამილღაბარისა, ბეჟანისა და გოსტაშაბისა (იქვე, 335); ყმები ჰყავდათ ენაგეთს, ღოლოვანს, მარიამს, ტბისს, ანდრიას.

| | |
|---|---|
| ᲒᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 611 |
| *თბილისი* | *249* |
| *გორი* | *187* |
| *ქარელი* | *90* |
| ᲒᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 782 |

**ᲒᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **გოჩა** (ქართლ. ცხ., II, 379); **გოჩა გოჩაშვილი** – 1736 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცე-

მული **ზაზა სოლალაშვილის** მიერ ქსნის ერისთავ შანშესადმი (დოკ.,I, 249); **გოჩა ბაჩაძე** (იქვე, 425), **გოჩა ზაბახიძე** (434). **გოჩა – იყო ბაგრატიონთა მეწინავე დროშის სარდალი XVI ს-ში. „...ამ გოჩათი ეწოდათ ამა ძეთა გოჩაშვილად“** (საქართველოს ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913. გვ. 50); **გოჩაშვილი,** 1721 წ. აღწ. **მებატონე,** ცხოვრობდა თრიალეთში. „ქ. გოჩაშვილისა თრიალეთის უგუდეთს: მამასახლისი თანია, გელიტაშვილი ნასყიდა, ელიზბარა..., ელაძე პაპუნა..., სისაური..., ბოგანო, თანიას განაყოფი მოლაშქრე, ბოგანო, ქიტუაშვილი (ვახუშტი, 41); ვახუშტისავე ცნობით (გეოგრ. გვ. 18), **გოჩაშვილი მეფის შთამომავალია.** ქართლის ცხ-ში (გვ. 762) იხს. **გოჩა, მეფე სვიმონ პაპის** ძმის წული (ივს. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, გვ. 369); გ. მარაბდაში მოხსენიებულია 1721 წელს.

ამავე ძირისაა: **გოჩიაშვილი** (მარაბდა).

**ᲒᲝᲩᲐᲫᲔ,** საკ. სახ. **გოჩა** (ქართლ. ცხ., II, 379); **გოჩა ბაჩაძე** (დოკ., I, 425); **გოჩა ზაბახიძე** (იქვე, 434).

შდრ. **გოჩიშვილი, გოჩელაშვილი, გოჩილაიძე, გოჩიტაშვილი...** (ჩხიკვთა).

ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ 2460
*თბილისი 1179*
*ქუთაისი 185*
*ბაღდადი 97*

**ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **გოცა.** „**გოცირიძე. გონთარიძეები,** იყვნენ ძველად მხედარნი ბერძენთა, ამათ უმუხანათეს ბერძენთ მეფესა და მოვიდნენ გამოქცეულნი იმერეთს; მუნ შეიწყნარეს აზნაურად და დაეშენნენ 545 წ.“ (საანდაზო ლექსები... 135).

გ. ასურეთში გადმოვიდნენ1941 წ. ამბროლაურის რ-ის სოფ. ხოტევიდან.

ᲒᲝᲮᲐᲫᲔ 217
*თბილისი 84*
*რუსთავი 28*
*გარდაბანი 27*

**ᲒᲝᲮᲐᲫᲔ** (1873 წ.), საკ. სახ. **გოხა, გოხაზ** (იერუსალ., 91; ალ. ღლ., 106).

**„მურად და ლუარსაბ გოხაძეები** პატარა თონეთში მოიხსენიებიან 1873 წლის აღწერაში“ (სცსსა, ფ. 254. №3, საქმე №127, აღწ. №320, ფურც. 218-2441; 1882 წელს პატარა თონეთში ესტატე გარსევანის ძე ხელაძის თავდებად მოიხსენიება ისაკ  მურადის ძე გოხაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

გრიგოლაშვილი 703
ქუთაისი 183
თბილისი 177
წყალტუბო 81

**გრიგოლაშვილი** (1721 წ.), **გრიგოლ** (ბერძ.) „მღვიძარე“, „ფხიზელი“. მისი მოფერებითი ფორმებია: გიგა, გიგო, გიგლა, გიგოლი (ა) (ზ. ჭუმბ., 142); **გრიგოლა** (ქართლ. ცხ., I, 142); **გრიგოლ-ი** (საეკლ. საბ., I, 22); **გრიგოლა** (სიძვ., II, 37); „ქ. თურქესტანიშვილის ღონენას ყმები: ...ქ. მუხათს, ...გრიგოლაშვილი კირაკოზა, 1721 წ.“ (ვახუშტი, 82); „ქ. ციციშვილის ბაადურაშვილის ზაალის ქ. სამღერეთის ახალშენს: ...**გრიგოლაშვილი პაპუნა,** 1721 წ.“ (ვახუშტი, 32); გრიგოლ ბაკურიანის ძე (გ. 1086 წ.), გრიგოლ ასათის ძე, გრიგოლ განმანათლებელი (სომხ. გრიგორი გრიგორიანული სარწმ. ფუძემდებელი).

გრიგორაშვილი 96
თბილისი 61
ქუთაისი 12
ბორჯომი 4

**გრიგოლაშვილი//მესტვირიშვილი** (1721 წ.), **გრიგოლ** (ბერძ.) „მღვიძარე“, „ფხიზელი“. აქედანვეა ნაწარმოები გვარები: **გრიგოლია, გრიგოლაია, გრიგოლავა.** გ. კნინობითი ფორმებია: **გიგა, გიგი, გიგო, გიგლა, გიგოლი, გიგოლა...**

**გრიგოლ** იოანეს ძე (საქ. სიძვ., I, 244); **გრიგოლ,** კათალიკოზი აფხაზეთისა (აქვე, 23); **გრიგოლ ლეონის ძე** (49). **გრიგოლაშვილი** (საქ. სიძვ., I, 395).

**სოლომონ გრიგოლაშვილი,** მეუღლე **ელისაბედი,** ვაჟიშვილი **აღდგომელა,** ქალიშვილები: **მაია, მარიამი, ბარბარე,** ძმა **გიორგი გრიგოლაშვილი,** მეუღლე **ნინო,** ქალიშვილი **მართა** იხსენიებიან სოფ. პატარა ენაგეთს 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 20); 1873 წ. აღწერით მემამულე ნიკოლოზ ყორღანოვის (ყორღანაშვილის) მამულში მოიხსენიებიან **აღდგომელა** და **ზაქარია გრიგოლაშვილები.** შვილები: **ალექსანდრე, არსენა, აბრაამი, ილია** (სცსსა, ფ. 254, №3, 136, სია №137, ფურ. 1-16); 1886 წელს პატარა ენაგეთში აღწერაში შეტანილი არიან: **აღდგომელა სიმონის ძე გრიგოლაშვილი (იგივე მესტვირიშვილი), შვილები ანდრო, იაკობი, სოლომონი, სიმონი, გრიგოლი, ალექსანდრე, ანდროს შვილი ნიკოლოზი, სოლომონის შვილები: არსენა, ანტონი. ზაქრო სოლომონის ძე გრიგოლაშვილი (იგივე მესტვირიშვილი), შვილები: ვასილი, იაგორი, დავითი, ვანო, კოტე, გაბო გიორგის ძე გრიგოლაშვილი (იგივე მესტვირიშვილი), შვილები: გიორგი, დავით, მიხეილი, მათე, გრიგოლი**

**მესტვირიშვილი** 790
*თბილისი 372*
*თელავი 150*
*თეთრიწყარო 112*

(სცსსა, ფ. 254, №1624, ფ. 11-42); **მესტვირიშვილი** (1886 წ.) ხელობის სახელი **მესტვირე**, სტვირის მკეთებელი, მოხელე, დამკვრელი; გრიგოლაშვილი იესე, მღვდელი – იმერეთის მეფის დავით №1-ის წყალობის წიგნი, მღვდლის ონოფრე ჯაფარიძისათვის ბოძებული, 1786 წ. (საქ. სიძვ., III, 257); შდრ.: **მექანარიშვილი, მექანარე** ქნარის გამკეთებელ-დამკვრელი.

სოფ. კოდაში 1781 წ. მოიხსენიება **ალთუნა აზიაშვილი** – **მესტვირე** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 169). თეთრიწყაროელი მესტვირიშვილები თელავის მაზრიდან გადმოსულებად თვლიან თავს.

**გუგნიაშვილი** (1921 წ.), საკ. სახ. **გუგუნა** (ქართლ. ცხ., IV, 33, 297); „...ხოსროხანიშვილისა სამშვილდეს... **გუგნიაშვილი გიუა**" (ვახუშტი, 24).

ამავე ძირისაა: **გუგუნაშვილი, გუგუნავა, გუგნაური.** (დიდი თონეთი, სამშვილდე).

**გუგულაშვილი** 580
*თბილისი 213*
*კასპი 137*
*გურჯაანი 98*

**გუგულაშვილი** (1881 წ.), საკ. სახ. **გუგულა** (საეკლ. საბ., I, 14); გვარში **გუგულაშვილი** (ალ. ღლ., 107); ჩხიკვთაში მცხოვრები **ვასილ ილიას ძე გუგულაშვილი** და მისი მეუღლე **მარიამ ლაზარეს ასული,** ნათლავენ ქალიშვილ **ნინას,** მიმქმელი ყოფილა თანასოფლელი იოსებ ანდრიას ძე დავითაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

**გუდილაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **გუდია** (ალ. ღლ., 107); საკ. სახ. **გუდულა** (კოლხ., ს. მაკალ., 276).

**გუდილაშვილი ბერუა,** საღირაშენი, 1721 წ." (ვახუშტი, 114).

**გურასპაშვილი** 459
*თბილისი 163*
*ქარელი 108*
*კასპი 54*
გურასპიშვილი 185
შდრ. გურასპაული 57

**გულასპაშვილი//გურასპაშვილი** (1742 წ.), საკ. სახ. **გულასპ**-ი (მესხეთი, ურაველი. ალ. ღლ., 107); **გულ** (სპ.) – **ვარდი, ასპ – ცხენი**. ვარდცხენა. იგივე „ვარდისტანა", „ვარდსხეულა". შდრ. ასპარეზი, ცხენის საჯირითო მოედანი.

„გარეშემოს არახვეთს არაგვის" (ერისთავის ყმა ამისავე სახელო: ...აქავ **ბურდული გურასპის შვილი ჩიტა, პატარკაცი** და **ადამ** (1774 წ.; ვახუშტი, 440); „კოდაზედ სარდალ – სახლთხუცის ყმა საკარელი **გულას-**

**პაშვილი ასატურა** 1781 წ. (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 175); **გურასპაშვილი ძულია** მოიხსენიება სოფ. ბოგვს 1742 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 309).

კოდაში 1781 წ. აღწ. **გულასპაშვილი,** მოგვიანებით, **გურასპაშვილი** (ბოგვი, კოდა).

| ბულდამაშვილი 115 |
|---|
| *თბილისი 52* |
| *თეთრიწყარო 25* |
| *გარდაბანი 12* |

**ბულდამაშვილი** (1721 წ.), **გულდამ, გულდა** მომდინარეობს სპარსულიდან: **გულანდამ** – „ვარდისტანა", „ვარდსხეულა". გვხვდება ქალის სახელადაც. **შალიკაშვილის ასულს, ფარსადან ფანასკერტელის მეუღლეს** ერქვა **გულდამა** (XVI ს. ქრონიკ., II,წ 386); შდრ. **გულზურაბ, გულქან, გულშარ, გულჯადარ, გულჯავარ, გულსუნდა.**

საკ. სახ. **გუდდამადანაა** გვარი **გულდამაშვილი** (იხ. ზ. ჭუმბ., 332); საამისა და ედიშერ აბაშიშვილების მამულში სოფ. დვალთას (1721 წ.) მოიხსენიება **ადუა გულდამაშვილი** (ვახუშტი, 119); „აქავ მარაბდას გოსტაშაბიშვილის ყმა... გულდამაშვილი ილურა და ზაზა, გულდამაშვილი ივანე, 1781 წ." (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 170); 1823 წ. აღწერით, სოფ. მარაბდაში ივანე ბარათოვის მამულში მოიხსენიებიან ტეტია გულდამაშვილი, მეუღლე ელისაბედი, ვაჟები: შალვა, სოლომონი, ძმა ქიტესა გულდამაშვილი, მეუღლე თალიკო, მომდევნო ძმა გიორგი, მეუღლე ნინო, მესამე ძმა გიგოლა, უმცროსი ძმა კიკოლა. ნინია გულდამაშვილი, მეუღლე მარიამი, ქალიშვილი მართა. იასე გულდამაშვილი, მეუღლე მაია, ვაჟი ნინია, მეუღლე მარზლია (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 27-34); სოფ. მარაბდელი ნინია გულდამაშვილი (1826 წ.) კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ ნინას. მღვდელი აბრამ ხუროევი, ბლაღოჩინი, დეკანოზი პეტრე ავალიანი (489, 9, №1, ფურ. 173); „მარაბდას მცხოვრებ ტეტია გულდამაშვილს დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა ზაქარია, ნათლიად იყო მარაბდას მცხოვრები სვიმონ გოგიჯანაშვილი" (489, №6, 67, 1828 წ. ფურ. 8).

**გულდამაშვილები** მარაბდას **დვალთიდან** უნდა იყვნენ გადმოსულები (დვალთა, პატარა თონეთი, მარაბდა).

| ბულვერდაშვილი 190 |
|---|
| *თბილისი 91* |
| *თეთრიწყარო 31* |
| *გარდაბანი 22* |

**ბულვერდაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გულვერდა** (სპ.–თურქ.) **გულვერდა,** „ვარდის მბოძებელი". მეტსახელი გვარებში: **გულვერდაძე, გულვერდაშვილი** (ი. მაისურ., 50); **გული-**

**ვარდი** (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 169). შდრ. (სპ.) **გულბაათ** „ვარდის ქარი", ე.ი. „ვარდის სურნელის მომტანი ქარი" (ზ. ჭუმბ., 142); შდრ. **გულაბერ, გულადა, გულგულა, გულბადი, გულმაგარა, გულთა, გულაშარ** (კონსტანტინე II-ის დედა), **გულისაბედა, გულისა, გულისადები, გულმახარა, გულინდუხტ** (როსტომ მეფის პირველი ცოლი), **გულქანი.**

მარაბდაში 1818 წელს **გულვერდაშვილის** ქალიშვილი **ბარბარე** მოუნათლავს **სოსია ბერიაშვილს** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ); ტბისში 1873 წელს მოიხსენიება **თამაზა ილიას ძე გულვერდაშვილი** (ფ. 489. 9, №6, თ/წ. 1); ტბისში მცხოვრები ზურაბ გიორგის ძე გულვერდაშვილი და მისი მეუღლე სალომე ივანეს ასული ნათლავენ შვილს თევდორეს. მიმქმელი ყოფილა თავად შერმაზან ჩერქეზოვის ასული დარია (სცსსა, ფ. №489, აღწ. 9, თ/წ7 1, 1881 წ.).

| | |
|---|---|
| გულიაშვილი | 2801 |
| *თბილისი* | *640* |
| *სამხერე* | *550* |
| *ქართლი* | *235* |

**გულიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გულია,** არზა **ქაიხოსრო სააკაძისა** და არზაზე მიწერილი ბრძანება მეფისა ერეკლე II-ისა, 1771 წლის მაისის 3 (საქ. სიძვ., III, 163); **გულია თეგას ძე,** 1412 წ. (სითარხნის წიგნი, დოკ., I, 1); „ქ. ოძისს ჩანთური გულია (ვახუშტი), შდრ. **გულა, გულაია, გულთა.** **„გულიასშვილი ბერუა"** (საქ. სიძვ., I, 357); „ქ. მანგლელის ყმა მანგლისს, **ებალა გულიაშვილი,** 1721 წ." (ვახუშტი, 110); „ქ. თულაშვილის სვიმონიშვილისა ზრბითს; **ბერია გულიაშვილი,** 1721 წ." (ვახუშტი, 155); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს: ...**ბერუა გულიაშვილი,** 1721 წ." (ვახუშტი, 228); „**ბერუა გულიაშვილი,** ლიპს-ავაზანს" (88).

შდრ. **გულაძე, გულია, გულისაშვილი, გულიტაშვილი, გულუა, გულუაშვილი, გულუხია** (მანგლისი, ზრბითი, ლიპი, ლიპი-ავაზანი).

**გულისადებიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გულისადებ-ი** (გ. ლეონ., სახელები).

„ქ. ბურვილს სახასო... **გულისადებიშვილი სეხნია,** 1721 წ." (ვახუშტი, 374).

**გულისადებაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გულისდება** (ვახუშტი). **გულისადები** (გ. ლეონ., სახელები, ალ. ღლ., 108); შდრ. **გულმაგარა,. გულოვანი, გულღია, გულჩიტო, გულთამზე, გულაბიჭი.** „ქ. ფიტარეთს

წინამძღვრისა: ...**გულისდებაშვილი შიო,** 1721 წ." (ვახუშტი, 171).

გულიტაშვილი 417
*სახხერე 191*
*თბილისი 67*
*ოზურგეთი 36*

**გულიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **გულიტა** (გ. ლეონ სახელები). საკ. სახ. **გულია** (კაცისა და ქალის). შდრ. **გულაძე, გულია, გულიაშვილი, გულისაშვილი, გულიტაშვილი, გულუა, გულუაშვილი, გულუხია.** „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღანბარისა ქ. აგვდანეთს, 1721 წ. **გულიტაშვილი ევანეზა**" (ვახუშტი, 53).

გულუაშვილი 334
*თბილისი 81*
*თეთრიწყარო 30*

**გულუაშვილი** (1713 წ.), საკ. სახ. **გულუა** (საქ. სიძვ., III, 91); ნ. ნასყიდობის წიგნი, 1669 „არის ამისი მოწამე **პაპაშვილი როსტია.** გულუა". **გულუა,** – ყმების ნუსხა XVIII ს. (საქ. მუზ., Qd. 200).

**ნ. გულუაშვილი ბერუა, ოქრუა,** გაყრილობის წიგნი 1713 წ. მოცემული კათალიკოზ დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მაღალაძეებისადმი (საქ. მუზ. Hd №8257); ვახუშტით, სუგეჩანს, ამირჯანაშვილი გულუა 1721 წ. (194). გულუაშვილი სესია, პირობის წიგნი 1797 წ. 12 აგვისტოს მიცემული სესია გულუაშვილის მიერ (ორბელიანის სარდლის ყმა) დავით გოსტაშაბიშვილისადმი; „აქავ კოდაზედ სარდალ-სახლთხუცის ყმა ლოუბნელი გულუასშვილი გიუა, 1781 წ." (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 178); „ქ. სოლოღაშვილის იესეს ყმა ლოუბანს: „გულუაშვილი იესე, 1721 წ." (ვახუშტი, 140); ქ. სოლოღაშვილის ქაიხოსროსი ლოუბანს, 1721 წ." ...გულუაშვილი ბეჟუა" (იქვე, 143); გულუაშვილი ადამ ვანოს ძე მეუღლე ელისაბედი, ვაჟები გიორგი, ვანო, გულუაშვილი ზურაბი მეუღლე თამარი, ვაჟი ციხელა, ქალიშვილი ქეთევანი (ლოუბანი, 1823 წ., სცსსა, ფ. 254; 1, 802, ფურ. 83-92); გულუაშვილი დათია მეუღლე ნინა, შვილები: სოლომონი, გიორგი, ქალია, ნინო (იქვე). სოფ. ლოუბანში მცხოვრებ პავლე პეტრეს ძე აბულაშვილის ქორწილში, სიმამრის თავსმდებელნი არიან ლოუბნელი მცხოვრებნი, დიმიტრი გიორგის ძე გულუაშვილი, დავით სოლომონის ძე გულუაშვილი (მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №17 დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია); ლოუბნელი, სალირაშენში დროებით მყოფი დიმიტრი ციხელას ძე გულუაშვილი და მეუღლე თალალა იაკობის ასული ნათლავენ ქალიშვილ ეკატერინეს. მიმქმელია ენაგეთში მცხ-

ოვრები ზაქარია იასეს ძე დესპოტაშვილი (1883 წ.), (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). **გუნიაშვილი** საკ. სახ. **გუნა** (სპ.) – **გუნა** „ფერი". **გუნა რუსიშვილი** (დოკ., I, 123).

1873 წ. სოფ. ზირბითში საცხოვრებლად მოდის **პავლე გუნიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №3, 1618, 1886 წ. ფ. 101–108)); შდრ.: **გუნაშვილი, გუნავა, გუნია, გუნიავა.**

შდრ. **ფერიაშვილი, ფერიშვილი, ფერაძე** (ზრბითი).

| | |
|---|---|
| გურგენაშვილი | 810 |
| *გორი* | *324* |
| *თბილისი* | *201* |
| *ყარელი* | *105* |
| გურგენიშვილი | 481 |
| გურგენიძე | 5110 |

**ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1740 წ.) **გურგენ** (ირან.) „მგლისა". შეად. **გურგენიძე, გურგენაშვილი** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 322); საკ. სახ. **გურგენ: გურგენ I კურაპალატი** (ქართ. ცხ., I, 259, 260...); **გურგენა,** 1721 წ. აღწ. ლუარსაბ ყაფლანიშვილის უყმო აზნაური უშევანში (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, § 78, 34); **გურგენასშვილები გივი, ზურაბი,** 1701 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულეები ყარაბულაღში (იქვე, § 37-86, § 71-727-ა; **გურგენიშვილი პაატა** 1740 წ. მოიხსენიება მოწმედ სოფ. ენაგეთს (დოკ., I, 290).

შდრ. **გურგენიძე** (ენაგეთი).

**გურგენიძე, გურგენ** (ირან.) „მგლისა". აქედანაა ნაწარმოები გვარები: **გურგენიძე, გურგენაძე, გურგენაშვილი** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 322).

„**თავადი გურგენისძენი ძველად იყვნენ თავადნი შილდისანნი,** რომელნიცა ასწყდნენ და არავინლა დაშთა გვართა მათთაგანი, ხოლო უკანასკნელ მორდლის ძემან სოლომონ, რომელიც იყო აზნაურად ცალმოგად დიდად ემსახურა მეფესა ირაკლის. ოდეს ნადირშამ წაიყვანა მეფე ირაკლი ინდოეთსა შინა, თანა წარყვა მუნ სოლომონ და თავდადებითაც მსახურა. ამისთვის მეფემან ირაკლი უბოძეს თავადობა და უწოდეს **გურგენისძეობა** და არიან ესენი წელსა 1744-სა წოდებულადვე **თავადად,** რომელნიცა აწ მოსახლეობენ შილდასა შინა და იწოდებიან სოლომონ მორდლის შვილებად თავადად გურგენის ძეებად ესენი და ამათნი სახლის კაცნი" (საანდაზო ლექსები... 44); საკ. სახ. **გურგენ: გურგენ I კურაპალატი** (ქართ., ცხ., I, 259, 260...); გურგენ დიდი ერისთავთერისთავი (იქვე, 260, 280...); გურგენ კლარჯი (იქვე, 259, 283...); გურგენ მეფე (საქ. სიძვ., II, 2); გურგენიძე

ცნობილია XII საუკუნიდან: **იჩქით გურგენიძე,** წუნდის ეკლესიის აღმაშენებელი (ვ. ცისკარიძე, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, 1959, 47; ე. მეტრეველი, მასალები, 141, წუნდის ეკლესიის წარწერა); იყო აგრეთვე გვარი **გურგენისაშვილი** (საქ. სიძვ., II, 447); **გურგენ I** (გ. 891 წ.), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე I-ის ძე, ერისთავთერისთავი, კურაპალატი (801-891 წწ.); **გურგენ IV** (გ. 14.II.941), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ძე, ერისთავთერისთავი 918-941 წლები.

**გურგენი,** ქართლის მეფე VI ს. 20-იან წლებში. მოხსენიებული ჰყავს VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოს პროკოპი კესარიელს. **გურგენი** (გ. 1008 წ.), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, მეფეთა მეფე 994-1008 წწ.

გ. სოფ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წ. ამბროლაურის რ-ის სოფ. ხოტევიდან.

| | |
|---|---|
| გურჯიშვილი | 70 |
| *თბილისი* | *34* |
| *ბოლნისი* | *17* |
| *ხაშური* | *9* |
| გურჯიძე | 355 |

**გურჯიშვილი** (1721 წ.), **გურჯი** (თურქ.) **ქართველი.** საკ. სახ, **გურჯ**-ი (ალ. ღლ., სტუდ. კოლექცია, 108); კ. გურჯიშვილი მოიხსენიება სოფ. წინწყაროს 1819 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 2 ბ, ფურ. 185); სოფ. წინწყაროში მცხოვრები **გურჯიშვილები** ბერძნებად აღიარეს და გვარი გურჯიევად მონათლეს. ასევე ზოგი ქართველიშვილი **გურჯიშვილი,** შემდგომ **გურჯიევი** გახდა. თურქეთში გასახლებული ბერძენიშვილებიც **გურჯიოვებად** მოუნათლავთ (წინწყარო).

**გძელიშვილი** (1832 წ.), საკ. სახ. **გძელა** (სახ. არქ., 1449, №3885); მარაბდაში მცხოვრებ თავად გიორგი ბარათოვის გლეხს ივანე სეხნიას ძე გძელიშვილს 1832 წ. დაებადა ვაჟი იაკობი, მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროვმა. მიმქმელად იყო მარაბდელი ივანე გიორგის ძე ინაშვილი (ფ7 489, აღწ. 6, საქ. 150, გვ. 22).

**გძელყელიშვილი//გრძელყელიშვილი,** მეტსახელი **გრძელყელა, გძელყელა.** შდრ. **თავყელაშვილი, ყელბერაშვილი, ყელგრეხაშვილი, ყელღერაშვილი, ყურფარაშვილი, ყურშიტაშვილი** (ი. მაისურ., ალ. ღლ.,); სოფ. გოლთეთში 1882 წელს მოიხსენიება თევდორე ბესარიონის ძე **გძელყელაშვილი** (სცსსა, მეტრიჩ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1.